341.232(075.8)
ლ-77

გივი ლობჟანიძე

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

341.232(075.8)ლო-77

გივი ლობჟანიძე

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

№ 70605

თბილისი

2013

წიგნი ეძღვნება დამსახურებული მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის გურამ თავართქილაძის ნათელ ხსოვნას (1946 წ. 13.X – 2009 წ. 8.IX)

დამოუკიდებელი საქართველო 1993 წელს შეუერთდა ჟენევის შესაბამის კონვენციებს, რითაც იკისრა ვალდებულება, დაიცვას ამ დოკუმენტებში განმტკიცებული წესები. 2001 წლის 30 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დეკლარაცია, რომლითაც მხარი დაუჭირა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის, მის მასობრივ და ინტენსიურ სწავლების პროცესს ქვეყნის უმაღლეს სასწავლებებში. ამ მხრივ უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები – საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ისწავლება თბილისის, ქუთაისის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. გარდა ამისა, ჩვენს ქვეყანაში და სახღვარგარეთის რიგ სახელმწიფოებში ტარდება სემინარები ჰუმანიტარული სამართლის საკითხებზე, სადაც მონაწილეობას იღებს როგორც სტუდენტი ახალგაზრდობა, ასევე პროფესორ-მასწავლებლები და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები, რომელთა მიზანია იურისტებში, სამთავრობო და აკადემიურ წრეებში ამაღლდეს ჰუმანიტარული სამართლის ცოდნა, მისი ნორმებისა და პრინციპებისადმი პატივისცემა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, დღემდე ქართულ ენაზე არ დაწერილა სახელმძღვანელო საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში, ამიტომ წინამდებარე ნაშრომის მიზანია, დაეხმაროს სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების აკადემიების კურსანტებს, პრობლემით დაინტერესებულ ფართო მკითხველ საზოგადოებას ჰუმანიტარული სამართლის ნორმების და მისი მოქმედების სფეროების სიღრმისეულად გაცნობაში.

რედაქტორები: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რომან შენგელია**
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი **მარინე კვაჭაძე**

რეცენზენტები: სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი **დავით გეფერიძე**
სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი **ვენედი ბენიძე**
ისტორიის დოქტორი, **რევაზ დიასამიძე**

სახელმძღვანელოს გამოცემა რეკომენდებულია საქართველოს ტექნიკური და საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტების, ასევე გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოების მიერ

ISBN 978-9941-9130-8-2

© პოლიგრაფიული ცენტრი „ბარტონი“, 2013

სარჩევი

1.შესავალი 11

თავი I
საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი
როგორც დამოუკიდებელი დარგი
§1. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის
ცნება, საგანი და მეთოდი 16
§2. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის
წყაროები, პრინციპები და სისტემა 19
§3. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და
ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის
თანაფარდობა 41
§4. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის
სუბიექტები 46

თავი II
„საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის“
გნოსეოლოგიური ფესვები
§1. სუნ ძის სამხედრო დოქტრინა 53
§2. რომის სამხედრო მანქანა და ჰუმანიტარული
სამართალი 58
§3. ჰუმანიტარული სამართალი და საქართველო 66
§4. ომის „ხელოვნება“ და საქართველო 70
§5. დიდგორის ბრძოლა და დავით აღმაშენებლის
სამხედრო კონცეფცია 73
§6. ერეკლე II-ის სამხედრო კონცეფცია 81
§7. პეტრე ბაგრატიონი ნაპოლეონის წინააღმდეგ
ბოროდინოს ველზე 88

§8. აშშ-ის შეიარაღებული ძალების ქართველი გენერალი ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი 94

თავი III
შეიარაღებული კონფლიქტების ცნება, კლასიფიკაცია და სახეები საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში
§1. შეიარაღებული კონფლიქტების ცნება და სახეები 97
§2. ომის გამოცხადებისა და მის დამთავრებამდე დამდგარი სამართლებრივი შედეგები 104
§3. შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილენი და სამხედრო მოქმედებების თეატრი 107

თავი IV
კონფლიქტები საქართველოს ტერიტორიაზე, გენოციდის და ეთნოწმენდის პრობლემა
§1. ქართველთა და ოსთა ურთიერთობის საკითხი 111
§2. აფხაზური სეპარატიზმი და გენოციდი 117
§3. ქართველთა მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში 139
§4. ქართველ მშვიდობისმყოფელთა მონაწილეობა საერთაშორისო მისიებში 149
§5. სისხლის სამართლის ქართული კანონმდებლობა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი 158

თავი V
შეიარაღებულ კონფლიქტებში მონაწილეთა შემადგენლობა
§1. „შეიარაღებული ძალების“ და „კომბატანტის“ ცნებები საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში 165
§2. მეთაურების (უფროსების) მოვალეობები საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში 181
§3. იურიდიული მრჩევლის როლი შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში 188
§4. სამედიცინო პერსონალისა და სასულიერო პირთა სამართლებრივი მდგომარეობა 193

თავი VI
ომის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვა
§1. ცნება „ომის მსხვერპლი” საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში 200
§2. დაჭრილების, ავადმყოფების, უგზო-უკვლოდ დაკარგულების და ხომალდის კატასტროფაში მოხვედრილი პირების სამართლებრივი მდგომარეობა 206
§3. სამხედრო ტყვეების სამართლებრივი სტატუსი 211
§4. ქალების დაცვა და ბავშვთა საომარ მოქმედებებში მონაწილეობის აკრძალვა, „უმწეოთა” მიმართ ჰუმანური მოპყრობის ძირითადი გარანტიები..... 228

თავი VII
სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების დაცვა
§1. სამოქალაქო მოსახლეობის საერთაშორისო სამართლებრივი დაცვა შეიარაღებული კონფლიქტების დროს 234
§2. ჟურნალისტთა სამართლებრივი სტატუსი 248
§3. ჰუმანიტარული სამართალი და სამოქალაქო თავდაცვა 255
§4. სამოქალაქო ობიექტების საერთაშორისო სამართლებრივი დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში 263
§5. სამოქალაქო ობიექტების კლასიფიკაცია საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში 267

თავი VIII
საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
§1. კულტურულ ფასეულობათა დაცვა შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში 272
§2. სამოქალაქო მოსახლეობის არსებობისათვის აუცილებელი ობიექტების დაცვა 281
§3. სახიფათო ძალის შემცველი დანადგარებისა და ნაგებობების დაცვა 286
§4. განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფი ადგილებისა და ზონების სამართლებრივი რეგულირება 290

თავი IX
ეკოლოგიური პრობლემები და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი
§1. გარემოს საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის ცნება 297
§2. გარემოს დაცვის სამართლებრივი რეგულირება შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში 300
§3. ეკოლოგიური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ღონისძიებები 313

თავი X
ომის წარმოების მეთოდების და საშუალებების აკრძალვები
§1. ომის წარმოების აკრძალული მეთოდები 325
§2. ომის წარმოების აკრძალული საშუალებები 329
§3. ბირთვული იარაღი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართლის პრინციპებისა და ნორმების შუქზე 339

თავი XI
ნეიტრალიტეტის პრობლემა და სახელმწიფოთა ინტერესების დაცვა
§1. ნეიტრალიტეტის ცნება 349
§2. სახელმწიფოთა ვალდებულება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა შესასრულებლად 351
§3. ნეიტრალიტეტი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ომში 356

§4. საერთაშორისო კონტროლის განხორციელება საერთაშორისო ჰუმანიტარულის სამართლის ნორმათა მიხედვით 366

თავი XII
სახელმწიფოთა და ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობის პრობლემა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით
§1. ომის დამთავრების სამართლებრივი შედეგები 381
§2. სჰ.ს ნორმათა დარღვევისათვის სახელმწიფოების, ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობის ცნება და საფუძვლები 386
§3. სახელმწიფოთა პოლიტიკური და მატერიალური პასუხისმგებლობა 395
§4. საერთაშორისო სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის ფიზიკური პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 404
§5. რეპრესალიების პრობლემა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში 417
§6. დაჭირავებულთა გაწვრთნის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი 422

თავი XIII
სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო
§1. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიზნები და ამოცანები 428
§2. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებები 439

§3. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის პრობლემა და მისი სხვა საფუძვლები 448
§4. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წყაროები და პრინციპები 456
§5. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შემადგენლობა და საქმეთა მმართველობა 460
§6. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო დევნა, საქმის წარმოება და პრაქტიკა 463
§7. საქართველოს კანონი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ 472

თავი XIV
შეიარაღებულ კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის აღდგენის პროცედურებში საერთაშორისო ორგანიზაციების როლი
§1. მშვიდობის აღდგენის პროცესში გაერო და მისი სტრუქტურები 480
§2. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი 487
§3. წითელი ჯვარი და საქართველო 500
§4. წითელი ჯვარი და სამართლებრივი სივრცე 503

თავი XV
ლტოლვილთა და დევნილთა სამართალი
§1. ლტოლვილების და დევნილების სამართლებრივი სტატუსი 515
§2. თავშესაფრის უფლება 526

§3. ლტოლვილების და დევნილების პრობლემა საქართველოში 529
§4. ჰუმანიტარული ჩარევის „კონცეფცია" 535
§5. ცივი ომის ცნება, პერიოდიზაცია და სამართლებრივი შედეგი 546
§6.ომის წარმოების სამართლიანი და უკანონო გზების პრობლემა (თეორია) 555

დასკვნა 561
Conclusion 565
გამოყენებული ლიტერატურა 568

შესავალი

კაცობრიობის ისტორია მეტ-ნაკლებად ომების წარმოების დაუსრულებელი აღწერაა, რადგანაც შეიარაღებული დაპირისპირება ხალხთა შორის არსებული პრობლემების გადაწყვეტის საშუალებად გამოიყენებოდა. არავის ეგონა, რომ XXI საუკუნეს მსოფლიო კვლავ წარსულში არსებული პრობლემების სიმრავლით შეხვდებოდა, რომელთა შორის ერთ-ერთ უმთავრეს საფიქრალად რჩება საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტებისა და ომების თავიდან აცილება, ხოლო როცა მათი პრევენცია არ ხერხდება, საჭირო ხდება მოვლენათა სამართლებრივი მოწესრიგება ისე, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი სისხლისღვრით გამოწვეული ტრაგიკული შედეგები როგორც ბრძოლებში უშუალო მონაწილეებისა, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის მხრიდან.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს სახელმწიფოების მიერ აღიარებულია საერთაშორისო სამართლის ზოგადი მოთხოვნები, რომელიც შეიცავს ძალის გამოყენების და მუქარის, აგრესიული ომის აკრძალვის პრინციპს, და შემდეგ, თითქოსდა აღარ უნდა ჰქონდეს ადგილი ომებსა და შეიარაღებულ კონფლიქტებს, სამწუხაროდ, ომისა და ძალის გამოყენების თეორიული და სამართლებრივი აკრძალვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათ აღმოფხვრას საზოგადოების ცხოვრებიდან. იმისათვის, რომ მოხდეს საბრძოლო მოქმედებების წარმოების ჰუმანიზაცია, შემცირდეს ომის მსხვერპლთა რიცხვი და ხვედრი, არსებობს განსაზღვრული წესები, რომელთა დაცვა სავალდებულოა მებრძოლი მხარეებისათვის. ერთობლიობაში ისინი შეადგენენ საერთაშორისო საჯარო სამართლის ცალკე დარგს – საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს.

ისტორიული წყაროები გვაუწყებენ, რომ ადამიანები უძველესი დროიდან ცდილობდნენ გაეტარებინათ ღონისძიებები სამხედრო მოქმედებების მოსაწესრიგებლად, მათი უარყოფითი ხასიათის შედეგების აღსაკვეთად და ომის მსხვერპლთა გადასარჩენად, ცალკეული სამოქალაქო ობიექტების დასაცავად, თუმცა, ხანგრძლივი დროის მანძილზე ამას მნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყვებოდა. ამით იყო გამოწვეული XIX საუკუნე-

ში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წარმოშობა. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა შვეიცარიაში დაჭრილთა დახმარების პირველი საზოგადოება – წითელი ჯვარი (1863წ.) და ხელი მოეწერა პირველ საერთაშორისო შეთანხმებას ამ სფეროში – ჟენევის კონვენციას ომის დროს დაჭრილებისა და ავადმყოფების დაცვის შესახებ (1864წ.).

დღეს შეიარაღებული კონფლიქტების მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობები წესრიგდება მრავალრიცხოვანი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა დაცვა ყველგან და ყველასაგან სავალდებულოა. მაგალითად, ჟენევის 1949 წლის ოთხი კონვენცია იწყება დებულებით: „მხარეები ვალდებულებას იღებენ ნებისმიერ გარემოებაში დაიცვან ეს კონვენცია და მოითხოვონ მისი განუხრელი შესრულება“ (მუხ.1), თუმცა, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად, პოლიტიკური, სამხედრო თუ სხვა მოსაზრებით, მეომარი მხარეები არ იცავენ აღებულ ვალდებულებებს. ზოგჯერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები ირღვევა საბრძოლო მოქმედებების მონაწილეთა მიერ ამ ნორმების არცოდნის გამო.

დღეს სახელმწიფოთა უმრავლესობას აღებული აქვს ვალდებულებები შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვასთან დაკავშირებით, აგრეთვე მოქმედებს ომის წარმოების შეზღუდვები მისი მეთოდების და საშუალებების გამოყენებასთან მიმართებით. ამასთან, მეტ აქტუალობას იძენს საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობა – შეიარაღებული კონფლიქტების პოტენციური მონაწილეების მიმართ.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ყველა დროისათვის აქტუალური საკითხები, რომლებიც შედიან საერთაშორისო კონფლიქტების ანუ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლებრივი მოწესრიგების სფეროში. მასში კომპლექსურად და მრავალმხრივ არის განხილული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი საკითხები, დაწყებული მისი განსაზღვრიდან, წყაროებიდან და პრინციპებიდან, დამთავრებული სახელმწიფოთა და ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობით ომის წარმოების წესების დარღვევისათვის. დღემდე ქართულ ენაზე არ შექმნილა სისტემატიზებული სახელმძღვანელო, რომელიც უპასუხებდა სასწავლო პროგრამებს ამ დისციპლინაში. აქვე

უნდა აღინიშნოს იმ ავტორთა დამსახურების შესახებ, ვინც აქამდე იმუშავა ამ სფეროში. ამ მხრივ აღსანიშნავია აკად. ლ. ალექსიძის უდიდესი დამსახურება თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ჰუმანიტარული სამართლის პრობლემებს. ქართულად ითარგმნა ჰანს-პეტერ გასერის წიგნი „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი"; ასევე, გამოიცა გენერალ-მაიორ გ. თორაძის დამხმარე სახელმძღვანელო სამხედრო ინსტრუქტორებისათვის, მ. შენგელიას, ჯ. გახოკიძის, ლ. გიორგაძის, ზ. დავითაშვილის, მ. კვაჭაძის, კ. კორკელიას, დ. პატარაიას, ი. ქურდაძის პუბლიკაციები, მ. ტურავას „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო", შ. მალაშხიას „კონფლიქტების ანატომია" და ა.შ. პერიოდულ გამოცემებში ქვეყნდება სხვადასხვა ავტორთა საინტერესო სტატიები. ასე რომ, იმედია, ამ ფონზე ჩვენი ნაშრომი ხელს შეუწყობს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების გავრცელებასა და შესწავლას სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებში, სტუდენტობასა და სამოქალაქო მოსახლეობაში. საქართველო იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალში შედის, რომლებიც ომების შედეგად სერიოზულად დაზარალდნენ.

მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევისა, სამწუხაროდ, შეიარაღებული კონფლიქტები ცხოვრების თანამგზავრად იქცა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დედამიწის სხვადასხვა კონტინენტებსა და რეგიონებში მოხდა 100-ზე მეტი განსხვავებული მასშტაბის შეიარაღებული დაპირისპირება, რამაც შეიწირა ათი-ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე, გააბადგურა მილიონობით მატერიალური ღირებულების სიკეთე, მათ შორის, მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული ფასეულობანი.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ბოლო 40 წლის განმავლობაში დაკარგული 11 ატომური ბომბი. მსოფლიოს 68 ქვეყანაში მიწაში დარჩენილია 110 მილიონამდე აუფეთქებელი ნაღმი, რომლებზედაც ყოველდღიურად იღუპებიან უდანაშაულო ბავშვები, მოხუცები და ქალები. გარდა ამისა, გამოუყენებელი რჩება მილიონობით ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა, რაც საბოლოოდ დაღს ასვამს ქვეყნების ეკონომიკას, ეს კი უარყოფითად

მოქმედებს ხალხთა ცხოვრების დონეზე. ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების უარყოფით შედეგებზე დაუსრულებლად შეიძლება მსჯელობა, მაგრამ აღნიშნული საკმარისად მიგვაჩნია და აქ შევჩერდებით.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის [1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საკონსულტაციო სამსახურის მასალებში ვკითხულობთ, რომ ომის სამართლად წოდებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი დეტალურად განსაზღვრავს წესებს, რომლებიც მიმართულია შეიარაღებული კონფლიქტის შედეგების შემცირებისაკენ. კერძოდ, ის იცავს მათ, ვინც არ, ან აღარ იღებს მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში და განსაზღვრავს ომის წარმოების საშუალებებსა და მეთოდებს. თუმცა ამ შეთახმებაზე მიერთება მხოლოდ პირველი ნაბიჯია. საჭიროა ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაცია, წესების გადაქცევა მოქმედებად.

ტერმინი „იმპლემენტაცია“ მოიცავს ყველა იმ ზომას, რომლის მიღებაც აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს სათანადო ანგარიშს უწევდნენ. არსებობს წესები, რომლებსაც უნდა მიმართოს სახელმწიფოებმა როგორც ომის მიმდინარეობისას, ასევე მშვიდობის პერიოდში. ეს კი აუცილებელია იმისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს შედეგი:

- ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს იცნობენ როგორც სამოქალაქო პირები, ასევე სამხედრო პერსონალი.
- საერთო წესრიგში ჩარეული უნდა იყოს შესაბამისი სტრუქტურები და პერსონალი, გატარდეს კანონთან შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიებები.
- თავიდან არის ასაცილებელი ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის შემთხვევები. ხოლო თუ ასეთს მაინც აქვს ადგილი, მას სათანადო რეაგირება უნდა მოჰყვეს.

ყველა სახელმწიფოს აქვს ცალსახა ვალდებულება მიიღოს შესაბამისი ზომები ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციისათვის. ეს ღონისძიებები შეიძლება გაატაროს ერთმა ან მეტმა სახელმწიფოს შესაბამისმა სამინისტრომ, საკანონ-

[1] შემდგომში – „წჯსკ“.

მდებლო სუბიექტმა, სასამართლოებმა, შეიარაღებულმა ძალებმა ან სხვა სახელისუფლო ორგანოებმა.[1]

აღნიშნულის პრობლემების მოწესრიგების სამსახურში გარკვეულწილად ჩადგება წინამდებარე სახელმძღვანელო, რომლის შესაქმნელად მრავალი საერთაშორისო ნორმატიული აქტის დამუშავება მოგვიწია. გავეცანით პრობლემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ლიტერატურას, მათ შორის ევროპელი და რუსი ავტორების, პროფესორების: პ. მალანჩუკის, ფ. მარტენსის, კ. პოვერის, ე. დავიდის, გ. არასენის, დ. რენდალის, ქ. რობერტსის, ე. ქემინსის, ჰ.ი. ჰეინტცის, კ. დორმანის, ს. ვიტის, მ. სასოლის, ჟ.ფ. კეგინერის, ი. ნაქვის, პ. ფიშერის, ლ.ს. გროინის, უ. პიქტეს, ი. კოტლიაროვის, ს. მაილიანის, ს. გრიცაევის, ტ. გუსაროვას, ი. გრიგორევიჩის, ი. პუზირევას, კ. ხოდჟაბეგოვას, ი. არციბასოვის, ა. კაპუსტინის, ს. ეგოროვის, ა. მარტინენკოს, გ. მელკოვის, ი. ბლიშენკოს, ხ. გასერის, ო. სმოლნიკოვის, ა.შაპოჩკას და სხვათა ნაშრომებს.

ავტორი მადლობას უხდის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, გლუკ-ის, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თბილისის ოფისს თანამშრომლობისა და საჭირო მასალებისა და წყაროების მოწოდებისათვის.

წინამდებარე სახელმძღვანელოს ყოვლისმომცველობის პრეტენზია არ გააჩნია; ის არც შეცდომებისაგან იქნება დაზღვეული; ამიტომ, ავტორი სიამოვნებით მიიღებს ყველა საქმიან შენიშვნას და გაითვალისწინებს მათ მომავალ საქმიანობაში.

---

[1] წჯსკ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საკონსულტაციო სამსახური (ელ-ფოსტა advisorysarvice gva@ icrc.org) შეეიცარია, ჟენევა.

თავი I

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი - დამოუკიდებელი დარგი

§1.საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ცნება, საგანი და მეთოდი

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, როგორც საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი დარგი და სასწავლო დისციპლინა, დასავლეთის სახელმწიფოებში XX საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან ჩამოყალიბდა.

სამართლის თეორიის მიხედვით, დარგები წარმოადგენენ სამართლებრივი სტრუქტურის ქვედანაყოფებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის სისტემას. ჰუმანიტარული სამართალი ჩვენს შემთხვევაში არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა შორის არსებული ერთგვაროვანი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები, ინსტიტუტები, მექანიზმები და პრაქტიკა.

სამეცნიერო ლიტერატურაში, ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში აღიარებულია, რომ დარგი არის მეცნიერული კატეგორია. ამის გამო სხვადასხვა მეცნიერი თავისებურად განსაზღვრავს სამართლის სისტემას, მის შემადგენელ ნაწილებს, დარგებს, ინსტიტუტებს, რაც მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ანალიზის საფუძველზე ხდება და მონოგრაფიებში, სალექციო კურსებსა და სახელმძღვანელოებში აისახება.[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი პრინციპები და ნიშნები ჟენევის, ჰააგის კონვენციებში და გაეროს წესდებაში ჩამოყალიბდა, ამ თვალსაზრისით განმტკიცებული დებულებით განისაზღვრა გაეროს მიზნები საერთაშორისო მშვიდობის დაცვის

---

[1] Shabtai Rosenne <<Codification of international Law", Bernare (et) Eneyclopedia of Public internacional Law Vol (1992). (შემდგომში, სქოლიოში მოყვანილი წყარო კონკრეტული გვერდის გარეშე ნიშნავს, რომ დაინტერესებისდ შემთხვევაში შესაძლებელია კონკრეტულ საკითხზე დამატებითი მასალის მოპოვება)

სფეროში, რომელიც 19 თავისა და 111 მუხლისაგან შედგება. წესდების პრეამბულაში მოცემულია გაეროს შექმნის მთავარი მოტივი, ხალხთა მტკიცე გადაწყვეტილება, რათა ომის უბედურებისაგან იხსნას მომავალი თაობები, განმტკიცდეს ადამიანის ძირითად უფლებათა, მამაკაცთა და ქალთა, დიდი და პატარა ერების თანასწორუფლებიანობის რწმენა და ამ მიზნით გამოვიჩინოთ შემწყნარებლობა და ვიცხოვროთ ერთად მშვიდობიანად, როგორც კეთილმა მეზობლებმა და გავაერთიანოთ ჩვენი ძალები საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად. ამ მიზნით 1946 წელს გაერომ შექმნა ადამიანის უფლებათა კომისია, რომელმაც ორი წლის შემდეგ, 1948 წელს მოამზადა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

დეკლარაციამ სამართლებრივი თვალსაზრისით გააფართოვა ადამიანის უფლებათა არეალი, რასაც საერთაშორისო პაქტების მეშვეობით შემდგომში მოჰყვა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და სხვა უფლებების ჩამონათვალი, ამან კი კეთილისმყოფელი გავლენა იქონია ჰუმანიტარული სამართლის, როგორც საერთაშორისო სამართლის დარგის განვითარებაზე, რომლის ძირითადი მიზანია შეიარაღებული კონფლიქტების დროს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წევრ სახელმწიფოთა მიერ. ე.ი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არის სამართლებრივი ნორმების ის ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის საყოველთაო უფლებებს კონფლიქტის მონაწილე და მეომარი სახელმწიფოების მიმართ და სახელმწიფოს საყოველთაო მოვალეობებს საერთაშორისო კონვენციების დამატებითი ოქმებისა და სხვა დოკუმენტების მოთხოვნათა შესრულებაში. იგი, როგორც საგანი და სასწავლო დისციპლინა, წარმოადგენს მნიშვნელოვან მიმართულებას თანამედროვე საერთაშორისო სამართლის დარგებს შორის და მას საკუთარი განვითარების ისტორია გააჩნია.

XIX-XX საუკუნეებში ჩამოყალიბდა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მთელი სისტემა, რომელიც მიმართულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის [illegible] ლური დაცვისაკენ, ტყვეობაში თუ ოკუპირებულ ტერიტორიაზე

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის
საბიბლიოთეკო ინფორმაციის
ბიბლიოთეკა
17
№

ყოფნის დროს მისი უფლებების განსაზღვრისა და განმტკიცებისათვის. ასე ჩამოყალიბდა საერთაშორისო სამართლის განსაკუთრებული დარგი – საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, რომელიც სულ რამდენიმე წელია, რაც წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლება - წერს აკადემიკოსი ლ. ალექსიძე, ჰანს-პეტერ გასერის წიგნის წინასიტყვაობაში,[1] რასაც ჩვენც ვეთანხმებით, რადგანაც მხედველობაში გვაქვს ის ხედვა, რომ საქართველოსათვის ამ დარგს არა მარტო თეორიული, არამედ უაღრესად დიდი პარქტიკული მნიშვნელობა გააჩნია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მის ტერიტორიაზე არა ერთ შეიარაღებულ კონფლიქტს ჰქონდა ადგილი და მას შემდეგ ქვეყანაში მდგომარეობა უფრო დამძიმდა.

სხვადასხვა მკვლევარი ჰუმანიტარული სამართლის განვითარების სხვადასხვა პერიოდიზაციას გვთავაზობს. ერთი ნაწილი მას სამ განზომილებაში წარმოადგენს: უძველეს, შუა საუკუნეების და უახლოეს პერიოდად, ნაწილი კი თვლის მეორე მსოფლიო ომამდე და შემდგომი პერიოდის სამართლის სისტემატიზირებული ნორმების ფორმირებად. ჩვენთვის კი მნიშვნელოვანია ჰუმანიტარული სამართლის დარგად ჩამოყალიბების რეალობა. იგი არის ცხოვრებისეულ თვისებათა განუყოფელი სფერო, რადგანაც ადამიანი თავისი უფლებებისა და თავისუფლებების მეშვეობით მკვიდრდება საზოგადოებაში, ახდენს საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების რეალიზაციას, იცავს საკუთარ ინტერესებს, სიცოცხლესა და პიროვნებას, პატივს სცემს სხვის უფლებებს და თავისუფლებებს, კონფლიქტებისა და ომის პირობებშიც.

საგნის ქვეშ მოიაზრება კვლევის ობიექტი, ის კონკრეტული პრობლემები, რაც ამა თუ იმ დარგს და დისციპლინას აინტერესებს. ამიტომ, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სწორედ კვლევის ობიექტით ანუ საგნით.

მოცემულ შემთხვევაში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი სამართლის დამოუკიდებელი დარგია, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის, ანუ ომის დროს მოქმედი საერ-

---

[1] ჰანს-პეტერ გასერი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (შესავალი), თბ. 1999წ.გვ.7.

თაშორისო ნორმების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც ცდილობს შეამსუბუქოს მისი შედეგები.

რაც შეეხება მეთოდებს, იგი წარმოადგენს მიზნის მიღწევის ხერხებსა და საშუალებებს, ამ შემთხვევაში საგნის სპეციფიკურობა განაპირობებს მეთოდების თავისებურებებსაც.

საერთაშორისო სამართლის მკვლევარები თვლიან, რომ ყველა ლოკალური საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა, უნდა შეესაბამებოდეს საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ძირითად დარგს[1] და, აქედან გამომდინარე, აყალიბებენ მეთოდოლოგიას. ჩვენს შემთხვევაში შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი მეთოდების გამოყოფა. ესენია: ფორმალურ-იურიდიული, შედარებით-სამართლებრივი და სისტემური. ფორმალურ-იურიდიული მეთოდი გვეხმარება წერილობითი ნორმატიული საერთაშორისო აქტების თვისებათა ანალიზში. შედარებით-სამართლებრივი მეთოდი იძლევა ჰააგისა და ჟენევის სამართლის „მოდელების" შინაარსობრივი მხარის გაცნობიერებას, შესაძლებლობას და სისტემური მეთოდის საშუალებით ვახდენთ „ჰააგისა" და „ჟენევის" სამართლის ერთ – „ომის სამართლის" სისტემაში გაერთიანებას.

ზოგიერთი საკითხის გაშუქებისათვის ასევე გამოვიყენეთ კომპილაციის მეთოდიც, რამაც მოგვცა პრობლემათა წარმოჩენისა და სახელმძღვანელოში თემატიკის სრულყოფის საშუალება.

§2. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წყაროები, პრინციპები და სისტემა

უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე შეიქმნა და ჩამოყალიბდა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მთელი სისტემა, რომელიც მიმართულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მაქსიმალური დაცვისაკენ, ტყვეობაში თუ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყოფნის დროს მისი უფლებების განსაზღვრისა და განმტკიცებისაკენ, რამაც განაპირობა საერთაშორისო სამართლის განსაკუთრებული დარგის – საერ-

[1]ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2010წ. გვ.19.

თაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ჩამოყალიბება, რომელიც, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინა, გამოჩნდა უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი – არის საერთაშორისო სამართლის სპეციფიკური დარგი, რომელიც მოიცავს ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებას, კონვენციას და სხვა აქტებს, რომელიც ეხება ადამიანის ბედს შეიარაღებულ კონფლიქტში. ომის ჩვეულებები და კანონები მაქსიმალურად ზღუდავენ ომის დაწყების შესაძლებლობას, ხოლო შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში ადგენენ სავალდებულო ქცევის წესებს, როგორც სამხედრო ფორმირებების, ასევე ცალკეული ჯარისკაცებისათვის, კრძალავენ იარაღის ცალკეული სახეების გამოყენებას, იცავენ მშვიდობიან მოსახლეობას, სამხედრო ტყვეებს,და ამსუბუქებენ ადამიანთა ბედს, იცავენ მატერიალურ ფასეულობებს შეიარაღებული კონფლიქტების დროს.

მიუხედავად იმისა, რომ აგრესიული ომი კანონგარეშეა გამოცხადებული, ეს არ გამორიცხავს ასეთი ომის დაწყების შესაძლებლობას. თავის მხრივ, ასეთი აქტი იწვევს აგრესიის მსხვერპლის მხრიდან სამართლიან შეიარაღებულ ბრძოლას, ე.ი. თავდაცვით ომს. ასევე იქცევა ხალხი, რომელიც იძულებულია მოკიდოს ხელი იარაღს ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ან დასაცავად. დღეს ხშირია არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტები, რომლებიც ერთი სახელმწიფოს ფარგლებში მიმდინარეობს. შეიძლება არსებობდეს კონფლიქტები, რომლებიც ორ სახელმწიფოს შორის მიმდინარეობს, მაგრამ აგრესიის ხასიათი ვერ დგინდებოდეს.სინამდვილედ იქცა გაეროს ეგიდით ჯარების გამოყენება აგრესიის წინააღმდეგ (მაგ. ერაყის მიმართ). ამგვარად, თანამედროვე ეტაპზე ომის საშიშროება არ არის სამუდამოდ ლიკვიდირებული. თუმცა ომის კანონებისა და ჩვეულებების ხვედრითი წილი საერთაშორისო სამართალში ძლიერ შემცირდა (ახლო წარსულში მას „ომისა და მშვიდობის სამართალი" ეწოდებოდა).[1]

---

[1]თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ. 2003წ. გვ 237

სახელმწიფოს მოღვაწეობა ექსტრემალური საერთაშორისო ურთიერთობების პირობებში – ომის პერიოდში რეგულირდება იმ პრინციპებითა და ნორმებით, რომლებიც მიეკუთვნება საერთაშორისო სამართალს, გამოყენებულს საერთაშორისო კონფლიქტების პერიოდში.[1]

„საერთაშორისო სამართალი, - აღნიშნავდა მონტესკიე, - ბუნებრივად ეფუძნება იმ პრინციპს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მშვიდობიანობის პერიოდში სახელმწიფოებმა რაც შეიძლება მეტი სიკეთე უნდა განახორციელონ, ხოლო ომის პერიოდში-რაც შეიძლება ნაკლები ბოროტება".[2] სწორედ ეს იქცა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარების მამოძრავებელ ძალად მისი წარმოშობის მომენტიდან.

აზრი იმის შესახებ, რომ „ომისათვის, ისევე, როგორც მშვიდობიანი დროისათვის, არსებობს შესაბამისი კანონები", გვხვდება ჯერ კიდევ ჰოლანდიელი იურისტისა და სახელმწიფო მოღვაწის ჰუგო გროციუსის შრომებში (XVII ს).

მან თავის წიგნში „ომებისა და მშვიდობის უფლების შესახებ", რომელიც 1625 წელს გამოიცა, დასაშვებად მიიჩნია „სამართლიანი ომების წარმოება, არა მარტო საკუთარ, არამედ სხვა ტერიტორიაზე მყოფ ქვეშევრდომთა დაცვის მიზნით, თუ მათ მიმართ ადგილი აქვს აშკარა უკანონობას".

უძველეს დროში ომის წარმოების დაუწერელი წესდება არსებობდა ადათის, ჩვეულებათა ფორმით, აგრეთვე აისახებოდა შიდა სამართალში. მაგალითად, მანუს კანონებში დადგენილი იყო ძალადობის მკაცრი შეზღუდვა, საბრძოლო მოქმედებების პერიოდში იკრძალებოდა მოწამლული იარაღის გამოყენება, უიარაღოთა, ტყვეების, შეწყალების მთხოვნელთა, მძინარეების და დაჭრილთა დახოცვა. ძველი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში არსებობდა ჩვეულებითი ნორმა, რომლის თანახმადაც: ომი არ უნდა დაწყებულიყო მისი გამოცხადების გარეშე; სიკვდილი ბრძოლის ველზე იძლეოდა დასაფლავების უფლებას; ქალაქის დაპყრობისას არ

---

[1] Busa L. internacional Control os a Safeguandi of Cegality interrnacional sife, in Questons of internacional Law Buagdest, 1966.

[2] შ. მონტესკიე, კანონთა სულის შესახებ. ნაწ. I-1 ჰ. 1862წ. გვ.9.

შეიძლებოდა ტაძრებში თავშეფარებულთა დახოცვა;[1] სამხედრო ტყვეები ექვემდებარებოდნენ გაცვლას და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გადაიქცეოდნენ მონებად. ომის წარმოების წესებმა ასახვა ჰპოვა რელიგიურ წიგნებში – ბიბლიაში, ყურანში.

რელიგიური წყაროები, ისევე, როგორც 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ, მოითხოვენ საბრძოლო მოქმედებების წარმოებას მხოლოდ იმათ წინააღმდეგ, ვინც თვითონ მონაწილეობდა მათში. ყურანში, მაგალითად, ნათქვამია: „იომე, ალაჰის სახელით, იმათ წინააღმდეგ, ვინც შენ წინააღმდეგ იბრძვის, მაგრამ ნუ იქნები აგრესიული. ალაჰს არ უყვარს აგრესია". საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები კრძალავს ლაზარეთების, ტაძრების გამოყენებას მტრისათვის ზიანის მისაყენებლად. ყურანის იმავე მე-2 თავში ხაზგასმულია: „ნუ ეომები იმას, ვინც მეჩეთშია, მაგრამ თუ შენ გებრძვიან, დახოცე ისინი".

ათასწლეულების მანძილზე ცვლილებები მოხდა ომის წარმოების ხელოვნებაში. ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებით, შეიარაღებულმა კონფლიქტებმა, ისევე როგორც მათმა მასშტაბებმა, სხვა ხასიათი შეიძინეს. შეიცვალა დამოკიდებულება სამხედრო ტყვეების მიმართ, რომელთაც უფრო და უფრო ხშირად ათავისუფლებდნენ გამოსასყიდით. აგრეთვე, დაჭრილების მიმართ, რომლებიც ბრძოლის ველიდან გამოჰყავდათ და დახმარებას უწევდნენ.

შეიარაღებული კონფლიქტების ჰუმანიზაცია მნიშვნელოვნად დაჩქარდა XIX საუკუნეში საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნით, რომლებმაც საქმიანობა ბევრ ქვეყანაში გაშალეს.

ავსტრია-იტალია-საფრანგეთის ომის (1859წ.) დროს შვეიცარიელმა მოქალაქემ ანრი დიუნანმა განახორციელა დაჭრილების დახმარება სოლფერინოსთან ბრძოლის შემდეგ. მისმა წიგნმა „მოგონებები სოლფერინოზე", გააღვიძა საზოგადოებრივი შეგნება. 1863 წელს ჟენევაში შეიქმნა დაჭრილების დახმარების

---

[1] გ. ლობჟანიძე, რომის სახელმწიფო და სამართალი, ქუთ. 2009წ. გვ. 267.

მუდმივი საერთაშორისო კომიტეტი, რომელიც დღეს ცნობილია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის სახელით.[1]

1864 წელს შვეიცარიის მთავრობამ ჩაატარა დიპლომატიური კონფერენცია ომის მსხვერპლთა დახმარების შესახებ დოკუმენტაციის მომზადების მიზნით. მასში მონაწილეობა 12 სახელმწიფომ მიიღო. კონფერენციის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს პირველ მრავალმხრივ კონვენციას ომის დროს დაჭრილებისა და ავადმყოფების დაცვის შესახებ (1864წ.). ეს იყო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პირველი დოკუმენტი, რომელშიც ა. დიუნანის იდეა განხორციელდა. ცოტა ხანში მას 50-ზე მეტი სახელმწიფო შეუერთდა.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მრავალ საერთაშორისო სამართლებრივ აქტს შეიცავს, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფოთა ურთიერთობებს შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში.

ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს ან სხვა საერთაშორისო სამართლის სუბიექტების შეთანხმებას უფლებათა და ვალდებულებათა ჩამოყალიბების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ, შეიძლება ეწოდოს კონვენცია, პაქტი, ოქმი, ხელშეკრულება, შეთანხმება და სხვა, მაგრამ მიუხედავად სახელწოდებისა, მათი იურიდიული ძალა თანაბარია.საერთაშორისო ხელშეკრულებით მხარეებად ძირითადად მხოლოდ სახელმწიფოები გვევლინებიან როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტები. საერთაშორისო ჩვეულებისაგან განსხვავებით, ხელშეკრულებას წერილობითი ფორმა აქვს და მკაფიოდ ასახავს მხარეთა პოზიციას. ზეპირი, ე.წ. ჯენტლმენური შეთანხმებები, რომლებიც წარსულშიც ნაკლებად გამოიყენებოდა, საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკაში აღარ გვხვდება, თითო-ოროლა შემთხვევის გარდა.

საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ არსებული საქართველოს კანონის მიხედვით (მუხ. 6, პუნქ.1), საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია. საერთაშორისო ხელშეკრულება მისი ძალაში შესვლის მომენტიდან ხდება შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილი, რომელიც შეიძლება უშუ-

---

[1] გ. ლობჟანიძე, ადამიანის უფლებათა სამართალი, თბ. 2005წ. გვ. 12.

ალოდ იქნეს გამოყენებული როგორც ქვეყნის სამართლის წყარო, თუ მისი დებულებები საამისოდ საკმარისად კონკრეტულია.[1]

აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითად წყაროებს მიეკუთვნება:

– საერთაშორისო ხელშეკრულებები;
– საერთაშორისო ადათ-ჩვეულებები.

2. საერთაშორისო ხელშეკრულებები.

საერთაშორისო სამართლის წყაროები პირობითად ორ ნაწილად იყოფა, ისევე, როგორც თვითონ დისციპლინა „ჟენევისა" და „ჰააგის" სამართლად. დისციპლინის ის ნაწილი, რომელშიც თავმოყრილია საბრძოლო მოქმედებათა განმსაზღვრელი ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ბრძოლის წესებს ხმელეთზე, ზღვაში და ჰაერში, განსაზღვრავენ ნეიტრალიტეტის სტატუსს, შეიარაღების სახეებს და ასე შემდეგ ჰააგის კონვენციებისა და მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებებით შემოიფარგლება. მათი საშუალებით წესრიგდება და იზღუდება მეთოდები და საშუალებები ომის წარმოების დროს. კაცობრიობა საუკუნეების განმავლობაში ახდენდა ადათ-წესების ჩამოყალიბებას, რომელთა კოდიფიცირება შემდგომში მოხდა მაგალითად, 1899 წლის ჰააგის წესდებებში და გადაიხედა 1907 წელს. ანალოგიურად, ადათ-წესები და ჩვეულებები აისახა სანქტ-პეტერბურგის 1868 წლის დეკლარაციაში. ასევე, 1868 წლის ჟენევის ოქმში გაზის გამოყენების აკრძალვის თაობაზე.

უნდა აღინიშნოს ჟენევის 1949 წლის კონვენციის 1977 წლის დამატებითი ოქმები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების ჩამოყალიბებაში. ისინი ეხებიან საბრძოლო მოქმედებებს, სადაც სამოქალაქო მოსახლეობა არ უნდა გახდეს თავდასხმის ობიექტი. ეს მანამდე არ იყო განმტკიცებული ხელშეკრულების ფორმით.[2]

---

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი). თბ. 2003 წ. გვ. 234.

[2] Международное право, Ведение боевых действий, М., 1995,стр.8.

ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც აწესრიგებს საბრძოლო მოქმედებებს, ისევე, როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი, ავალებს ყველა სახელმწიფოს მათ შესრულებასა და დაცვას. იგი ეყრდნობა ორ ძირითად, ერთმანეთთან დაკავშირებულ პრინციპს, როგორიცაა ჰუმანურობა და საბრძოლო აუცილებლობის შემთხვევაში მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის გარანტიები.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ხელშეკრულებები (კონვენციურ) წყაროს მიეკუთვნება ას წელზე მეტი ხნის წინათ მიღებული დოკუმენტები, რომლებიც ისტორიული მიზეზებით, აგრეთვე საომარ ხელოვნებაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ექვემდებარებოდნენ გადახედვას, შევსებას, კოდიფიცირებას.მათ შორის ძირითადია:

- პარიზის 1856 წლის დეკლარაცია საზღვაო ომის შესახებ;
- პეტერბურგის დეკლარაცია ფეთქებადი და ცეცხლგამჩენი ტყვიების გამოყენების გაუქმების შესახებ, 1868წ.;
- ჰააგის დეკლარაცია მსკდომი ტყვიების გამოყენების აკრძალვის შესახებ, 1899წ.;
- ჰააგის კონვენცია სამხედრო ომის კანონებისა და ადათების შესახებ, 1907 წ.;
- კონვენცია საბრძოლო მოქმედებების დასაწყისისთვის მტრის სავაჭრო გემების მდგომარეობის შესახებ, 1907 წ.;
- კონვენცია წყალქვეშა, შეხებით ავტომატურად ფეთქებადი ნაღმების დაყენების შესახებ, 1907 წ.;
- კონვენცია საზღვაო ომში შეპყრობის უფლების გამოყენების ზოგიერთი შეზღუდვის შესახებ, 1907 წ.;
- ჟენევის ოქმი ომში მხუთავი,. მომწამლავი ან სხვა მსგავსი გაზების ან ბაქტერიოლოგიური საშუალებების გამოყენების აკრძალვის შესახებ, 1925წ.;
- წესები ომის პერიოდში სავაჭრო გემების მიმართ წყალქვეშა ნავების მოქმედებების შესახებ, 1936 წ.;
- ნიონის შეთანხმება, 1937 წ.

1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევაში მოწვეულმა 48 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ერთხმად მიიღეს ოთხი კონვენ-

ცია ომის მსხვერპლთა შესახებ.[1] კონვენცია მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ; ჟენევის 1949 წლის კონვენცია ზღვაში შეიარაღებული ძალების შემადგენლობიდან დაჭრილთა, ავადმყოფთა და გემის დაღუპვის შედეგად წყალში აღმოჩენილ პირთა ბედის გაუმჯობესების შესახებ; ჟენევის 1949 წლის კონვენცია ტყვეთა რეჟიმის შესახებ; ჟენევის 1949 წლის კონვენცია ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ: ჟენევის 1977 წლის ორი ოქმი საერთაშორისო და არასაერთაშორისო კონფლიქტებში მსხვერპლთა დაცვის შესახებ (საქართველო შეუერთდა ოთხივე კონვენციას და ორივე ოქმს 1994 წლის 14 მარტს).

1980 წლის კონვენცია და სამი ოქმი კრძალავენ ან ზღუდავენ იმ კონკრეტული სახის იარაღის გამოყენებას, რომლებიც შეიძლება ზომაგადასული ზიანის მიმყენებელ ან განურჩეველი მოქმედების მქონე იარაღად ჩაითვალოს. ამის გარდა, არსებობს მთელი რიგი აქტები, რომლებიც მიზნად ისახავენ, არ დაუშვან ახალი მსოფლიო ომის დაწყება, ქმნიან შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილების გარანტიებს, ზღუდავენ მხარეთა მიერ თანამედროვე ტექნიკის გამოყენებას:

- ჟენევის კონვენციები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ, 1999 წლის 12 აგვისტო („მოქმედ არმიებში დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ"; „დაჭრილთა, ავადმყოფთა და იმ პირთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ, რომლებიც დაზარალდნენ საზღვაო კატასტროფის შედეგად"; „სამხედრო ტყვეთა მიმართ დამოკიდებულების შესახებ"; „სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ ომის დროს");
- ჟენევის კონვენციებისადმი 1997 წლის I და 1999 წლის II დამატებითი ოქმები;
- ჰააგის კონვენცია კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ (1954წ), და მისადმი 1954 და 1999 წლების ოქმები;

[1]Final record of the Diplomatic Conference of Geneva of 1949, 3 vols.

- კონვენცია ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის წარმოებისა და დაგროვების და მათი განადგურების შესახებ, 1972 წ.;
- კონვენცია ჩვეულებრივი იარაღის იმ კონკრეტული სახეების გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ გადამეტებული დაზიანებები და აქვთ განურჩეველი მოქმედება, 1980 წ, და ოქმები მისადმი (აღმოუჩენელი ნამსხვრევების შესახებ ოქმი I; ნაღმების, ნაღმ-ხაფანგების და სხვა მოწყობილობათა აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ, 1996 წლის 3 მაისის შესწორებებით II ოქმი; ცეცხლგამძლე იარაღის აკრძალვის ან გამოყენების შეზღუდვის შესახებ –III ოქმი; დამაბრმავებელი ლაზერული იარაღის შესახებ –IV ოქმი; ოქმი ომის ფეთქებადსაშიში ნივთიერებების შესახებ, 2003 წ – Vოქმი);
- კონვენცია ქიმიური იარაღის დამუშავების, წარმოების, დაგროვების და გამოყენების და მისი განადგურების წესების შესახებ, 1993 წ.;
- კონვენცია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების, დაგროვების, წარმოებისა და გადაცემის აკრძალვის და მათი განადგურების წესების შესახებ, 1997წ.[1]

ნორმატიული დოკუმენტების ჩამონათვალი გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები საკმარისად კოდიფიცირებულია. ასეთ კოდიფიკაციას, როგორც უკვე აღინიშნა, საფუძველი ჩაეყარა 1899 და 1907 წლების კონვენციებით. „აი, რატომაა, – აღნიშნავდა დ.დ მარტენსი, – რომ საერთაშორისო შეთანხმება ომის წესების, ან სხვა სიტყვებით, ომის ადათის დადგენის მიზნით, ჩვენ არ მიგვაჩნია ცივილიზებული სახელმწიფოების იმ ამოცანებზე რამდენადმე ჩაკლებად, ვიდრე საერთაშორისო კანონების კოდიფიკაციაა მშვიდობიანობის დროს".[2]

---

[1] Thedor Meron „The Geneva Conventions as Customery Lawi 81 American Jovrnal of international Law (1987).

[2] ფ.ფ. მარტენსი, აღმოსავლეთის ომი და ბრიუსელის კონფერენცია 1874-1878წ. სპბ, 1878, გვ.41.

იმ პირველი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების უმრავლესობის ხარვეზი, რომლებიც საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს განეკუთვნებოდნენ, იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი არ შეიცავდნენ „საყოველთაოობის მითითებას“ (clausula si imnes),რომლის თანახმადაც, კონვენციის დებულებები სავალდებულო იყო მხოლოდ მომლაპარაკებელი სახელმწიფოებისათვის და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეომარი მხარეები მონაწილეობდნენ კონვენციაში (ნ. ჰააგის I კონვენცია 1907წ). თუ ომში ებმებოდა სახელმწიფო, რომელიც არ იყო კონვენციის მონაწილე, მაშინ კონვენცია წყვეტდა მოქმედებას მის მონაწილეთა შორისაც კი.სახელმწიფოთა შემდგომი პრაქტიკა წავიდა ciausula si imnes-ზე უარის თქმის გზით, რაც ნათლად იქნა ფორმირებული საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალების განაჩენებში.

ასევე აღსანიშნავია 1949 წლის ჟენევის კონვენცია ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ, ჰააგის კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში (1954წ), და სხვა დოკუმენტები, რომლებიც მიღებულ იქნა მეორე მსოფლიო ომის გამოცდილების გათვალისწინებით. მათი უნივერსალურობა საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ იმაზე, რომ 1949 წლის ჟენევის კონვენციები გამოვიდნენ „რიგითი“ სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებების ჩარჩოდან და იქცნენ აბსოლუტურ ვალდებულებით ხელშეკრულებებად. სახელმწიფოებს არ შეუძლიათ მათი დენონსაცია შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში.

ჟენევის კონვენციების ნორმებზე არ ვრცელდება უკუგების პრინციპი.მეომარ მხარეს არა აქვს უფლება, არ დაიცვას მათი ესა თუ ის ნორმა, იმის მომიზეზებით, რომ სხვა მეომარი მხარე მას არ იცავს.

იურიდიულ და საცნობარო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჟენევის 1949 წლის კონვენციები და 1977 წლის დამატებითი ოქმები ომი მსხვერპლთა დაცვის შესახებ, თავისი შინაარსის მიხედვით წარმოადგენენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითად წყაროებს ომის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავენ შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვას. საერთაშორისო ჰუმანიტარულ

სამართალში ჟენევის 1949 წლის ოთხი კონვენცია და დამატებითი ოქმები „ჟენევის სამართლის" ქვაკუთხედად მიიჩნევა და უფრო დეტალურ განხილვას იმსახურებს.[1]

ჟენევის 1949 წლის I კონვენცია („მოქმედ არმიებში დაჭრილებისა და ავადმყოფების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ").მასში ჩამოყალიბებულია სპეციალური წესები სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებათა შესახებ. დაჭრილთა გადასაყვანად გამოყენებული სამედიცინო, სამოქალაქო და სამხედრო სატრანსპორტო საშუალებები, ამ წესების მიხედვით, სრული დაცვით უნდა სარგებლობდნენ; სრული სახით ვრცელდება ეს წესები აგრეთვე სამედიცინო პერსონალზე, სასულიერო პირებზე, ჟურნალისტებზე, სამედიცინო პერსონალის ტრანსპორტირების, სამედიცინო ტვირთის გადატანაზე.[2]

რამდენადაც მნიშვნელოვანი იყო სახმელეთო შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი დაჭრილებისა და ავადმყოფების მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი, ასევე საშური შეიქნა საზღვაო შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი დაჭრილების, ავადმყოფების და კატასტროფაში მოყოლილ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების საჭიროება, რომელსაც ეხება II კონვენცია. იგი აწესებს, რომ ჰოსპიტალური ხომალდები, რომლებიც ზღვაზე სახმელეთო ჰოსპიტალების ფუნქციას ასრულებენ, ისეთივე დაცვით უნდა სარგებლობდნენ, როგორიც სხვა სამედიცინო სატრანსპორტო საშუალებებს აქვთ და რომ ისინი უნდა ატარებდნენ დამცავ ემბლემას (წითელი ჯვარი და წითელი ნახევარმთვარე), ხოლო მონაცემები ამ ხომალდების შესახებ უნდა მიეწოდებოდეს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს.[3]

სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ საუბრობს ჟენევის III კონვენცია, რომელიც განსაზღვრავს ომის დროს ტყვედ ჩავარდნილ პირთა უფლებებს. კონვენცია მოითხოვს, რომ სამხედრო ტყვეებს ყოველთვის ჰუმანურად უნდა ეპყრობოდნენ; რომ ტყვეობის დროს მათ შენარჩუნებული უნდა ჰქონდეთ სამხ-

---

[1] Final record of the Diplomatic Conference of Geneva of 1949, 3 vol.

[2] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ., 2003 წ., გვ. 231.

[3] იქვე.

ედრო მოსამსახურეთა სტატუსი, რაც გულისხმობს შემდეგს: მათ უფლება აქვთ, ატარონ სამხედრო ფორმა; ისინი ექვემდებარებიან ტყვედ ჩავარდნილი ზემდგომი ჩინის მქონე ოფიცრებს; საომარ მოქმედებათა დასრულებისას უნდა მოხდეს მათი რეპატრიაცია; ტყვეობაში ყოფნისას შესრულებული სამუშაოსათვის უნდა მიეცეთ განსაზღვრული თანხა (გასამრჯელო); უნდა ეწეოდეთ შესაბამისი სამედიცინო მომსახურება, უნდა ჰქონდეთ თავიანთი კულტურული და სულიერი ცხოვრების წარმართვის საშუალება, ნათესავებთან და ახლობლებთან მიმოწერის უფლება.[1]

მკვლევარები III კონვენციის ანალიზის შედეგად გამოყოფენ იმ პირთა კატეგორიებს, რომლებიც სამხედრო ტყვეთა სტატუსით სარგებლობენ. ესენია: 1) წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები, რომლებსაც ჰყავთ მათ მოქმედებებაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელი და აქვთ საკუთარი სამხედრო ფორმა; აშკარად ატარებენ იარაღს; იცავენ ომის კანონებსა და ჩვეულებებს; 2) შეიარაღებულ ძალებთან მყოფი ის პირები, რომლებიც მათ შემადგენლობაში არ შედიან (მაგ. ხომალდებისა და თვითმფრინავების ეკიპაჟის წევრი სამოქალაქო პირები, სამხედრო კორესპონდენტები); 3) ადგილობრივი მოსახლეობა, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელში იარაღი მოწინააღმდეგის მოახლოებული ძალებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. 4) სამედიცინო პერსონალი როგორც განსაკუთრებული სტატუსის მქონე. სამხედრო ტყვეები ემორჩილებიან დამტყვევებელი სახელმწიფოს წესებსა და კანონებს. მათ მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას მათ მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლო ან დისციპლინარული ზომები. სამხედრო ტყვეთა წამება ან მათდამი სხვა სახის სასტიკი მოპყრობა საერთაშორისო დანაშაულად ითვლება.

ჰუმანიტარული სამართლისათვის ყველა დროში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, პრობლემად რჩებოდა სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის საკითხები, რასაც მიეძღვნა IV კონვენცია. რადგანაც კონვენციამ ყველა დეტალი ვერ გადაწყვიტა, საჭირო გახდა დამატებითი ოქმის მიღება, რაც განხ-

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ., 2003 წ., გვ. 231.

ორციელდა 1977 წელს. კონვენციისა და დამატებითი ოქმის შესაბამისად სამოქალაქო პირად ითვლება ყველა ის, ვინც შეიარაღებული ძალების შეადგენლობაში არ შედის და საომარ მოქმდებებში მონაწილეობას არ იღებს. აკრძალულია სამოქალაქო პირთა კოლექტიური დასჯა, მოსახლეობის ტერორი, დაშინება, ძარცვა, მძევლად შეპყრობა, რეპრესალიების გამოყენება. დასაშვებად არის მიჩნეული სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოების ზონების შექმნა (იხ. უსაფრთხო ზონა, ღია ქალაქი, დემილიტარიზებული ზონები). კონვენცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უცხოელების, ქალებისა და ბავშვების დაცვის უზრუნველყოფის საკითხებს. აკრძალულია სამოქალაქო დანიშნულების ობიექტისათვის ზიანის მიყენება, აგრეთვე იმ ობიექტისათვის, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ და მათი მწყობრიდან გამოყვანა საფრთხეს შეუქმნის სამოქალაქო მოსახლეობას (მაგ. ელექტროსადგურის აფეთქება, წყალსაცავის დაზიანება და სხვა). ჟენევის კონვენციებით დადგენილი წესები სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ შეიარაღებული კონფლიქტების ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ამ კონფლიქტის ესა თუ ის მხარე არ აღიარებს საომარი მდგომარეობის არსებობას. აღნიშნული კონვენციების მუხლები გამოიყენება ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის ოკუპაციისას.

ყურადღებას იმსახურებს მეორე დამატებითი ოქმი, რომელიც ეხება არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვას (1977წ.). მისი მიღებით უფრო გაფართოვდა ჟენევის კონვენციების მოქმედების არეალი, რომელთა დებულებებიც შეეხო ასევე იმ საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებსაც, როდესაც ხალხები კოლონიური რეჟიმის წინააღდეგ თავიანთი ეროვნული თვითგამორკვევისათვის აწარმოებენ (მუხ. 1. პუნქ.4). მეორე დამატებითი ოქმი მოქმედებს აგრეთვე სახელმწიფოებში არსებული შიდა არეულობათა შემთხვევაში.[1]

რაც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარების ფორმებს, ესენია საშუალებები, რომლებსაც

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ., 2003 წ., გვ. 231.

სახელმწიფო იყენებს იმის აღიარების გამოსახატავად, რომ ხელშეკრულება სავალდებულოდ მიაჩნია. ამგვარი ფორმებია: საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერა, ხელშეკრულების შემადგენელი დოკუმენტის გაცვლა, ხელშეკრულების რატიფიკაცია, ხელშეკრულების მიღება ან შეერთება საერთაშორისო ხელშეკრულებასთან. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ საერთაშორისო ხელშეკრულების აღიარების სხვა ფორმებზეც.

პირველი მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელმაც მოახდინა კოდიფიკაცია და პროგრესული განვითარება საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, მანამდე საერთაშორისო ჩვეულებით სამართალზე დაფუძნებულ სფეროში, არის 1969 წლის ვენის კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ. კონვენცია განსაზღვრავს საერთაშორისო ხელშეკრულებების ცნებას, საერთაშორისო ხელშეკრულების დადებისა და ძალაში შესვლის, ხელშეკრულების შესრულების, გამოყენების და ახსნა-განმარტების წესებს, ხელშეკრულებაში შესწორებების შეტანასა და მისი შეცვლის წესებს, ხელშეკრულებათა ბათილად ცნობის, მათი მოქმედების შეწყვეტისა და შემცირების წესებს.[1]

3. საერთაშორისო ადათები (ჩვეულებები).

დარგის სპეციალისტთა აზრით, ჰუმანიტარული სამართლის წყაროთა შთამბეჭდავმა სიამ არ უნდა დაგვავიწყოს, რომ ომის მსხვერპლთა მფარველობა მხოლოდ ხელშეკრულებებით, ანუ წერილობითი ტექსტებით შემოიფარგლება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს სახელმწიფოთა შორის დადებული შეთანხმებები საერთაშორისო სამართლისა და ვალდებულებების ყველაზე მეტად მიღებული და გავრცელებული წყაროა, ისინი მაინც ვერ ცვლიან დაუწერელ კანონებს, ანუ ჩვეულებით სამართალს, რომელიც მნიშვნელოვან პრინციპებსა და ნორმებს მოიცავს. ჟენევის 1949 წლის კონვენციების დიდი ნაწილი ჩვეულებითი სამართლიდან მომდინარეობს.[2]

---

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი). თბ. 2003წ. გვ. 294.

[2] Thedor Meron „The Geneva Conventions as Customery Lawi 81 American Jovrnal of international Law (1987), pp. 348-370.

საერთაშორისო ადათი ძირითადად ვრცელდება იმ ურთიერთობებზე შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში, რომლებიც არ არის დარეგულირებელი კონვენციებით. მათი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი, მათი აღიარების საყოველთაობის წყალობით, სავალდებულოა იმ სახელმწიფოთათვის, რომლებიც ფორმალურად არ ითვლებიან კონვენციური ნორმების მონაწილეებად. მე-2 მუხლში, რომელიც საერთოა ჟენევის კონვენციებისათვის-ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ, მოცემულია დებულება, რომლის თანახმადაც, თუ კონფლიქტში ჩაბმული ერთ-ერთი სახელმწიფო არ ითვლება კონვენციის მონაწილედ, მასში ჩაბმული სხვა ქვეყნები მაინც რჩებიან მასთან დაკავშირებულნი. გარდა ამისა, ისინი კონვენციებით იქნებიან დაკავშირებულნი არამონაწილე სახელმწიფოსთან, თუ ეს უკანასკნელი იღებს და იცავს მათ დებულებებს. ასეთ შემთხვევაში ყველა საფუძველია იმის სავარაუდოდ, რომ კონვენციაში არამონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ და მიიღონ კონვენციის დებულებები როგორც ჩვეულებრივი ნორმები.

ამის დასამტკიცებლად, ჟენევის კონვენციის 158-ე მუხლი, ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ, ხაზს უსვამს იმას, რომ კონვენციის დენონსაციას ძალა ექნება მხოლოდ იმ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელიც დენონსაციას ახორციელებს. მას არავითარი გავლენა არ ექნება იმ ვალდებულებებზე, რომლებიც კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა აუცილებლად უნდა შეასრულონ საერთაშორისო სამართლის პრინციპების ძალით, რამდენადაც ისინი გამომდინარეობენ ცივილიზებულ ხალხებს შორის დამყარებული ადათებიდან, ადამიანურობის კანონებიდან და საზოგადოებრივი სინდისის კარნახიდან. როგორც ვხედავთ, ადათი რჩება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელოვან წყაროდ.

ლიტერატურული წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო სამართლის დოქტრინაში არ არსებობს ერთიანი მიდგომა შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში გამოყენებული საერთაშორისო სამართლის საგნის საკითხისადმი, მისი წყაროებისა და დასახელებებისადმი:

1) სწავლულთა ერთი ჯგუფი ამ სამართალს განიხილავს სიტყვის ფართო მნიშვნელობით, შეაქვს რა მის შინაარსში დებულებები ძალის გამოუყენებლობისა და ომის თავიდან აცილების შესახებ.აგრეთვე, დებულებები პასუხისმგებლობის შესახებ მათი დარღვევის შემთხვევაში;

2) სხვა სპეციალისტები თვლიან, რომ საერთაშორისო სამართლის დარგი მოწოდებულია მოაწესრიგოს ურთიერთობები ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით მშვიდობიანობის დროს და შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში.აგრეთვე, შეაქვთ დებულებები შეიარაღების ზრდის შეზღუდვის, აკრძალვისა და განიარაღების შესახებ;

3) ავტორთა ნაწილი იქითკენ იხრება, რომ საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების სისტემა, შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში მეომარ მხარეთა შორის მიმართული ურთიერთობების მოწესრიგებისკენაა მიმართული მფარველობის ქვეშ მყოფ პირთა დაცვის მიზნით და იგი ასევე ითვალისწინებს ომის წარმოების მეთოდისა და საშუალებების შეზღუდვას, რომელიც ითვლება საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ მიმართულებად სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით.

ზოგიერთი ავტორი ცნების – „ომის უფლება“ – აღსანიშნავად იყენებს მის ლათინურ დასახელებას – „jus in bello“, რომელმაც გამოყენება ჯერ კიდევ იმ უძველესი დროიდან ჰპოვა, როდესაც ომი განიხილებოდა როგორც საერთაშორისო დავების გადაჭრის კანონიერი საშუალება. ომის სამართალი, უფრო სწორად, ომში გამოყენებული სამართალი, მოწოდებული იყო გაეთავისუფლებინა მეომარი მხარეები ზედმეტი ტანჯვისა და უბედურებისაგან. ომის უფლება (jus ad bellum) იმ ხანებში ომის სამართლისაგან განსხვავდებოდა იმით, თუ რამდენად იყო აღიარებული ომის კანონიერება როგორც სახელმწიფოთა შორის დავების გადაჭრის საშუალება.

ჩნდება კითხვა, ამ ცნებათა როგორი ტრანსფორმაცია მოხდა დღევანდელობის შუქზე, როდესაც საერთაშორისო სამართალი კრძალავს ძალის გამოყენებას სადავო პრობლემათა გადასაწყვეტად, ხოლო მსოფლიო საზოგადოებრიობამ აგრესიული ომი საერთაშორისო დანაშაულად გამოაცხადა? რაც შეეხება ცნებებს – „ომის უფლება“, ან „შეიარაღებული

კონფლიქტების უფლება“, ისინი უკვე დისონანსად ჟღერენ იმ უფლებებისა და თავისუფლებების ფონზე, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ხალხების მიერ იქნა მოპოვებული და ასახული შიდასახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის წყაროებში. მკვლევართა აზრით, და რომელსაც ჩვენც ვეთანხმებით, უფრო მართებული იქნებოდა, მათთვის „ომის (შეიარაღებული კონფლიქტის) პერიოდში გამოყენებული სამართალი“ გვეწოდებინა. რაც შეეხება „jus ad bellum“-ს, ეს ცნება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საზოგადოდ მიღებულ პრინციპებსა და ნორმებს (კერძოდ, ძალის გამოუყენებლობის პრინციპს, აგრეთვე, გაეროს წესდებას, რომელიც შეიცავს მოწოდებას იმის შესახებ, რომ მომავალი თაობები გავათავისუფლოთ ომის უბედურებისაგან), ამიტომ არასწორი იქნებოდა ცნებაში – „ომის უფლება“, ჩართვა ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლებისა, რაც გაეროს წესდებით არის გათვალისწინებული. ამასთან, თავდაცვა გულისხმობს შეიარაღებული ბრძოლის მეთოდებსა და საშუალებებს, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან იმათგან, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია „ომის უფლების“ დროშის ქვეშ.

ცნება – „ომის კანონები და ადათები“, ისტორიულ ცნებად ითვლება და ძველი დროიდან გამოიყენება იმ ნორმათა ერთობლიობის აღსანიშნავად, რომლებიც გამოიყენებოდა შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში და რომელთაც ასახვა ჰპოვეს შიდასახელმწიფოებრივ (ნაციონალურ) სამართალში. თუმცა, თანამედროვე პირობებში, ის დოკუმენტები, რომლებიც სამართლის იმ დარგს განეკუთვნებიან, აბსოლუტურ უმრავლესობაში სახელშეკრულებოდ იქცნენ. ამ თვალსაზრისით, ცნება – „ომის კანონები და ადათები“, დაუპირისპირდა თანამედროვე წარმოდგენას წყაროების შესახებ, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებს შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში. სამართლის ამ დარგის ასეთი დასახელება სულ უფრო და უფრო კარგავს თავის აქტუალობას.

ამიტომ, საერთაშორისო სამართლის სფეროში მოღვაწე მკვლევარების აზრით, უფრო მართებული იქნებოდა, საერთაშორისო საჯარო სამართლის ამ მიმართულებისათვის გვე-

წოდებინა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, რადგანაც უკვე არსებობს ამის პრეცედენტი.[1]

ნათქვამის გათვალისწინებით შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი განსაზღვრება: საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი – ეს არის სისტემა საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპებისა და ნორმებისა, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში,საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს (მეომარ მხარეებს) შორის აწესრიგებენ ურთიერთობებს, რათა შეზღუდულ იქნას ომის წარმოების სასტიკი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება, დაიცვან მისი მსხვერპლი და დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი მათი დარღვევისათვის. თვით ფაქტი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის არსებობისა, იმას არ ნიშნავს, რომ ამით თითქოსდა კანონდება ომი, ე.ი. ეჭვს ქვეშ დგება ომის როგორც ასეთის აკრძალვის პრინციპი. ჟენევის კონვენციების დამატებითი ოქმის პრეამბულაში გადმოცემულია შესაბამისობა ძალის გამოყენების აკრძალვასა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს შორის და ნათლადაა განსაზღვრული, რომ „ყოველი სახელმწიფო ვალდებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, თავი შეიკავოს ძალის ან მისი გამოყენების მუქარისაგან, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისათვის შეუთავსებელი რაიმე სხვა სახით“. და „არაფერი ამ ოქმიდან ან ჟენევის კონვენციებიდან (1999წ. 12 აგვისტო) არ დაკანონდება ან სანქცირებული არ იქნება და აგრესიის ნებისმიერი აქტის ან ძალის ნებისმიერი სხვა გამოყენება შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასთან“.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წყაროების (ომის კანონები და ადათები, კონვენციები, ოქმები, ხელშეკრულებები, შეთანხმებები) ანალიზი საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს ძირითადი პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთაშორისო სამართლის ამ დარგის ნორმათა განსაზღვრულობასა და სისტემურობას. პრინციპი (principum) ლათი-

[1] პანს-პეტერ გასერი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, თბ. (შესავალი). 1999წ.

ნური ტერმინია და ნიშნავს სახელმძღვანელო იდეებს, რომლებიც ამ შემთხვევაში ჰუმანიტარული სამართლისა და მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის მის დანიშნულებას განსაზღვრავენ.[1] ეს პრინციპები, რომლებიც გათვალისწინებულია შეიარაღებული ბრძოლის მთელ სფეროზე, ან მის ნაწილზე და არა კონფლიქტის მონაწილეთა ქცევის კონკრეტულ ტიპურ ვარიანტზე, განსაზღვრავენ მიზანს, ნორმატიული რეგულირების მიმართულებას, მის შინაარსსა და ხასიათს. პრინციპების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ბოლომდე იქნას გაგებული და გამოყენებული ომის წარმოების კონკრეტული წესების აზრი და დანიშნულება.[2] ამასთან, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპები უნდა შეესაბამებოდეს ზოგადი საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, რომლებსაც შეიცავს გაეროს წესდება, დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, რომლებიც ეხება მეგობრულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობას სახელმწიფოთა შორის გაეროს 1970 წლის წესდების შესაბამისადდა 1975 წლის ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტს ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის შესახებ.

საერთაშორისო სამართლის საყოველთაო პრინციპები ითვლება ყველა იმ სხვა ნორმის კანონიერების კრიტერიუმად, რომლებსაც სახელმწიფოები შეიმუშავებენ საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში. როდესაც ვლაპარაკობთ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების პრიმატზე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარგობრივ პრინციპებთან შედარებით, აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ უკანასკნელები პირველიდან გამომდინარეობს და რომ ისინი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული არიან. საერთაშორისო სამართლის საყოველთაო პრინციპები, უწინარეს ყოვლისა, კრძალავენ: ძალის გამოყენებას ან ძალის მუქარას;

---

[1] გ. ლობჟანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, ქუთ. 2009წ. გვ. 208.

[2] იხ. ა.ი. პოლტორაკი, ლ.ი. საჟინსკი, შეიარაღებული კონფლიქტები და საერთაშორისო სამართალი. მ. 1976წ. გვ. 110 (რუს.ენაზე).

შიდა საქმეებში ჩარევას; სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას; ადამიანთა უფლებების ხელყოფას, საზღვრების ხელშეუხებლობას და სხვა.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სამართლებრივი რეგულირების საგნის თავისებურებების გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, შესაძლებელია გამოიყოს საერთაშორისო სამართლის ამ დარგის შემდეგი პრინციპები:

- შეიარაღებული კონფლიქტების ჰუმანიზაცია როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საყოველთაო და ფუძემდებლური პრინციპი;
- ომის მსხვერპლთა დაცვა;
- მეომარი მხარეების შეზღუდვა ომის წარმოების მეთოდებისა და საშუალებების თვალსაზრისით;
- სამოქალაქო ობიექტების დაცვა;
- გარემოს დაცვა;
- ნეიტრალურ სახელმწიფოთა ინტერესების დაცვა;
- სახელმწიფოების და ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა დარღვევისათვის.

შეიარაღებული კონფლიქტების ჰუმანიზაციის პრინციპზე საუბრისას ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა პრინციპებისაგან განსხვავებით ის გულისხმობს მეომარი სახელმწიფოების მიერ სხვადასხვა ნორმათა დაცვის ვალდებულებას, რომლებიც მიმართულია კაცთმოყვარეობის გამოვლენისაკენ ომის მსხვერპლთა მიმართ, ომის სისასტიკის შერბილების, მებრძოლების დაცვისაკენ. ამ პრინციპის თავისებურებად ითვლება აგრეთვე ის, რომ იგი უნივერსალურია, ე.ი. ვრცელდება შეიარაღებული ბრძოლის ყველა სფეროზე: გამოიყენება მაშინაც, როდესაც ლაპარაკია ომის წარმოების მეთოდებსა და საშუალებებზე, მის მსხვერპლთა დაცვის საკითხების რეგულირებაზე, აგრეთვე მშვიდობიანი ობიექტების, გარემოს დაცვაზე და ა.შ. 1868 წლის დეკლარაციის პრეამბულაში ფეთქებადი და ცეცხლგამჩენი ტყვიების გამოყენების აკრძალვის შესახებ აღნიშნულია, რომ „ომის მოთხრვნილებები უნდა შეესაბამებოდეს კაცთმოყვარეობის მოთხოვნილებათა პრინციპებს; „ცივილიზაციის წარმატებებს

შედეგად შესაძლებლობების მიხედვით უნდა მოჰყვეს ომის უბედურებათა შემცირება".1907 წლის კონვენციაში სახმელეთო ომის კანონების შესახებ, ნათქვამია, რომ ომის კანონებსა და ადათებში უნდა შეიტანონ „შეზღუდვები, რომლებიც, რამდენადაც კი შესაძლებელია, შეარბილებენ მათ სისასტიკეს".

ჰუმანიტარული ხასიათის დებულებების 1949 წლის ჟენევის ყველა კონვენციაში, 1977 წლის I და II დამატებით ოქმებში ასახულია მოთხოვნა სამხედრო ტყვეებთან ჰუმანური მოპყრობის აუცილებლობის შესახებ, ყოველი ბრძოლის შემდეგ მიიღონ „ყველა შესაძლო ღონისძიება იმისათვის, რომ მოძებნონ და აიყვანონ საზღვაო კატასტროფის შედეგად დაზარალებულები, დაჭრილები და ავადმყოფები, დაიცვან ისინი გაძარცვისა და ცუდი მოპყრობისაგან, აღმოუჩინონ აუცილებელი დახმარება". იქვე ნათქვამია, რომ აუცილებელია უსაფრთხო ზონების და ადგილების შექმნა, რათა „დაიცვან ომის მოქმედებისაგან დაჭრილები და ავადმყოფები, ინვალიდები, მოხუცები, 15 წლამდე ასაკის ბავშვები, ორსული ქალები და დედები 7 წლამდე ასაკის ბავშვებით."[1]

ამგვარად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების მთელი შინაარსი გაჟღენთილია კაცთმოყვარეობით, რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ შეიარაღებული კონფლიქტების მიმდინარეობის პროცესი ჰუმანიზაციისაკენ გამიზნულ დამოუკიდებელ პრინციპებზეა აგებული, რომლებიც კონკრეტული გამოვლინების განხილვას კი არ ისახავენ მიზნად, არამედ ითვალისწინებენ ჰუმანურობის იდეის ფორმალურ გამოხატვას, ასევე, მათ განუხრელ დაცვას საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნების პრაქტიკაში.

მკვლევართა უმრავლესობა ემხრობა იმ აზრს, რომ ჟენევის დასახელებულ კონვენციათა დებულება ეფუძნება ჰუმანურობის პრინციპის ზოგად გაგებას, რომელიც „ადგენს, კერძოდ, ძალადობის გამოყენების შეზღუდულ ზოგად საშუალებათა ხერხების გამოყენებას საომარი მოქმედებების დროს, რომელიც გამოხატავს მისწრაფებას ადამიანის ინტერესებისა და მისი ღირსების, გარემოს დაცვისაკენ, რაც ადამიანის გადარჩე-

[1]საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული). თბ.2006წ.გვ.182.

ნისათვისაა აუცილებელი. იგი მეომარ მხარეებს აკისრებს ვალდებულებას, რომ შეიარაღებული კონფლიქტის მსვლელობისას, იურიდიული თვალსაზრისით,გამოიყენონ საბრძოლო მოქმედებების წარმოების რაც შეიძლება შეზღუდული ზომები და საშუალებები".[1]

აღსანიშნავია, რომ 1899 წელს ჩატარდა მშვიდობის პირველი კონფერენცია, რომლის დელეგატებიც ვერ მივიდნენ ერთ აზრამდე იმ სამოქალაქო პირთა სტატუსთან დაკავშირებით, რომლებმაც ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად იარაღი აიღეს ხელში. დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ ასეთი პირები უნდა განიხილონ როგორც დამნაშავენი (ფრანტირირები), რომლებიც სიკვდილით დასჯას იმსახურებენ, სხვების, ძირითადად, მცირე სახელმწიფოების წარმომადგენელთა აზრით, მათ უნდა მოეპყრონ როგორც სრულუფლებიან კომბატანტებს. პასუხი მოძებნილ იქნა ფ. მარტენსის მიერ შეთავაზებულ ფორმულირებაში: სამართლის კონკრეტული ნორმის არარსებობის შემთხვევაშიც კი „სამოქალაქო პირები და კომბატანტები რჩებიან საერთაშორისო სამართლის დაცვისა და მოქმედების პრინციპების ქვეშ, რომლებიც დადგენილი ადათ-წესებიდან, ჰუმანურობის პრინციპებიდან და საზოგადოებრივი შეგნების მოთხოვნებიდან გამომდინარეობენ".[2]

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპების ჩამოყალიბება და განვითარება წარმოადგენს რთულ და ხანგრძლივ პროცესს. ყველა საფუძველი არსებობს იმისათვის, რათა ჩაითვალოს, რომ მომავალში, იქამდე, სანამ საბოლოოდ არ დამთავრდება ომები, ე.ი. სანამ არ ამოიწურება მათი, როგორც საერთაშორისო ცხოვრების უარყოფითი ფაქტორის როლი, პრინციპების სრულყოფა გაგრძელდება. ამჟამად აუცილებელია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის არსებული პრინციპების სისტემატიზაცია, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მის განვითარებაში.

---

[1] ი.პ. ბლიშჩენკო, ჩვეულებრივი იარაღი და საერთაშორისო სამართალი. მ. 1984წ. გვ. 91 (რუს.ენაზე).

[2] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი.მ.2009წ.გვ.18 (რუს. ენაზე).

§3 საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის თანაფარდობა

გარკვეული წლების წინ, სანამ საერთაშორისო სამართალი არ აღიარებდა თვითდაშლას ძირითად დარგებად, მანამდე რამდენიმე სამართლის მიმართულება ერთ სივრცეში იყო გაერთიანებული. ასე დაემართა ადამიანის უფლებათა სამართალსა და ჰუმანიტარულ სამართალს, ამ პრინციპით მიეუდექით ჩვენც თავის დროზე სახელმძღვანელოს გამოცემას სათაურით – „ადამიანის უფლებათა სამართალი,"[1]რადგანაც ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართალი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ურთიერთშემავსებელ მეცნიერულ დარგებს წარმოადგენდა, რომელთა კვლევის ფუნქცია იყო ადამიანის პიროვნების დაცვა, რომელსაც ახორციელებენ თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოები სხვადასხვა დროსა და გარემოებებში სხვადასხვა საშუალებებით.

ამჯერად საჭიროდ მიგვაჩნია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ეს ორი მეტად აქტუალური და საინტერესო საერთაშორისო სამართლის მიმართულება და სტუდენტ ახალგაზრდობას მივცეთ მეტი შესაძლებლობა გააცნობიერონ მათი მნიშვნელობა, მსგავსება და განსხვავება.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალიც და ადამინის უფლებათა საერთაშორისო სამართალიც მოწოდებულია დაიცვას ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ღირსება, თუმცა სხვადასხვა კუთხით. აქედან გამომდინარე, უცნაური არ არის, რომ მიუხედავად განსხვავებული ფორმულირებისა, ზოგიერთი ნორმის შინაარსი იდენტური თუ არა, ძალზე მსგავსია.[2]

ტრადიციულად ითვლებოდა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანთა უფლებების სამართალი გამიჯნული უნდა ყოფილიყო ერთმანეთისგან, რადგან განსხვავებული კვლევის ობიექტები და განსხვავებული ფესვები

---

[1] გ. ლობჟანიძე, ადამიანის უფლებათა სამართალი, თბ. 2005 წ. გვ. 274-347

[2] წჯსკ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საკონსულტაციო სამსახური.

ჰქონდათ, მაგრამ დროთა განმავლობაში, ეს ორი დარგი დაუახლოვდა ერთმანეთს იმის გამო, რომ ბევრი საერთო ელემენტი აღმოაჩნდათ. დღეს უკვე აღარ კამათობენ იმაზე, რომ შეიარაღებული კონფლიქტების გადაჭრისას ადამიანის უფლებების სამართალი დიდად ეხმარება და ავსებს ჰუმანიტარულ სამართალს.[1]

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ითვლება საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ დარგად, რომლის პრინციპები და ნორმები აწესრიგებენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს (მეომარ მხარეებს) შორის ურთიერთობებს ექსტრემალურ პირობებში-შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში იმ მიზნით, რომ მოხდეს ამ მხარეების შეზღუდვა ომის წარმოების მეთოდებისა და საშუალებების შერჩევასთან დაკავშირებით და იმ პირთა დასაცავად, ვინც მტრულად განწყობილი სახელმწიფოს (მხარის) ხელში აღმოჩნდა. სწორედ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ჩამოყალიბებას ჩაეყარა საფუძველი 1869 წლის კონვენციის მიღებით, ომის დროს დაჭრილთა და ავადმყოფთა დაცვის შესახებ.

ადამიანის უფლებები ასევე ითვლება საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ დარგად. იგი წარმოადგენს მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების ერთობლიობას და შეიცავს სტანდარტებს ადამიანის უფლებების სფეროში, რომლებიც, თავის მხრივ, ორიენტირებული არიან სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების, აგრეთვე, მის იურისდიქციაში და კონტროლქვეშ მყოფ სხვა პირთა შორის ურთიერთობების მოწესრიგებისაკენ. ისტორიულად, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის პრინციპი გაეროს წესდებაში პირველად შეტანილი იქნა 1945 წელს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ადამიანის უფლებათა სამართალი, როგორც საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი დარგი, მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვას სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ყოველი წევრის მიერ.

---

[1] International Review of the Red Cross, "Human Rights", Volume 90 Number 871 September 2008 (ICRC), p.501.

იგი არის ისეთი საერთაშორისო ნორმების ერთობლიობა, რომლის საფუძველზეც ინდივიდებს და ჯგუფებს უფლება აქვთ მოელოდნენ, ანდა მოითხოვონ მთავრობებისაგან გარკვეული სახის მოპყრობა ან პრივილეგიები.[1]

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების შემცველ სახელშეკრულებო წყაროებში არ მოიპოვება ისეთი დებულებები, რომლებიც ნებას მისცემდა მათ მონაწილეებს რაიმე სიტუაციაში გადაეხვიათ სახელმწიფოს მიერ მიღებული ვალდებულებებისაგან. მაგალითად, I დამატებით ოქმში დაფიქსირებულია, რომ „მხარეები ვალდებულებას იღებენ, დაიცვან ოქმი და უზრუნველყონ მისი შესრულება ნებისმიერ გარემოებაში (მუხ. I).

ამისგან განსხვავებით, იმ დოკუმენტებში, რომლებშიც ასახულია ნორმები ადამიანთა უფლებების შესახებ, მონაწილე სახელმწიფოებსშეუძლიათ გარკვეულ გარემოებებში (მაგალითად, სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობის პირობებში) დაადგინონ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ცალკეული შეზღუდვები, მაგრამ მხოლოდ იმ ზომით, რომელსაც შექმნილი მდგომარეობის სიმწვავე მოითხოვს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც არ დაიშვება ადამიანისათვის მისი განუყოფელი უფლებების შემცირება ან ჩამორთმევა, რომლებიც გათვალისწინებულია, მაგალითად, საერთაშორისო პაქტის მე-4 მუხლით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966 წ.), და 1950 წლის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ (სიცოცხლის უფლება, წამება, სასტიკი მოპყრობა, მონობა, მონებით ვაჭრობა) და ა.შ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ადამიანის უფლებათა იდეის მნიშვნელოვანი განვითარების ფაქტთან გვაქვს საქმე. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი საკმაოდ განზრახულად და გაცნობიერებულად „ერევა" სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში. არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტების დროს მოქმედ ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებათა სამაროალს შორის არსებული განსხვავება არ ცვლის იმ

---

[1] წჯსკ-ის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საკონსულტაციო სამსახური.

ფაქტს, რომ ორივე მათგანი ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება: ნებისმიერ ვითარებაში უზრუნველყონ ადამიანის ღირსების დაცვა. შესაბამისად, გაეროს მიერ 1948 წელს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის გამოცხადებიდან სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ სახელმწიფოთა შიდა კონფლიქტებთან დაკავშირებული ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა მიღება ისტორიული განვითარების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა.[1]

როგორც ვხედავთ, მნიშვნელოვანი განსხვავებაა ადამიანის უფლებების სფეროში მიღებულ სტანდარტებსა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს შორის. პირველი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ნებისმიერ დროს, ე.ი. მშვიდობიან პერიოდში და შეიარაღებული კონფლიქტების დროს და იგი ვრცელდება ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები მთელი მოსახლეობის მიმართ, ხოლო მეორე გამოიყენება შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში მოწინააღმდეგე მხარის პირთა მიმართ მეომარი მხარეების საბრძოლო მოქმედებების ტერიტორიის ფარგლებში, თუმცა, მშვიდობიან დროსაც სახელმწიფოები ვალდებულნი არიან გაავრცელონ ცოდნა სჰს-ის შესახებ შეიარაღებულ ძალებში და სხვა ძალოვან სტრუქტურებში, მათ შორის, ჟენევის კონვენციების და დამატებითი ოქმების, სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლა, რომლებიც სჰს-ს მიეკუთვნებიან. ისინი უნდა ჩართონ სამხედრო მომზადების პროგრამებში და უნდა მოხდეს სამოქალაქო მოსახლეობის მიერ მათი შესწავლის წახალისება (I დამატებითი ოქმის 83-ე მუხლი), უნდა გამოირიცხოს სამხედრო ობიექტების განთავსება მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში ან მათ მახლობლად და გათვალისწინებულ იქნას ყველა შესაძლო ღონისძიება სამოქალაქო მოსახლეობის დასაცავად (I დამატებითი ოქმის 58-ე მუხლი), უნდა ჩატარდეს მუშაობა კვალიფიცირებული სამედიცინო პერსონალის მოსამზადებლად (დამატებითი I ოქმის მე-6, 82-ე მუხლები) და სხვა.

---

[1]ჰანს-პიტერ გასერი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (საფუძვლები), თბ. 1999წ. გვ. 143.

ამასთან, სჰს-ის ნორმები და სტანდარტები ადამიანის უფლებათა დარგში ურთიერთდაკავშირებულია, ერთმანეთს ავსებენ და ბევრი საერთო აქვთ. იქიდან გამომდინარე, რომ ერთიც და მეორეც მიმართულია პიროვნების უფლებათა დაცვისაკენ, იმდენად რთულია განსხვავების გამოკვეთა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებათა სამართალს შორის, რომ უფრო იოლი იქნებოდა მათი მსგავსი ნიშნების მოძიება და შემდეგ კი მათი პრიორიტეტების განსხვავებაზე მითითება, ვიდრე სამართლის ამ დარგის ზუსტი ფორმულირების დადგენა,[1] რაც ზოგიერთ მკვლევარს საფუძველს აძლევს გააერთიანოს ისინი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ დარგში - საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში, თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც მაშინ, როცა სახელმწიფოებს არა აქვთ სურვილი ხელი შეუწყონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარებას და განსაკუთრებით კი მისი იმპლემენტაციის მექანიზმებს, ჩნდება კითხვა, თუ რამდენად განვითარდა სამართლის მომიჯნავე დარგები და რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინონ მათ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალზე. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, ვინაიდან დღეისათვის ადამიანთა უფლებები საერთაშორისო სამართლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, როგორც საერთო კეთილდღეობის გარანტი და იმ ფასეულობებს განამტკიცებს, რომელთა უგულებელყოფაც არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია, ომის დროსაც კი. მაშინ, როცა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა სამართალი ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც წარმოშობით, ისე იმ სიტუაციებით, რომლებშიც ისინი გამოიყენება. სამართლის ეს ორი დარგი იზიარებს ინდივიდების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ობიექტს ყველა გარემოებაში.

რაც შეეხება წყაროებს, მათ შორის, მსგავსებასთან ერთად არის განსხვავებაც: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ძირითად წყაროებს წარმოადგენს სამოქალაქო და

[1] Aristidis Calogeropoulos- Staratis, Droit Humanitare et droits dei home: la proteetion dela presonne en periode de conflict orme Geneva, 1980.

პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (1966), გენოციდის ამკრძალავი კონვენცია (1948), რასობრივი დისკრიმინაციის ამკრძალავი კონვენცია (1979), წამების ამკრძალავი კონვენცია (1984), ბავშვთა უფლებების კონვენცია (1989), ხოლო, ძირითადად, რეგიონულ ინსტრუმენტებს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია (1950), ადამიანის უფლებათა და ვალდებულებათა ამერიკული დეკლარაცია (1948) და კონვენცია (1969), აფრიკის ადამიანის უფლებათა ქარტია (1981), რომელთა საფუძველს და საყრდენს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948).

თანამედროვე და უახლესი ხელშეკრულებები შეიცავს ორივე დარგის ნორმებს. ამის ნათელი მაგალითია ბავშვთა უფლებების კონვენცია, მისი დამატებითი ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ, სისხლის სამართლის საერთაშორისო რომის სტატუტი, რომლის შესახებაც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

§4. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სუბიექტები

სანამ უშუალოდ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სუბიექტებზე გვექნება მსჯელობა, ზოგადად უნდა განვსაზღვროთ საერთაშორისო სამართლის სუბიექტების ცნება. საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მის უმთავრეს სუბიექტებს სახელმწიფოები წარმოადგენენ, რაც მას განასხვავებს სხვა დარგების სუბიექტებისაგან, რადგანაც სახელმწიფო წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობის ისეთ მონაწილეს, რომელიც არა მარტო ფლობს საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს, არამედ ურთიერთობის სხვა მონაწილეებთან ერთად თვითონ ქმნის ამ ნორმებს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას.[1]

---

[1] ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2010წ. გვ.57.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი აგრესიულ ომს კანონგარეშედ აცხადებს, თავისთავად ნათელი გახდება სხვა სახელმწიფოების მოვალეობა აღნიშნულ სიტუაციაში.[1]

ვისკენ არის მიმართული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძალა? ვინ ითვლება საერთაშორისო სამართლის ამ დარგის სუბიექტებად ანუ უფლებებისა და მოვალეობების მატარებლად? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში სამართლის ძირითად სუბიექტებად სახელმწიფოები გვევლინებიან. ომი, შეიარაღებული კონფლიქტები, სოციალური მოვლენაა, ისინი წარმოადგენენ პოლიტიკის ძალადობრივი მეთოდებით გაგრძელებას; მათში, როგორც წესი, საპირისპირო პოლუსებზე დგანან სახელმწიფოები, რომლებიც ერთმანეთთან შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებენ. სწორედ სახელმწიფოები აყალიბებენ იმ პრინციპებსა და ნორმებს, რომლებიც შეადგენენ ომის წარმოების წესებს და პასუხს აგებენ მათი დაცვისათვის.

სახმელეთო ომის კანონებისა და წესების შესახებ არსებული 1907 წლის კონვენციის პირველივე მუხლში დაფიქსირებულია, რომ „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთ სახმელეთო ჯარებს მისცემენ მითითებას, რომელიც შეესაბამება ამ კონვენციის დამატების დებულებას სახმელეთო ომის კანონებისა და წესების დაცვის შესახებ“ დაჭრილებისა და ავადმყოფების ხვედრის გაუმჯობესების შესახებ. ასევე, ჟენევის კონვენციის I მუხლში ნათქვამია, რომ „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები იღებენ ვალდებულებას, ნებისმიერ გარემოებაში დაიცვან ოქმი და უზრუნველყონ მისი შესრულება“.[2]

სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ, გამოვიდნენ სჰს-ის სპეციალური სუბიექტის როლში, როგორც მფარველი სახელმწიფო, რომელზეც დაკისრებულია მეომარი მხარეების ინტერესების დაცვისა და კონტროლის განხორციელება მათ მიერ ომის წარმოების წესების დაცვაზე.

---

[1] იქვე, გვ.58.

[2] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (საკანონმდებლო აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ.75.

ჟენევის1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების I დამატებითი ოქმის მიხედვით, „მფარველი სახელმწიფო" ნიშნავს ნეიტრალურ სახელმწიფოს ან სხვა სახელმწიფოს, რომელიც არ მონაწილეობს კონფლიქტში, მოწინააღმდეგის თანხმობით დანიშნულია კონფლიქტის მონაწილე მხარის მიერ და თანახმაა შეასრულოს კონვენციითა და ოქმით მფარველი სახელმწიფოს ფუნქციები.[1]

ამაზეა მითითება ჟენევის კონვენციაშიც. მე-8 მუხლში აღნიშნულია, რომ „ამ კონვენციის გამოყენება ხორციელდება სახელმწიფოს ხელშეწყობითა და კონტროლით. მფარველ სახელმწიფოს ეკისრება კონფლიქტის მონაწილე მხარეების ინტერესთა დაცვა".[2]ამასთან, მფარველი სახელმწიფოების წარმომადგენლები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოვიდნენ თავიანთი მისიის ფარგლებიდან, რომელიც განსაზღვრულია ამ კონვენციით. ისინი ვალდებულნი არიან, გაითვალისწინონ იმ სახელმწიფოს უსაფრთხოების აუცილებელი საჭიროებები, ვის მიმართაც თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ.

კანონმდებლობა ითვალისწინებს მფარველი სახელმწიფოს ნაცვლად მოქმედ ორგანიზაციას, რომელსაც „სუბსიტუტი" ეწოდება.

სჰს-ის დამოუკიდებელ სუბიექტად ითვლებიან აგრეთვე ერები და ხალხები, რომლებიც მეომარ მხარეებად იქცნენ ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის შეიარაღებული ბრძოლის დროს. ეს გამომდინარეობს ზოგადი საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან, რომლებმაც შემდგომი განვითარება ჰპოვა ჟენევის კონვენციაში ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ, რომლის შესახებაც ერთხელ უკვე ითქვა. ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციაში ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ აღნიშნულია, რომ თუ კონფლიქტში მყოფ სახელმწიფოთაგან ერთი არ ითვლება ამ კონვენციის მონაწილედ, მისი მონაწილე სახელმწიფოები მაინც რჩებიან მასთან ურთიერთდამოკიდებულებაში. გარდა ამისა, ისინი კონვენციით

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (საკანონმდებლო აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ.75.

[2] იქვე, გვ.45.

იქნებიან დაკავშირებული ზემოთ მითითებულ სახელმწიფოსთან, თუ ეს უკანასკნელი იღებს და იყენებს მის დებულებას. ეს დებულება სრულად ეხება იმ მეომარ ერებსა და ხალხებს, რომლებიც ყოველთვის არ არიან სჰს-ის ხელშეკრულების პირველსაწყისი მონაწილეები, მაგრამ შემდგომში, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის შეიარაღებული ბრძოლის პერიოდში იყენებენ მას. ამით ისინი საკუთარ თავზე იღებენ გარკვეულ ვალდებულებებს და იძენენ შესაბამის უფლებებს, რამდენადაც ხდებიან შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში გამოყენებული სამართლის ნორმების სრულუფლებიან სუბიექტებად.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მართლზომიერება უეჭველია. ეს დასტურდება კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ არსებული დეკლარაციით, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 1960 წლის დეკემბერში. დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ ხალხების დამორჩილება უცხო სახელმწიფოს მიერ ბატონობისა და ექსპლუატაციის მიზნით,ითვლება ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევად, გაეროს წესდების უგულებელყოფად და ხელს უშლის თანამშრომლობის განვითარებას და მსოფლიოში მშვიდობის დამყარებას. ამის გათვალისწინებით, ასამბლეამ კიდევ ერთხელ აღიარა იმ ბრძოლის კანონიერება, რომელსაც აწარმოებენ კოლონიური და უცხოეთის ბატონობის ქვეშ მყოფი ხალხები, რომლებიც საკუთარი უფლებების დაცვის, თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის იყენებენ ყველა აუცილებელ საშუალებას (მათ შორის შეიარაღებას) და მოუწოდა მათთვის მორალური და მატერიალური მხარდაჭერისაკენ. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მეომარი მხარის სამართალსუბიექტურობას ფლობენ აგრეთვე, შიდა შეიარაღებული კონფლიქტების (სამოქალაქო ომების)მონაწილეები, რომლებიც ბრძოლას აწარმოებენ თავიანთი ძირეული ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ინტერესების რეალიზაციისათვის. ხალხები, რომლებიც საკუთარ უფლებებსა და თავისუფლებებს იცავენ, იარაღით ხელში გამოდიან გენოციდისა და რასიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ. ამაზეა მითითებული ჟენევის 1949 წლის კონვენციის მე-3 მუხლში: „ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მიმდი-

ნარე არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის დროს, კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარე ვალდებულია დაიცვას, სულ მცირე, შემდეგი დებულებანი".[1] ამავე მუხლში მოცემულია იმ ჰუმანური ნორმების ჩამონათვალი, რომელიც უნდა გამოიყენონ შიდა შეიარაღებული კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში. შემდგომში, 1977 წლის II დამატებითმა ოქმმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ჟენევის კონვენციის ეს დებულება.

სჰს-ის სუბიექტებად ასევე ითვლება საერთაშორისო ორგანიზაციები. ლაპარაკია, უწინარეს ყოვლისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესახებ, რომელიც შექმნის მომენტიდან თავის ძალისხმევას მიმართავს საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ. მშვიდობის დარღვევისა და აგრესიის შემთხვევაში გაეროს შეუძლია უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში. გაეროს წესდების 42-ე მუხლის შესაბამისად, უშიშროების საბჭო უფლებამოსილია საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ძალებით განახორციელოს ისეთი ქმედებები, რომლებიც აუცილებელი აღმოჩნდება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენისათვის. ასეთი ქმედებები შეიძლება მოიცავდნენ დემონსტრაციებს, ბლოკადას ან ორგანიზაციის წევრების საჰაერო, საზღვაო ან სახმელეთო ძალების სხვა ოპერაციებს.[2]

ომის შემდგომ პერიოდში გაერო ფართოდ იყენებს ოპერაციებს მშვიდობის შესანარჩუნებლად, სამხედრო პერსონალის ჩაბმით ვითარების სტაბილიზაციისათვის შეიარაღებული კონფლიქტების რაიონებში. 1948 წლიდან 120 ათას სამხედრო მოსამსახურეზე და სამოქალაქო პოლიციის თანამშრომელზე მეტი, აგრეთვე, ათასობით სხვა სამოქალაქო მოსამსახურე მონაწილეობდა გაეროს 60-ზე მეტ ოპერაციაში მშვიდობის შესანარჩუნებლად.

აღსანიშნავია, რომ გაეროს წევრ სახელმწიფოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა გაეროს წესდების შესაბამისად, მშვიდ-

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ.43.

[2] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, 42-ე მუხლი, გვ.7.

ობის შესანარჩუნებლად ჩატარებული ოპერაციების ჩათვლით, უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებსა და ნორმებს. გარდა ამისა, კონფლიქტის მონაწილე მხარეები უნდა ცდილობდნენ, სპეციალური შეთანხმებების გზით აამოქმედონ კონვენციის ყველა სხვა დებულება ან მათი ნაწილი, რადგანაც ამ დებულებათა გამოყენება არ ხელყოფს კონფლიქტის მონაწილე მხარეების იურიდიულ სტატუსს.

თავი II

„საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის“ გნოსეოლოგიური ფესვები

სასწავლო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, თითქოს თავდაპირველად საზოგადოებაში ომს არ ჰქონია არავითარი წესი. ამ თეზას შეიძლება დავეთანხმოთ და შეიძლება არა, რადგანაც ადამიანი ანუ „ჰომო საპიენსი“ ყოველთვის უფრთხილდებოდა სიცოცხლეს, ვინაიდან მან თავიდანვე იწამა, რომ მისი დაკარგვით ყველაფერი ქრებოდა. ამ გზით კი ადამიანი სხვისი სიცოცხლის დასახსნელად საკუთარს სწირავდა, რითაც ზოგადად სიცოცხლეს იცავდა. ასე მოიქცა 300 სპარტელი და ასევე მოიქცა 200 დიდგორელი ქართველთა გადასარჩენად.მათ შორის ერთი განსხვავებაა: სპარტელები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იდგნენ დაცვაში და „იდგნენ სასიკვდილოდ“. დიდგორელები კი თვითონ წავიდნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, „მიდიოდნენ სიკვდილზე“. აქ თავდადების და გმირობის ორი სხვადასხვა სახეა.[1]თუმცა – ერთი მიზანი.ასე მოიქცა დემეტრე მეფე (თავდადებული) ქვეყნის გადასარჩენად და „ჩემი ქვეყანა მტერს არ ავაოხრებინოო“ – წავიდა და წამებულის გვირგვინით შეიმოსა სახელოვანი თავი ქვეყნისა და ქრისტეს სახელით.[2]მათსავით ბევრს არ შესწევს ძალა თავისი სიცოცხლე დათმოს სხვის გადასარჩენად.ამით იმის თქმა არ გვსურს, რომ ყველას მოეთხოვება გმირობა, მაგრამ მათ გარეშე ისტორია რა იქნებოდა? ჩვენი აზრით, ჰუმანიტარული სამართლის ნორმები მშვილდისართან ერთად გაჩნდა კაცობრიობის ისტორიაში, თუმცა ამ დარგის ნორმების კოდიფიკაციას ძალიან დიდი დრო მოანდომა ადამიანმა.

ჰუმანიტარული სამართლის გნოსეოლოგიური ფესვების გააზრებისათვის რამდენიმე ტრადიციული ქვეყნის „ომის კა-

---

[1] ირ. ჯორჯაძე, ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან, თბ. 1990წ, გვ. 103.

[2] ი. ჭავჭავაძე. თხზ. ტ. VI, გვ.187-188 (იგივე გააკეთა ლუარსაბ მეფემ, მღვდელმა თევდორემ).

ნონების“ განხილვის საჭიროება გაჩნდა და ამის საუკეთესო მაგალითი ძველი ჩინეთია.

§1. სუნ ძის სამხედრო დოქტრინა

ძველი ჩინეთის მოღვაწეთა მიერ დატოვებულ მრავალრიცხოვან თეორიულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი სამხედრო ხელოვნების ამსახველ ნაშრომებს უჭირავს. ჩინეთის სამხედრო მეცნიერება მრავალ თხზულებას ითვლიდა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია სუნ ძის ტრაქტატი სამხედრო ხელოვნების შესახებ, რომელიც სპეციალისტთა აზრით, ღრმა ფილოსოფიური ნააზრევია. მან საუკუნეებს გაუძლო და დღესაც ისეთივე ინტერესით იკითხება, როგორც ძვ.წ.ა. VI–III ს.ს. ჩინეთში. მისი მთარგმნელისა და კომენტატორის ნ. კონრადის აზრით, სუნ ძის როლი მარტო ჩინეთით არ შემოიფარგლებოდა.ზუსტად იმავე როლს ასრულებდა სუნ ძის ტრაქტატი ძველ კორეასა და ფეოდალურ იაპონიაში. იქაც ეს იყო ავტორიტეტი იმ საკითხებში, რომლებიც ომს შეეხებოდა[1].

თანამედროვე მსოფლიომ სუნ ძი და მისი ტრაქტატი სახელმძღვანელო დოქტრინად აქცია.იგი აზიისა და სხვა ქვეყნების უმაღლეს სამხედრო საგანმანათლებლო სისტემაში აუცილებელი ელემენტი გახდა. ამ ქვეყნებს შორის შეიძლება დასახელდეს აშ.შ., რომელიც სასწავლო პროცესში იყენებს „სუნ ძის სამხედრო დოქტრინას.“[2]

---

[1]ნ. კონრადი, სუნ ძი, თბ. 2000 წ. გვ. 5-12

[2]ამ ფაქტის რეალური მხილველი თქვენს მონამორჩილთან ერთადის ჯგუფი აღმოჩნდა, რომელიც 2001 წლის 8-21 სექტემბერს საქართველოში ამერიკის საელჩოს დახმარებით ნიუ მექსიკის შტატში, ქ. სოკოროში საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემებთან დაკავშირებულ პროგრამაში მონაწილეობდა, პროგრამის წამყვანი აქტიურად იყენებდა ნ. კონრადის წიგნის ინგლისურ ვარიანტს. როდესაც დელეგაციის წევრები წიგნის შეძენით დავინტერესდით, პროცედურა ძალზე პრობლემური აღმოჩნდა – წიგნის გამოწერას 6 თვე მაინც დასჭირდებოდა, თუ კი საერთოდ მოიძებნებოდა სარეალიზაციო ეგზემპლარი. სამშობლოში დაბრუნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გენერალ-ლეიტენანტმა ვ. გურგენიძემ წიგნი მაჩუქა და

ვინ იყო სუნ ძი?მის შესახებ ერთადერთი წყარო არსებობს, რომელიც ძალზე მწირ ინფორმაციას იძლევა. ეს არის სიმა ციანის წიგნი „ისტორიული ჩანაწერები“, სადაც გადმოცემულია, რომ სუნ ძის სახელად ერქვა იუ და რომ იგი დაიბადა ცის სამეფოში.ერთ დროს იგი მსახურობდა უს სამეფოს მთავარსარდლად, შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და მალე გარდაიცვალა.

სიმა ციანის გადმოცემის თანახმად, სუნ ძი მხედართმთავარია მეფე ხოლუისთან. აქ იგი წარმატებით მოღვაწეობს.სიმ ციანი გვამცნობს, რომ სუნ ძიმ ჩუს სამეფო გაანადგურა, რომელიც უს დასავლეთით მდებარეობდა. მან დაიპყრო მისი დედაქალაქი ინი. ჩრდილოეთით ორი სხვა სამეფო დაამარცხა: ცი და წინი. სწორედ მის გამარჯვებას უნდა უმადლოდეს უს სამეფო თავის ძლიერებას და სხვა სამეფოთა შორის მდგომარეობის განმტკიცებას. ტრაქტატის შექმნის პერიოდთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული. საბოლოოდ ჩამოყალიბდა აზრი, რომ ძეგლის შექმნის დრო ძვ. წ. ა. VI – V საუკუნეებია.[1].

სუნ ძიმ თქვა: ომი – ეს არის დიდი საქმე სახელმწიფოსათვის, ეს არის სიცოცხლისა და სიკვდილის, ეს არის გზა არსებობისა და გზა დაღუპვის. ეს უნდა გავაცნობიეროთ. ასე იწყებს სუნ ძი წინასწარ გათვლებს, რომელიც 5 ცნებისაგან შედგება (მას გაიაზრებენ 7 გათვლით და განსაზღვრავენ მდგომარეობას. ესენია: გზა – ეს არის, როცა მიაღწევენ იმას, რომ ხალხისა და მმართველის აზრები ერთმანეთს ემთხვევა, როცა ხალხი მზადაა მასთან ერთად მოკვდეს, მასთან ერთად იცოცხლოს, როცა მას არც არაფრის ეშინია და არც არაფერს უყურებს ეჭვის თვალით.

ცა – ეს არის ნათელი და ბნელი, სიცივე და სიცხე; ეს არის დროის კანონები.

ეს ნ. კონრადის სუნ ძის ქართული თარგმანი იყო. როგორ ვინატრე ყველაფერი ეს ეხილა ჩვენს ამერიკელ მეგობარს, რომელმაც წიგნის უნიკალურობის გამო ფაქტობრივად მისი შეძენის იმედი გადაგვიწურა და ახლა ამ წიგნის მოკლე მიმოხილვას გთავაზობთ, რომელიც უნდა დაეხმაროს სტუდენტებს პრობლემებში გარკვევასა და მათ მეთოდურ დაძლევაში.

[1]სუნ ძი. გვ. 30.

მიწა – ეს არის შორეული და ახლობელი, სწორი და უსწორო, ფართო და ვიწრო, სიკვდილი და სიცოცხლე.

სარდალი – ეს არის გონი (ჭკუა), მიუკერძოებლობა (სამართლიანობა), ჰუმანურობა, ვაჟკაცობა, სიმტკიცე.

კანონი – ეს არის სამხედრო წყობა, სარდლობა და უზრუნველყოფა. არ არსებობს სარდალი, რომელსაც არ გაეგოს ამ ხუთი ცნების შესახებ, მაგრამ მათგან იმარჯვებს ის, ვინც მათ შეითვისებს.ის კი, ვინც მას არ შეითვისებს, ვერ გაიმარჯვებს.

სუნ ძი თვლის, რომ ამ ვითარებიდან გამომდინარე, ომს განსაზღვრავენ 7 ცნებით:

რომელი ხელმწიფე ფლობს ამ გზას? რომელ სარდალს ჰყავს ტალანტები? ვინ გამოიყენა ცა და დედამიწა? ვის უსრულებენ წესებს და ბრძანებებს? ვის ჰყავს უფრო ძლიერი ჯარი? ვისი ოფიცრები და ჯარისკაცები არიან უკეთესად გაწვრთვნისთვის განსწავლული? ვისთან ანჯილდოებენ და სჯიან სამართლიანად?

სუნ ძის დასკვნით, ყოველივე ამით გავიგებთ, თუ ვინ გაიმარჯვებს და ვინ დამარცხდება.[1]

სუნ ძის აზრით, თუ სარდალი გამოიყენებს იმ წესებს, რომლებიც მან ჩამოაყალიბა, უსათუოდ გაიმარჯვებს, მაგრამ მისთვის მთავარია არა მარტო გამოყენება, არამედ მათი შეთვისება, რის გარეშეც გამარჯვება არ მიიღწევა, მითუმეტეს, თუ იგი შეითვისებს მათ სარგებლობის მიზნით, ეს წესები შექმნიან პოტენციალს, რომელიც მას ყველგან დაეხმარება.

პოტენცია კი, მისი აზრით, არის ტაქტიკის გამოყენების უნარი სარგებლობის მიზნით.

საინტერესოა სუნ ძის აზრი ომის შესახებ.იგი მას მოტყუების გზად მიაჩნია. ამიტომ, დასაშვებად თვლის მოწინააღმდეგის მიმართ მოჩვენებითობის პრინციპის გამოყენებას. ეს ითვალისწინებს შორს და ახლოს ყოფნას, ინფორმაციით ცუდ ხასიათზე მის დაყენებას, საკუთარი „უსაფრთხოების მოჩვენებით“ თავზე დიდი წარმოდგენის შექმნას, უმართაობას, მოქანცვას, გათიშვას და მოულოდნელ თავდასხმას მაშინ, როცა მოწინააღმდეგე ამას არ ითვალისწინებს. მისი აზრით, ყოველივე

---

[1]ნ. კონრადი, სუნ ძი, თბ. 2000 წ. გვ. 35-36.

ეს უზრუნველყოფს მეომრის გამარჯვებას, წინასწარი რჩევის მიცემის გამორიცხვით.

საინტერესოა მისი დასკვნები სხვა თვალსაზრისითაც. ასე მაგ., ვინც ჯერ კიდევ ბრძოლის დასაწყისში იმარჯვებს გათვლებით, მას დიდი შანსი აქვს.ვინც ჯერ კიდევ ბრძოლის დაწყებამდე ვერ იმარჯვებს გათვლებით, მას ბედი ნაკლებად უღიმის.ვისაც ბედი უღიმის – იმარჯვებს.ვისაც ბედი ცოტათი უღიმის – ვერ იმარჯვებს.მით უმეტეს, ვერ იმარჯვებს ის, ვისაც შანსი საერთოდ არა აქვს. ამიტომ ერთ-ერთი მათგანის დანახვისთანავე მისთვის უკვე ნათელია, ვინ გაიმარჯვებს და ვინ დამარცხდება.

ტრაქტატის II თავი ეძღვნება ომის წარმოებას. სუნ ძი უპირატესობას ანიჭებს სწრაფ და მოკლევადიან ომის წარმოების თეორიულ საფუძვლებს და შემოაქვს ომის წარმოების 14 წესი. III თავი აღწერს მისეული სტრატეგიული თავდასხმის გეგმას, რომელიც 9 პუნქტისაგან შედგება, ხოლო IV თავში აღწერილია ფორმები, რომელიც 10 პუნქტს მოიცავს. V თავი ძლევამოსილების 10 ვარიანტს გვთავაზობს.რაც შეეხება VI თავს, მასში აღწერილია სისავსისა და სიცარიელის თეორია, სადაც განხილულია 15 ვარიანტი. VII თავი აღწერს ომის წარმოების წესებს ანუ „ბრძოლა ომში“, რომელიც 17 წესს მოიცავს. VIII თავში საინტერესოდაა აღწერილი ომის წარმოების წესის „ცხრა ცვლილება“. IX თავში აღწერილია ლაშქრობის დროს გასათვალისწინებელი 21 პოზიცია. X თავში მოცემულია ბრძოლის ადგილის მნიშვნელობა და ვარაუდი, აღწერილია რეალურად არსებული ადგილის 6 ვარიანტი, სადაც 15 პრინციპია გათვალისწინებული. XI თავი ითვალისწინებს ცხრა ადგილს და 31 ვარიანტს. XII თავში აღწერილია საცეცხლე თავდასხმის 5 გასათვალისწინებელი ვარიანტი და ბოლო XIII თავში აღწერილია ჯაშუშების გამოყენების მეთოდიკა ლაშქრობის დროს. მისი აზრით, არსებობს ჯაშუშთა ხუთი სახეობა: ადგილობრივი, შიდა, გადმობირებული, ასევე სიკვდილისა და სიცოცხლის ჯაშუშები. მისი აზრით, ჯაშუშთა ხუთივე სახეობა მუშაობს და მათი გზების ცოდნა შეუძლებელია. ამას გამოუცნობი საიდუმლო“ ჰქვია და მას სახელმწიფო განძად მიიჩნევს, რომელსაც

ხელმწიფე უნდა მართავდეს, რადგანაც არმიას ჯაშუშზე ახლობელი არავინ ჰყავს.

წიგნის წინასიტყვაობის ავტორი გენერალ-ლეიტენანტი გ. ნიკოლეიშვილი თვლის, რომ „ტრაქტატის“ პოპულარობას ისიც უწყობს ხელს, რომ ავტორი, ომის წარმოების შესახებ საუბრის დროს, მშვიდობის პოზიციებზე დგას. ამ პოზიციებიდან გვიქადაგებს იგი მთელ თავის სამხედრო თეორიას. ამავე დროს, ნაშრომი დატვირთულია უდიდესი ფილოსოფიური, მშვიდობისმოყვარე მოსაზრებებით.მიუხედავად „ტრაქტატის“ მეომარი სულისა, იგი მაინც მშვიდობას ქადაგებს, სადაც ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებიც ჩანს. იგი არ ითვალისწინებს სისასტიკეს და მიანიშნებს ომის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმებზე.

სუნ ძი ამტკიცებდა, რომ სამხედრო ტყვეებს კარგად უნდა მოეპყრონ.მისი აზრით, ომის დროს საუკეთესო პოლიტიკა არის ის, რომ სახელმწიფომ დაპყრობა ზიანის მიყენების გარეშე შეძლოს.მოწინააღმდეგის იარაღის ხელში ჩაგდება სჯობს მის განადგურებას.და რომ, ასი გამარჯვების მოპოვება ას ომში არ არის საომარი ოსტატობის მწვერვალი და ა.შ.

საერთოდ, თანამედროვე უსაფრთხოების პოლიტიკაში წამყვანი ქმედებები პროფილაქტიკური, თუ შეკავებითი ხასიათისაა (დიპლომატია, ეკონომიკური ბერკეტები, ძალის დემონსტრირება). ამით არის ჩინური „ტრაქტატი“ აქტუალური და პასუხობს დღევანდელობას. ჩინელი სამხედრო სტრატეგი თავისი სამხედრო დოქტრინით თუ მშვიდობისმოყვარული პოზიციებით თითქოსდა საფუძველს უყრის დღეისათვის ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ფენომენს, როგორიცაა სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები, მათი დემოკრატიზაცია და გამჭვირვალობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ძვ.წ.ა. VI-III სს-ში დაწყებული ამ ცნების ჩანასახი რიგ ქვეყნებში დღესაც ჩამოუყალიბებელია. სამწუხაროდ, ამ ქვეყანათა რიცხვს საქართველოც მიეკუთვნება[1].

მოკლედ განხილული სუნ ძის სამხედრო ტრაქტატის შინაარსიდან ნათელი წარმოდგენა იქმნება, თუ როგორ შეუძლია სიბრძნეს, დააკავშიროს ერთმანეთთან დროსა და სივრცეს უდიდესად დაშორებული თაობები და თავისი გონიერული

---

[1]ნ. კონრადი, სუნ ძი, თბ. 2000 წ. გვ. 7

კონცეფციებით კაცობრიობას დაეხმაროს მათ წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში. ასეთად ჩაითვლება სუნ ძის „ტრაქტატი“ ანუ „ომის წარმოების დოქტრინა“.

§2 რომის სამხედრო მანქანა და ჰუმანიტარული სამართალი

სანამ უშუალოდ რომაელთა სამხედრო დოქტრინაზე დავიწყებდეთ მსჯელობას, არ შეიძლება, თუნდაც ჩამონათვალის სახით არ აღვნიშნოთ ბერძენი ისტორიკოსები: ჰომეროსი, ჰეროდოტე, დიონკასიოსი, ქსენოფონტე, თუკიდიდი.რომაელი ისტორიკოსები: არიანე, ლიბიუსი, პლუტარქე, ციცერონი, ასევე, პოლიდიუსი, კიოხლი, დიოდორე, სტრაბონი, მერინგი, გელოხი, აპიანე და სხვები, რომელთა ნაშრომებში დიდი ადგილი უკავია საომარი ხელოვნების საკითხებს.ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰანს დედბრუკმა თავისი მრავალტომეულით, რომლის სახელწოდებაცაა „სამხედრო ხელოვნების ისტორია – პოლიტიკური ისტორიის ჩარჩოებში“, სადაც შეკრებილ იქნა ევროპის, მცირე აზიისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ისტორიკოსების ყველა ნაშრომი. ისინი მან მოათავსა ანალიზის სახით, რითაც მრავალი ისტორიკოსის შეცდომა გამოასწორა (თუნდაც ძალთა რაოდენობის აღწერის დროს). სამხედრო თეორიისა და ომის ფილოსოფიის თვალსაზრისით, არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ კლაუზევიცის ღვაწლიც ნაშრომით „ომის შესახებ“[1] და ა.შ.

სწორედ რომი იყო ის სახელმწიფო, რომელმაც კარგად გამოიყენა იმდროინდელი ხალხების საბრძოლო გამოცდილებანი და შექმნა ეფექტური სამხედრო მანქანა.მაგრამ ისინიც მარცხდებოდნენ, როდესაც თავისზე ძლიერ ძალას გადააწყდებოდნენ დიდების გზაზე. ასე მაგალითად, გალების ტომთა ბელადს – ბრენს გაუცია ბრძანება: „უბედურება დამარცხებულ რომაელებს“ (390წ. ჩ.წ.ა), რაც ნიშნავდა არა მათ ფიზიკურ გა-

[1] ნ. კონრადი, სუნ ძი, თბ. 2001. გვ. 5

ნადგურებას, არამედ „დანდობას", რაც იმით გამოხატა, რომ სასწორის ერთ მხარეზე დადო თავისი ხმალი, მეორეზე კი მოითხოვა მისი წონა ოქროს გადახდა. ამით მან დიდსულოვნება გამოიჩინა დამარცხებული რომაელი ლეგიონების მიმართ, რაც ჰუმანიზმის გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ძველი რომის სახელმწიფო, რამდენადაც თავიდანვე სამხედრო ძალას ეყრდნობოდა, თავად იყო დაინტერესებული, შეექმნა შესაბამისი სამართლის ნორმები, რადგანაც ადრინდელი წესები ამ სფეროში ნამდვილად არ გამოდგებოდა. შეიძლება ასეთი აზრის შემოტანაც: სახელმწიფოს მიერ საჯარო სამართალში მიღებული პირველი ნორმები სწორედ სამხედრო სამართალთან იქნებოდა დაკავშირებული. გარდა ამისა, სახელმწიფო სტრუქტურები ხომ თითქმის ნახევრად სამხედრო დანიშნულებისა იყო და მათი „სამართლიანობით შემოსვა" საჭირო იყო თავისუფალ რომაელ მოქალაქეთა თვალში. ე.ი. აქ საუბარია სახელმწიფოს მიმართებაზე სამხედრო კანონებთან. მაგალითად, რომის წინააღმდეგ მებრძოლი არმიის სარდლის მოწამვლის გზით თავიდან მოცილება კანონით იყო აკრძალული, თუმცა, ამ მეთოდს რომი მაინც იყენებდა. ჰომპინიუსის აზრით, არ შეიძლებოდა მოწინააღმდეგე მხარის პარლამენტიორთა მიმართ რაიმე სახის ძალადობის გამოყენება, მტრისადმი მიცემული სიტყვის გატეხვა, მითუმეტეს, ფიცის დარღვევა. ფიცს ამ ხალხში უდიდესი ძალა ჰქონდა.ვერაფერი ისე ვერ აიძულებდა მას კანონთა დაცვას, როგორც ფიცი. ამ ხალხმა მრავალი კანონი შეიმუშავა ამის თაობაზე და მრავალი ისეთი რამ ქმნა ფიცის არგასატეხად, რასაც არასოდეს არ იქმოდა არც დიდებისათვის და არც სამშობლოსათვის,[1] –წერს შ.ლ. მონტესკიე.

სამხედრო სამართლის ნორმების შემუშავებაში აქტიურ როლს ასრულებდნენ სწავლული იურისტები.ამიტომ ისინი გულწრფელად ცდილობდნენ, რომის სამხედრო სამართალი სამართლიანი ყოფილიყო. თავისი მოსაზრებები ნათლად აქვს ჩამოყალიბებული ციცერონს, რომელიც ერთმანეთისაგან განარჩევდა სამართლიან და უსამართლო ომებს.რომაელი ისტორი-

[1]იხ. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994 წ. გვ. 148.

კოსები: ლიბიუსი, პლუტარქე, პოლიბიუსი და სხვები, უამრავ ცნობას გვაწვდიან არა მარტო საბრძოლო ხერხებისა და მხედართმთავართა ნიჭის შესახებ, არამედ იმ დროის ტექნიკური აღჭურვილობისა და ინჟინრული აზრის შესახებაც. ამიტომ, ძველ რომში ომებთან დაკავშირებით არა მარტო სამართლის ნორმები, არამედ საინტერესო კონცეფციებიც ჩამოყალიბდა. ასე მაგალითად: ბიზანტიელ მხედართმთავარს – ველისარიუსს მიაჩნდა, რომ „ყველაზე სრული და საინტერესო გამარჯვება მდგომარეობს იმაში, რომ ყოველგვარი დანაკარგის გარეშე, უარი თქვა საკუთარ მიზნებზე“.

ციცერონი ტრაქტატში „ვალდებულებათა შესახებ“, ყურადღებას ამახვილებს იმ პრიორიტეტებზე, რომლებიც უნდა გაეთვალისწინებინა რომის ხელისუფლებას რომის სახელმწიფოს აგრესიული პოლიტიკის გამართლების მიზნით.ციცერონი იმასაც აღნიშნავს, რომ სახელმწიფო არ უნდა იყოს სამართლიანობის მონა, რომ საჭიროების შემთხვევაში ის არ უნდა მოერიდოს უსამართლო მოქმედებასაც.

„ამრიგად, ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის დაპყრობა და სხვა ხალხების დამონება, ციცერონს სავსებით ნორმალურ მოვლენად მიაჩნია, თუმცა იგი წინააღმდეგია ბარბაროსული ომებისა, როცა ნადგურდება ქალაქები, მშვიდობიანი მოსახლეობა, ტაძრები და ა.შ. ამგვარად, ასეთი ომები მას ღმერთების შეურაცხყოფად მიაჩნდა. თუკი შესაძლებელია წინააღმდეგობანი სახელმწიფოთა შორის, როგორც წესი, ისინი მშვიდობიანი გზით უნდა გადაწყდეს: „არსებობს დავის გადაწყვეტის ორი საშუალება. ერთი-მოლაპარაკების გზით, მეორე-ძალით. ამასთან ერთად, პირველი დამახასიათებელია ადამიანებისათვის, მეორე – ველური მხეცებისათვის. მეორე საშუალებას უნდა მივმართოთ მაშინ, როცა პირველის გამოყენება შეუძლებელია“.[1]ომის მიზანია მშვიდობის დამყარება.

ციცერონი ერთმანეთისაგან ასხვავებს სამართლიან და უსამართლო ომებს. სამართლიანი ომების ცნებას იგი განსაზღვრავს შრომებში: „სახელმწიფოს შესახებ“ და „ვალდებულებათა შესახებ“. მისი მტკიცებით, „სამართლიანი შეიძლება იყოს მხოლოდ ომი, რომელსაც აწარმოებენ მოთხოვნათა

[1] Цицерон.Об обязанностях, 1.36

წარდგენის შემდეგ, ანდა, როცა ომი წინასწარ გამოუცხადეს და აცნობეს ერთმანეთს.[1] არცერთი ომი არ ითვლება სამართლიანად მისი წინასწარ გამოცხადებისა და შეტყობინების გარეშე და ამასთან ერთად, თუ იგი დაწყებული არ არის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ შეუსრულებელი მოთხოვნების გამო".[2]

რაც შეეხება უსამართლო ომებს, ასეთად უნდა ჩაითვალოს „ომები, რომლებიც უსაფუძვლოდ იწყება, რადგან, თუ არ არსებობს საფუძველი შურისძიებისა, ანდა მტრის თავდასხმის მოგერიების აუცილებლობისა, მაშინ შეუძლებელია სამართლიანი ომის წარმოება".

„ვალდებული ხარ, ომის დაწყების შემთხვევაში, გქონდეს სამართლიანი მიზანი" – (ომის საბაბი).[3]

- საომარ ოპერაციებში ჩაბმა შეიძლება მაშინ, როცა აუცილებლად გამოაცხადებ საომარ მდგომარეობას;
- საომარ ოპერაციებში არ უნდა ჩაიდინო კანონსაწინააღმდეგო ქმედებები (მაგ. არ უნდა დაარღვიო მტრისთვის მიცემული პირობა);
- ომის დამთავრების შემდეგ, დამარცხებულ მოწინააღმდეგეს არ უნდა წაართვა სიცოცხლე, თუ იგი ომის დროს არ იყო სასტიკი.
- რომის სამხედრო სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ნორმებს, რომლებიც აწესრიგებდნენ დამარცხებულთან ურთიერთობებს.[4] მაგალითად, კანონის თანახმად, ქალაქი, რომელსაც რომაელები დასაპყრობად მიადგებოდნენ და თავისი ნებით ჩაბარდებოდა, აღარ ექვემდებარებოდა დარბევას;
- რომაული სამხედრო სამართლით, თუკი მოწინააღმდეგე გადავიდოდა პარტიზანულ თავდასხმებზე, მათ მოქმედებას უტოლებდნენ ყაჩაღურ თავდასხმებს და მათი დევნა ხდებოდა სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

---

[1] Цицерон. О государстве, III, 35

[2] იქვე.

[3] ე. მეტრეველი, გ. დავითაშვილი, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, თბ. 1994 წ. გვ. 48.

[4] იხ. Цицерон, Об обязанностях-кн. 2XIV,48.

ციცერონის აზრით, დაპირისპირებულ მხარეთა შორის არსებობს დავების გადაწყვეტის ორი საშუალება, რაზედაც უკვე ითქვა. ციცერონის ამ მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი ომის წინააღმდეგია, მაგრამ არ გამორიცხავს რომაელებში დამკვიდრებულ აზრს, რომელსაც იურისტი ულპიანეც უსვამს ხაზს – „ძალას უნდა დაუპირისპირო ძალა“.

იგივე ციცერონი ამბობს: „ომის დროს კანონები დუმს“. ამ და სხვა კითხვათა ამოხსნას ეცადა „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის“ ავტორი ჰანს-პეტერ გასერი, რომელიც ასკვნის, რომ ომი ძალადობის უხეში და პრიმიტიული გამოვლინებაა. როდესაც სახელმწიფოებს არ ძალუმთ, ან არ სურთ უთანხმოებისა და დავის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტა, მაშინ იარაღს მიმართავენ. ტანჯვა და მძიმე მატერიალური ზარალი ომის უცილობელი შედეგია. იგი თავისი არსით ბოროტებაა,[1] რა დროსა და ეპოქაშიც არ უნდა წარმოებდეს ის, მისი უარყოფითი და საშინელი შედეგებით. იგი სახელმწიფოებს აჯალდებულებს, არ დაუშვან ომების შესაძლებლობა, რადგან იგი უმართავი და უკონტროლო შეიძლება გახდეს, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას დედამიწას. ამიტომაც, თანამედროვე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კატეგორიულად კრძალავს ომის დაწყებას საერთოდ, ან წინასწარი გამოცხადების გარეშე, რომელსაც სამხედრო მოქმედების დაწყების შესახებ მოტივირებული განცხადების ან ულტიმატუმის სახე უნდა ჰქონდეს. აგრესორების მიერ ომის გამოუცხადებლად დაწყება ამძიმებს მათ დანაშაულს. სახელმწიფოს მიერ ომის გამოცხადება დაიშვება მხოლოდ, როგორც აგრესიის საპასუხო აქტი. ამ შემთხვევაში არ ვმსჯელობთ მის იურიდიულ შედეგებზე. ასე რომ, თანამედროვე ჰუმანიტარული სამართლის ნიშნები მოიძებნება ჯერ კიდევ ძველი რომის სამხედრო სამართალში.

გვსურს, ერთი ვარაუდიც გამოვთქვათ: საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში ვხვდებით „სამხედრო მოქმედების თეატრის“ კონცეფციას, რაც გულისხმობს იმას, რომ „სამხედრო მოქმედებები მხარეთა შორის შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ მათი ტერიტორიის ფარგლებში“. ბუნებრივია, იმ სახ-

---

[1] იხ. ჰ.ჰ. გასერი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (შესავალი), თბ. 1999წ. გვ. 11

ელმწიფოების ტერიტორია, რომლებიც ომში არ მონაწილეობენ, ხელშეუხებელია მეომარი სახელმწიფოებისათვის. ძველმა რომაელებმა ისეთი ტერიტორიებიც განსაზღვრეს, სადაც ლეგიონებს შესვლა და ყოფნა ეკრძალებოდათ. ასევე, სამხედრო ხელოვნება სწორედ თეატრალურ სანახაობამდე აიყვანეს და გასაკვირიც არ არის, რომ ამ კონცეფციის სათავე სწორედ ძველი რომის სამხედრო სამართალში ვეძებოთ.

სამხედრო დანაშაულის განსაზღვრეს რომის სამართალში ვხვდებით დიგესტების 49-ე წიგნის მე-16 ტიტულში. რომაელ იურისტებს სამხედრო დანაშაულად მიაჩნდათ „ყველაფერი, რაც არღვევს საერთო წესრიგის მოთხოვნებს. ისეთებს როგორიცაა: დანაშაულებრივი სიმხდალე, უღირსობა“. სამხედრო დანაშაულის სისტემაში განსხვავდებოდა: ა) ქმედებები, რომლებიც წარმოადგენდა სისხლისსამართლებრივ დანაშაულს, თუ მას ჩაიდენდა სამხედრო მოსამსახურე; ბ) უშუალო სამხედრო დანაშაული, რომელსაც ჩაიდენდა მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო მოსამსახურე, როგორც დანაშაულის სპეციალური სუბიექტი; გ) ჩადენილი დანაშაული, რომელიც მიმართული იყო სამხედრო დისციპლინის წინააღმდეგ არა სამხედრო მოსამსახურის მიერ (მაგ. შვილის არ გაშვება სამხედრო სამსახურში მშობლის მიერ).

სამხედრო დანაშაულის სახეებად ითვლებოდა: 1) სამხედრო სამსახურში უკანონო მოწყობა; 2) სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება; 3) შუამდგომლობა სამხედრო სამსახურისათვის თავის ასარიდებლად; 4) თვითნებური წასვლა; 5) დეზერტირობა; 6) ღალატი და მტრის მხარეზე გადასვლა; 7) საქციელი, რომელიც უტოლდება მტრის მხარეზე გადასვლას; 8) დაუმორჩილებლობისაკენ სამხედროების წაქეზება; 9) ზემდგომი უფროსის ბრძანების შეუსრულებლობა და დაუმორჩილებლობის სხვა გამოვლენა; 10) თანამებრძოლისათვის სხეულის დაზიანების მიყენება; 11) ბრძოლის ველიდან გაქცევა.

შესაბამისად, გათვალისწინებული იყო აკრძალვები და სასჯელები:

1. სამხედრო სამსახურში შესვლის უფლება არ გააჩნდათ მონებს, შინამოსამსახურე პირებს, კოლონებს, სისხლის სამართლის დამნაშავეებს, გაურკვეველი წარმომავლობის მქონე

პირებს. პირები, რომლებიც ტყვეობაში იმყოფებოდნენ. პირები, რომლებიც მოსამსახურის რანგში ემალებოდნენ სასამართლოს.

2. დასჯილთა სპეციალურ სამსახურში ჩართვა.

3. ემუქრებოდათ გაძევება და ქონების კონფისკაცია.

4. გათანაბრებული იყო მაწანწალობასთან და ხდებოდა მათი ნაწილებში დაბრუნება.

5. გაიგივებული იყო ნაწილიდან სამუდამო გაქცევასთან ომის პერიოდში და განმეორებითი გაქცევა ისჯებოდა სიკვდილით. დეზერტირობას უთანაბრდებოდა მეომრის მიერ მისი აღჭურვილობის დაკარგვის შემთხვევა.

6. უთანაბრდებოდა მტრის სტატუსს, დაკავების შემთხვევაში ელოდებოდა წამება და სიკვდილით დასჯა. იმ მეთოდების გამოყენებით, რაც მტერთან მოქცევისათვის იყო დაშვებული.

7. ასეთი საქციელის ჩადენად ჩაითვლებოდა საყარაულო სამსახურის შეუსრულებლობა, ძილი საგუშაგოზე, ამ მიზეზით ტყვედ ჩავარდნა.

8. ამ ბრალდების კვალიფიკაციის საფუძველი იყო მოწოდება სამსახურის შეუსრულებლობაზე, ამბოხებაზე, ცენტურიონის მოთხოვნის შეუსრულებლობა და ა.შ. ასეთი ქმედებები ისჯებოდა სიკვდილით.

9. აქსიომად ითვლებოდა ბრძანების შეუსრულებლობა და თვითნებობა, თუნდაც ასეთი ქმედება გამარჯვებით დამთავრებულიყო. ასე მაგ: ცნობილმა რომაელმა ტიტმანდიუსმა ძვ.წ.ა. 340 წელს სიკვდილით დასაჯა საკუთარი შვილი.მისი დანაშაული იყო საბრძოლო რიგის დატოვება და მტრის ერთერთ ხელმძღვანელთან შებმა. დიქტატორმა კურსორმა სიკვდილით დასაჯა ფაბიუს რულა, ცხენოსანთა მეთაური, რომელმაც არ შეასრულა მისი ბრძანება და თვითნებურად ჩაერთო მტერთან ბრძოლაში და გაიმარჯვა. თანამდებობით ის მეორე პირი იყო დიქტატორის შემდეგ.

10. სამხედრო საიდუმლოების გაცემა გათანაბრებული იყო ღალატთან და ისჯებოდა სიკვდილით.

11. ბრძოლის ველიდან გაქცეულებს სჯიდნენ მწყობრის წინ. ნებისმიერი გაქცევა კვალიფიცირდებოდა როგორც პირველი გაქცევა, რამაც დანარჩენების ბრძოლისუნარიანობა დააქვეითა. თუ პირმა გადალახა ბრძოლის პირველი ხაზი, ასევე

სარეზერვო ხაზი და მთლიანად არ დაუტოვებია ბრძოლის ველი, უწესებდნენ სხეულებრივ სასჯელს.

არმიის სარდალს ჯარისკაცისა და ოფიცრის სიკვდილით დასჯის უფლება ჰქონდა. განსაკუთრებულ შემთხვევაში სამხედრო დისციპლინის დარღვევისათვის გამოიყენებოდა „დეციმაციის“ პრინციპი, სჯიდნენ ყოველ მეათე ჯარისკაცს დამრღვევის დანაყოფიდან,[1] რაც თავისთავად, „დისციპლინის“ განმტკიცებას ემსახურებოდა, რათა სხვის გამო თვითონაც არ დასჯილიყვნენ. და ბოლოს, რომაული ხელოვნების თეორიულ საყრდენს წარმოადგენდა სპეციალურად დაწერილი ტრაქტატები, რომელთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რომაელი მოაზროვნის, იოანე ლავრენტიუს ლილიელის თხზულება „მაგისტრების შესახებ“: „ვ. მაგისტრატიბუს ოპული ღომანი“, რომელიც მან 559 წელს დაამთავრა. მას ისტორიკოსები პროკოფი კესარიელის „საიდუმლო ისტორიას“ ადარებენ. ტრაქტატს ადმინისტრაციულ-სამხედრო მნიშვნელობა გააჩნდა.

ბიზანტიური არმიისათვის ფასდაუდებელი იყო VI-VII საუკუნეებში შექმნილი ტრაქტატი სამხედრო ხელოვნების შესახებ, „სტრატეგიკონის“ სახელწოდებით, რომლის შემქმნელი არის ფსევდონიუს მავრიკიოსი, რომლის შესახებაც ბევრი არაფერია ცნობილი. მის ნაშრომში მრავალი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული, რომლითაც ბიზანტიელი სტრატეგოსები ხელმძღვანელობდნენ. ამ ნაშრომის ღირსებას წარმოადგენს ის, რომ შედარებითი მეთოდის გამოყენებით არის განხილული სპარსელების, ავარების, თურქების, ფრანკების, ლანგობარდების და სხვა ბარბაროს ხალხთა ბრძოლის მეთოდები. ეს, მათი ანალიზის ფონზე ბიზანტიური არმიისათვის იძლევა სტრატეგიის შემუშავების ძირითად პოსტულატებს, რაც ბარბაროსებთან ომის შემთხვევაში გამარჯვების გარანტი უნდა გამხდარიყო, ასევე, იძლევა რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა იქნას შესწავლილი ყველაზე საშიში მტრის სამხედრო პოტენციალის დონე.

ნაშრომის გარკვეული ნაწილი ეძღვნება ბიზანტიური არმიის ფორმირებას, სწავლებასა და შეიარაღების საკითხებს.

---

[1] იხ. З.М. Черниловский, Всеобщая история государства и права М. 2002г. Стр. 86-87

ავტორს მხედველობიდან არ გამორჩენია სამხედრო თვალსაზრისით ციხე-სიმაგრეთა დაცვის საშუალებები და მხედართმთავართა სამოქმედო გეგმები, უკან დახევისა და შეტევაზე გადასვლის ტაქტიკა. სპეციალისტები თვლიან, რომ ფსევდონიუს მავრიკიოსის „სტრატეგიკონი“ ერთგვარი „სამხედრო კოდექსია“, რომლის ასახვა რომაული და ბიზანტიური არმიის ისტორიულ გამოცდილებას ეყრდნობა და დროსთან მიმართებაში, ახალი სამხედრო ხელოვნების დამკვიდრებას და იმასაც, თუ როგორი ეფექტურობით გამოიყენებდნენ შემდგომში ამ ტრაქტატით გათვალისწინებულ დოქტრინებს. ეს პრობლემის მეორე მხარეა, რაზედაც საბოლოო შედეგები მიგვანიშნებს.

§3. ჰუმანიტარული სამართალი და საქართველო

ქართველი საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ შორეული წარსულიდან არის ცნობილი მრავალი ნაშრომი სამხედრო ხელოვნების შესახებ. ცნობილმა მემატიანეებმა საქმის დიდი ცოდნით არა მარტო ბრძოლები, ხერხები და მხედართმთავართა ნიჭი გადმოგვცეს, არამედ მოგვაწოდეს ცნობებიც იმ დროის ტექნიკური აღჭურვილობისა და ინჟინრული აზრის შესახებ.

ქართველური ტომები ძველთაგანვე დაეუფლნენ შრომისა და ბრძოლის იარაღების დამზადებას. ამ პროცესის დაჩქარებას ხელს უწყობდა საქართველოს მაშინდელ ტერიტორიაზე შექმნილი ბუნებრივი პირობები (წიაღისეული სიმდიდრეები). ადამიანმა ისწავლა ლითონის – ჯერ სპილენძის, ბრინჯაოს და ბოლოს, რკინის დამუშავება. ცხოვრებაში ლითონის იარაღების დამკვიდრებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა შრომის ნაყოფიერება. პირადი საკუთრების პირველი საგანი სწორედ იარაღი გახდა. იარაღს ძველ ქართულში ჭურჭელი ერქვა. ეს სიტყვა დაედო შემდგომში საფუძვლად ტერმინებს საჭურჭლე (განძეულის შექმნას) და მოგვიანებით მეჭურჭლეთუხუცესის სახელოც გაჩნდა.[1]

---

[1] გ. ლობჟანიძე, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ. 2001 წ. გვ. 24-25

დიდი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი აღწერს, თუ როგორ დაიპყრო პომპეუსმა (65 წელს ჩვენს ერამდე) მითრიდატე VI ევპატორის ქვეყანა და მისი გავლენის ქვეშ მოქცეული ხალხები, მათ შორის კოლხეთი, სადაც თავისი კაცი, ვინმე არისტარხი დასვა მმართველად. ამას ადასტურებენ ის ბერძნულ-წარწერიანი ფულის მონეტები, რომელიც მას მოუჭრია. ამ საკითხს ხაზი უკვე გავუსვით. შემდგომში კოლხეთი ბოსფორსა და პონტოსთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება იბერიას, მისი დამოკიდებულება რომისადმი მოიხსენიება წყაროებში, როგორც „მეგობრობა“, თუმცა, მკვლევარები თვლიდნენ, რომ იგი „მაინც ერთგვარი იძულებითი ხასიათის ურთიერთობას გულისხმობდა, რადგან რომაელთა „მეგობრები“ ხშირად აჯანყებას აწყობდნენ თავიანთი მაღალი მეგობრის წინააღმდეგ“.

აპიანეს ცნობით, რომისა და იბერიის „მეგობრობა“ „სიმაქიაში“, ე.ი. სამხედრო კავშირში გამოიხატებოდა. იბერიის ეს სამხედრო კავშირი რომის აღმოსავლეთ სანაპიროს სამხედრო ინტერესებს ემსახურებოდა.

აკად. ს. ჯანაშიას აზრით, „რომისაგან დამოუკიდებლობა გამოხატავს იბერიისათვის „სიმაქიაში“ „იძულებით სამხედრო კავშირში, ხოლო კოლხეთისათვის განსაზღვრული ფორმის ვასალობაში“ ყოფნას. აღნიშნულმა პროცესებმა დიდი გავლენა მოახდინა მაშინდელი საქართველოს „ერის“ შემდგომ შინაგან დიფერენციაციაში, რაც ნიშნავდა „მეომრებსა“ და „მიწის მოქმედთა“ შორის გამყოფი ხაზის გაელებას, რომელიც ემყარებოდა „ეკონომიკურ ნიადაგს“, ანუ ქონებრივ ცენზს, როგორც ეს რომაელებში დამკვიდრდა. სტრაბონის ცნობით, იბერიის ლაშქარი, რომელიც მხოლოდ ომის შემთხვევაში იკრიბებოდა, შეადგენდა 60000 ჰოპლიტსა და 22000 ცხენოსანს. თავდაპირველად, ეს იყო მთელი „ერი“, ე.ი. მესამე გენეში მოქცეული გვაროვნული საზოგადოების ნაშთი[1], მაგრამ როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, შეიარაღება „ერის“ საკუთარ ხარჯზე ხდებოდა (მეფის ხარჯზე მხოლოდ მისი „მონა-სპა“

[1]იხ. ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზმის გზაზე, თბ. 1937 წ. გვ. 36

იარაღდებოდა). საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შედეგად, შეიარაღების გაძვირებასთან დაკავშირებით ხდებოდა მებრძოლთა დიფერენციაციაც. სოციალურ დიფერენციაციას გულისხმობს ჯარის ორგანიზაცია. მაღალი წრის წარმომადგენლებს გარეგნული ნიშნებითაც განსხვავებული აღჭურვილობა ჰქონდათ. მემატიანის ცნობით, როდესაც ქსნის ერისთავობა მიიღო როსტომ ბიბილურმა, ასევე მიართვეს საჭურველი და ცხენი თოროსანი, დროშა და შუბიო.[1] რკინის იარაღის შემოღებასთან ერთად ძნელდებოდა სრული შემოსვა (იგულისხმება „ჯაჭვური" მუზარადი და ჯაჭვის პერანგი). ს. ჯანაშია თვლის, რომ მეომრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა ცხენის დაცვას ლითონისაგან გაკეთებული განსაკუთრებული სამოსით.

ს. ჯანაშიას გამოთქმული აქვს ერთი მეტად საყურადღებო მოსაზრება.. იგი თვლის, რომ იარაღი ყველაზე ადრე იქცევა კერძო საკუთრების, მტკიცე მემკვიდრეობის (მამიდან შვილზე) საგანი.[2] მისი მოსაზრება განმტკიცებულია შემდეგი პერიოდის ფეოდალური სამართლის ძეგლებშიც.

ასე მაგ. ბექა-აღბუღას კანონებით, ქალის დაქვრივების შემთხვევაში მზითევი ქალს ან მის მშობელს ეკუთვნოდა, ხოლო აბჯარი უთუოდ უნდა დარჩენოდა რომელიმე ვაჟს. თუ რომელს, ამას მამა ინდივიდუალურად წყვეტდა.

სტრაბონის ცნობებში კარგად სჩანს იბერიელთა შეიარაღება. ისინი ომობენ ოროლებითა და მშვილდ-ისრებით და შეჭურვილნი არიან ჯავშნითა და ფარით, აგრეთვე, ნადირის ტყავის მუზარადით. ცხენოსან ჯართან ერთად ნახსენებია კიდევ ექვსი ათასი შეჯავშნული ცხენიო. ასეთ შეიარაღებას იბერიელების გარდა იყენებდნენ ალბანები და სომხები.

ასევე, საყურადღებო ცნობები მოიპოვება შეჯავშნული ცხენის შესახებ ძველ ქართულ მწერლობაშიც. ვახტანგ გორგასლის მემატიანე აღწერს, რომ ერთ-ერთ ბრძოლაში მეფე „აღჯდა ტაიჭსა, შეჭურვილსა ჯავშნითა და აღიღო ფარი მისი ვიგირის ტყავისა, რომელსაც ვერა ჰკვეთდა მახვილი.[3]

---

[1] იხ. ქრონიკები. II 4

[2] იხ. ს. ჯანაშია. დას. ნაშრომი, გვ. 58

[3] ჯუანშერიმ,რ, 137

შეჯავშნული ცხენი მოიხსენიებოდა ქართულში, როგორც „თოროსანი ცხენი“. ოსეთში სალაშქროდ მიმავალ გორგასალს ახლდა, ცხენთოროსანი და ჯაჭვ-ჩაბალახიანნი წინათ-კერძო (ე.ი. წინა მხარეს) და მათს უკან ქვეითნი და ქვეითთა უკანით – სიმრავლე. მხედართა ბრძოლაში ფიქსირდება მშვილდოსნები და კარგად გაწვრთნილი მცირე ჯარი, რომელიც მეფის დაცვის როლს თამაშობდა.

აქედან ნათლად ჩანს, რომ ვახტანგს საბრძოლოდ ახლდა მძიმედ აღჭურვილნი სპანი. გარდა ამისა, მხედარნი და ქვეითნი. ომის შემდეგ ვახტანგმა „წარჩინებულ ქმნა მხედარნი“, ეს ადგილი ისე უნდა გავიგოთ, რომ ვახტანგს თავისი მსახურნი მხედარნი, რომელნიც ახლდნენ ბრძოლაში, დაუსაჩუქრებია, მათთვის სავარაუდოდ მამულები უბოძებია და აზნაურებად გაუხდია.[1]

მართალია, რომაელთა შემოსვლას საქართველოს ტერიტორიაზე თან მოჰყვა სამხედრო ხელოვნების დახვეწა, მაგრამ მკვლევარები სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ მათ მოსვლას მოჰყვა უფრო მეტად შფოთიანი დრო, ბევრად უფრო დაჭიმული, საომარ მოქმედებათა და სამხედრო საჭიროებებით სავსე ხანა, ვიდრე ეს იყო წინათ. ამაში გულისხმობდნენ მანამდე არსებულ ომებს, რომლებიც თანდათან უფრო ნაკლებად ატარებდნენ მასშტაბურ ხასიათს და არსებითად განსხვავდებოდნენ მაშინდელი მსოფლიო ომებისაგან, რომლებშიც უკვე ქართველებიც მონაწილეობდნენ. თუმცა არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ს. ჯანაშიას, რომელსაც მიაჩნია, რომ „თვით რომის მთავრობის რეჟიმი, ჩვენს ქვეყანაში დამყარებული, განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც აქ რომაელებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი, ბორკავდა და აფერხებდა ქვეყნის განვითარებას“. მეცნიერი გულისხმობდა იმას, რომ ომს არ შეუძლია არაფრისაგან ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების შექმნა, რადგანაც ხშირი ომები ანადგურებს ქვეყნის საწარმოო ძალებს და კიდევ უფრო აგვიანებს ახალი ეკონომიკური ეპოქის დადგომას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასე მოხდა მაშინდელი საქართველოს სინამდვილეშიც.

---

[1] იხ. ა. ბოგვერაძე, ქართული ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1961 წ. გვ. 105

§4. ომის „ხელოვნება“ და საქართველო

ჰუმანიტარული სამართლის ჩანასახების საკითხზე მსჯელობა შეიძლება დავიწყოთ ქართული სახელმწიფოსა და სამართლის შექმნის დროიდან. მართალია, IX-X სს-მდე არსებულ სამართლის ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველები მის გარეშე ცხოვრობდნენ. ძველბერძნული და ბიზანტიური წყაროები ბევრ საინტერესო მასალას გვაწვდიან საქართველოსა და ქართველების კულტურის, სიმამაცის, ომის წარმოების ხელოვნების და მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის შესახებ.

წყაროთა უმრავლესობაში დაფიქსირებულია მაშინდელი ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი მოწესრიგება, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობდა გარკვეული საკანონმდებლო აქტები, რითაც რეგულირდებოდა ქართველთა ყოფა-ცხოვრება.

საქართველო თავისი არსებობის ისტორიის მანძილზე გამუდმებულ ომებს აწარმოებდა სხვადასხვა ჯურის დამპყრობელთა წინააღმდეგ. მას რომ თავისი საომარი ხელოვნება არ ჰქონოდა, ალბათ ერი აღიგვებოდა მიწისაგან პირისა.

ბაგრატ III-მ სამხედრო ხელოვნების წყალობით შეძლო გარეშე ძალის დამარცხება და ქვეყნის გაერთიანება. საომარი ხელოვნების მაღალმა კულტურამ შეაძლებინა დავით აღმაშენებელს ძლიერი და ერთიანი კავკასიური სახელმწიფო შეექმნა, მოეგო ისეთი ომები, სადაც ერთი ქართველის პირისპირ 15 მოწინააღმდეგე იდგა. დავით აღმაშენებელმა ყივჩაღთა ჩამოსახლების შემდეგ შექმნა რეგულარული ჯარი, რომელსაც ჯამაგირს აძლევდა, სამაგიეროდ, აკრძალა ბრძოლის დროს მოპოვებული ალაფისა და ტყვეების მეომრებს შორის განაწილება. ასეთ მეომარ ქვეყანას არ შეიძლებოდა, რომ არ ჰქონოდა „ომის კანონები“, იგივე ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა მსგავსი ჩვეულებები. სანამ ამ კუთხით სამართლის ძეგლების მოკლე ანალიზს გავაკეთებდეთ, მანამდე გადავხედოთ ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებს, სადაც აღწერილი და ასახულია მოწინააღმდეგე მხარესთან ურთიერთობის პრობლემები.

ლექსი „ვეფხი და მოყმე“, რომელიც ქართული ფოლკლორის ბრწყინვალე ნიმუშად ითვლება, ასახავს ქართველი დედის ჰუმანიზმს, რაც ამავდროულად ქართველი ხალხის მტრისადმი განწყობასაც გამოხატავს.

მკითხველისათვის ცნობილია აკაკი წერეთლის პოემის მთავარი გმირის თორნიკე ერისთავის ჰუმანური დამოკიდებულება დამარცხებული მტრისადმი. პატრიოტი სარდალი მიზნის მისაღწევად, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველა საშუალებას იყენებს, თვალს უხვევს მტერს, მოხერხებულად იყენებს ომის ფანდებს, მაგრამ როცა მტერი მარცხდება, მის მიმართ შემწყნარებელი ხდება. იგი მხედრობას მოუწოდებს: „გზას ნუ შეუკრავთ გაჭირვებულებს, დაე გაიქცნენ, მიეცით ნება!“, ხოლო ბრძოლის დამთავრების შემდეგ ასეთ ბრძანებას გასცემს:

„. . .სულ ერთიანად მოჰკიდეთ ხელი!
სიკვდილი ყველას ათანასწორებს
თვისიანს, უცხოს, მტერს და მოყვარეს!. .
ვეცადოთ ყველა და ნუ დავაკლებთ
დაჭრილებს მოვლას და მკვდრებს სამარეს.
ნურვინ გაბედავს, დატყვევებულებს
რომ მიაყენოს შეურაცხყოფა“
ვაქკაცს რომ ბედი სხვას დაამონებს,
დასატანჯავად ისიც ეყოფა!“[1]

გრ. ორბელიანი, რომელმაც თავისი ცხოვრება ბრძოლაში გაატარა, „სადღეგრძელოში“ წერს:“ „ამ მშვენიერსა დილასა, კაცს რად სურს სისხლი კაცისა?“

ალექსანდრე ყაზბეგი მოთხრობაში „ელგუჯა“ ამბობს: „ჩვენმა ხალხმა კარგად იცის გარჩევა და მკვდარს დაუმარხავს არავინ დატოვებს, მტერიც რომ იყოს“.

ლ. გოთუას „უგზო ქარავანში“ მტერთან ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდნილ თურქ ისკანდერს ქართული სოფელი შეინახავს და მშვიდობიან გზას მისცემს. ნ. დუმბაძის რომანში „მე ვხედავ მზეს“, სოსოიას მამიდა გერმანელ ტყვეს უკანასკნელ ლუკმას აძლევდა. ამ თვალსაზრისით, კლასიკურ მაგალითებს იძლევა ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. პოემაში

---

[1] გ. ლობჟანიძე, ადამიანის უფლებათა სამართალი, თბ. 2005წ. გვ303-307.

„სტუმარ-მასპინძელი“ ქისტი ჯოყოლა წინ აღუდგა მოსისხლე მტრის – ზვიადაურის დასჯას: „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“... ალუდა ქეთელაური კი საკლავს სწირავს ქისტ ვაჟკაცს, მუცალს და ა.შ.

გაზეთ ივერიის ფურცლებზე ილია ჭავჭავაძე წერდა: „ომი სისხლის ღვრაა, ომი უბედურებაა, ომი დამთქმნელია ადამიანის სიცოცხლისა, ადამიანის ღვაწლისა, მონაგარისა, გული სწუხს და იტანჯება, როცა ეს აგონდება“. „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“ „შენი თავი შენის ვაჟკაცობისათვის მიპატიებია, ცოდვაა შენი გაფუჭება, წადი და ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცესო“ – ასეთი იყო ქართველის განწყობა დამარცხებული გულადი მტრისადმი.

ქართული სამართლის ძეგლები, მათ შორის ბაგრატ III კურაპალატი, ოპიზის სიგელი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, დავით აღმაშენებლის ანდერძი, გიორგი III სიგელი, გიორგი V ძეგლის დადება, ხელმწიფის კარის გარიგება, წესი და განგება მეფედ კურთხევისა, ბექა-აღბუღას სამართალი, ქართველ მოღვაწეთა ნათარგმნი კანონიკური კრებულები „მცირე სჯულისკანონი“, „დიდი სჯულისკანონი“, რომლებიც ეროვნული სულით იყვნენ გაჯერებული, ჰუმანიტარული სამართლისათვის დამახასიათებელი ნორმები დაამკვიდრეს. სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ შეუწყო ხელი მაშინდელ საქართველოში ჰუმანიზმის და კაცთმოყვარეობის იდეების განვითარებას. მარტო ის რად ღირს, რომ ჯერ კიდევ XII საუკუნეში, თამარ მეფემ სიკვდილით დასჯა აკრძალა, ხოლო ქვეყანაში ისეთი წესრიგი დაამყარა, რომ ადგილი აღარ ჰქონია ძარცვას, ქურდობას, კაცის კვლას და ა.შ.

ზემოაღნიშნული გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ მიუხედავად გამუდმებული ომებისა, არც ხალხი, არც ხელისუფლება და არც კანონი არ გაბოროტებულა და მტრის მიმართ სასტიკი არ გამხდარა, პირიქით, ყოველთვის ცდილობდა დამარცხებულის მიმართ ლმობიერი ყოფილიყო, რამაც ასახვა ჰპოვა შემდეგი პერიოდის პოლიტიკურ და სამართლებრივ აზროვნებაში.

ქართულ ცეკვებში კარგადაა ასახული ფარის, სატევარისა და ხანჯლის ხმარების ხელოვნება, რომელიც დღესაც აოცებს ნებისმიერ ადამიანს.

XIX საუკუნის II ნახევარში, როდესაც გამალებული მსოფლიო შეიარაღება მიმდინარეობდა, ნიკო ნიკოლაძემ ციურიხის უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე: „განიარაღება და მისი ეკონომიკურ-სოციალური შედეგები“. ავტორს მიენიჭა სამართლის მაგისტრის ხარისხი, ხოლო ნაშრომი ფრანგულ ენაზე ცალკე წიგნად გამოიცა ჟენევაში. არც ეს ფაქტი მიგვაჩნია შემთხვევითობად.

§5. დიდგორის ბრძოლა და დავით აღმაშენებლის სამხედრო კონცეფცია

საქართველოს ისტორია მისი გაერთიანებისათვის წარმოებული ომების ისტორიაა, ქართველი ხალხის დაუოკებელი მისწრაფებაა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისაკენ მიმართული ძალისხმევის ისტორიაა. ამ მისიის შესრულება წილად ხვდა ჯერ ბაგრატ III და შემდეგ დავით IV აღმაშენებელს, ნიჭიერ პოლიტიკოსს და სტრატეგს, შორსმჭვრეტელ მხედართმთავარს, რომელიც ტახტზე 16 წლისა ავიდა, 1089 წელს.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების ისტორიის მანძილზე მხოლოდ დავით აღმაშენებელმა შეძლო ურჩ ფეოდალთა მოდრეკა და გარეშე მტრის თავდასხმებისა და თარეშის აღკვეთა. მან განამტკიცა ბაგრატ III მიერ გაერთიანებული ერთიანი ფეოდალურ-მონარქიული სახელმწიფო, შექმნა მუდმივი რეგულარული ჯარი, მკაცრი წესრიგი დაამყარა ქვეყნის შიგნით და მთელი მხედართმთავრული ნიჭი წარმართა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მან 60-ზე მეტი ბრძოლა გადაიხადა და ყველა მათგანი გამარჯვებით დაასრულა. მაგრამ არა მარტო დავითის, არამედ ქართველი ხალხის სამართლიანი ბრძოლების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დიდგორის ბრძოლას. დიდგორის ომს იმთავითვე მიუპყრია ისტორიკოსების გან-

საკუთრებული ყურადღება. ამიტომაა, რომ ცნობები ამ ბრძოლის შესახებ და აგრეთვე მისი შეფასება გვხვდება როგორც ქართველი, ისე უცხოელი ისტორიკოსების ნაშრომებში.

დავითის მიერ ფართომასშტაბიანი ღონისძიებების გატარების შემდეგ საქართველოს სამეფო კარი აქტიური ბრძოლის ტაქტიკას ირჩევს მომხდური მტრის დასამარცხებლად და საქართველოს ტერიტორიების საბოლოოდ შემოსამტკიცებლად.

1120 წლიდან დავით აღმაშენებელმა საბრძოლო მოქმედება საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაიტანა (ბორტია, ყაბალა, აშორნია, საგურამეჯე, ბარდავი, ხუნანი).ქვეყნის პოლიტიკაში ძირითად საკითხად მაინც თურქ-სელჩუკების პრობლემა რჩებოდა. სწორედ აქედან გამომდინარეობდა და ამით განისაზღვრებოდა დავით აღმაშენებელის საგარეო პოლიტიკა. კერძოდ, ის ურთიერთობები, რომელიც საქართველოს ჰქონდა რუსეთთან, ბიზანტიასთან, ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან, აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამეფო-სამთავროებთან.

საქართველოს სამეფო კარმა დიდი წარმატებებს მიაღწია თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი დავით აღმაშენებელმა საქართველოდან შორს გარეკა. საქართველოს მეფე თვით მუსლიმურ ქვეყნებს ესხმოდა თავს და მახლობელ აღმოსავლეთში მათ გავლენას საფუძვლიანად არყევდა. სწორედ ეს გარემოება მიაჩნია დავით აღმაშენებელის ისტორიკოსს დიდგორის ბრძოლის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად.

ძველი ისტორიკოსების (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, მათეოს ურჰაელცი, ალფარიკი) ინფორმაციით, განდევნილმა თურქ-სელჩუკებმა და თბილისის, დმანისისა და განძის მმართველთა წარმომადგენლებმა მუსლიმან მმართველებს შორის დაიწყეს დახმარების ძებნა.ისინი პირველ რიგში სპარსეთის სულთანთან მივიდნენ, ხოლო შემდეგ სხვა მუსლიმან მმართველებს ეახლნენ. ალ-ფარიკის მიხედვით, თბილისის მმართველობის წარმომადგენლებმა 1121 წელს თხოვნით მიმართეს მარდინის და მაიფარიკინის პატრონს ნეჯმ-ად-დინ ილღაზის, რათა მოსულიყო და ქალაქს დაპატრონებოდა. ილღაზს დიდძალი ლაშქარი შეუკრებია და თბილისისკენ წამოსულა. ე.ი. ალ-

ფარიკი მიიჩნევს, რომ დიდგორის ბრძოლის მიზეზი იყო დავით აღმაშენებლის წარმატებული ღონისძიებები თბილისის შემოსაერთებლად. ეს გარემოება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსსაც აქვს დადასტურებული. მისი სიტყვებით, დიდგორის ბრძოლის გამომწვევი მიზეზი იყო არა მხოლოდ თურქსელჩუკების შევიწროვება, არამედ ასევე შეწუხებული „ვაჭარნი განძელ-თბილელდმანელნი, რომლებიც დახმარების სათხოვნელად „წარვიდეს სულთანსა წინაშე". რამ განაპირობა მოქალაქეთა მუსლიმან მფლობელთან წასვლა? ამ მოქმედების ახსნა უნდა ვეძებოთ უპირველესად მოქალაქეთა ზედა ფენების კლასობრივ ინტერესებში. ბუნებრივია, ქალაქებს არ უნდოდა თვითმმართველობის და აქედან გამომდინარე, დამოუკიდებლობის დაკარგვა. ასე რომ, დიდგორის ბრძოლის ძირითადი მიზეზი იყო დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოდან თურქსელჩუკების განდევნა, დამოუკიდებელი ქალაქების დამორჩილებისათვის წარმატებული ბრძოლა და შექმნილი საგარეო ვითარება, რომელიც აიძულებდა მუსლიმანური სამყაროს მესვეურთ, ძლიერი საქართველოს სახელმწიფოს სახით თავიანთი დიდი მტერი დაენახათ და ერთად შეკავშირებულთ, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოეცხადებინათ მისთვის.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის და სხვა მემატიანეთა მიერ მოწოდებული ცნობების შეჯერების შედეგად შესაძლებელი ხდება კოალიციური ლაშქრის მეთაურთა დადგენა: ნეჯმ ად-დინ ილღაზი, დურბეიზ (დუბეის) სადაყასძე, თორღულ მოჰამედის ძე, თუღან არსლან კუზიანი და განძის ათაბაგი.

კოალიციური ლაშქრის შემადგენლობაში დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ასახელებს „ყოველთა სომხეთისა ამირათა". ესენი არიან სომხეთის ტერიტორიის ცალკეული გამგებლები-ამირები, რომლებიც სულთნის ბრძანებით ლაშქრობენ საქართველოს წინააღმდეგ. მუსლიმანთა კოალიციური ლაშქარი მრავალრიცხოვანი იყო.

კოალიციური ლაშქრის რაოდენობის შესახებ დაწვრილებით ცნობებს სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურჰაელცი გვაწვდის. მისი სიტყვით, ილღაზს 150000 მოლაშქრე ჰყავდა, არაბთა მეფეს, დუბეიზ სადაყას ძეს – 10000 კაცი გამოუყვანია. „ამავე დროს, – აღნიშნავს სომეხი ისტორიკოსი, გამოვიდა განძაკის

სულთანი მელიქი 400000 მამაცი ცხენოსნით, გაეშურა უდიდესი ლაშქრით და შეესია „ქართველთა ქვეყანაში“. როგორც ვხედავთ, კოალიციური ლაშქარი მათეოს ურჰაელცის მიხედვით შეადგენდა 560000, რაც, რა თქმა უნდა, გაზვიადებულია, რადგან შეუძლებელი იყო სამ სულთანს ასეთი დიდი ოდენობის ლაშქარი გამოეყვანა. ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ მტრის ლაშქარი დიდგორის ბრძოლისას 300000 მეომრისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი.

რა რაოდენობის ლაშქარი გამოიყვანა დავით აღმაშენებელმა? გოტიეს ცნობით, დავით აღმაშენებელი 80000 მხედრით გავიდა საბრძოლველად. ეს მონაცემებიც გაზვიადებული ჩანს. უფრო დასაჯერებელია მათეოს ურჰაელცის საკმაოდ დეტალური ცნობა საქართველოს ლაშქრის რაოდენობის შესახებ. მის მიხედვით, დავით აღმაშენებელმა დიდგორის ბრძოლაში საომრად გაიყვანა 55600 მოლაშქრე. აქედან, 40000 ქართველი, 15000 ყივჩაღი, 500 ალანი და 100 ევროპელი მეომარი. მკვლევართა აზრით, ალანები, რომლებიც საქართველოს ლაშქარში იბრძოდნენ, იყვნენ დაქირავებული მოლაშქრეები, ე.წ. „როქის სპა“. შემთხვევითი არ იყო ხუთასი ოსი მოლაშქრის დაქირავება და საამისოდ თანხის გაღება მაშინ, როცა მეფეს რეზერვში საკმაო რაოდენობის მუდმივი მოლაშქრეები ჰყავდა. ეს ალბათ, დავით აღმაშენებლის სათანადო ტაქტიკური გეგმის მიხედვით იყო გაკეთებული და გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა. ასევე გარკვეული მიზნით იყვნენ ქართველთა ლაშქარში „ფრანგნი“. ესენი, როგორც ჩანს, ჯვაროსნული ომების დროს საქართველოში სხვადასხვა გზით მოხვედრილი ევროპელები იყვნენ. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ მ. ბროსეს მათეოს ურჰაელცის მიერ მოხსენებული „ფრანგნი“ ვარიაგებად (ვარანგებად) მიაჩნდა. ყველა სხვა ისტორიკოსი, ვინც კი საგანგებოდ შეეხო ამ საკითხს, სრულიად მართებულად მიიჩნევდა, რომ დავით აღმაშენებლის ლაშქარში ჯვაროსნები იღებდნენ მონაწილეობას.

ისტორიული წყაროების მიხედვით, თურქ-სელჩუკთა კოალიციურ ჯარსა და დავით აღმაშენებლის ლაშქარს შორის გადამწყვეტი ბრძოლა დიდგორთან გაიმართა. საქართველოს ჯარი დავით აღმაშენებელმა დიდგორში საკუთარი სქემის

მიხედვით განალაგა, საიდანაც კარგად კონტროლდებოდა მანგლისისაკენ მიმავალი გზა, რომელიც ნიჩბისის ხევს მიჰყვება. მათეოს ურჰაელცი და გოტიე მიუთითებენ, რომ დავით აღმაშენებლის ლაშქარმა ორ მთას შუა დაიბანაკა. ალ-ფარიკი გვაწვდის მეტად საინტერესო ცნობას, რომლის მიხედვითაც საქართველოს ლაშქრის ნაწილი ერთ-ერთ მთაზე იყო დაბანაკებული და საჭირო შემთხვევაში იქიდან მზადდებოდა მტერზე მოულოდნელი თავდასხმა. პირველი ბრძოლა უნდა მიეღო ძირითად ნაწილს, სადაც თვით დავით აღმაშენებელი იდგა. გოტიე გადმოგვცემს, რომ დავით აღმაშენებელმა ბრძოლის დაწყების წინ მგზნებარე სიტყვებით მიმართა თავის ლაშქარს: „მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება, ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ ამ ხეობის შესავალი რომლითაც შემოვსულვართ ხეთა ხშირი ხორგებით შეკარით და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ". დიდგორის ბრძოლა 1121 წლის 12 აგვისტოს, ხუთშაბათს დღეს მოხდა". გოტიე გადმოგვცემს, რომ დავით აღმაშენებელმა ბრძოლის წინ რაზმებს თავისი ადგილი მიუჩინა, „ასი ფრანგის მეომარი რომ ჰყავდა, მოწინავეში დააყენა პირველ დაკვრათა მისაცემად. მყისვე ხეობის მეორე ნაწილში ანუ ფრონტზე, ჯარისკაცთა ძლიერი ყიჟინით, ცხენთა და აბჯართა უკიდურესი ხმაურობით, ურჯულოთა ზარდამცემი ბაირაღებით ჩნდებიან, და იმავე დროს, სხვადასხვაგვარ საკრავთა ხმაურობით მთა და ბარი ბანს აძლევენ. ხოლო მეფე დავითი სიმშვიდეს ინარჩუნებს და თავისიანებს მამაცი სულით ამხნევებს და ანუგეშებს ჯარისკაცებს. უმტკიცებს რწმენას, რომ ურჯულოთა გაამაყებული სიმრავლე, ძალითა და შეწევნითა წმინდა ჯვარისა, ნაკლებეს ჯარით და სწრაფად დაითრგუნება. ამის შემდგომად, დაინახეს რა ურიცხვი ბრბო,

ქრისტეს მსახურნი, ამაყის სულით განმტკიცებულნი, ყიჟინით თავს დაესხნენ მათ. და უფლის მადლით პირველივე შეტაკებისთანავე გაფანტეს მტერი. თვით ილღაზი თავში დაჭრილი, დაჰკარგა რა თითქმის ყოველივე, ღვთის ნებით მცირეოდენ ლტოლვილით უიარაღო და დამშეული, არაბთა მეფის წინამძღოლობით სახლში დაბრუნდა ნახევრად მკვდარი“ – იტყობინებიან წყაროები.

როგორც ირკვევა, დავით აღმაშენებლის მიერ წარგზავნილმა ორასკაციანმა დიდგორელთა ლაშქარმა თავისი მისია შეასრულა. დააბნია მტერი და არევ-დარევა შეიტანა მის რიგებში. მაშინ ქართველმა ჯარმა მოწინააღმდეგეს ფლანგებიდან შეუტია. ალ-ფარიკის მიხედვით, დავით აღმაშენებლის სარდლობით საქართველოს ლაშქარი დიდგორის ველს ნიჩბისის ხევიდან მიუახლოვდა. მთავარ ძალას მეფე ედგა სათავეში, ხოლო მეომართა ნაწილს მეფის მემკვიდრე დემეტრე დავითის ძე ხელმძღვანელობდა, რომელიც დიდგორის ერთ-ერთი მთიდან დაეშვა და მის ძირას დაბანაკებულ თურქ-სელჩუკთა ჯარს შეუტია.

დიდგორის ბრძოლის აღმწერი ყველა ისტორიკოსი იმ დიდ ზარალზე მიუთითებს, რაც თურქ-სელჩუკთა კოალიციურმა არმიამ განიცადა. უამრავი ტყვე და დიდძალი ალაფი იგდეს ხელთ ქართველებმა. რა თქმა უნდა, საქართველოს მეომართა შორისაც იყო მსხვერპლი, მაგრამ მტრებთან შედარებით იმდენად მცირე ყოფილა, რომ მემატიანე ხაზგასმით ამბობს: დავით აღმაშენებელმა „თავისნი სპანი დაიცვნა უვნებლადო“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით დიდგორის ბრძოლა სამ საათამდე გაგრძელებულა, რასაც შემდგომი დროის ისტორიკოსები ადასტურებენ. დიდგორის ბრძოლაში დამარცხებული არაბთა მეფისათვის – დუბეისისათვის წართმეული ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს მანტია დავით აღმაშენებელს გელათის მონასტრისათვის შეუწირავს. საქართველოს ლაშქრის გამარჯვება დიდგორის ბრძოლაში ბევრი რამით იყო განპირობებული. უპირველესად, სამეფო ლაშქარი კარგად იყო გაწვრთნილი და ქვეყნისა და მეფისათვის თავგანწირვით იბრძოდა. უზრუნველყოფილი იყო ცხენებით, იარაღით და საჭირო სურსათ-სანოვაგით. ცალკე უნდა აღინიშნოს გამოჩენილი მეფისა და მხედართმთავრის, დავით აღმაშენებლის პირადი დამსახურება – ღვაწლი ამ ომში.

ამრიგად, ქართველმა მოლაშქრეებმა 1121 წლის 12 აგვისტოს მუსლიმანურ კოალიციურ ჯარებთან მეტად რთული და ამავე დროს არსებითად გადამწყვეტ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ეს დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობისათვის მებრძოლი ქართველი ხალხის გამარჯვება იყო. გამარჯვება, რომელიც ძალუმად ეხმაურებოდა კავკასიის ხალხთა ინტერესებს, მათ ერთობლივ ბრძოლას უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ.

დავით აღმაშენებლის სამხედრო დოქტრინის ირგვლივ საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს გენერალ-ლეიტენანტი ირ. ჯორჯაძე. მისი აზრით, საბრძოლო ტაქტიკური პრინციპებით გამომდინარე, დავითი დიდი გულმოდგინებით ეკიდებოდა რაგორც მოწინააღმდეგის რიცხობრივ ოდენობას, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხის მეომართა ფსიქოლოგიურ და მორალურ განწყობას.

დავითის საბრძოლო გეგმის თანახმად, მეომართა პირველი ხაზის ძირითად ძალას წარმოადგენდა ის ჯგუფი, სადაც მოქმედებდნენ „მეწინავე მეომრები", რომლებიც არა მარტო იწყებდნენ ბრძოლას, არამედ მოწინააღმდეგის შუაგულამდე აღწევდნენ და არევდარევა შეჰქონდათ. პირველი ხაზის მეომრების მიერ გაკაფულ გზას მიჰყვებოდა მებრძოლთა მეორე ეშელონი, რომელიც ერთგვარ სარეზერვო ძალას წარმოადგენდა მოწინავე დანაყოფიდან. მებრძოლთა მესამე ეშელონი დამოუკიდებლად მოქმედებდა მარჯვენა და მარცხენა ფლანგზე. მის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა მეწინავე ეშელონების წარმატებათა გამოყენება და მოწინააღმდეგის ალყაში მომწყვდევა. და ბოლოს, მებრძოლთა მეოთხე ეშელონი წარმოადგენდა რეზერვს, რომელსაც მდგომარეობისდა მიხედვით იყენებდა მთავარსარდალი.

დავითი ამ ეშელონისებური წყობით ახერხებდა მცირე ძალებით მამაცურად დაემარცხებინა რიცხობრივად ძლიერი მოწინააღმდეგე.

ამრიგად, დავით აღმაშენებელმა თავისი არმიის საბრძოლო წყობით გაუსწრო წინა ეპოქასა და თანადროულობას, რაც დაამტკიცა კიდეც მრავალ ბრძოლაში.

არანაკლებ საყურადღებოა ის ამბავი, რომ საბრძოლო ეშელონები ძირითადად დაკომპლექტებული იყო საქართველოს ეთნოგრაფიულად და ტერიტორიულად ერთი კუთხის მებრ-

ძოლებით. ისინი თითქმის სისხლისმიერი ნათესავები და თანასოფლელები იყვნენ. ამიტომაც, ბრძოლის დროს ერთმანეთს უყურადღებოდ არ ტოვებდნენ. თითოეული მათგანი მუდამ ცდილობდა, ბრძოლაში თავი გამოეჩინა, რათა თავისიანებში არ შერცხვენილიყო.

მთიანეთში მოქმედების დროს პირველი ეშელონი მუდამ იყო დაკომპლექტებული მთიელი მეომრებით, რომლებიც კარგად მანევრირებდნენ და ზედმიწევნით ერკვეოდნენ ადგილმდებარეობაში. გარდა ამისა, ისინი ადგილმდებარეობის შესაბამისად იყვნენ შეიარაღებულნი და ასევე, შესაფერისად შემოსილნი. საჭმელიც კი იქაური ჰქონდათ. ჰყავდათ მთებში ბრძოლისათვის გაწვრთნილი და მუხლმაგარი ცხენები. ყოველივე ეს უზრუნველყოფდა მარქაფა ჯარის გაშლილ ბრძოლებს, რაც საბოლოოდ გამარჯვებით გვირგვინდებოდა.

დავითმა შექმნა მთელი პროგრესული სისტემა ჯარისკაცთა აღზრდისა და სწავლებისათვის. რაც მთავარია, იგი ჯარისკაცს უნერგავდა სამშობლოს სიყვარულს, ერისა და მამულის სიამაყის გრძნობას. მთავარ ფიგურას დავითისათვის მამაცი, ძლიერი, აქტიური მეომარი წარმოადგენდა, რომელსაც დამოუკიდებლად, ინიციატივიანად შეეძლო ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმა და ბოლომდე ბრძოლა. თვითონ მეფე მაგალითის მიმცემი იყო ყველასათვის.იგი ყველას ასწავლიდა და უზიარებდა თავის საბრძოლო გამოცდილებას. მებრძოლებთან ერთად იყოფდა ყოველგვარ გასაჭირს და საერთო სანოვაგით საზრდოობდა. ყოველივე ამის გამო დავითი არმიის მეომრებისათვის წარმოადგენდა სიამაყეს და სათაყვანებელ პიროვნებას.[1]

დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებული სამხედრო რეფორმის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენდა მსტოვრის ინსტიტუტის შექმნა, რამაც უდიდესი როლი ითამაშა ქვეყნის სამხედრო ძლიერების საქმეში. დავითს კარგად ესმოდა, რომ მტრის დეზინფორმაცია გამარჯვების საწინდარს წარმოადგენდა. ბრძოლის წინ მტრის ლაშქრის დეტალურ დაზვერვას და მოულოდნელ თავდასხმას XII საუკუნის ათიანი წლების ბოლოს დავითმა ახალი, უკვე მსტოვრობისთვის დამახასიათებელი,

---

[1]ირ. ჯორჯაძე, ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან, თბ. 1990. გვ. 105-106

თვისობრივად უფრო ღრმა ტაქტიკა – მტრის სრული დეზინფორმაცია დაუმატა. მტრის ლაშქრის რიცხოვნობით რესურსების და გეგმების შეტყობა მისი მსტოვრების მთავარ ამოცანაას წარმოადგენდა. გარდა ამისა, მეფის მსტოვრებს ზოგჯერ საიდუმლო ინფორმაციის (მაგ. მეფის გადაადგილების დროისა და მარშრუტის) ცრუ ვერსიის შეგნებული გავრცელება ევალებოდათ, რაც ერთიანი სამხედრო ოპერაციის შემადგენელი რგოლი იყო",[1] როგორც კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა „ადრე ყოფილა მუდამ, უპირველესი პირობა გამარჯვებისა ომის გონივრული დაწყებაა".[2]

ასე რომ, დავით აღმაშენებლის, როგორც სამხედრო სტრატეგის, პოლიტიკოსისა და ქვეყნის მმართველის თვისებების ერთობლიობამ საქართველო იხსნა მტრის გაელენისაგან და სათავე დაუდო „ოქროს ხანის" დამკვიდრებას.

§6. ერეკლე II-ის სამხედრო კონცეფცია

ქართული სამხედრო ხელოვნების აღმავლობის ერთ-ერთი მონაკვეთი ერეკლე II-ის მეფობის ხანაა, რომელიც პირობითად შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ: ა) ერეკლეს მიერ თავის მამასთან, თეიმურაზ II-სთან ერთად ჩატარებული ბრძოლები ანუ ერთობლივი ბრძოლების კონცეფცია1744 წლიდან და ერეკლე II-ის დამოუკიდებელი სამხედრო დოქტრინა 1762 წლიდან, სადაც პირველ ადგილზე იდგა დაღესტნელი ლეკების გაუთავებელი თარეშის აღკვეთა. ერეკლე მეფემ ამ პრობლემის მოსაგვარებლად შეიმუშავა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა პასიური თავდაცვიდან აქტიურ თავდასხმაზე გადასვლას, რამაც გააჩართლა და გარკვეულ პერიოდში ლეკებმა დაკარგეს ქართლკახეთზე თავდასხმის სურვილი. გეგმის მეორე ნაწილი იყო მაჰმადიანთა სახანოების შემოტევების წინააღმდეგ მზადება და მათი დამარცხების პერსპექტივები ქვეყნის საზღვრებს იქით. „მაჰმადიანთა სახანოებმა მთელი თავისთავი ძალების [illegible]

---

[1] ბ. ალადაშვილი, მსტოვრების ისტორია საქართველოში, I, თბ., 2000, გვ. 38

[2] ნ. პატარქალიშვილი, IV-XX ს.ს. ქართული ხელოვნების, 1993 წ. გვ. 200

თიანება გადაწყვიტეს მეფე ერეკლეს დასამარცხებლად, რომელმაც ესოდენ დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა ბრძოლებში. ამ სამხედრო კოალიციას ხელმძღვანელობდა შაქის ხანი აჯიჩალაბი, ცბიერი და ვერაგი სარდალი". ერეკლეს გეგმამ იმუშავა. „მან მტერს საზღვართან უყურა, თვითონ მოახვია თავს ბრძოლა და სასტიკად დაამარცხა". ამ გამარჯვებას მოყვა ნურსალ-ბეგის მრავალრიცხოვანი ძალების უკუგდება და მათზე გამარჯვება.

მეფე ერეკლეს დამოუკიდებელი მეფობის ხანა დაკავშირებულია ცნობილ თავადთა შეთქმულებისა და დაშლილი ქვეყნის ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ გარდაქმნის პერიოდთან. მკვლევარები ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს თვლიან. სოლომონ I-ის სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკა, მისი პირადი გულადობა და სამხედრო ხელოვნება ერეკლე მეფისას ჰგავდა. როდესაც ეცნობი ისტორიულ წყაროებს და მასალებს, რომლებიც ქართველ მეფეთა სამხედრო ნიჭსა და შესაძლებლობებს ასახავენ, სურვილი გიჩნდება იმ დროს დაბადებულიყავი და მათ გვერდით ყოფილიყავი. ეს ფიქრი ალბათ ჩემი თაობის ბევრ ადამიანს გასჩენია, რადგანაც ვგრძნობდით, რომ ერეკლე მეფე იმდროინდელი ნებისმიერი ძლიერი ქვეყნის სარდლად ივარგებდა. ერთ მუჭა ქართლ-კახეთის მოსახლეობას რა შესაძლებლობა გააჩნდა ამდენი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, გარდა გულადობისა, ოჯახისა და სამშობლოს სიყვარულისა. ამის საუკეთესო მაგალითი კრწანისის ბრძოლაა, რომ არა ღალატი (კიდევ კარგი არა ქართველებისაგან). ჩვენი მიზანი ერეკლე II-ის სამხედრო დოქტრინის გახსენებაა. მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, „რომ საქართველოს იმდროინდელ პირობებში ფეოდალური არმიის შემდგომი ჩამორჩენილობის მოთმენა აღარ შეიძლებოდა, აუცილებელი იყო მისი ახალ ორგანიზაციაზე გადაყვანა."1773 წელს ერეკლეს განკარგულებით იქმნება მორიგე ჯარი. ამ ბრძანებით შემოიღეს სავალდებულო სამხედრო სამსახური, რომლის მიხედვით თითოეული მეომარი თავისი იარაღით უნდა გამოცხადებულიყო და თვითონვე შეენახა თავი წელიწადში ერთი თვის მანძილზე. იზრუნა ჯარის სტრატეგიაზე და გად-

აწყდა ისინი ცალკეული ნაწილების სახით ჩამოყალიბების გზით დაკომპლექტებულიყო. მეთაურს თვითონ მეფე ნიშნავდა, მისი პირადი თვისებებისა და გამოცდილების გათვალისწინებით. პირველ გაწვევაზე 5000 ვალდებული გამოცხადდა შეკრების ბანაკში. ეს იყო რეგულარული მუდმივმოქმედი არმია, რომელსაც უფლისწული ლევანი ჩაუყენა სათავეში. ეს კი ნიშნავდა სახელმწიფო მართვის სისტემაში სპეციალური უწყების შექმნას.

ერეკლე მეფის შემდგომი ნაბიჯი იყო საქარხნო წესით სამხედრო საჭურვლის წარმოების შექმნა. შესაძლებლობის ფარგლებში დაიწყო სხვადასხვა სახეობის ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალებისა და დენთის დამზადება. ასევე ითვალისწინებდა საბრძოლო კადრების მომზადების უზრუნველყოფასაც.

ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვასა და რეგულარული ჯარის შენახვას არცთუ ცოტა ფულადი სახსრები სჭირდებოდა. გარდა ამისა, საჭირო იყო ჯარის ახალი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება, რის საშუალებასაც მტერი არ იძლეოდა. მდგომარეობამ განაპირობა 1782 წლის 21 დეკემბრის ერეკლე მეფის მიმართვა რუსეთის დედოფალ ეკატერინე I-ისადმი დამყარებინათ მეგობრული კავშირი, რომლის უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს აგრესიული მაჰმადიანური გარემოცვისაგან თავის დაცვა და ხელშეუხებლობა.

თუ როგორ განვითარდა შემდგომ მოვლენები, ეს ყველასათვის ცნობილია. ჩვენ მხოლოდ მის სამხედრო დოქტრინაზე ვაგრძელებთ მსჯელობას.გვსურს ერთ ძალიან საინტერესო ფაქტზე გავამახვილოთ ყურადღება, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინ გამოაქვეყნა პროფ. გ. ჩხაიძემ სათაურით „ერეკლე II-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საფრენი აპარატის შესახებ,“[1] საიდანაც ნათლად იკვეთება, რომ ერეკლე II-ის სამხედრო დოქტრინა ითვალისწინებდა ევროპის მოწინავე ქვეყნების გამოცდილების ექსტრაპოლაციას საქართველოში.

ამას ნათლად ადასტურებს .. ქვემოთ მოყვანილი ორი, შედარებით ნაკლებად ცნობილი დოკუმენტი.

[1] ჟურნალი,,Воздушный Транспорт, 2008г.№2,გვ.163

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში 136-ე ნომრით დაცულია 1784 წელს, ქალაქ ვენეციიდან, ვინმე დავითის მიერ, ერეკლე II-სადმი გამოგზავნილი ხელნაწერი სათაურით – „ჰაერსა შინა მროკველი ანუ მრონინე.“ ხელნაწერი წარმოადგენს 16,5X10 სმ. ზომის ქაღალდის 30 გვერდს. იგი დაწერილია ქართულად, მხედრული ასოებით, სათაურები გამოყოფილია ფერადი სინგურით. მას აქვს მუყაოს ყდა და დართული აქვს ნახატი – წერს ავტორი.

გარდა ამისა, შესაძლებელი გახდა ხელნაწერის მეტნაკლებად შესწავლაც, სადაც შედარებით დიდი ასოებით, ცალკე არის გამოყოფილი სათაური. ტექსტში აღნიშნულია, „მოკლედ მოთხრობაი ჰაერსა შორის მროკველისა გუნდისა და მგზავრობისა მონკოლფიისა, ქარლოისა და როპერთისა ახალი და საჩინო პოვნა ჰაერსა შინა მროკუველისა მგზავრობისა კაცთასა, რომელი იგი პირველ იპოვა გალილეასი, ე.ი. ფრანციასა შინა და განეფინა ყოველსა ევროპასა.“

ხელნაწერს წინ დართული აქვს ასეთი ტექსტი: ა) „სიტყუა ქრისტეს მიერ გაძლიერებულსა მეფესა ირაკლის ყოვლად მოწყალესა ხელმწიფეს, შესაეედრებელი ქრისტეანეთაო (რომელ აზიასა შინა), ქრისტეს მიერ გვირგვინოსანო მეფეო, მცირესა ამას ძღვენსა დიდითა გულმხურვალებითა ზე მოგიძღუნი, ვითარცა ნაყოფსა ადრეულსა ჩემ სიტყვერისა მიწისაგან. მაშა მიიღე ესე ვითარცა მწვლილი ქვრივის სამეფოსა საუნჯესა შორის შენსა, რომლითა ვიუწყებდე, უკეთუ ამიერიდგან იმუშაევებ მოწლეობით ჩემზედა, რათა არა დალახულ ვიქმნე განმვლელთაგან და უნაყოფო. და მე ღვაწლ-შემეცნებულ ყოფილ დავშთები ყოვლითურთ თანამდებ და განმზადებულ მონებად წინაშე სამეფოსა სიმაღლისა თქუენისა, უმაღლესობისა თქუენისა ფერხთა ნატერფალი. ფრიად მდაბალი მღუდელი ტერ-დავითი ტერ ოჰანისი, ტერ დავიტ ვენეტიქს. წელსა უფლისა 1784.

პროფ. გ. ჩხაიძე ყურადღებას ამახვილებს ერთ საინტერესო დეტალზე, რომელიც ეხება ხელნაწერის მეორე და მესამე ფურცლებს, სადაც შუა ადგილზე ჩართულია დოკუმენტის დედანი.

ხელნაწერს 29-ე გვერდზე მთარგმნელის მიერ მიწერილი აქვს ანდერძი: „წიგნაკი ესე, რომელსა ეწოდების ჰაერსა შინა მროკველი, ანუ მრონინე, დაბეჭდილ იყო ჰაოსიანთა ენასა ზედა

(ან რომელსა არს სომხურსა) ქალაქსა შინა ვენეტიქს (ე.ი. ვენეციას) რიცხუსა 1784, ხოლო აწ გადმოითარგმნა სომხურისა ენისაგან ქართულსა ხმასა ზედა ტერ დავითისაგან წელს 1748 თთუესა აგვისტოსა რიცხვსა 8 ქ(ორონიკონს) უოვ“ (გვ. 28).

ხელნაწერს ბოლოში დართული აქვს გადამწერის შენიშვნა:

„ქ(ორონიკონ)ს უოვ. წელსა ჩღპვ გარდავნუსხე ესე წიგნაკი თთვესა სეკ ლ. წელსა 1788 ქ-ს უოვ. ტერ დავითისაგან ნათარგმნიდან – გადავსწერე. მეტად გაუწყობლად იყო ნათარგმნი მე რამდენადმე გავასწორე, ზმნა და სახელი შეწყობით ვათანხმე, სრულად კი ვერ დავწერ... სასურველნო მეგობარნო მკითხველნო ყვედრებად ნუ მომაწერთ, ყოვლად მდაბალი ალექსის ძე დავითი“ (გვ. 29).

დოკუმენტების გაცნობით დადგენილია, რომ ხელწერა ეკუთვნის ვინმე დავით ალექსის ძე მესხიშვილს.

როგორც ხელნაწერის ტექსტიდან ჩანს, გრიგორიანელი მღვდელი, ეროვნებით სომეხი ტერ ოჰანესი, დავითი, ხშირად იგზავნებოდა სხვადასხვა დავალებებით და სავაჭრო საქმეებზე ევროპაში. მეფე ერეკლეს ამჯერადაც, ეტყობა სპეციალური დავალებით გაუგზავნია იგი საფრანგეთში. პარიზში ჩასული დავითი მეტად საკვირველი სანახაობის-ცაში საჰაერო ბუშტის გაშვების – დამსწრე გამხდარა, რასაც დაწვრილებით ატყობინებს მეფეს.

ეს ის პერიოდია, როდესაც თამამად მოაზროვნე ადამიანებმა ევროპაში გამოიყენეს თბილი და ცივი ჰაერის ნაკადების მიმართულებისა და მათ შორის წონის სხვადასხვაობა და რეალურად იწყეს ადამიანის უძველესი ოცნების–ცაში ფრენის განხორციელება.

ჯერ კიდევ 1646 წელს, იეზუიტმა ბერმა ა. კირხენმა სცადა, გამთბარი ჰაერით ავსებული ბუშტით რამდენიმე მეტრით ჰაერში აფრენა, რომელსაც „ღვთის რისხვა“ დაარქვა. საქმე გაცილებით სწრაფად წავიდა წინ მას შემდეგ, რაც ინგლისელმა ფიზიკოსმა, თომას კავენდიშმა 1766 წელს ლაბორატორიული ცდებით შეძლო მიეღო ყველაზე მსუბუქი გაზი-წყალბადი რკინის ფხვნილის, გოგირდის მჟავას და წყლის ნარევით, რაც შემდეგში მსუბუქი აირით საჰაერო ბუშტების დამუხტვის და ჰაერში გადაადგილების საფუძველი გახდა.

ასეთი აირით დამუხტული აპარატით, ქალაქ ლიონის მახლობლად, ანიონში, 1783 წლის 5 ივნისს განახორციელეს ძმებმა მოგოლფიებმა მსოფლიოში თავიანთი პირველი სენსაციური გადაფრენა. ამავე წლის 1 დეკემბერს, ქ. პარიზში საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის მოწვევით, ტიულრის ბაღიდან ძმებმა შარლ და რობერტ მოგოლფიებმა ასეთივე საჰაერო აპარატით 450 მეტრის სიმაღლეზე გაფრინეს ქალაქებს: ჟანვილს, მუსოს, ვილიარს, ნელს და უვნებლად დაეშვნენ მდინარე ლაურის ნაპირებთან. სწორედ ამ სენსაციურ გადაფრენას შესწრებია ზემოხსენებული წერილის ავტორი.

მას საკმაოდ დაკვირვებული თვალით დაუფიქსირებია ნანახი და დეტალურად აღუწერია და ჩაუხატია იგი წერილში. მას არც გზის გამკვლევი და ქარის მიმართულების მაჩვენებელი ბალონ-ზონდის ჩახატვა არ გამორჩენია. ასევე, სადად და სწორად განუსაზღვრავს ასეთი საფრენი აპარატის ავკარგიანობა და მისი სამხედრო საქმეში გამოყენების მნიშვნელობა. იგი ზემოთ მოყვანილ წერილში მეფეს მოკრძალებულად ურჩევს, რომ მრავალრიცხოვანი მტრის გარემოცვაში მყოფი ქვეყნისათვის ასეთი „კვამლით გაბერილი“ საჰაერო ბუშტი, რომელსაც შეეძლო ზარბაზნის ჰაერში ატანა, სამხედრო თვალსაზრისით დიდ უპირატესობას მიანიჭებდა მას.იგი მეფე ერეკლეს მტერთა სიმრავლეზე მიანიშნებდა, ხოლო, ასეთი საშუალების გამოყენება დიდ ძალას შესძენდა მის ჯარს.

„წერილის ევროპიდან გამოგზავნა ერთი წლის შემდეგ, 1784 წელს, ქალაქ ვენეციიდან მოხერხებულა. მოგვიანებით იგი სომხურიდან ქართულად თარგმნა ცნობილმა მეცნიერმა, კალიგრაფმა, პედაგოგმა, მეფე ერეკლეს მდივან-მწიგნობარმა დავით ალექსის ძე მესხიშვილმა. იგი ცნობილია აგრეთვე დავით რექტორის სახელით. ერეკლე მეფის მდივანბეგი მასთან არის დაკავშირებული აღმოსავლეთ საქართველოში განათლების ორგანიზების საქმითაც. იგი იყო თელავის სასულიერო სემინარიის რექტორი.

გ. ჩხაიძის ვარაუდით, ზემოთ მოყვანილი წერილის მნიშვნელობას აძლიერებს ჩვენში შემდგომ განვითარებული მოვლენები. უნდა ვივარაუდოთ, რომ მასში აღწერილი ამბები ქართლ-კახეთის საზოგადოების ზედა ფენებისათვის მაღე

გახდებოდა ცნობილი. ძმები მოუთმენლობით ელოდნენ ციელებულ სენსაციურ ცრუნას მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მიბაძავდნენ. საქართველოც, რომელიც მალე სხვა ისტორიულ და პოლიტიკურ სიბრტყეზე აღმოჩნდა (იგულისხმება რუსეთის კოლონიად გადაქცევა), გამონაკლისად არ დარჩენილა. 1835 წელს თავადმა შალვა ერისთავმა თავის სოფელში, კარალეთში გამოსცადა საფრენი აპარატი. აქედან დაიწყო საქართველოში აერონავტიკის ნათელი ერა.

რაც შეეხება დოკუმენტს, ესაა ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის მიმართვა ვენეციის რესპუბლიკის საკრებულოს დიდი საბჭოსადმი. იგი დათარიღებულია 1732 წლის 18 ოქტომბრით. წერილი იტალიაში მოიძია და წერათმცოდნეობის ბრუნვაში შემოიტანა აწგანსვენებულმა მკვლევარმა, პროფესორმა ილია ტაბაღუამ 2000 წელს.

წერილში ნათლად ჩანს, მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილი სახელმწიფოს მეთაურის თუნდაც მცირედი შესაძლებლობების გამოყენების სურვილი — აამაღლოს თავისი ქვეყნის სამხედრო ძლიერება. მოგვყავს წერილი მთლიანად.

„მათ განათლებულთა დიდისა ვენეციის შეკრებულთა თუმცა ამ მოხსენებისთვის დიდად ვმორცხვობთ და ვიკრძალვით, მაგრამ რომელიც ჩუენის ქვეყნის მწუხარება და შეჭირვება სხვასა აზრით მოგვიხსენებია ის მაკადნიერებს, ჩუენის სათხოვარის ეს არის, რომ ერთი პოლკის ჯარის ჯამაგირი გვებოძოს, რომ კაცი ჩვენ ვიშოვოთ და ამ ჯამაგირით ის ჯარი გავაწყოთ ევროპის რიგზედ რომ მტერი ამ ჯარის რიგს საბოლოოდ რომ ცნობნს ვერსა დროს ჩვენს მტრობას ველარ გაბედავს". ოქტომბრის 18 წელსა 1782 მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ერეკლე II".

მას დიდად აფასებდა ილია ჭავჭავაძე. იგი მას თვლიდა ერთ-ერთ საუკეთესო მხედართმთავრად და სახელმწიფოს მოღვაწედ. მისი აზრით, „მეფე ერეკლეს სიკვდილით „რკინის კარი შეეხსნა" უფრო კარ-ღია შეექმნა და აღგილი საცილობელი გაუხდა გარს შემორტყმულ მტრებსა."[1]

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. IV, გვ. 207.

ქართლ-კახეთის, საქართველოს არცთუ ისე დიდი ნაწილის მეფე, ევროპაში ცნობილი მმართველი და მხედარმთავარი იყო. არსებობს აზრი, თითქოს მეფე ერეკლეს, ომებში ხშირმა მონაწილეობამ და ხმლის ხმარებამ გაცილებით განუვითარა მარჯვენა მხარი და ხელი, ვიდრე მარცხენა. მისი სამხედრო კონცეფცია და გეგმები სცილდება პატარა ქვეყნის ბუნებას. სამაგიეროდ, ასახავს მუდმივად მეომარი ხალხის სწრაფვას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის მოფიქრალი ლიდერის პოზიციას, თუმცა რუსეთის ხელისუფლებისადმი ნდობის მისეულმა ვარაუდმა არ გაამართლა და მის მიერ იმ დროისათვის მართებული გადაწყვეტილება, ისევ რუსეთის იმპერიის უპირობის გამო ხშირად კრიტიკის ობიექტი გამხდარა.

§7. პეტრე ბაგრატიონი ნაპოლეონის წინააღმდეგ ბოროდინოს ველზე

ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ 1812 წლის ივნისში, ნაპოლეონის შეიარაღებული ძალების ნახევარი-690 ათასიანი არმია, ომის გამოუცხადებლად შეიჭრა რუსეთში,[1] რაც იმ დროისათვისაც კი ჰუმანიტარული სამართლის თვალთახედვით, მიუღებელი იყო. რუსეთის დასავლეთ საზღვარს მხოლოდ 200 ათასი ჯარისკაცი იცავდა. მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების წინაშე მათ უკან დახევა დაიწყეს.ნაპოლეონი იერიშზე ვიტებსკიდან გადავიდა. მას დიდი იმედი ჰქონდა, რომ რუსული არმია გაშლილ სივრცეში წინააღმდეგობის გაწევას ვერ შეძლებდა და მას იოლად გაანადგურებდა. ფრანგების სწრაფმა წინსვლამ ბონაპარტეს არმიას პოზიციები შეუსუსტა. მათი მთავარი ბაზა 575 მილის მოშორებით, კოვნოში მდებარეობდა. ეს რუსულ არმიას საშუალებას აძლევდა, რომ ფრანგების გადაჭიმული გრძელი მომარაგების ხაზისათვის შეეტია. ნაპოლეონი ხედავდა რუსების უპირატესობას, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლის გამართვის ცდუნება წინ მიაქანებდა, სადაც საბო-

[1] არმიის რაოდენობასა და ომის გამოცხადების პრობლემასთან დაკავშირებით არსებობს სხვა მოსაზრებაც.

ლოოდ გაანადგურებდა მათ საჯარისო შენაერთებს. ფრანგების ცენტრალური ძალა, რომლითაც ნაპოლეონი წინ მიიწევდა, 286000 კაცს შეადგენდა, თუმცა ბოროდინოს ბრძოლამ მათი რიცხვი 161475 კაცამდე შეამცირა. უმეტესობა შიმშილისა და დაავადებებისაგან იღუპებოდა. რუსეთის მთავარსარდალმა, შოტლანდიური წარმოშობის ფელდმარშალმა, სამხედრო მინისტრმა ბარკლაი დე-ტოლიმ ვერ შეძლო ფრანგებისათვის სერიოზული თავდაცვითი ზღუდეების შექმნა და მისმა მუდმივმა უკანდახევამ რუსეთის არმიისა და საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია. ბარკლაის გეგმას – ფრანგული არმიის რუსეთის სიღრმეში შემოტყუებას – თავიდან ბევრი მომხრე ჰყავდა, მაგრამ ნაპოლეონის ასეთმა სწრაფმა წინსვლამ დააფრთხო რუსი დიდგვაროვნები და მეფეს სხვა მთავარსარდლის დანიშვნა მოსთხოვეს. ალექსანდრე I-მა სამამულო ომის მდგომარეობა გაითვალისწინა და დე-ტოლის ადგილზე გენერალი მიხეილ ილარიონის-ძე კუტუზოვი დანიშნა. ფრანგების მიერ აღებული წინსვლის ტემპის შეჩერება ვერც კუტუზოვმა შეძლო. ის მტკიცე თავდაცვითი ხაზის შექმნას ვერ ასწრებდა. ამიტომ, ბარკლაი დე-ტოლის მსგავსად, ისიც უკან იხევდა. მაგრამ დადგა ჟამი, როდესაც მორიგი უკან დახევა მოსკოვის დათმობას ნიშნავდა, რასაც არც მორალური და არც პოლიტიკური გამართლება არ ჰქონდა. კუტუზოვმა თავის არმიებს თავი ერთად მოუყარა და საინჟინრო სამსახურის მიერ შეთავაზებული ადგილის გამაგრება დაიწყო. უმნიშვნელო შესვენების შემდეგ კუტუზოვმა გენერალური ბრძოლის გამართვა, ბოროდინოს ველზე გადაწყვიტა, 126 კილომეტრის დაშორებით მოსკოვიდან. ამ ადგილის გამაგრება კუტუზოვმა 3 სექტემბრიდან დაიწყო. იგი აძლიერებდა თავდაცვით პოზიციებს და განსაკუთრებით იმ მონაკვეთს, რომელიც ბრძოლის დროს ცენტრსა და მარჯვენა ფრთას მოიცავდა. ასევე მტკიცე განლაგება ჰქონდათ ბაგრატიონის ცნობილ ფლეშებს, რომლებიც რუსების მარცხენა ფრთას იცავდნენ.

საქართველოს სამეფო გვარის – ბაგრატიონთა ბუდიდან აფრინდა მთის არწივის მართვე, რომელსაც ბედმა წილად არგუნა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში საქვეყნოდ გაეთქვა სახელი. ასე იწყებს პეტრე ბაგრატიონის დახასიათებას ცნობი-

ლი მეცნიერი, აკადემიკოსი, გენერალ-ლეიტენანტი ირაკლი ჯორჯაძე.[1]

პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი დაიბადა 1765 წელს ყიზლარში, დაღესტნის ტერიტორიაზე.მისი ბაბუა რუსეთში გადახვეწილი ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის ამალის წევრი იყო, რომელიც რუსეთში დასახლდა. ბაგრატიონი მონაწილეობდა კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში. 1782 წ. ქართველმა თავადის ქალმა, მისმა ღვიძლმა მამიდამ 17 წლის პეტრე თავად პოტიომკინს წარუდგინა, რომელსაც ძალიან მოსწონებია მეფეთა შთამომავალი ქართველი ჭაბუკი და მისი ბრძანებით იგი კავკასიის მუშკეტერთა პოლკის სერჟანტად ჩარიცხეს, სადაც რვა წელი უმსახურია. იგი ოთხჯერ დაჭრილა ბრძოლებში, მაგრამ ძალიან მალე დგებოდა მწყობრში და კვლავ მებრძოლთა რიგებს უბრუნდებოდა. მსახურობდა კიევის ცხენოსან ეგერთა და სოფიის კარაბინერთა პოლკებში. მან ასევე გამოიჩინა თავი 1787-1791 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს. 1793-1794 წლებში მონაწილეობდა პოლონეთის კამპანიაში, ხოლო 1799 წელს – ალექსანდრე სუვოროვის ლაშქრობებში იტალიასა და შვეიცარიაში. საფრანგეთთან 1805-1807 წლების ომში მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სოფ. შენგრაბენთან, სადაც 6-ათასიანი რაზმით შეაჩერა ფრანგთა 30-ათასიანი არმია. ბაგრატიონმა თავი გამოიჩინა აგრეთვე აუსტერლიცის, პრეისიშ-ეილაუსა და ფრიდლანდიის ბრძოლებში. 1808-1809 წლებში მონაწილეობდა შვედეთთან ომში, სარდლობდა 21-ე დივიზიას. 1809-1810 წლებში, მარტამდე სარდლობდა მოლდავეთის არმიას რუსეთ-ოსმალეთის ომში. 1811 წლის აგვისტოდან სარდლობდა პოდოლსკის არმიას, 1812 წლის მარტიდან – დასავლეთის II არმიას. 1812 წლის დამდეგს ბაგრატიონმა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I წარუდგინა დეტალურად გათვლილი სტრატეგია – „1812 წლის კამპანიის გეგმა“, რომელიც იმ აზრით არის განმსჭვალული, რომ აქტიური თავდაცვის მიზნით დაასწროს ნაპოლეონს არმიების განლაგება და მთელი რიგი სტრატეგიული დარტყმები მიაყენოს ყველაზე სუსტი მიმართულებით. მას გაცნობის შემდეგ იმპერატორი გაოცებას ვერ მალავდა და

[1]ირ. ჯორჯაძე, ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან, თბ. 1990წ, გვ. 220

გეგმას მხარსაც უჭერდა, მაგრამ სამეფო კარზე და სამხედრო მმართველობაში გერმანელთა მოძალების შედეგად, იყო, რომ ბაგრატიონის გეგმის ნაცვლად პრუსიელი გენერლის მიერ დამუშავებული ფუშეს გეგმა მიიღეს, რომელიც შემდგომში მთლიანად ჩაიფუშა.[1] პეტრე ბაგრატიონის „სამხედრო დოქტრინა“ უამრავ პუმანური სამართლის ნორმას შეიცავდა. მისი გეგმა გათვლილი იყო გამარჯვების იდეაზე და არა ადამიანების ხოცვა-ჟლეტაზე. ბოროდინოს ბრძოლაში იგი სარდლობდა რუსეთის არმიის მარცხენა ფრთას, სადაც მან თავი გამოიჩინა. ფრანგების მასიური შეტევა მიზნად ისახავდა ბაგრატიონის ფლეშებად ცნობილი სამი რუსული პოზიციის ერთობლივად ხელში ჩაგდებას. ეს იყო ოთხი ისრის წვერის ფორმის ადგილი, რომელიც მდინარე კალოჩას წინ რკალად შეკრულ ეშელონს ქმნიდა. ეს პოზიციები იცავდა რუსების მარცხენა ფლანგს, თუმცა, არავითარი ლანდშაფტური გეოგრაფიული უპირატესობა არ გააჩნდა. ფლეშებს ასევე ჰქონდა საარტილერიო შენაერთები სოფელ სემინოვსკოეს მაღლობზე, რომლის ამაღლებული რელიეფი მდ. კალოჩას მარცხენა ნაპირის კონტროლის საშუალებას აძლევდათ. ბრძოლა დაიწყო 6 საათზე, არტილერიის დაბომბვის შემდეგ. პირველად შეტევაზე გადავიდნენ ფრანგული დივიზიები. მათ დაძლიეს ეგერთა წინააღმდეგობა და ფლეშებში უტიცკის ტყის გავლით შეაღწიეს. როდესაც განლაგება დაიწყეს, ისინი მოხვდნენ ეგერების ცეცხლის ქვეშ, რომლებსაც კონტრშეტევა წამოეწყოთ და ამის გამო უკან დახევა მოუხდათ. 8 საათზე ფრანგებმა მეორე იერიში წამოიწყეს და ფლეშების სამხრეთი ნაწილი დაიკავეს. ბაგრატიონმა ვორონცოვის დივიზიას საკუთარი ძალები მიახმარა. ფრანგებმა ფლეშები დატოვეს. დაიჭრნენ კომპანი და დეზე, ასევე, კონტუზია მიიღო მარშალმა დავუმ. მესამე შეტევისთვის ნაპოლეონმა გააძლიერა შემტევი ძალები ნეისა და მიურატის კორპუსების ნაწილებით, ასევე გაიზარდა ზარბაზნების რიცხვი 160-მდე. თავის მხრივ, ბაგრატიონმაც მიიღო დახმარება კუტუზოვისაგან, თუმცა ფრანგებმა მაინც შეძლეს ფლეშების სამხრეთ ნაწილში შეღწევა. ხიშტებით ბრძოლაში მძიმედ დაიჭრნენ გენერლები:

---

[1] ირ. ჯორჯაძე, ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან, თბ. 1990წ, გვ. 226.

დიმიტრი ნეველროვსკი და მიხეილ ვორონცოვი. რუსებმა კონტრშეტევა კირასირების პოლკით ისე წამოიწყეს, რომ მარშალი მიურატი. ლამის ტყვედ ჩავარდა. მათთვის სამწუხაროდ, კავალერიას მხარი ვერ აუბეს ქვეითებმა. კირასირები უკუგდებულ იქნენ ფრანგების მიერ. ასე რომ, დილის 10 საათისათვის ფლეშები ისევ ფრანგების ხელში აღმოჩნდა. საბოლოოდ რუსებმა მაინც შეძლეს მათი დაბრუნება ქვეითთა მესამე დივიზიის კონტრშეტევის შემდეგ, რომელსაც გენერალი კონოვნიცინი მართავდა. 11 საათისათვის ნაპოლეონმა 45 ათასი ქვეითითა და კავალერიით, ასევე, თითქმის 400 ქვემეხით დაიწყო მეოთხე იერიში. ბაგრატიონი, რომელიც მიხვდა, რომ ამხელა ძალების ზეწოლას ვერ გაუძლებდა, გადავიდა შეტევაზე 20 ათასი კაცით, რომლებსაც სათავეში თვითონ ჩაუდგა. ფრანგებმა ბაგრატიონის ძალები შეაჩერეს და დაიწყო ხიშტებით ბრძოლა, რომელიც ერთ საათს გაგრძელდა. რუსებმა უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ ამ დროს ბაგრატიონი ყუმბარის ნატეხებით თეძოში სასიკვდილოდ დაიჭრა და ბრძოლას გამოეთიშა. ამან ჯარისკაცებზე, რა თქმა უნდა, ცუდად იმოქმედა. მათ უკან დახევა დაიწყეს. მეორე არმიის ხელმძღვანელობა კონოვნიცინმა ითავა, რომელიც შემდეგ, კუტუზოვმა ინფანტერიის გენერალ დოხტუროვით შეცვალა. დაჭრილი ბაგრატიონი გადაიყვანეს მამიდასთან, სოფელ სიმში. თავისი სამხედრო მოღვაწეობის 30 წლიდან, ბაგრატიონმა 23 წელი ლაშქრობებში გაატარა. 24 სექტემბერს, ჭრილობის მიღებიდან 17 დღის შემდეგ, იგი გარდაიცვალა. ნაპოლეონი მას მამაც მხედართმთავრად თვლიდა, რუსეთის სხვა გენერლებისაგან განსხვავებით. 30 სექტემბერს ის სიმის ეკლესიაში დაკრძალეს. ბაგრატიონის ადიუტანტი დენის დავიდოვი ბაგრატიონის ნეშთის ბოროდინოს ველზე გადასვენებისათვის იბრძოდა. ერთ-ერთ წერილში, რომელიც ნიკოლოზ I-ის სახელზეა გაგზავნილი, ვკითხულობთ: „ხელმწიფეო! განა სირცხვილი არ არის? აქ არიან რაევსკი, დოხტუროვი, პლატოვი, და არ არის თვით ომის ღმერთი ბაგრატიონი, რომელმაც თავისი სისხლით მორწყა ეს მიწა, დღეს კი აღარც ცოცხალთა შორის იხსენიება და არც მკვდართა შორის“. 27 წლის შემდეგ მან საწადელს მიაღწია. 1839 წელს დავიდოვმა ბაგრატიონის ნეშტის გადასვენების

უფლება მოიპოვა, თუმცა ამას ვერ მოესწრო. გადმოსვენება მაინც შედგა, რომელსაც ქართველი სამღვდელოების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. წირვის დროს მოხდა საოცრება – წერს ი. ჯორჯაძე: როცა ცხენებშებმული ლაფეტი მოაგორეს, ხალხმა, სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოსულმა ვეტერანმა ჯარისკაცებმა ცხენები გამოუშვეს, თვითონ შეებნენ და გმირის ნეშტი ბოროდინომდე მიიტანეს. აი როგორ მიაგო პატივი დიდმა და უბრალო ხალხმა მხედართმთავრის კაცთმოყვარეობას და სიკეთეს. შემდგომში მისი საფლავი მუნდირის ოქროს ღილების გამო შეურაცხყვეს.

საქართველოს მთელი ისტორია აღსავსეა ლოგიკური და ალოგიკური ფაქტებით, ლოგიკურია, როცა ქართველები საქართველოსათვის, მისი დამოუკიდებლობისა და მთლიანობისათვის იბრძოდნენ და ალოგიკურია, როდესაც არაერთი გამოჩენილი მხედართმთავარი საქართველოს დამპყრობლებისა და მტრის მხარეზე იბრძოდა.

იმ დროს, როდესაც პეტრე ბაგრატიონი რუსეთის არმიის გამარჯვებისათვის სისხლს ღვრიდა და სიცოცხლეს სწირავდა, ალექსანდრე ბატონიშვილი სამშობლოს ერთგული მამულიშვილების მხარდაჭერით ებრძოდა რუსეთის ჯარს, რომელსაც გენერალი ორბელიანი ედგა სათავეში. სამწუხაროდ, მსგავსი მოვლენები წითელ ზოლად გასდევს საქართველოს ისტორიას, ადრინდელი პერიოდიდან, დღემდე. მაგრამ, „საქართველო სწორედ მტრისადმი ზურგშეუქცევლმა („იმდენი ოფლი, იმდენი სისხლი, არცერთს ერსა არ დაუღვრია“ – ვაჟა-ფშაველა), ქვეყნის სიყვარულით გამთბარმა, მისი წარსულით შთაგონებულმა და შემართულმა, ბრწყინვალე ტაძრების ამშენებელმა, მრავალხმიანი ქართული მუსიკისა და ოქრომჭედლობის უნიკალური ნიმუშების შემქმნელმა ბრძენმა ქართველმა მოიტანა დღემდე“,[1]- წერს აკადემიკოსი რ. მეტრეველი.

[1]რ. მეტრეველი, ღალატი და ერთგულება, თბ. 2010წ. გვ. 35

§8. აშშ-ის შეიარაღებული ძალების ქართველი გენერალი, ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი

პროფ. ნ. ჯავახიშვილი თავის პუბლიკაციაში, რომელიც ჯონ შალიკაშვილს ეძღვნება, წერს: გასული საუკუნის მიწურულს აშშ-ში ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი სამხედრო იყო ჯონ მალხაზ შალიკაშვილი. ავტორი იქვე დასძენს, რომ გენერალსიმუსის, იოსებ სტალინის (ჯუღაშვილი) შემდეგ, საქართველოს ფარგლებს გარეთ ეთნიკურად ქართველ ჯონ შალიკაშვილამდე არ ყოფილა არავინ ასეთ მაღალ სამხედრო თანამდებობაზე. ბოლოს მას ორი არჩევის ვადით ეკავა აშშ-ის შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი. ეს იყო ძალიან დიდი თანამდებობა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სისტემაში. მის კომპეტენციაში შედიოდა აშშ-ის შეიარაღებული ძალების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა, სტრატეგიული და საკადრო პოლიტიკის დაგეგმვა – განხორციელება, ახალი პროგრამების შემუშავება და მათი ფინანსური საბიუჯეტო დოქტრინების მომზადება. სამხედრო სწავლა-განათლებისა და ტაქტიკური მიმართულებების განსაზღვრა და ა.შ.

მისი ასეთ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა განაპირობა ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის პოსტზე ყოფნისას მის მიერვე შექმნილმა მობილურმა სწრაფი რეაგირების დანაყოფების ეფექტურმა საქმიანობამ, რასაც არნახული შედეგები მოყვა სხვადასხვა მიმართულებით.

მის პროფესიულ წონაზე მეტყველებს ამერიკის მაშინდელი პრეზიდენტის ბილ ქლინთონის განცხადება, სადაც იგი აღნიშნავდა: "შალიკაშვილი იმიტომ ავირჩიე, რომ დარწმუნებული ვარ, მას შეუძლია უხელმძღვანელოს ნებისმიერ სამხედრო ოპერაციას, რომელიც მის ქვეყანას დასჭირდება და გაიმარჯვოს. სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ იგი აბსოლუტურად გულახდილი იქნება ჩემთან და როგორც სამხედრო პირი, პროფესიული თვალსაზრისით მუდამ უნაკლო რჩევა-დარიგებას მომცემს, რომელიც ჩემთვის, როგორც პრეზიდენტისათვის, შეიძლება აუცილებელი გამოდგეს".

ვინ იყო ჯონ შალიკაშვილი და როგორ მიაღწია მან მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ქვეყანაში ამხელა თანამდებობას? ამ კითხვას თვითონ ჯონ შალიკაშვილის წარმატებული სამხედრო კარიერა პასუხობს.

როგორც პუბლიკაციის ავტორი ნ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, შალიკაშვილების გვარი იმდენადაა ცნობილი, რომ მათი გენეალოგია მონოგრაფიული კვლევის საგანიც კი გამხდარა. ნარკვევიდან ჩვენ მხოლოდ უშუალოდ ჯონ მალხაზ შალიკაშვილის წარმომავლობით დავინტერესდით. ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის მამა დიმიტრი შალიკაშვილი (1896-1978) სანქტ-პეტერბურგის კადეტთა კორპუსში სწავლობდა. მას მოუწია პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობაც. იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაშიც მსახურობდა. 21 წლის ასაკში დიმიტრი ოსმალეთში საქართველოს საელჩოს თანამშრომელია და შემდეგ პოლონეთის არმიის ოფიცერი, სადაც დაოჯახდა და სამი შვილი – ორი ბიჭი და ერთი გოგო შეეძინა (მეუღლე მარია რიდიგერ-ბელიაევა). ჯონ მალხაზ შალიკაშვილი შუათანა იყო (დაიბადა 1933 წ). 1944 წელს საბჭოთა ჯარების პოლონეთში შეჭრის შემდეგ შალიკაშვილების ოჯახი გერმანიაში (ბავარიაში) გადასულა, სადაც ნათესავებს შეაფარეს თავი. 1952 წლიდან დიმიტრი შალიკაშვილი თავისი ოჯახით ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა. ჯონ შალიკაშვილმა ბრედლის უნივერსიტეტის საინჟინრო-მექანიკური ფაკულტეტი დაამთავრა და შესაბამის დარგში ბაკალავრის ხარისხი მოიპოვა, ხოლო ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მას საერთაშორისო ურთიერთობათა მაგისტრის ხარისხი მიენიჭა. პროფ. ნ. ჯავახიშვილს თავის ნაშრომებში იმდენად დეტალურად აქვს განხილული ჯონ მალხაზ შალიკაშვილის, მისი ოჯახისა და წინაპრების ბიოგრაფიები, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს. ჩვენ მხოლოდ მონაცემების ნაწილით ვსარგებლობთ, რათა სტუდენტებს წარმოდგენა შეუქმნათ, გენით ქართველი სამხედრო მეთაურის შესახებ, რომელმაც ამერიკის სამხედრო ისტორიაში არაერთი ნათელი ფურცელი ჩაწერა და ისე, როგორც სხვადასხვა სფეროებში არაერთმა ქართველმა, უდიდესი სამსახური გაუწია აშშ-ს.

სამხედრო სამსახურისადმი დაინტერესებამ, სამხედრო-საზღვაოსნო სასწავლებლის, შტაბის კოლეჯისა და არმიის სამხედრო კოლეჯის, 1959 წელს ოფიცერთა საკანდიდატო სკოლის დამთავრებამ მას არტილერიის მეორე რანგის ლეიტენანტის სამხედრო ჩინი მოუტანა და 38 წლის განმავლობაში ხანგრძლივი სამხედრო გზა გაატარა ალიასკიდან დაწყებული – ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაზე (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იტალია, ვიეტნამი, სამხრეთ კორეა). ჯონ მალხაზ შალიკაშვილს არასოდეს დავიწყებია „ვისი გორისა იყო“ და 1992 წელს პირველად ეწვია საქართველოს.[1] მას შემდეგ ის თვალყურს ადევნებდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და მოესწრო ქართული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებას და საერთაშორისო მისიებში ჩართვას, რითაც ამაყობდა კიდეც. იგი გარდაიცვალა 2011 წლის 23 ივლისს, მაგრამ მან შექმნა საკუთარი წარუშლელი ბიოგრაფია, რომლითაც კვლავაც იამაყებს მომავალი თაობა. ამასთანავე აღსანიშნავია მისი დიდი დამსახურება სამხედრო სტრატეგიის თანამედროვე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ჩამოყალიბებისა და ფორმირების საქმეში. ჯ. შალიკაშვილი სამხედრო და პროფესიული თვალსაზრისით, მსოფლიო მასშტაბით არის მისაბაძი მომავალი თაობებისათვის.

[1] ამერიკის შესწავლის საკითხები, თბ. 2003წ. გვ. 199.

თავი III

შეიარაღებული კონფლიქტების ცნება, კლასიფიკაცია და სახეები საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში

§1. შეიარაღებული კონფლიქტების ცნება და სახეები

როგორც უკვე აღინიშნა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი გამოიყენება შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში. რამეთუ, როგორც ა. მეიროვიცი თვლის, იგი „ომისათვის დამახასიათებელ არაადამიანურ პირობებში ადამიანურობას შეგვანარჩუნებინებს".[1] ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: რა იგულისხმება შეიარაღებული კონფლიქტის ცნებაში? საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები არ შეიცავს განსაზღვრებებს: „შეიარაღებული კონფლიქტი" ან „ომი". ამავე დროს, მე-2 მუხლში, რომელიც ჟენევის ოთხივე კონვენციისათვის საერთოა, საუბარია იმის შესახებ, რომ იგი „გამოყენებული იქნება ომის გამოცხადების ან ყოველგვარი სხვა შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება გაჩნდეს ორ ან რამდენიმე მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შორის იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთ-ერთი მხარე არ ცნობს ომის მდგომარეობას".[2] ამ მუხლის შინაარსიდან გამოდის, რომ ცნება – „შეიარაღებული კონფლიქტი" უფრო ფართო გაგებას მოიცავს, ვიდრე ცნება – „ომი." თუმცა, ქვეყნებს შორის სასაზღვრო ინციდენტიარაღის გამოყენებით შეიძლება მივაკუთვნოთ შეიარაღებულ კონფლიქტს, მაგრამ ვერ ვუწოდებთ ომს, რამდენადაც ის ლოკალურ ხასიათს ატარებს და ჩვეულებრივი ომისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი შედეგები არ მოჰყვება, თუმცა, საერთაშორისო კონფლიქტის საფუძვლები, როგორც უკვე ითქვა, გულისხმობს სამხედრო ოკუპაციასაც, ფართო გაგებით „საერთაშორისო კონფლიქტი" უნდა მივიჩნიოთ, ისე რომ მოიცავს ომებს, ე.ი. კონფლიქტი ითავსებს ომის ცნებასაც.[3]

---

[1] გ. თორაძე, შეიარაღებული კონფლიქტების სამართალი, თბ. 2001წ. გვ. 5.

[2] ჰ.პ გასერი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (შესავალი), თბ. 1999წ. გვ. 348.

[3] შესავალი ლტოლვილთა სამართალში, თბ. 2001წ. გვ. 104.

„ომი სისხლისღვრაა, ომი უბედურებაა, ომი დამთქმელია ადამიანის სიცოცხლისა, ადამიანის ღვაწლისა, მონაგრისა. გული სწუხს და იტანჯება როცა ეს აგონდება"[1] - „იეერიის" სარედაქციო წერილში აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე.

თუ თვალს გადავავლებთ კაცობრიობის ისტორიას, აღმოჩნდება, რომ ამ ხნის მანძილზე მხოლოდ 300 წელიწადი იყო მშვიდობიანი. მომხდარა 15000 ომი, რომელმაც შეიწირა 3,5 მილიარდი ადამიანი.[2]

იურიდიულ ლექსიკონებსა და საცნობარო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ომი-შეიარაღებული ბრძოლაა, რომელსაც შეიძლება აწარმოებდნენ სახელმწიფოები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილე ხალხები, ასევე, სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი აგრესიულ ომს საერთაშორისო დანაშაულის კვალიფიკაციას აძლევს. განასხვავებენ სამართლიან (მართლზომიერ) ომს. ასეთებია, მაგ. ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვა აგრესიის წინააღმდეგ, ომი კოლონიზატორთა წინააღმდეგ, თვითგამორკვევის უფლების განხორციელებისათვის. გაეროს წესდებით, ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის ხელშეუვალი უფლება იმ შემთხვევაში, თუკი მოხდება შეიარაღებული თავდასხმა ორგანიზაციის წევრებზე, იქამდე, სანამ უშიშროების საბჭო არ მიიღებს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების მხადასაჭერად აუცილებელ ზომებს. ორგანიზაციის წევრების მიერ თავდაცვის ამ უფლების განხორციელებისას მიღებული ზომების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს და ისინი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეხებოდეს უშიშროების საბჭოს წესდების შესაბამის უფლებებსა და პასუხისმგებლობას ნებისმიერ დროს ისეთ ქმედებათა განხორციელების მიმართ, როგორებსაც იგი ჩათვლის საჭიროდ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების მხარდასაჭერად ან აღსადგენად.[3]

---

[1] ი.ჭავჭავაძე გაზ. „იეერია" 1877წ. №8, გვ. 1.

[2] გ. თორაძე, შეიარაღებული კონფლიქტების სამართალი, თბ. 2001წ. გვ. 21.

[3] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ., 2003 წ. გვ. 212.

ომები ხშირად უსაფუძვლოდ იწყება, რადგან თუ არა არსებობს საფუძველი შურისძიებისა, ანდა მტრის თავდასხმის მოგერიების აუცილებლობისა მაშინ შეუძლებელია სამართლიანი ომის წარმოება, თავის დროზე წერდა ციცერონი.

ომის ხასიათის მიუხედავად, აუცილებელია ომის იმ კანონებისა და ჩვეულებების დაცვა, რომლებიც აღნიშნულია ჰააგის 1899 და 1907 წლების კონვენციებში, ჟენევის 1949 წლის კონვენციებში და სხვა საერთაშორისო კონვენციებში. მეომარ მხარეთა (ასევე მათ ტერიტორიაზე მყოფი მოსახლეობის) ინტერესებს იცავს ნეიტრალური სახელმწიფო, რომელსაც საამისოდ აირჩევენ მეომარი მხარეები. მშვიდობა შეიძლება აღდგეს მხოლოდ სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტის (ზავის და დაზავების) საფუძველზე. ომი, წესისამებრ წყდება სამშვიდობო ხელშეკრულების დადებით. თანამედროვე საერთაშორისო სამართლით ომი აკრძალულია. ბოლო დროს ტერმინ „ომის" ნაცვლად იხმარება ტერმინი „შეიარაღებული კონფლიქტი". საკითხი ომის აკრძალვის შესახებ თავდაპირველად I მსოფლიო ომის შემდეგ დაისვა ერთა ლიგაში. ამ საკითხზე საკმაოდ მოკრძალებული გადაწყვეტილება იქნა მიღებული ე.წ. ბრიან-კელოგის პაქტით, რომლითაც ომი, როგორც პოლიტიკის საშუალება, აიკრძალა. მოგვიანებით ეს დებულება აისახა გაეროს წესდებაში.

საერთაშორისო სამართლის ნორმებით, სპეციალური კონვენციებითა და ნორმატიული აქტებით აიკრძალა არა მარტო ომის დაწყება, არამედ ნებისმიერი სახის სამხედრო, ეკონომიკური, ფინანსური და სხვა ზომების გამოყენება ამა თუ იმ სახელმწიფოს დაპყრობის ან მისი პოლიტიკური დაქვემდებარების მიზნით. ნიურნბერგისა და ტოკიოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალების წესდებებით და გაეროს გენერალური ასამბლეის 1946 წლის 11 ნოემბრის რეზოლუციით, აგრესიული ომის დაგეგმვა, მომზადება და გაჩაღება საერთაშორისო დანაშაულად არის აღიარებული. გაეროს წევრი სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ გაატარონ ყველა ღონისძიება, რათა მომავალ თაობას ააცილონ ომის საშინელებანი და დედამიწაზე მშვიდობა დაამკვიდრონ; ასევე, ვალდებულებას კისრულობენ, თავი შეიკავონ ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენებისაგან, როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის

ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებისაგან. ასევე აკრძალულია ძალის გამოყენება სხვა რაიმე სახით, თუ იგი შეუთავსებელია გაეროს მიზნებთან.[1]

ე.ი. ომი არის ისეთი შეიარაღებული შეჯახება სახელმწიფოთა შორის, სახელმწიფოთა ჯგუფს, ან სახელმწიფოსა და სახელმწიფოთა ჯგუფებს შორის, რომლის შედეგადაც ითვლება მეომარ მხარეთა შორის არსებულ მშვიდობიან ურთიერთობებზე გათვლილ შეთანხმებათა შეწყვეტა, დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა და ა.შ., რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი. ომები მიმდინარეობს საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ისინი გამოირჩევიან მასშტაბურობითა და მაღალი ინტენსივობით.

სჰს-ში შეიარაღებული კონფლიქტები ორ სახედ იყოფა: საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული ხასიათის კონფლიქტებად.[2]

საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში შეიარაღებული კონფლიქტების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი. იგი გამოიხატება ორი ან მეტი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს შორის ან ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისა და მეტროპოლიის შეიარაღებულ ძალებს შორის სამხედრო მოქმედებებში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე პარტიზანების ბრძოლით. ს.შ.კ-ის მხარეები მოვალენი არიან დაიცვან ომის კანონები და ჩვეულებები, რომელსაც შეიცავს „ჟენევის სამართალი" და „ჰააგის სამართალი". დაიცვან კულტურული ფასეულობები. აკრძალულია თავდასხმა მშვიდობიან მოსახლეობის სასიცოცხლო ობიექტებზე (სახნავ მიწებზე, სასმელი წყლის წყაროებზე, ირიგაციულ სისტემებზე და სხვა), აგრეთვე, ისეთ ნაგებობებზე (წყალსაცავები, დამბები, ატომური ელექტროსადგურები და სხვ), რომელთა ნგრევამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დანაკარგები მშვიდობიან მოსახლეობაში. განსაკუთრებული დაცვის ობიექტებად არიან მიჩნეული ქალები და ბავშვები, დაჭრილები და

---

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი) თბ. 2003წ. გვ. 211.

[2] International Review of the Red Cross," Typology of Armed Conflicts ", Volume 91 Number 873 March 2009 (ICRC).

ავადმყოფები, სამედიცინო პერსონალი და სანიტარული სატრანსპორტო საშუალებანი. განსაზღვრულია აგრესორის თავდასხმის ან სხვა სახელმწიფოს მიერ ოკუპაციის დროს მიყენებული ზარალის კომპენსაცია (იხ. ჟენევის 1949 წლის კონვენციები და 1977 წლის დამატებითი ოქმები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ).

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი განასხვავებს შეიარაღებულ კონფლიქტებს მათი პოლიტიკური ხასიათის მიხედვით. იგი „საერთაშორისოდ" ჩაითვლება, თუ ადგილი აქვს შეიარაღებულ კონფლიქტს, რომელშიც მონაწილეობს ორი ან რამდენიმე სახელმწიფო, ან ხალხები, რომლებიც იბრძვიან კოლონიური ჩაგვრის, უცხოური ოკუპაციის და რასისტული რეჟიმის ბატონობის წინააღმდეგ თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის მიზნით (ჟენევის 1977 წლის ოქმი №1).[1]

აქედან გამომდინარე, საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს მიეკუთვნება:

– შეიარაღებული დაპირისპირება სახელმწიფოებს შორის (ისრაელ-არაბული შეიარაღებული კონფლიქტი, წარმოებული 1967 წლიდან დღემდე; აშშ-ის, ინგლისისა და სხვა სახელმწიფოთა თავდასხმა ერაყზე 2003 წლის მარტში; ინგლის-არგენტინის ომი 1982 წ);

– როცა ხალხები იბრძვიან კოლონიური ჩაგვრის, უცხოელთა ოკუპაციისა და რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ, ახორციელებენ რა თვითგამორკვევის უფლებას, რომელიც განმტკიცებულია გაეროს წესდების შესაბამისად მეგობრულ ურთიერთობასა და თანამშრობლობასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ;[2]

– ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომები.

საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკიდან გამომდინარე, საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს უნდა მიეკუთვნოს შიდა შეიარაღებულ კონფლიქტში მესამე სახელმწიფოს ჩარევა ერთ-ერთი მეომარი მხარის ინტერესების დასაცავად, აგრეთვე, გაეროს შეიარაღებული ძალების მონაწი-

---

[1] ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2010წ. გვ. 550.

[2] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული) თბ. 2008წ. გვ. 74

ლეობა და მისი ძალების ჩაბმა შიდა შეიარაღებულ კონფლიქტში მშვიდობის დასაჯავად (ამ შემთხვევაში, შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების არსებობისას).

საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებს მიეკუთვნება ის შეიარაღებული კონფლიქტები, რომლებიც მიმდინარეობს რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მის შეიარაღებულ ძალებსა და ანტისამთავრობო შეიარაღებულ ძალებს ან სხვა შეიარაღებულ ჯგუფებს შორის, რომლებიც იმყოფებიან რა პასუხისმგებელი მეთაურობის ქვეშ, ახორციელებენ ასეთ კონტროლს ამ სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილზე, რაც მათ აძლევს საშუალებას, აწარმოონ უწყვეტი და შეთანხმებული საბრძოლო მოქმედებები და გამოიყენონ II ოქმი (მაგალითად, შეიარაღებული კონფლიქტი სალვადორის რეგულარულ ჯარებსა და ფარაბუნდო მარტის სახელობის ნაციონალური განთავისუფლების ფრონტს შორის, რომელიც 1992 წელს დასრულდა მეომარ მხარეებს შორის მშვიდობიანი შეთანხმებით). შეიარაღებული კონფლიქტები პოსტსაბჭოთა სივრცეში-დნესტრისპირეთი მოლდოვაში, რუსეთის მიერ ინსპირირებული ოსური და აფხაზური კონფლიქტები, ბრძოლები საქართველოში და ა.შ). მსგავს შეიარაღებულ კონფლიქტებს მიეკუთვნება სამოქალაქო ომებიც (სამოქალაქო ომი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის აშშ-ში (1861-1865 წ.წ.), სამოქალაქო ომი რუსეთში (1918-1920 წ.წ.), ესპანეთში (1936 წ).

მკვლევართა ნაწილის აზრით, შეიარაღებული კონფლიქტის ცნებისადმი მიდგომა ძალზედ მოქნილი და ლიბერალურია, როდესაც კონფლიქტს საერთაშორისო ხასიათი აქვს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ლაპარაკია სახელმწიფოთა შორის კლასიკურ დაპირისპირებაზე. სამაგიეროდ, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ომების შემთხვევაში, შეიარაღებული კონფლიქტის ხასიათი განისაზღვრება უფრო ვიწრო გაგებით. იგივე ხდება მაშინ, როცა კონფლიქტი არ არის საერთაშორისო.[1]

არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტი ისეთი შეიარაღებული დაპირისპირებაა, რომელიც სახელმწიფოს

---

[1] გ. თორაძე, შეიარაღებული კონფლიქტის სამართალი (შესავალი) თბ. 2001წ. გვ. 114.

ტერიტორიაზე, ერთის მხრივ, მთავრობასა და მეორე მხრივ, ამბოხებულ შეიარაღებულ დაჯგუფებათა შორის მიმდინარეობს.[1]

შეიარაღებულ კონფლიქტებში (ჟრასაერთაშორისო ხასიათისა) გამოიყენება შემდეგი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები: ჟენევის ოთხივე კონვენციისათვის საერთო მე-3 მუხლი (1949 წ.), ჰააგის კონვენციისა – კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ (1954 წ.) და ჟენევის კონვენციების 1977 წლის დამატებითი ოქმი. 1996 წლის შესწორებით და დამატებითი ჩვეულებრივი იარაღის იმ კონკრეტული სახეების აკრძალვის ან გამოყენების შეზღუდვის შესახებ, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს გადამეტებული ზიანის მომტანად და აქვთ განურჩეველი მოქმედება და აგრეთვე, საერთაშორისო სისხლის სამართლის რომის სტატუტი.

ამ ნორმების შინაარსი შეიძლება შეიცვალოს კონფლიქტის ბუნებისა და მასშტაბის მიხედვით. რაც უფრო სერიოზულია არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი, მით უფრო მეტი რაოდენობისა და სირთულის ნორმები მოქმედებებენ.

საშინაო წესრიგის დარღვევისა და შიდა დაძაბულობის შემთხვევაში, როგორიცაა მაგალითად, ძალმომრეობის ცალკეული და სპორადული აქტები ან ანალოგიური ძალმომრეობის აქტები, რამდენადაც ესენი არ წარმოადგენს შეიარაღებულ კონფლიქტს.[2] ე.ი. იმ შემთხვევაში, როდესაც შეიარაღებული კონფლიქტი შეზღუდული ხასიათისაა, მის მიმართ იყენებენ მცირე რაოდენობის ნორმებსაც.

1998 წლის II დამატებითი ოქმის გამოყენების სფეროდან გამორიცხულია დაძაბულობისა და უწესრიგობების სიტუაციები ქვეყნის შიგნით, უწესრიგობები, ძალადობის ცალკეული და სპორადული აქტები და ანალოგიური ხასიათის სხვა აქტები (მუხ. 1, §2).

---

[1] ჰანს-პეტერგასერი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (შესავალი) თბ. 1999წ. გვ. 141.

[2] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ, 2006წ.გვ172

§2. ომის გამოცხადებისა და მის დამთავრებამდე დამდგარი სამართლებრივი შედეგები

სპეციალურ იურიდიულ ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია ზოგადი ცნება ომის გამოცხადების შესახებ. იგი არის ერთი სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ სახელმწიფოსთან (სახელმწიფოებთან) სამშვიდობო ურთიერთობათა გაწყვეტა და საომარ მდგომარეობაში გადასვლა. საომარ მდგომარეობათა დაწყების წესები განმტკიცებულია 1907 წლის მესამე კონვენციაში. აღნიშნული კონვენცია მიღებულ იქნა იმ პერიოდში, როდესაც არ არსებობდა აგრესიული ომის ამკრძალავი საერთაშორისო დოკუმენტი. საკითხი ომის აკრძალვის შესახებ პირველად ერთა ლიგაში დაისვა პირველი მსოფლიო ომის შედეგ, მაგრამ ერთა ლიგის წესდება მხოლოდ ზღუდავდა ომის დაწყებას სამთვიანი ვადის დაწესებით. ბრიან-კელოგის პაქტით, 1928 წელს აიკრძალა ომი როგორც ეროვნული პოლიტიკის საშუალება. მოგვიანებით, აღნიშნული დებულება უფრო ფართოდ აისახა გაეროს წესდებაში (მუხ.2, პუნქ.4). დღეს ომის გამოცხადების წესებმა დაკარგეს თავისი მნიშვნელობა, რადგან სახელმწიფოს მიერ ომის გამოცხადება დაიშვება მხოლოდ როგორც აგრესიის საპასუხო აქტი.[1]

იურიდიული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია იმ საკითხის გარკვევა, თუ როგორ ცვლილებებს იწვევს მეომარ მხარეებს შორის მანამდე არსებულ ურთიერთობებში ომის მდგომარეობის გამოცხადება, რადგანაც სწორედ ამ მომენტიდან იწყება მეომარ მხარეთა საერთაშორისო ურთიერთობების გარდაქმნა, რომელსაც მოჰყვება რიგი იურიდიული შედეგების დადგომა.

უპირველეს ყოვლისა, მეომარ მხარეებს შორის წყდება დიპლომატიური და, როგორც წესი, საკონსულო ურთიერთობები. დიპლომატიურ და საკონსულო პერსონალს უფლება აქვს დატოვოს მტრული სახელმწიფოს ტერიტორია. ამასთან, ეს სახელმწიფო ვალდებულია გაუწიოს სათანადო დახმარება, რაც აუცილებელია ტერიტორიის იმ პირთა მიერ მაქსიმალურად სწრაფად დატოვებისათვის, რომლებიც სარგებლობენ პრივილეგიებით და იმუნიტეტებით, აგრეთვე, მათი ოჯახის წევ-

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ცნობარი-ლექსიკონი), თბ. 2003წ. გვ. 213.

რებისათვის (მუხ. 44, 1961 წლის ჟენევის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, 1961 წ). ერთი მეომარი სახელმწიფოს და მისი მოქალაქეების ინტერესების დაცვა მეორე სახელმწიფოში ევალება მესამეს, ჩვეულებრივ ნეიტრალურ სახელმწიფოს, რომელიც დიპლომატიურ ურთიერთობებს ინარჩუნებს ორივე მეომარ სახელმწიფოსთან. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დროს, სსრკ-ს ინტერესებს გერმანიაში და გერმანიის ინტერესებს სსრკ-ში წარმოადგენდა შვედეთი, ხოლო ამერიკის ინტერესებს იტალიაში, გერმანიაში და იტალიისა და გერმანიის ინტერესებს აშშ-ში – შვეიცარია. ამჟამად, საქართველოსა და რუსეთს შორის ინტერესებს შვეიცარია გამოხატავს.

თუ ჩნდება მეომარ მხარეთა შორის მოლაპარაკების გამართვის აუცილებლობა, ეს შეიძლება განხორციელდეს ნეიტრალური ქვეყნების შუამდგომლობით.მაგალითად, 1945 წლის მოლაპარაკებები უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ სსრკ-ს, აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, ჩინეთს, ერთის მხრივ და იაპონიას, მეორე მხრივ, ტარდებოდა შვეიცარიის მეშვეობით.

მეორე: მტრის საკუთრება ექვემდებარება კონფისკაციას. ოღონდ ეს დებულება არ ვრცელდება დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებზე. საზღვაო ხომალდებს ეძლევათ დრო, რომლის განმავლობაშიც მათ უნდა დატოვონ მტრული სახელმწიფოს პორტები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდება მათი კონფისკაცია.

მესამე: ომის მდგომარეობის გამოცხადება გავლენას ახდენს მოქალაქეთა სამართლებრივ მდგომარეობაზე, რომელიც იმ ფაქტორის გათვალისწინებით განისაზღვრება, მონაწილეობდნენ თუ არა ისინი უშუალოდ შეიარაღებულ კონფლიქტში თავისი შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში (სამხედრო მოსამსახურეები, პარტიზანები). თუ ისინი ასეთებად არ ითვლებიან – მიეკუთვნებიან მშვიდობიან სამოქალაქო მოსახლეობას. იმ უცხოელების მიმართ, რომლებიც მტრული სახელმწიფოების მოქალაქეებად ითვლებიან, გამოიყენება სპეციალური რეჟიმი, რომლის შესაბამისად ისინი შეიძლება საცხოვრებლად განთავსდნენ განსაზღვრულ რაიონებში ან იქნან ინტერნირებულნი.

მეოთხე: მოქმედებას წყვეტენ პოლიტიკური (თავდაუსხმელობის, ნეიტრალიტეტის შესახებ), ეკონომიკური და სხვა ხელშეკრულებები, რომლებიც გათვლილია მშვიდობიან ურ-

თიერთობებზე. ზოგიერთი ხელშეკრულება (სავაჭრო, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა) ან დროებით შეჩერდება, ან წყვეტს მოქმედებას და პირიქით, პრაქტიკაში გამოიყენება ის ხელშეკრულებები, რომლებიც ადგენენ ომის წარმოების წესებს.

ამგვარად, ომის გამოცხადება მოქმედებს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა (ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ, სამხედრო და სხვა) სფეროზე, რაც, ბუნებრივია, იწვევს ძირეულ ცვლილებებს მათ საერთაშორისო-სამართლებრივ საფუძველში.ამ მომენტიდან იწყებენ მოქმედებას, ან, უფრო ზუსტად, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან გამოიყენონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები.

ყველა ომი ადრე თუ გვიან მთავრდება და სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა მყარდება. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ომის შეჩერებას და ომის მდგომარეობის შეწყვეტას.[1]

როგორც უკვე აღინიშნა, ერთმანეთისაგან განასახვაებენ ომის შეჩერებასა და ომის მდგომარეობის შეწყვეტას, რომლებიც სხვადასხვა ფორმით გამოიხატება. ესენია: საერთო დაზავება, ადგილობრივი დაზავება, უსიტყვო კაპიტულაცია. საერთო დაზავების დროს, ფრონტზე ყოველგვარი საომარი მოქმედება წყდება. წესისამებრ, ასეთი დაზავება წინ უსწრებს სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას, შეთანხმება ადგილობრივი დაზავების შესახებ დაღუპულ სამხედროთა მოძიებასა და დასაფლავებას, ბრძოლის ველიდან დაჭრილთა გამოყვანასა და მათთვის დახმარების აღმოჩენას გულისხმობს. ასევე ითვალისწინებს იგი ალყაშემორტყმულ ზონაში მყოფ დაჭრილთა, ავადმყოფთა, მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციის მიზნით ამ ზონაში სანიტარული პერსონალისა თუ სანიტარულ მოწყობილობათა გატარებას. ორივე ასეთი დაზავება ფორმდება მხარეთა შეთანხმებით. ერთი მხარის მიერ დაზავების ცალმხრივად დარღვევა აგრესიის აქტად ითვლება.[2]

ომის დამთავრება შეიძლება ცალმხრივი ან ორმხრივი დეკლარაციის საშუალებითაც მოხდეს, რაც არ გამორიცხავს მომავალში საზავო ხელშეკრულების დადების აუცილებლობას.

---

[1] ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი თბ. 2010წ. გვ. 377.

[2] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ. 2005წ. გვ. 213.

დამარცხებულ აგრესორთან საზავო ხელშეკრულების შემუშავება-დადებაში უნდა მონაწილობდეს ყველა მეომარი სახელმწიფო. ცალმხრივი, სეპარატული ხელშეკრულების დადება მართლსაწინააღმდეგო აქტად ითვლება.

§3. შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილენი და სახელმწიფოთა სამხედრო მოქმედებების თეატრი

საერთაშორისო სამართლის უნივერსალური ნორმები შეიარაღებული კონფლიქტის დროს ითვალისწინებენ სახელმწიფოების შესაძლებლობას, აწარმოონ სამხედრო მოქმედებები განსაზღვრულ სივრცობრივ ფარგლებში, რასაც თეატრი ეწოდება.

ასახსნელია, თუ რას წარმოადგენს ომის თეატრი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პოზიციიდან. ამ ცნებაში შედის სახელმწიფოთა სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ტერიტორია, აგრეთვე, ღია ზღვა და საჰაერო სივრცე მის ზემოთ, რომლის ფარგლებშიც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს შეიარაღებულ კონფლიქტს. ბუნებრივია, რომ იმ სახელმწიფოების ტერიტორია, რომლებიც ომში არ მონაწილეობენ, საერთაშორისო მდინარეები, არხები და სრუტეები (არასანაპირო სახელმწიფოებისათვის), ნეიტრალური ზონები ხელშეუხებელია მეომარი სახელმწიფოებისათვის. კატეგორიულად აკრძალულია სამხედრო მოქმედებების წარმოება მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.[1] ნეიტრალურ სახელმწიფოთა ტერიტორია არ შეიძლება გადაიქცეს ომის თეატრად (რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი), აგრეთვე, ნეიტრალიზებული ტერიტორიები და სივრცეები, რომელთა სამართლებრივი რეჟიმი, როგორც ასეთი, დადგენილია სპეციალური საერთაშორისო შეთანხმებებით. ნეიტრალიზებული ტერიტორიის მაგალითად შეიძლება გამოდგეს შპიცბერგენის არქიპელაგი, რომლის მიმართაც ნორვეგიამ აიღო ვალდებულება, რომ არ შექმნის და არ დაუშვებს რაიმე საზღვაო ბაზის შექმნას იმ ადგილებში, რომლებიც განსაზღვრულია ხელშეკრულებით შპიცბერგენის შესახებ 1920 წლის

---

[1] ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2010წ. გვ366.

9 თებერვალს. აგრეთვე, არ დაუშვებს არავითარი სიმაგრეების მშენებლობას იმ ადგილებში, რომლებიც არასდროს არ უნდა იყოს გამოყენებული სამხედრო მიზნებით (მუხ. 9).

ომის თეატრიდან უნდა იყოს გამორიცხული ასევე, სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილი სპეციალური ზონის განლაგების მიზნით, რაც გათვალისწინებულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებით. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს მეომარი სახელმწიფოების უფლება, შექმნან თავიანთ ტერიტორიაზე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმგვარად ორგანიზებული სანიტარული ზონები და ადგილები, რომლებიც ომის მოქმედებებისგან დაიცავენ დაჭრილებისა და ავადმყოფების, ასევე, იმ პერსონალს, რომელზედაც არის დაკისრებული ამ ღონისძიებების ორგანიზაცია და იქ მოხვედრილ პირთა დაცვა (მუხ. 23. კონ).

მეომარ მხარეებს ეკრძალებათ საომარი მოქმედებების ჩატარება იმ ადგილებში, რომლებსაც შეთანხმების თანახმად, მინიჭებული აქვს დემილიტარიზებული ზონების სტატუსი. ასეთ შეთანხმებებს უნდა ჰქონდეს ნათლად გამოხატული შინაარსი, უნდა იყოს დადებული ზეპირი ან წერილობითი ფორმით, ან მფარველი სახელმწიფოს, ან ნებისმიერი დაუინტერესებელი ჰუმანიტარული ორგანიზაციის მეშვეობით და შეიძლება დადებული იყოს მშვიდობიან დროს. ასევე, საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემდეგ და მასში შეიძლება მოცემული იყოს უფრო ზუსტი განსაზღვრება და დემილიტარიზებული ზონის საზღვრების აღწერა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება კონტროლის დაწესება. ასეთი შეთანხმების საგნად, ჩვეულებრივ, ითვლება ნებისმიერი ზონა, რომელიც პასუხობს შემდეგ მოთხოვნებს:

- ყველა კომბატანტი, აგრეთვე მობილური საბრძოლო საშუალებები და მობილური სამხედრო აღჭურვილობა უნდა იქნას ევაკუირებული;
- სტაციონარული სამხედრო დანადგარები და ნაგებობები არ იქნას გამოყენებული მტრული მიზნებით;
- არც ხელისუფლება და არც მოსახლეობა არ უნდა ახორციელებდეს მტრულ ქმედებებს;
- ნებისმიერი საქმიანობა, დაკავშირებული საომარ მოქმედებებთან, უნდა იქნას შეწყვეტილი.

დაუშვებელია ამ ზონაში ისეთ პირთა ყოფნა, რომლებიც სარგებლობენ განსაკუთრებული დაცვით საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების შესაბამისად. აგრეთვე, იმ პოლიციური ძალებისა, რომელთაც აკისრიათ ერთადერთი მიზანი-წესრიგისა და კანონიერების დაცვა.

მხარე, რომლის კონტროლქვეშაც ასეთი ზონა იმყოფება, მეორე მხარესთან შეთანხმებით, მონიშნავს მას შეთანხმებით განპირობებული ნიშნებით, რომლებიც შორიდანაც ნათლად უნდა ჩანდნენ. მეომარ მხარეებს არ შეუძლიათ დემილიტარიზებული ზონის გამოყენება სამხედრო მიზნებით ან ცალმხრივად მისი სტატუსის გაუქმება. თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს შეთანხმების პირობებს, მეორე მხარე თავისუფლდება თავისთავზე აღებული იმ ვალდებულებებისაგან, რომლებიც ეხება ამ ზონისათვის დემილიტარიზებელი ზონის სტატუსის მინიჭებას. ამ შემთხვევაში, უკანასკნელი კარგავს თავის სტატუსს, მაგრამ განაგრძობს იმ დაცვით სარგებლობას, რომელიც გათვალისწინებულია სპს-ის სხვა დებულებებით და გამოიყენება საერთაშორისო კონფლიქტების პერიოდში. როგორც ცნობილია, საერთაშორისო სამართალში არსებობს ნეიტრალიზებული და დემილიტარიზებული ტერიტორიები, რომლებიც ასევე არ შეიძლება იყოს საომარი მოქმედებების თეატრი.

იშვიათი არ არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ტერიტორიები (ან სივრცე) ცხადდება ერთდროულად ნეიტრალიზებულად და დემილიტარიზებულადაც. მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ანტარქტიდა (ანტარქტიკის შესახებ ხელშეკრულებით, 1959), მთვარე და სხვა ციური სხეულები (ხელშეკრულებით სახელმწიფოების მოღვაწეობის შესახებ კოსმოსური სივრცის, მათ შორის მთვარისა და სხვა ციური სხეულების კვლევისა და გამოყენების მიზნით, 1967 და მთავრდება სხვა ციურ სხეულებზე სახელმწიფოების მოღვაწეობის შესახებ, 1979).

როდესაც ვსაუბრობთ ნეიტრალიზებულ და დემილიტარიზებულ ტერიტორიებზე, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ საერთაშორისო შეთანხმებით გამოცხადებული არაბირთვული ზონები მთლიანობაში არ გამოიყვანება შეიარაღებული კონფლიქტის ზონიდან, მაგრამ ისინი არ შეიძლება გამოყენებულ იქნან ბირთვული ომის თეატრად.

საზღვაო ომის თეატრად გამოიყენება მხოლოდ მეომარ მხარეთა საზღვაო ტერიტორია და ღია ზღვა. შეიარაღებულ

ძალად ამ შემთხვევაში ითვლება ყველა სახის სამხედრო-საზღვაო გემი და სხვა სპეციალიურად შეიარაღებული გემები (მაგ. სავაჭრო, ტანკერები და ა.შ.), მათი ეკიპაჟი. აკრძალულია დაუცველი ნავსადგურების, ქალაქების, ნაგებობების დაბომბვა ზღვიდან, თუ ასეთი ზომა არ არის ნაკარნახევი ადგილობრივი ხელისუფლების მიერ უარის თქმით სამხედრო გემებისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგის მიყიდვა-რეკვიზიციაზე.[1]

საერთაშორისო სამართალი ითვალისწინებს, აგრეთვე, სხვა ადგილების ამოღებას ომის თეატრიდან: საერთაშორისო არხები (მაგალითად, სუეცის არხი, კონსტანტინოპოლის 1888 წ. კონვენციის თანახმად; პანამის არხის ზონა პანამის არხის შედარებით მუდმივი ნეიტრალიტეტის და ექსპლუატაციის შესახებ 1977 წლის ხელშეკრულების შესაბამისად), აგრეთვე კუნძულები (მაგალითად, ალანდის კუნძულები სსრკ-სა და ფინეთს შორის 1940 წელს ალანდის კუნძულების შესახებ დადებული შეთანხმების თანახმად).

არ შეიძლება ომის თეატრად ჩაითვალოს და შესაბამისად, თავდასხმის ობიექტად: კულტურული ფასეულობები, კულტურულ ფასეულობათა საცავები და ცენტრები, რომლებსაც დიდი ეროვნული და საერთაშორისო მიშვნელობა აქვს და შეტანილნი არიან „სპეციალური დაცვის ქვეშ მყოფ კულტურულ ფასეულობათა საერთაშორისო რეესტრში“ (1954 წლის ჰააგის კონვენცია კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ, მუხ. 8 და 9).

გვინდა „სამხედრო მოქმედების თეატრთან“ დაკავშირებით ერთი ვარაუდიც გამოვთქვათ. ძველმა რომაელებმა ისეთი ტერიტორიებიც განსაზღვრეს, სადაც ლეგიონებს ყოფნა და შესვლა ეკრძალებოდათ. ასევე სამხედრო ხელოვნება სწორედ თეატრალურ სანახაობამდე აიყვანეს და გასაკვირიც არ იქნება, რომ ამ კონცეფციის სათავე სწორედ ძველი რომის სამხედრო სამართალში ვეძებოთ.[2]

ამგვარად, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში შეიმჩნევა ომის წარმოების სივრცითი სფეროს შემცირების ტენდენცია.

---

[1] ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2010წ. გვ. 371.

[2] გ. ლობჟანიძე. რომის სახელმწიფო და სამართალი. თბ., წ.I. 2003 წ. გვ. 270.

თავი IV

კონფლიქტები საქართველოს ტერიტორიაზე. გენოციდის და ეთნოწმენდის პრობლემა

§1. ქართველთა და ოსთა ურთიერთობის საკითხი

იმიერკავკასიის ველებსა და მთებში მცხოვრებ ოსებს საქართველოსთან სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა ადრიდანვე გააჩნდათ.[1]

„ძველად ამ კუთხეს საქართველოსთან, პოლიტიკურს გარდა, სარწმუნოებრივი და კულტურული კავშირიც ჰქონდა: ქრისტიანობა აქ ქართველი მქადაგებლების მიერ იყო გავრცელებული, ეკლესიის ნანგრევებს როკის ხეობაში ახლაც ეტყობა ქართული ასომთავრული წარწერები. ბლომად ყოფილა „ციხენი, კოშკნი ეკლესიანი ქვიტკირისანი“,[2] რომელნიც ქართველ მეფეთა მიერ ყოფილა აშენებული. ოსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას ძირითადად დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში ეყრება საფუძველი. ყივჩაღებთან ურთიერთობის დამყარებას დავით აღმაშენებელი ოსეთის მეშვეობითაც ახერხებდა. „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილია დავით აღმაშენებლის ოსეთსა და ყივჩაღეთში შესვლის ისტორია: „ამასთუისცა ბრძანა მეფემან წასვლა ოსეთს და სიტყუასავე თანა წარემართა და თანა წარიტანა გიორგი ჭყონდიდელი და მწიგნობართუხუცესი თუისი, კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა... შევიდეს ოვსეთს და მიეგებნეს ოვსეთის მეფენი და მთავარნი მათნი და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა“. დავით აღმაშენებელმა ყივჩაღები და ოსები შეარიგა და მათ შორის მშვიდობა დაამყარა.: „აღიხუნეს მძევალნი ორთაგანვე, ოვსთა და ყივჩაღთა ესრეთ ადვილად შეაერთნეს ორივე ნათესავნი“.[3] მას შემდეგ ამიერ და იმიერ კავკასიაში მდგომარეობა იცვლება. XII

---

[1] ოსების წინაპარნი ალანების სახელწოდებით არიან ცნობილი ისტორიაში და კავკასიონის პირიქითა კალთებზე სახლობდნენ.

[2] იხ. ვ. ბატონიშვილი, გეოგრაფია, გვ. 434-438.

[3] იხ. „ქართლის ცხოვრება“ (ანასეული), თბ. 1942 წ. გვ. 213-214.

საუკუნეში, ორ მონღოლურ სახელმწიფოს – „ოქროს ურდოსა“ და ილხანთა შორის ბრძოლის პერიოდში, შიდა ქართლის მიდამოებში საკმაოდ დიდხანს და საგრძნობი რაოდენობით იყვნენ დარუბანდის გზით მონღოლებთან ერთად აქ შემოსული ოსებისაგან შემდგარი სამხედრო რაზმები, რომლებიც მაშინ ილხანთა ბრძანებით მოქმედებდნენ.

მონღოლები თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის ბრძოლაში, დამორჩილებული ქვეყნების შესანარჩუნებლად, სხვა ხალხებთან ერთად ოსებსაც იყენებდნენ და მათი მეშვეობით განხეთქილებას თესავდნენ. XIV ს-ს დამდეგს საქართველო მონღოლი დაპყრობლებისაგან გაიწმინდა. ჟამთააღმწერლის ცნობით, ქართლი ოსებისაგანაც გაათავისუფლეს. ამის შემდეგ ქართულ წყაროებში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ისინი დიდხანს აღარ იხსენებიან.

ქართლის მთიანეთში ოსური კომპაქტური მოსახლეობა წარმოიშვა არა ერთდროული ჩამოსახლების შედეგად, არამედ თანდათანობით, XVI–XVII საუკუნეთა განმავლობაში, როდესაც საქართველოსა და ცენტრალური კავკასიონის მთიან რაიონებში შესაბამისი სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია და მიგრაციული მოვლენებისათვის ხელსაყრელი კითარება შეიქმნა.

ოსთა გადმოსახლებას ქართლში, რა თქმა უნდა, გარკვეული მიზეზი ჰქონდა. დამპყრობლებმა დაარბიეს და გაანადგურეს ჩრდილო კავკასიის ვაკეებზე მცხოვრები ოსები. გადარჩენილთა ერთი დიდი ნაწილი ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან რაიონებში შემოიხიზნა. იქ მათი არსებობის პირობები მეტად არახელსაყრელი იყო. მწირი მთა და სამეურნეო ტექნიკის დაბალი დონე მათი მოთხოვნილებების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა.

ქართველთა კეთილგანწყობით და მაშინდელ ხელისუფალთა წყალობით სარჩო-საბადებლის მაძიებელი ოსები ქართველ მთიელთა სოფლებში, ფეოდალთა კუთვნილ მიწებზე ხიზნებად სახლდებოდნენ. ამას, ერთი მხრივ, ისიც უწყობდა ხელს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა გარეშე მტრების შემოსევათა შედეგად ძალზე შემცირებული იყო და ამასთან ერთად, ბარის ეკონომიკური ზემოქმედების წყალობით დაბლობისაკენ ინაცვლებდა.

ოსური მოსახლეობის ჩამოსახლება ქართლის მთიანეთ'ში XVI საუკუნის დასასრულიდან უნდა დაწყებულიყო. ამ დატარიღების საფუძველს იძლევა წერილობით წყაროებში არსებული ოსთა მეტ-ნაკლებად შესამჩნევი დასახლება (200-მდე სული – XVII საუკუნის დამდეგისათვის). ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის საქართველოში ნამყოფი რუსი ელჩი მ.ი. ტატიშჩევი (1604-1615).[1]

აღნიშნულ საკითხზე მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა XVII ს.-ის მიწურულისა თუ XVIII ს.-ის დამდეგის – ბესარიონ ქართლის კათალიკოსის (გარდ. 1735 წ) თხზულება „მარტვილობა ლუარსაბ მეფისა". ავტორი ახასიათებს ლუარსაბის წამების პერიოდს (1622წ), როცა საქართველო უაღრესად რთულ საგარეო პოლიტიკურ სიტუაციაში იმყოფებოდა და ამასთან დაკავშირებით აღწერს ქართლის ჩრდილოეთის საზღვრებთან შექმნილ ვითარებასაც. იგი იხსენიებს „მახლობელთა ჩვენთა მთიულთა ოსთა", რომლებიც „დამკვიდრებულ იყვნენ მახლობლად ჩვენსა". ამავე წყაროდან ჩანს, რომ ოსები ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად იბრძოდნენ მიწებისათვის და ამდენად, ზოგიერთ შემთხვევაში უპირისპირდებოდნენ ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას. ეს ცნობა ემთხვევა ტატიშჩევის ზემოაღნიშნულ მონაცემებს და ქართლში ოსური ახალშენების წარმოქმნის ფაქტს ადასტურებს.

XVI საუკუნის I ნახევარს განეკუთვნება, აგრეთვე, ერთი ნასყიდობის სიგელიც, საიდანაც ჩანს, რომ სოფელ ზემო ჯავის მოსახლეობა ამოწყვეტილია. ამიტომ, დაცარიელებული სოფლების დასახლებით დაინტერესებული ფეოდალი ოსებს ხიზნობაყმობის წესით ამკვიდრებდა თავის მიწებზე.

დიდი ლიახვის სათავეებიდან ოსები თანდათანობით ინაცვლებენ სამხრეთისაკენ, გადადიან მდინარეების: მც. ლიახვისა და ქსნის ვიწროებში. ვახუშტის ცნობილი აღწერილობის მიხედვით, XVIII ს.-ის პირველ ათეულ წლებში მათ უკვე უკავიათ მიწები სოფ. გუფთადან დიდი ლიახვის გასწვრივ, მის სათავეებამდე. გერის ხეობა, ვანათს რომ ეკვრის, მც. ლიახვის ზემო დინება, ჟამური (ქსნის სათავე). ოსთა ცალკეული

[1] იხ. საქართველოს ისტორია, თბ. 1990 წ. გვ. 238

დასახლებანი ჩანან ჭურთას, ოსროლი-ხევის, ქოლი-ქვითკირის ხეობებში და სხვ. ამავე დროს, ოსებს ნაწილობრივ უკავიათ კუდაროც. როგორც ჩანს, ქსნის სათავეებში მათ შეაღწიეს შედარებით უფრო გვიან, ვიდრე მც. ლიახვის სათავეებში. ვახუშტის რუკის მიხედვით, XVIII ს.-ის 30-იან წლებში ოსურ ახალშენებს უკვე ეკავათ დვალეთი (ნარმამისონის ქვაბული), ჯეჯორის, ლიახვისა და ქსნის სათავეები. ისინი აღნიშნული რაიონების რიგ სოფლებში ადგილობრივ მკვიდრ ქართულ მოსახლეობასთან შერევით ცხოვრობდნენ, ეწაფებოდნენ და ითვისებდნენ ქართველთა განვითარებულ სამეურნეო და სამეწარმეო კულტურას.

ჩამოსახლებული ოსები, როგორც წესი, ქრისტიანულ სარწმუნოებას იღებდნენ და ამ გზით ქართველთა მხარდამხარ, აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა ერთობისა და მეგობრობის შეგნება ორი ხალხის წარმომადგენლებს შორის. არ იკრძალებოდა ქორწინება, რამაც შექმნა შერეული ოჯახების სიმრავლე.

XVIII ს.-ის პირველ მესამედში, ოსური ახალშენები საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქართლის მთიანეთში (მდინარეების: ჯეჯორის, დიდი და პატარა ლიახვისა, ქსნის, არაგვის სათავეები).[1] მეცხრამეტე საუკუნის შუაწლებისა და დასასრულისათვის ოსების რიცხვი საქართველოში შემცირებულია (1000 სულზე ცოტა მეტი), ხოლო ქ. ცხინვალში კი სულ სამი ოსური ოჯახი ცხოვრობდა. მაშინდელი ხელისუფლების ხელშეწყობით, XX საუკუნის დასაწყისიდან ოსების ჩამოსახლება კვლავ მასიურად დაიწყო კავკასიონის მთებიდან ქართლის სოფლებში, რასაც ცნობილი ქართველი მოაზროვნე არჩ. ჯორჯაძე გულისტკივილით აღნიშნავდა. ის არ იწონებდა მათ კომპაქტურ დასახლებას, ყურადღებას ამახვილებდა იმ საკითხებზე, თუ რა უარყოფითი მოვლენები შეიძლება მოჰყოლოდა საქართველოსათვის ამ პროცესებს.[2]

ქართველთა დახმარებით ოსი ხალხის შვილები თანდათანობით გამოვიდნენ ქართული საზოგადოებრივ-კულტურული

---

[1] იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. XII, თბ, 1998 წ. გვ. 460-464

[2] იხ. არჩ. ჯორჯაძე, წიგნი IV, თბ. 1911 წ.

ცხოვრების ასპარეზზე. ქართული ანბანის საფუძველზე შეიქმნა ოსური და არა მარტო ქართლის, არამედ კავკასიონსგადაღმელი ოსების კულტურული ცხოვრება მოწინავე ქართველ მოღვაწეთა გულისხმიერი მზრუნველობის ობიექტი გახდა".[1]

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ ქვეყანაში შეიქმნა ორი ავტონომიური რესპუბლიკა: აფხაზეთისა და აჭარის (1921 წ. 21 მარტი, 16 ივლისი). შემდგომ კი დღის წესრიგში დადგა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა ის საკითხი, რომელიც რეალურად განხორციელდა 1922 წლის 20 აპრილს რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე და საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს მიერ მიღებული დეკრეტით „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ". ამის შემდეგ ამ ხელოვნურად შექმნილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს მიეცა ავტონომიისათვის დამახასიათებელი საკმაო უფლებამოსილებანი.[2] მიუხედავად ამისა, სეპარატისტების გარკვეულმა ჯგუფმა შეძლო ოსური წარმოშობის უკვე ნახევრად გაქართველებული მოსახლეობის ქართველებთან დაპირისპირება. ამას 1990 წელს შედეგად მოჰყვა ისტორიული სამაჩაბლოს „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკად" გამოცხადება და 9 დეკემბერს „სახელმწიფოს" უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რამაც გამოიწვია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ადექვატური რეაქცია, კერძოდ, 1990 წლის 11 დეკემბრის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ".

ამის მიზეზი გახდა 1990 წლის 3 აპრილის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ახალი კანონი, სსრკავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის წესთან და-

---

[1] იხ. საქართველოს ისტორია, გვ. 239.

[2] 1989 წლის აღწერით საქართველოში სულ 164 ათასი ოსი ცხოვრობდა, ანუ 3,0%, ავტონომიურ ტერიტორიაზე კი 65077 ოსი, ე.ი. ოლქის მოსახლეობის 66,2%. პარტიულ თანამდებობებზე 140 კაციდან ოსი იყო 85, ქართველი 34, საბჭოთა აპარატის 277 თანამშრომელიდან ოსი იყო 178, ქართველი 49.

კავშირებით. კანონის მე-3 მუხლი ითვალისწინებდა: „მოკავშირე რესპუბლიკაში, რომლის შემადგენლობაში არიან ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები და ავტონომიური ოკრუგები, რეფერენდუმები ეწყობა ცალ-ცალკე თითოეულ ავტონომიაში. ამის მიზანი იყო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ წარმონაქმნებს შენარჩუნებოდათ სსრ კავშირში ან კავშირიდან გამავალ მოკავშირე რესპუბლიკაში დარჩენის გადაწყვეტის შესაძლებლობა, ეს გათვლები საქართველოზეც კეთდებოდა. თუ როგორ განვითარდა ქრონოლოგიურად მოვლენები „სამხრეთ ოსეთში". ეს დეტალურად განიხილა შ. მალაშხიამ თავის ნაშრომში, სადაც მკითხველს შეუძლია უამრავი ინფორმაციის მიღება.[1]

მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ თავის დროზე ვერ შევამჩნიეთ 1990 წლის 3 აპრილს მიღებული კანონის მოსალოდნელი საფრთხე და ვერ გავითვალისწინეთ, რომ საქართველოს გასვლა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან, ავტომატურ რეჟიმში გამოიწვევდა საქართველოში შემავალი ავტონომიების ნაწილის ანალოგიურ დაპირისპირებას ცენტრალურ ხელისუფლებასთან. აფხაზეთისა და ოსეთის ხელისუფლებათა შორის ე.წ „კანონთა ომი" უკვე დაწყებული იყო, რასაც ხელს უწყობდა მოსკოვის პოლიტიკური მანქანა,[2] რამაც განაპირობა დამდგარი შედეგები. მაშინდელ პოლიტიკურ წრეებში აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა, ნაწილს მიაჩნდა, რომ 1990 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, ნაჩქარევი ნაბიჯი იყო. ამის არგუმენტად, სახელმწიფოებრივი მოწყობის ახალი წესების შემოღებისათვის იმხანად ქვეყნის მოუმზადებლობა იყო. ნაწილი მკვლევარებისა საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს დროულად და სამართლიანად მიიჩნევს.

მკვლევართა აზრით, მრავალი გარემოების გათვალისწინება შეიძლებოდა. მხედველობაში მიიღება როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი გადაწყვეტილებები, რომლებიც აგვაცილებდნენ მომხდარ სისხლისღვრას, თუმცა, გასათვალის-

---

[1] შ. მალაშხია, კონფლიქტების ანატომია. თბ. 2011

[2] ჯ. გახოკიძე, საქართველო და განდგომილი რეგიონები, რ. შენგელია 70, საიუბილეო კრებული, თბ. 2012. გვ.124.

წინებელია მაშინდელი ხელისუფლების პოლიტიკურ უმწიფარობა და თვითონ სახელმწიფო სტრუქტურებში არსებული დაპირისპირება. ვის ეცალა გლობალურ საკითხებზე ფიქრისათვის.

რუსეთის პოლიტიკური ელიტის დღევანდელი დამოკიდებულობა არანაირად არ განსხვავდება ადრინდელისაგან. პირიქით, დრომ უფრო გააღვივა მათი იმპერიული ზრახვები, რომლის უშუალო გამოვლინება იყო მათი „დამოუკიდებლობის" აღიარება, რითაც იგნორირება გაუკეთდა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ ნაბიჯის ზნეობრივ მხარეებზე.

§2. აფხაზური სეპარატიზმი და გენოციდი

რაც შეეხება აფხაზურ პრობლემას, ეს განსხვავებული თემაა, რადგანაც დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია (ისევე, როგორც ე.წ. „ოსეთი", რომელიც ძირძველ ქართულ მიწაზე, სამაჩაბლოში ხელოვნურად შექმნეს), საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, ისტორიული და კოლხეთის სამეფოს განუყოფელი ნაწილი იყო. ქრისტეშობიდან II საუკუნისათვის, სხვადასხვა მიზეზის გამო, კოლხეთის ტერიტორიაზე წარმოიშვა ნახევრად დამოუკიდებელი სამეფო-სამთავროები (მაკრონ-ჰენიოხთა, ლაზთა, ჭანთა, აბსილთა, აბაზგთა და სანიგთა). ცნობებს ამ სამეფო-სამთავროთა შესახებ გვაწვდის კაბადოკიის პონტოს პროკონსული ფლავიუს არიანე, რომელმაც 131 წელს იმოგზაურა ტრაპეზუნდიდან სებასტოპოლის-ცხუმამდე საინსპექციო მიზნით და აღწერა შავი ზღვის სანაპირო.[1]

აფსილები და აბაზგები, ძველი ქართულ-აფხაზური ტომები, ცხოვრობდნენ დღევანდელი ოჩამჩირის ტერიტორიაზე. ოდნავ მოგვიანებით, VI-VII საუკუნეებში, ისინი სახლობენ მდ. გუმისთასა და ბზიფის მიდამოებში. გენეალოგიურად ეგრის-აფხაზეთის მოსახლეობა და სამეფო გვარები სისხლით ნათესაობით იყვნენ დაკავშირებული და ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოს განასახიერებდნენ.

---

[1] იხ. ნ. ლომოური. „ეგრისის სამეფოს ისტორია", თბ. 1968 წ. გვ. 19-133.

VII-X საუკუნეებში, ეგრისის სამეფოს დასუსტების შემდეგ, ძლიერდება აფხაზეთის საერისთავო. მისი ინიციატივით მთელი დასავლეთ საქართველო გაერთიანდა. ხოლო სატახტო ქალაქად ქუთაისი გამოცხადდა. ამ გაერთიანებამ რამდენიმე ხანს იარსება დამოუკიდებლად და შემდეგ გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში შევიდა. XIV-XVI საუკუნეებში საქართველო კვლავ დაიშალა იმერეთის, ქართლის, კახეთის სამეფოებად და აფხაზეთის, სვანეთისა და გურიის სამთავროებად. მაგრამ ეს არ ნიშნავდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. შიდა დაქუცმაცებულობა დამახასიათებელი იყო მსოფლიოში ფეოდალიზმის ეპოქისათვის.

აღნიშვნის ღირსია ერთი გარემოებაც: საქართველოში საქრისტიანოს ერთ-ერთ ძლიერ კერას ცხუმ-აფხაზეთის კათედრა წარმოადგენდა, რომელიც ჯერ კიდევ X ს-ში გამოეყო კონსტანტინოპოლს და მცხეთის ტახტს დაექვემდებარა. ასე რომ, ძველი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქრისტიანი ქართველური ტომები ცხოვრობდნენ.

აფხაზთა სამეფოს პერიოდში დაიწერა ქართული ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებები. ქართულად დაიწერა „მეფეთა დივანი", აფხაზთა მეფეების ისტორია, აიგო ხუროთმოძღვრების ძეგლები".[1]

ისტორიკოსი დ. ლეთოდიანი სამართლიანად მიიჩნევს, რომ აბსურდია იმის მტკიცება, თუ ვინ იყვნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები ეთნიკური წარმოშობით, რადგან არც ერთი წყარო არ მიანიშნებს მათ არაქართულ წარმომავლობას. მეორეც, თუ იოანე ზონარას ცნობას ვერწმუნებით, იუსტინიანე I-დან მოყოლებული, ადგილობრივთაგან აღარავინ ინიშნებოდა აფხაზთა მმართველად. თავიანთი მრწამსით, წარმომავლობით და სახელებითაც კი აფხაზთა მმართველები უკვე ბიზანტიელები იყვნენ, ხოლო „ანაკოფსიის დასავლეთ არს აფხაზეთი", - პირველად წოდებული ეგრისი, არამედ შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბსა, ხოლო ქართველთა აფხაზეთი" – წერდა ვ. ბატონიშვილი.

---

[1] იხ. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, თბ, 1998 წ. გვ. 61

აფხაზთა ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებით ისტორიულ სინამდვილეს ადასტურებს დ. გულია: "Что же касается сотрудничества в процессе создания грузинского государства, то в этом отношении роль Абхазии, то есть абхазов совершенно исключительна. Абхазия вместе с другими грузинскими княжествами составляет, а в одно время и возглавляет грузинскую феодальную монархию (Абхазское государство), всецело и неразрывно входит в единый общий грузинский этнический и культурно-исторический круг".[1]

ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაშლას ხელი შეუწყვეს გარეშე ძალებმა, რადგან არავის აწყობდა ძლიერი და ერთიანი საქართველო კავკასიაში. არაქართველი მოსახლეობის შემოსახლება დაიწყო დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზეც. აფსუებიც, მათ შორის XVII ს-ში შემოვიდნენ,[2] ამან ბუნებრივად დააქვეითა რეგიონში ქართული ცნობიერება. სამაგიეროდ შემდგომში იმატა ე.წ. „აფხაზების“ რიცხვმა. პოლიტიკური მოსაზრების გამო, ბევრმა ქართველმა გადაიკეთა გვარი და „აფხაზობა“ დაიწყო.

XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქართლ-კახეთი რუსეთს შეუერთდა, საქართველოს დანარჩენი სამეფო-სამთავროები ცალ-ცალკე მიიერთა რუსეთმა და მათ შორის აფხაზეთის სამთავროც. რუსეთს რომ არ სცოდნოდა, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო, მას არ შეიყვანდა სოხუმის ოკრუგისა და ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში.[3] აფხაზეთმა და მისმა მოსახლეობამ ისტორიულად განსაკუთრებული როლი ითამაშა საქართველოს გარეშე მტერთან ბრძოლასა და ქრისტიანული რელიგიის დაცვის საქმეში. ისტორიკოსი ზაქარია ჭიჭინაძე ამის შესახებ წერდა: „უნდა აღინ-

---

[1] იხ. Д.Гулиа, "О моей книге "История Абхазии" Сух.,1951, стр.14.

[2] აფსუათა გვიან ჩამოსახლეების მომხრეებს უსაყვედურებდნენ, რომ ისინი ამ ხალხს შეურაცხყოფენ და მათ სამშობლოს არმქონედ მიიჩნევენ, მაგრამ ეს ასე არაა. ამ ბოლო ხანს მკვლევართა ყურადღება მიიქცია I საუკუნის ბერძენი ავტორის პოლინიუს უფროსის ცნობამ, რომ მის დროს აფსუა ტომი კასპიის ზღვის ჩრდილო დასავლეთ სანაპიროებთან ცხოვრობდა“. იხ. გ. მჭედლიძე, ისტორია უდისტანციოდ, ქუთ. 1999 წ. გვ. 18 რუკა თან ერთვის.

[3] აფსუები ერთ-ერთ მომენტად იშველიებენ რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთის დამოუკიდებლად შესვლის ფაქტს.

იშნოს ისიც, რომ აფხაზეთის თავად-აზნაურობის და ნამეტურ მთავართ შარვაშიძეთ დიდი ამაგი მიუძღვით საქართველოს წინაშე. ისინი ოსმალთ ყოველთვის მკაცრად ებრძოდნენ და მამულის, ენისა და ქრისტიანობის გულისთვის ადვილად არავის უთმობდნენ. აფხაზეთის მთავარნი არ ჰგავდნენ სამცხის დიდებულ მთავარ ათაბაგების გვარის წევრთ ბექა ჯაყელს და სხვათაც, რომელთაც საქართველოს უღალატეს და გათათრდნენ. შარვაშიძეებში ამის მაგალითი არ იყო. საზოგადოდ ამ გვარს დიდი ამაგი და შრომა აქვს დახარჯული ქართული ერების წინაშე.[1]

ნიკო ერისთავ-შარვაშიძე 1906 წელს თავის მონოგრაფიაში "Памятные записки о нуждах грузинского народа", რომელიც კავკასიის ნამესტნიკს ილარიონ ივანეს ძე ვორონცოვ-დაშკოვს მიართვა, წერდა: Территорию Грузии составляют губернии: 1) Тифлисская, 2) Кутаисская, 3) Батумская и 4) Сухумский округ, таким образом в Грузию войдут все Картвелские народности: кахетинцы, карталинцы, инголойцы, пшавы, хевсуры, аджарцы, мингрелцы, абхазцы, суванетинцы и имеретинцы. Такая Грузия этнографически объединенная и наделенная правами самоуправления.[2]

ცნობილია, რომ აფხაზეთის უკანასკნელმა მთავარმა გიორგი შარვაშიძემ, აფხაზეთის საერისთავოს გაუქმების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებას თხოვნით მიმართა, რათა ცხოვრების ნება დაერთოთ ქუთაისში ან რაჭაში. მას არ მოუთხოვია სხვაგან დასახლება, რადგან იცოდა, ვისი გორისაც იყო. უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში აფხაზეთში ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი ეთნოპოლიტიკური მიმართულება: პირველი ე.წ. „აფხაზი ერის“ წარმომადგენლები, რომლებიც ძალადობის, ომის და ძალის ორიენტაციისა და საქართველოსაგან გამოყოფის მომხრენი იყვნენ: "Так называемая" "Абхазская нация" действительно особенная, поскольку нет в мире второй такой искусственно созданной и насильно укомплектованной нации",[3] - და მეორე – საქართველოსთან ერთიანობის, ერთაშო-

---

[1] იხ. ზ. ჭიჭინაძე, სამცხე-სათაბაგოს გათათრება თბ. 1906 წ. გვ34.

[2] см. Н.Эристовь. Шарвашидзе "Памятные записки о нуждах грузинского народа". Москва, 1906г., стр.85-86.

[3] А. Шония, Правда об Абхазии. Тб. 1998г.,стр.65

რის მშვიდობის და თანხმობის. ამ უკანასკნელთათვის მთავარი არგუმენტი ის გახლდათ, რომ ქართველებსა და აფხაზებს სხვა სამშობლო არ გააჩნიათ. ა. შონია მათ შესახებ წერს: „აფხაზეთი ქვეყნის განუყოფელი ნაწილია, შეუძლებელია აფხაზმა მოითხოვოს ამ კუთხის საქართველოდან გამოყოფა და ამით უგულებელყოს აფხაზეთის ძირითადი მოსახლეობის ქართველთა ნება, უმცირესობამ უკარნახოს უმრავლესობას თავისი განწყობა“.

აფხაზეთის მოსახლეობის ექსტრემისტული ფრთა საზოგადოების გარკვეული ნაწილის ცნობიერებაში ნერგავდა შეიარაღებული ბრძოლის მეშვეობით „თვითგამორკვევის უფლების“ აუცილებლობას და ამით სიძულვილს თესდა ორ ხალხს შორის. აფხაზ საპარატისტთა მიზნებს ასახავდა აფხაზეთის სახალხო ფრონტის „აიდგილარა“-ს საპროგრამო დოკუმენტები, რომლებიც შორეული თუ ახლობელი წინამორბედების რეაქციული პოლიტიკური გეზის მემკვიდრეობითობას გამოხატავდა.

აღნიშნული პროგრამის განხორციელების პრაქტიკული ნაბიჯი იყო 1989 წელს ხელოვნურად შექმნილი კონფრონტაცია, რომელიც სისხლისღვრაში გადაიზარდა.[1] 1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია „აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“ და დადგენილება „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ“. ამ დოკუმენტების საფუძველზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა სუვერენულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა, რითაც ხელყოფილი და იგნორირებული იქნა საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტი. „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მიერ ორგანოებისა და თანამდებობის პირთა არჩევისა და დანიშვნის წესის შესახებ“ კანონის უხეშად დარღვევის გზით აფხაზეთის ასსრ 1991 წლის 27 აგვისტოს, აფხაზეთის ასსრ პარლამენტმა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე დანიშნა ვლადისლავ არძინბა. 1991 წლის ნოემბერში ქ. სოხუმში გაიმართა კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ყრილო-

---

[1] კონფლიქტს მოჰყვა რამდენიმე ქართველის მკვლელობა. სეპარატისტთა მიერ გასროლილი პირველი ტყვია გივი აპოლონის ძე ლობჟანიძეს მოხვდა.

ბა, სადაც გადაწყდა, შექმნილიყო ფუნდამენტალისტური კავკასიური რესპუბლიკა, რომლის დედაქალაქი სოხუმი უნდა ყოფილიყო. ამას მოჰყვა უფრო რადიკალური ნაბიჯი სეპარატისტთა მხრიდან: 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, შეეწყვიტა აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედება და აღედგინა აფხაზეთის სსრ ე.წ. 1925 წლის კონსტიტუცია, რომელიც, ფაქტობრივად, აფხაზეთის საბჭოების მესამე ყრილობას არ მიუღია. საქართველოს სახელმწიფო საბჭომ 1992 წლის 25 ივლისს, ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ცნო ზემოთ აღნიშნული აქტები.

1992 წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთის ხელისუფლებასთან შეთანხმებით, სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზის ტრანსპორტზე წესრიგის დასამყარებლად ერთი თვის ვადით შეეყვანა თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების შეიარაღებული ძალები (1659 კაცი), რომელთა მოქმედების იურიდიულ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 1 დეკემბრის კანონი „საგანგებო ვითარების შესახებ“. 14 აგვისტოს დაბა ილორის რაიონში ოჩამჩირე-ტყვარჩელის გზების გასაყარზე საქართველოს შეიარაღებული ძალების კოლონას მოულოდნელად ცეცხლი გაუხსნეს აფხაზმა „ბოევიკებმა“, რასაც მოჰყვა ორმხრივი სროლა და მსხვერპლი. სამწუხაროდ, ამ ფაქტმა გამოიწვია სერიოზული საომარი მოქმედებები, გაგრის, სოხუმის, გალის დაკავება აფხაზებისა და მის მხარეზე მეომარი გარეშე ძალების მიერ, რასაც შედეგად მოჰყვა აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდი და ეთნიკური წმენდა. საინფორმაციო საშუალებებში (განსაკუთრებით რუსეთში) ხშირად გაისმოდა, რომ თითქოს აფხაზეთსა და ოსეთში ქართველების გენოციდს ადგილი არ ჰქონია. საერთაშორისო სისხლის სამართლის წესდების მე-20 მუხლში ჩამოთვლილ სხვადასხვა საერთაშორისო დანაშაულებებს შორის მითითებულია გენოციდიც, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

ქართული და საერთაშორისო კანონმდებლობა გენოციდს განიხილავს როგორც ქმედებას, ჩადენილს შეთანხმებული გეგ-

მის განსახორციელებლად რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად, რაც გამოიხატება ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, ცხოვრების მძიმე პირობებში განზრახ ჩაყენებით, შობადობის ძალით შემცირებით, ან ბავშვის იძულებითი გადაცემით ერთი ეთნიკური ჯგუფებიდან მეორეში და ა.შ. ექსტრემისტების მიერ აფხაზეთში ჩადენილ ქმედებათა იურიდიული დახასიათება ნათლად წარმოაჩენს მათი მოქმედების სამართლებრივ მხარეს. ახალი სისხლის სამართლის კოდექსით და საერთაშორისო სამართლით, გენოციდის ობიექტს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის წევრთა სიცოცხლე ან ჯანმრთელობა და მათი საერთო უსაფრთხოება. ამ შემთხვევაში ლაპარაკია იმ ისტორიული ერის (ეროვნული ჯგუფის) ნაწილზე, რომლებიც საკუთარ მიწაზე ცხოვრობენ, რომლებსაც აერთიანებთ ტერიტორია, ეკონომიკა, ეროვნული სალიტერატურო ენა, ეროვნული კულტურა და ფსიქიკური წყობა.

რასობრივი ჯგუფები არის ადამიანთა ისეთი ერთობლიობა, რომლებსაც თავისი გარეგნული აღწერილობით (კანისა და თმის ფერით, თვალების ჭრილით, თავის მოხაზულობით, სიმაღლით და ა.შ.) ისტორიული და ინდივიდუალური კუთვნილებით თავიანთი დამოუკიდებელი სახე გააჩნიათ. რელიგიური ჯგუფები კი ეს არის ადამიანთა გარკვეული თანასაზოგადოება, რომელთა ერთიანობის საფუძველს ქმნის რელიგიური რწმენა, რომელიც გარკვეულად განსხვავდება იმ რელიგიისაგან, რომელსაც წამყვანი ადგილი უკავია ამა თუ იმ ქვეყანაში.

რაც შეეხება გამრავლების იძულებით შეწყვეტას, ამ დროს დამნაშავე ჩადის კანონსაწინააღმდეგო კასტრაციასა და სტერილიზაციას, ქალთა ფეხმძიმობის ხელოვნურად მოშლას და სხვა დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც აფერხებს, ან სრულად წყვეტს ბავშვთა შობადობას.

ბავშვთა იძულებითი გადაცემის დროს დამნაშავის მიზანია, მოსპოს მასში ინდივიდუალური, ეროვნული, ბუნებრივი თვისე-

ბები, რასაც იგი აღწევს ბავშვის დედისაგან იძულებით მოწყვეტით და სხვა გარემოებაში, სხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლად მისი აღზრდით.

ადამიანთა იძულებითი გადაადგილების პირობებს ქმნის დამნაშავე იმ მიზნით, რომ მისთვის მიუღებელი ან საძულველი ადამიანთა ჯგუფი საცხოვრებლად გადაიყვანოს იმ ადგილებში, სადაც არ არის მათთვის ხელსაყრელი ბუნებრივი კლიმატური პირობები, რასაც შეიძლება მოჰყვეს ადამიანთა დაავადება და დაღუპვა.

ცხოვრების მძიმე პირობების შექმნა გულისხმობს დამნაშავისაგან წინასწარ განზრახული და დაგეგმილი ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომელიც იწვევს ადამიანთა გარდაუვალ დაღუპვას.

კანონმდებელი დანაშაულს დამთავრებულად მიიჩნევს კანონში გენოციდის ჩამოთვლილ შემადგენელ ნაწილად აღიარებული მოქმედებების შედეგების დადგომისთანავე. დანაშაულის აღმასრულებელი შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში მყოფი თანამდებობის პირი, ან რომელიმე ეთნიკური ჯგუფის ლიდერი.

ცნობილი გახდა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, ოლქებსა და მხარეებში, განსაკუთრებით შორეულ აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთ რეგიონში, შექმნილი იყო დაქირავებული „ბოევიკების“ შემკრები პუნქტები, რომლებიც ეტაპობრივად ჩადიოდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე და ახდენდნენ მკვლელობებს, ძარცვებს, ყაჩაღობებს, გაუპატიურებებს. ამ გზით და ამ მიზნით ჩასულთა რაოდენობამ აფხაზეთის მხარეზე მონაწილეთა 60% შეადგინა, თითოეულ მათგანთან ე.წ. „აფხაზეთის ხელისუფლება“ ხელშეკრულებებს აფორმებდა, სადაც კონკრეტულად იყო დაწესებული საბრძოლო ტექნიკის თუ ადამიანთა მოსპობისათვის ფულადი ანაზღაურება.[1]

გენოციდის ობიექტური მხარე იგივე კანონმდებლობით არის მოქმედება, რომელიც ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან

[1] იხ. Т. Надареишвили, Геноцид в Абхазии. Тб, 1998г., стр.86-98.

რელიგიური ჯგუფის პირთა მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობადაა მიმართული.

რაც შეეხება ამ შემთხვევაში გენოციდის სუბიექტს, თანამედროვე კანონმდებლობა განიხილავს ფიზიკური პირის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას ჩადენილი დანაშაულისათვის, ხოლო როცა იურიდიული პირის პასუხიმგებლობა გამორიცხულია, ამ შემთხვევაში სახეზე არიან კონკრეტული დამნაშავენი.

გენოციდის სუბიექტური მხარე მოტივაციის სხვადასხვა სახეს გულისხმობს, მაგრამ მთავარი აქ ერთი რამ არის: ის უნდა იყოს ჩადენილი მხოლოდ პირდაპირი განზრახვით და მოქმედების ჩამდენს სურდა ამ მიზნის მიღწევა. ამ შემთხვევაში ლაპარაკია ქმედებაზე, რომელიც მიმართულია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად. ასე რომ, ექსტრემისტთა მიერ აფხაზეთში ჩადენილი ქმედებები კვალიფიცირდება როგორც გენოციდი. ცნობილი ქართველი მოაზროვნე არჩ. ჯორჯაძე, ძალმომრეობის პრობლემების განხილვისას აღნიშნავდა, რომ ეს, ერთი ეთნიკური ჯგუფის მიერ რაიმე ნიშნით წინასწარი შეცნობით მეორე ეთნიკური ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობა და წევრთა საკუთარი ტერიტორიიდან გენოციდისაკენ მიმავალი ქმედებაა.[1]

აფხაზეთის ტერიტორიაზე 1992 წლის 14 აგვისტოდან დაიწყო ქართველთა გენოციდი და გაძევება ეშერიდან, ლიხნიდან, არადუდან, ახალსოფლიდან. პირველსავე დღეებში დახვრიტეს 17 კაცი, ხუთასამდე ადამიანი კი გააძევეს თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან. იმავე წლის 5 ოქტომბერს ლესელიძეში ელექტროგანათების ბოძებზე ჩამოახრჩვეს 50-მდე ქართველი. განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ გაგრის, სალხინოს, განთიადის, ბიჭვინთის, ლიძავის, ალახაძის, ბზიფის მოსახლეობას. სეპარატისტები განურჩევლად კლავდნენ მოხუცებს, ქალებს, უმწეო ბავშვებს. საჯაროდ ხვრეტდნენ მშვიდობიან მოსახლეობას".[2] ქ. გაგრის სტადიონზე 1000-მდე ქართველი დახვრიტეს აფხაზების მიერ დაქირავებულმა „ბოევიკებმა", ხოლო 17 ათასი ქართველი ქალაქიდან გააძევეს.

---

[1] იხ. არჩილ ჯორჯაძე. თხზ. წ. 1. 1911 წ. გვ. 26-27

[2] იხ. აფხაზეთი, 1999 წ. გვ. 6.

ბზიფი დაატოვებინეს 3000 კაცს. ქ. სოხუმის, ბზიფის და ოჩამჩირის დაბომბვებს 400-ზე მეტი ადამიანი შეეწირა. სეპარატისტებმა პირდაპირი დამიზნებით ჩამოაგდეს რამდენიმე სამოქალაქო თვითმფრინავი, რასაც მოჰყვა ადამიანთა დიდი მსხვერპლი, მათ შორის 50-ზე მეტი ქალი და ბავშვი. ქ. სოხუმში, საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ, 1993 წლის 27 სექტემბერს აწამეს და სხვებთან ერთად დახვრიტეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა, ქალაქის მერი გ. გაბისკირია, პოლიციის უფროსი რაფავა, გაგრის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე მიხეილ ჯინჭარაძე. სოხუმის აღების შემდეგ სეპარატისტებმა წამებით დახოცეს 1000-ზე მეტი ქართველი, ქალაქი დაატოვებინეს 49460 ქართველს. „ქ. სოხუმის მე-12 საშუალო სკოლასთან, ლუდხანის წინ მთვრალი აფხაზი და კაზაკი „ბოევიკები" ქართველთა მოკვეთილ თავებს ფეხით აბურთავებდნენ და ხარხარებდნენ".[1] სეპარატისტების ხელით დაიღუპა 100-ზე მეტი ხელოვნების, 30-ზე მეტი მედიცინის მუშაკი. ქ. სოხუმის დასასვენებელ პარკ „კურჩენკო"-ში დახვრიტეს 400-ზე მეტი ქართველი, 200-ზე მეტი პედაგოგი. ოჩამჩირის რაიონის სოფლებში აფხაზმა და ჩეჩენმა „ბოევიკებმა" ახლობლებისა და სოფლის მოსახლეობის თვალწინ საჯაროდ გააუპატიურეს 12-16 წლის 25 გოგონა. სოფ. კინდღთან კაზაკებმა დახვრიტეს 72 მშვიდობიანი მოსახლე. გენოციდის პოლიტიკამ განსაკუთრებული მასშტაბურობა მიიღო გალის რაიონში, გადაწვეს და დაანგრიეს 3227 ქართველთა საცხოვრებელი სახლი, 40 საშუალო სკოლა. სოფ. ოქუმში წამებით მოკლეს 65 ადამიანი. ქ. გალში დაანგრიეს 1040 საცხოვრებელი სახლი და 128 ადამიანი დახვრიტეს. გუდავაში დაწვეს 429 სახლი და წამებით მოკლეს 55 ადამიანი. დაარბიეს სოფლები: ბარღები, ოტობაია, პირველი გალი, დეფხონა, ღუმურში და ა.შ.

1994 წლის ივნისიდან კონფლიქტის ზონაში დისლოცირებულ იქნა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს სამშვიდობო ძალების კონტინგენტი, რომელსაც 12 კილომეტრიან უსაფრთხო ზონაში უნდა უზრუნველეყო მშვიდო-

[1] იხ. დასახ. კრებ. გვ. 9.

ბიანი მოსახლეობის დაცვა და შეექმნა პირობები დევნილთა დასაბრუნებლად. 1994-1995 წლის მაისამდე აფხაზი სეპარატისტების და დაქირავებული „ბოევიკების“, მათი მილიციისა და სხვა დამნაშავეთა ჯგუფების მიერ დახვრეტილი იქნა 1500-ზე მეტი ადამიანი, რომელთა უმეტესობა იყვნენ ქალები და ბავშვები. 1998 წლის მაისის თვიდან გალის რაიონში გადაწვეს 1300-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი, კვლავ დევნილად იქცა 40 ათასზე მეტი მოსახლე. ყოველგვარი მიზეზის გარეშე დახვრიტეს 70-ზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე. გამოძიების ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, აფხაზ სეპარატისტთა მიერ განხორციელებული გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შედეგად აფხაზეთის ტერიტორიაზე მოკლულია 5738 ადამიანი. აქედან: გაგრის ზონაში 483, სოხუმის რაიონში 238, ქ. სოხუმში 1148, გულრიფშის რაიონში 1232, ოჩამჩირის რაიონში 147, ქ. ტყვარჩელში 20. აფხაზეთში მოწყობილ გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას შეეწირა 70-ზე მეტი ბავშვი, 706 ქალი. მოკლულთა 50%-ზე მეტი იყვნენ მოხუცები. უგზოუკვლოდ დაიკარგა 600-მდე ადამიანი.

საქმის მასალების მიხედვით, აფხაზეთიდან განდევნილი იქნა სულ 267.345 ადამიანი. აქედან, ქ. სოხუმიდან და სოხუმის რაიონიდან 73.178, გაგრიდან 25.403, გულრიფშის რაიონიდან 34.587, გუდაუთის რაიონიდან 6.719 და ქ. ტყვარჩელიდან 3. 468 მშვიდობიანი მოქალაქე.

ცალკე განსჯის საგნად უნდა იქცეს ის ბარბაროსული აქტები, რაც აფხაზმა სეპარატისტებმა ჩაიდინეს ქართული რელიგიური და კულტურული ძეგლების მიმართ.

დადგენილია, რომ ბანდფორმირებებმა მთლიანად გაანადგურეს ბედიის ტაძარი, გალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, შოთა რუსთაველის ძეგლი ქალაქ სოხუმსა და გაგრაში, აკაკი წერეთლის ბიუსტი ქალაქ სოხუმში. 1993 წლის 27 სექტემბერს დაწვეს ივ. პაპასკირის სახელობის სამეცნიერო-მეთოდური რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ქართული ფონდი, ასევე, სხვა ქართული ხელნაწერები აფხაზეთის ყველა ბიბლიოთეკაში, ცეცხლი წაუკიდეს ქართულ სკოლებს.

მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურებულია ქ. სოხუმში და ილორში მდებარე მართლმადიდებელი ეკლესიები, აგრეთვე,

კამანის მონასტერი სოხუმის რაიონის სოფელ შრომაში, სადაც აფხაზმა ბოევიკებმა ომის პერიოდში ჯერ სასტიკად აწამეს და შემდეგ დახვრიტეს სასულიერო პირი, გვარად–ანუა.

არსებული მასალებით, აფხაზეთში სამხედრო კონფლიქტის შედეგად მხოლოდ მატერიალურმა ზარალმა შეადგინა 3,12 მილიარდი ამერიკული დოლარი, მოქალაქეთა პირადი ქონების ზარალმა (საბინაო ფონდის გარდა) 5,18 მილიარდი დოლარი, ეროვნული პროდუქციის დანაკარგებმა კი 1993-1998 წლებში – 2,41 მილიარდი დოლარი. სულ ზარალმა და დანაკარგებმა შეადგინეს 10,7 მილიარდ ამერიკულ დოლარამდე.

სეპარატისტებისა და მათი თანამზრახველების მიერ ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების დაბომბვის, საცხოვრებელი სახლების ნგრევის, ძარცვა-ყაჩაღობის გამო, მნიშვნელოვნად დაზარალდა ათასობით რუსი, სომეხი, ბერძენი და სხვა ეროვნების ადამიანი. ბევრმა დატოვა მშობლიური კერა და ლტოლვილად იქცა. სერიოზული მსხვერპლი განიცადა ზემოაღნიშნულმა არაქართულმა მოსახლეობამაც.[1]

უკანასკნელი მონაცემებით, მარტო აფხაზეთის ტერიტორიაზე 10.000-ზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე განადგურდა. აქ არ იგულისხმება კონფლიქტში მონაწილე ჯარისკაცთა და დახვრეტილ ტყვეთა რაოდენობა, გაუპატიურების უამრავი ფაქტი.

ექსტრემისტთა მოქმედებით უხეშად დაირღვა საერთაშორისო სამართლის ნორმები. კერძოდ, 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-2, მე-7 და 21-ე მუხლები. 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" არსებული საერთაშორისო პაქტის მე-2 და 26-ე მუხლები. „რასობრივი დიკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ" არსებული 1966 წლის 6-7 მარტის საერთაშორისო კონვენციის I მუხლი „რასობრივ დისკრიმინაციად" ცნობს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისს, შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას, რომელსაც საფუძვლად უდევს რასის, კანის ფერის, გვაროვნული, ეროვნული თუ ეთნიკური წარმოშობის ნიშნები. ამავე კონვენციის მე-3 მუხლის „დ" პუნქტის

---

[1] იხ. აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკაში ქართველი მოსახლეობის გენოციდის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილ გარემოებათა შესახებ. დასკვნა 1992-1999 წწ. თბ, 2000, გვ. 42-43.

შესაბამისად, სახელმწიფო მოვალეა აღკვეთოს რასობრივი დისკრედიტაციის ყოველგვარი გამოვლინება და უზრუნველყოს თითოეული ადამიანის თანასწორუფლებიანობა კანონის წინაშე. ასევე დარღვეულია „აპარტეიდის დანაშაულის აღკვეთისა და მისთვის დასჯის შესახებ“ არსებული 1973 წლის კონვენციის მე-2 მუხლი, რომლის თანახმად აპარტეიდად მიიჩნევა პოლიტიკა და პრაქტიკა, მათ შორის საკანონმდებლო ხასიათისა, რომელთა მიზანია ერთი რასობრივი ინტერესების მატარებელი ადამიანთა ჯგუფის მიერ, რომელიმე სხვა რასობრივ ჯგუფზე ბატონობის განხორციელება, რასაც გენოციდის ხასიათიც გააჩნია.

ეროვნული უმცირესობების, ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიის სამართალი, კერძოდ, 1966 წლის ზემოაღნიშნული პაქტის 27-ე მუხლში მოცემული ნორმით განისაზღვრება. ეს ნორმა ასახულია სხვადასხვა ფორმით სხვადასხვა ფუძემდებლურ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებშიც, რომელიც მაგ. გამეორებულია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის 1975 წლის ჰელსინკის დასკვნით აქტში, 1980 წლის მადრიდის შეხვედრის შემაჯამებელ დოკუმენტში, 1990 წლის პარიზის ქარტიაში ახალი ევროპისათვის და ა.შ. ამგვარი უმცირესობისათვის დაცულია საკუთარი კულტურა, რელიგია და დედაენა, ასევე მათი დაუბრკოლებელი სწრაფვა სახელმწიფოებრივი გარანტიების შექმნისაკენ, ანუ კულტურული ავტონომიის, რაც ხორციელდება ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთა ყოველგვარი დისკრიმინაციის გამორიცხვით, კანონის წინაშე მათი სრული თანასწორობის დაცვითა და მათთვის მიცემული ძირითადი თავისუფლებების შენარჩუნებისა და მათი პატივისცემის გზით.

თუმცა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მკაცრი დაცვა მსოფლიო საზოგადოებრიობის პრობლემას წარმოადგენს, რომელსაც სჭირდება გარანტიათა მწყობრი სისტემა, ხოლო გარანტიები არის იმ პირობების, საშუალებებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარების, შენების და რეალიზაციის ერთობლიობა თანაბარი საშუალებების შესაძლებლობებით. მათი კლასიფიკაცია სხვადასხვა მეთოდით შეიძლება მოხდეს:

მოქმედების სფეროს მიხედვით ასახელებენ საერთაშორისო-სამართლებრივ (პლანეტარულ) გარანტიებს, გარანტიებს რეგიონალური საერთაშორისო გაერთიანებების ფარგლებში, შიდასახელმწიფოებრივ და ავტონომიურ გარანტიებს.

საერთაშორისო-სამართლებრივი გარანტიები განსაზღვრულია 1948 წლის 10 თებერვლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, საერთაშორისო პაქტებით და ზემოთ დასახელებული სხვა დოკუმენტებით, რომლებსაც სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების მეშვეობით ახორციელებენ გაერო, მისი ორგანოები და აგრეთვე, ის ორგანიზაციები, რომლებიც მისი ეგიდით მოქმედებენ. ამ თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ უშიშროების საბჭოს, გენერალური ასამბლეის კომიტეტებს, გაეროს საერთაშორისო სასამართლოს და სპეციალიზებული დაწესებულებების – ადამიანის უფლებების დაცვის, ბავშვთა უფლებების დაცვის, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მოღვაწეობას. მათ ეკისრებათ ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის პასუხისმგებლობა და გაეროს წევრ სახელმწიფოებზე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიების გადაცემა. არსებული სისტემა გამოსაყენებელია, რადგან ამის პრეცედენტი უკვე არსებობს.

ასე მაგალითად, 1994 წელს, რუანდაში მომხდარი მასობრივი მკვლელობების გამოსაძიებლად, უშიშროების საბჭომ სპეციალური საერთაშორისო ტრიბუნალი შექმნა. სასამართლო პროცესი აშურაში (ტანზანია) გაიმართა, რომელმაც რუანდის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ჯაკ კამბანას, ნახევარი მილიონი ტუტსის მკვლელობაში „შეტანილი წვლილის“ გამო, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. ეს იყო გენოციდის ბრალდებით გასამართლების პირველი შემთხვევა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამავე პროცესზე, გაუპატიურების ბრალდებით გაასამართლეს რუანდის ერთ-ერთი პატარა ქალაქის მერიც. სასამართლომ გაუპატიურებაც გენოციდის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნია. გარდა ამისა, 1998 წლის ივნისსა და ივლისში, რომში 150-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. დელეგატებმა დაამტკიცეს ხელშეკრულება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს

შექმნის შესახებ, (International Criminal Coirt. ICC) შექმნის შესახებ, როგორც დამოუკიდებელი და პერმანენტული სტრუქტურის, რომელმაც უნდა განიხილოს გენოციდის, ადამიანურობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისა და ომის დანაშაულის შემთხვევები. რომის ხელშეკრულება ძალაში შევა იმ შემთხვევაში, თუ სულ მცირე, 60 სახელმწიფო მაინც მოახდენს მის რატიფიცირებას.[1]

საერთაშორისო სამართლის სპეციალისტს, აკად. ლ. ალექსიძეს მიაჩნია, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, უკვე არსებული სახელმწიფოს ფარგლებში, როგორც ყველა ხალხის, ასევე ასეთ სახელმწიფოში შემავალი მცირე ერების თვითგამორკვევის უფლების მიმართ, საკმაოდ კატეგორიულია. იგი იმავდროულად უარყოფს ნებისმიერი მმართველობის ფორმის სახელმწიფოში მცხოვრები ამ მცირე ერების ცალმხრივ, მთელი სახელმწიფოს ნების გაუთვალისწინებლად გამოყოფის უფლებას.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, და, უწინარეს ყოვლისა, საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს ხალხთა თვითგამორკვევის უფლების შეხამებას სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპთან. გაეროს 1970 წლის დეკლარაცია „საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ“, ასევე, ეუთოს ფუძემდებლური დოკუმენტები, ვენის 1993 წლის ადამიანის უფლებების მსოფლიო კონფერენცია ერთსულოვნად აღიარებს მხოლოდ კოლონიალურ და დამოკიდებულ ხალხთა მიერ ძალის გამოყენების ცალმხრივ უფლებას, თუ მათ განადგურება ემუქრება და ხაზს უსვამს, რომ ამ უფლების რეალიზაცია არ უნდა განიმარტებოდეს, როგორც იმ სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის, ან პოლიტიკური ერთიანობის დამრღვევი, ან ძირგამომთხრელი ნებისმიერი მოქმედებების ნებართვა ან წახალისება, რომლებიც იცავენ ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპს და აქედან გამომდინარე, ჰყავთ მათ ტერიტორიაზე მცხოვრები

[1] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიულეტენი, თბ. 1999 წ. №8. გვ. 7.

მთელი ხალხის (ყოველგვარი განსხვავების გარეშე) ინტერესების გამომხატველი მთავრობები.

ამ პრინციპით ხელმძღვანელობს დღეს სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა, როგორც გლობალურ (გაერო), ისე რეგიონალურ (ეუთო, ევროკავშირი და ა.შ.) დონეებზე, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ამას არაერთხელ აღნიშნავდა გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი ბუტროს ბუტროს გალი, მსოფლიო ქაოსის არენად იქცევა.[1]

აქედან გამომდინარე, მიუხედავად გარკვეულწილად ვითარების შეცვლისა, არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ აკად. ლევან ალექსიძის მიერ ადრე გამოთქმულ შემდეგ მოსაზრებებს, რომლებიც აფხაზეთის დღევანდელ მდგომარეობასთანაა დაკავშირებული: „ერთ მხარეს სახეზეა აგრესიული სეპარატიზმის მესვეურთა რეჟიმი, რომელიც მხილებულია ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისათვის, ხოლო მეორე მხარეს გვევლინება მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა (გაერო, ეუთო, ევროკავშირი, ევროპის საბჭო), რომელიც დღემდე მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებების გამოყენებას ცდილობს, რაც სეპარატისტებში დაუსჯელობის ეიფორიას აღვივებს. დროა, რომ აფხაზეთში, საქართველოს ამ ისტორიულად კუთვნილ რეგიონში არსებული კონფლიქტის ფართომასშტაბიანი მოგვარება წარიმართოს არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, ანუ, „ხვეწნის“ პოლიტიკიდან გაერო და სხვა ორგანიზაციები უნდა გადავიდნენ დამნაშავე მხარის მიმართ მრავალფეროვანი იძულებითი საშუალებების გამოყენებაზე“.[2] პოსტსაბჭოურ სივრცეში იარაღის გამოყენებით გამოყოფილი არც ერთი პოლიტიკური ერთეული, თუნდაც რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა, არ იქნება „დამოუკიდებელ ქვეყნად“ აღიარებული არც გაეროს, არც ეუთოს, არც ევროკავშირის მიერ, თუმცა ამას რუსეთის ფედერაციის დღევანდელი ხელისუფლება ანგარიშს არ უწევს.

დღეს ასეთ ხალხთა თვითგამორკვევის უფლება განიხილება როგორც ენის, ტრადიციების, კულტურისა და თუნდაც, პოლი-

---

[1] "Повестка дня мира", 1992 წ. პ.19.

[2] იხ. საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №1, თბ, 2001, გვ.238

ტიკური ინსტიტუტების სფეროში მაქსიმალური თვითგამოხატვის უფლება, მაგრამ ამ უფლებების პატივისმცემელი სახელმწიფოს საზღვრებში.[1]

ასეთია საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო პრაქტიკის ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მცხოვრები ერებისა და ეთნოსების მიმართ ვრცელდება. ამ მოთხოვნებს უნდა ემორჩილებოდეს საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელი, მიუხედავად იმისა, როდის არის ჩამოსახლებული ამა თუ იმ რეგიონში და უმცირესობას წარმოადგენს თუ უმრავლესობას.

ამ ეტაპზე ეს პროცესები სამართლებრივად უკვე შეფასებულია. დანარჩენი კი მომავლის საქმეა.

დასკვნის მაგივრად

არასაერთაშორისო შეარაღებული კონფლიქტი აფხაზეთში დაიწყო 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შეიარაღებული ფორმირებების თავდასხმით აფხაზეთის ტერიტორიაზე შესულ ცენტრალური ხელისუფლების შეირაღებულ ძალებსა და მილიციის კონტინგენტზე, რომლებსაც ევალებოდათ რაიონში მოთარეშე ტერორისტებისა და სხვა ბანდების ალაგმვა, რასაც ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ვერ ახერხებდა. მას წინ უსწრებდა ანტიქართული პროპაგანდა, ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის უარყოფა და სეპარატისტული გზის „სამართლიანობის მანტიით შესამოსად" მთელი რიგი საკანონმდებლო აქტების მიღება, არაკანონიერი შეიარღებული ძალების შექმნა და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჯარები ტერიტორიის ორ მესამედს აკონტროლებდნენ, მთავრობა დათანხმდა კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებასა და რუსეთის შუამავლობაზე. 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში ხელი მოეწერა „შეთანხმებას შეიარაღებული მოქმედებების შეწყვეტის თაობაზე". მაგრამ ამავე წლის 3 ოქტომბერს სეპარატისტებისა და საზღვარგარეთიდან შემოსული ძალების შეიარაღებულმა ფორმირებებმა

---

[1] Журнал Международного права .3/98/31, Москва, 1998.

წამოიწყეს ახალი შეიარაღებული მოქმედებები, რომლებიც დროებით შეწყდა 1993 წლის 27 ივლისს. თუმცა 16 სექტემბერს სეპარატისტებმა ისევ წამოიწყეს შეტევა.

ამ პერიოდის მანძილზე სეპარატისტებს მხარში ედგათ რუსეთის რეგულარული და არარეგულარული შეიარაღებული დანაყოფები, ე.წ. „მთიელი ხალხების კონფედერაციის" ბოევიკები, მრავალი დაქირავებული პირისაგან შემდგარი რაზმები. სეპარატისტებმა შეძლეს თითქმის მთელი აფხაზეთის ტერიტორიის ხელში ჩაგდება და მთელი ქართული მოსახლეობის განდევნა ეთნიკური წმენდის გამოყენებით, რაც გენოციდს წარმოადგენს. 1993 წლის 14 მაისს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება შეიარაღებული ბრძოლის შეწყვეტისა და (ის ფაქტობრივად შეწყდა ჯერ კიდევ სექტემბრის დამლევს) და მებრძოლ მხარეთა ძალების დაშორიშორების შესახებ. შეიქმნა ზონა, რომელშიც დსთ-ს, ფაქტობრივად რუსეთის, სამშვიდობო კონტინგენტი დადგა. საქართველოს თხოვნით, გაეროს უშიშროების საბჭო და გაეროს გენერალური მდივანი აქტიურად ჩაერთნენ კონფლიქტის მოგვარებაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის უპირობო აღიარებით.[1]

გარდა ამისა, საერთაშორისო სამართლის ნორმები აშკარად მოწმობენ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის დროს რუსეთის თუ სხვა ქვეყნების მოქალაქეები (ჩეჩნები, ადიღეელები, კაზაკები, სირიელები და სხვ.), რომლებიც სეპარატისტულ ხელისუფლებას ჰყავდა დაქირავებული, კომბატანტებად ვერასგზით ვერ ჩაითვლებოდნენ. ისინი ბანდიტურ ფორმირებებად იქნა მიჩნეულნი. იგივე ითქმის ე.წ. „კავკასიის ხალხთა კონფედერაციის" მიერ შემოგზავნილ „მოხალისეებზე", რომლებიც ძირითადად დაქირავებული მეომრები იყვნენ. მიუხედავად ამისა, საქართველო ჰუმანურად ეპყრობოდა თვით ამ ტყვედ ჩავარდნილ დაქირავებულებსაც და ავრცელებდა მათზე საერთაშორისო სამართლის ნორმებს. აფხაზი სეპარატისტები კი ქართველი მოსახლეობის მიმართ გენოციდისა და ეთნიკური წმენდის პოლიტიკას ახორციელებდნენ, რაც მშვიდობის, კაცო-

[1] ამჟამად კონფლიქტის მხარეებად აღიარებულიარუსეთ-საქართველო და არა „აფხაზეთი" და „ოსეთი" როგორც დამოუკიდებელი სუბიექტები.

ბრიობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად არის აღიარებული ეუთოს, ევროპის საბჭოს და მთლიანად სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. არ შეიძლება გამოირიცხოს რუსეთის მთავრობის პასუხისმგებლობა მის ტერიტორიაზე სხვადასხვა ბანდების, არარეგულარული ჯარებისა და დაქირავებულთა მომზადებისა და საქართველოში (აფხაზეთში) შემოგზავნის გამო. რუსეთის ფედერაცია ვალდებული იყო, არ დაეშვა ასეთი ბანდების შექმნა და მით უმეტეს, საქართველოში მათი გადმოსვლა საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან საბრძოლველად.[1]

სამწუხაროდ, რუსეთის პოლიტიკური ხელისუფლება უფრო შორს წავიდა. 2008 წლის აგვისტოში ერთმორწმუნე, ოდესღაც ერთ პოლიტიკურ სივრცესა და რეჟიმის პირობებში მყოფი, ადრე „უფროსი ძმად" მონათლული ქვეყანა თავს დაესხა საქართველოს არაადექვატური ძალებით და მისი განადგურება მოინდომა, რომ არა საერთაშორისო თანამეგობრობა.

საუბედუროდ, გამართლდა 1801 წლის 28 მაისს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ წარდგენილი პროგრესულად მოაზროვნე გრაფების ვ. კოჩუბეის და გ. ვორონცოვის „უქვეშევრდომილესი" მოხსენება მანიფესტის შესახებ, რომელშიც აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს რუსეთთან მიერთება სავსებით უსარგებლო და საზიანოც იქნებოდა ორივე ქვეყნისათვის. ისინი ეჭვობდნენ, რომ ამით დიდი თავსატეხი გაუჩნდებოდა ორივე ქვეყნის მომავალ თაობებს, მაგრამ ვინ მოუსმინა მათ?

2008 წლის რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად 412 ადამიანი დაიღუპა. მათ შორის, 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 170 სამხედრო მოსამსახურე და 14 პოლიციელი. უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება 24 ადამიანი. დაიჭრა საქართველოს 1747 მოქალაქე; მათგან, 973 სამხედრო მოსამსახურე, 547 მშვიდობიანი მოქალაქე და 227 პოლიციელი. 3 ჟურნალისტი (დაღუპულთაგან, 1 უცხოელი და 2 ქართველი).

ომის შედეგად 133 ათასმა ქართველმა დატოვა საკუთარი სახლ-კარი (უმეტესად ცხინვალის რეგიონიდან და შიდაქართლ

[1] ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2012 გვ.370.

ტერიტორიებიდან. მათგან, დაახლოებით 25 000 უკან ვერ ბრუნდება).

2008 წლის აგვისტოში კრემლმა ჯერ სრულმასშტაბიანი აგრესია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ, შემდეგ კი, 26 აგვისტოს, ცნო აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" „დამოუკიდებლობა". ამ ქმედებებით მან ფეხქვეშ გათელა საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპები, სრულიად უგულებელყო საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

2008 წლის 28 აგვისტოს დადგენილებით (№243), საქართველოს პარალამენტმა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის ყველა შეიარაღებული ქვედანაყოფი, მათ შორის, ე.წ. სამშვიდობო ძალები, „საოკუპაციო საჯარისო შენაერთად" გამოაცხადა, ხოლო აფხაზეთი და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი – რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად.[1]

ტერიტორია მიიჩნევა ოკუპირებულად, როდესაც ის ფაქტობრივად მტრის სახელმწიფო ჯარების დაქვემდებარებაშია. ოკუპაცია ვრცელდება იმ ტერიტორიის ფარგლებში, სადაც ამდაგვარი ხელისუფლების კონტროლი ხორციელდება.[2]

აგვისტოს აგრესიის შედგომ, აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობით, კრემლმა, ფაქტობრივად, ყველა ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა დააღვია.

სამოქალაქო ომების შესახებ საინტერესო მოსაზრება არაერთ მკვლევარს გამოუთქვამს, მათ შორის არის ჟ. პრადელი, რომლის შედარებითი ანალიზიც დიდ ინტერესს იწვევს. მისი აზრით, სამოქალაქო ომი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ომი ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ ორ ან მეტ დაჯგუფებას შორის. ამასთან, შეიძლება, რომ ერთ-ერთი მეომარი მხარე მთავრობა იყოს. სამოქალაქო ომი შეიძლება დაიწყოს სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად, ან, მისი გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს მოსახლეობის ერთი ნაწილის სურვილი, გამოეყოს სახელმწიფოს და შექმნას ახალი სახ-

---

[1] შ. მალაშხია, კონფლიქტების ანატომია თბ. 2011წ.გვ109

[2] Ocupation. International Review of the Red Cross Humanitarian debate: Law, Policy, Action. Volume 94, N.885, Spring, 2012, p.321.

ელმწიფო. მართალია, სამოქალაქო ომის ეს ორი ტიპი ხშირად გაერცელებულია, მაგრამ შესაძლებელია სხვა სახის სამოქალაქო ომის არსებობაც. მაგალითად, მეამბოხეთა შესაძლებელია იყოს მთავრობის იძულება, რათა მან მიხეედან (მეამბოხეებს) მეტი თავისუფლება (ე.ი. მიანიჭოს რეგიონალური ავტონომია). სამოქალაქო ომი შეიძლება წარმოიშვას ორ მხარეს შორის, ხოლო მთავრობა ნეიტრალური და უმოქმედო დარჩეს (ლიბანი 1975-1976 წწ.).

1945 წლის შემდეგ გამართული ომების უმრავლესობა სამოქალაქო ხასიათს ატარებდა. თვით საერთაშორისო ხასიათის კონფლიქტების საფუძველიც კი, ხშირად, სამოქალაქო ომებიდან მომდინარეობდა (მაგალითად, არაბულ სახელმწიფოებსა და ისრაელს შორის დაპირისპირების მიზეზი იყო ებრაელ და არაბ ხალხთა შორის არსებული დაპირისპირება პალესტინაში ბრიტანელთა ბატონობის ბოლო ათწლეულში). თანამედროვე ეპოქაში სახელმწიფოები არ ცდილობენ გაზარდონ თავიანთი ტერიტორია სხვა სახელმწიფოების ტერიტორიების დაპყრობით, ამის სანაცვლოდ, ისინი თავიანთი გავლენის სფეროებს ზრდიან სხვა სახელმწიფოებში ისეთი ფრაქციების ხელშეწყობით, რომლებიც მათ იდეოლოგიას იზიარებენ. ისეთი იდეოლოგიის არსებობა, რომელიც სცილდება ეროვნულ საზღვრებს, საშიშია ორი მიზეზის გამო: 1) ის ხელს უწყობს სამოქალაქო ომების წარმოშობას; 2) ზრდის იმის საშიშროებას, რომ სამოქალაქო ომი გადაიზრდება საერთაშორისო ხასიათის კონფლიქტში, რადგან საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომლებიც უცხო სახელმწიფოს სამოქალაქო ომში ჩარევის საკითხს შეეხება, არ არის ნათლად ჩამოყალიბებული, როგორც მაგალითად, საერთაშორისო კონფლიქტების აკრძალვის შესახებ არსებული ნორმები. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის შემდეგ მთელ მსოფლიოში გაჩაღდა მრავალი ეთნიკურ-ნაციონალისტური კონფლიქტი, რამაც კიდევ ერთხელ წამოწია წინ საკითხის მნიშვნელობა.

ინდივიდებს, რომლებსაც ახალი მთავრობის ან ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბება სურთ, ხშირად მეამბოხეებს უწოდებენ. პ. მალანჩუკი თავის ნაშრომებში ამ ტერმინს იყენებს, რადგან ეს ტერმინი უფრო ნაკლები დაძაბულობის მატარებე-

ლია, ვიდრე სხვა ისეთი ტერმინები, როგორიცაა „აჯანყებული" ან „რევოლუციონერი". მეორე მხარეს ხშირად უწოდებენ დე იურე მთავრობას ან, დე იურე ხელისუფლებას, მაგრამ პიტერ მალანჩუკი ასაბუთებს, რომ მის მიერ გამოყენებული ტერმინი იქნება „არსებული ხელისუფლება". ამან შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს, რადგან იგი გულისხმობს შეუსაბამო ქვეტექსტებს სახელმწიფოთა აღიარების სამართლის თვალსაზრისით, ამასთანავე ის გულისხმობს იმას, რომ საერთაშორისო სამართალი არსებული ხელისუფლების მხარეზეა, რაც ყოველთვის მართებული არ არის.

პროფ. ჯ. გახოკიძე აფხაზურ და ოსურ თემას განდგომილების პრობლემას, ხოლო მათ განდგომილ რეგიონებს უწოდებს.[1] მართალია, საერთაშორისო სამართლის ლექსიკისათვის უცხო არ არის განდგომილება (სეცესია), მაგრამ იგი თავისი შინაარსითა და ბუნებით „ამბოხს"-საც ითავსებს რომელიც სამართლიანობისა და ზნეობრიობის თვალსაზრისით შესაძლებელია პ. მალანჩუკის მოსაზრებას გავუთანაბროთ.

რაც შეეხება ტალიავინის კომისიის დასკვნის მიმართ სამართლებრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით გაკეთებულ ანალიზს, რომელიც სხვადასხვა პერიოდულ პრესაში გამოქვეყნდა, შემდეგი დასკვნები იწერება:

- რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაცია იყო აგრესია;
- ტალიავინის კომისიამ აღიარა ოსების მხრიდან ქართველთა გენოციდი;
- კომისიის დასკვნაში მოცემულია საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფის ფაქტი, რომელსაც დასაბუთებულობა და ამ ნიშნის ხელყოფის სრულყოფილება აკლია;
- კომისიამ აღიარა კოდორის ხეობის ოკუპაცია, რუსულ-აფხაზური ძალების მიერ;
- მიუხედავად იმისა, რომ კომისია აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევის უფლებასთან ძირითადად სწორ დასკვნებს აკეთებს და აფხაზეთისა და ე.წ.

---

[1] სამართლის პრობლემები (რომან შენგელია 70-საიუბილეო კრებული), თბ. 2012წ.გვ 122.

სამხრეთ ოსეთის ქმედებებს მკვეთრად უარყოფითად აფასებს, რუსეთის მიმართ საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმებით კვალიფიკაციისაგან თავს იკავებს, რამაც სპეციალისტთა ნაწილში დასკვნის მიმართ კრიტიკული მიდგომა გამოიწვია.

თანამედროვე ვითარება, რუსეთის აგრესია და რიტორიკა, შესაძლოა მრავალ ადამიანში იწვევს პესიმიზმის, მაგრამ ვფიქრობთ, ხანგრძლივ პერსპექტივაში საერთაშორისო ინსტიტუტებისა და მექანიზმების სულ უფრო აქტიური და ქმედითი ჩარევის შედეგად, ეს პრობლემა მოიხსნება. თანდათანობით აფხაზებიც და ოსებიც გააცნობიერებენ, რომ ფორმალური დამოუკიდებლობა (რეალურად კი რუსეთის მიერ ოკუპაცია) მათ ერებს არაფერს მოუტანს, გარდა ასიმილაციისა და ეროვნულობის დაკარგვისა.[1]

ამდენად, ამ ხალხებს, ეროვნული კულტურის, თვითმყოფადობის გადარჩენის პერსპექტივა, მხოლოდ ქართველ ერთან და ქართულ სახელმწიფოში გააჩნიათ.

§3. ქართველთა მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში

ირაკლი ჯორჯაძის მონოგრაფიაში „ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან", განხილულია საქართველოს ადგილი და როლი მეორე მსოფლიო ომში. ცნობილი ფაქტია, რომ ქართველი მეომრები 1418 დღიანი ომის განმავლობაში, დაწყებული შორეული პოლარეთის მცირე მიწიდან, სადაც იცავდნენ №1 სასაზღვრო ბოძს, დამთავრებული კავკასიის უღელტეხილებამდე, მონაწილეობდნენ 54 სტრატეგიულ, 260 საფრონტო და 100-ზე მეტ საარმიო ოპერაციაში. ქართველმა მეომრებმა თავი გამოიჩინეს ხმელეთზე, ცაში და ზღვაზე ისე, როგორც ეს შეეფერებათ დიდი სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების მატარებელი ქვეყნის შვილებს.

საქართველომ, რომელიც ომის დაწყების წინ 3540000 მცხოვრებს ითვლიდა, ფრონტზე 700000 მეომარი გაისტუმრა, ე.ი.

---

[1] გ. გორაძე, ფედერალიზმის პერსპექტივები საქართველოში, თბ. 2012წ. გვ. 296-297.

მთელი მოსახლეობის 20%. ეს ციფრი ბევრად აღემატებოდა მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს მიერ მთელი მოსახლეობის ოდენობასთან შედარებით არმიაში მობილიზებული ადამიანების საშუალო პროცენტს, რომელიც 6,5%-ს შეადგენდა. გარდა აღნიშნულისა, საქართველომ ფრონტზე ცოცხალი ძალის სახით დაკარგა 307300 ადამიანი მაშინ, როდესაც მეორე მსოფლიო ომში ყველა ფრონტზე აშშ-ს დანაკარგი იყო 274000, ინგლისის – 264000, საფრანგეთისა – 200000 კაცი.[1]

ომის დაწყების პირველ პერიოდშიც ცენტრალური ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა ან ოკუპირებული იქნა ფაშისტური გერმანიისა და იტალიის მიერ, ან მათზე დამოკიდებული აღმოჩნდა. მასობრივი არმიის შექმნის უზრუნველსაყოფად, 1939 წლის 1 სექტემბერს მიღებული იქნა კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ. 1941 წლის შუა ხანისათვის საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები 1939 წელთან შედარებით, 2.8-ჯერ გაიზარდა და გადააჭარბა 5 მლნ. ადამიანს.

მეორე მსოფლიო ომმა უდიდესი გავლენა იქონია კაცობრიობის ბედზე. ომში მონაწილეობდა 72 სახელმწიფო (დედამიწის მოსახლეობის 80%). ბრძოლები მიმდინარეობდა 40 სახელმწიფოს ტერიტორიაზე. შეიარაღებულ ძალებში მობილიზებულ იქნა 110 მლნ. ადამიანი. საერთო დანაკარგები 55-60 მლნ. ადამიანს, სამხედრო ხარჯები და ზარალი კი, 4 ტრილიონ დოლარს შეადგენდა. ომს თან სდევდა საშინელი ნგრევა. განადგურდა ათასობით ქალაქი და სოფელი, უბედურება დაატყდა ათეულობით მლნ. ადამიანს.

საქართველოს მოსახლეობის საუკეთესო ნაწილი იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში. მათგან, 164-ს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ათიათასობით მეომარი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით. ჩვენი სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს იმ ფაქტს, რომ მათ შორის, ვინც გამარჯვების დროშა აღმართა რაიხსტაგზე, მელიტონ ქანთარიაც იყო.

ომი რომ დიდი უბედურებაა კაცობრიობისათვის, ამის თაობაზე ბევრი ითქვა, მაგრამ ნებისმიერი ომი აზარალებს

---

[1] ირ. ჯორჯაძე, ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან, თბ. 1990წ

უდანაშაულო ადამიანებს. ასე მოხდა მეორე მსოფლიო ომშიც. დაღუპული ≈60 მილიონი ადამიანიდან, 11 მილიონზე მეტი სამოქალაქო პირი იყო.

კატეგორიულად აკრძალულია ომის დაწყება მისი წინასწარი გამოცხადების გარეშე, რომელსაც სამხედრო მოქმედებების დაწყების შესახებ მოტივირებული განცხადების ან ულტიმატუმის სახე უნდა ჰქონდეს. აგრესორის მიერ ომის გამოუცხადებლად დაწყება ამძიმებს მის დანაშაულს. სახელმწიფოს მიერ ომის გამოცხადება დაიშვება მხოლოდ როგორც აგრესიის საპასუხო აქტი.[1] ფაშისტური გერმანია ომის გამოუცხადებლად შეიჭრა სსრ კავშირის ტერიტორიაზე და ამით უგულვებელყო საერთაშორისო სამართლის ყველა მოთხოვნა.

განსაკუთრებით გვინდა ხაზი გავუსვათ შინაგან საქმეთა ორგანოების მონაწილეობას მეორე მსოფლიო ომში, რადგან სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეები და შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებებში გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ ომის მთელ პერიოდში, რომლის დასაწყისისთვის საბჭოთა კავშირი იყო ყველა მოქმედი საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტის მონაწილე, რომელიც სჰს-ს მიეკუთვნებოდა, გარდა 1929 წლის სამხედრო ტყვეების შესახებ არსებული კონვენციისა. ამიტომ, იურიდიული თვალსაზრისით, შინაგანი ჯარების პირად შემადგენლობაზე ვრცელდებოდა ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც სტრუქტურულად წითელ არმიაში შედიოდა 1939 წლიდან. ასევე, შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებზე, რომლებიც მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში გამანადგურებელი ბატალიონების (პოლკების), პარტიზანული რაზმების ან წითელი არმიის რიგებში, ვრცელდებოდა კომბატანტების სამართლებრივი სტატუსი.[2]

---

[1] ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2010 გვ. 366.

[2] სახმელეთო ომის კანონები და წესების შესახებ 1907 წლის კონვენცია, პირველი მუხლის მე-3 ნაწილი

სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარიატის 1941 წლის 7 ივლისის დირექტივა მოითხოვდა, რომ შს განყოფილებების პირადი შემადგენლობა ნებისმიერ დროს, ნებისმიერ გარემოში ყოფილიყო მზად, რათა დამოუკიდებლად ან წითელი არმიის ქვედანაყოფებთან ერთად შეესრულებინა საბრძოლო ამოცანები მოწინააღმდეგის დივერსიული ჯგუფების, საპარაშუტო დესანტების და რეგულარული ნაწილების გასანადგურებელად, განსაკუთრებით, საომარი მოქმედებების ზონაში, სადაც შს განყოფილების საბრძოლო საქმიანობა მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული საარმიო შენაერთების ტაქტიკასთან. ამ დირექტივის შესასრულებლად შსკ-ის სამმართველოების უფროსების ბრძანებულებებით იმ ოლქებში, სადაც საომარი მდგომარეობა იყო გამოცხადებული, ყველა სამმართველოსა და განყოფილებაში შეიქმნა სამწყობრო ქვედანაყოფები: ათეულები, ოცეულები, ასეულები, ბატალიონები შემდეგი რიცხოვნების შესაბამისად: 12, 50, 200, 600 კაცი და მთელი პირადი შემადგენლობა გადაყვანილ იქნა ყაზარმულ მდგომარეობაზე.

ერთ-ერთი პირველი ასეთი ღონისძიება იყო ბრძანებულება „სამხედრო წესების შესახებ"[1], რომელიც ძირითად მიზნად ისახავდა სსრ კავშირის თავდაცვითი ინტერესების, საზოგადოებრივი და სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფას. ბრძანებულებით, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ფუნქციის შესრულება დაეკისრათ ფრონტის, არმიის, სამხედრო ოლქების სამხედრო საბჭოებს, ხოლო იქ, სადაც საბჭოები არ იყო, - სამხედრო შენაერთთა სარდლობას.

სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის მოქმედი წესების გაუთვალისწინებლად - ნათქვამია ბრძანებულებაში „სამხედრო წესების შესახებ", - იმ ადგილებში, სადაც გამოცხადებულია სამხედრო წესები, თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებათა შესახებ აღძრული ყოველი საქმე განსახილველად გადაეცემა სამხედრო ტრიბუნალებს. ასევე, საქმეები საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების დატაცების, ყაჩაღობის, განზრახ მკვლელობის, სამხ-

[1] გაზ. „კომუნისტი", 1941წ. 23 ივნისი

ედრო ვალდებულებათა შესრულებისათვის თავის არიდების, იარაღის უკანონო ყიდვა-გაყიდვის, შენახვის, აგრეთვე იარაღის დატაცების, სპეცულაციის, ბოროტი ხულიგნობისა და სხვა სახის დანაშაულებათა შესახებ. სამხედრო ტრიბუნალების განაჩენების გასაჩივრება საკასაციო წესით არ შეიძლებოდა.

მთელი ქვეყანა სამხედრო ყაიდაზე გარდაიქმნა. ეს შეეხო შ.ს. სამინისტროსაც. შს განყოფილებები მთელ რიგ სერიოზულ პრობლემას აწყდებოდნენ. ძირეულად შეიცვალა სამუშაო პირობები, მნიშვნელოვნად გაიზარდა შესასრულებელი სამსახურებრივი ამოცანები, ამაღლდა მოთხოვნები პირადი შემადგენლობის მიმართ. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ მტრის ზურგში საყოველთაო სახალხო ბრძოლის გაშლის, პარტიზანული რაზმების შექმნის, ჩვეულებრივ 30-დან 50 კაცამდე რაოდენობით დივერსიული ჯგუფების მტრის ზურგში გადასროლის საქმეში.

როგორც მეორე მსოფლიო ომის გამოცდილებამ აჩვენა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატზე-შინაგან საქმეთა სამინისტროზე იყო დაკისრებული ის ამოცანები, რომლებიც დაკავშირებული იყო იმ ხელშეკრულებათა დაცვასთან, რომლებიც მიეკუთვნება სპს-ის (მხედველობაში გვაქვს დებულება სახმელეთო ომის კანონებისა და წესების შესახებ, რომლის II თავი შეიცავს ნორმებს სამხედრო ტყვეების შესახებ). საუბარია 1939 წლის სექტემბერში შექმნილ სასამართლოზე სამხედრო ტყვეებისა და ინტერნირებულთა საქმეებზე—ენკავედე-შსს-ს სტრუქტურულ განყოფილებაზე, რომლის ძირითად ფუნქციებად მიჩნეული იყო:

1) სამობილიზაციო გეგმების შემუშავება სამხედრო ტყვეების და ინტერნირებულებისათვის მიმღები პუნქტების და ბანაკების მოსაწყობად;

2) მათი შექმნა და ხელმძღვანელობა. ამ კატეგორიის ხალხის მიღება, ბანაკების მიხედვით განაწილება და აღრიცხვა;

3) ინსტრუქციებისა და წესების შედგენა და გამოცემა, რომლებიც ეხება სამხედრო ტყვეების და ინტერნირებულების შენახვასა და შრომით გამოყენებას;

4) პოლიტმუშაობის ხელმძღვანელობა;

5) საბანაკო კონტინგენტის მომარაგების, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაცია;

6) სამხედრო ტყვეების გაცვლის მომზადება და განხორციელება.

თვითონ სამხედრო ტყვეების და ინტერნირებულთა საქმეების სამმართველოს პერიფერიული ქსელი შედგებოდა რვა ბანაკისა და 138 მიმღები პუნქტისაგან, რომლებშიც მოიყვანეს სამხედრო მოქმედების შედეგად ტყვედ ჩავარდნილი პოლონელი სამხედრო მოსამსახურეები, რაც უკავშირდებოდა საბჭოთა კავშირთან უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქების შეერთებას, აგრეთვე, ბალტიისპირეთში ინტერნირებული პოლონეთის მოქალაქეები. სსრკ-ფინეთის 1939-1940 წლების ომის პერიოდში ამ ბანაკებში ათავსებდნენ ფინელ სამხედრო ტყვეებს, ხოლო 1941 წლიდან-გერმანელ და სსრკ-ს წინააღმდეგ მეომარი სხვა ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეებს.

სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები და შინაგან საქმეთა ორგანოები 1980-იან წლებში აქტიურად ჩაებნენ შეიარაღებულ კონფლიქტებში სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ. მათ საომარ მოქმედებებზე ასევე ვრცელდებოდა სჰს-ის ნორმები, კერძოდ, ავღანეთში, სადაც 1979 წელს შეყვანილ იქნა საბჭოთა ჯარების „შეზღუდული" კონტინგენტი, თითქოსდა ავღანეთის მთავრობის თხოვნით. ავღანეთის ომში სსრ კავშირი თავის ჩართვას ამართლებდა ისეთი დიდი სახელმწიფოს „მონაწილეობით", როგორიც იყო ამერიკის შეერთებული შტატები, რომელსაც საკუთარი ინტერესები გააჩნდა. ამიტომ საინტერესოა, რომ ფაქტობრივად, იგი საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად გადაიქცა, სადაც სამწუხაროდ, საკმაო რაოდენობის საქართველოს მოქალაქე მონაწილეობდა და სიცოცხლეც ბევრმა შესწირა. ავღანეთის ომი სსრ კავშირს წელიწადში 4 მილიარდი დოლარი უჯდებოდა. საინტერესოა, რომ აშშ-მ ავღანეთის დაფინანსება 20 მილიონი დოლარით დაიწყო და იგი შემდგომში 300 მილიონამდე გაიზარდა.

შეიარაღებული კონფლიქტი ავღანეთში ერთობ თავისებურია. მან თავიდანვე საერთაშორისო ხასიათი შეიძინა, როდესაც დამოუკიდებელი და სუვერენული ქვეყნის შიდა საქმეებში უცხო სახელმწიფოები ჩაერთვნენ. ასევე, ზოგიერთი სხვა სახელმწიფო აქტიურად ამარაგებდა ავღანელებს იარაღით და სხვა სამხედრო აღჭურვილობით, ცოცხალი ძალითაც კი. პაკისტანმა ავღანელ

მეომბოხეებს საკუთარი ტერიტორიის გამოყენების უფლება მისცა და მრავალ შემთხვევაში შეიარაღებულ დახმარებასაც უწევდა.[1] შეიქმნა ავღანეთის დამოუკიდებლობის დაკარგვის რეალური საშიშროება. შეიარაღებულმა კონფლიქტმა დააყენა ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ არსებული ჟენევის კონვენციების (1949წ) გამოყენების საკითხი. აშკარაა, რომ დასახელებული კონვენციის განუხრელი დაცვა შეასუსტებდა კონფლიქტის სისასტიკეს და შექმნიდა საჭირო პირობებს აღმოცენებული პრობლემების მოსაგვარებლად. კერძოდ, მოქალაქეებთან დაკავშირებით იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე შეიარაღებული კონფლიქტები წარმოშობენ მილიონობით გადასახლებულებსა და ლტოლვილებს, სამართალდამცავი ორგანოების წინაშე დგება მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის საკითხი. კერძოდ, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში ლტოლვილები და აპატრიდები იმყოფებიან IV კონვენციის დაცვის ქვეშ (ნაწილები I და III), I დამატებითი ოქმის (მუხ. 73) ნებისმიერ გარემოებაში. 1999 წლის ჟენევის კონვენციები მეომარი მხარეებისაგან მოითხოვენ ჰუმანურ დამოკიდებულებას, თავისუფალს ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან ყველა იმ პირის მიმართ, რომლებიც არ მონაწილეობენ სამხედრო მოქმედებებში (მუხ. 3, საერთო I-IV კონვენციებისათვის). II დამატებითი ოქმი ასევე შეიცავს მთელ რიგ დებულებებს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის თაობაზე (მუხ. 13).

მეომარი მხარეების ხელისუფლებებზე, სამართალდამცველი ორგანოების ჩათვლით, ვრცელდება სჰს-ის ნორმები, რომლებიც ეხება დახმარებას ომის შედეგად დაფანტული და დანაწილებული ოჯახის წევრების მოძებნას, მათ ერთმანეთთან დაკავშირებას და შეძლებისდაგვარად, მათ გაერთიანებას (მუხ. 24, IV კონვენციისა, მუხ. 74 I ოქმისა), აგრეთვე, როგორც კი ამის საშუალება გაჩნდება, იმ პირთა ძებნის განხორციელებას, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაკარგულებად არიან გამოცხადებულნი (I ოქმის მუხ.33). 1999 წლის ჟენევის კონვენცია ასევე ავ-

[1] International Review of the Red Cross," Conflict in Iraq I", Volume 89 Number 868 December 2007 (ICRC); International Review of the Red Cross, "Conflict in Iraq II", Volume 90 Number 869 March 2008 (ICRC)

ალდებულებს მეომარ მხარეებს, დაძებნონ პირები, რომლებიც ბრალეულნი არიან იმის გამო, რომ მათ ჩაიდინეს ან უბრძანეს სერიოზული დარღვევების ჩადენა (სამხედრო დანაშაული) და მათი მოქალაქეობის მიუხედავად, მოითხოვს სასამართლოსათვის გადაცემას. როგორც ცნობილია, მტრის მიერ აყვანილი სამხედრო ტყვეები იმყოფებიან ამ სახელმწიფოს ძალაუფლების ქვეშ. ამიტომ, პასუხისმგებლობა მათი შენახვისათვის ეკისრება ტყვედ ამყვან სახელმწიფოს. სამხედრო ტყვეების სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება ჰააგის კონვენციით სამხედრო ომის კანონებისა და წესების შესახებ (1907წ). ასევე, ჟენევის კონვენციით სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ (1999წ), I დამატებითი ოქმი (1977წ).

სჰს-ის ნორმების დაცვის ქვეშ იმყოფებიან აგრეთვე, ინტერნირებულები, რომელთაც მიეკუთვნებიან მტრული სახელმწიფოს უცხოელი მოქალაქეები, აგრეთვე მეომარი სახელმწიფოს ნეიტრალური სახელმწიფოს მიერ დაკავებული პირადი შემადგენლობა. ინტერნირებას შეიძლება დაექვემდებარონ ასევე, სამხედრო ტყვეები (კონვენცია III, ნაწილი II).

ომისშემდგომ პერიოდში ფართოდ გამოიყენებოდა ოპერაციები მშვიდობის შესანარჩუნებლად, რომლებიც გაეროს უშიშროების საბჭოს ეგიდით ტარდებოდა. სამხედრო მოსამსახურეების გვერდით მათში მონაწილეობენ სამოქალაქო პირები, დამკვირვებლები, სპეციალისტები, გამნაღმველები და ა.შ.

ამ ოპერაციების თავისებურებად დღეისათვის იქცა ის, რომ მათ არა მარტო სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების მოსაწესრიგებლად იყენებენ, არამედ (და უფრო ხშირად) შიდა კონფლიქტების დასარეგულირებლად. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთი ოპერაციების მონაწილე სპეციალისტები უნდა ფლობდნენ სჰს-ის ძირითად ნორმებს და მათი გამოყენების უნარ-ჩვევებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ ცალკეულ მიმართულებად ითვლება ტერორიზმის დანაშაულობათა აღკვეთა შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში. როგორც ცნობილია, 2003 წლის 16 ივლისს ძალაში შევიდა 1998 წლის საერთაშორისო სისხლის სამართლის რომის სტატუტი, რომელიც შეიცავს დებულებებს ინდივიდუალური სისხლის სა-

მართლის დანაშაულის შესახებ, 50-ზე მეტი საერთაშორისო ბოროტმოქმედების ჩადენისათვის. ეროვნული სისხლის სამართლის კანონების შესაბამისობაში მოყვანა სჱს-ის ნორმებთან, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს არამარტო საგარეო პოლიტიკური, არამედ შიდაპოლიტიკური სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტას, რომელთაგან ძირითადია შემდეგი: კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება ქვეყანაში, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის უზრუნველყოფა მშვიდობიან დროს და შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში; აღმასრულებელი ხელისუფლების, სასამართლოების, იუსტიციისა და შს ორგანოების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება; უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტების მაღალკვალიფიციური მომზადება სისხლის სამართლებრივ კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით.

დასკვნის მაგივრად

მეორე მსოფლიო ომი თავისი უმძიმესი შედეგებით მთლიანად ფარავდა კაცობრიობის ისტორიაში დაფიქსირებული ომების შედეგებს. გარდა ამისა, ფაშიზმმა მსოფლიოს უდიდესი საფრთხე შეუქმნა და ამ შემთხვევაშიც უბედურებისაგან მის გადარჩენაში უდიდესი როლი ითამაშა იოსებ სტალინმა, ეროვნებით ქართველმა (ჯუღაშვილი), რომელმაც არა მარტო ომის ბედი გადაწყვიტა, არამედ მაშინვე უშუალოდ განსაზღვრა ჰიტლერელთა ზედაფენის დაჯგუფების განადგურებისა და პოლიტიკური მიზნების მომავალიც. თვით ფიურერის ბუნკერიდან დაწყებული (საიმპერიო კანცელარიაში, სადაც ჰიტლერი, გებელსი, ბორმანი და სხვები იმალებოდნენ), ასევე მათი ალყაში მოქცევის ტაქტიკური და საცეცხლე დეტალების მთელი სტრატეგიული ოპერაციით დამთავრებული.

ჰიტლერის გარდაცვალების ირგვლივ სამი ვერსია ჩამოყალიბდა: 1. მან თავი იარაღით მოიკლა; 2. საწამლავი დალია; 3. მან გაპარვა მოასწრო და ომის დამთავრების შემდეგ, 1965 წლის ოქტომბერში არგენტინაში გარდაიცვალა. თუმცა, არსებობს ერთი ვერსიაც. მან ვერც იარაღით შეძლო თავის მოკვლა და ვერც საწამლავი დალია. ამის შემხედვარე მისი დაცვის ერთ-ერთმა ოფიცერმა ტყვია დაახალა და განაცხადა:

ჰიტლერმა იარაღით მოიკლა თავიო. მე მგონი, ეს ბოლო ვერსია უფრო სარწმუნოა.[1]

ალმოდებულ „ბუნაგში" ჰიტლერის გვამის ძებნასა და ამოცნობას მთელი ოპერაცია დასჭირდა. მისი მსვლელობისას საბჭოთა სარდლობას ფსევდო-ჰიტლერის რამდენიმე გვამი წარუდგინეს. ბოლოს, მკურნალი ექიმის მიერ ჩადგმული კბილისა და სხეულის ყველა დეტალის ანალიზის მეშვეობით მეცნიერული სიზუსტით დადგინდა, რომ ერთ-ერთი დამწვარი გვამი ჰიტლერს ეკუთვნოდა.

„ბაბელსბერგელ ხბოდ" წოდებულ ჰებელსს ხუთი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჰყავდა. 1945 წლის 1 მაისს 20 საათსა და 40 წუთზე ბავშვებს ნახევარ-ნახევარი კუბი მორფი მისცეს. მათ ჩაეძინათ. როდესაც ისინი გაითიშნენ, დედა–ტირანი მაგდა ჰებელსი ფაშისტ ექიმთან ერთად ბავშვებს პირს უხსნიდა და კალიუმციანიდით წამლავდა. შემდეგ, ჰებელსი და მაგდა გამოვიდნენ და ჯარისკაცებს უბრძანეს, მათთვის ესროლათ. ჰიმლერმა და რიბენტროპმაც სიცოცხლე მოისწრაფეს. დანარჩენები დაატყვევეს და ნიურნბერგის გაერთიანებული სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით უმრავლესობა ჩამოახრჩეს.

ასეთია უდიდეს პოლიტიკურ და სამხედრო დამნაშავეთა ტრაგიკული ფინალი. მთლიანად ჩაიშალა სამხედრო დამნაშავეთა ხროვის გეგმები, რომელთა მიზანს წარმოადგენდა შემდგომი სამხედრო რევანშისათვის ფაშისტური რეჟიმის შენარჩუნება. ფაშიზმის კერების სრულმა ლიკვიდაციამ პოლიტიკურად და სტრატეგიულად უზრუნველყო მსოფლიოს ხალხთა ხანგრძლივი მშვიდობა, რომლის მოპოვებაში სხვა ხალხებთან ერთად ქართველმა ხალხმა თვალსაჩინო როლი შეასრულა.[2] ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა.

---

[1] ეს ვარაუდია და რაიმე წყაროს არ ეყრდნობა

[2] ირ. ჯორჯაძე, დას.ნაშ. გვ. 251-252

§4. ქართველ მშვიდობისმყოფელთა მონაწილეობა საერთაშორისო მისიებში

საქართველოს პარლამენტმა 1999 წელს მიიღო კანონი საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა იმავე წლის 22 ივლისს. იგი საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებსა და სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და სამოქალაქო პერსონალის მონაწილეობასთან დაკავშირებულ, საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს, რადგანაც, საქართველო მონაწილეობს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებსა და სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ყველა შემთხვევაში, საქართველო დამოუკიდებლად განსაზღვრავს ოპერაციებში მონაწილეობის მიზანშეწონილობასა და კანონით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებული შეიარაღებული ძალების რაოდენობის ფარგლებში იქმნება სამშვიდობო ძალები (ქვედანაყოფები და შენაერთები), რომლებიც გადიან სპეციალურ მომზადებასა და სწავლებას ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულებაზე, მეომარი მხარეების დაშორიშორების, მათი განიარაღებისა და დაშლის, საინჟინრო სამუშაოების შესრულების კონტროლის თვალსაზრისით.

ასევე, კონკრეტულ შემთხვევაში, სამშვიდობო ძალების რაოდენობა განისაზღვრება შეიარაღებული ძალების სტრუქტურის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კანონის შესაბამისად, საქართველოს სამშვიდობო ძალების წარდგენა და გამოყენება საერთაშორისო მშვიდობისა

და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებისა და სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განსახორციელებლად, ასევე შეიძლება ითვალისწინებდეს იძულებითი ზომების გატარებასაც, რაც დაუშვებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე.

კანონის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას ცალკეული სამხედრო მოსამსახურის ნებაყოფლობითი გაგზავნის შესახებ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების, დაპირისპირებულ მხარეთა დაშორიშორებისა და სხვა ფუნქციების შესასრულებლად საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენისათვის და სხვა ისეთი სახის სამშვიდობო საქმიანობის განსახორციელებლად, რომელიც არ არის დაკავშირებული იძულებითი ზომებისა და სამშვიდობო ძალის გამოყენებასთან.

ამასთან, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო შესაბამის დაწესებულებებთან შეთანხმების შემდგომ, საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს იმ საჯარო მოსამსახურეთა კანდიდატურების ჩამონათვალს, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, დამხმარე სამოქალაქო პერსონალის სტატუსით უნდა იქნენ წარგზავნილი საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებსა და სხვა ისეთი სახის სამშვიდობო საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც არ არის დაკავშირებული სამშვიდობო ძალის იძულებით ზომებსა და მათ გამოყენებასთან.

კანონმდებლობა უფლებას აძლევს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან-საქართველოს მატერიალური რეზერვების დეპარტამენტთან შეთანხმებით, საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს წინადადება სახელმწიფო მატერიალური რეზერვებიდან მატერიალურ-ტექნიკური, სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო-სატრანსპორტო საშუალებების გამოყოფის შესახებ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა

და აღდგენის ოპერაციების უზრუნველსაყოფად და სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად.

საბოლოოდ, საქართველოს პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას, აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების სახელმწიფო რეზერვებიდან გამოყოფის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველომ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად დაიწყო სამშვიდობო ძალების ფორმირება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებსა და სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად, რომლებიც დაკავშირებულია იძულებით ზომებსა და სამშვიდობო ძალების გამოყენებასთან, საქართველოს პრეზიდენტის დავალებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აწარმოებს მოლაპარაკებებს შესაბამისი ხელშეკრულებისა და შეთანხმებების ხელმოწერის მიზნით, რომლებიც განსაზღვრავენ ჯარების რაოდენობასა და სახეობას, მათ საერთო განლაგებას, მზადყოფნის ხარისხს, მომსახურებისა და დახმარების საშუალებების ხასიათს.

საქართველოს ყველა საერთაშორისო შეთანხმება და ხელშეკრულება, რომელიც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებსა და სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში სამშვიდობო ძალებისა და სამოქალაქო პერსონალის მონაწილეობას ითვალისწინებს, საქართველოს კანონმდებლობით ექვემდებარება რატიფიცირებას.

საქართველოს პრეზიდენტი, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ამტკიცებს ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმას სამშვიდობო ძალების, სამოქალაქო პერსონალის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენისა და შენარჩუნების ოპერაციებში სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად წარგზავნისათვის, სადაც გათვალისწინებულია საქართველოს სამშვიდობო ძალების ფინანსური უზრუნველყოფა, რომელიც ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის ფარგლებში, აგრეთვე, სხვა წყაროებიდან.

სამშვიდობო ძალების მოსამზადებლად, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების ამოცანების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო:

ა) საქართველოს პრეზიდენტს – საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს წარუდგენს წინადადებებს სამშვიდობო ძალების სტრუქტურისა და რაოდენობის შესახებ;

ბ) შეიმუშავებს საქართველოს სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში შემავალი იმ ქვედანაყოფებისა და შენაერთების ნუსხას, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებსა და სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში;

გ) ახორციელებს სამშვიდობო ძალების მომზადებასა და შეიარაღებას. აგრეთვე, უზრუნველყოფს მათ ტექნიკითა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

დ) საერთაშორისო ნორმების შესაბამისად შეიმუშავებს სამშვიდობო ძალების სამხედრო მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმელსა და განმასხვავებელ ნიშნებს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს – საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლეს მთავარსარდალს.

როგორც უკვე ითქვა, სამშვიდობო ძალების მომზადება ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

კანონით გათვალისწინებულია, რომ საქართველოს თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროები, წელიწადში, არანაკლებ ერთხელ, საქართველოს პარლამენტს წარუდგენენ მოხსენებას საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენისა და შენარჩუნების ოპერაციებსა და სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობის შესახებ.

საქართველოს შეიარაღებული ძალები 1999 წლიდან აქტიურ მონაწილეობას იღებენ სამშვიდობო მისიებში (ბალკანეთი, სპარსეთის ყურე, ავღანეთი).

კოსოვოს სამშვიდობო ოპერაციაში პირველი ქართული სამშვიდობო ოცეული (34 სამხედრო მოსამსახურე) 1999 წლიდან იღებდა მონაწილეობას, ქ. მამუშში განლაგებული თურქული ბატალიონის შედგენლობაში, ხოლო, 2003 წლიდან კი, ერთი ქართული ასეული (150 სამხედრო მოსამსახურე) ქ. პრიზრენში, გერმანული ბრიგადის შემადგენლობაში. 2008 წლის მარტში ქართულმა სამშვიდობო კონტიგენტმა მთლიანად დატოვა ბალკანეთი.

ერაყში, პირველად, სამშვიდობო მისიის შესასრულებლად სამედიცინო ჯგუფი (70 სამხედრო სამედიცინო პერსონალი) და საინჟინრო ოცეული ქ. ტიკრიტში 2003 წელს გაემგზავრა. კოალიციური ჯარების შემადგენლობაში 2004 წელს, მისიაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა 300 კაცამდე გაიზარდა, ხოლო 2005 წლიდან კი, სამშვიდობო მისიის შესრულება 850 ჯარისკაცმა განაგრძო. ორი წლის შემდეგ, 2007 წლის ივლისიდან საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივითა და საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით, ერაყში სამშვიდობო მისიით ქ. ალ კუტში (ვასიტის პროვინცია) მესამე ქვეითი ბრიგადის 2000 სამხედრო მომსამსახურე იმყოფებოდა.

2008 წლის იანვარში III ქვეითი ბრიგადა, I-მა ქვეითმა ბრიგადამ ჩაანაცვლა. ბრიგადის პირადი შემადგენლობა სამშვიდობო მისიის შესასრულებლად დისლოცირებული იყო ბაზა „დელტაზე" (ვასიტის პროვინცია) 1500 ჯარისკაცით, ბაზა „ქლეარზე"-350 და ქ. ბაღდადში -150 სამხედრო მოსამსახურით. I ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცები სამშობლოში 2008 წლის აგვისტოში დაბრუნდნენ.

ავღანეთში, ნატო-ს ეგიდით მიმდინარე სამხედრო ოპერაციაში ISAF (საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალები) საქართველო ერთ-ერთი უმსხვილესი კონტრიბუტორია. პირველად, ISAF-ის ოპერაციაში 50-მა ქართველმა სამხედრო მომსამსახურემ მონაწილეობა 2004 წელს მიიღო, სადაც მათი ამოცანა, ავღანეთში საპრეზიდენტო არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო. 2007 წლის ნოემბრიდან, გჰორის პროვინციის ტერიტორიაზე ქართველი ექიმები ლიტვის რესპუბლიკის კონტინგენტის შემადგენლობაში ასრულებენ სამშვიდობო მისიას 6 თვიანი როტაციით.

2009 წლის ნოემბრიდან, პირველმა ქართველმა სამშვიდობო ასეულმა დაიწყო მისიის შესრულება ფრანგული კონტინგენტის შემადგენლობაში ქ. ქაბულში, რეგიონალური სარდლობის შტაბ-ბინაში მდებარე „ვორჰაუზ"-ის ბაზაზე, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. როტაციის პრინციპის შესაბამისად, ყოველ 6 თვეში ასეული ერთვება მისიაში.

თითოეულმა ასეულმა სამშვიდობო ოპერაციის მოსამზადებლად წვრთნები საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში, ნატო-ს სტანდარტების სრული დაცვით ორი თვის განმავლობაში გაიარა. წვრთნების დროს საქართველოს შეიარაღებული ძალები კონტრტერორისტული ოპერაციებისათვის საგანგებოდ მოემზადნენ.

2010 წლის აპრილიდან, ავღანეთის სამხრეთით მდებარე ჰელმანდის პროვინციაში, საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვეითი ბრიგადის 31-ე ქვეითი ბატალიონის 750 სამხედრო პირი გაიგზავნა, რომელიც აშშ-ს სამხედრო ძალების მხარდაჭერით სრული სპექტრის ოპერაციებს ახორციელებდა. 31-ე ბატალიონი, მესამე ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონმა 2010 წლის ნოემბრის თვის განმავლობაში როტაციის წესით ჩაანაცვლა. 2011 წლის აპრილიდან სამშვიდობო მისიას ჰელმანდის პროვინციაში 33-ე ბატალიონი ასრულებდა. 6 თვის შემდეგ, 2011 წლის ნოემბერში, მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე მსუბუქი ბატალიონის 749 სამხედრო მოსამსახურემ, 33-ე ბატალიონი ეტაპობრივად ჩაანაცვლა. ქართული სამშვიდობო ბატალიონი მისიას ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში შეასრულებს. სამშვიდობო მისიისათვის ექვსთვიანი ინტენსიური მომზადება სამივე ბატალიონმა კრწანისის სასწავლო ცენტრში გაიარა. სწავლებას ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარების საექსპედიციო ბრიგადა ხელმძღვანელობდა. სამხედროები გერმანიის ქალაქ ჰოჰენფელსშიც იმყოფებოდნენ, სადაც სამხედრო წვრთნებს აშშ-ის გაერთიანებული მრავალეროვანი მზადყოფნის (IMRC) გადიოდნენ. ჯარისკაცების მომზადების დონე და მათი მზადყოფნა კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად, დადებითად შეაფასეს როგორც ცენტრის ექსპერტებმა, ისე ამერიკული საზღვაო ქვეითების მწვრთნელთა და მრჩევლთა ჯგუფმა.

გარდა ამისა, 2011 წლის აპრილიდან, ყანდაღარის პროვინციაში, ქართველი სამხედრო ინსტრუქტორები მისიას ასრულებენ ფრანგული კონტინგენტის შემადგენლობაში.

ექსპერტთა აზრით, საერთაშორისო მისიებში მონაწილეობით, სამხედრო მოსამსახურეები იძენენ პრაქტიკულ გამოცდილებას და გამოხატავენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ნატო-სა და სხვა პარტნიორი ქვეყნების ჯარებთან.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებას, ავღანეთში საქართველოს სამშვიდობო კონტინგენტის გაზრდასთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა. მათი განმარტებით, ავღანეთში საქართველო დამატებითი კონტინგენტის სახით, სამხედროების გარდა, სამოქალაქო პირებსაც გაგზავნის. სამინისტროს განცხადებაში აღინიშნა, რომ საქართველო მზადაა, ავღანეთს გამოცდილება გაუზიაროს როგორც პოლიციის რეფორმის, ისე ეკონომიკის სფეროში.

ავღანეთის სამშვიდობო მისიაში საქართველოს როლის გაზრდის ინიციატივა პრეზიდენტმა მიუნხენში მიმდინარე უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას წამოაყენა. ავღანეთში, ნატო-ს ეგიდით მიმდინარე სამხედრო ოპერაციაში ISAF (საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალები), საქართველო ერთ-ერთი უმსხვილესი კონტრიბუტორია. ISAF-ის მისიით ავღანეთში ამ დროისათვის ათასამდე ქართველი ჯარიკაცი მსახურობს.

საქართველო ავღანეთის სამშვიდობო მისიაში სამხედრო კონტინგენტს ზრდის. პრეზიდენტმა შესაბამისი წარდგინებით მიმართა პარლამენტს და თანხმობა ითხოვა ავღანეთის უსაფრთხოების ხელშეწყობის საერთაშორისო ძალების შემადგენლობაში (ISAF), დამატებით ერთი ქვეითი ბატალიონის გაგზავნის შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, დამატებითმა ბატალიონმა ამერიკის შეერთებული შტატების დაქვემდებარებაში უნდა იმსახუროს.

ამასთან, საქართველოს პარლამენტმა გამოხატა თანხმობა ISAF-ის მისიაში ერთი ქვეითი ასეულის და ინსტრუქტორთა ჯგუფის (საფრანგეთის კონტინგენტში), ერთი ქვეითი ბატალიონისა (ამერიკის შეერთებული შტატების კონტინგენტში) და

ორასი სამხედრო მოსამსახურის (თურქეთის კონტინგენტში) მონაწილეობის თაობაზე.

2010 წლის აპრილის შუა რიცხვებში, ავღანეთის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო ზონაში, პაკისტანის საზღვართან, 750 ქართველი სამხედროს გაგზავნის საკითხი დააყენა საქართველოს პრეზიდენტმა, რასაც სხვადასხვა ექსპერტთა მიერ განსხვავებული შეფასება ეძლევა. ამის თაობაზე თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, რომ ქართველები ამერიკის საზღვაო ჯარების სარდლობის ქვეშ ჰელმანდის პროვინციაში განთავსდებიან და სავარაუდოდ, ოპერაციებშიც მიიღებენ მონაწილეობას. უსაფრთხოების საკითხთა ექსპერტის განცხადებით, ახლანდელი ქართული მისია ყველაზე სახიფათო ზონაში, ყველაზე სახიფათო მისიით მიდის. თანაც მაშინ, როდესაც ქვეყნების დიდმა უმეტესობამ შეამცირა თავისი საჯარისო კონტინგენტი. „ძირძველი ევროპული ქვეყნები ავღანეთის ოპერაციების განხორციელებაში ისე აქტიურად ჩართულნი არ არიან, როგორც ჩვენი პატარა ქვეყანა, რომელსაც ყველა მიმართულებებიდან საფრთხეები აქვს. თანაც, რისკები გაცილებით მაღალი იქნება. აშშ-ს საზღვაო ქვეითები ის ქვედანაყოფებია, რომელიც ავღანეთის თითქმის ყველა სამხედრო ოპერაციაში აქტიურად არის ჩართული და სავარაუდოდ, ჩვენი სამხედრო ქვედანაყოფებიც უშუალოდ სამხედრო ოპერაციებში მიიღებენ მონაწილეობას," –აცხადებენ ექსპერტები, რომელთა აზრით, ავღანეთის ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილე ქვეყნებს შორის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის და კანადის შემდეგ, საქართველო თავისი სამხედრო კონტინგენტის რაოდენობის მხრივ, მეოთხე ადგილზეა. რამდენად სახიფათოა ეს მისია? „სერიოზულ მისიაზე" საუბრობენ თავად თავდაცვის უწყებაშიც კი და განმარტავენ, რომ ჰელმანდის პროვინცია „საკმაოდ მოწინავე ხაზია" და „თანაც, ამერიკის სარდლობის ქვეშ ყოფნა, ეს ნიშნავს, რომ სერიოზული მისიაა შესასრულებელი". მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონი ავღანეთში აპრილის შუა რიცხვებში გაემგზავრება. 750 ქართველი ჰელმანდის პროვინციაში ამერიკის სარდლობის ქვეშ იმსახურებს. „ეს საკმაოდ მოწინავე ხაზია," – აცხადებს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი სალომე მახარაძე. მის განმარტებით,

„სამშვიდობო მისიისათვის ერთ-ერთი აქტიური ფაზაა. ინფორმაცია, საქართველოს მიერ ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად, ავღანეთში კიდევ 750 სამხედროს გაგზავნის თაობაზე, თავდაცვის სამინისტროში უწყების ხელმძღვანელ პირებსა და თბილისში ვიზიტად მყოფ ამერიკელ მაღალჩინოსნებს შორის გამართულ შეხვედრაზე გაცხადდა. თავდაცვის უწყების ინფორმაციით, ავღანეთში 31-ე ბატალიონის ჯარისკაცები გაემგზავრებიან, რომლებიც სპეციალური მომზადების შემდეგ, აშშ-ის საზღვაო ქვეითებთან ერთად იმსახურებენ". „ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ საქართველო აგრძელებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალების ოპერაციებში ჩართვას და ამ მისიით ავღანეთში, სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონის ერთი ასეული, რომელშიც 173 სამხედრო მოსამსახურე შედის, ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში ფრანგული სარდლობის ქვეშ მსახურობს.[1] სამხედრო ექსპერტები მუდმივად იმაზე საუბრობენ, რომ ავღანეთში, განსაკუთრებით დიდი საფრთხეები პაკისტანის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზეა, რადგან სამხრეთში, ავღანეთ-პაკისტანის საზღვარი აბსოლუტურად გახსნილია და თალიბებს, როგორც უნდათ, ისე გადადიან და გადმოდიან. ამ მხარეში მიმდინარეობს საბრძოლო მოქმედებები და იქ ძირითადად ამერიკელები, ინგლისელები, ავსტრალიელები და უფრო ნაკლებად, კანადელები მოქმედებენ. დანაკარგებიც ამ ქვეყნებს უფრო მეტი აქვთ, თუმცა, საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლაში, პარლამენტის სხდომაზე, 2012 წლის 27 თებერვალს აღინიშნა, რომ, სამწუხაროდ, მარტო ავღანეთში, 15 ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, რაც ძალზე სავალალოა, მაგრამ საქართველომ და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა აღებული ვალდებულება უნდა შეასრულოს, რაც, კიდევ უფრო დაგვაახლოვებს ევროკავშირისა და ნატოში შემავალ კარიბჭესთან.

[1] პარაგრაფში ნასარგებლებია ინტერნეტმასალა.

§5. სისხლის სამართლის ქართული კანონმდებლობა და ჰუმანიტარული სამართალი

მკვლევართა აზრით, ტერმინი „სისხლის სამართალი" ქართულ ენაში ისტორიულად უკავშირდება მისი განმსაზღვრელი ტერმინის – „სისხლი", პირდაპირ მნიშვნელობას. „სისხლი" პარალელურად გვაროვნული საზოგადოებიდან მომდინარეობს. ამ საზოგადოებაში შურისძიება სისხლის აღებით გამოიხატებოდა. დროთა განმავლობაში სისხლის აღება კომპოზიციის პრინციპით, ქონებრივი საზღაურით შეიცვალა, მაგრამ ტერმინი „სისხლი" ისევ დარჩა. ასე რომ, „სისხლის სამართალი" ნიშნავს დასჯით სამართალს.[1]

თანამედროვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეთოთხმეტე კარის – „დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ" – XVII თავი, რომლის შინაარსია „დანაშაული კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ" და რომლის მე-10 მუხლი განსაზღვრავს იმ ნორმათა ერთობლიობას, რითაც წესრიგდება აღნიშნულ დანაშაულებათა სახეები, აქცენტი სწორედ იმ დანაშაულებებზე არის გადანაწილებული, რომლებიც კაცობრიობის წინააღმდეგაა მიმართული. 104-ე მუხლით იკრძალება აგრესიული ომის მომზადება ან წარმოება, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისი იმპერატიული მოთხოვნაა. 105-ე მუხლი მიუთითებს აკრძალვების შესახებ აგრესიული ომის მოწოდების წინააღმდეგ. კერძოდ, საქვეყნო მოწოდება აგრესიული ომისაკენ, საინფორმაციო საშუალებით ან სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ ჩადენილი იგივე ქმედება, იწვევს პასუხისმგებლობას შესაბამისი სანქციებით.

406-ე მუხლით გათვალისწინებულია მასობრივი იარაღის დამზადების, შეძენის ან გასაღების აკრძალვები, რაც შეეხება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აკრძალული ქიმიური, ბიოლოგიური ან მასობრივი განადგურების სხვა

---

[1] მ. ლომსაძე, სისხლის სამართლის პროცესი, თბ. 2011წ. გვ.11.

იარაღის დამზადებას, შეძენას ან გასაღებას. აქვე, ანალოგიური ქმედებისათვის, პასუხისმგებლობა ეკისრება იურიდიულ პირსაც.

სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე მუხლი ეხება გენოციდს, რომლის მიხედვითაც, ქმედება, შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა, რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად ჩადენილი ქმედება, რაც გამოიხატა ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობაში, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში, მათთვის ცხოვრების მძიმე პირობების განზრახ შექმნაში, შობადობის ძალით შემცირებაში ან ბავშვის იძულებით გადაცემაში ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში.

კოდექსის 108-ე მუხლი ეხება ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს, რომელშიც მოიაზრება ნებისმიერი ქმედება, ჩადენილი სამოქალაქო მოსახლეობაზე ან პირებზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში, რაც გამოიხატება მკვლელობით, ადამიანთა მასობრივი განადგურებით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, დეპორტაციით, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთით, წამებით, გაუპატიურებით, სქესობრივად მორჩილებაში ყოლით, პროსტიტუციის იძულებით, იძულებითი ორსულობით, ძალადობითი სტერილიზაციით, პირთა ჯგუფის დევნით, პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, სქესობრივი ან სხვა ნიშნის საფუძველზე, აპარტეიდითა და სხვა არაჰუმანური ქმედებით, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანის ფიზიკურ ანდა ფსიქიკურ მდგომარეობას.

რაც შეეხება ეკოციდის პრობლემას, მას ეხება კოდექსის 409–ე მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ ეკოციდი არის ატმოსფეროს, მიწის, წყლის რესურსების მოწამვლა, ცხოველთა ან მცენარეთა სამყაროს მასობრივი განადგურება, ან სხვა ქმედება, რასაც შეეძლო ეკოლოგიური კატასტროფის გამოწვევა. იგივე ქმედება, ჩადენილი შეიარაღებული კონფლიქტის დროს.

1989 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენცია დაქირავებულთა შეკრების, გამოყენების, დაფინანსებისა. და სწავლების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო სამართლის ნორმების ძალით, აფხაზეთის კონფლიქტის დროს, აფხაზთა მიერ დაჭირავებული რუსეთის თუ სხვა ქვეყნების მოქალაქეები (ჩეჩნები, ადიღეელები, კაზაკები, სირიელები და სხვ.) არ უნდა განიხილებოდნენ, როგორც კომბატანტები, არამედ ისინი უნდა განიხილებოდნენ როგორც ბანდიტური ფორმირებები. იგივე ითქმის ე.წ. „კავკასიის ხალხთა კონფედერაციის" მიერ შეგზავნილ „მოხალისეებზე", რომლებიც ძირითადად დაჭირავებული პირები იყვნენ. მიუხედავად ამისა, საქართველოს რესპუბლიკა ტყვეებს ჰუმანურად ეპყრობოდა, ავრცელებდა მათზე საერთაშორისო სამართლის ნორმებს. რაც შეეხება გაგრის გენოციდის ტრაგედიის ორგანიზატორებსა და შემსრულებლებს, ისინი სასამართლოს წინაშე კაცობრიობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის წარსდგებიან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 410-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დაჭირავებული პირების შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეებისათვის ან საომარ მოქმედებებში ჩართვისათვის, რაც ნიშნავს შეგროვებას, გაწვრთნას, დაფინანსებას ან დაჭირავებულთა მატერიალურ უზრუნველყოფას. აგრეთვე, მათ გამოყენებას საომარ მდგომარეობაში ან კონფლიქტში.

კოდექსის 411-ე მუხლი ეხება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევას შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რაშიც მოიაზრება:

1. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა სახელმწიფოთაშორისი ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს. კერძოდ:
   ა) სამოქალაქო მოსახლეობაზე ან სამოქალაქო პირებზე თავდასხმა;
   ბ) სამოქალაქო მოსახლეობაზე ან სამოქალაქო ობიექტებზე განურჩეველი თავდასხმა, როცა ცნობილია, რომ ეს გამოიწვევს მსხვერპლს სამოქალაქო მოსახლეობაში ან დააზიანებს სამოქალაქო ობიექტს;

გ) თავდასხმა მომეტებული საშიშროების შემცველ ნაგებობაზე ან დანადგარზე, როცა ცნობილია, რომ ეს გამოიწვევს მსხვერპლს სამოქალაქო მოსახლეობაში ან დააზიანებს სამოქალაქო ობიექტებს;

ც) თავდასხმა დაუცველ ადგილებზე ან დემილიტარიზებულ ზონაზე;

დ) თავდასხმა პირზე, როცა ცნობილია, რომ მან შეწყვიტა საომარ მოქმედებაში მონაწილეობა;

ე) დროებით ცეცხლის შეწყვეტის აღმნიშვნელი ალმის, სახელმწიფო დროშის, მოწინააღმდეგე მხარის, აგრეთვე გაეროს, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის, ანდა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით აღიარებული სხვა ნიშნის, ფორმის ან სიგნალის არასათანადოდ გამოყენება, რამაც გამოიწვია ადამიანთა სიკვდილი ან მათი ფიზიკური დაზიანება;

ვ) ოკუპანტი ქვეყნის მიერ თავისი სამოქალაქო მოსახლეობის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაყვანა, ანდა, ოკუპირებული ქვეყნის სამოქალაქო მოსახლეობის ან სამოქალაქო პირების დეპორტაცია ან სხვაგვარი არამართლზომიერი გასახლება ამ ტერიტორიის ფარგლებში, ან მის გარეთ;

ზ) სამხედრო ტყვეების ან სამოქალაქო პირების რეპატრიაციის უსაფუძვლოდ შეფერხება;

თ) აპარტეიდი ან რასობრივ დისკრიმინაციაზე დაფუძნებული სხვა არაჰუმანური მოქმედება, რომელიც ამცირებს ადამიანის ღირსებას;

ი) მოწინააღდეგე მხარის საკუთრებაზე, მათ შორის, ისტორიულ ძეგლზე, ხელოვნების ნიმუშზე ან საკულტო ადგილზე, როგორც ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის ნაწილზე თავდასხმა, რამაც გამოიწვია მისი განადგურება ან ხელში ჩაგდება და რაც სამხედრო აუცილებლობით არ იყო განპირობებული.

2. საერთაშორისო ჰუმინატარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა, საერთაშორისო ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს, მიმართული იმ პირთა

წინააღმდეგ, რომლებიც არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში ან არა აქვთ თავდაცვის საშუალებები, აგრეთვე, დაჭრილთა, ავადმყოფთა, სამედიცინო და სასულიერო პერსონალის, სანიტარული ნაწილების, სანიტარული სატრანსპორტო საშუალებების, სამხედრო ტყვეების, სამოქალაქო პირების, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ან საომარი მოქმედებების ზონაში მყოფი სამოქალაქო მოსახლეობის, დევნილების, აპატრიდების, საომარი მოქმედებების დროს, დაცვით მოსარგებლე სხვა პირების წინააღმდეგ. კერძოდ:

ა) განზრახ მკვლელობა;

ბ) წამება ან სხვა არაჰუმანური მოპყრობა, სამედიცინო ექსპერიმენტის ჩათვლით;

გ) განზრახ მძიმე ტანჯვის ან სერიოზულ ტრავმის მიყენება, რაც საფრთხეს უქმნის პირის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას;

დ) მოწინააღმდეგე მხარის მოქალაქის, სამხედრო ტყვის ან დაცვით მოსარგებლე სხვა პირის იძულება, იმსახუროს მოწინააღდეგის შეიარაღებულ ძალებში, ანდა, მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო მოქმედებებში, მიუხედავად იმისა, იყვნენ თუ არა ისინი ომის დაწყებამდე მეომარი მხარის სამსახურში;

ე) სასამართლოს მიერ საქმის მიუკერძოებლად წარმოების უფლების ჩამორთმევა სამხედრო ტყვისათვის, მოწინააღმდეგე მხარის მოქალაქისათვის ან დაცვით მოსარგებლე სხვა პირისათვის;

ვ) დაცვით მოსარგებლე პირის დეპორტაცია ან სხვაგვარი არამართლზომიერი გასახლება, ანდა, დაპატიმრება;

ზ) მძევლად აყვანა;

თ) თვითნებური და ფართომასშტაბიანი ნგრევა ან ქონების მითვისება, რაც არ იყო გამოწვეული საომარი აუცილებლობით, იწვევს შესაბამის სანქციებს.

ასევე, კოდექსის 412-ე მუხლი ეხება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევას სახელმწიფოთაშორისი ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნით ან ფიზიკური დასახიჩრებით.

მის შინაარსში გათვალისწინებულია მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლების დაცვით მოსარგებლე დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებააღკვეთილი პირის მიმართ ისეთი სამედიცინო პროცედურის ჩატარება, რომელსაც არ მოითხოვს მის ჯანმრთელობის მდგომარეობა და რომელიც არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ სამედიცინო ნორმებს, თუნდაც ამ პირის თანხმობით. კერძოდ:

ა) ისეთი ქმედება, რომელმაც გამოიწვია ფიზიკური დასახიჩრება;

ბ) სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარება;

გ) გადანერგვისთვის ოპერაციის ჩასატარებლად ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღება.

რაც შეეხება 413-ე მუხლს, იგი ეხება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევას, რაც გამოიხატება ქმედებაში, რომელიც არ შეიცავს ამ კოდექსის 411-ე და 412-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. კერძოდ:

ა) მაროდიორობა, ესე იგი, საომარი მოქმედების დროს მოკლულის ან დაჭრილის ნივთის დაუფლება. ასევე, მოქალაქეთა იმ ქონების დაუფლება, რომელიც დატოვებულია საომარი მოქმედების ზონაში, ანდა, დასახელებული პუნქტის ან სხვა ტერიტორიული ერთეულის გაძარცვა;

ბ) მოქალაქეთა გამოყენება ჯარის ან ობიექტების სამედრო ოპერაციისაგან დასაცავად;

ც) სამხედრო ოპერაციაში ან შეიარაღებულ კონფლიქტში ისეთი იარაღის, საბრძოლო მასალის ან მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება, აგრეთვე, ბრძოლის წარმოების ისეთი მეთოდებით სარგებლობა, რომლებიც იწვევენ გადაჭარბებულ ზიანს, გაუმართლებელ ტანჯვას ან შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის ნორმათა დარღვევას; ამასთან, თუ საყოველთაოდ აკრძალულია ასეთი იარაღი, საბრძოლო მასალა, საშუალება, აგრეთვე, ბრძოლის წარმოების ასეთი მეთოდები;

დ) ომის სხვა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით და არ ისჯება კოდექსის 411-ე ან 412-ე მუხლით.[1]

ასევე, ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულისათვის შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე შეიარაღებული ძალების, ანდა, მათი ქვედანაყოფების მეთაური ან სხვა ხელმძღვანელი პასუხს აგებს კანონის შესაბამისად იმ შემთხვევაშიც, როცა აღნიშნული დანაშაული ჩაიდინა მისმა ხელმძღვანელობამ ან კონტროლს დაქვემდებარებულმა შეიარაღებულმა ძალებმა, რაც გამოწვეული იყო მეთაურის ან სხვა შესაბამისი ხელმძღვანელის უმოქმედობით.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა უახლოვდება საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმ ნორმებს, რაც გათვალისწინებულია როგორც ჟენევის, ისე სხვა საერთაშორისო ნორმატიულ ხელშეკრულებებში და სხვა სამართლებრივ აქტებში.

---

[1] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბ. 2011წ. გვ.192.

თავი V

შეიარაღებულ კონფლიქტებში მონაწილეთა შემადგენლობა

§1 „შეიარაღებული ძალების“ და „კომბატანტის“ ცნებები საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში

ლიბერის ნაშრომი „გენერალური ბრძანება, №100: შეერთებული შტატების ჯარების საველე ინსტრუქციები“ (დამტკიცებულია 1863 წლის 24 აპრილს „ლიბერის კოდექსი“), სახელმძღვანელოდ იქცა შემდგომი თაობებისათვის. მისი კოდექსის მე-15 მუხლში ნათქვამია: „სამხედრო საჭიროებიდან გამომდინარე, აუცილებელია შეიარაღებული მტრისა თუ სხვა ადამიანების სიცოცხლის ყოველგვარი პირდაპირი მოსპობა, ვისი განადგურების თავიდან არიდებაც შეუძლებელია ომის კონტექსტიდან გამომდინარე.“

ტერმინის – „მტერი“ – კოდექსირებული განმარტება მოიცავს მოქალაქეებსაც, ანუ შეიარაღებულ მოქალაქეებს, როგორც ლეგიტიმურ სამხედრო სამიზნეებს. ანუ, მტრის ყველა შეიარაღებული მოქალაქე შეიძლებოდა გამხდარიყო პირდაპირი თავდასხმის ობიექტი.

ლიბერის ავტორიტეტს ომის კანონების სფეროში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი თანამედროვეებაში და მისი კოდექსი ფართოდ ვრცელდებოდა ევროპაში. ლიბერის კოდექსი საფუძვლად დაედო რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II განკარგულებით 1874 წელს მოწვეულ კონფერენციას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ოქმსა და დეკლარაციას ომის კანონების შესახებ. დეკლარაცია არ იქნა რატიფიცირებული „დიდი ძალაუფლების“ მხრიდან სურვილის არარსებობის გამო, რომლებიც მას ზედმეტად „ჰუმანიტარულად“ მიიჩნევდა, თუმცა მისი იდეები აისახა სამხედრო სახელმძღვანელოებში,[1] რომ-

[1] ე. ქემინსი, წარსული, როგორც შესავალი: სამოქალაქო იმუნიტეტიდან „უშუალო მონაწილეობის“ გამონაკლისის განვითარება, 2008წ. დეკემბერი, №872.

ლებშიც მითითებულია, რომ საერთაშორისო ხასიათის მქონე შეიარაღებულ კონფლიქტში, დაპირისპირებული სახელმწიფოები, როგორც წესი, წარმოდგენილნი არიან სამხედრო ორგანიზმად. მეომარ მხარეთა შეიარაღებული ძალები შედგება რეგულარული და არარეგულარული ნაწილებისაგან. რეგულარული შეიარაღებული ძალები შედგება სამხედრო სამსახურში მყოფი პირებისაგან. არარეგულარულს მიეკუთვნება მოხალისეებისა და მოლაშქრეთა ნაწილები.[1] სწორედ მათზე ვრცელდება მოთხოვნები ომის წარმოების წესების შესახებ. სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების შემადგენლობა და სტრუქტურა განისაზღვრება ეროვნული კანონმდებლობით.

სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები, შეიარაღებული ბრძოლის ძირითადი მონაწილე ითვლება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის ძირითად ობიექტად, რომლის წინააღმდეგაც მტრის ჯარები ვალდებულნი არიან გამოიყენონ საომარი მოქმედებების წარმოების კანონიერი მეთოდები და საშუალებები.

1977 წლის დიპლომატიურ კონფერენციაზე, რომელმაც მიიღო დამატებითი I და II ოქმები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ ჟენევის კონვენციისადმი. პირველად იქნა ფორმირებული ცნება „შეიარაღებული ძალები“. დამატებითი I ოქმი (მუხ. 43): კონფლიქტის მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალები შედგება ყველა ორგანიზებული შეიარაღებული ძალის, ჯგუფის ან შენაერთისაგან, რომელთა სათავეში დგას ამ მხარის წინაშე თავის ქვეშევრდომთა მოქმედებისათვის პასუხისმგებელი პირი იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს მხარე წარმოდგენილია მთავრობით ან ხელისუფლებით, რომელსაც არ ცნობს მოწინააღმდეგე მხარე. ამგვარი შეიარაღებული ძალები უნდა ემორჩილებოდნენ შიდა შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვას.[2] ამ ცნებას უკავშირდება ისეთი კომპონენტების არსებობა, როგორიცაა:

---

[1] ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბ. 2010წ. გვ. 366.

[2] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ.111.

– სამხედრო ორგანიზაცია, რომელშიც ჯგუფები და ქვედანაყოფები ხელქვეითთა ქცევისათვის პასუხისმგებელი პირების მეთაურობის ქვეშ იმყოფებიან;

– შიდა დისციპლინური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვას.[1]

გარდა ამისა, I დამატებითი ოქმის 2-ე პუნქტში განსაზღვრულია, რომ პირები, რომლებიც შედიან კონფლიქტში მყოფი მხარის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში (გარდა სამედიცინო და სასულიერო პერსონალისა), იწოდებიან კომბატანტებად, ე.ი. აქვთ უფლება, უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა საომარ მოქმედებებში. ამ დოკუმენტში ვერ ჰპოვა ასახვა ცნებამ „არაკომბატანტი“, მაგრამ დასახელებული მუხლის აზრიდან გამომდინარეობს, რომ არაკომბატანტებს მიეკუთვნება სამედიცინო და სასულიერო პერსონალი,სამეურნეო ნაწილის წევრები და ჟურნალისტები.

კომბატანტები არიან შეიარაღებული კონფლიქტში მონაწილე მხარის შეიარაღებულ ძალებში შემავალი პირები (სამეურნეო, სამედიცინო და სასულიერო პერსონალი), რომელთაც უფლება აქვთ, უშუალო მონაწილეობა მიიღონ საომარ მოქმედებებში. ჰააგის 1899 და 1907 კონვენციებში, ჟენევის 1949 კონვენციასა და 1977 წლის დამატებით ოქმებში ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ, განსაზღვრულია კომბატანტთა წრე. ეს არის: სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების პირადი შემადგენლობა, პარტიზანები და მოხალისეები, რომლებიც ღიად ატარებენ იარაღს, იცავენ ომის კანონებსა და ჩვეულებებს, ჰყავთ პასუხისმგებელი სამხედრო ხელმძღვანელი; მოსახლეობა, რომელიც იარაღით ხელში იცავს თავს დამპყრობლებისაგან. ასევე, სამხედრო ხომალდების ეკიპაჟები. კომბატანტები უნდა განსხვავდებოდნენ სამოქალაქო მოსახლეობისაგან. კერძოდ: ღიად უნდა ატარებდნენ ფორმას, ჰქონდეთ შორი მანძილიდან ამოსაცნობი განმასხვავებელი ნიშანი. მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლების ხელში მოხვედრილი პირი, რომელიც სამხედრო მოქმედებაში მონაწილე-

---

[1] International Review of the Red Cross, "Understanding armed groups and the applicable law", Volume 93Number 882 June 2011 (ICRC).

ობდა, სამხედრო ტყვედ ითვლება და შესაბამისად სარგებლობს დაცვის უფლებით (1977 წლის I დამატებითი ოქმის მუხ. 45).[1]

ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ დასახელებულ დოკუმენტებში დასაზუსტებულია დებულება, რომელიც საშუალებას იძლევა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ კომბატანტები არაკომბატანტებისაგან: შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ყოფნისას საბრძოლო მოქმედებებში უშუალო მონაწილეობის მიღების უფლების ქონა და არა ომის წარმოების პროცესისადმი მიკუთვნება. ის პირები, რომლებიც შედიან შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში, მაგრამ სამხედრო ორგანიზაციაში მათი დანიშნულებისა და როლის მიხედვით არ ეკისრებათ საბრძოლო მოქმედებებში უშუალო მონაწილეობის მიღება, (სამხედრო ინტენდანტები, სამხედრო იურიდიული მრჩევლები, სამხედრო ჟურნალისტები), უფლებამოსილნი არიან, ხელში აიღონ იარაღი, რამდენადაც ისინი კომბატანტებად ითვლებიან. ერთადერთ გამონაკლისს, როგორც უკვე აღინიშნა, შეადგენენ სამედიცინო და სასულიერო პერსონალის წარმომადგენლები. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მეომარი მხარეების შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედიან, მათ აქვთ უფლება, მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებების წარმოებაში.

ამგვარად, I დამატებით ოქმში მეტ-ნაკლებად დაზუსტებულია დებულება იმის შესახებ, თუ ვინ მიეკუთვნება შეიარაღებული კონფლიქტების კანონიერ მონაწილეს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომბატანტებს მიეკუთვნება:

- სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა. სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო ძალების პირადი შემადგენლობა;
- სახალხო ლაშქრის, ნებაყოფლობითი რაზმების პირადი შემადგენლობა, რომელიც შედის ამ შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში;
- წინააღმდეგობის სხვა ორგანიზებული მოძრაობის პირადი შემადგენლობა, რომელიც კონფლიქტის მონაწილე მხარეს ეკუთვნის და მოქმედებს მათ საკუთარ ტერიტო-

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი). თბ. 2002წ. გვ. 163.

რიაზე ან მის გარეთ, თუ ეს სახალხო ლაშქარი, რაზმები, წინააღმდგობის ორგანიზებული მოძრაობა და პარტიზანები პასუხობენ განსაზღვრულ მოთხოვნებს (სათავეში უდგას ხელქვეითებზე პასუხისმგებელი პირი; აქვთ განსაზღვრული და აშკარად ხილვადი განმასხვავებელი ნიშანი; ღიად ატარებენ იარაღს; თავიანთ ქმედებებში იცავენ ომის კანონებსა და წესებს);

- რეგულარული შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა, რომელიც საკუთარ თავს მიიჩნევს მთავრობის ან ხელისუფლების დაქვემდებარებაში და სახელმწიფოს მიერ არ არის აღიარებული ტყვეებად;
- სავაჭრო ფლოტის გემების ეკიპაჟის წევრები კაპიტნების, ლოცმანებისა და იუნგების ჩათვლით და მეომარი მხარის სამოქალაქო ავიაციის საჰაერო ხომალდების ეკიპაჟები, თუ აღნიშნული დაყენებულია იმ სახელმწიფოს დაქვემდებარებასა და პასუხისმგებლობის ქვეშ, რომლის დროშასაც ისინი ატარებენ და არ სარგებლობენ უფრო შეღავათიანი რეჟიმით სპს-ის სხვა დებულების ძალით;
- არაოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობა, რომელიც მტრის მოახლოებისას სტიქიურად იღებს ხელში იარაღს შემოჭრილი ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად ისე, რომ ვერ მოასწრო რეგულარულ ჯარად ფორმირება, თუ ის ღიად ატარებს იარაღს და იცავს ომის კანონებსა და წესებს.
- კონფლიქტის მონაწილე მხარე თავის შეიარაღებულ ძალებში ნახევრად სამხედრო ან წესრიგის დამცველი სამხედრო ორგანიზაციის ჩართვის ყოველ შემთხვევას აცნობებს კონფლიქტის მონაწილე სხვა მხარეს.[1]

ავსტრალიელი ადვოკატი ემილი ჭმინსი წერს, რომ ლიბერის ნაშრომი პარტიზანულ ომებსა და ომის კანონებზე ამომწურავად შეეხება „შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც ნაკლებად იყო დაკავშირებული არმიის ძირითად ნაწილთან ან საერთოდ არ უკავშირდებოდა მას". ლიბერი შენიშნავდა, რომ თუ

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ.111.

შეიარაღებულ დაჯგუფებათა რამდენიმე კატეგორია (მეკობრეები, მძარცველები, ყაჩაღები, პარტიზანები, თავისუფალი დაჯგუფებები, ჯაშუშები, მეამბოხეები თუ შეთქმულებები, შარაგზის ავაზაკები და levee en masse ან „შეიარაღებული გლეხები") ომის კანონების რეგულირების სფეროში ექცეოდა, „პარტიზანული მხარეები" მათთან ერთად არ მოიზრებოდა. ლიბერის აზრით, პარტიზანები „განსაკუთრებით სასტიკები არიან, რადგან ისინი მარტივად უსხლტებიან ხელიდან მდევრებს და იარაღს ყრიან გაშმაგებული მტრის წინაშე; რადგან მხოლოდ ძარცვით ინახავენ თავს, თითქმის ყოველთვის უბრალო მძარცველებად და ყაჩაღებად ყალიბდებიან". ამ „განსაკუთრებული" საფრთხის ფონზე ბრძოლასა და ღია ომში, ისინი განხილული უნდა იქნენ, როგორც რეგულარული პარტიზანები. თუმცა, თუ ისინი მიმართავენ ყაჩაღობას, არ უნდა იქნენ დაცული ომის კანონებით.[1]

სჰს-ის ნორმები მეომარ მხარეებს ავალდებულებენ სამხედრო მოქმედებები აწარმოონ მხოლოდ კომბატანტების წინააღმდეგ, რომლებიც ამისათვის ვალდებულნი არიან საკუთარი თავი განასხვაონ სამოქალაქო მოსახლეობისაგან, რაც ჯერ კიდევ ომის კანონებსა და წესების შესახებ არსებული ჰააგის დებულებაში იყო ჩაწერილი (მუხ. I). ამ ნორმამ ასახვა ჰპოვა, აგრეთვე, I დამატებით ოქმში. მასში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ „იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვას სამხედრო მოქმედებების შედეგებისაგან, კომბატანტები ვალდებულნი არიან საკუთარი თავი განასხვავონ სამოქალაქო მოსახლეობისაგან იმ დროს, როდესაც ისინი მონაწილეობენ თავდასხმაში ან სამხედრო ოპერაციაში. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ შეიარაღებული კონფლიქტების დროს ადგილი აქვს ისეთ სიტუაციებს, როდესაც საბრძოლო მოქმედების ხასიათის შედეგად შეიარაღებულ კომბატანტს არ შეუძლია საკუთარი თავი განასხვავოს სამოქალაქო მოსახლეობისაგან, ის ინარჩუნებს კომბატანტის სტატუსს იმ პირობით, რომ ასეთ სიტუაციებში იგი ღიად ატარებს საკუთარ იარაღს. კერძოდ:

---

[1] ე. ქემინსი, წარსული, როგორც შესავალი: სამოქალაქო იმუნიტეტიდან „უშუალო მონაწილეობის" გამონაკლისის განკითარება, 2008წ. დეკემბერი, №872

- თითოეული სამხედრო შეტაკების დროს;
- იმ დროს, როდესაც ის იმყოფება მოწინააღმდეგის თვალთახედვის არეში სამხედრო წესით გაშლის თუ მოწყობის მსვლელობისას, რაც წინ უძღვის თავდასხმას, რომელშიც მან უნდა მიიღოს მონაწილეობა (მუხ. 44 პ. 3).[1]

ცხადია, ზემოთმოყვანილი დებულებები – ეს არის დადასტურება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შემდგომი პოზიციური განვითარებისა.

კომბატანტებისა და არაკომბატანტების სამართლებრივი მდგომარეობა სხვადასხვაგვარია. როგორც უკვე აღინიშნა, იგი დაკავშირებულია, საბრძოლო მოქმედებებში უშუალო მონაწილეობასთან. გარდა ამისა, კომბატანტებს აქვთ უფლება შეიარაღებული კონფლიქტის პროცესში, მტრის მიმართ გამოიყენონ ძალადობის უმაღლესი ზომა, ე.ი. გაანადგურონ ის მაშინ, როდესაც არაკომბატანტები მხოლოდ ემსახურებიან და უზრუნველყოფენ საბრძოლო და სასულიერო საქმიანობას შეიარაღებულ ძალებში და იარაღის გამოყენება მხოლოდ თავდაცვის მიზნით შეუძლიათ.

კომბატანტებზე ვრცელდება სამხედრო ტყვეთა რეჟიმი. სხვათა შორის, წინათ, სამხედრო ტყვის რეჟიმი 1907 წლის კონვენციის თანახმად, ვრცელდებოდა არაკომბატანტებზეც (ომის კანონების და წესების შესახებ არსებული დებულების III მუხ). სამხედრო ტყვის რეჟიმი ვრცელდება ასევე სამხედროზე, რამაც ასახვა ჰპოვა I დამატებითი ოქმის 46-ე მუხლში. მასში ნათქვამია, რომ კონფლიქტის მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელი, რომელიც ამ მხარის სახელით აგროვებს ან ცდილობს შეაგროვოს ინფორმაცია მოწინააღმდეგის მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, არ ითვლება პირად, რომელიც დაკავებულია ჯაშუშობით, თუ ის ასეთი მოქმედებისას ატარებს შეიარაღებული ძალების ფორმას.

შეიარაღებული კონფლიქტების კანონიერ მონაწილეებად ითვლებიან აგრეთვე, მოხალისეები: მათ აქვთ უფლება, მონაწილეობდნენ მეომარ მხარეთა საბრძოლო მოქმედებებში.

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ.112.

ამის შესახებ არაორაზროვნად არის ლაპარაკი კონვენციაში ნეიტრალურ სახელმწიფოთა და პირთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ სახმელეთო ომის შემთხვევაში. 1907 წლის კონვენციაში აღნიშნულია: „ნეიტრალური სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არ დგება იმის შედეგად, რომ კერძო პირები ცალკეულად გადადიან საზღვარზე, რათა მოეწყონ სამსახურში ერთ-ერთ მეომართან“. ამასთან, ნეიტრალური სახელმწიფოს პირს არ შეუძლია დააყენოს თავისი ნეიტრალიტეტის საკითხი, თუკი იგი ახორციელებს ქმედებებს:

– მტრულს მეომარი მხარის მიმართ;

– მეომარი მხარის სასარგებლოდ. სახელდობრ, თუ ის ნაბაყოფლობით იწყებს სამსახურს ერთ-ერთი მხარის სამხედრო ძალების რიგებში.

რაც შეეხება არაკომბატანტებს, მათი დატყვევების შემთხვევაში ისინი არ ჩაითვლებიან სამხედრო ტყვეებად. სამხედრო ტყვეების მიმართ მოპყრობის შესახებ არსებული ჟენევის კონვენციის 33-ე მუხლის შესაბამისად, ტყვედ ამყვანი სახელმწიფო მათ უზრუნველყოფს აუცილებელი სამედიცინო დახმარებით და სასულიერო პირთა მომსახურებით.

იმის გამო, რომ ხშირად, შეიარაღებულ კონფლიქტში საბრძოლო მოქმედებები წარმოებს საზღვაო სივრცეებში, აუცილებელი ხდება საკითხის გაშუქება საზღვაო ომში კომბატანტების შესახებ. ასეთებად ითვლება: ყველა სახის სამხედრო ხომალდების ეკიპაჟები (ლინკორების, კრეისერების, ავიამზიდების, კატერების, წყალქვეშა ნავების და სხვა). სამხედრო-საზღვაო ფლოტის საფრენი აპარატების ეკიპაჟები (თვითმფრინავების, ვერტმფრენების და ა.შ), ყველა სახის დამხმარე გემი. ასევე, სამხედრო ხომალდებად გადაკეთებული სავაჭრო გემები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამხედრო ხომალდებად გადაკეთებული სავაჭრო გემებისა და წყალქვეშა ნავების შესახებ. წყალქვეშა ნავების გამოჩენამ, საზღვაო ომების წარმოების წესების დარღვევამ გერმანული წყალქვეშა ნავების მიერ, პირველი მსოფლიო ომის წლებში მოითხოვა საკითხის დაყენება მათი ეკიპაჟებისაგან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვის აუცილებლობის შესახებ. საზ-

ღვაო ომის წარმოების შესახებ არსებული ვაშინგტონის წესებში (1922), ლონდონის ოქმში (1936), ნიონის შეთანხმებაში (1937) ფორმულირებული იყო ნორმა, რომლის თანახმადაც, წყალქვეშა ნავების ეკიპაჟები ვალდებული არიან, დაიცვან საზღვაო ომის ნორმების ის წესები, რომლებიც დადგენილია წყალზედა ხომალდებისათვის.

ჰააგის კონვენცია სავაჭრო გემების სამხედრო ხომალდებად გადაკეთების შესახებ (1907), შემდეგ პირობებს აყალიბებს: გემი უნდა იყოს იმ სახელმწიფოს პირდაპირ დაქვემდებარებაში და მისი ძალაუფლების, უშუალო კონტროლისა და პასუხისმგებლობის ქვეშ, რომლის დროშასაც ატარებს; სამხედრო ყაიდაზე გადაკეთებული სავაჭრო გემები უნდა ატარებდნენ სამხედრო ხომალდების გარე განმასხვავებელ ნიშნებს; გემის კაპიტანი უნდა იმყოფებოდეს სახელმწიფო სამსახურში და უნდა იყოს დანიშნული სათანადო წესით კომპეტენტური ორგანოს მიერ; მისი სახელი აღნიშნული უნდა იყოს სამხედრო ფლოტის ოფიცერთა სიაში; ასეთი გემის ეკიპაჟი უნდა ექვემდებარებოდეს სამხედრო დისციპლინის წესებს; ასეთი, გადაკეთებული გემის ეკიპაჟი ვალდებულია დაიცვას ომის კანონები და წესები. სავაჭრო გემის სამხედრო ხომალდად გადაკეთება დასაშვებია საკუთარ პორტში ან ტერიტორიულ წყლებში. აგრეთვე, მოკავშირის წყლებში და სამხედრო ოკუპაციის ქვეშ მყოფ წყლებში, მაგრამ დაუშვებელია ღია ზღვაში და ნეიტრალური სახელმწიფოს ტერიტორიულ წყლებში.

სამხედრო ხომალდებად სავაჭრო გემების გადაკეთებისას უნდა მოხდეს სავაჭრო გემების შეიარაღების იდენტიფიცირება თავდაცვის მიზნების შესაბამისად. ეს პრაქტიკა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში გაჩნდა, როდესაც სავაჭრო გემების ეკიპაჟები იძულებულნი იყვნენ თავი დაეცვათ მეკობრეებისა და კაპერების თავდასხმისაგან. მეორე მსოფლიო ომში ბევრი სახელმწიფო ახდენდა საკუთარი სავაჭრო გემების სათანადოდ შეიარაღებას. თუმცა, ის სავაჭრო გემი, რომელზეც თავდაცვის იარაღია დაჯენებული, არ იქცევა სამხედრო ხომალდად და ამიტომ, არა აქვს ზღვაში გემების გაჩერების, მათი დათვალიერებისა და შეპყრობის უფლება. ეკიპაჟს შეუძლია გამოიყენოს თავისი შეიარაღება თავდაცვის მიზნით.

არაკომბატანტებად საზღვაო ომში ითვლება სამხედრო ჰოსპიტალური გემების ეკიპაჟები, თუ ასეთი გემები აგებული ან აღჭურვილია სახელმწიფოს მიერ სპეციალური მიზნით – დახმარება გაუწიონ დაჭრილებს, ავადმყოფებს და ხომალდების კატასტროფის შედეგად დაზარალებულებს. აგრეთვე, საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის (სწჯკ) საჰოსპიტალო გემების ეკიპაჟებს. არ შეიძლება ისინი დაექვემდებარონ თავდასხმას ან შეპყრობას, რამდენადაც ისინი იმყოფებიან სჰს-ის ნორმების დაცვის ქვეშ.

საჰაერო ომის ნორმირება, მისი რეგლამენტაცია მჭიდროდაა დაკავშირებული ავიაციის განვითარების ისტორიასთან. მას შემდეგ, რაც 1903 წელს, ძმებმა ორვილ და უილბერ რაიტებმა ქ. დეიტონში (ოჰაიოს შტატი, აშშ), პირველად მსოფლიოში, განახორციელეს ფრენა 59 წამის ხანგრძლივობით, 23 მეტრის სიმაღლეზე, 260 მეტრის მანძილზე, ადამიანი ცდილობდა საფრენი აპარატები მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოეყენებინა.[1] მარშალმა ფოშმა 1910 წელს განაცხადა კიდეც, რომ ავიაცია სპორტის უნიკალურ სახეობად შეიძლება იქცეს, მაგრამ შეიარაღებული ძალებისათვის არავითარ ინტერესს არ წარმოადგენსო. მაგრამ, ჯერ კიდევ იტალია-თურქეთის 1911-1912 წ.წ ომის დროს, ლეიტენანტმა გავოტიმ ჰაერიდან დაბომბა ოაზისი აინ-ზარა, რითაც საფუძველი ჩაუყარა ავიაციის გამოყენებას საბრძოლო მოქმედებებში. იმ დღიდან ავიაციამ დაიწყო მნიშვნელოვანი როლის შესრულება მიწისზედა ძალებთან ერთად.

1913 წლის გაზაფხულზე, საფრანგეთსა და გერმანიას შორის წამოიშვა დიპლომატიური ინციდენტი, რაც დაკავშირებული იყო საჰაერო სივრცეში არაერთჯერადი საფრენი აპარატის გამოჩენასთან. საფრანგეთის მთავრობამ ნოტით მიმართა გერმანიას, მისი კუთვნილი საფრენი აპარატის მიერ ყოველგვარი ნებართვის გარეშე საფრანგეთის საჰაერო სივრცეში ფრენისათვის. ამ ინციდენტის გადაწყვეტისათვის 1913 წლის 23 ივლისს საფრანგეთმა და გერმანიამ ხელი მოაწერეს ორმხრივ შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც ორივე ქვეყანამ აღიარა მათი კუთვნილი

[1] საბჭოთა ენციკლოპედიური ლექსიკონი, მ. 1983წ. გვ. 1096

საჰაერო სივრცის სუვერენიტეტი და მისი დარღვევა საზღვრის დარღვევის დონეზე განიხილებოდა.

საფრანგეთ-გერმანიის მიერ ხელმოწერილი ორმხრივი ხელშეკრულება იყო პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა საერთაშორისო საჰაერო სამართლის ჩამოყალიბებაში.

ამ ინციდენტის შემდეგ ფრანგებმა სერიოზულად იმუშავეს საფრენი აპარატების შექმნისა და მათი საფრენოსნო თვისებების გაუმჯობესების მიზნით. ამიტომაც, ფრანგმა იურისტებმა შეიმუშავეს „თავისუფალი ცის" თეორია, რასაც განაპირობებდა პირველი მსოფლიო ომის წინ საფრანგეთის ლიდერობა ჰაერში.

„თავისუფალი ცის" თეორიის ფუძემდებელი იყო ფრანგი მეცნიერი პ. ფოშილი, რომელმაც მეცნიერებას შესთავაზა ეიფელის კოშკის სიმაღლის - 330 მეტრის დაძლევის ზღვარი. და თუ მასზე მაღლა რომელიმე საფრენი აპარატი ავიდოდა ჰაერში, მისი კონტროლი და პრეტენზია არც ერთ სახელმწიფოს არ უნდა ჰქონოდა. ეს თეორია 100 წლის წინ სერიოზულ წარმატებად მიიჩნეოდა. საუკუნის განმავლობაში დაუჯერებელ წინსვლას მიაღწია კაცობრიობამ ჰაერში.[1]

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში ლეიტენანტმა ვატომ და სერჟანტმა ბრეგემ გარკვეული წვლილი შეიტანეს მარნაზე ფრანგების გამარჯვებაში, როდესაც, მიწისზედა არმიის მეთაურობას მიაწოდეს ცნობები გერმანული არმიის გადაადგილების შესახებ. ეს ცნობები მათ საჰაერო დაზვერვის შედეგად მოიპოვეს. ცოტა ხანში, სერჟანტმა ფრანცმა და მექანიკოსმა პენომ თავიანთ თვითმფრინავზე დაამონტაჟეს Voisin, „მეზობელი", რომელზეც ხელის ტყვიამფრქვევი იყო დაყენებული და რომლის მეშვეობითაც გაიმარჯვეს საჰაერო ბრძოლაში. ამ ბრძოლას ისტორიაში ავიაციის გამოყენების პირველ პრეცედენტად თვლიან.

XX საუკუნის დასაწყისში, საფრენი აპარატების პირველმა ფრენებმა და მათმა შემდგომმა სრულყოფამ აიძულა სახელმწიფოები, რათა შემოელოთ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში საერთაშორისო საჰაერო გადაადგილების სა-

---

[1] В.Д. Боргунов, Международное воздушное право, М.2007г.стр.60-61

მართლებრივი მოწესრიგების საერთო ნორმები. სწორედ საჰაერო ხომალდების გამოჩენამ, რომელთაც შეეძლოთ შეესრულებინათ ფრენა სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის, წარმოშვა საჰაერო სივრცის სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრის აუცილებლობა[1] როგორც მშვიდობიანობის, ასევე საომარი მდგომარეობის პირობებში.

საჰაერო დაბომბვებს რეგულარულად მიმართავდნენ მეომარი მხარეები მეორე მსოფლიო ომის დროს. კერძოდ, გერმანია და დიდი ბრიტანეთი. ცნობილ მაგალითად ითვლება „ათასი ბომბდამშენის თავდასხმა“ კიოლნზე 1942 წლის მაისში. რეპრესალიად განიხილება გერმანიის მიერ ლონდონის დაბომბვა. თავდასხმის შედეგად დაინგრა ქალაქის ცენტრის მნიშვნელოვანი ნაწილი.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში არ არსებობს საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რომლებითაც მოწესრიგდებოდა საჰაერო ომის საერთაშორისო – სამართლებრივი ურთიერთობები. 1899 წელს, ჰააგის კონფერენციაზე მიღებული იქნა სპეციალური დეკლარაცია, რომელიც კრძალავდა ჭურვებისა და ასაფეთქებელ ნივთიერებათა ჩამოგდებას საჰაერო ბურთებიდან. ეს დეკლარაცია სავალდებულოდ გამოცხადდა 1907 წელს ყველა სახელმწიფოსათვის, თუმცა, არ მოხერხდა ამ საკითხზე სპეციალური კონვენციის შემუშავება.

1923 წელს ჰააგაში მომზადდა პროექტი საჰაერო ომის წარმოების შესახებ, რომელიც ვერ შევიდა ძალაში. მიუხედავად იმისა, რომ მასზე წამყვანი იურისტებისაგან შემდგარი კომისია მუშაობდა (მასში შედიოდნენ აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, ნიდერლანდების წარმომადგენლები), მას ხელი იმ სახელმწიფოებმაც კი არ მოაწერეს, რომელთა წარმომადგენლებიც ამ კომისიაში არ შედიოდნენ. ამავე დროს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ნორმა, რომელსაც მითითებული დოკუმენტი შეიცავდა, იქცა ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნაწილად ჯერ კიდევ მანამ, სანამ მათი ფორმულირება მოხდებოდა. ზოგიერთი მათგანი კოდიფიცირებული იყო I დამატებით ოქმში. სპეციალისტთა აზრით, პროექტში შესული

---

[1] დ. გეფერიძე, საერთაშორისო საჰაერო სამართალი, თბ. 2009წ. გვ.17.

საჰაერო ომის წარმოების წესები კარგ საფუძველს ქმნიან საჰაერო წარმოების ნორმების ფორმირებისათვის. ნატოს სამხედრო ავიაციის და ზოგიერთ სახელმწიფოთა მიერ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ქალაქების არამართლზომიერი დაბომბვების შემთხვევათა ფონზე, ასეთი წესების მიღების აქტუალობა სულ უფრო და უფრო იზრდება.

საჰაერო ომში კომბატანტებად ითვლება ყველა იმ მფრინავი აპარატის ეკიპაჟები, რომლებიც შედიან მეომარ მხარეთა სამხედრო ავიაციის შემადგენლობაში და აქვთ მათი განმასხვავებელი ნიშნები. მათ მიეკუთვნებიან სამოქალაქო ავიაციის ხომალდთა ის ეკიპაჟები, რომლებიც გადაკეთებულია სამხედროდ, მეომარი სახელმწიფოების იურისდიქციის ფარგლებში.

საჰაერო ომში არაკომბატანტებად ითვლებიან იმ სანიტარული თვითმფრინავების, აგრეთვე საჰოსპიტალო საჰაერო ხომალდების ეკიპაჟები, რომლებიც მეომარი მხარეების და წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოებების მიერ გამოიყენება დაჭრილებისა და ავადმყოფების ევაკუაციისათვის მკურნალობის მიზნით. სანიტარულ და ჰოსპიტალურ ხომალდებს უნდა ჰქონდეთ აშკარა განმასხვავებელი ნიშანი, ხოლო დადგენილ შემთხვევაში – ასევე, წითელი ჯვრის განმასხვავებელი ემბლემა. კონფლიქტში მყოფ სახელმწიფოებს ეკრძალებათ სანიტარული საფრენი აპარატების გამოყენება სამხედრო ობიექტის ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად, სადაზვერვო მონაცემების შესაგროვებლად. აგრეთვე, პირადი შემადგენლობისა და სამხედრო ტვირთების გადასაზიდად მებრძოლებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით.

მთავარი საკითხი საჰაერო ომის სამართლებრივ მოწესრიგებაში - ეს არის ჰაერიდან დაბომბვა. ასეთი დაბომბვა კანონიერი იქნება, თუ ის მხოლოდ სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ ხორციელდება, რომელთა რიცხვში შედის: შეიარაღებული ძალები; სამხედრო დაწესებულებები ან იარაღის საწყობები; ქარხნები, რომლებიც ითვლება იარაღის და საბრძოლო მასალების, აღჭურვილობის წარმოების ცნობილ ცენტრებად; სამხედრო მიზნებით გამოყენებული კავშირგაბმულობის საშუალებები და ტრანსპორტი და სხვა.

როდესაც საუბარია შეიარაღებული კონფლიქტების კანონიერ მონაწილეებზე, უნდა შევეხოთ ჯაშუშებსა და დაქირავებულებსაც. საჭიროა მოხდეს მათი სტატუსის გამიჯვნა ერთმანეთისაგან და აიხსნას, თუ რას წარმოადგენენ ისინი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით.

დებულებები ჯაშუშთა შესახებ ითვლება იმ ნორმების ლოგიკურ განვითარებად, რომლებიც მსტოვრების ინსტიტუტს ეხება და გათვალისწინებულია ჰააგის დებულებით სახმელეთო ომების კანონებისა და წესების შესახებ. ე.ი. „მსტოვრად" შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი პირი, რომელიც მოქმედებს და ფარულად ან მოგონილი საბაბით აგროვებს ან ცდილობს შეაგროვოს ცნობები ერთ-ერთი მეომარი მხარის მოქმედების რაიონის შესახებ, ასეთის, მოწინააღმდეგე მხარისათვის გადაცემის განზრახვით (მუხ. XXIX). ადგილზე შეპყრობილი მსტოვარი, არ შეიძლება დასჯილ იქნას წინასწარი სასამართლოს გარეშე. თავის არმიაში დაბრუნებული და შემდგომში მტრის მიერ დატყვევებული მსტოვარი ჩაითვლება სამხედრო ტყვედ და არ აგებს არავითარ პასუხს წინა, როგორც მსტოვრის მოქმედებებისათვის.

კონვენციებისა და I ოქმის თანახმად, ნებისმიერი სხვა დებულებისაგან დამოუკიდებლად, კონფლიქტის მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალების შემადგენლობის წევრს, რომელიც ჯაშუშობის დროს ხელში ჩაუვარდა მოწინააღმდეგეს, სამხედრო ტყვის სტატუსის ფლობის უფლება გააჩნია და მას შეიძლება მოეპყრონ როგორც ჯაშუშს.[1]

კონვენციის ოქმი იქვე იძლევა განმარტებას, თუ ვინ არ შეიძლება ჩაითვალოს ჯაშუშად 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად. კონფლიქტის მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი პირი, რომელიც ამ მხარის სახელით აგროვებს ან ცდილობს შეაგროვოს ინფორმაცია მოწინააღმდეგის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, არ ითვლება ჯაშუშად, თუ ამგვარი მოქმედებებისას იგი ატარებს თავისი შეიარაღებული ძალების საფორმო ტანსაცმელს. ხოლო მე-3 პუნქტი ერთმანეთისაგან გამიჯნავს ოკუპირებულ

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ. 115.

ტერიტორიაზე მცხოვრებს, რომელიც აგროვებს ან ცდილობს შეაგროვოს სამხედრო მნიშვნელობის ინფორმაცია იმ მხარის სახელით, რომელსაც ეკუთვნის. ის არ ითვლება ჯაშუშად, თუ არ მოქმედებს მოტყუებით ან არ მიმართავს საიდუმლო მეთოდებს წინასწარი განზრახვით. ხოლო მე-4 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ პირი არ ცხოვრობს იმ ტერიტორიაზე და ეწევა ჯაშუშობას, არ კარგავს სამხედრო ტყვის სტატუსს, ფლობს უფლებას და მას შეიძლება მოეპყრონ როგორც ჯაშუშს იმ შემთხვევის გარდა, როცა იგი მანამდე იქნა დაკავებული, სანამ თავის შეიარაღებულ ძალებს შეუერთდებოდა. იგი განსხვავდება სამხედრო მზვერავისაგან, რომელიც თავისი სამხედრო ფორმით არის შესული მოწინააღმდეგის სამხედრო მოქმედების არეში და აგროვებს სათანადო ინფორმაციას, ე.ი. არ მალავს თავისი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებთან კავშირს. ასეთი პირის დატყვევების შემთხვევაში, მასზე ვრცელდება სამხედრო ტყვის სტატუსი, რომელიც განსხვავდება სამხედრო ჯაშუშის სტატუსისაგან.

ცნება „დაქირავებული“ – პირველად ფორმულირებული იყო I დამატებით ოქმში. ეს არის პირი”:

- სპეციალურად გადაბირებული ადგილზე ან საზღვარგარეთ, რათა მონაწილეობა მიიღოს შეიარაღებულ კონფლიქტში;
- რომელიც ფაქტობრივად მონაწილეობს საბრძოლო მოქმედებებში;
- მონაწილეობს საბრძოლო მოქმედებებში, რათა მიიღოს პირადი სარგებელი, რომლის მატერიალური შინაარსი მნიშვნელოვნად აღემატება ამ მხარის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი იმავე რანგისა და ფუნქციის მქონე კომბატანტებისათვის გადახდილ ანაზღაურებას;
- არ ითვლება კონფლიქტში მყოფი სახელმწიფოს მოქალაქედ, ან მის ტერიტორიაზე მცხოვრებად;
- არ შედის კონფლიქტში მყოფი მხარეების შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში;

- არ არის გაგზავნილი კონფლიქტის მონაწილე მხარის მიერ ოფიციალური მოვალეობების შესასრულებლად, როგორც მის შეიარაღებულ ძალებში შემავალი პირი.

დაქირავებულები არ მიიჩნევიან შეიარაღებული კონფლიქტების კანონიერ მონაწილეებად, მათზე არ ვრცელდება კომბატანტის ან სამხედრო ტყვის რეჟიმი. [1]

დაქირავებულების პრობლემამ განვითარება ჰპოვა საერთაშორისო კონვენციაში დაქირავებულთა გადაბირების, გამოყენების, დაფინანსებისა და სწავლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებათა შესახებ, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის 44-ე სესიამ მიიღო 1999 წლის 4 დეკემბერს. დასახელებული კონვენციის თანახმად, ტერმინი „დაქირავებული“ აღნიშნავს ნებისმიერ ისეთ პირს, რომელიც ნებისმიერ სხვა სიტუაციაში:

1) სპეციალურადაა გადაბირებული ადგილზე ან საზღვარგარეთ, ერთობლივ ძალისმიერ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად, რომლებიც მიმართულია მთავრობის დამხობისკენ ან სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობის სხვაგვარი შეცვლისაკენ, ან სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ძირის გამოთხრისაკენ;

2) ასეთ ქმედებაში მონაწილეობისას, ძირითადად ხელმძღვანელობს მნიშვნელოვანი პირადი სარგებლის მიღების სურვილით;

3) არ ითვლება არც მოქალაქედ და არც იმ სახელმწიფოს მუდმივ მცხოვრებად, რომლის წინააღმდეგაც ასეთი მოქმედებებია მიმართული;

4) მესამე სახელმწიფოს მიერ არ არის წარგზავნილი ოფიციალური მოვალეობების შემსრულებელ პირად, რომელიც მისი შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედის;

5) არ შედის იმ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში, რომლის ტერიტორიაზეც ასეთი მოქმედებები ხორციელდება;[2]

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ.116-117.

[2] იქვე. გვ. 116.

ზემოთ მოყვანილი განსაზღვრების თანახმად, დაქირავებული, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს სამხედრო ან ერთობლივ მოქმედებებში, სჩადის საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ დანაშაულს.

ნებისმიერი პირი, რომელიც იბირებს, გამოიყენებს, აფინანსებს ან წვრთვნის დაქირავებულებს, ასევე სჩადის დანაშაულს. ამ პრობლემაზე ცალკეც გვექნება მსჯელობა

§2. მეთაურების (უფროსების) მოვალეობები საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში

სახელმწიფოთა ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი იმ შეთანხმებათა დასაცავად, რომლებიც საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს მიეკუთვნება, სამხედრო მეთაურის ინსტიტუტს, მათ თანამდებობრივ იერარქიას, – ყველა დონის მეთაურებს (უფროსებს) ეკისრება. მოცემულ შემთხვევაში ისინი ითვლებიან სჰს-ის დებულებათა უშუალო შემსრულებლებად, რაც გათვალისწინებულია I დამატებითი ოქმის 87-ე მუხლით „მეთაურთა მოვალეობები“[1].

ტერმინი „მეთაური” გულისხმობს ყველა იმ პირს, რომელსაც უფლება აქვს გასცეს ბრძანება, დაწყებული მაღალი სამხედრო ხელმძღვანელიდან ისეთ მეთაურამდე, რომლის დაქვემდებარებაში მხოლოდ რამდენიმე კაცია. ანუ, სამხედრო იერარქიაში, ყველა წოდების სამხედრო მოსამსახურე, გენერლიდან სერჟანტამდე – ითვლება მეთაურად.[2]

მოთხოვნები, რომლებიც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით წაეყენება სამხედრო მეთაურებს, უწინარეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ მათი ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებიან შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეების მრავალრიცხოვანი კატეგორიის ხელქვეითები, რომლებიც ერთპიროვნული მეთაურობის პრინციპის შესაბამისად ვალდე-

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ. 116.

[2] გ. თორაძე, შეიარაღებული კონფლიქტების სამართალი, (შესაყალა). თბ, 20012წ. გვ.73-80.

ბულნი არიან კეთილსინდისიერად შეასრულონ თავიანთი სამხედრო მოვალეობა, სჰს-ის ნორმათა დაცვის ჩათვლით.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების 28-ე მუხლის შინაარსიდან კეთდება შესაბამისი დასკვნები, რომლის მიხედვითაც „პირთა გაერთიანები“ ხელმძღვანელი მოიხსენიება ოთხი ფორმით: 1) სამხედრო მეთაური; 2) სამხედრო მეთაურის სახით ეფექტურად მოქმედი პირი; 3) უფროსი; 4) სხვა პირი, რომელშიც შეიძლება მოვიაზროთ ყველა ისეთი უფლებამოსილების მქონე ადამიანი, რომელსაც ჰყავს ხელქვეითები და მის დაქვემდებარებაში მყოფ პირებს აკონტროლებს.[1]

მაღალმა ხელშემკვრელმა მხარეებმა და კონფლიქტის მონაწილე მხრეებმა სამხედრო მეთაურებს უნდა მოსთხოვონ, რამდენადაც ეს მათ დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალ სხვა მათ დაქვემდებარებაში მყოფ პირებს შეეხება, არ დაუშვან კონვენციებისა და ოქმის დარღვევა და აუცილებლობის შემთხვევაში, აღკვეთონ ასეთი დარღვევები და აცნობონ ეს ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს.[2]

აღნიშნულიდან გამომდინარე, მეთაურის (უფროსის) ძირითად მოვალეობად ითვლება:

ა) არ დაუშვას სჰს-ის ნორმათა დარღვევა მისი ხელქვეითების მიერ საომარი მოქმედებების წარმოების დროს;

ბ) აღკვეთოს დანაშაულები, თუ ისინი უკვე ხდება;

გ) შეატყობინოს სჰს-ის ნორმების დარღვევის შესახებ სამხედრო მმართველობის ზემდგომ ორგანოებს;

დ) გაატაროს პროფილაქტიკური ღონისძიებები სჰს-ის ნორმათა დარღვევის თავიდან აცილების მიზნით;

ე) მისცეს დისციპლინურ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მითითებული დარღვევების ჩამდენი პირები.

---

[1] ორგანიზებული დანაშაულის თანამდევი გამოვლინების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში (ი. დვალაძე), თბ., 2012 წ. გვ. 119.

[2] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ.160.

ბევრი სახელმწიფოს, მათ შორის, საქართველოს სამხედრო კანონების შესაბამისად, ქვედანაყოფების მიერ ხელქვეითთა მართვის ძირითად წყაროდ ითვლება ბატალიონის (ასეულის) მეთაურის გადაწყვეტილება. სწორედ მეთაურს აქვს დაკისრებული სრული და ერთპიროვნული პასუხისმგებლობა საბრძოლო მზადყოფნისათვის, მისი ქვედანაყოფის მებრძოლთა მომზადებისათვის, მათი მზადყოფნისათვის საბრძოლო ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით. მეთაურის მუშაობის წესი დამოკიდებულია კონკრეტულ ამოცანებზე, შექმნილ გარემოებებსა და დროზე. მუშაობას ბრძოლის ორგანიზაციის მიმართულებით ის, როგორც წესი, იწყებს საომარი ბრძანების მირებით ან ბრძოლის დაწყებასთან დაკავშირებით, ზემდგომი მეთაურის გადაწყვეტილების შესაბამისად. სახმელეთო ჯარების საბრძოლო წესდებაში დეტალურად არის გაწერილი მეთაურის მოქმედება საბრძოლო ბრძანების (განკარგულების) მიღების შემდეგ: მიღებული ამოცანის გარკვევა, ვითარების შეფასება და გადაწყვეტილების მიღება. მთელი ეს საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს სჰს-ის ნორმებს, ამასთან, ხელქვეითებმა მითითებები უნდა მიიღონ მეთაურისაგან. მაგალითად, საკუთარ ან მოწინააღმდეგის დაჭრილებთან მოქცევის საკითხი, დაღუპულების ან ტყვეების პრობლემა და ა.შ. მეთაურმა უნდა განუმარტოს სამხედრო მოსამსახურეებს სამხედრო ტყვეთა უფლებები III კონვენციის შესაბამისად.

გადაწყვეტილების მიღებისას ბრძოლის გამართვასთან დაკავშირებით, მეთაური უნდა გამოდიოდეს მისდამი რწმუნებულ პირად შემადგენლობას შორის დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანის აუცილებლობიდან, ასევე, სამოქალაქო მოსახლეობის, სამოქალაქო ობიექტების ნგრევის, კულტურულ ფასეულობათა განადგურების შემცირების და ა.შ.

მეთაურმა კარგად უნდა იცოდეს, რომ სამხედრო მოქმედებები შეიძლება მიმართული იყოს მხოლოდ სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ და ყველაფერი უნდა იღონოს, რათა დარწმუნდეს, რომ შეტევისთვის დასახული მიზანი სამხედრო ობიექტია. ამ ამოცანის შესრულებას ხელს უწყობს დაზვერვა, რომელიც უნდა განხორციელდეს ნებისმიერ ვითარებაში, მოწინააღმდეგის შესახებ და მომავალი საომარი მოქმედებების რაიო-

ნის თაობაზე ცნობების მოპოვების მიზნით. შეგროვებული ინფორმაცია ყველა შესაძლო გზით უნდა გადაეცეს მეთაურს (უფროსს). მასში უნდა შედიოდეს მონაცემები სამედიცინო დაწესებულებების განლაგების, სამოქალაქო მოსახლეობის მაღალი კონცენტრაციის ადგილების, ატომური და ჰიდროელექტროსადგურების, კულტურული ფასეულობებისა და ა.შ. შესახებ.

როდესაც ამის საშუალებას ვითარება იძლევა, მეთაურმა უნდა მოახდინოს სამოქალაქო ხელისუფლების ინფორმირება საბრძოლო მოქმედებების შესაძლო განვითარებისა და იმ რისკის შესახებ, რომელსაც შეიძლება დაექვემდებარონ სამოქალაქო პირები და ობიექტები. საბრძოლო მოქმედებების პროცესში მეთაური ახორციელებს კონტროლს თავის ხელქვეითებზე. დასმული ამოცანების შესრულების საქმეში ბრძოლის წარმოების მეთოდებისა და საშუალებების შეზღუდვა სჰს-ის ნორმებით არის გათვალისწინებული. მათი დარღვევის შემთხვევაში მეთაური ღებულობს სათანადო ზომებს.

თავისი ფუნქციების შესასრულებლად მეთაურმა (უფროსმა), უწინარეს ყოვლისა, თვითონ უნდა იცოდეს სჰს-ის ნორმები და გაცნობიერებულად ახორციელებდეს მათ პრაქტიკულ საქმიანობაში პირადი შემადგენლობის ხელმძღვანელობის პროცესში.

სპეციალისტთა აზრით, მნიშვნელოვანია მეთაურების პასუხისმგებლობის პრინციპის დაცვა იმ ქვეყანაში, სადაც არ იცნობენ კანონსაწინააღმდეგო ბრძანებების შეუსრულებლობაზე ხელქვეითების პასუხისმგებლობის პრინციპს. ეს ორი პრინციპი ნაწილობრივ ფარავს ერთმანეთს და მათი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ თავიდან აგვაცილოს კონვენციის სერიოზული დარღვევები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – დაისაჯოს კიდევაც დამნაშავე. აიძულოს სამხედრო მოსამსახურეები, სრულად გაიცნობიერონ თავიანთი პასუხისმგებლობა. ამიტომ, ყველა სახელმწიფო ვალდებულია გაიგოს, რომ შეიარაღებული კონფლიქტების დროს, მათ უნდა უზრუნველყონ სჰ.ს ნორმების დაცვა, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ნაწილს წარმოადგენენ და აღიარებულია სახელმწიფოთა თანამეგობრობის ყველა წევრის მიერ.[1]

---

[1] გ. თორაძე, შეიარაღებული კონფლიქტების სამართალი, თბ. 2012წ. გვ.73-85.

სპეციალისტები და პრობლემით დაინტერესებული მკვლევარები გამოთქვამენ აზრს, რომ მეთაურებზე დაკისრებული პასუხისმგებლობის გამო, არალოგიკური იქნებოდა იმ პრინციპის უარყოფა, რომლის შესაბამისად, ზემოდან დაშვებული ბრძანება არ არის კანონიერი გამართლება კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის. აქ მთავარი ერთი საკითხის გარკვევაა. ყოველი ქმედება კონკრეტულად უნდა იქნეს შეფასებული და შეფარდებული სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის დონესთან და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, ჰქონდა თუ არა მას საშუალება, უარი ეთქვა ბრძანების შესრულებაზე.

უ.ფ. კეგინერი, წჯსკ-ის იურიდიული განყოფილების იურიდიული მრჩეველი თავის სტატიაში წერს: „სადავო გახდა, რომ პირველი დამატებითი ოქმის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ პირებს დაეკისრებათ, რომლებიც ბრძანებას გასცემენ და არა იმათ, ვინც მათ ასრულებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეთაურთა ბრძანებების არსებობა უგულვებელყოფს იმ პირს, რომელმაც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა ზიანის მიყენებაში".[1]

სტატიის ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ ამ დაკვირვებებმა შესაძლოა უმკაცრეს ლოგიკამდე მიგვიყვანოს, მაგრამ კანონის არასწორ ინტერპრეტაციამდე – არასოდეს.

საკმარისი არაა ვამტკიცოთ, რომ მათ (ვინც თავდასხმას ახორციელებენ), იცოდნენ, რომ თავდასხმის შემკვეთს ყველაფერი შესწავლილი აქვს და მათ ისღა დარჩენიათ, რომ გაცემულ მითითებებს დაემორჩილონ.

სამოქალაქო პირებზე თავდასხმის აკრძალვა და სამოქალაქო ობიექტების მოელა საომარი მოქმედებების წარმართვის დროს მკაფიოდაა განსაზღვრული არაერთ დოკუმენტში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით აშკარაა, რომ თავდასხმა უნდა შეწყდეს ან შეჩერდეს იმ შემთხვევაში, თუ თავდაპირველად ამორჩეული სამიზნე არ იქნა სამხედრო ობიექტად შეფასებული ან თუ თავდახმა დაარღვევს პროპორ-

---

[1] უ.ფ. კეგინერი. „უსაფრთხოების ზომები საომარი მოქმედებებით მარეგულირებელი სამსახურის მიხედვით", №864. დეკემბერი, 2008 წ.

ციულობის პრინციპს. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მცირეოდენი ეჭვი აღიძვრება. ეს ვრცელდება ყველა ოპერაციაზე.

ჯ.გ. კეგინერის აზრით, ზოგიერთ შემთხვევაში ეს დებულება შეიძლება გავრცელდეს თავდასხმის ორგანიზატორზე, თუ გამომჟღავნდა, რომ შეცდომა იქნა დაშვებული თავდაპირველ გეგმებში. მაგალითად, როგორც ეს მოხდა ნატოს გაერთიანებული ძალების ოპერაციის დროს ყოფილ იუგოსლავიის ფედერაციის წინააღმდეგ. 1959 წლის 14 აპრილს, რამდენიმე თავდასხმის განხორციელების დროს, ნატოს მესვეურებს ეჭვი შეეპარათ, რომ სატვირთო მანქანები, რომელთაც ბომბავდნენ, სამხედრო ხასიათს ატარებდა, რადგანაც უცნაური იყო იუგოსლავიის საჯარისო ნაწილებისათვის ამ მანქანებით გადაადგილება. შემდეგ, ნატომ გაგზავნა შედარებით სტაბილური შვეულმფრენი, რათა შეემოწმებინა, შერჩეული სამიზნე სამხედრო იყო თუ არა. სამხედრო ოპერაციები შეწყდა 20 წუთზე მეტი დროით და გამოირკვა, რომ კორდონი მოიცავდა როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მანქანებს. ამის შემდეგ, ყველა თავდასხმა შეწყდა და ნატომ თავისი თვითმფრინავიც გამოიყვანა იმ ზონიდან.[1]

აქედან გამომდინარეობს დასკვნა: შემსრულებელი ვალდებულია, გადაწყვეტილების რეალიზაციამდე დარწმუნდეს სამიზნისა და მიღებული ზომების თანხვედრაში, პრაქტიკულად შეუდგეს მიღებული ბრძანების შესრულებას და დარწმუნებული იყოს მოსალოდნელი შედეგის მართლზომიერებაში.

ჯარისკაცი ვერ აიცილებს პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამართლის დარღვევისათვის იმის თქმით, რომ ბრძანებას ასრულებდა; თუმცა, ეს წესი უფრო რთულად გამოსაყენებელია თავდასხმის პროპორციულობის შეფასებისას.

ზემდგომი მეთაურის ბრძანების საკითხზე ცალსახა დამოკიდებულება არ არსებობს, რადგანაც სირთულეებთანაა დაკავშირებული. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ საქმე გვაქვს ორ

---

[1] ჟ.ფ. კეგინერი „უსაფრთხოების ზომები საომარი მოქმედებების მარეგულირებელი სამართლის მიხედვით, №864. დეკემბერი, 2008წ.

საპირისპირო პრინციპთან. ესაა „წინააღმდეგობა დისციპლინის პრინციპსა და პასუხისმგებლობის პრინციპს შორის".[1]

ქართული სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის მოქმედება ვრცელდება სამხედრო მოსამსახურეებზე, ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ბრძანების შეუსრულებლობისათვის.

მეორე მსოფლიო ომამდე ზემდგომი საჯარისო უფროსების ბრძანების შეუსრულებლობის საკითხი ბუნდოვანებით ხასიათდებოდა და ეკლექტიკურ ხასიათს ატარებდა. ნიურნბერგის პროცესზე ბევრი რამ დაკონკრეტდა. კერძოდ ის, რომ ბრალდებული მოქმედებდა უფროსის ბრძანების შესაბამისად, არ ათავისუფლებდა მას პასუხისმგებლობისაგან ჩადენილის გამო. მას მიიჩნევდნენ ერთგვარ შემამსუბუქებელ გარემოებად. ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს უფროსის ბრძანების შეუსრულებლობას, რაშიც იგულისხმება დადგენილი წესით გაცემული უფროსის ბრძანების შეუსრულებლობა ხელქვეითის მიერ, რამაც არსებითად დააზიანა სამხედრო სამსახურის ინტერესი; ასევე, დადგენილი წესით გაცემული ბრძანებულების შეუსრულებლობა ხელქვეითის მიერ სამსახურისადმი დაუდევარი ან არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამო, რამაც გაუფრთხილებლობით არსებითად დააზიანა სამხედრო სამსახურის ინტერესი.[2] (ს.ს.სკ.382). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XVII თავი ზოგადად ითვალისწინებს: დანაშაულისათვის შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე შეიარაღებული ძალების, ანდა მათი ქვედანაყოფების მეთაური, ან სხვა ხელმძღვანელი პასუხს აგებს იმ შემთხვევაშიც, როცა აღნიშნული დანაშაული ჩაიდინა მისმა ხელმძღვანელობამ, ანდა კონტროლს დაქვემდებარებულმა შეიარაღებულმა ძალებმა, რაც გამოწვეული იყო მეთაურის, ანდა სხვა შესაბამისი ხელმძღვანელის უმოქმედობით.[3]

და ბოლოს, „მეთაურის პასუხისმგებლობის მიხედვით, მეთაურის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყება მათდამი დაქვემდებარებულების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის

---

[1] გ. თორაძე, შეიარაღებული კონფლიქტების სამართალი, (შესავალი). თბ. 2001წ. გვ.69.

[2] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2011წ. გვ. 181.

[3] იქვე, გვ.193

და არა მხოლოდ ხელისუფლებაში ყოფნისას ჩადენილი განსხვავებული დაუდევრობითი დანაშაულისათვის.[1]

ამის პრეცედენტებს მსოფლიო პრაქტიკა იცნობს. ნებისმიერი ხელმძღვანელი პასუხისმგებლობას ვერ იცილებს, თუ მან იცოდა ან ჰქონდა ცოდნის საფუძველი, რომ დაქვემდებარებული ამგვარ მოქმედებას განახორციელებდა ან განახორციელა და ხელმძღვანელმა აუცილებელი და შესაბამისი ზომები არ მიიღო ამგვარი მოქმედებების თავიდან ასაცილებლად ან მის გამო დამნაშავეების დასასჯელად.

აქედან გამომდინარე, ვეთანხმებით მკვლევართა აზრს იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო დანაშაულების მასშტაბური ბუნებიდან გამომდინარე, საერთაშორისო სისხლის სამართალში მეთაურისა ან დანაშაულის განმახორციელებელი პირის დასჯადობის საკითხი პირადი და ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპთან მიმართებაში სერიოზული საკითხია.[2]

§3. იურიდიული მრჩევლის როლი შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში

ხშირად არაპროფესიონალი გამოყენებითი სამართლებრივი შეხედულებების სიმძიმის წერტილს ფორმალურ-ლოკალურ აზროვნებაში ეძებს, რომლის ძირითად ბირთვს სილოგიზმი წარმოადგენს.[3] თავის დროზე ა. შოპენჰაუერი წერდა: „რთული და სახიფათოა მოვლენათა წანამძღვრების დადგენა და არა მათგან დასკვნის გაკეთება: დასკვნა გარდაუვლად და თავისთავად კეთდება, მაგრამ წანამძღვრების პოვნა წარმოადგენს

---

[1] ორგანიზებული დანაშაულის თანამდევი გამოვლინების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში (ი. დვალაძე), თბ., 2012 წ. გვ. 122.

[2] ორგანიზებული დანაშაულის თანამდევი გამოვლინების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში (ი. დვალაძე), თბ., 2012 წ. გვ. 119.

[3] რ. ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი, 2006წ. გვ.109

სირთულეს, და აქ გვტოვებს ლოგიკა".[1] აქედან გამომდინარე, იურიდიული გადაწყვეტილებების მიღება წანამძღვრების ძიების, გამიჯვნის, დადგენისა და ფორმალურ-ლოგიკური აზროვნების ურთიერთკავშირის შედეგად უნდა ხდებოდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, თუ რაოდენი მნიშვნელობა ენიჭება შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში პროფესიონალი იურისტის ანუ იურიდიული მრჩევლის ინსტიტუტს, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.

იურიდიული მრჩევლების საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს საომარი მოქმედებების წარმოების პერიოდში I დამატებითი ოქმი წარმოადგენს, რომელშიც აღნიშნულია, რომ მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ნებისმიერ დროს და კონფლიქტის მონაწილე მხარეები – შეიარაღებული კონფლიქტის დროს – უზრუნველყოფენ იმას, რომ ჰყავდეთ იურიდიული მრჩევლები, რომელთაც აუცილებლობის შემთხვევაში შეეძლებათ, რჩევები მისცენ სამხედრო მეთაურებს კონვენციისა და წინამდებარე ოქმის შესაბამის დონეზე გამოყენების შესახებ და ამ საკითხთან დაკავშირებით, შეიარაღებული ძალების შესაბამისი ინსტრუქციების ჩატარების თაობაზე.[2] (მუხ, 82).

მოცემული ნორმა მსჯელობის საგანი გახდა 1977 წლის, დიპლომატიურ კონფერენციაზე იმის გათვალისწინებით, რომ მეთაურების (უფროსების) პრაქტიკულ საქმიანობაში სჰს-ის ნორმათა გაუცნობიერებლობა ბევრ სირთულეს წარმოშობდა. ამასთან, სჰს-ის ნორმატიული სამართლებრივი ბაზა მუდმივად ფართოვდება და იხვეწება, რაც მნიშვნელოვან პროფესიულ ძალისხმევას მოითხოვს მეთაურთა შემადგენლობისათვის, რეკომენდაციების შემუშავების თვალსაზრისით, საომარი მოქმედებების სწრაფად ცვლად პროცესში. იურიდიული მრჩევლები საიმედო დასაყრდენია მეთაურებისათვის მშვიდობიან დროშიც, რამდენადაც, მათი ცოდნა გამოიყენება პირადი შემადგენლობისათვის სჰს-ს ნორმების შესასწავლად, სამეთაურო-საშტაბო მეცადინეობების, წვრთნების, საჯარისო თამაშებისათვის და ა.შ.

---

[1] A. Sohopenhaues, Woptesungen "Uber die gesamte Philosophie Epster Telcop (Werke, V.P. Deussen, B 9,1913,S361)

[2] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ. 156

ყოველი სახელმწიფო თავისი ეროვნული ინტერესების შესაბამისად განსაზღვრავს იურიდიული მრჩევლების სტრუქტურასა და უფლებამოსილებას, უძველესი დროიდან დაგროვებული ასეთი სპეციალისტების გამოყენების პრაქტიკის გათვალისწინებით. კერძოდ, ესპანური სამხედრო კამპანიები (XV-XVIIსს.) მხოლოდ „იურისტებთან“ კონსულტაციების შემდეგ ტარდებოდა. ზოგჯერ, ასეთი იურისტი ჩვეულებრივი მისიონერი იყო, რომელიც კარგად ერკვეოდა ომის პრინციპებში

ყოფილ სსრკ-ში იურიდიული მრჩევლების შესახებ არსებული ნორმა პირველად შემოღებული იყო სსრკ თავდაცვის მინისტრის ბრძანებით (1990წ. №75). უფრო სწორად, სსრკ თავდაცვის სამინისტროს იურიდიული სამსახურის ოფიცრებს დაეკისრათ I დამატებითი ოქმის 82-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული მრჩევლების ფუნქციები. ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ იმ საკითხების გადაწყვეტისას, რომლებიც ეხება სჰს-ის ნორმების გამოყენებას, მეთაურებმა (უფროსებმა) უნდა გაითვალისწინონ იურიდიული მრჩევლების აზრი.

ძველი რომის სამხედრო სამართლის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მოთხოვნას, ლეგიონერებს ზედმიწევნით ცოდნოდათ ომის წესები. ამისათვის ისინი, წვრთნასთან ერთად, თეორიულ ინფორმაციას ღებულობდნენ.[1]

არ არსებობს იურიდიული ან ნორმატიული წყარო, რომელშიც სრულად იქნებოდა დამუშავებული იურიდიული მრჩევლების ფუნქციონალური მოვალეობები, მაგრამ სასწავლო და სპეციალურ ლიტერატურაში მოცემულია მათი ძირითადი მიმართულებები.

1. მშვიდობიანობის დროს:
   - სჰს-ის ნორმათა შესწავლა და მათი პროპაგანდა სამხედრო მართვის ორგანოებში, შენაერთებში და სხვა სტრუქტურებში;
   - პირად შემადგენლობაში ნორმატიული წყაროების, სჰს-ის ნორმათა ცალკეული დებულებების გავრცელება სამხედრო მოსამსახურეთა თანამდებობრივი მდგომარეობის შესაბამისად;

---

[1] გ. ლობჟანიძე, რომის სახელმწიფო და სამართალი, წ.I, 2009წ. გვ258.

- სამსახურის ადგილის მიხედვით, შესაბამის სამხედრო-საორგანიზაციო სტრუქტურებში მეცადინეობების ჩატარება სჰს-ში საერთო სახელმწიფოებრივი მომზადების სისტემაში;
- მონაწილეობა თემატური პროგრამების დამუშავებაში; სამხედრო სასწავლო დაწესებულებებში საგნის — „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი“ — შესასწავლად; აგრეთვე, მის შესასწავლად საერთო-სახელმწიფოებრივი მოქმედების სისტემაში;
- სჰს-ის იმ ნორმათა სისტემატიზაცია, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ჯარებს, რომლის შტატშიც შედის იურიდიული მრჩეველი;
- -სჰს-ის ნორმათა მოთხოვნების გათვალისწინება მთავრობის გადაწყვეტილებებისა და საკანონმდებლო აქტების არგუმენტების, ინსტრუქციების, დებულებების, წესდებების და ა.შ. დამუშავებისას;
- სჰს-ის გამოსაყენებლად სახელმძღვანელოების, მეთოდური ლიტერატურის დამუშავება მშვიდობიანობის დროს და შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში;
- სამხედრო-საშტაბო და ოპერატიულ-ტაქტიკური წვრთნების, საქმიანი თამაშების, ტაქტიკური მეცადინეობების ორგანიზაციასა და ჩატარებაში მონაწილეობის მიღება სჰს-ის ნორმების გამოყენების მეთოდიკის დამუშავების მიზნით; ამ ღონისძიებათა პროცესში მეთაურთა (უფროსების) კონსულტირება ჰუმანიტარულ საკითხებზე;
- იურიდიული კონტროლის განხორციელება იმაზე, თუ როგორ შეესაბამება საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს ქვეყნის კანონმდებლობის მეთაურთა (უფროსების) მიერ გამოცემული ბრძანებების (დირექტივების) პროექტები.

2. ომის დროს:
- მეთაურთა კონსულტაციები სჰს-ის ნორმათა შესრულების საკითხებზე; მათ გამოყენებაზე საომარი მოქმედებების წარმოების პერიოდში;
- მონაწილეობა იმ ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებაში, რომლებიც განსაზღვრავენ შესაბამისი ქვედა-

ნაყოფების, შენაერთების, ნაწილების საბრძოლო გამოყენების წესს სჰს-ის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

- მეომარ მხარეთა და ნეიტრალურ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების შეზუშავებასა და დადებაში მონაწილეობა გულისხმობს პასუხისმგებლობას ნეიტრალური სახელმწიფოს ტერიტორიაზე არ მოხდეს სამხედრო ტყვეების ბანაკების იმიტირება სამხედრო მოქმედებების შეწყვეტამდე; პასუხისმგებლობა სანიტარული მფრინავი აპარატების ფრენების უსაფრთხოებაზე; დემილიტარიზებული ზონების სტატუსით გათვალისწინებული; ბრძოლის ველზე დაჭრილებისა და ავადმყოფების მოძიების მიზნით ცეცხლის შეწყვეტის შესრულება; იმ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, რომელთაც სპს-ის სერიოზული დარღვევები ჩაიდინეს და ა.შ.
- მეთაურების კონსულტირება იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში პირთა დაკავებასთან, მათი სტატუსის დადგენასთან;
- მონაწილეობა მეთაურებთან კონტაქტების დამყარებაში; საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან (როგორც არასამთავრობო, ისე მთავრობათაშორის) მოლაპარაკებების წარმოებაში;
- იმ ხელშეკრულებების პროექტის განხილვა, რომლებიც დაკავშირებულია ჯარების (ძალების) სურსათით, სამრეწველო საქონლით მომარაგებასა და არენდასთან მათი ყოფნის სახელმწიფოში;
- მათი ყოფნის სახელმწიფოში მიყენებულ ზარალთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;
- მეთაურის (უფროსის) მითითების საფუძველზე სამოქალაქო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან; ასევე, ურთიერთქმედება სამედიცინო დაწესებულებებთან;
- სამხედრო მომსახურეთა მიერ სჰს-ის დარღვევათა განზოგადება და მეთაურებისათვის (უფროსებისათვის) რეკომენდაციების შემუშავება მათ აღმოსაფხვრელად; ღონისძიებების გატარება პირადი შემადგენლობის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან ასაცილებლად;

- ნორმატიული წყაროების, ინსტრუქციების, სამახსოვროების და სხვა მასალების გავრცელება იმ მიზნით, რომ ყველა კატეგორიის სამხედრო მოსამსახურეებმა შეისწავლონ სჰს, რათა თავიდან იქნას აცილებული პუმანიტარული ნორმების დარღვევის ფაქტები;
- სამხედრო ტყვეების, ინტერნირებულ პირთა კონსულტირება იმ საკითხებზე, რომლებსაც მათი სამართლებრივი სტატუსის უზრუნველყოფა შეეძლოთ.

მეთაურებისა (უფროსების) და სამხედრო იურისტების იურიდიულ მრჩეველთა ზუსტი და აწყობილი მოქმედება მშვიდობიანობის დროს და შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში, ხელს უწყობს შეიარაღებული ძალების წინაშე მდგარი ამოცანების ეფექტურ შესრულებას. სამოქალაქო მოსახლეობის, კონფლიქტების კანონიერი მონაწილეების დაცვის უზრუნველყოფას, სჰს-ის ნორმათა დარღვევის აღკვეთას. ეს პროცესი შეიარაღებულ ძალებში მშვიდობიანობის პერიოდში უნდა იწყებოდეს. ამის გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შექმნილია იურიდიული დეპარტამენტი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მარტო დოკუმენტაციის იურიდიულად სწორ გაფორმებაში, არამედ, აქტიურად ეხმარება სამხედრო აკადემიას კურსანტთა და მეთაურთა შემადგენლობის მომზადებაში სამართლებრივი კუთხითაც.

§4. სამედიცინო პერსონალისა და სასულიერო პირთა სამართლებრივი მდგომარეობა

ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების დამატებითი ოქმი შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ განმარტავს, რომ „სამედიცინო პერსონალი" აღნიშნავს კონფლიქტის მონაწილე მხარის მიერ და კანონში მითითებული სამედიცინო მიზნების აღსრულებისათვის, სამედიცინო ფორმირებების, ადმინისტრაციულ-სამედიცინო უზრუნველყოფისათვის ან სამედიცინო-სატრანსპორტო საშუალებებში სამუშაოდ და მათი ადმინისტრაციულ-სამეურნეო უზრუნველყოფისათვის შერ-

ჩეული პირების დანიშვნას, რომელიც შეიძლება იყოს მუდმივი ან დროებითი.[1]

აღნიშნულიდან ჩანს, რომ ცნება „სამედიცინო პერსონალი“ მოიცავს პირებს, რომლებიც შედიან სამედიცინო ფორმირებების შემადგენლობაში და მეომარი მხარის მიერ დანიშნულნი არიან მხოლოდ სამედიცინო მიზნების შესასრულებლად: დაჭრილთა, ავადმყოფთა მოსაძებნად, აგრეთვე ხომალდთა კატასტროფის მსხვერპლთა მოძებნა-დახმარებისათვის, დაავადებათა პროფილაქტიკისათვის საჭირო ღონისძიების ჩასატარებლად, აგრეთვე, სამედიცინო ფორმირებების, სანიტარული, სატრანსპორტო საშუალებათა და მათი ტექნიკური მომსახურებისათვის (I დამატებითი ოქმის მუხ 8).

ფართო გაგებით, ტერმინი „სამედიცინო პერსონალი“ გულისხმობს როგორც პროფესიონალ ექიმებს, მედდებს, ისე, ადმინისტრაციულ და სამეურნეო მუშაკებს, მძღოლებსა და სხვ. ვინც ზოგადად არის დაკავშირებული სფეროსთან. „სამედიცინო პერსონალის“ პირები კონფლიქტებში მყოფი მხარეების მიერ ინიშნებიან მუდმივ ან დროებით საფუძველზე. „სამედიცინო პერსონალი“ თავის საქმიანობას დროებით ახორციელებს მხოლოდ გარკვეული დროის მონაკვეთში მუდმივი პერსონალისაგან განსხვავებით, რომელიც შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში შედის.

კონვენციის 24-ე მუხლის შესაბამისად, სამედიცინო პერსონალში მოიაზრება ის პერსონალი, რომელიც დაჭრილთა და ავადმყოფთა მოძიების, შეგროვების, გადაყვანის ან მკურნალობის, ასევე, დაავადების თავიდან აცილების განსაკუთრებულ ფუნქციებს ასრულებს; აგრეთვე პერსონალი, რომელსაც გააჩნია სამედიცინო ფორმირებებისა და დაწესებულებების მართვის განსაკუთრებული დანიშნულება, ისევე, როგორც შეიარაღებულ ძალებს მიკუთვნებული სასულიერო პირები, ყველა გარემოებაში პატივისცემითა და დაცვით სარგებლობს.[2]

„სამედიცინო პერსონალი“ შეიძლება იყოს სამხედრო ან სამოქალაქო. მაგრამ, სახელდობრ, დანიშნული სამოქალაქო

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ. 80.

[2] იქვე. გვ. 17-18.

პერსონალი (მეომარი მხარისა) სარგებლობს სჰს-ის დაცვით მისი შრომის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. მაგალითად, სამოქალაქო ექიმი, რომლიც პროფესიულ მოვალეობას ასრულებს შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში და არ აქვს თავისი სახელმწიფოს დანიშნულება ამ საქმიანობაზე, ვერ ხვდება ცნების „სამედიცინო პერსონალი“ ქვეშ სჰს-ის აზრობრივი შინაარსით. იგულისხმება, რომ დანიშვნის წესი უნდა შეესაბამებოდეს იმ სახელმწიფოს შინაგან კანონმდებლობას, რომელიც ასეთ დანიშვნას ახორციელებს. ეს იმით აიხსნება, რომ სამედიცინო პერსონალი შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობს და რაკი მეომარი სახელმწიფო პასუხისმგებელია ამ კატეგორიისათვის მიკუთვნებული პირების ნებისმიერი ქმედებისათვის, იგი, ასევე ახორციელებს სათანადო კონტროლს მათ საქმიანობაზე. მაგალითად, სახელმწიფო ორგანოები არ უშვებენ იმას, რომ სამედიცინო პერსონალი დაკავებული იყოს კომერციული ან სხვა საქმიანობით. ეს შეუთავსებელია მის დანიშნულებასთან.

სამედიცინო ფორმირებების პირად შემადგენლობასთან თავისი უფლებებით გათანაბრებულია ნებაყოფლობით საზოგადოებათა პირადი შემადგენლობა, სპეციალურად გაწვრთნილი კონტინგენტი, რომელსაც აუცილებლობის შემთხვევაში, იყენებენ, როგორც დამხმარე სანიტრებს ან დამხმარე პერსონალს დაჭრილების, ავადმყოფების და ა.შ. დაძებნის, გადაყვანის, მკურნალობისათვის, რომელსაც თავისი სახელმწიფოს მიერ მოცემული აქვს ასეთი უფლებამოსილება; აგრეთვე, წითელი ჯვრის ნაციონალური საზოგადოებები და სხვა მსგავსი ნებაყოფლობითი გაერთიანებები.

სამედიცინო პერსონალის შემადგენლობაში შეიძლება წარმოდგენილი იყვნენ უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეები, რომლებიც არ ითვლებიან მხარეებად კონფლიქტში. ისინი თავიანთ პროფესიულ მოვალეობებს ასრულებენ საკუთარი მთავრობის განკარგულებით. გარდა ამისა, სამედიცინო პერსონალის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნან არამეომარი სახელმწიფოების წითელი ჯვრის ან წითელი ნახევარმთვარის ეროვნული საზოგადოების წარმომადგენლები. ისინი, როგორც

წესი, მუშაობენ საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის ხელმძღვანელობით.

სამედიცინო პერსონალის სამართლებრივი სტატუსი შეიცავს სჰს-ით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს და პასუხისმგებლობას მისი ნორმების დარღვევისათვის. სამართლებრივი სტატუსის დადგენის ძირითადი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ სამედიცინო პერსონალს შეეძლოს შეასრულოს მასზე დაკისრებული ჰუმანური ამოცანები შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში. შეიარაღებულ ძალებში შემავალი სამედიცინო პერსონალი სჰს-ის დაცვის ქვეშ იმყოფება

მათი შემპყრობი სახელმწიფოს სამხედრო კანონების და განკარგულებების ჩარჩოებში და შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების ხელმძღვანელობით, აგრეთვე, პროფესიული ეთიკის შესაბამისად, ისინი განაგრძობენ თავიანთი სამედიცინო მოვალეობების შესრულებას სამხედრო ტყვეების ინტერესებში, უპირატესად იმ შეიარაღებული ძალების შემადგენლობიდან, რომელსაც თვითონ მიეკუთვნებიან.

სამედიცინო პერსონალის ძირითად მოვალეობად ითვლება:

- -სჰს-ის ნორმათა მკაცრი დაცვა;
- ჰუმანური მოპყრობა ომის მსხვერპლთა მიმართ (არ განახორციელონ ამ კატეგორიის მიმართ მათი ჯანმრთელობისათვის საშიში პროცედურები, ცდები, ექსპერიმენტები, პატივი სცენ მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ ხელშეუხებლობას);
- სამედიცინო დახმარების გაწევა ავადმყოფების, დაჭრილების, სამხედრო ტყვეებისათვის (ასეთი დახმარების გაუწევლობა სამედიცინო პერსონალის პირების მიერ ითვლება სპს-ის ნორმების დარღვევად);
- სამედიცინო ეთიკის პრინციპების განუხრელი დაცვა (I ოქმის მუხ. 16; II ოქმის მუხ. 10)[1] „ჰიპოკრატეს ფიცის"[2] და „სამედიცინო ეთიკის საერთაშორისო კოდექსში", მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მიერ ჩამოყალი-

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ. 16-17.

[2] ჰიპოკრატე – ბერძენი ფილოსოფოსი, მედიცინის მამა (460-380 ძვ.წ.აღ).

ბებული წესების დაცვა, ე.ი. პროფესიული მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულება; უმთავრეს საზრუნავად დაჭრილის, ავადმყოფის ჯანმრთელობის ჩათვლა; მინდობილი საიდუმლოს გაუთქმელობა, ადამიანის სიცოცხლის ფასის პატივისცემა; არ გამოიყენოს სამედიცინო ცოდნა ადამიანურობის წინააღმდეგ; თავისი მოვალეობის შესრულებისას არ დაუშვას არავითარი რელიგიური, ეროვნული, რასობრივი, პოლიტიკური ან სოციალური დისკრიმინაცია, სიცოცხლის მოსპობის მუქარითაც კი; არ გამოიყენოს სამედიცინო ცოდნა ადამიანურობის კანონების წინააღმდეგ;

- სამხედრო პერიოდისათვის სამედიცინო ეთიკის, დაჭრილებისა და ავადმყოფებისათვის დახმარების აღმოჩენის წესების შესრულება მოწონებულია 1957 წელს საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის, სამხედრო მედიცინის, ფარმაციისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ და დამტკიცებულია მსოფლიოს სამედიცინო ასოციაციის მიერ;
- ჰუმანური მოპყრობა რაიმე განსხვავების გარეშე იმ პირებთან, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში ან გამოვიდნენ მწყობრიდან;
- რაიმე ისეთი სამედიცინო პროცედურის დაუშვებლობა, რომელიც არ არის აუცილებელი მფარველობის ქვეშ მყოფი პირების ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე; აგრეთვე, სამედიცინო, სამეცნიერო ან სხვა ცდების ჩატარება მათ მიმართ;
- პაციენტის თანხმობის მიღება (თუ მას ამის გაკეთება შეუძლია) მკურნალობაზე, ქირურგიულ ჩარევაზე, რომელიც მისი სიცოცხლისათვის რისკთან არის დაკავშირებული.

სამედიცინო პერსონალის მიერ თავიანთი პროფესიული მოვალეობების დარღვევა, აგრეთვე მათ მიერ სჰს-ის ნორმების სერიოზული ან სხვაგვარი დარღვევა იწვევს დისციპლინურ ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

„სამედიცინო პერსონალის" გარდა, კონვენცია იყენებს ცნებას „სამედიცინო ფორმირებები", რაც გულისხმობს მხოლოდ სამედიცინო მიზნით, კერძოდ, დაჭრილთა, ავადმყოფთა და ხომალდის კატასტროფაში მოყოლილ პირთა მოძიების, თავმოყრის, ტრანსპორტირების, მათთვის დიაგნოზის დასმის ან დავადებათა პროფილაქტიკისათვის შექმნილ დაწესებულებებს. ტერმინი მოიცავს ჰოსპიტალებს, სხვა მსგავს სამედიცინო ფორმირებებსა და ინსტიტუტებს, სამედიცინო სადგურებს, სამედიცინო და ფარმაკოლოგიურ საწარმოებს. სამედიცინო ფორმირებები შეიძლება იყოს სტაციონარული, ანდა დროებითი, ხოლო, ტერმინი „სამედიცინო გადაზიდვა" გულისხმობს ხმელეთით, წყლით ან საჰაერო გზით დაჭრილთა, ავადმყოფთა და ხომალდის კატასტროფაში მოყოლილ პირთა კონვენციებისა და ოქმის დაცვის ქვეშ მყოფ სამედიცინო და სასულიერო პირთა გადაყვანას, სამედიცინო აღჭურვილობისა და ბარგის გადატანას.[1]

სჰს-ის ნორმები (მუხ. 24, 28 I კონვენციისა; მუხ. 36 II კონვენციისა; მუხ. 33 III კონვენციისა, მუხ. 9 II ოქმისა) უზრუნველყოფენ სასულიერო პირთა დაცვას. „სასულიერო პერსონალი" გულისხმობს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირებს, რომლებიც მხოლოდ სასულიერო ფუნქციების აღსრულებით არიან დაკავებული და მიეკუთვნებიან: კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შეიარაღებულ ძალებთან, კონფლიქტის მონაწილე მხარის სამედიცინო ფორმირებებთან ან სამედიცინო სატრანსპორტო საშუალებებთან, კონფლიქტის აქტის მონაწილე მხარის სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციებთან,[2] ე.ი. სასულიერო პერსონალია, რომელსაც მიეკუთვნება როგორც სამხედრო (სამხედრო მღვდლები), ისე სამოქალაქო პირები. სასულიერო პერსონალი ასრულებს მხოლოდ სასულიერო ფუნქციებს და შეიძლება იყოს მუდმივი (როდესაც შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში დროებით იმყოფება) და ე.ი. ფუნქციონირებს შეიარაღებულ ძალებთან, სამედიცინო

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ. 82.
[2] იქვე. გვ. 81.

ფორმირებებთან, სატრანსპორტო ან სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციებთან.

თუ სასულიერო პერსონალის წარმომადგენლები ხვდებიან მოწინააღმდეგე მხარის კონტროლქვეშ, შეიძლება მხოლოდ იმ დოზით იყვნენ დაკავებულნი, რომელსაც ამას სამხედრო ტყვეების სასულიერო მოთხოვნილებები და რიცხობრიობა მოითხოვს. სასულიერო პერსონალის პირები დაკავებისას არ შეიძლება განხილულ იქნან როგორც სამხედრო ტყვეები, მაგრამ სარგებლობენ, სულ მცირე, იმ უპირატესობით, რომლებიც გარანტირებულია კონვენციით სამხედრო ტყვეების შესახებ.

მათ შესაძლო დახმარებას უწევენ სასულიერო მოვალეობების განხორციელებისას, და არ უნდა აიძულონ ისინი, შეასრულონ მათ ჰუმანიტარულ მისიასთან შეუთავსებელი ამოცანები. მეომარი მხარეები, რომელთა ცონტროლქვეშაც მითითებული პირები იმყოფებიან, ნებას რთავენ მათ, ეწვიონ სამხედრო ტყვეებს მუშათა რაზმებში, ჰოსპიტლებში, რომლებიც ბანაკებს გარეთ არიან განლაგებული.

თავი VI

ომის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვა

§1. ცნება „ომის მსხვერპლი“ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში

ჟენევის 1864 წლის 22 აგვისტოს კონვენციით „სახმელეთო ომების დროს დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ”, სამართლებრივი საფუძველი ჩაეყარა საჯარისო სამედიცინო ფორმირების მოქმედებებს ბრძოლის ველზე.[1]

ტერმინი „მსხვერპლი“ შეესაბამება ისეთ ადამიანს, რომელიც კრიმინალის ან უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალდა. მსხვერპლის ნება ასევე გულისხმობს მის იდენტურობას, გრძნობებს (თვითპატივისცემა, ნდობა, ღირსება, დეპრესია, შეურაცხყოფა, ტკივილი და თავდაჯერების დაკარგვა) და ბოლოს სურვილს, იპოვოს სამართალი, სოციალური აღიარება, დახმარება საზოგადოებრივ შეხედულებებზე გავლენის მოხდენა და დამნაშავეთა გამოაშკარავება.[2]

ომის მსხვერპლის ცნებაში თეორიულად მოიაზრება ყველა ის ადამიანი, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში რაიმე ფორმით დაზარალდება. რაც შეეხება ტერმინს – „ომის მსხვერპლი“ – იგი პირველად იქნა შემოტანილი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასა და პრაქტიკაში 1949 წლის აპრილში ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ კონვენციის დამუშავების პროცესში, რომელიც მიღებულ იქნა ჟენევის დიპლომატიურ კონფერენციაზე 1949 წლის 12 აგვისტოს. ასევე შემდგომში, მომდევნო დიპლომატიური კონფერენციის მუშაობის პროცესში, რომელიც ეხებოდა სჰს-ის განვითარების საკითხებს, შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში, რომლებიც მიღებული იქნა 1974-1977წწ I და II დამატებითი ოქმების სახით, რო-

---

[1] shabtai Rosenne <<Codification of international Law", Bernare (et) Eneyclopedia of Public internacional Law Vol (1992) p.632.

[2] International Review of the Red Cross, "War victims", Volume 91 Number 874 March 2009(ICRC), p.261.

მელთა სრულ დასახელებაში ასევე გამოიყენება ეს ტერმინი. ე.ი. ომის მსხვერპლად ითვლებიან მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობა, სამხედრო ტყვეები, დაჭრილები, ავადმყოფები, საზღვაო კატასტროფასა და შეიარაღებულ კონფლიქტში მოხვედრილი პირები. მათი სამართლებრივი მდგომარეობა რეგულირდება „ომის მსხვერპლთა შესახებ" არსებული ჟენევის 1949 წლის კონვენციებით (ოთხივე კონვენცია) და 1977 წლის დამატებითი ოქმებით.

ასევე, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი იცნობს ტერმინს „უმწეო", უმწეო - მეომარი სახელმწიფოს მოქალაქეები, რომლებმაც შეწყვიტეს ბრძოლა ჭრილობათა გამო, მოჰყვნენ ხომალდის კატასტროფაში ან ნებით დაყარეს იარაღი. ასევე პირნი, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარის ხელში იმყოფებიან, განსაკუთრებით მათი ტერიტორიის სამხედრო ოკუპაციის პერიოდში.[1]

უფრო დაწვრილებით ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ. ჟენევის ოთხი კონვენციის დასახელებიდან გამომდინარე, არ არის ძნელი მისახვედრი, თუ ვინ ითვლება მათი დაცვის ობიექტად:

ა) დაჭრილები და ავადმყოფები მოქმედ არმიაში (კონვენცია I);
ბ) დაჭრილები, ავადმყოფები, საზღვაო კატასტროფაგამოვლილები, საზღვაო შეიარაღებული ძალების შემადგენლობიდან (კონვენვია II);
გ) სამხედრო ტყვეები (კონვენცია III);
დ) სამოქალაქო მოსახლეობა (კონვენცია IV).

I დამატებით ოქმში იხსნება ამ ცნების შინაარსი. კერძოდ, დაჭრილები და ავადმყოფები. ესენი არიან როგორც სამხედრო მოსამსახურე, ისე სამოქალაქო პირები, რომლებიც ტრამვის, ავადმყოფობის ან სხვა ფიზიკური თუ ფსიქიკური მოშლილობის ან ინვალიდობის შედეგად საჭიროებენ სამედიცინო დახმარებას ან მოვლას და რომლებიც თავს იკავებენ ნებისმიერი მტრული მოქმედებისაგან. იმ პირთა წრეში, რომლებსაც ეს ცნება მოიცავს, შედიან, ასევე, მშობიარეები, ახალშობილნი და ის პირები, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო დახმარებას ან მოვლას,

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ. 2005წ. გვ. 365.

მაგალითად. ორსული ქალები ან უსუსურნი, რომლებიც თავს იკავებენ ნებისმიერი მტრული მოქმედებისაგან.

უმთავრესი ნორმები ომის მსხვერპლთა შესახებ ჟენევის კონვენციების მე-3 მუხლში უნდა ვეძებოთ, რომელიც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის, როგორც წყაროს, შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ჰ. გასერის აზრით, II დამატებით ოქმს რაიმე ძირეული ცვლილება არ შემოაქვს, იგი აღნიშნულ ვალდებულებებს მათი დაკონკრეტების გზით ავითარებს.[1] სამაგიეროდ, მისი დებულებები მხოლოდ იმ სახელმწიფოებისთვისაა სავალდებულო, რომლებიც „დამატებითი ოქმით არიან შებოჭილნი. აქედან გამომდინარე, ის პირები, რომლებიც ხომალდის კატასტროფაში მოყვნენ, მიეკუთვნებიან როგორც სამხედრო მოსამსახურეებს, ისე სამოქალაქო პირებს, რომლებიც ექვემდებარებიან საფრთხეს ზღვაში ან სხვა წყლებში იმ უბედურების შედეგად, რომელიც ან მათ გადახდათ თავს, ან მათ გადამყვან გემს ან საფრენ აპარატს და რომლებიც თავს იკავებენ ნებისმიერი მტრული მოქმედებისაგან. ისინი ითვლებიან ხომალდის კატასტროფის გადამტან პირებად მათი გადარჩენის დროს, მანამ, სანამ ისინი არ მიიღებენ სხვა სტატუსს ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ არსებული კონვენციების ან I ოქმის შესაბამისად იმ პირობით, რომ ისინი აგრძელებენ თავის შეკავებას ნებისმიერი მტრული მოქმედებისაგან“ (მუხ. 8).

სამხედრო ტყვე. სჰს-ს ამ ტერმინით აღინიშნება მტრის ხელში ჩავარდნილი პირი, რომელიც მეორე მხარის შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნის. ს/ტ ითვლებიან: შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში შემავალი პირები, პარტიზანები, მოხალისეთა რაზმები, არაკომბატანტები, წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები, რომლებიც კონფლიქტის მონაწილე ამა თუ იმ მხარეს იბრძოდნენ, ჰყავთ ხელმძღვანელი, რომელიც პასუხს აგებს მის დაქვემდებარებაში მყოფ პირებზე, ღიად ატარებენ იარაღს, აქვთ შორ მანძილზე გასარჩევი განმასხვავებელი ნიშანი, ან საკუთარი ფორმა და იცავენ ომის კანონებსა და ჩვეულებებს. საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებში

---

[1] ჰანს-პეტერ გასერი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (შესავალი), თბ. 1999წ. გვ. 19-22.

მონაწილეები ტყვედ ჩავარდნისას ხვდებიან დამტყვევებელი სახელმწიფოს ხელში, ხოლო, არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილენი კი, მეომარი მხარის პასუხისმგებელი მეთაურის ხელში.[1] ე.ი. საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში სამხედრო ტყვედ ითვლება პირი, რომელიც მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში და მოხვდა მოწინააღმდეგე მხარის ხელში, თუ მას აქვს უფლება სამხედრო ტყვის სტატუსზე ან აქვს ასეთი პრეტენზია. ან, თუ მხარე, რომელზედაც ის არის დამოკიდებული, მოითხოვს მისთვის ასეთ სტატუსს. იმ შემთხვევაში, თუ ჩნდება რაიმე ეჭვი ასეთი პირის სამართლებრივი მდგომარეობის მიმართ, ის უნდა იქნას აღიარებული სამხედრო ტყვედ და უფლება აქვს, დაიცვას საკუთარი სტატუსი სასამართლოში (მუხ. 45 დამატებითი ოქმისა). რაც შეეხება არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტს, II დამატებით ოქმში არ არის ცნება „სამხედრო ტყვე“.

სამხედრო პირები და ჯართან მყოფი სხვა ოფიციალური პირები, რომლებიც რჩებიან მტრის დაკავებულ ტერიტორიაზე დაჭრის ან ავადმყოფობის გამო, უნდა სარგებლობდნენ ყოველგვარი მოვლითა და დაცვით. კომბატანტები და არაკომბატანტები ამ შემთხვევაში დაექვემდებარებიან სამხედრო ტყვეთა რეჟიმს. ყველა დაჭრილი და ავადმყოფი, მიუხედავად მისი რასისა, სქესისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და პოლიტიკური შეხედულებებისა, უნდა სარგებლობდნენ ჯეროვანი სამედიცინო მომსახურებით.[2]

თუმცა გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: როდესაც მოწინააღმდეგის ხელში ხვდება პირი, რომელიც სამხედრო ტყვის სახით არ არის დაკავებული და რომელიც სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეს საომარი მოქმედებების დროს ჩადენილი სამართალდარღვევისათვის, მას უფლება აქვს, სასამართლო წესით მოითხოვოს მისთვის სამხედრო ტყვის სტატუსის მინიჭება და აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების გამოტანა. ასევე, ნებისმიერ პირს, რომელიც სამხედრო მოქმედებაში

---

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ. 2003წ.

[2] ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2010წ. გვ.373.

მონაწილეობდა, რომელსაც არა აქვს სამხედრო ტყვის სტატუსის ფლობის უფლება და მეოთხე კონვენციის შესაბამისად, უფრო ხელსაყრელი მოპყრობით არ სარგებლობს და ყველა შემთხვევაში აქვს I დამატებითი ოქმის 75-ე მუხლით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობის უფლება.[1]

შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის გარდა, III კონვენციაში ჩამოთვლილია პირთა სხვა კატეგორიებიც, რომელთაც იგივე სტატუსი აქვთ. პირველ რიგში ესენი არიან წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები, რომლებიც კონფლიქტებში მონაწილე მხარეს ეკუთვნიან და შემდეგ ოთხ პირობას აკმაყოფილებენ: ჰყავთ ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია მის დაქვემდებარებაში მყოფ პირებზე, აქვთ გარკვეული და შორ მანძილზე გასარჩევი განმასხვავებელი ნიშანი, აშკარად ატარებენ იარაღს, იცავენ ომის კანონებსა და წესებს.[2]

ამ დროს, ყოველდღიურ ცხოვრებაში ცნება – „სამხედრო ტყვე", ფართოდ გამოიყენება მაშინაც, როცა საუბარია შიდა შეიარაღებულ კონფლიქტებზე. მეორე მხრივ, ის, უწინარეს ყოვლისა, ასოცირდება უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირთან. თავის სახელმწიფოს მოქალაქეობასთან კუთვნილების მიხედვით ანსხვავებენ ასევე, იძულებით გადაადგილებულებს და ლტოლვილებს. II ოქმში საუბარია იმ პირებზე, რომლებმაც თავისუფლება დაკარგეს შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზებით, დამოუკიდებლად იმისა, ინტერნირებულნი არიან ისინი თუ დაკავებულნი (მუხ 2, პ.2; მუხ.5). ნიშნავს თუ არა ეს, რომ შიდა კონფლიქტის მონაწილე პირს არ შეუძლია პრეტენზია ჰქონდეს სამხედრო ტყვის სტატუსზე?

მკვლევართა აზრით, პასუხი დადებითი უნდა იყოს. იურიდიული თვალსაზრისით, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში არ მოიპოვება დოკუმენტები, რომლებიც შიდა შეიარაღებული კონფლიქტების მონაწილეებს, რომლებიც აღმოჩნდნენ ტყვედ აყვანილები, უფრო სწორად, მოწინააღმდეგე მხარის დაკავებულნი, განიხილავდა როგორც სამხედრო

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ.113-114.

[2] III კონვენცია, მუხ. 4 (2).

ტყვეებს.[1] II დამატებით ოქმში, რომელიც შიდა შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში გამოიყენება, არ არის იმის მსგავსი მითითება, როგორსაც I ოქმი შეიცავს იმ ნაწილში, რომელიც ეხება სხვადასხვა ეჭვის სასამართლოს წესით გარკვევას იმასთან დაკავშირებით, მიეკუთვნება თუ არა ესა თუ ის პირი სამხედრო ტყვეებს. ამის გათვალისწინებით, არ არსებობს ფორმალური საფუძველი სამხედრო ტყვის სტატუსის გამოყენებისათვის იმ პირთა დაკავების შემთხვევაში, რომლებიც მონაწილეობდნენ შიდა შეიარაღებულ კონფლიქტში.

ცნება „სამოქალაქო მოსახლეობა" მოიცავს იმ სამოქალაქო პირებს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან შეიარაღებული კონფლიქტების კანონიერ მონაწილეთა არცერთ კატეგორიას, რომლებიც საომარ მოქმედებებში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ. სამოქალაქო მოსახლეობას შორის იმ ცალკეულ პირთა ყოფნა, რომლებიც ვერ ხვდებიან სამოქალაქო პირთა განსაზღვრებაში, არ ცვლის ამ მოსახლეობის სამოქალაქო ხასიათს.[2]

სჰს განმარტავს „ომის მსხვერპლის" ცნების შინაარსს. აგრეთვე, დეტალურად განსაზღვრავს მის სამართლებრივ სტატუსს. იგი შეიცავს კონკრეტულ სამართლებრივ ნორმებს ამ კატეგორიის პირთა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფისათვის მეომარი მხარეების (სახელმწიფოების) მიერ, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

---

[1] Chistiane Shiela-Delesserti, Release Repatriatriation of Prisoners of war of the End of Active Hostilites, Zuruch 1977.

[2] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ.113-119.

§2. დაჭრილების, ავადმყოფების, უგზო-უკვლოდ დაკარგულების და ხომალდის კატასტროფაში მოხვედრილი პირების სამართლებრივი მდგომარეობა

ჰუმანიტარული სამართლებრივი ნორმები, რომლებიც დაჭრილების, ავადმყოფებისა და ხომალდის კატასტროფაში მოყოლილი პირების სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს, მოცემულია ჟენევის კონვენციებში „მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ", „საზღვაო შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი დაჭრილების, ავადმყოფების და ხომალდის კატასტროფაში მოყოლილ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ", IV კონვენციაში „ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ" და 1977 წლის დამატებითი ოქმის მე-2 ნაწილში.

საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში თავიდანვე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ხომალდის კატასტროფაში მოყოლილ პირთა სამართლებრივმა მდგომარეობამ, რამაც ასახვა ჰპოვა მნიშვნელოვან დოკუმენტებში. ეს კონვენციები წარმოადგენს ადრე (1906 და 1929წწ) მიღებული ჟენევის კონვენციის გადასინჯვის, აგრეთვე ამ საკითხებზე 1907 წლის 18 ოქტომბერს მიღებული ჰააგის კონვენციის გადახედვის შედეგს.

ჰანს –პეტერ განსერი სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს „უგზო-უკვლოდ დაკარგულთა" საკითხს. მისი აზრით, „ყველამ კარგად იცის, რამდენად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი გაჭირვების დროს, ახლო ნათესავებისა და ამბის გაგება მეგობრების შესახებ. მაგრამ ამის სრულფასოვნად გათავისება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ეს საკუთარ თავზე განუცდია. ამიტომ, დამატებითი ოქმის 32-ე მუხლით განსაზღვრულია ოჯახის უფლება, ინფორმირებული იყოს ნათესავის ბედის შესახებ."[1]

კანონმდებლობა ავალდებულებს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს, როგორც კი ამის შესაძლებლობა იქნება, უნდა მოიძებნოს დაჭრილები და გარდაცვლილები. კონფლიქტში

---

[1] ჰანს-პეტერ გასერი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (შესავალი), თბ. 1999წ. გვ.69.

მონაწილე ყველა მხარის განსაკუთრებული ვალდებულებაა უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ძებნა.[1] ინფორმაციის მოძიებას უნდა ახორციელებდეს ცნობათა ბიურო, მოთხოვნები ძებნილთა შესახებ და მოთხოვნის პასუხი კონფლიქტში მონაწილე მხარეებს გადაეცემა წ.ჯ.ს.კ-ის ცენტრალური სამძებრო სააგენტოს მეშვეობით, რომელიც ამასთანავე მთელი ინფორმაციის შენახვასაც უზრუნველყოფს.[2]

მტრის ხელში მოხვედრილი ამ კატეგორიის პირები განიხილებიან როგორც სამხედრო ტყვეები და მათ მიმართ გამოიყენება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები, რომლებიც სამხედრო ტყვეებს ეხება.

კანონმდებლობა მეომარ მხარეებს ავალდებულებს, რომ ყოველ შემთხვევაში, როცა გარემოებები ამის შესაძლებლობას იძლევა, განსაკუთრებით კი ბრძოლის შემდეგ, მიღებული უნდა იყოს ყველა შესაძლო ზომა, რათა მოიძებნოს და შეგროვდეს დაჭრილები, ავადმყოფები, ხომალდის კატასტროფაში მოყოლილი პირები. ისინი დაცული უნდა იყვნენ ძარცვისა და ცუდად მოპყრობისაგან. უზრუნველყოფილი იყოს მათი მოვლა.[3]

საკითხის გარკვევისათვის საჭიროდ მიგვაჩნია იმ ჩამონათვალთა დაკონკრეტება, რაც ომის მსხვერპლთა მიმართ, აგრეთვე, გათვლილია იმ პირებისადმი, რომლებიც მათთან არიან გათანაბრებული სამართლებრივი მდგომარეობით და იკრძალება შემდეგი ქმედებები მათ მიმართ:

სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფა. კერძოდ, ნებისმიერი სახის მკვლელობა, დასახიჩრება, სასტიკი მოპყრობა, წამება, ტანჯვა, ადამიანური ღირსების შელახვა, მძევლად აყვანა, კოლექტიური დასჯა, ნებისმიერი ჩამოთვლილი ქმედების გამოყენების მუქარა, სამედიცინო ან სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება, სამართალწარმოების უფლების ჩამორთმევა, აპარტეიდის პრაქტიკის გამოყენება და სხვა არაჰუმანური და დამამცირებელი მოქმედებები, რომლებიც შეურაცხყოფენ

---

[1] I ოქმი, მუხ. 33.

[2] Gradimir Djvrovis The Central Tracing of the internotionat Commitceos the Red Cross, Geneva, 1986

[3] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ. 179.

ადამიანის ღირსებას. ამასთან, დასახელებულ პირებს არ შეუძლიათ უარი თქვან ნაწილობრივ ან მთლიანად იმ უფლებებზე, რომლებიც მათ მიმართ განსაზღვრულია საერთაშორისო კონვენციით. მათ ტყვედ ამყვან მეომარ სახელმწიფოებს, გარემოებების მიხედვით შეუძლიათ დაიტოვონ ისინი თავისთან, გააგზავნონ საკუთარ, ნეიტრალურ ან მოწინააღმდეგის პორტში. უკანასკნელ შემთხვევაში, საკუთარ სამშობლოში დაბრუნებულმა სამხედრო ტყვეებმა არ უნდა გააგრძელონ სამხედრო სამსახური მთელი ომის განმავლობაში.

საომარი მოქმედებების მსვლელობაში მეომარი სახელმწიფოები აკეთებენ ყველაფერს, რათა იპოვონ დაჭრილები, ავადმყოფები ან ის პირები, ვინც ხომალდის კატასტროფაში მოჰყვა. იცავენ მათ ძარცვისაგან, ცუდი მოპყრობისაგან, უზრუნველყოფენ აუცილებელ მოვლას. აგრეთვე იღებენ ზომებს, გარდაცვლილთა დასაძებნად და მაროდიორობის თავიდან ასაცილებლად. სამხედრო ხელმძღვანელებს შეუძლიათ მიმართონ ადგილობრივ მცხოვრებლებს თხოვნით, რომ მათ შეძლებისდაგვარად, ნებაყოფლობით მოძებნონ და მოუარონ დაჭრილებსა და ავადმყოფებს და ამ თხოვნის მხარდამჭერ პირებს გაუწიონ აუცილებელი მფარველობა და შეღავათები. იმ შემთხვევაში, თუ არამტრული სახელმწიფო დაამყარებს ან აღადგენს თავის კონტროლს მოცემულ რაიონზე, იგი ამავე პირების მიმართ ასეთსავე მფარველობას განახორციელებს.[1]

სჰს-ის ნორმათა შესაბამისად, სამხედრო მეთაურები ნებას რთავენ მოსახლეობას და საქველმოქმედო საზოგადოებებს, საომარ რაიონებში ან ოკუპირებულ ადგილებში, საკუთარი ინიციატივით აიყვანონ დაჭრილები, ავადმყოფები, კატასტროფის შედეგად დაზარალებულნი, მათი ეროვნების მიუხედავად და განახორციელონ მათი მოვლა. ამასთან, სამოქალაქო მოსახლეობა მათ უნდა მოექცეს პატივისცემით, არ დაუშვას ძალადობის რაიმე აქტი. არავინ არ უნდა დაექვემდებაროს დევნას, რაიმე სახის სასჯელს ან იყოს დასჯილი იმისათვის, რომ უწილდა ასეთი კატეგორიის დაზარალებულს.

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ. 14.

პირველი შესაძლებლობისთანავე მეომარი მხარეები დებენ შეთანხმებას ზავის ან ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, რათა აიყვანონ დაჭრილები, რომლებიც ბრძოლის ველზე დარჩნენ და შეთანხმების შემთხვევაში, განახორციელონ მათი გაცვლა. აუცილებლობის შემთხვევაში დებენ შეთანხმებას, რომელიც ეხება ამ კატეგორიის ადამიანთა ევაკუაციას, მათ გაყვანას ალყაშემორტყმული ზონიდან, აგრეთვე, საშვებით უზრუნველყოს სამედიცინო და სასულიერო პერსონალი ამ ზონაში შესასვლელად.

კონვენციის მე-16 მუხლის შესაბამისად, კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში უნდა განახორციელონ ყველა მონაცემის რეგისტრაცია, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ხელში ჩავარდნილი მოწინააღმდეგე მხარის დაჭრილთა, ავადმყოფთა და გარდაცვლილთა ვინაობის დადგენას. ამ ცნობაში შეძლებისდაგვარად უნდა შედიოდეს შემდეგი მონაცემები:

- კონკრეტული პირის მოქალაქეობა, ანუ სახელმწიფო, რომელსაც ეკუთვნის ეს პირი;
- პირადი სამხედრო ან სერიული ნომერი;
- გვარი;
- სახელი ან სახელები;
- დაბადების თარიღი;
- ყველა სხვა მონაცემი, რომელიც დაფიქსირებულია მის პირადობის მოწმობაში ან ამოსაცნობ მედალიონში;
- ტყვედ აყვანის ან გარდაცვალების ადგილი და თარიღი;
- მონაცემები, რომლებიც ეხება დაჭრას, ავადმყოფობას ან სიკვდილის მიზეზებს.

აღნიშნული მონაცემები რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა იქნეს მიწოდებული საცნობარო ბიუროსათვის, რომლის ორგანიზებაც გათვალისწინებულია III კონვენციის 122-ე მუხლით. ის კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ამ მონაცემების მიწოდებას იმ ქვეყნებისათვის, რომელსაც ეს პირები ერიცხება, მფარველი სახელწიფო და სამხედრო ტყვეების საქმეებზე ცენტრალური სია ცნობათა ბიუროს მეშვეობით შემდგომი ზომების მიღების მიზნით.[1]

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტები კრებული), თბ. 2006წ. გვ. 12.

კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა მითითებული ბიუროს მეშვეობით უნდა მოამზადონ და ერთმანეთს გაუგზავნონ დაღუპულთა გარდაცვალების მოწმობა ან სათანადოდ დამოწმებული სიები, ორმაგი ამოსაცნობი მედალიონის ნახევარი, ანდერძი და სხვა. დაღუპულის ოჯახისათვის მნიშვნელოვანია დოკუმენტები, ფული და საერთოდ ყველა საგანი, რომელსაც ობიექტური ან სუბიექტური ღირებულება აქვს და დაღუპულს ეკუთვნოდა. ეს საგნები, აგრეთვე, სხვა ამოუცნობი საგნები გადაიგზავნება დალუქული პაკეტით, რომელსაც ახლავს განცხადება ყველა იმ მონაცემით, რომელიც აუცილებელია დაღუპულის პიროვნების დასადგენად, და ნივთების სრული ჩამონათვალი.[1]

მეომარი მხარეების მიერ ღონისძიებები ხორციელდება იმისათვის, რომ მიწისთვის მიბარება ან კრემაცია, აგრეთვე, ზღვაში დაკრძალვა, ხდებოდეს, შესაძლებლობისდაგვარად ინდივიდუალურად, რათა დაკრძალვას წინ უძღოდეს გვამთა სამედიცინო დათვალიერება სიკვდილის გამომწვევი მიზეზებისა და პიროვნების დადგენის მიზნით. ორმაგი ამოსაცნობი მედალიონის ნახევარი, ან თვითონ მედალიონი, თუ ის ერთმაგია, სხეულზე უნდა დარჩეს. დაღუპულები უნდა იქნენ დაკრძალული პატივისცემით და თუ შესაძლებელია, რელიგიური წესების დაცვით იმგვარად, რომ მათი მოძებნა შესაძლებელი იყოს მომავალში. ამისათვის სახელმწიფო აწყობს სამხედროების სპეციალურ მომსახურებას, რათა შემდგომ პერიოდში შესაძლებელი იყოს ექსჰუმაციის ჩატარება, გვამების ამოცნობა და სამშობლოში გადატანა.

ცხედრების კრემაცია დასაშვებია მხოლოდ სამედიცინო ჰიგიენის განსაკუთრებული მოსაზრებებით ან მიცვალებულთა რელიგიურ მრწამსთან დაკავშირებული მოტივებით. კრემაციის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის შესახებ დაწვრილებით უნდა იყოს აღნიშნული, კრემაციის მიზეზების მითითებით, აქტში გარდაცვლილის შესახებ ან მიცვალებულთა დამოწმებულ სიაში.[2]

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ. 13.

[2] იქვე. გვ. 14.

შემდგომში, მეომარ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის დარეგულირების პროცესში, რომელთა ტერიტორიაზეც საფლავებია განლაგებული, იდება შეთანხმება, რომლის მიზანია: დაღუპულთა (გარდაცვლილთა) ნათესავების მათ საფლავებზე მისვლისათვის ხელის შეწყობა, ასევე, საფლავების რეგისტრაცია ოფიციალური სამსახურის წარმომადგენელთა მიერ. ამ ღონისძიებებისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა; დასაფლავების ადგილების მუდმივი შენახვა და მოვლა, დახმარების გაწევა დაღუპულების ნეშტის და პირადი საკუთრების სამშობლოში გადასატანად (I დამ. ოქმი მუხ, 33,34).

მეომარი მხარეები, საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები, მფარველი სახელმწიფოები, თავიანთ საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდნენ სჰს-ის ნორმებით იმის შესახებ, რომ დაჭრილთა, ავადმყოფთა და ა.შ. ოჯახებს აქვთ უფლება, იცოდნენ თავიანთი ნათესავების ბედი. როგორც კი ამის შესაძლებლობა გაჩნდება საომარი მოქმედებების პროცესში, ან მათი დამთავრების შემდეგ, მეომარი მხარეები ეძებენ უგზო-უკვლოდ დაკარგულებს, ერთმანეთს უცვლიან ინფორმაციებს ამ საკითხთან დაკავშირებით. ამ საქმეში აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტი.

§3. სამხედრო ტყვეების სამართლებრივი სტატუსი

საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სამხედრო ტყვეთა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის საკითხი, რომელიც დაკავშირებულია მისი სტატუსის განსაზღვრასთან.

1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენცია სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ (ჟენევის III კონვენცია), რომელიც საზოგადოდ განიხილება როგორც ჩვეულებითი სამართლის ნაწილი შეიარაღებული კონფლიქტის დროს, საზღვრავს ორ ძირითად პრინციპს. პირველი პრინციპი არის ის, რომ სამხედრო ტყვე არ შეიძლება იქნეს მიცემული პასუხისგებაში და დასჯილი იმ ფაქტისათვის, რომ ის იღებდა მონაწილეობას სამხედრო მოქმედებებში.

მეორე პრინციპი განსაზღვრავს იმას, რომ სამხედრო ტყვეებთან მოპყრობა უნდა იყოს ჰუმანური, მტრის ხელში ჩავარდნიდან, მათ საბოლოო გათავისუფლებამდე და რეპატრიაციამდე. სამხედრო ტყვის სტატუსი უაღრესად მნიშვნელოვანია მტრული ძალის ხელში ჩავარდნილი დაკავებული პირისათვის, ორივე-სამართლებრივი სტატუსისა და მოპყრობის კუთხით. თუ პირს არა აქვს კომბატანტის სტატუსი, ის შეიძლება გასამართლებულ იქნეს საბრძოლო მოქმედებების ჩადენისათვის. თუ ასეთი დანაშაული ქვეყნის შიდა კანონმდებლობით სიკვდილით ისჯება, სამხედრო ტყვის სტატუსის არქონა შეიძლება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი გახდეს.[1]

საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში ამ ტერმინით აღინიშნება მტრის ხელში ჩავარდნილი პირი, რომელიც მეორე მხარის შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნის. სამხედრო ტყვეებად ითვლებიან: შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში შემავალი პირები, პარტიზანები, მოხალისეთა რაზმები, არაკომბატანტები, წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები, რომლებიც კონფლიქტის მონაწილე ამა თუ იმ მხარის სასარგებლოდ იბრძოდნენ. რადგანაც კონფლიქტის მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალები შედგება ყველა ორგანიზებული შეიარაღებული ძალის, ჯგუფის ან შენაერთებისაგან, რომელთა სათავეშიც დგას ამ მხარის წინაშე თავის ქვეშევრდომთა მოქმედებისათვის პასუხისმგებელი პირი, იმ შემთხვევაშიც, როცა ეს მხარე წარმოდგენილია მთავრობით ან ხელისუფლებით, რომელსაც არ სცნობს მოწინააღმდეგე მხარე, კონფლიქტში მონაწილე მხარის შეიარაღებულ ძალებში შემავალი პირები არიან კომბატანტები, ე.ი. მათ აქვთ უფლება, უშუალო მონაწილეობა მიიღონ საომარ მოქმედებებში. ამიტომ, კონვენციის 44-ე მუხლი ერთად განიხილავს კომბატანტებსა და სამხედრო ტყვეებს.[2]

1949 წლის 12 აგვისტოს „სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ" არსებული კონვენციის პირველი მუხლი მაღალ ხელ-

---

[1] იასმინ ნაქვი. „სამხედრო ტყვის სარჭვო სტატუსი", გვ. 1.

[2] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ. 111-112.

შემკვრელ მხარეებს მოუწოდებს ყველა შემთხვევაში დაიცვას კონვენციის მოთხოვნები.[1]

სამხედრო ტყვის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება 1907 წლის ჰააგის III-IV კონვენციის I დამატებითი ოქმით. სსი-ის ნორმები სამხედრო ტყვეების მიმართ გამოიყენება იმ მომენტიდან, როდესაც ის მტრის ხელში ვარდება, მის საბოლოო განთავისუფლებამდე და რეპატრიაციამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც საომარი მოქმედებების მონაწილეები აღმოჩნდნენ მტრის ხელში და ჩნდება ეჭვი, თუ პირთა რომელ კატეგორიას მიეკუთვნებიან ისინი, სამხედრო ტყვეებად ითვლებიან მანამდე, სანამ მათი მდგომარეობა არ იქნება განსაზღვრული კომპეტენტური სასამართლოს მიერ (III კონვენციის მუხ.5).[2]

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თანახმად, ტყვედ ითვლება მტრის ხელში ჩავარდნილი პირი, რომელიც მეორე მხარის შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნის. ასეთ პირებად, როგორც ვიცით, ითვლებიან რეგულარული შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის წევრები, ასევე, პარტიზანები, მოხალისეთა რაზმები, მოლაშქრენი. ამავე რიცხვს მიეკუთვნებიან არაკომბატანტები.[3]

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მოითხოვს ჰუმანურ მოპყრობას სამხედრო ტყვეების მიმართ. ნებისმიერი უკანონო აქტი ან უმოქმედობა დამატყვევებელი სახელმწიფოს მხრიდან, რომელსაც სამხედრო ტყვის სიკვდილი ან ჯანმრთელობის შელახვა მოჰყვა, იკრძალება და განიხილება როგორც სამხედრო ტყვეების შესახებ არსებული კონვენციის სერიოზული დარღვევა. სამხედრო ტყვეები არ შეიძლება დაექვემდებარონ რაიმე ხასიათის სამეცნიერო ან სამედიცინო ცდებს, რომლებიც არ გამომდინარეობენ მათი ინტერესებიდან. ასე მაგ. იაპონელების მიერ შექმნილი „კამიკაძის" ფენომენი გამოიყენა მეორე მსოფლიო ომის დროს ადოლფ ჰიტლერის სამხედრო მანქანამ.

---

[1] Женевские Конвенции. 12 Август, 1949г. и дополнительные протоколы к ним. М. 1997г. стр.57.

[2] ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციები და მათი დამატებითი ოქმები, თბ. 2008წ. გვ.70.

[3] ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2010წ. გვ. 373.

ისინი, გარდა ფსიქოლოგიური ზეწოლისა, მომავალ „კამიკაძეებზე" სპეციალური სამედიცინო საშუალებებითაც ზემოქმედებდნენ და ფაქტობრივად, ომის ბოლო წლებში ფაშისტებმა შექმნეს „ადამიანი-რობოტი", რომელიც სხვისი მითითებით, უსიტყვოდ მოქმედებდა, ასრულებდა ნებისმიერ დავალებას, თუმცა, მათი გამოყენება მასობრივად ვეღარ შეძლეს.[1] თანამედროვე ჰუმანიტარული სამართალი აწესებს აკრძალვებს იმის თაობაზე, რომ მათ მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას რაიმე ფიზიკური ან მორალური ტანჯვა და ძალდატანების რაიმე ღონისძიება ინფორმაციის მიღების მიზნით. მათ, ვინც უარს ამბობს კითხვებზე პასუხის გაცემაზე, არ შეიძლება დაემუქრონ, მიაყენონ შეურაცხყოფა, განახორციელონ მათ მიმართ დევნა ან შეზღუდვა.

მოწინააღმდეგე მხარე ვალდებულია, ყოველთვის პატივისცემით მოეპყროს დაჭრილებს, ავადმყოფებს, ხომალდის კატასტროფაში მოყოლილ პირებს, იმისდა მიუხედავად, სამხედრო მოსამსახურეა ის, თუ სამოქალაქო პირი.[2]

სამხედრო ტყვეთა მიმართ აკრძალულია: დისკრიმინაცია რასობრივი კუთვნილების, ეროვნების, სარწმუნოებრივი აღმსარებლობის, პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით, ძალადობა, დაშინება, შეურაცხყოფა, რეპრესიების გამოყენება.

სამხედრო ტყვეებს აქვთ უფლება, მათი პიროვნების მიმართ პატივისცემით დამოკიდებულებაზე, ქალების მიმართ ჰუმანურ მოპყრობაზე და ა.შ.

სამხედრო ტყვეები მთლიანად ინარჩუნებენ თავიანთ იმ სამოქალაქო უფლება-უნარიანობას, რითაც ტყვედ აყვანის მომენტისათვის სარგებლობდნენ. მათი ტყვედ ყოფნის რეჟიმი განისაზღვრება ჯანმრთელობის, ასაკის და კვალიფიკაციის გათვალისწინებით.

ტყვედ ჩავარდნის ფაქტი ითვლება ტყვეობის დასაწყისად. ტყვე ვალდებულია, დაკითხვის დროს დაასახელოს მხოლოდ გვარი, სახელი, წოდება, დაბადების თარიღი და პირადი ნომერი

---

[1] გ. ლობჟანიძე, საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა, თბ. 2002წ. გვ.176.

[2] ჰანს-პეტერ გასერი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (შესავალი), თბ. 1999წ.

ან სხვა მსგავსი ინფორმაცია. დაკითხვა უნდა მიმდინარეობდეს იმ ენაზე, რომელსაც სამხედრო ტყვე ფლობს. თუკი ის უარს ამბობს ამ ცნობების მიწოდებაზე, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას შეზღუდვები მისი წოდების ან მდგომარეობის შესაბამისად. კონფლიქტში მყოფი თითოეული მხარე ვალდებულია სამხედრო ტყვეებზე გასცეს პირადობის მოწმობა გვარის, სახელის, წოდების, პირადი ნომრის, დაბადების თარიღის მითითებით. პირადობის მოწმობას შეიძლება ჰქონდეს აგრეთვე, მფლობელის ხელმოწერა ან თითების ანაბეჭდები, ან, ერთიც და მეორეც. სამხედრო ტყვე ვალდებულია, იგი წარმოადგინოს ნებისმიერი მოთხოვნისას, ოღონდ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი ჩამორთმევა.[1]

დაუშვებელია მისი იძულება, გასცეს რაიმე სხვა მონაცემი. კონვენციის შესაბამისად, წამება ან სხვა სასტიკი მოპყრობა განიხილება, როგორც ომის დანაშაული.[2] სამხედრო ტყვეები ემორჩილებიან დამკავებელი სახელმწიფოს კანონებსა და განსაკუთრებით-შეიარაღებულ ძალებში მოქმედ წესდებებსა და ბრძანებებს.

კანონმდებლობა ითვალისწინებს სამხედრო ტყვეთა წოდებების საკითხის მოწესრიგებას. სამხედრო მოქმედებების დასაწყისშივე, კონფლიქტის მონაწილე მხარეები ერთმანეთს ატყობინებენ შეიარაღებული ძალების სამსახურში მყოფ პირთა წოდებების და თანამდებობების ჩამონათვალს იმ შემთხვევისთვის, თუ ისინი შემდგომში მტრის ხელში აღმოჩნდებიან, რათა უზრუნველყოფილი იქნას თანაბარი დამოკიდებულება სხვადასხვა წოდების ტყვეთა მიმართ; ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს მიერ აღიარებული იქნება სამხედრო ტყვეებისათვის წოდების მომატება, რის შესახებაც მას შესაბამისი სახელმწიფო შეატყობინებს. სჰს-ის ნორმები მოითხოვს პატივისცემას ოფიცრებისა და მათთან გათანაბრებული სამხედრო ტყვეების მიმართ.[3]

---

[1] III კონვენცია, მე-17 მუხლი.
[2] III კონვენცია, 130-ე მუხლი და I ოქმი, 85.5 მუხლი.
[3] Женевские Конвенции 12 Август, 1949г. и дополнительные протоколы к ним. М. 1997г. стр.77.

წოდების და სახელმწიფოებრივი კუთვნილების განმასხვავებელი ნიშნები, პირადი სარგებლობის ყველა საგანი (ლითონის ჩაფხუტი, აირწინაღი, ტანსაცმელი, კვების პროდუქტები) არ ექვემდებარება ჩამორთმევას სამხედრო ტყვეთათვის. ფული შეიძლება ჩამორთმეული იქნას ოფიცრის განკარგულებით და ეს ფაქტი უნდა დაფიქსირდეს სპეციალურ რეესტრში ხელწერილით და შესაბამისი მონაცემების მითითებით. სამხედრო ტყვეები შეიძლება დაექვემდებარონ ინტერნირებას. ინტერნირებული სამხედრო ტყვეები შეიძლება განთავსდნენ მხოლოდ სახმელეთო შენობაში, ჰიგიენის და იმ პირობების მოთხოვნათა გათვალისწინებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯანმრთელობის დაცვას. მეომარი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მფარველი სახელმწიფოების მეშვეობით ერთმანეთს შეატყობინონ ყველა აუცილებელი მონაცემი სამხედრო ტყვეთა ბანაკების გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ, რომლებიც სამხედრო მოსაზრებებიდან გამომდინარე, შესაძლებლობის შემთხვევაში, აღინიშნება ასოებით „PW“ და „PG“ და განლაგებულნი არიან იმგვარად, რომ ნათლად ჩანდნენ ჰაერიდან.

სამხედრო ტყვეები განთავსდებიან ისეთ პირობებში, რომლებიც არ არიან უფრო ნაკლები, ვიდრე იმავე პირობებში მყოფი დამტყვევებელი სახელმწიფოს ჯარები. შენობა საკმაოდ უნდა თბებოდეს და ნათდებოდეს. სამხედრო ტყვე ქალებისათვის გამოიყოფა ცალკე საძილე ფართი. სამხედრო ტყვეები არ უნდა იმყოფებოდნენ ჩაკეტილ შენობებში. არ უნდა ჩამოერთვათ სუფთა ჰაერზე ყოფნის და შენობის დატოვების უფლება.

სამხედრო ტყვეთა კვების რეჟიმი უნდა აკმაყოფილებდეს საერთო მოთხოვნებს. ისინი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ხარისხიანი და მრავალფეროვანი საკვებით, რათა მოხერხდეს ამ კატეგორიის ადამიანთა ჯანმრთელობის შენარჩუნება და გამოირიცხოს არასაიმედო კვებასთან დაკავშირებული შემთხვევები, წონის დაკლება და ა.შ.[1]

სამხედრო ტყვეები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სამედიცინო დახმარებით. ყოველ ბანაკში უნდა იყოს ლაზარეთი, რა-

[1] Женевские Конвенции 12 Август, 1949г. и дополнительные протоколы к ним. М. 1997г. стр.69.

თა მათ, მიიღონ სამედიცინო დახმარება. ისინი, ვისაც დაავადება აწუხებს, ან სპეციალურ მკურნალობას საჭიროებს, უნდა იქნენ მიღებული ნებისმიერ სამხედრო ან სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში, ქირურგიული ჩარევისა თუ ჰოსპიტალიზაციისათვის იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათი რეპატრიაცია უახლოეს მომავალშია მოსალოდნელი.[1]

სამხედრო ტყვეთა სამედიცინო შემოწმება უნდა ხდებოდეს თვეში ერთხელ მაინც. ამ დროს დგინდება თითოეული სამხედრო ტყვის წონა. გარდა ამისა, მოწესრიგებული უნდა იყოს სამხედრო ტყვეთა გადაადგილების საკითხი. ამ პრობლემების გადაწყვეტისას ტყვედ ამყვანი სახელმწიფო ითვალისწინებს თვითონ ტყვეთა ინტერესებს, რათა არ შეიქმნას სიძნელეები მათი რეპატრიაციისათვის.[2]

სამხედრო ტყვეებს ეძლევათ სრული თავისუფლება მათი რელიგიური წესების შესასრულებლად. კულტის მსახურებს ნება ეძლევათ, მოემსახურონ ტყვეთა სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც სამხედრო ტყვეებს არა აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ რელიგიური დახმარება, სამხედრო სასულიერო პირებისაგან, რომლებიც შედიან დაკავებულთა ან სამხედრო ტყვეთა რიცხვში, დაინტერესებულ ტყვეთა თხოვნით, დაინიშნება კულტის მსახური ამ სამხედრო ტყვეთა სარწმუნოებიდან ან ანალოგიური სარწმუნოებიდან.

სამხედრო ტყვეებს არ ჩამოერთმევათ მიმოწერის უფლება. ყველა სამხედრო ტყვეს, დატყვევების მომენტიდან, და არაუგვიანეს, ერთი კვირისა ბანაკში მიყვანიდან, ასევე, დაავადებების შემთხვევაში ან ლაზარეთში, ან სხვა ბანაკში გადაგზავნის შემთხვევაში, არ უნდა შეეზღუდოთ ნათესავებთან მიმოწერის უფლება. მათ შეუძლიათ, გააგზავნონ წერილები, ბარათები. ჩვეულებრივ, წ.ჯ.ს.კ-ის ცენტრალური სამძებრო სააგენტოს საშუალებით.[3] აგრეთვე, სამხედრო ტყვეთა საქმეების ცენტრალური სააგენტოებისათვის (მუხ. 70 კონვენციისა სამხედრო ტყვეთა

---

[1] იქვე. გვ.71

[2] იქვე. გვ.78

[3] III კონვენცია, მუხლი 71 (ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციები და მათი დამატებითი ოქმები, თბ. 2008წ. გვ.100.)

შესახებ). დატყვევებულის, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მისამართის მითითებით.

სამხედრო ტყვეებისათვის ნებადართულია ფოსტის მეშვეობით ამანათის მიღება, რომელშიც შეიძლება იყოს კვების პროდუქტები, ტანსაცმელი, მედიკამენტები და საგნები, აუცილებელი მათი რელიგიური მოთხოვნილებების, განათლების ან გართობისათვის, საკულტო საგნების, სამეცნიერო მუშაობისათვის საჭირო აპარატურისა და ა.შ. ჩათვლით. სამხედრო ტყვეებისათვის განკუთვნილი ყველა დახმარების ამანათი თავისუფლდება საბაჟო და სხვა გადასახადებისაგან.

იქ, სადაც დაირღვევა სამხედრო ტყვეთა უფლებები, მათ შეუძლიათ, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, საჩივრებით მიმართონ სამხედრო ხელისუფლებას ნდობით აღჭურვილი პირის მეშვეობით ან უშუალოდ ბანაკის ადმინისტრაციას. აუცილებლობის შემთხვევაში, შეუძლიათ საჩივრით მიმართონ მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებს.

კანონით გათვალისწინებულია შრომისუნარიანი ტყვეების გამოყენება შრომით საქმიანობაში. შეიძლება მათი ჩართვა სამუშაო ძალად ასაკის, სქესის, წოდების, აგრეთვე, ფიზიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით. ტყვე უნტერ-ოფიცრებისაგან შეიძლება მოითხოვონ მხოლოდ ზედამხედველობის განხორციელება სამხედრო ტყვეების საქმიანობაზე. მათ შეუძლიათ, მოითხოვონ სხვაგვარი სამუშაოს მიცემა. ოფიცრების ან მათთან გათანაბრებულების იძულებითი მუშაობა დაუშვებელია. თუკი ისინი სამუშაოს მოითხოვენ, ასეთი თხოვნა შეძლებისდაგვარად კმაყოფილდება.

გარდა საკუთარი ბანაკის მოწესრიგების სამუშაოებისა, ასევე, მმართველობასა და აღჭურვასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების გარდა, სამხედრო ტყვეების ჩაბმა შეიძლება ისეთი სამუშაოების შესრულებაში, როგორებიცაა:

- სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები;
- მრეწველობის გადამამუშავებელი ან მომპოვებელი დარგები, გარდა, მეტალურგიული, მანქანათმშენებელი და ქიმიური წარმოებისა. აგრეთვე, ისეთი სააშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამხედრო ხასიათს ატარებენ;

- სატრანსპორტო და დასატვირთ-გადასაცლელი სამუშაოები, რომლებსაც არა აქვთ სამხედრო დანიშნულება;
- სავაჭრო, სახელოვნებო და სახელოსნო საქმიანობასთან დაკავშირებული სამუშაოები;
- საოჯახო მეურნეობა;
- კომუნალური მომსახურება, რომელსაც არ გააჩნია სამხედრო ხასიათი ან დანიშნულება.

დამტყვევებელი სახელმწიფო, რომელიც სამხედრო ტყვეთა შრომას იყენებს, უზრუნველყოფს ნაციონალური კანონმდებლობის დაცვას შრომის და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვასთან დაკავშირებით. არცერთი სამხედრო ტყვე არ არის ვალდებული, შეასრულოს მისი ჯანმრთელობისათვის მავნე ან საფრთხის შემცველი სამუშაო, თუ ამას თვითონ არ დათანხმდება ნებაყოფლობით. ნაღმების ან ჯურვების ძებნა და გაუვნებელყოფა განიხილება, როგორც საშიში სამუშაო.

სამხედრო ტყვეთა სამუშაო დღის ხანგრძლივობა იმ დროის ჩათვლით, რომელიც აუცილებელია სამუშაომდე მისასვლელად და უკან, არ უნდა აღემატებოდეს სამუშაო დღის იმ ხანგრძლივობას, რომელიც დადგენილია ამ სამუშაოზე დაკავებული სამოქალაქო პირებისათვის იმავე რაიონში და ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს მოქალაქეთათვის.

სამხედრო ტყვეებს ეძლევათ შესვენება სამუშაო დღის მანძილზე იმავე ხანგრძლივობით, როგორიც დამტყვევებელი სახელმწიფოს მუშებისათვის არის გათვალისწინებული. გარდა ამისა, მათ დამატებით ეძლევათ უწყვეტი ოცდაოთხსაათიანი დასვენება კვირაში ერთხელ, უპირატესად კვირა დღეს ან მის სამშობლოში დადგენილ დასვენების დღეს. გარდა ამისა, ყველა სამხედრო ტყვეს, რომელმაც ერთი წელი იმუშავა, ეძლევა უწყვეტი რვადღიანი დასვენება ხელფასის შენარჩუნებით.

სამხედრო ტყვეთა ფულადი უზრუნველყოფის საკითხი გათვალისწინებულია სჰს-ში. ტყვედ ამყვანი სახელმწიფო ადგენს ფულის მაქსიმალურ ოდენობას, რომელიც სამხედრო ტყვეებს შეუძლიათ ჰქონდეთ თან. მთელი ჩამორთმეული ან დაკავებული ფული, რომელიც მათ კანონიერ საკუთრებად ითვლება, ისევე, როგორც მათ მიერ შეტანილი თანხები, ირიცხება მათ პირად

ანგარიშზე და შეიძლება გადაყვანილი იქნეს სხვა ვალუტაში, მათი თანხმობის გარეშე.

დამტყვევებელი სახელმწიფო ყოველთვიურად უხდის ავანსს ყველა სამხედრო ტყვეს ყოველთვიური ხელფასის სახით, რომლის რაოდენობაც განისაზღვრება მითითებული სახელმწიფოს ვალუტაში გადაანგარიშებით, შემდეგი სახით:

კატეგორია I: სერჟანტზე ნაკლები წოდების ტყვეები – 8 შვეიცარული ფრანკი;

კატეგორია II: სერჟანტები და შესაბამისი წოდების უნტეროფიცრები ან ტყვეები - 12 შვეიცარული ფრანკი;

კატეგორია III: ოფიცრები კაპიტნის წოდებამდე (ჩათვლით) ან შესაბამისი წოდების ტყვეები-50 შვეიცარული ფრანკი;

კატეგორია IV: მაიორები, ვიცე -პოლკოვნიკები, პოლკოვნიკები, ან შესაბამისი წოდების ტყვეები – 60 შვეიცარული ფრანკი;

კატეგორია V: გენერლები ან შესაბამისი წოდების ტყვეები – 75 შვეიცარიული ფრანკი.

კონფლიქტში მყოფ მხარეებს შეუძლიათ, სპეციალური შეთანხმებით შეცვალონ ავანსის რაოდენობა ფულადი კმაყოფის ხარჯზე, რომელიც ეკუთვნის ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიების სამხედრო ტყვეებს.

სამხედრო ტყვეებისათვის ნებადართულია ფულადი გზავნილები, მათ მიმართ პერსონალურად ამ სამხედრო ტყვეების ჯგუფის მისამართით (III კონვენცია მუხ. 61). [1]

სამხედრო ტყვეები იღებენ სამართლიან ანაზღაურებას იმ სამუშაოსათვის, რომლის ზომაც იმ მეომარი მხარის მიერ დგინდება, რომლის ძალაუფლების ქვეშაც ისინი იმყოფებიან და ანაზღაურება არ შეიძლება იყოს შვეიცარული ფრანკის ერთ მეოთხედზე ნაკლები სრული სამუშაო დღისათვის. სამხედრო ტყვეებს ეძლევათ საკმაო შესაძლებობა მათი ანაგარიშების მდგომარეობის გასაცნობად და ამ ანგარიშების ასლების მისაღებად, რომლებიც ასევე შეიძლება იყოს შემოწმებული სახელმწიფო-მფარველის წარმომადგენლების ბანაკში სტუმრობისას.

---

[1] Женевские Конвенции 12 Август, 1949г. и дополнительные протоколы к ним. М. 1997г. стр.83-84.

ტყვეობის დასრულების შემდეგ, გათავისუფლების ან რეპატრიაციის შედეგად, სამხედრო ტყვეს ეძლევა დოკუმენტი დამტყვევებელი სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი ოფიცრის ხელმოწერით, რომელშიც მითითებულია საკრედიტო სალდო.

კანონმდებლობა ადგენს სამხედრო ტყვეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას. სამხედრო ტყვეთა ბანაკს მეთაურობს ოფიცერი მეომარი სახელმწიფოს რეგულარული შეიარაღებული ძალების შემადგენლობიდან. ბანაკის მეთაურს პასუხისმგებლობა აკისრია იმისათვის, რომ ბანაკის პერსონალმა იცოდეს და მართებულად იყენებდეს კონვენციას, რომელიც სამხედრო ტყვეთა მდგომარეობას განსაზღვრავს. ტყვეზე ვრცელდება ყველა კანონი, წესდება და ბრძანება, რომელსაც ემორჩილებიან ადგილობრივი შეიარაღებული ძალები. ამ კანონთა დარღვევისას ტყვე პასუხს აგებს სასამართლო ან დისციპლინარული წესებით.[1]

სამხედრო ტყვეები უნდა ემორჩილებოდნენ მათი დამტყვევებელი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში მოქმედ კანონებს, წესებსა და ბრძანებებს. ნებისმიერი წესი, ბრძანება, განცხადება თუ შეტყობინება, რომელიც სამხედრო ტყვეთა ქცევას ეხება, მათ უნდა ეცნობოს მათთვის გასაგებ ენაზე.

დისციპლინის დარღვევისათვის სამხედრო ტყვეები პასუხს აგებენ დისციპლინური წესით. მათ მიერ დიციპლინის დარღვევის ყველა შემთხვევაში ტარდება მოკვლევა. ერთი და იმავე გადაცდომისათვის ან ერთი და იმავე ბრალდებისათვის, სამხედრო ტყვეები შეიძლება მხოლოდ ერთჯერ დაისაჯონ. თუკი დამტყვევებელი სახელმწიფოს კანონებში, წესდებებში ან ბრძანებებში, სამხედრო ტყვეთა მიერ ჩადენილი ქმედებები დასჯადად მიიჩნევა, ხოლო თუ მეორე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების წევრ პირთა მიერ ჩადენილი ასეთი ქმედებები, არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, სამხედრო ტყვეებს მხოლოდ დისციპლინური სასჯელი დაეკისრებათ. იმ საკითხის გადაწყვეტისას, თუ სასჯელის როგორი ზომა უნდა იქნეს გამოყენებული იმ დანაშაულისათვის, რომელშიც სამხედრო ტყვეები არიან ბრალდებულნი, სისხლის სამართლებრივი თუ დისციპლინური, დამტყვევებელი სახელმწიფოს ხელისუ-

[1] ლ. ალექსიძე, დას. ნაშ. გვ. 373.

ფლება ავლენს მაქსიმალურ შემწყნარებლობას ტყვეთა ქმედებების შეფასებისას, რათა დისციპლინური ზომები იქნას გამოყენებული.

დამტყვევებელ სახელმწიფოს უფლება არა აქვს, ჩამოართვას რომელიმე სამხედრო ტყვეს წოდება ან განმასხვავებელი ნიშნების ტარების შესაძლებლობა.

კანონმდებლობა ითვალისწინებს შემდეგი დისციპლინური სასჯელების დადებას სამხედრო ტყვეების მიმართ:

- ჯარიმა, არა უმეტეს 5-%-ისა იმ სამუშაოს შესრულებისათვის, რომელიც სამხედრო ტყვეს ეკუთვნის III კონვენციის (მუხ. 60 და 62) შესაბამისად, არაუმეტეს 30 დღისა;
- იმ უპირატესობის ჩამორთმევა, რომლებიც ეძლევათ იმათ გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია სამხედრო ტყვეების შესახებ არსებული კონვენციით;
- რიგგარეშე განაწესი, არა უმეტეს, ორი საათისა დღეში (ოფიცრებს არ ეკისრებათ) . . . .
- პატიმრობა.

დისციპლინური სასჯელები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს არაადამიანური, სასტიკი ან სახიფათო, სამხედრო ტყვეთა ჯანმრთელობისათვის. ცალკეული დისციპლინური ზომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს. აკრძალულია კოლექტიური სასჯელის გამოყენება ინდივიდუალური გადაცდომისათვის, ნებისმიერი სახის სხეულებრივი სასჯელები, აგრეთვე, დღის შუქით სარგებლობის უფლების ჩამორთმევა და საერთოდ, სისასტიკის ან წამების ნებისმიერი გამოვლენა.[1]

ცალკე უნდა ითქვას სამხედრო ტყვის გაქცევის შესახებ. რამდენადაც კანონმდებლობა აფიქსირებს გაქცევის უფლებას, ასეთ შემთხვევაში, მხარეები ტყვის მიმართ მოვალენი არიან, შექმნან ცნობათა ბიურო ტყვეების საქმეთა თაობაზე. ამ ბიუროს ეკისრება ვალდებულება, პასუხი გასცეს ყველა კითხვას, რომელიც აინტერესებს მხარეებს, დაინტერესებულ ორგანიზაციებს. ტყვის გაქცევა განხორციელებულად ითვლება იმ

---

[1] Женевские Конвенции 12 Август, 1949г. и дополнительные протоколы к ним. М. 1997г. стр.98.

შემთხვევაში, თუ ის შეუერთდა იმ სახელმწიფოს მოკავშირე სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს, რომელსაც თვითონ მიეკუთვნება; ან, დატოვა ტერიტორია, რომელიც იმყოფება დამტყვევებელი სახელმწიფოს ან მისი მოკავშირის ტერიტორიაზე; მოხვდა იმ სახელმწიფოს, ან მისი მოკავშირე სახელმწიფოს დროშის ქვეშ მცურავ გემზე, რომლის მოქალაქედაც ითვლება.

სამხედრო ტყვეთა წინააღმდეგ, კერძოდ, გაქცევის მცდელობის შემთხვევაში, იარაღის გამოყენებას ყოველთვის უნდა უძღვოდეს წინ გაფრთხილება.

სამხედრო ტყვეები, რომლებიც წარმატებული გაქცევის შემდეგ კვლავ აღმოჩნდნენ ტყვეობაში, არ ექვემდებარებიან დასჯას გაქცევისათვის. სამხედრო ტყვე, რომელიც ცდილობდა გაქცევას, ან დაიჭირეს გაქცევამდე, დაისჯება დისციპლინარული წესით. იგი დაუყოვნებლივ გადაეცემა შესაბამის სამხედრო ხელქვეითებს. ასევე, მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება სამხედრო ტყვეს, როდესაც ის სჩადის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ერთადერთი მიზნით – გაიიოლოს გაქცევა. ამ ქმედებას არ ახლავს რაიმე სახის ძალადობა ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ან საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ, აგრეთვე, ქურდობის ჩადენისათვის გამდიდრების განზრახვის გარეშე, ყალბი დოკუმენტების დამზადებისა და გამოყენებისათვის, ასევე, სამოქალაქო ტანსაცმლის ტარებისათვის. შეტყობინება, გაქცეული, მაგრამ შეპყრობილი სამხედრო ტყვის შესახებ, უნდა გაეგზავნოს იმ სახელმწიფოს, რომელსაც ის მიეკუთვნება.

დისციპლინური სასჯელი შეიძლება დააკისროს მხოლოდ იმ ოფიცერმა, რომელსაც აქვს ბანაკის უფროსის უფლებამოსილება, ან, პასუხისმგებელმა ოფიცერმა, რომელიც მის მოვალეობას ასრულებს. გადაწყვეტილება დასჯის შესახებ, ტყვეს უნდა გამოეცხადოს ბანაკის ადმინისტრაციის წარმომადგენლის მიერ.

დისციპლინური სასჯელის დაღებამდე სამხედრო ტყვეს შესაძლებლობა ეძლევა, რომ განმარტოს თავისი ქცევა.[1]

---

[1] Женевские Конвенции 12 Август, 1949г. и дополнительные протоколы к ним. М. 1997г. стр.101

ყველა შენობა, რომელიც გამოყოფილია დისციპლინური სასჯელის მოსახდელად, უნდა პასუხობდეს სანიტარულ მოთხოვნებს. ოფიცრები და მათთან გათანაბრებული პირები არ უნდა იმყოფებოდნენ ერთ შენობაში უნტერ-ოფიცრებთან და რიგითებთან ერთად. სამხედრო ტყვე ქალები იმყოფებიან მამაკაცი ტყვეებისაგან განცალკევებით და ბანაკის ადმინისტრაციის ქალ წარმომადგენელთა მეთვალყურეობის ქვეშ.

იმ სამხედრო ტყვეებზე, რომლებსაც დაედოთ დისციპლინური სასჯელი პატიმრობის სახით, ვრცელდება III კონვენციის დებულებები (მუხ. 78 და 126). ასეთ ტყვეებს არ უნდა ჩამოერთვათ ის უფლებები, რომლებიც განპირობებულია მათთვის მინიჭებული წოდებებით.

კანონმდებლობით გათვალისწინებულია სამხედრო ტყვეთა სასამართლო დევნა იმ სამხედრო ტყვეთა მიმართ, რომლებმაც სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს. ტყვედ ამყვანი სახელმწიფო აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს, რაზეც უმოკლეს ვადაში ატყობინებს მფარველ სახელმწიფოს, მაგრამ არა უგვიანეს სამი კვირისა, სასამართლოზე საქმის მოსმენის დაწყებიდან.

სამხედრო ტყვეები არ შეიძლება გასამართლებულ იქნან იმ სამართალდარღვევისათვის, რომელიც დასჯადად არ ითვლება მათი დამტყვევებელი სახელმწიფოს კანონმდებლობით. დაშვებული არ არის რაიმე სახის მორალური ან ფიზიკური ზეწოლა სამხედრო ტყვეზე იმისათვის, რათა იგი აიძულონ, აღიაროს ის დანაშაული, რაშიც მას დებენ ბრალს. არცერთი სამხედრო ტყვე არ შეიძლება იყოს გასამართლებული, თუ მას არა აქვს შესაძლებლობა, დაიცვას თავი და არ ჰყავდეს გამოყოფილი კვალიფიციური ადვოკატი.

მართლმსაჯულება სამხედრო ტყვეთა მიმართ ხორციელდება მხოლოდ სამხედრო სასამართლოების მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს კანონმდებლობა სამოქალაქო სასამართლოებს ანიჭებს სპეციალურ უფლებას გაასამართლონ პირები ამ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობიდან იმავე დანაშაულისათვის, რომელშიც ბრალი ედებათ სამხედრო ტყვეებს. ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, ბრალდე-

ბული სამხედრო ტყვეები იმ დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც მათ დატყვევებამდე განახორციელეს, სარგებლობენ სამხედრო ტყვეთა შესახებ არსებული კონვენციის მფარველობით, მათი გასამართლების შემთხვევაშიც კი. ისინი შეიძლება დაისაჯონ მხოლოდ ერთხელ, ერთი და იმავე გადაცდომისათვის ან ერთი და იმავე ბრალდებით.

კონვენციის 105-ე მუხლის შესაბამისად, სამხედრო ტყვეს უფლება აქვს ისარგებლოს თავისივე ამხანაგების დახმარებით დამცველის როლში, ვისაც აქვს შესაფერისი განათლება და გამოცდილება. თუ თვითონ არ ირჩევს დამცველს, მაშინ, მას დაცვით სახელმწიფო უზრუნველყოფს. დამცველს საქმის განხილვამდე 2 კვირის ვადა ეძლევა, საქმის გასაცნობად.[1]

ყოველ სამხედრო ტყვეს აქვს მის მიმართ გამოტანილი განაჩენის საკასაციო გასაჩივრების ან მისი გადახედვის უფლება. მას ეცნობება ამის შესახებ და იმ ვადის თაობაზე, რომლის განმავლობაშიც ამის გაკეთება შეუძლია.

სამხედრო ტყვეებსა და მფარველ-სახელმწიფოებს ეცნობებათ იმ კანონდარღვევების შესახებ, რომლებიც სიკვდილით ისჯება ტყვეობაში მყოლი სახელმწიფოს კანონებით. შემდგომში არავითარი სხვა სამართალდარღვევისათვის არ შეიძლება იყოს დადგენილი სასიკვდილო განაჩენი იმ სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, რომელსაც სამხედრო ტყვეები მიეკუთვნებიან.

სამხედრო ტყვისათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის აღსრულება შეიძლება არა უგვიანეს ექვსი თვისა იმ დღიდან, როდესაც მიღებული იქნება მფარველი სახელმწიფოს მიერ წერილებითი შეტყობინება, რაც გათვალისწინებულია III კონვენციით (მუხ. 107). განაჩენი კანონიერად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იმავე სასამართლოების მიერ და იმავე წესით არის გამოტანილი, რომელიც დადგენილია დამატყვევებელი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობის წევრთათვის.[2]

სამხედრო ტყვეები სასჯელს იხდიან კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე იმავე დაწესებულებებში და

---

[1] Женевские Конвенции 12 Август, 1949г. и дополнительные протоколы к ним. М. 1997г. стр.104.

[2] იქვე, გვ.105.

იმავე პირობებში, როგორშიც დამტყვევებელი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების პირები იმყოფებიან.

ცალკე მსჯელობის საგანია ტყვეობის დასასრული, რომელიც უკავშირდება სამხედრო ტყვეთა გათავისუფლებას და რეპატრიაციას, რაც ხდება საომარი მოქმედებების დასრულებისთანავე.

საომარ კონფლიქტში მყოფ სახელმწიფოთა შორის დადებულ შეთანხმებაში, ან ასეთი შეთანხმების არსებობის პირობებში, ყოველი შესაბამისი სახელმწიფო ადგენს და დაუყოვნებლივ ახორციელებს რეპატრიაციის გეგმას. მათ მიერ მიღებული ზომების შესახებ ეცნობებათ სამხედრო ტყვეებს. რეპატრიაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს თანაბრად ინაწილებენ ტყვედ ამყვანი სახელმწიფო და ის ქვეყანა, რომელსაც სამხედრო ტყვეები მიეკუთვნება. რეპატრიაციის პრინციპები ასახულია III კონვენციაში (მუხ. 118 და 119).

სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის გაუმართლებელი დაყოვნება I ოქმის სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს.[1]

სამხედრო ტყვეთა გათავისუფლების პრობლემაზე მსჯელობისას ხაზგასასმელია, რომ სამხედრო ტყვეებს, როგორც წესი, არ შეუძლიათ უარი თქვან რეპატრიაციაზე. III კონვენციის 118-ე მუხლი სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნებისათვის არავითარ გამონაკლისს არ ითვალისწინებს. უფრო მეტიც, ამ მუხლის თანახმად, ყველა სამხედრო ტყვის რეპატრიაცია სავალდებულოა.[2] თუმცა, ამ იმპერატიული დებულების განხორციელების მდგომარეობა კორეის ომის დროს გართულდა, რადგან მრავალმა ჩრდილო კორეელმა სამხედრო ტყვემ არ ისურვა სამშობლოში დაბრუნება.[3]

სამხედრო ტყვეებთან დაკავშირებული ჰუმანიტარული სამართლის მიმოხილვის პროცესში ჰანს-პეტერ გასერი ერთ მნიშვნელოვან ტრადიციაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელსაც იგი „სამხედრო მოსამსახურის რაინდულ შარავანდედს

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ.191.

[2] III კონვენცია, მუხლები 118-119.

[3] Chistiane Shiela-Delesserti, Release Repatriatriation of Prisoners of war of the End of Active Hostilites, Zuruch 1977, pp.157 ff.

უწოდებს". ეს არის, გათავისუფლება პატიოსანი სიტყვის საფუძველზე,[1] რომელსაც ,კონვენციის 21-ე მუხლის მე-2 აბზაცი ითვალისწინებს. ამ ტრადიციის შესაბამისად, დამკავებელ სახელმწიფოს შეუძლია სამხედრო ტყვეები ინტერნირების ნაცვლად, გაათავისუფლოს და სამშობლოში გადააგზავნოს, თუ ისინი საზეიმოდ დადებენ პირობას, რომ აღარ მიიღებენ მონაწილეობას დამკავებელი სახელმწიფოს საწინააღმდეგო სამხედრო მოქმედებებში.

წჯს კომიტეტის საერთაშორისო მიმომხილველი ი. ნაქვი თავის ერთ-ერთ საინტერესო პუბლიკაციაში სიღრმისეულად განიხილავს სამხედრო ტყვის „საეჭვო სტატუსს", რაც უნდა ეხებოდეს საკითხს: დაკავებული პირი, მიეკუთვნება თუ არა ჟენევის II კონვენციის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი ექვსი კატეგორიისაგან ერთ-ერთს მაინც. ავტორი ანალიზს უკეთებს გაერთიანებული სამეფოს, აშშ-სა და სხვა ქვეყნების ჰუმანიტარული სამართლის სახელმძღვანელოებში დამკვიდრებულ კონცეფციებს განსახილველ პრობლემებთან დაკავშირებით და ასკვნის: „ჟენევის II კონვენციის მუხლი 5(2)-ის მიხედვით, სამხედრო ტყვის სტატუსის შესახებ ეჭვი შეიძლება აღიძრას მაშინ, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი შეპყრობილი პირის მიმართ, აკმაყოფილებს თუ არა იგი მე-4 მუხლში მოცემულ კატეგორიებს, გარდა სამხედრო ტყვის სტატუსის ზოგადი (დაუწერელი) პრეზუმფციისა მათ მიმართ, ვინც მონაწილეობას იღებს საომარ მოქმედებებში".[2]

მისი აზრით, კომპეტენტური სასამართლო ორგანოს (იქნება ეს ეროვნული თუ სხვა) პროცედურამ, შესაძლებელი უნდა გახადოს ინდივიდუალური სტატუსის განსაზღვრა. ამასთანავე, ავტორს მიაჩნია, რომ სასამართლო ორგანო არ უნდა შედგებოდეს ერთი პირისაგან. ის შეიძლება იყოს სამხედრო, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული და მოიცავდეს სამხედრო კომისიებს. წესები, რომლებიც ცხადყოფენ ტრიბუნალის კომპეტენციას, შემადგენლობასა და პროცედურას, უნდა განისაზღვროს შემპყრობელი სახელმწიფოს მიერ. ეს წესები უნდა ითვალისწინებდეს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, თუმცა,

---

[1] I ოქმი, მუხლი 84,4(ბ)

[2] ი. ნაქვი, „სამხედრო ტყვის საეჭვო სტატუსი", გვ.5.

განსაზღვრული არ არის, თუ რა დროში უნდა მოხდეს სტატუსის განსაზღვრა. გონივრული იქნება, რომ სტატუსის განსაზღვრა მოხდეს რაც შეიძლება სწრაფად, როგორც მისწრაფება, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვისაკენ.

§4. ქალების დაცვა და ბავშვთა საომარ მოქმედებებში მონაწილეობის აკრძალვა, „უმწეოთა" მიმართ ჰუმანური მოპყრობის ძირითადი გარანტიები

ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის I დამატებითი ოქმი საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ, ითვალისწინებს ღონისძიებებს ქალებისა და ბავშვების დასაცავად. აღიარებულია, რომ ქალები განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ და ისინი უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ დაცვით, გაუპატიურების, იძულებითი პროსტიტუციისა და ნებისმიერი ფორმის უღირსი ხელყოფისაგან.

შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებული მიზეზების გამო დაპატიმრებული ან ინტერნირებული ფეხმძიმე ქალებისა და მცირეწლოვანი შვილების დედების საქმეები პირველ რიგში უნდა იქნეს განხილული.

კანონმდებლობა ავალდებულებს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს, მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში, უარი თქვან ფეხმძიმე ქალების ან მცირეწლოვანი ბავშვების დედებისათვის შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული სამართლადარღვევისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანაზე. ასეთი ქალების მიმართ განაჩენი არ უნდა აღსრულდეს.

ბავშვთა უფლებების შესახებ არსებული კონვენციის დამატებითი ოქმი, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა 2002 წლის 21 ივნისის №1571-II-ს დადგენილებით. ბავშვთა უფლებების დაცვა მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნებისათვის პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში მრავალ ქვეყანაში მომხდარმა კონ-

ფლიქტებმა დაადასტურეს, რომ ბავშვებს განსაკუთრებული დაცვა სჭირდებათ.

შეიარაღებულ კონფლიქტთა მაენე და ფართომასშტაბიანი ზეგავლენისა და იმ ხანგრძლივი შედეგების გამო, რომლებიც ხელს უშლის მტკიცე მშვიდობას, უსაფრთხოებას, უპირატესად აისახება ბავშვთა მდგომარეობაზე.

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტის მიღებას სამხედრო დანაშაულად მოყვა ისეთ ქმედებათა კვალიფიკაცია, რაც დაკავშირებულია 15 წლამდე ასაკის ბავშვთა სამხედრო სასახურში გაწვევასთან ან მათ მობილიზაციასთან, აგრეთვე, მათ აქტიურ გამოყენებასთან საომარ მოქმედებებში, რომელიც საერთაშორისო, ასევე, არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებში მათ ჩაბმას ეხება. ამდენად, ამის გაუთვალისწინებლობა ს.პ.ს., ნორმათა დარღვევაა.

ბავშვთა უფლებების შესახებ არსებული კონვენციის I მუხლი ითვალისწინებს იმას, რომ მოცემული კონვენციის მიხედვით, ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაბამისი კანონით, ბავშვი სრულწლოვანებას უფრო ადრე აღწევს.

კონვენციის დამატებითი ოქმის მიზანია, გაზარდოს სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც ზრდის შეიარაღებულ ძალებში შესაძლო გაწვევისა და მათ სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობის ასაკს. რადგანაც ამის ალბათობა არსებობს, ამიტომ ოქმის ძირითადი დატვირთვაა, ეფექტური გახადოს იმ პრინციპების განხორციელება, რომლის მიხედვითაც, ბავშვებთან დაკავშირებული ყოველი მოქმედება უნდა ითვალისწინებდეს, უპირველს ყოვლისა,ბავშვის ინტერესების განსაკუთრებულ დაცვას.

1995 წლის დეკემბერში, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ოცდამეექვსე საერთაშორისო კონფერენციამ რეკომენდაცია გაუწია კონფლიქტში მონაწილე მხარეებს, გაატარონ ყველა შესაძლო ზომა იმისათვის, რომ 18 წლამდე ასაკის ბავშვებმა მონაწილეობა არ მიიღონ სამხედრო მოქმედებებში. გარდა ამისა, 1999 წლის ივნისში მიღებულმა შრომის ორგანიზაციის №182 კონვენციამ ერთსულოვნად აღიარა ბავშვთა შრომის ყველაზე უარესი ფორმების სასწრაფო აღმოფხვრა და მათი

აკრძალვა. დაიგმო ბავშვთა დაქირავება, მათი ჩართვა სამხედრო წვრთნებში და საბოლოოდ, მათი გამოყენება საომარ მოქმედებებში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

ამასთანავე, მხედველობაში იქნა მიღებული მშვიდობისა და უსაფრთხოების პირობები, რომლებიც დამყარებულია წესდებაში მოცემული მიზნებისა და პრინციპების სრულ პატივისცემაზე. ასევე, ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში არსებულ ხელშეკრულებათა შესრულებაზე, რაც წარმოადგენს ბავშვთა დაცვის აუცილებელ პირობას, განსაკუთრებით შეიარაღებული კონფლიქტებისა და უცხოური ოკუპაციის დროს.

აღნიშნული პირობები არანაირად არ უშლის ხელს და ზიანს არ აყენებს გაეროს წესდების მიზნებსა და პრინციპებს. ასევე, ჰუმანიტარული სამართლის შესაბამის ნორმებს, 51 -ე მუხლის ჩათვლით.

ასევე, გასათვალისწინებელია აღნიშნული ოქმის საწინააღდეგოდ, იმ ბავშვთა განსაკუთრებული მოთხოვნები, რომლებიც მათი ეკონომიკური ან სოციალური მდგომარეობისა ან სქესის გამო, განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან მათი დაქირავებისა და სამხედრო მოქმედებებში გამოყენების მიმართ.

კონვენციისა და შესაბამისი ოქმის მოთხოვნათა განხორციელება შეუძლებელი იქნება, თუ არ გაძლიერდება სახელმწიფოთა თანამშრომლობა შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლ ბავშვთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის მიზნით.

აღნიშნული ოქმის პირველივე მუხლი ავალებს მონაწილე სახელმწიფოებს, მიიღონ ყველა ზომა, რათა მათ შეიარაღებულ ძალებში, 18 წლამდე ასაკის პირებმა არ მიიღონ პირდაპირი მონაწილეობა სამხედრო მოქმედებებში. ასევე, არ იყვნენ გაწვეული სავალდებულო შეიარაღებულ ძალებში18 წლამდე ასაკის პირები. გარდა ამისა, არ უნდა მოხდეს 18 წლამდე ასაკის პირების ძალდატანებითი ან იძულებითი გაწვევა. ოქმის მე-4 მუხლით, შეიარაღებულმა ჯგუფებმა, რომლებიც არ წარმოადგენენ სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს, არანაირ ვითარებაში არ უნდა დაიქირავონ ან გამოიყენონ სამხედრო მოქმედებებში 18 წლამდე ასაკის პირები.

სამაგიეროდ, ოქმის მე-5 მუხლი არ ზღუდავს მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის ან საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმ დებულებების შესრულებას, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვთა უფლებების ეფექტურ განხორციელებას.[1]

ოქმის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მიიღონ ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებზეც ვრცელდება მათი იურისდიქცია, რათა ისინი მოცემული ოქმის საწინააღმდეგოდ, დაქირავებული ან გამოყენებული არ იქნენ სამხედრო მოქმედებებში. ასეთი შემთხვევის გამოვლენის შემთხვევაში, პირები დემობილიზებული ან გათავისუფლებული უნდა იქნან სამხედრო სამსახურიდან. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს ზრუნვა ბავშვებზე: აუცილებელი დახმარების გაწევა, განათლების უფლების უზრუნველყოფა. ტარდება ყველა აუცილებელი ზომა დაცილებული ოჯახის გაერთიანებისათვის (II ოქმი, მუხ. 2, 4, 5). დაჭრილებს, ავადმყოფებს და აშ. ექცევიან ჰუმანურად, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდნენ ისინი შეიარაღებულ კონფლიქტში თუ არა (ოქმი II, მუხ. 7).

საჭიროების შემთხვევაში და შეძლებისდაგვარად, მათი მშობლების ან იმ პირთა თანხმობით, რომლებიც კანონით ან წეს-ჩვეულების თანახმად პასუხს აგებენ მათ მზრუნველობაზე, მიიღება ზომები საომარი მოქმედებების რაიონიდან ბავშვების დროებითი ევაკუაციისათვის ქვეყნის შიდა, შედარებით უსაფრთხო რაიონებში. ამასთან ერთად, უზრუნველყოფენ მათ უსაფრთხოებაზე და კეთილდღეობაზე პასუხისმგებელ პირთა თანხლებას.

საჭიროების შემთხვევაში, ბავშვებს სახელმწიფოები აღმოუჩენენ ყოველგვარ საჭირო დახმარებას მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის აღდგენისა და მათი სოციალური რეინტეგრაციის მიზნით.

ჟენევის კონვენციის I ოქმი კონფლიქტის მონაწილე მხარეებს ავალდებულებს, მიიღონ ყველა შესაძლებელი ზომა, რათა 15 წლამდე ასაკის ბავშვებმა არ მიიღონ უშუალო

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ. 203-212.

მონაწილეობა საომარ მოქმედებებში. კერძოდ, მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ შეიარაღებულ ძალებში მათი გაწვევისაგან. იმ პირების გაწვევისას, რომელთაც ჯერ არ შესრულებიათ 18 წელი, კონფლიქტის მონაწილე მხარეები უნდა შეეცადონ, უპირატესობა მიანიჭონ შედარებით უფროსი ასაკის პირებს.

მაგრამ, არსებობს გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც ზემოაღნიშნულის მიუხედავად, 15 წლამდე ასაკის ბავშვები უშუალო მონაწილეობას იღებენ საომარ მოქმდებებში და მოწინააღმდეგის ხელში ხვდებიან. ამ შემთხვევაში, ისინი შესაბამისი უფლებებით განაგრძობენ სარგებლობას, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი სამხედრო ტყვეები.

შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული მრავალი მიზეზის გამო დაპატიმრებულ, დაკავებულ ან ინტერნირებულ ბავშვებს ცალკე უნდა ათავსებდნენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოჯახს ერთად ათავსებენ.[1]

გარდა ზემოაღნიშნულისა, ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების II დამატებითი ოქმის (არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ ნაწილი II – ჰუმანური მოპყრობის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის) მიხედვით, ბავშვები უზრუნველყოფილი არიან აუცილებელი მზრუნველობითა და დამხმარებით.

ჰანს-პეტერ გასერი ტერმინში „უმწეონი", გულისხმობს მეომარ მხარეთა მოქალაქეებს, რომლებმაც ბრძოლა შეწყვიტეს ჭრილობების გამო, ხომალდის კატასტროფაში მოყვნენ ან ნებით დაყარეს იარაღი. ეს განსაზღვრა ითავსებს სამხედრო და სამოქალაქო ტყვეებს, აგრეთვე პირებს, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარის ხელში იმყოფებიან, განსაკუთრებით მისი სამხედრო ოკუპაციის პირობებში და უპირველესად გულისხმობს ქალებსა და ბავშვებსაც.[2]

ასეთ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, ინტერნირებულნი არიან ისინი თუ დაკავებულნი (იგულისხმებიან პირები, რომლებიც არ მონაწილეობენ ან

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ. 150-151.

[2] ჰანს-პეტერ გასერი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (შესავალი), თბ. 1999წ. გვ.56.

შეწყვიტეს მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში. პატიმრები, ასევე მეომარი მხარის მიერ დაკავებულები შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში), განისაზღვრება II ოქმში მოცემული ნორმებით. მათ აქვთ თავიანთი პიროვნების, ღირსების, რწმენისა და რელიგიური წეს-ჩვეულების პატივისცემის უფლება. ნებისმიერ შემთხვევაში, მათ ექცევიან ჰუმანურად, რაიმე არაკეთილსასურველი განსხვავების გარეშე.[1]

ასეთ პირთა მიმართ აკრძალულია შემდეგი მოქმედებები:

- ბრძანების გაცემა, რომ ცოცხალი არავინ დატოვონ;
- სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის ხელყოფა, სასტიკი მოპყრობა (წამება, დასახიჩრება, სახელმწიფოებრივი დასჯის ნებისმიერი ფორმა);
- კოლექტიური დასჯა, მძევლად აყვანა, ტერორიზმის აქტები;
- ადამიანური ღირსების შელახვა (დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მოქცევა, გაუპატიურება, ნებისმიერი ფორმის უხამსი მოპყრობა);
- მონობა და მონათვაჭრობა – 15 წელს მიუღწეველ პირთა დაქირავება შეიარაღებულ ძალებში ან ძალის დატანება საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად.
- ძარცვა, აგრეთვე, ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი ქმედების განხორციელების მუქარა.

ამ ნაწილში წარმოდგენილი პრობლემა ეხება ქალთა მიმართ ძალადობას. კაცებმა უნდა ისწავლონ გადაჭრან საერთაშორისო კონფლიქტები ძალადობის გამოყენების გარეშე. ძალადობა არის ის, რასაც კაცები იყენებენ ქალების ნების წინააღმდეგ.[2]

ასეთია მოკლედ, ქალებისა და ბავშვების, ასევე, „უმწეოთა“ მიმართ ჰუმანური მოპყრობის ძირითადი გარანტიები, რომელთაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ითვალისწინებს.

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ.191.

[2] International Review of the Red Cross, "Women", Volume 92 Number 877 March 2010(ICRC). p.155.

თავი VII

სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების დაცვა

§1. სამოქალაქო მოსახლეობის საერთაშორისო სამართლებრივი დაცვა შეიარაღებული კონფლიქტების დროს

ჰანს-პეტერ გასერი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის პრობლემას შეიარაღებული კონფლიქტების დროს: „სამოქალაქო მოსახლეობა საომარ მოქმედებათა შედეგებისაგან ძირითადი დაცვის ობიექტია",[1] რადგანაც შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში ისინი ყველაზე უფრო ხშირად განიცდიან ტანჯვასა და ომის მძიმე შედეგებს. სრულიად უდანაშაულო ადამიანები, რომლებსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ, საომარ მოქმედებებში, ყველაზე მეტად ზარალდებიან სამხედრო-პოლიტიკური ამბიციების შედეგად.

შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში სამოქალაქო მოსახლეობის სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება სახელეთო ომის კანონებისა და წესების შესახებ არსებული 1907 წლის კონვენციით, IV კონვენციით, 1999 წლის ჟენევის კონვენციების I და II დამატებითი ოქმებით (1977 წ). თუმცა, სამხედრო ტექნიკის განვითარების პროცესს საგრძნობლად ჩამორჩება ამ ტენდენციის შედეგად მიღებული, იარაღის ამკრძალავი ნორმების კოდიფიცირების პროცესი. მაგალითად, 1977 წლის I ოქმის მიღებამდე, არ არსებობდა სამოქალაქო მოსახლეობის დაბომბვისაგან დამცავი სახელშეკრულებო ნორმა. აღნიშნული საკითხი ჩვეულებითი სამართლის ფარგლებში რომ ყოფილიყო მოწესრიგებული, პრობლემა ნაკლებად წარმოშობოდა კითხვებს. სახელმწიფოთა პრაქტიკა ომის კანონების შესახებ, მეტწილად, უშუალოდ ომის დროს ვითარდება, რის გამოც მას განგრძობადობა აკლია; ომების უმეტესობა ხანგრძლივი არ არის.

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ.199.

ტექნოლოგიური ცვლილებები რადიკალურად ვითარდება, რის გამოც ყოველი ახალი ომი განხვავდება წინამორბედისგან. ასევე ძნელია opinio iuris-ის დადგენა, რადგანაც სახელმწიფოები იშვიათად იძლევიან ომის დროს განხორციელებული ქმედებების სამართლებრივ შეფასებას,[1] რადგანაც სამოქალაქო მოსახლეობა და ცალკეული პირები საომარ ოპერაციებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საფრთხისაგან საერთო დაცვით სარგებლობენ.

I დამატებითი ოქმის 51-ე მუხლში ასახულია ნორმა, რომლის თანახმადაც „სამოქალაქო მოსახლეობა, როგორც ასეთი, აგრეთვე ცალკეული სამოქალაქო პირები არ უნდა წარმოადგენდნენ თავდასხმის ობიექტს".[2] ამ ნორმის ევოლუცია ეფუძნება თანამედროვე შეიარაღებული კონფლიქტების ისტორიულ გამოცდილებას, რომელიც მოწმობს სულ უფრო მზარდი მსხვერპლის არსებობის შესახებ სამოქალაქო მოსახლეობაში. პირველ მსოფლიო ომში სამხედრო დანაკარგები შეადგენდა 95%-ს, ხოლო დანაკარგები სამოქალაქო მოსახლეობაში – 48%-ს. მშვიდობიანი მოსახლეობის დანაკარგების ზრდის ტენდენციას ადგილი ჰქონდა შემდგომ ომებში: კორეის ომის დროს სამხედრო დანაკარგებმა შეადგინა 96%, ხოლო სამოქალაქომ – 84%. აშშ-ს აგრესიის პერიოდში ვიეტნამში, ამან შესაბამისად შეადგინა 90%, ხოლო ისრაელის ომის დროს ლიბანში, სამოქალაქო მოსახლეობის მსხვერპლის ხვედრითი წილი გაიზარდა 95%-მდე.

სამოქალაქო მოსახლეობის სამართლებრივი დაცვა ხორციელდება როგორც საერთაშორისო, ისე არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ერთ-ერთი მეომარი მხარე არ აღიარებს ომის მდგომარეობას. ამასთან, ჰუმანიტარული ნორმები ეხება კონფლიქტში მყოფი ქვეყნის მთელ მოსახლეობას, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე. ისინი იქითკენაა მიმართული, რომ ხელი შეუწყონ მათ უსაფრთხოებას.

მეომარი მხარეები უზრუნველყოფენ მათ დაცვას ნებისმიერი სახის ხელყოფისაგან და იმ დახმარებით, რომელსაც ისინი საჭიროებენ ასაკის, სქესისა და სხვა პარამეტრების გათ-

[1] ჰ.ჰ. გასერი, დას. ნაშ. გვ. 376.

[2] იქვე, გვ. 134.

ვალისწინებით. ყველა პრაქტიკული ზომა მიიღება იმისათვის, რომ 15 წელს მიუღწეველმა ბავშვებმა არ მიიღონ მონაწილეობა საომარ მოქმედებებში. 18 წელს მიუღწეველი მოზარდების მიერ სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, სასიკვდილო განაჩენი არ მოჰყავთ სისრულეში. მეომარ მხარეს არა აქვს ბავშვების ევაკუირების უფლება, გარდა საკუთარი მოქალაქეებისა, უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე, იმ დროებითი ევაკუაციის შემთხვევათა გარდა, რომელიც გამოწვეულია ჯანმრთელობის მდგომარეობით ან მკურნალობის აუცილებლობით.

ნებისმიერი სამხედრო მოქმედება უნდა ხორციელდებოდეს მოქალაქეების მაქსიმალური დაცვის მიზნით და მათ მიმართ პატივისცემით, რაც კანონმდებლობითაა განსაზღვრული.[1]

სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ არ უნდა იქნას გამოყენებული ფიზიკური ან მორალური ზემოქმედების ღონისძიებები მისგან ან მესამე პირისაგან რაიმე ცნობების მიღების მიზნით. შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში, მეომარ სახელმწიფოებს ეკრძალებათ სამოქალაქო მოსახლეობისათვის ფიზიკური ტანჯვის მიყენება ან ისეთი ქმედების განხორციელება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მისი დაღუპვა: მკვლელობა, წამება, დასახიჩრება, სამეცნიერო ცდები, სხვაგვარი ძალადობა მეომარი მხარის სამოქალაქო ან სამხედრო წარმომადგენლების მხრიდან. გარდა ამისა, იკრძალება შემდეგი მოქმედებები: კოლექტიური დასჯა, შიმშილის გამოყენება სამოქალაქო მოსახლეობაში, როგორც ომის წარმოების მეთოდი, ტერორი, ყაჩაღობა, მძევალთა აყვანა. სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ არ უნდა განხორციელდეს თავდასხმა, აგრეთვე თავდასხმები, როგორც რეპრესალიები.

დაუშვებელია ძალადობის აქტები ან ძალადობის მუქარა, რომლის მიზანსაც შეადგენს სამოქალაქო მოსახლეობის ტერორიზება, აგრეთვე, განურჩეველი სახის თავდასხმები. ასეთი სახის ქმედებებს მიეკუთვნება: თავდასხმები, რომლებიც არ არის მიმართული კონკრეტული სამხედრო ობიექტებისაკენ, დაბომბვები ნებისმიერი მეთოდით ან საშუალებებით, რომელთა დროსაც ერთიან სამხედრო ობიექტად განიხილება ქალაქად თუ

---

[1] International Review of the Red Cross. The Future of Humanitarian Action. Volume 93, N 884, December, 2011, p. 107.

სოფლად, ან სხვაგან, ერთმანეთისაგან აშკარად შორს მდგომი სამხედრო ობიექტები, თავდასხმები, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს დანაკარგები სამოქალაქო მოსახლეობაში, სამოქალაქო პირთა დაჭრა და სამოქალაქო ობიექტებისთვის ზიანის მიყენება.

გარდა ამისა, არ შეიძლება სამოქალაქო მოსახლეობის ან ცალკეული სამოქალაქო პირების გამოყენება გარკვეული პუნქტების, სამოქალაქო ობიექტების ან სამხედრო მოქმედების რაიონების დაფარვისათვის (I დამატებითი ოქმის მუხ. 51).

„სამოქალაქო მოსახლეობა" განსაზღვრული იყო როგორც „ყველა ის პირი, რომელიც არ იყო ჩარიცხული კომბატანტთა სამსახურის რომელიმე შტოში, ან რომელიც არ იყო დასაქმებული ან დაკავებული რაიმე სამხედრო დაწესებულებაში". „სამხედრო დაწესებულება" განმარტებული იყო იმგვარად, რომ ის მოიცავდა „სამხედრო, სამხედრო-საზღვაო ან სამხედრო-საჰაერო დაწესებულებებს, ყაზარმებს, არსენალს, შეიარაღების სამხედრო-საზღვაო დოკებს, თავდაცვითი თუ თავდასხმითი დანიშნულების სიმაგრეებსა თუ გამაგრებულ ადგილებს, ან სანგრებს". ამგვარად გაჩნდა 51 (3) მუხლის წინამორბედი, კვაზი-კომბატანტის სახით; ეს არის პირი, „სამხედრო დანიშნულების დაწესებულებაში დასაქმების ან მუშაობის პერიოდში", როგორიცაა, მაგალითად, საბრძოლო მასალის ქარხანა. ერთი შეხედვით თითქოს ჩანს, რომ როდესაც ეს პირები წყვეტენ საქმიანობას სამხედრო დანიშნულების დაწესებულებაში, ან სავარაუდოდ, ბრუნდებიან თავიანთ სახლებში, ისინი კვლავ იბრუნებენ სამოქალაქო მოსახლეობისათვის განკუთვნილ დაცვას. მიუხედავად ამისა, კონვენციის პროექტი არც ხელმოწერილი და არც მიღებული არ ყოფილა მეორე მსოფლიო ომის დასაწყისის მოახლოების გამო.

ე. ქემინსი განიხილავს ომის მიზანში წვლილის შეტანის პრობლემას, რომელიც სამოქალაქო მოსახლეობას უკავშირდება. კერძოდ, რა როლს თამაშობს სამოქალაქო მოსახლეობა ომის ბედის გადაწყვეტის საქმეში, რაც უკავშირდება შრომით საქმიანობას. შესაბამისად, წარმოადგენენ თუ არა და თუ არ წარმოადგენდნენ – რა მოტივით, საბრძოლო მასალის მწარმოებელი მუშაკები ლეგიტიმურ სამიზნეს? საკითხი დავის საგნად რჩე-

ბოდა მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას და მის შემდგომ პერიოდშიც.

მეომარი მხარეები, სამოქალაქო მოსახლეობის პატივისცემისა და დაცვის მიზნით, ვალდებულნი არიან ყოველთვის განასხვავონ ერთმანეთისაგან სამოქალაქო მოსახლეობა და კომბატანტები. სამხედრო მოქმედების დროს, მეომარი მხარეები მოვალენი არიან დაინდონ სამოქალაქო მოსახლეობა და სამოქალაქო პირები.

51-ე მუხლი, რომელიც მისი პრაქტიკული მნიშვნელობის გამო, უფრო დაწვრილებით განხილვას ექვემდებარება, აზუსტებს, რომ სამოქალაქო პირები დაცვით სარგებლობენ მანამ, სანამ მონაწილეობას არ იღებენ საომარ მოქმედებებში.[1]

შეიარაღებისა და საბრძოლო მასალის დამამზადებელი მუშაკები არ იყვნენ ერთადერთი სამოქალაქო პირები, რომელთაც თავდასხმის საფრთხე ემუქრებოდათ, განსაკუთრებით, ციდან. მეორე მსოფიო ომის ბოლოსაკენ, ომს უყურებდნენ როგორც ტოტალიტარულ საკითხს, რომელშიც ყველა ქვეყნის სამოქალაქო პირებს შეჰქონდათ წვლილი ინდუსტრიის განვითარებითა თუ სხვა სახის მხარდაჭერის მეშვეობით. მაშინ, როდესაც სახელმწიფოები თავდაპირველად იღვწოდნენ, თავიდან აერიდებინათ პირდაპირი იერიში სამოქალაქო პირებზე, რამდენდაც კონფლიქტი ვითარდებოდა, სამხედრო აუცილებლობის არასწორად აღქმულმა საჭიროებებმა ძირი გამოუთხარეს ამ სტანდარტს. შესაბამისად, საჰაერო დაბომბვის არეალი და ინტენსივობა დიდი ხნის განმავლობაში ფართოვდებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს. სპეციალისტებს მიაჩნდათ, რომ თავდაპირველად დაბომბვა შემოფარგლული იყო სამხედრო სამიზნეებით, უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების განვითარების არეალში. შემდეგ, დაბომბვა გავრცელდა ისეთ სამხედრო სამიზნეებზე, როგორებიცაა ქარხნები, კომუნიკაციის საშუალებები და მსგავსი ობიექტები მოწინააღმდეგის ზურგში, თუმცა, გარკვეული ყურადღება ეთმობოდა სამოქალაქო მოსახლეობას. საბოლოოდ, ხშირ შემთხვევებში, მან მიიღო მთელი ქალაქების დაბომბვის სახე იმ მიზნით, რათა უარყოფითი გავლენა მოეხდინა სამოქალაქო პირების სულიერ სიმტკიცეზე.

---

[1] ჰ.ჰ. გასერი, დას. ნაშ. გვ. 135

ე. ქემინსი ეთანხმება იმ აზრს, რომ სამოქალაქო მოსახლეობის დაზიანების ხელშემწყობი ეკონომიკური მიზეზები საკმაოდ მრავლად იყო და „მათი თითქოს ნებაყოფლობითი მონაწილეობა ომის წარმოების თუ გაგრძელების გადაწყვეტილებებში, ბადებდა მაცდურ ვარაუდს, რომ ისინი იმსახურებდნენ ამ დაზიანებას. სამოქალაქო ობიექტების დაუჯერებელი დაბომბვის გავრცელებული პრაქტიკა ართულებდა იმის მტკიცებას, რომ სამოქალაქო მოსახლეობაზე პირდაპირი იერიშების მიტანა, ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართალს. ამავდროულად, სამეცნიერო წრეებში არსებობდა კონსენსუსი ერთ საკითხზე: ეს იყო სამოქალაქო მოსახლეობაზე იერიშის მიტანის უკანონობა, მხოლოდ და მხოლოდ მისი დატერორების მიზნით.

სამოქალაქო მოსახლეობის დაბომბვის პრაქტიკამ, რათა მოესპოთ მათ მიერ საბრძოლო მოქმედებებში ზოგადად წვლილის შეტანის შესაძლებლობა ან დაეტერორებინათ ის, დიდი გავლენა მოახდინა პირველი დამატებითი ოქმის ჩამოყალიბებაზე; დაბომბვები ტერორის გარცელების მიზნით ცალსახად აიკრძალა 51 (2) მუხლით. უფრო მეტიც, 51 (3) მუხლის მოთხოვნების მიხედვით, საბრძოლო მოქმედებებში პირდაპირი მონაწილეობის ცნება იმგვარად არის ფორმულირებული, რომ უზრუნველყოს ზოგადი წვლილის შეტანის არასაკმარისი ხასიათი სამოქალაქო მოსახლეობაზე იერიშის მისატანად.[1]

სჰს-ში აქცენტი გაკეთებულია ხელშეუხებლობის უფლებით სამოქალაქო საავადმყოფოების უზრუნველყოფაზე, რომლებიც შექმნილია დაჭრილების, ავადმყოფების, ინვალიდების, მშობიარეთა და ა.შ. დასახმარებლად. ეს კონტინგენტი და აგრეთვე, საავადმყოფოების პერსონალი, ადმინისტრაციის ჩათვლით, იმყოფება სჰს-ის დაცვის ქვეშ (IV კონვენციის მუხ. 18-20).

უცხოელებს აქვთ უფლება, დატოვონ ის ტერიტორია, რომელზეც ისინი იმყოფებიან, საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე ან მის მსვლელობაში, თუ მათი გასვლა არ ეწინააღმდეგება მოცემული ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებს. ასეთ პირთა

---

[1] ე. ქემინსი. წარსული, როგორც შესავალი სამოქალაქო იმუნიტეტიდან, „უშუალო მონაწილეობის" გამონაკლისის განვითარება. 2008წ. დეკემბერი, №872

შუამდგომლობა განიხილება დადგენილი წესის შესაბამისად. თუ რომელიმე პირი უარს მიიღებს ტერიტორიის დატოვებასთან დაკავშირებით, მას შეუძლია გაასაჩივროს ეს უარი სასამართლოში ან შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში.

კანონმდებლობა ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის შესახებ, ითვალისწინებს სამოქალაქო მოსახლეობის სამართლებრივ დაცვას და ასევე, უზრუნველყოფილ ღონისძიებებს მოწინააღმდეგის მიერ, თუნდაც დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოკუპაცია არავითარ შეიარაღებულ წინააღმდეგობას არ წააწყდება. ამასთან, ტერიტორია დაკავებულად ჩაითვლება, თუ ის ნამდვილად იმყოფება მტრის არმიის ძალაუფლების ქვეშ, ე.ი. თუ ასეთი ძალაუფლება დამყარებულია და მის მიერ ხორციელდება სრული კონტროლი განსაზღვრულ რაიონში. სჰს-ის ნორმების შესაბამისად, საოკუპაციო ძალები ვალდებულნი არიან მიიღონ მათზე დამოკიდებული ყველა ზომა, რათა, რამდენადაც შესაძლებელია, აღადგინონ და შეინარჩუნონ საზოგადოებრივი წესრიგი და საზოგადოებრივი ცხოვრება, უზრუნველყონ ქვეყანაში არსებული კანონების, ცალკეულ პირთა ღირსებისა და საოჯახო უფლებების, მათი რელიგიური სარწმუნოების დაცვა.

სახელმწიფოს სუვერენიტეტი მოწინააღმდეგის მიერ დროებით დაპყრობილ ტერიტორიაზე, ავტომატურად არ გადადის ოკუპანტზე. შემდგომში, ასეთი ტერიტორიის ბედი, როგორც წესი, მშვიდობიანი გზით წყდება.

საერთაშორისო სამართალში ოკუპაციის ორ გაგებას ვხვდებით: 1) „ტერრა ნულლიუს“ (არავისი მიწის) ათვისება-დაკავება და 2) სამხედრო ოკუპაცია ძალის გამოყენებით. სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მიწის ნაწილის დროებით დაკავება.[1]

ოკუპაციის განმახორციელებელ სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს იმ სასურსათო მარაგისა და მედიკამენტების რეკვიზირება, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფება, ოღონდ, სამოქალაქო მოსახლეობის საჭიროების გათვალისწინებით.

---

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ. 2003წ. გვ.211.

აკრძალულია, ნებისმიერი საბაბით განდევნა, ასევე, დეპორტირება (სამოქალაქო მოსახლეობის გასახლება ოკუპირებული ტერიტორიიდან ოკუპაციის განმახორციელებელი სახელმწიფოს ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ოკუპანტ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, აიძულოს მის მფარველობაში მყოფი პირები, იმსახურონ მის შეიარაღებულ ძალებში. ასევე, აკრძალულია სამოქალაქო მოსახლეობის იძულება, მტრული სახელმწიფოს არმიაში ნებაყოფლობითი შესვლის მიზნით.

სჰს-ის ნორმათა შესაბამისად, იკრძალება შემდეგი ქმედებები: უძრავი და მოძრავი ქონების განადგურება, რომელიც ითვლება მტრული სახელმწიფოს და მის ცალკეულ პირთა სახელმწიფო, კოლექტიურ საკუთრებად; მძევლების აყვანა სამოქალაქო პირთა რიცხვიდან. თანამდებობის პირთა ან მოსამართლეების სტატუსის შეცვლა, მათ მიმართ სანქციების ან იძულების რაიმე ზომების განხორციელება. დისკრიმინაციის გატარება იმ ნიშნით, რომ ისინი თავს იკავებენ საკუთარ მოვალეობათა განხორციელებისაგან მორალური მოსაზრებით; ამ ღონისძიებათა გატარება, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ გამოწვეული იქნას უმუშევრობა ან შეიზღუდოს მუშაობის შესაძლებლობა ოკუპირებული ტერიტორიის მოქალაქეთათვის, ოკუპანტ სახელმწიფოზე მუშაობის იძულების მიზნით.

ოკუპანტს შეუძლია, ჩააბას სამოქალაქო მოსახლეობა შრომით საქმიანობაში, გარდა იმ სამუშაოსი, რომელიც აიძულებდა მას, მიეღო მონაწილეობა საომარ მოქმედებებში. ოკუპირებული ტერიტორიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ძალაში რჩება. იგი შეიძლება გაუქმდეს ან შეჩერდეს ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ იმ შემთხვევაში, თუ მის სახელმწიფოს უქმნის საფრთხეს, ან ხელს უშლის სჰს-ის ნორმათა გამოყენებას. ამის გათვალისწინებით, მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელებისათვის, ოკუპირებული ტერიტორიის სასამართლო ორგანოები აგრძელებენ კანონმდებლობით გათვალისწინებული თავიანთი ფუნქციების შესრულებას.

ოკუპანტ სახელმწიფოს, სამოქალაქო პირთა მიმართ უმაღლესი ზომა შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი დამნაშავეები არიან ჯაშუშობაში, დივერსიულ აქტებში, რომლებიც მიმართულია ოკუპანტი სახ-

ელმწიფოს სამხედრო ობიექტებზე, ან განზრახ სამართალდარღვევებში, რომლებიც ერთი ან რამდენიმე პირის სიკვდილის მიზეზი გახდა. ან თუ სისხლის სამართლის ნორმები ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედებდნენ ამ ოკუპაციის დაწყებამდე და ისინი ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას.

საერთოდ კი, ოკუპანტი ქვეყნის მიერ გამოცემული დადგენილებების დარღვევის შემთხვევაში, რომლებიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, ბრალდებული პირები შეიძლება მიეცნენ პასუხისგებაში ოკუპანტის მიერ კანონიერი სახით შექმნილ სამხედრო სასამართლოში, ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ამ უკანასკნელის არსებობის პირობებში, მეორე ინსტანციის მოსამართლეები ვალდებულნი არიან, განიხილონ საქმეები, უპირატესად ოკუპირებულ ქვეყანაში.

ნებისმიერი პირი, რომელსაც ბრალი წაეყენება ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ინფორმირებული ამის შესახებ წერილობითი ფორმით, მისთვის გასაგებ ენაზე, მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებათა გადმოცემით.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ითვალისწინებს ინტერნირებულ პირთა სამართლებრივ მდგომარეობას, რადგანაც მეომარი სახელმწიფოები, რომლებიც ახორციელებენ სამოქალაქო პირთა ინტერნირებას, ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მათი დაკმაყოფილება აუცილებელი პირობებით: კვებით, სამედიცინო დახმარებით. ინტერნირებულთა განთავსება ხორციელდება მათი მოქალაქეობის ენის ფლობის და არსებული ადათების გათვალისწინებით. ერთი და იმავე ოჯახის წევრები, განსაკუთრებით, მშობლები და მათი შვილები, განთავსდებიან ინტერნირების ერთსა და იმავე ადგილას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამუშაოს შესრულება, ჯანმრთელობის მდგომარეობა ან პასუხისგებაში მიცემა, წარმოადგენს ოჯახის წევრთა დაცალკევების მიზეზს. საომარი ვითარებისა და საბრძოლო მოქმედებების გათვალისწინებით, ბანაკები, რომლებშიც ინტერნირებულები არიან განლაგებულნი, აღინიშნება ასოებით – „IC“ – ისე, რომ მკაფიოდ შესამჩნევი უნდა იყოს დღისით ჰაერიდან. ინტერნირებული პირები ცალკე განთავსებულნი უნდა იყვნენ სამხედრო მოსამსახურეთაგან და იმ პირებისაგან, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა აქვთ მის-

ჯილი. მათთვის იქმნება ცალკეული ადმინისტრაცია. კვება უნდა იყოს მრავალფეროვანი და ისეთი, რომ მან უზრუნველყოს ჯანმრთელობის ნორმალური მდგომარეობა.

მათ აქვთ უფლება, მიიღონ სამედიცინო დახმარება.

მეომარ ქვეყანას, რომლის ვალდებულების ქვეშაც იმყოფებიან ინტერნირებულები, შეუძლია ჩააბას ისინი შრომით საქმიანობაში, თუ ისინი ისურვებენ. არ შეიძლება აიძულო ისინი, შეასრულონ ისეთი სამუშაო, რომელიც შეურაცხმყოფელ ან დამამცირებელ ხასიათს ატარებს.

ინტერნირებულებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ პირადი სარგებლობის ნივთები და საგნები.

ინტერნირებულთა ხელმძღვანელობას ახორციელებს ოფიცერი ან თანამდებობის პირი იმ მეომარი მხარის რეგულარული შეიარაღებული ძალებიდან ან სამოქალაქო ადმინისტრაციის კადრებიდან, რომლის ძალუფლების ქვეშაც იმყოფებიან ინტერნირებულები. ოფიცერს, ან სხვა თანამდებობის პირს, უნდა ჰქონდეს IV კონვენციის, I და II დამატებითი ოქმების (1977წ). ტექსტები თანამეგობრობის ქვეყნის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე და დაკისრებული აქვს პასუხისმგებლობა მათ დაცვაზე.

ინტერნირებულთა დისციპლინური დაცვა, თავსებადი უნდა იყოს ჰუმანურობის პრინციპებთან. მათ აქვთ საჩივრის შეტანის უფლება, მათი შენახვის დადგენილი რეჟიმის დარღვევასთან დაკავშირებით.

ინტერნირებულ პირთა სისხლის სამართლებრივი და დისციპლინარული დასჯა ხდება მიმღები ქვეყნის კანონმდებლობით. იგი მთლიანად ვრცელდება პირებზე, მათ მიერ სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში არაინტერნირებულ პირთა მიმართ. ასევე, კანონმდებლობაში გათვალისწინებულია, რომ ერთი და იმავე სამართალდარღვევებისათვის ან ერთი და იმავე ბრალდებით ინტერნირებული, მხოლოდ ერთხელ შეიძლება დაისაჯოს.

სასჯელის განსაზღვრისას, მოსამართლეები და სხვა სახელმწიფო ორგანოები, რომელთა ძალაუფლების ქვეშაც ინტერნირებულები იმყოფებიან, ითვალისწინებენ, რომ ბრალდებული არ ითვლება მათი ქვეყნის მოქალაქედ. ინტერნირებულების მიმართ, შეიძლება შეირჩეს შემდეგი დისციპლინური სასჯელები:

– ჯარიმა, რომელიც არ აღემატება ხელფასის 50%-ს. არაუმეტეს, 30 დღისათვის;
– რიგგარეშე განაწესი, არაუმეტეს, 2 საათისა დღეში და დაკავშირებული ბანაკის მოვლასთან;
– პატიმრობა.

დისციპლინური სასჯელები არ უნდა იყოს არაადამიანური, სასტიკი ან სახიფათო, ინტერნირებულის ჯანმრთელობისათვის. გაქცევის მცდელობის ან გაქცევის შემდეგ დაჭერილი ინტერნირებულები მხოლოდ დისციპლინურ სასჯელს ექვემდებარებიან იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთ მცდელობებს არაერთგზის ჰქონიათ ადგილი. ინტერნირებულების მიერ დისციპლინის დარღვევის ფაქტებზე ტარდება მოკვლევა, დგინდება პატიმრობის მინიმალური ვადა, რომელიც ორ კვირას არ უნდა აღემატებოდეს.

ინტერნირება წყდება რაც შეიძლება მალე, საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ. მაგრამ სასამართლო პასუხისგებაში მიცემული ინტერნირებულები შეიძლება დაკავებულნი იყვნენ სასჯელის ვადის გასვლამდე.

საომარი მოქმედებების ან ოკუპაციის დასრულების შემდეგ, მეომარი სახელმწიფოები იღებენ ზომებს ყველა ინტერნირებულის მოქალაქეობის, მუდმივი ცხოვრების ან წარმომავლობის ქვეყანაში დასაბრუნებლად.

როგორც უკვე ითქვა, შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებისთანავე და ოკუპაციის ყველა შემთხვევაში, ყოველი მეომარი მხარე აწესებს ოფიციალურ ცნობათა ბიუროს, რომლის მოვალეობაშიც შედის ცნობების შეგროვება და გადაცემა იმ პირთა შესახებ, რომლებიც მის ხელში აღმოჩნდნენ. ინფორმაცია უმოკლეს ვადაში ეგზავნება ცენტრალურ სააგენტოს (IV კონვენციის მუხ.140), აგრეთვე, მფარველი სახელმწიფოს მეშვეობით იმ ქვეყანას, რომლის მოქალაქეებიც ინტერნირებულად ითვლებიან. ან სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც ისინი ცხოვრობდნენ.

არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში, მეომარმა მხარეებმა არ უნდა მისცენ განკარგულება სამოქალაქო მოსახლეობას, დატოვონ თავისი ტერიტორია, გადაადგილონ, ცალკეული სამოქალაქო პირები შეიარაღებულ

კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზებით, თუ ეს არ არის გამოწვეული მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობით.

სამოქალაქო მოსახლეობა, აგრეთვე, ცალკეული სამოქალაქო პირები, არ უნდა გახდნენ თავდასხმის ობიექტი. გარდა ამისა, აკრძალულია, მათ მიმართ ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენება, რომლის მიზანსაც შეადგენს სამოქალაქო მოსახლეობის დაშინება.

ყველა პირს, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობდა ან შეწყვიტა მონაწილეობა საომარ მოქმედებებში, უფლება აქვს, თავისი პიროვნების, ღირსების, რწმენისა და რელიგიური წესჩვეულებების პატივისცემისა. ნებისმიერ გარემოებაში მათ ჰუმანურად ეპყრობიან. მათ მიმართ აკრძალულია:

– ბრძანების გამოცხადება, რომ ცოცხალი არავინ დატოვონ;
– სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის ხელყოფა, წამება, დასახიჩრება ან სხეულებრივი დასჯის ნებისმიერი ფორმის გამოყენება;
– კოლექტიური დასჯის გამოყენება;
– მძევლად აყვანა;
– ტერორიზმის აქტების განხორციელება;
– ადამიანური ღირსების შელახვა. დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მოპყრობა, გაუპატიურება, პროსტიტუციის იძულება;
– მონობა და მონათვაჭრობა ნებისმიერი ფორმით;
– ძარცვა;
– ნებისმიერი, ზემოთ ჩამოთვლილი ქმედების განხორციელების მუქარა.

განსაკუთრებულ დაცვას ექვემდებარებიან ბავშვები. ხორციელდება ზომები მათი დროებითი ევაკუაციისათვის უფრო უხიფათო რაიონებში იმ პირთა თანხლებით, რომლებიც პასუხს აგებენ მათ დაცვაზე. ბავშვები იღებენ განათლებას, რელიგიური და ზნეობრივი აღზრდის ჩათვლით, მშობლების (მეურვეების) სურვილის შესაბამისად. თხუთმეტ წელს მიუღწეველთა გადაბირება შეიარაღებულ ძალებში სამსახურისთვის დაუშვებელია და მათ არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საბრძოლო მოქმედებებში. მიუხედავად ამისა, თუ ამ ასაკში მაინც მონაწილეობენ

საბრძოლო მოქმედებებში და ტყვედ ვარდებიან, სჰს-ის ნორმები უზრუნველყოფენ მათ განსაკუთრებულ დაცვას.

IV კონვენცია კრძალავს, სამოქალაქო მოსახლეობის სამხედრო დანიშნულების მქონე ადგილებისა და მოწყობილობების, მოწინააღმდეგის თავდასხმისაგან დამცავ ფარად გამოყენებას.[1] აგრეთვე, აკრძალულია სამოქალაქო პირთა კოლექტიური დასჯა, მოსახლეობის ტერორი და დაშინება.

მთელი სამოქალაქო მოსახლეობის და, განსაკუთრებით, დაუცველი პირების დაცვის მიზნით, მხარეთა შორის შეთანხმებით შესაძლებელია უსაფრთხოების ზონების შექმნა, რაც შეიძლება განხორციელდეს როგორც კონფლიქტის მიმდინარეობისას (მაგ. „ღია ქალაქის" ფორმით), ასევე, ჯერ კიდევ მშვიდობიან პერიოდშიც (დემილიტარიზებული ზონები). აკრძალულია, ასეთ ზონებზე სამხედრო თავდასხმა, მეორე მხრივ, არც მოახლოებული მოწინააღმდეგისაგან მათი დაცვაა დაშვებული. ამ ზონების ერთადერთი დანიშნულებაა იქ მყოფი მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენის უზრუნველყოფა.[2]

მსჯელობის საკითხია ადამიანთა ფარად გამოყენების აკრძალვის პრობლემა. სამწუხაროდ, ადამიანთა ფარად გამოყენებას დიდ ხნის ისტორია გააჩნია. ამ მეთოდს არც ერთ პერიოდში არ უჭერდნენ მხარს და მის გამოყენებას სამარცხვინოდ და უკანონოდ თვლიდნენ, თუმცა, ამ წესის კოდიფიცირებამ საკმაოდ დაიგვიანა. ამ პრობლემას განიხილავს ჟ.ფ. კეგინერი თავის ნაშრომში და წყარობების ანალიზის საფუძველზე სამართლიან დასკვნებს აკეთებს, კერძოდ, 1949 წლის ჟენევის მესამე კონვენციის მე-19 მუხლი მოითხოვს, რომ მებრძოლებმა განახორციელონ ომის ტყვეების ევაკუაცია მაშინვე, როგორც კი დაპატიმრებული მხარეები იქნებიან იმ ბანაკებში, რომლებიც მოთავსებულია საომარი ზონიდან მოშორებით, რათა მათ არ შეეხოთ საომარი მოქმედებების საფრთხე. ამავე კონვენციის 23-ე მუხლი კი გაცილებით მკაფიოა. ის ადგენს, რომ ომის ტყვეები არ უნდა გაგზავნონ, ან არ უნდა იმყოფებოდნენ იმ ადგილებში,

---

[1] IV კონვენცია მუხლი 28, პირველი ოქმი, გაძლიერებული მუხლი (211(7)

[2] ჰანს-პეტერ გასერი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (შესავალი), თბ. 1999წ. გვ.87.

რომლებზეც შესაძლებელია ცეცხლის გავრცელება ბრძოლის ზონიდან.

1949 წლის ჟენევის მეოთხე კონვენციის 28-ე მუხლის თანახმად, არ შეიძლება, ზოგიერთ ადგილისათვის დაცული პირების ყოფნის გამოყენება სამხედრო ოპერაციებისაგან იმუნიტეტის მისანიჭებლად. ავტორის აზრით, ამ ორი მნიშვნელოვანი დებულების შინაარსი იზღუდება შესაბამისი გამოყენების სფეროებით. რაც შეეხება პრობლემას, ის უფრო ნათელი გახდა პირველი დამატებითი ოქმის მიღების შემდეგ, რომლის 51-ე მუხლის მე-7 პუნქტი კრძალავს ადამიანების ფარად გამოყენებას.[1]

ჭ.კ. კეგინერის სტატიაში ვკითხულობთ: „ამ ბოლო წლებში ახალი ფენომენი ამოტივტივდა. მედიის მიერ „ნებაყოფლობით ადამიან ფარად" წოდებული არიან პირები, რომელთაც სურთ ომის მიმართ პროტესტის გამოხატვა ამ სახით.

ეს სამოქალაქო პირები, რომლებიც მზად არიან თავი გასწირონ იდეალებისათვის, ხშირად, იმ მებრძოლი სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, რომლის სახელმწიფო ობიექტის დაცვაც სურთ. მაგ. უამრავი იუგოსლაველი მოქალაქე იცავდა ხიდებს ბელგრადში, 1999 წელს ნატოს მიერ განხორციელებული ოპერაციების პერიოდში. თუმცა, პირველი დამატებითი ოქმის 51-წ მუხლის მე-7 პუნქტის გამოყენება ადამიანის ფარად გამოყენების შემთხვევაში რომ ლეგიტიმურად ჩაითვალოს, ხშირად სადავოა, მაგრამ ავტორის აზრით, სამოქალაქო პირები, რომლებიც ადამიან ფარად მოქმედებენ, ინარჩუნებენ იმუნიტეტს პირდაპირი თავდასხმისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს სამოქალაქო პირები გახდებიან ობიექტზე ლეგიტიმური თავდასხმის მსხვერპლნი.[2]

---

[1] ჭ.ჭ. კეგინერი, „უსაფრთხოების ზომები საომარი მოქმედებების მარეგულირებელი სამართლის მიხედვით", დეკემბერი, 2006, №864.
[2] იქვე.

§2. ჟურნალისტთა სამართლებრივი სტატუსი

ჟურნალისტთა სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების I დამატებითი ოქმით, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ. 79-ე მუხლის მიხედვით შეიარაღებული კონფლიქტის რაიონში, სახიფათო პროფესიულ მივლინებაში მყოფი ჟურნალისტები, სამოქალაქო პირებად ითვლებიან 50-ე მუხლის I პუნქტის მნიშვნელობით,[1] სადაც აღნიშნულია, რომ სამოქალაქო პირად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც არ ეკუთვნის მესამე კონვენციის მე-4 მუხლის (A) პირველი, მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტებში აღნიშნულ ჩამონათვალს აგრეთვე, ამ ოქმის 43-ე მუხლში მითითებულ პირთა კატეგორიებს, როცა არსებობს ეჭვი იმის თაობაზე, არის თუ არა ესა თუ ის პირი სამოქალაქო პირი, იგი მაინც სამოქალაქო პირად ითვლება.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ითვალისწინებს სპეციალურ ნორმებს, რომლებიც ჟურნალისტთა დაცვას ეხება, რადგანაც ჟურნალისტები, უმეტეს შემთხვევაში, იმყოფებიან საშიშ პროფესიულ მივლინებებში, შეიარაღებული კონფლიქტის რაიონებში. ამიტომაც ისინი განიხილებიან, როგორც სამოქალაქო პირები. საუბარია მათ დაცვით უზრუნველყოფაზე იმ პირობით, რომ ისინი არ სჩადიან სამოქალაქო პირის სტატუსთან შეუთავსებელ არავითარ ქმედებას. მაგალითად, ჟურნალისტის მიერ ჩადენილი ჯაშუშური ქმედება კონფლიქტის მონაწილე რომელიმე მხარის სასარგებლოდ, მას ართმევს სამართლებრივ სტატუსს, შესაბამისად, დაცვას, როგორც მფარველობის ქვეშ მყოფი პირისა.

კანონმდებლობით, ჟურნალისტზე გაიცემა სახიფათო მივლინებაში მყოფი პირის მოწმობა, რომლის გაცემა შეიძლება მოხდეს მისი მოქალაქეობრივი კუთვნილების მქონე სახელმწიფოს ან იმ სახელმწიფოს მიერ, სადაც ის მუდმივად ცხოვრობს, ან იმ ქვეყნის მიერ, რომელშიც მისი აკრედიტაციის საინფორმაციო სააგენტო იმყოფება. მას მუდმივად უნდა ჰქონდეს თან ეს მოწმობა და წარუდგინოს დამკავებელ მხარეს,

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ.154.

ხელის შეწყობისათვის, მისი პიროვნების დასაღუნად. დებულებები ჟურნალისტთა დასაცავად. გათვალისწინებულია I ოქმით, ხოლო II ოქმი არავითარ ნორმას არ შეიცავს. ამ თვალსაზრისით ისმის კითხვა: ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჟურნალისტებზე, რომლებიც არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის საშიშ რაიონებში მივლინებით იმყოფებიან არ ვრცელდება სჰს-ის ნორმები? რა თქმა უნდა, არა. ჟურნალისტები თავიანთ პროფესიულ მოვალეობას ხშირად სიცოცხლის რისკის ფასად ასრულებენ, ზოგჯერ იღუპებიან კიდეც, რათა საზოგადოებამ და სახელმწიფომ ობიექტურად შეიტყოს მიმდინარე მოვლენების შესახებ და ლოგიკა, საღი აზრი გვკარნახობს, რომ ასეთი ჟურნალისტები უნდა განხილულნი იქნან, როგორც სამოქალაქო პირები და დაცულნი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებით. მიუხედავად ამისა, მათი დაცვა ყოველთვის არ ხერხდება და ისინი მსხვერპლნი ხდებიან კონფლიქტის დროს. სამწუხაროდ, ჟურნალისტების მიერ ჟენევაში დაფუძნებულმა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ PRESS EMBLEM CAMPAIGN (PEC), საქართველო შეიყვანა იმ ქვეყნების სიაში,სადაც ჟურნალისტების მუშაობა სახიფათოა. აღსანიშნავია ისიც, რომ ორგანიზაცია ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა იმით, რომ რუსეთ-საქართველოს ომის დროს, საქართველო, ჟურნალისტების დისკრიმინაციის რაოდენობით, მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა. ამავე ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველო-რუსეთის ომს ემსხვერპლა: გიგა ჩიხლაძე, რომელიც კონფლიქტის ზონაში ჟურნალ „NEWSWEEK"-ის რუსულ გამომცემლობაში მუშაობდა. ის აგრეთვე იყო ფრანგული რადიო RFI-ის მუდმივი კორესპონდენტი და ტელეკომპანია „ალანიას" ახალი ამბების რედაქტორი. იგი ცხინვალში, პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს მანქანაში ჩაცხრილეს; ასევე შეიძლება ითქვას ალექსანდრე კლიმჩუკის მიმართ, რომელიც ფოტოსააგენტო „CAUCASUS PRESS IMAGES"-ს ხელმძღვანელობდა. იგი ასევე მუშაობდა ფოტოკორესპონდენტად „ИТАР-ТАСС"-ში, სხვადასხვა დროს კი, გაზეთებში: „Комсомольская правда" და „Московский комсомолец", ასევე, სხვა სააგენტოებში. „Photoexpress"და „EPA"-ში. იგი 2008 წლის 12 აგვისტოს, რუსული ავიაციის მიერ ქართული ქალაქის,

გორის დაბომბვის დროს დაიღუპა. საქართველოს პირველმა ლედიმ ჰოლანდიელი ოპერატორის, სტან სტორემანსის სახელობის სტიპენდია დააწესა იმ ქართველი ჟურნალისტებისათვის, რომელთაც ჰოლანდიაში პროფესიული განათლების გაგრძელება სურთ. რუსეთ-საქართველოს ომის დროს, რუსული სნაიპერის „ბლაგვი" სამიზნე გახდა საზოგადოებრივი მაუწყებლის კორესპოდენტი თამარ ურუშაძე. მას პირდაპირი ეთერის დროს ესროლეს, რის შედეგადაც მცირე, სიცოცხლისათვის არასახიფათო დაზიანება მიიღო. იგი უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემდა გორის მისადგომებიდან, როცა ტყვიამ მარცხენა ხელზე „გაკაწრა", ამის შემდეგ მას სასწრაფოდ ჯავშანჟილეტი ჩააცვეს, რის შემდეგაც მან გააგრძელა პირდაპირ ეთერში მაუწყებლობა.

პრესის თავისუფლების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ განაცხადა, რომ 2009 წელს მოკლული ჟურნალისტების რაოდენობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია, მათ შორის, ფილიპინებზე კონფლიქტის პერიოდში. ირანის მოვლენების დროს კი, ასევე გაიზარდა დაპატიმრებული ჟურნალისტების რიცხვი. ჟურნალისტების დაცვის ნიუ-ორკის კომიტეტმა აღნიშნა, რომ 23 ნოემბერს ფილიპინების სამხრეთით მომხდარი შეტაკების დროს, პოლიტიკური მოტივებით 29 ჟურნალისტისა და მედიის სფეროს კიდევ ორი წარმომადგენლის მკვლელობა მოხდა. სამშაბათს, პრესის თავისუფლების შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშში, კომიტეტმა ასევე დაადანაშაულა ირანი იმაში, რომ ბოლო წლის განმავლობაში ის ჟურნალისტების დაპატიმრების რაოდენობით ლიდერების სიაში მოხვდა. ისლამურ რესპუბლიკაში, საერთო ჯამში პრესის 90 წარმომადგენელი დააპატიმრეს. აქედან, 23 ჟურნალისტი და რედაქტორი დღემდე დაკავებულია. ანგარიშის მიხედვით, ამ მხრივ ირანს მხოლოდ ჩინეთი უსწრებს, სადაც დღესდღეობით ციხეებში 24 ჟურნალისტია. ჯერ კიდევ 2004 წელს მათი რაოდენობა 42-ს აღწევდა. პროფესიული საქმიანობისათვის მოკლული 70 ჟურნალისტია. მათგან 32 ფილიპინებში დაიღუპა, ცხრა – სომალიში, ოთხი – ერაყში, ოთხი- პაკისტანში და სამი – რუსეთში. ძალადობის დონის მკვეთრი დაცემის ფონზე თვალსაჩინოა ერაყში დაღუპული ჟურნალისტების რაოდენობაც.

ნიუ-იორკის კომიტეტის თანახმად, რომელიც იცავს ჟურნალისტთა ინტერესებს, 2003 წლიდან 2007 წლამდე პერიოდში 242 ჟურნალისტი დაიღუპა. აქედან ერაყში 124 ერაყში, რომელთაგან 102 იყო ერა ის მოქალაქე და ამის გარდა, ათობით ერაყელი ემსხვერპლა მედიის მხარდაჭერისათვის.[1] კომიტეტი ჩივის მთავრობის მხრიდან შევიწროვების ფაქტების ზრდისა და პრესაზე თავდასხმების გააქტიურებაზე ისეთ, შედარებით უსაფრთხო რეგიონშიც კი, როგორიც ქურთისტანია. „2009 წელს, პროფესიული საქმიანობისათვის 9 უშტატო კორესპოდენტი მოკლეს, კიდევ 60-დაკავებული იყო მთელი მსოფლიოს მასშტაბით", - წერს იგი. კომიტეტი ამტკიცებს, რომ 2009 წლის 1 დეკემბრისათვის. 136 დაპატიმრებული ჟურნალისტი, რედაქტორი და ფოტოკორესპოდენტი აღირიცხა, რაც 2008 წლის მონაცემებზე 11 ადამიანით მეტია. კომიტეტის ანგარიშით, ბოლო ათი წლის განმავლობაში დაპატიმრებულია ათეულობით ინტერნეტ-ჟურნალისტი და რედაქტორი ინტერნეტ-გამოცემებიდან. ანგარიშში, ერთ-ერთ ეგვიპტელ აქტივისტზე დაყრდნობით ნათქვამია, რომ „ინტერნეტის პოლიცია" ინტერნეტში თვალთვალს ახორციელებს და ინფორმაციას სახელმწიფო უშიშროების სამსახურებს გადასცემს.

ამ მხრივ სტატისტიკა ასეთია: გაიტაცეს 51 ჟურნალისტი, 535 ჟურნალისტი კი დააპატიმრეს; 1374 ჟურნალისტს თავს დაესხნენ ან დაემუქრენ; 152 ბლოგერი და ინტერნეტ-ჟურნალისტი დააპატიმრეს; 52 ბლოგერს თავს დაესხნენ; 62 ქვეყანაში ინტერნეტ-ცენზურა არსებობს. 2010 წელს, პროფესიული მოვალეობების შესრულების დროს, 57 ჟურნალისტი მოკლეს, რაც 2009 წლის მონაცემებთან შედარებით 25%-ით ნაკლებია. 2009 წელს 76 ჟურნალისტი იქნა მოკლული. ბოლო წლებში კონფლიქტის ზონებში მოკლულ ჟურნალისტთა რაოდენობა შემცირდა. რაც მთავარია, სულ უფრო რთული გახდა ჟურნალისტთა მკვლელობის საქმის გახსნა, როცა ჟურნალისტები კრიმინალური დაჯგუფებების, შეიარაღებული რაზმების, რელიგიური ორგანიზაციების ან სახელმწიფო აგენტების მსხვერპლნი ხდებიან. „წინა წლებთან შედარებით კონ-

[1] International Review of the Red Cross," Conflict in Iraq I", Volume 89 Number 868 December 2007 (ICRC), p.881.

ფლიქტურ ზონებში უფრო ნაკლები რაოდენობის ჟურნალისტი მოკლეს", – განაცხადა ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" – გენერალურმა მდივანმა, ჟან-ფრანსუა ჟულიარმა: „ყველაზე ხშირად მედიის მუშაკებს კრიმინალები, მათ შორის, ტრეფიკინგით დაკავებული დაჯგუფებები კლავენ. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები და სხვადასხვა „სახალხო რაზმები" ჟურნალისტების მთავარი მკვლელები არიან მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამჟამად მთავარია ამ ვითარების შეცვლა. იმ ქვეყნების ხელისუფლებებს, სადაც ასეთი შემთხვევები ფიქსირდება, პირდაპირ ევალებათ ამ მკვლელობასთან დაკავშირებული დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრა. თუ ხელისუფლებები ყველაფერს არ გააკეთებენ ჟურნალისტების მკვლელების დასასჯელად, მაშინ ისინი ამ მკვლელობების თანამონაწილეები ხდებიან". 2010 წლის კიდევ ერთი განმასხვავებელი მახასიათებელი იყო ჟურნალისტების გატაცებათა მზარდი ტენდენცია. 2008 წელს 29 ჟურნალისტი გაიტაცეს, 2009 წელს –33 ჟურნალისტი, ხოლო 2010 წელს 51 ჟურნალისტის გატაცება მოხდა. 2002 წელს ჟურნალისტებს ყველაზე ხშირად ავღანეთსა და ნიგერიაში იტაცებდნენ. 1980-იანი წლების შემდეგ, ფრანგი ტელეჟურნალისტების – ერვ შესქერის და შტეფან ტაპონიერის, ასევე, მათი სამი ავღანელი ასისტენტის მძევლობა, რომელიც 2009 წლის 29 დეკემბერს დაიწყო, ყველაზე ხანგრძლივი მძევლობის ისტორიაა ფრანგული მედიის ისტორიაში.

2010 წლის ანაგარიში	მოკლულია	დაპატიმრებულია	თავდასხმის ან მუქარის ფაქტები	ცენზურას დაქვემდებარებული მედია საშუალებები	გატაცებულია
აფრიკა	10	134	168	64	8
ამერიკა	13	69	395	68	10
ახლო აღმოსავლეთი	10	111	192	36	6
აზია	20	124	281	165	22
ევროპა	4	97	338	171	5
სულ	57	535	1374	504	51

ჟურნალისტები მოკლეს ასევე, ევროკავშირის წევრ ორ ქვეყანაში – ლატვიასა და საბერძნეთში. აქამდე, არცერთი ეს მკვლელობა არ გახსნილა. სოციალური და პოლიტიკური არასტაბილურობა თავის ზეგავლენას ახდენს მედიის მუშაობაზე საბერძნეთში, სადაც რადიო „თემა"-ს მენეჯერი, სოკრატეს გულიოლასი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, საკუთარ სახლთან იქნა მოკლული. მკვლელობა 19 ივლისს, ათენის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში მოხდა. პოლიციის ვარაუდით, მკვლელობა ულტრა – მემარცხენე დაჯგუფების, Sehta Epanastation-ის („რევოლუციური სექტა") მიერ არის ორგანიზებული. გრიგორი ნემცოვი – რეგიონალურ გაზეთ „მილიონის" გამომცემელ-მფლობელი და ამავე სახელწოდების ადგილობრივი ტელეკომპანიის მფლობელი, ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ დაუგავპილსში, თავში ორჯერ გასროლით მოკლეს მაშინ, როცა ის ერთ-ერთ შეხვედრაზე მიემართებოდა. ეს ინციდენტი 2010 წლის 16 აპრილს მოხდა. „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" აგრძელებს 2010 წლის ივნისში მომხდარი ფაქტის გამოძიებას, როცა ინტერნეტის აქტიური მომხმარებელი მოჰამედ საიდი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა ორმა პოლიციელმა ინტერნეტ-კაფეში დააპატიმრა, შემდეგ, გარეთ გაიყვანა და ქუჩაში სიკვდილამდე სცემა. არსებული ინფორმაციით, მისი მკვლელობა ინტერნეტში განთავსებული ვიდეოს შედეგია, რომელიც პოლიციას ნარკოვაჭრობაში ამხელდა. ექსპერტიზის მონაცემებით, მისი სიკვდილი ნარკოტიკების ზედმეტმა დოზამ გამოიწვია, თუმცა ამ დასკვნას მისი სხეულის ფოტოები აბათილებს. 2010 წლის განმავლობაში, ინტერნეტის აქტიურ მომხმარებლებზე თავდასხმისა და მათი დაპატიმრების რაოდენობა წინა წლების მაჩვენებლების ტოლია. ბლოგერების შევიწროვება და ინტერნეტის ცენზურა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ინტერნეტის ფილტრაციასთან დაკავშირებით არანაირი ტაბუ აღარ არსებობს. ცენზურას ახალი ფორმები აქვს: სულ უფრო აგრესიული ონლაინ პროპაგანდა და სულ უფრო ხშირი კიბერშეტევები აბეზარი ინტერნეტ-მომხმარებლების გასაჩუმებლად. ძალადობისა და რეპრესიების თავიდან ასაცილებლად ბევრი ჟურნალისტი უცხო ქვეყნებში გარბის. 2010 წლის განმავ-

ლობაში 23 ქვეყნიდან 127 ჟურნალისტი გაიქცა სხვა ქვეყნებში. ირანიდან ჟურნალისტების ნაკადი არ წყდება. უკვე ზედიზედ მეორე წელიწადია, რაც ეს ქვეყანა გამოქცეული ჟურნალისტების მხრივ ლიდერობას არავის უთმობს. „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე"-ს მონაცემებით, 2010 წლის განმავლობაში ირანიდან 30 ჟურნალისტი გაიქცა. აფრიკაშიც დიდი ციფრები ფიქსირდება: 2010 წელს, ერითრეადან და სომალიდან, დაახლოებით 15 ჟურნალისტი გაიქცა.

	2009	2010	ცვლილება
მოკლული ჟურნალისტები	76	57	-25%
დაპატიმრებული ჟურნალისტები	573	535	-7%
ჟურნალისტები რომლებზეც მოხდა თავდასხმა ან რომელთა მიმართაც გაისმა მუქარები	1456	1374	-6%
ცენზურას დაქვემდებარებული მედია საშუალებები	570	504	-12%
გატაცებული ჟურნალისტები	33	51	+55%
დაპატიმრებული ბლოგერები და ინტერნეტის აქტიური მომხმარებლები	151	152	+0.6%
ბლოგერები, რომლებზეც ფიზიკური თავდასხმა განხორციელდა	61	52	−14%
ქვეყნები, სადაც ინტერნეტ- ცენზურას აქვს ადგილი	60	62	+3%

2011 წლის განმავლობაში მსოფლიოს 39 ქვეყანაში პროფესიული მოვალეობის შესრულებისას 106 ჟურნალისტია დაღუპული. მხოლოდ „არაბული გაზაფხულის" გაშუქებისას 20 ჟურნალისტი დაიღუპა. ჟურნალისტებისათვის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო ადგილად კვლავ მექსიკა რჩება. 2011 წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში 12 ჟურნალისტი მოკლეს, პაკისტანში-11, ერაყსა და ლიბიაში-შვიდ-შვიდი, ჰონდურასში, ბრაზილიასა და ფილიპინებზე-ექვს-ექვსი, იემენში-ხუთი, სომალიში –ოთხი, ავ-

ღანეთში, ეგვიპტეში, ინდოეთში, პერუსა და რუსეთში –სამ-სამი, ბაჰრეინსა და ტაილანდში კი ორ-ორი.[1]

და ბოლოს, ჟურნალისტისათვის „მშვიდობაც ომია“. სტატისტიკა მეტყველებს, რომ კონფლიქტების პერიოდში სამართლებრივად ისინი უფრო დაცული არიან, ვიდრე სხვა დროს.

§3. ჰუმანიტარული სამართალი და სამოქალაქო თავდაცვა

ჰუმანიტარული სამართლისათვის მნიშვნელოვანი საკითხია სამოქალაქო თავდაცვა, რაც გათვალისწინებულია 1949 წლის 12 აგვისტოს I დამატებით ოქმში საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მხარდაჭერით დაცვის შესახებ, რომლის შესაბამისად, „სამოქალაქო თავდაცვა” არის ზოგიერთი ან ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ჰუმანიტარული ამოცანის შესრულება, რომელთა მიზანია სამოქალაქო მოსახლეობის საფრთხისაგან დაცვა და საომარი მოქმედებების ან უბედურებების უშუალო შედეგების აღმოფხვრაში მისი დახმარება. ასევე, აუცილებელი პირობების შექმნა სამოქალაქო მოსახლეობის გადასარჩენად. ეს ამოცანებია:

- შეტყობინება;
- ევაკუაცია;
- თავშესაფრის მიცემა და მოწყობა;
- შუქშენიღბვის ღონისძიებების წარმართვა;
- სამშენებლო საშუალებები;
- სამედიცინო მომსახურება, პირველი დახმარების, ასევე, რეგულარული დახმარების აღმოჩენით;
- ხანძართან ბრძოლა;
- სახიფათო რაიონების აღმოჩენა და აღნიშვნა;
- გაუვნებლობა და დაცვის ღონისძიებების განხორციელება;

---

[1] www. media. ge/node/42166
www.imediajornal.blogspot.com2009/01/blog-post-24.html
www.polity.ge/wordnews/conflicts/1528-2009
www. fortuna.ge news-inner; geo.ambebi.ge; droni.ge

- ბინების სწრაფად მიცემა და დაუყოვნებლივ მომარაგება;
- უბედურების რაიონში აღდგენითი სამუშაოების წარმართვასა და წესრიგის შენარჩუნებაში სასწრაფო დახმარების გაწევა;
- აუცილებელ კომუნალურ სამსახურთა სწრაფად აღდგენა;
- ცხედართა სასწრაფოდ დაკრძალვა;
- დახმარების გაწევა საარსებოდ აუცილებელი ობიექტების დაცვაში;
- აუცილებელი დამატებითი საქმიანობა, ნებისმიერი ზემოაღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად, რომელიც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) დაგეგმარებასა და ორგანიზაციას;

ა) ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარება დაკავშირებულია „სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციები"-ს საქმიანობასთან; ასევე, აღნიშნავს იმ დაწესებულებებს და სხვა ორგანიზებულ ერთეულებს, რომლებიც კონფლიქტის მონაწილე სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლების მიერაა შექმნილი ან უფლებამოსილი, (ა) ქვეპუნქტში მითითებული ნებისმიერი ამოცანის შესასრულებლად და რომელიც მხოლოდ ამ მიზნით გამოიყენება;

ბ) თავდაცვის ორგანიზაციებს ყავს „პერსონალი" და მოიაზრებს კონფლიქტში მონაწილე მხარის მიერ მხოლოდ (ა) პუნქტში მითითებული ამოცანების შესასრულებლად დანიშნულ პირებს, კონფლიქტის მონაწილე მხარის კომპეტენტური ხელისუფლების მიერ ამგვარი ორგანიზაციების ხელმძღვანელობისათვის დანიშნული პირების ჩათვლით;

გ) ნებისმიერ სამოქალაქო ორგანიზაციას თავისი ფუნქციების განსახორციელებლად, სჭირდება მატერიალური უზრუნველყოფა. თავდაცვის ორგანიზაციების „მატერიალური ნაწილი" აღნიშნავს ამ ორგანიზაციის მიერ (ა) პუნქტში მითითებული ამოცანების შესასრულებლად გამოყენებულ აღჭურვილობას, მასალას და სატრანსპორტო საშუალებებს.

სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციები და მათი პერსონალი ამ ოქმის, განსაკუთრებით, ამ კარის დებულებათა შესაბამისად, პატივისცემითა და დაცვით სარგებელობენ. უკიდურესი საომარი აუცილებლობის შემთხვევების გარდა, ისინი უფლებამოსილი არიან, შეასრულონ სამოქალაქო თავდაცვასთან დაკავშირებული მათთვის დაკისრებული ამოცანები.

ოქმის 52-ე მუხლის მოქმედება ვრცელდება სამოქალაქო თავდაცვისათვის გამოყენებულ შენობებსა და მატერიალურ ნაწილზე, ასევე, სამოქალაქო მოსახლეობისათვის განკუთვნილ თავშესაფარზე. ამ ობიექტების განადგურება ან არადანიშნულებისამებრ გამოყენება მხოლოდ იმ მხარეს შეუძლია, რომელსაც ისინი ეკუთვნიან.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციები ხელისუფლებისაგან იღებენ მათი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ხელშეწყობას. ნებისმიერ ვითარებაში დაუშვებელია პერსონალის იძულება, შეასრულოს სამუშაო, რომელსაც მის მიერ ამ ამოცანათა ჯეროვანი შესრულების შეფერხება შეუძლია. ოკუპანტმა სახელმწიფომ ამ ორგანიზაციათა სტრუქტურაში ან პერსონალში არ უნდა შეიტანოს რაიმე ცვლილება, რომელსაც მათი ფუნქციების ეფექტური განხორციელებისათვის საფრთხის შექმნა შეუძლია. ამ ორგანიზაციებს არ უნდა მოსთხოვონ აღნიშნული ქვეყნის მოქალაქეებისა და მათი ინტერესებისათვის პრიორიტეტის მინიჭება.

ოკუპანტმა სახელმწიფომ არ უნდა აიძულოს ან წააქეზოს სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციები, იმგვარად შეასრულონ თავიანთი ამოცანები, რომ ამან დამღუპველი გავლენა მოახდინოს სამოქალაქო მოსახლეობის ინტერესებზე;

ოკუპანტ სახელმწიფოს, უშიშროების მოსაზრებებიდან გამომდინარე, შეუძლია სამოქალაქო თავდაცვის პერსონალის განიარაღება;

ოკუპანტმა სახელმწიფომ თავდაცვის ორგანიზაციებს არ უნდა შეუცვალოს მათი პირდაპირი დანიშნულება და არ უნდა მოახდინოს მათი კუთვნილი ან მათ მიერ გამოყენებული შენობების ან მატერიალური ნაწილების რეკვიზიცია, თუკი ეს საზიანო იქნება სამოქალაქო მოსახლეობისათვის.

იმ პირობით, რომ დაცული იქნება მე-4 პუნქტის ზოგადი დებულება, ოკუპანტ სახელმწიფოს შეუძლია ამ რესურსების რეკვიზიცია ან დანიშნულების შეცვლა შემდეგი კონკრეტული პირობების არსებობისას:

ა) თუ ეს შენობები ან მატერიალური ნაწილი სამოქალაქო მოსახლეობის სხვა საჭიროებებისათვისაა აუცილებელი;

ბ) თუ რეკვიზიცია ან დანიშნულების შეცვლა გრძელდება მანამ, სანამ არსებობს ასეთი აუცილებლობა.

ოკუპანტმა სახელმწიფომ არ უნდა მოახდინოს მოსახლეობის მიერ გამოყენებული ან მისთვის აუცილებელი თავშესაფრების არც რეკვიზიცია, არც დანიშნულების შეცვლა.

პირველი, 62-ე, 63-ე, 65-ე და 66-ე მუხლების დებულებები გამოიყენება ნეიტრალური ან კონფლიქტის არამონაწილე სხვა სახელმწიფოების სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციების პერსონალისა და მატერიალური ნაწილის მიმართ, რომელიც კონფლიქტის მონაწილე მხარის ტერიტორიაზე მისი თანხმობით და კონტროლით ასრულებს 61-3 მუხლში მითითებულ სამოქალაქო თავდაცვის ამოცანებს, ნებისმიერი დაინტერესებული მხარეების უშიშროების ინტერესების სათანადო გათვალისწინებით.

კონფლიქტის მონაწილე მხარეები, რომლებიც პირველ პუნქტში მითითებულ დახმარებას იღებენ, და ამგვარი დახმარების გამწევი მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, აუცილებლობის შემთხვევაში, ვალდებულნი არიან, ხელი შეუწყონ სამოქალაქო თავდაცვის სფეროში ამგვარი საქმიანობის საერთაშორისო კოორდინაციას.

ასეთ შემთხვევაში შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებზე ვრცელდება ამ თავის დებულებები.

ოკუპანტ სახელმწიფოს შეუძლია, ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალოს ან შეზღუდოს ნეიტრალური, ან კონფლიქტში მონაწილეობის არმიმღები სხვა ორგანიზაციების მოღვაწეობა იმ შემთხვევაში, როცა მას შეუძლია, უზრუნველყოს სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების სათანადოდ შესრულება საკუთარი სახსრებით ან ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული რესურსების გამოყენებით.

დაცვა, რომლითაც სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციები, მათი პერსონალი, შენობები, თავშესაფრები და მატერიალური ნაწილი სარგებლობს, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეწყდეს, როცა ისინი, მათი უშუალო ამოცანების გარდა, მოწინააღმდეგისათვის საზიანო მოქმედებებს სჩადიან ან როდესაც მათ, ამგვარი მოქმედებისათვის იყენებენ; მაგრამ, ამავე დროს, დაცვა წყდება მხოლოდ შესაბამისი გაფრთხილების შემდეგ, რომელიც, აუცილებლობის შემთხვევაში, გონივრულ ვადას ადგენს და მას შემდეგ, რაც ეს გაფრთხილება მხედველობაში არ იქნა მიღებული. მოწინააღმდეგისათვის ზიანის მიყენებად არ ჩაითვლება შედეგი მოქმედებები:

ა) სამოქალაქო თავდაცვის ამოცანათა განხორციელება სამხედრო ხელისუფლების ხელმძღვანელობით და კონტროლით;

ბ) სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების შესასრულებლად სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო პერსონალის სამხედრო პირებთან თანამშრომლობა ან სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციებში გარკვეული რაოდენობის სამხედრო მოსამსახურის მონაწილეობა;

ც) ის გარემოება, რომ სამოქალაქო თავდაცვის ამოცანათა შესრულებას, იმავდროულად, სარგებლობის მოტანა შეუძლია მსხვერპლთათვის, სამხედრო მოსამსახურეთა წრიდან, კერძოდ მათთვის, ვინც მწყობრიდან არის გამოსული.

სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო პერსონალის მიერ წესრიგის დაცვის ან თავდაცვის მიზნით პირადი მსუბუქი იარაღის ტარება არ ითვლება მოწინააღმდეგისათვის საზიანო მოქმედებად, მაგრამ ხმელეთის იმ რაიონებში, სადაც მიმდინარეობს ან დაიწყება ბრძოლები, სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო პერსონალის კომბატანტებისაგან გარჩევის მიზნით და მათ გადასაადგილებლად, კონფლიქტის მონაწილე მხარეები აუცილებელ ზომებს მიიღებენ; ასევე ითვალისწინებენ იმასაც, რომ მათი პირადი იარაღი შემოიფარგლებოდეს ისეთი ცეცხლსასროლი იარაღით, როგორიცაა პისტოლეტი ან რევოლვერი. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო პერსონალის მიერ სხვა სახის იარაღის ტარების შემთხვევაშიც,

იგი პატივისცემითა და დაცვით ისარგებლებს, როგორც კი ამოცნობილი იქნება სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო პერსონალად.

სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციების სამხედრო ყაიდაზე ფორმირება და დაღუპულთა მორგებში მათი იძულებითი სამსახური ამ ორგანიზაციებს არ ართმევს ამ თავით გათვალისწინებულ დაცვით სარგებლობის უფლებას.

კონფლიქტის მონაწილე ყოველი მხარე ცდილობს მიიღოს ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მისი სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციების, მათი პერსონალის, შენობების, მატერიალური ნაწილის ამოცნობას, როცა ისინი მხოლოდ სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების შესრულებისთვისაა განკუთვნილი. ამგვარადვე უნდა იყოს უზრუნველყოფილი სამოქალაქო მოსახლეობისათვის განკუთვნილი თავშესაფრების ამოცნობა.

კონფლიქტის მონაწილე ყოველი მხარე ცდილობს, მიიღოს და გამოიყენოს ის მეთოდები და პროცედურები, რომლებიც სამოქალაქო თავშესაფრების, სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო პერსონალის, შენობებისა და მატერიალური ნაწილის ამოცნობის შესაძლებლობას იძლევა. მათზე სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო განმასხვავებელი ნიშანი იქნება გამოსახული.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე და იმ რაიონებში, სადაც მიმდინარეობს ან შეიძლება დაიწყოს საბრძოლო მოქმედებები, სამოქალაქო თავდაცვის პერსონალი საერთაშორისო განმასხვავებელი ნიშნით და მისი სტატუსის დამადასტურებელი პირადობის მოწმობით ამოიცნობა.

სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო განმასხვავებელი ნიშანია ნარინჯისფერ ფონზე გამოსახული ტოლგვერდა სამკუთხედი, როცა ის გამოიყენება სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციების, პერსონალის, შენობებისა და მატერიალური ნაწილის, ასევე, სამოქალაქო თავშესაფრის დასაცავად.

სამოქალაქო თავდაცვის ამოსაცნობად, კონფლიქტის მონაწილე მხარეები, განმასხვავებელი ნიშნების გარდა, განმა-

სხვავებელი სასიგნალო ნიშნების გამოყენებაზეც შეიძლება შეთანხმდნენ.

სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების ამოსაცნობად, კომპეტენტური სახელმწიფო ხელისუფლების თანხმობით, შესაძლებელია მე-4 პუნქტში მითითებული განმასხვავებელი ნიშნებით სარგებლობა მშვიდობიან დროს.

მაღალი ხელშემკვრელი და კონფლიქტის მონაწილე მხარეები იღებენ სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო განმასხვავებელი ნიშნის გამოყენებისადმი კონტროლისა და მისი ბოროტად გამოყენების აღკვეთის ან თავიდან აცილების უზრუნველყოფისათვის აუცილებელ ზომებს.

სამოქალაქო თავდაცვის, სამედიცინო და სასულიერო პერსონალის, სამედიცინო ფორმირებებისა და სამედიცინო სატრანსპორტო საშუალებების ამოცნობა რეგლამენტირებულია მე-18 მუხლით.

სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციებში განწესებული სამხედრო შენაერთები და შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა პატივისცემით და დაცვით სარგებლობენ იმ პირობით, რომ:

ა) ისინი მუდმივად არიან განწესებული და მხოლოდ 61-ე მუხლში მითითებულ ამოცანებს ასრულებენ;

ბ) ამგვარად განწესებული პირადი შემადგენლობა კონფლიქტის დროს არ ასრულებს რაიმე სხვა სამხედრო მოვალეობას;

გ) ასეთი პირადი შემადგენლობა თვალსაჩინო ადგილას ატარებს რაც შეიძლება დიდ საერთაშორისო განმასხვავებელ ნიშანს, რითაც მკაფიოდ გამოირჩევა შეიარაღებულ ძალებში შემავალი სხვა პირებისაგან და ამასთანავე, უზრუნველყოფილია მისი სტატუსის დამადასტურებელი ამ ოქმის I დანართის V თავში აღნიშნული პირადობის მოწმობით;

დ) წესრიგის დაცვისა და თავდაცვის მიზნით მხოლოდ მსუბუქი იარაღით არიან შეიარაღებული. 65-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა:

ე) ამგვარი პირადი შემადგენლობა უშუალოდ არ მონაწილეობს სამხედრო მოქმედებებში; სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების შესრულების გარდა, არ ახორციელებს მოწინააღმდეგისათვის საზიანო მოქმედებებს, ან არ გამოიყენება ასეთი მოქმედებების ჩასადენად;

ვ) ამგვარი პირადი შემადგენლობა და სამხედრო შენაერთები სამოქალაქო თავდაცვის ფუნქციებს მხოლოდ თავიანთი ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში ასრულებენ.

ზ) აკრძალულია, (ე) პუნქტებში მითითებული დებულებების შეუსრულებლობა შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში შემავალი ნებისმიერი პირის მიერ, რომელიც (ა) და (ბ) ქვეპუნქტებში მითითებული პირობებითაა შებოჭილი.

შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციებში მომსახურე პირები, მოწინააღმდეგის ხელში მოხვედრისას, სამხედრო ტყვეები ხდებიან. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მათი გამოყენება სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების შესრულებისათვის, ოღონდ, მხოლოდ ამ ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობის ინტერესებისათვის და იმ პირობით, რომ, თუ შესასრულებელი სამუშაო სახიფათოა, მის შესრულებაზე ისინი ნებაყოფლობით განაცხადებენ თანხმობას.

სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციებში განწესებული სამხედრო შენაერთების შენობები, მსხვილი აღჭურვილობა და სატრანსპორტო საშუალებები მკაფიოდ უნდა აღინიშნოს სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო განმასხვავებელი ნიშნით. განმასხვავებელი ნიშანი რაც შეიძლება დიდი უნდა იყოს და მკაფიოდ ჩანდეს შორი მანძილიდანაც.

სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციებში მუდმივად განწესებული სამხედრო შენაერთების მატერიალური ნაწილი და შენობები, რომლებიც მხოლოდ სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების შესასრულებლადაა განკუთვნილი, მოწინააღმდეგე მხარის ხელში მოხვედრისას, ომის კანონების მოქმედებაში რჩები-

ან. არ შეიძლება მათი გამოყენება სხვა მიზნებისათვის მანამ, სანამ ისინი საჭიროა სამოქალაქო ამოცანათა შესასრულებლად. გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როდესაც წინასწარ იქნება მიღებული სამოქალაქო მოსახლეობის სათანადო უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ზომები.

§4. სამოქალაქო ობიექტების საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში

1974-1977 წლების დიპლომატიურმა კონფერენციამ განამტკიცა წესი იმის შესახებ, რომ მებრძოლმა მხარეებმა ერთმანეთისაგან უნდა განარჩიონ, ერთი მხრივ, სამხედრო ობიექტები და, მეორე მხრივ, სამოქალაქო პირები და ობიექტები, რაც, ბუნებრივია, ამ კონფერენციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს წარმოადგენს. ეს ვალდებულება I ოქმის 48-ე მუხლშია ჩამოყალიბებული: „სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების დაცვისა და პატივისცემის უზრუნველყოფის მიზნით, კონფლიქტში მონაწილე მხარეები პასუხისმგებელნი არიან, განუხრელად შეასრულონ გარკვეული ვალდებულებები.

სამოქალაქო ობიექტების დაცვის სამართლებრივი რეჟიმის გაძლიერების აუცილებლობა შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში განპირობებულია რიგი ფაქტორებით, რომელთაგანაც უმნიშვნელოვანესია სამოქალაქო მოსახლეობის ცხოვრების ნორმალური პირობების შენარჩუნების უზრუნველყოფის საკითხი. ამ მიზნით სს ავალდებულებს მეომარ მხარეებს, განმასხვავებელი ზღვარი გაავლონ სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებს შორის და საომარი მოქმედებები აწარმოონ მხოლოდ სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ.

XX საუკუნის 70-იან წლებში მოქმედი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში გამოიყენებოდა, არ შეიცავდა დასახლებული ობიექტის განსაზღვრას. კვლევითი მუშაობის შედეგად, დიპლომატიურ კონფერენციაზე, რომელიც შეიარაღებული კონ-

ფლიქტების პერიოდში გამოყენებულ სჰს-ის განმტკიცებისა და განვითარების საკითხებს ეეხებოდა, შემუშავებული იქნა სამხედრო და სამოქალაქო ობიექტების განმარტებები, რომლებმაც იურიდიული ასახვა ჰპოვეს 1949 წლის ჟენევის კონვენციების დამატებით ოქმში (1977წ). ასე მაგალითად, I დამატებითი ოქმის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებმა სამოქალაქო მოსახლეობა და კომბატანტები ისევე უნდა გაარჩიონ, როგორც სამოქალაქო და სამხედრო ობიექტები და, შესაბამისად, თავისი ოპერაციები მხოლოდ სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ მიმართონ.[1]

სამოქალაქო ობიექტი არ უნდა იყოს თავდასხმის ან რეპრესალიის ობიექტი. სამოქალაქოა ყველა ობიექტი, რომელიც არ წარმოადგენს სამხედრო ობიექტს[2].

დაცვის ქვეშ მყოფი სამოქალაქო მოსახლეობისა და ობიექტების იმ ობიექტებისაგან გარჩევის ვალდებულება, რომლებზეც დაშვებულია თავდასხმის განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში, განადგურებაც კი, აუცილებელს ხდის იმის ცოდნას, თუ რომელი ობიექტი შეიძლება ჩაითვალოს სამხედროდ.[3]

როგორც უკვე ითქვა, I დამატებითი ოქმების 52-ე მუხლის ნაწილი განსაზღვრავს, რომ სამოქალაქო ობიექტებად ითვლება ყველა ის ობიექტი, რომელიც არ ითვლება სამხედრო ობიექტად.[4]

რა შეიძლება ჩაითვალოს სამხედრო ობიექტად, ანუ, ისეთ ობიექტად, რომელზეც შეიძლება თავდასხმის განხორციელება? სვამს კითხვას პ. გასერი და მისი აზრით, ამ კითხვას პასუხი გაეცა I ოქმის მიღების შედეგ.

სამხედრო ობიექტების ძირითად ნიშნებად ითვლება:

---

[1] ჰანს-პეტერ გასერი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (შესავალი), თბ. 1999წ. გვ.130.

[2] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ.121.

[3] ჰანს-პეტერ გასერი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (შესავალი), თბ. 1999წ. გვ,131,

[4] I ოქმი, მუხლი 52.

1. ობიექტის ხასიათი, მისი განლაგება, დანიშნულება და სამხედრო მიზნებით გამოყენება;
2. მისი ეფექტური წვლილი საომარ მოქმედებებში;
3. სამხედრო უპირატესობა, რომელსაც იღებს მეომარი მხარე სამხედრო ობიექტის სრული ან ნაწილობრივი ნგრევის, დაპყრობის ან ნეიტრალიზაციის შედეგად.

ამა თუ იმ ობიექტის სამხედრო ობიექტად კვალიფიკაციისას აუცილებელია ერთდროულად ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც მიეკუთვნება როგორც თვით ობიექტის ხასიათს, ისე, მისი ნგრევის სამხედრო შედეგებს. ასეთი მიდგომა განაპირობებს I დამატებითი ოქმის (1977 წ) 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსს. ამგვარად, ობიექტი, რომელიც თავისი ხასიათით სამხედროდ ითვლება, ჰუმანიტარული სამართლის თვალსაზრისით იქცევა თავდასხმის კანონიერ მიზნად, თუ მისი ნგრევა, დაპყრობა ან ნეიტრალიზაცია მოცემული მომენტისათვის არსებულ ვითარებაში მეომარ მხარეს ანიჭებს აშკარა უპირატესობას.

თავდასხმის კანონიერი მიზანი ყოველთვის უნდა იყოს მხოლოდ სამხედრო ობიექტები (მაგ. სურსათის საწყობი, რომელიც მოცემული მომენტისათვის არსებულ ვითარებაში გამოიყენება მოწინააღმდეგის პირადი შემადგენლობის მხარდაჭერისათვის, მაგრამ ყველა სამხედრო ობიექტი როდი შეიძლება იყოს თავდასხმის კანონიერი მიზანი (მაგ. სასურსათო საწყობები, რომლებიც მოწინააღმდეგის უკან დახევის გამო, არ გამოიყენებიან თავიანთი პირდაპირი დანიშნულებით), რამდენადაც, სპს-ის თვალსაზრისით, უკანონოა ნებისმიერი უსარგებლო ნგრევა იმ შემთხვევაშიც კი, როცა ისეთი ობიექტი ნადგურდება, რომელიც სამოქალაქოდ არ ჩაითვლება.

ცნება „სამოქალაქო ობიექტი", მოცემულია I დამატებით ოქმში, ე.წ. ანეგაციური ფორმით. სამოქალაქო ობიექტი არ უნდა იყოს თავდასხმის ან რეპრესალიის ობიექტი; სამოქალაქოა ყველა ობიექტი, რომელიც არ წარმოადგენს მე-2 პუნქტით განსაზღვრულ სამხედრო ობიექტს.[1] ამ კატეგორიის ობიექტებისათვის დამახასიათებელი რაიმე ნიშნების მითითების

[1] პანს-პეტერ გასერი,დასახელებული ნაშ. გვ. 121

გარეშე, როცა არსებობს ეჭვი, ხომ არ გამოიყენება სამოქალაქო ობიექტი, მაგალითად, ღვთისმსახურების ადგილები, საცხოვრებელი სახლი ან სხვა საცხოვრებელი ნაგებობები, სკოლა, საომარი მოქმედების ეფექტური მხარდაჭერისათვის, ითვლება, რომ მხოლოდ სამოქალაქო მიზნებისათვის გამოიყენება.[1] სამოქალაქო ობიექტები ფლობენ იმუნიტეტს თავდასხმისაგან, რამდენადაც მათი დანიშნულებაა მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობისა და არსებობის უზრუნველყოფა როგორც შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში, ისე, საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ. ამიტომ, სამოქალაქო ობიექტად უნდა ჩაითვალონ ის ობიექტები, რომლებიც თავიანთი სამოქალაქო ხასიათით, გარკვეულ გარემოებებში კი სამხედრო ხასიათით, აგრეთვე დანიშნულებით ან გამოყენებით უზრუნველყოფენ სამოქალაქო მოსახლეობისათვის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას მშვიდობიანობის დროს და შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში.

ასეთი ობიექტების ძირითადი ნიშნებია:

1) ობიექტების ხასიათი;

2) დანიშნულება და გამოყენება მშვიდობიანი მიზნებით;

3) ნორმალური პირობების უზრუნველყოფა სამოქალაქო მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობისა და არსებობისათვის.

ამ ნიშნებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს დანიშნულება ან გამოყენება მშვიდობიანი მიზნებით, რომელიც საშუალებას იძლევა, მკვეთრად განცალკევდეს სამოქალაქო და სამხედრო ობიექტები, რამდენადაც არ არსებობს ობიექტი, რომელიც მხოლოდ სამხედრო, ან სამოქალაქო იქნებოდა (გარდა გარკვეული გამონაკლისისა). ყველაფერი დამოკიდებულია იმ გავლენაზე, რომელსაც ესა თუ ის ობიექტი ახდენს სამხედრო მოქმედებების მსვლელობაზე. ამიტომ, სამოქალაქო ობიექტი შეიძლება იყოს, როგორც მშვიდობიანი მოსახლეობისათვის სპეციალურად შექმნილი ობიექტები (საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები), ისე, ის ობიექტები, რომლებიც თავიანთი პირველსაწყისი დანიშნულებით, სამხედრო ობიექტებად ითვლება (ჰოსპიტალად გადაკეთებული სამხედრო ყაზარმები).

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ.122.

ამგვარად, სამხედრო და სამოქალაქო ობიექტების ერთმანეთისაგან განსხვავების ძირითად კრიტერიუმად ითვლება ამ ობიექტების პირველსაწყისი ხასიათი, აგრეთვე, მათი დანიშნულება ან გამოყენება, შესაბამისად, სამხედრო ან სამოქალაქო მიზნებით, ეფექტური წვლილი საომარ მოქმედებებში და ა.შ.

§5. სამოქალაქო ობიექტების კლასიფიკაცია საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში

ომის მძიმე შედეგებისაგან ადამიანების მაქსიმალურად დაცვის მიზნით, I ოქმი რიგ სამოქალაქო ობიექტებზე თავდასხმის განხორციელებას კრძალავს.[1] ტერმინი „სამოქალაქო“ ყველა არასამხედრო დანიშნულების მქონე ობიექტს მოიცავს. დაეჭვების შემთხვევაში, „ნებისმიერი ობიექტი, რომელიც ჩვეულებრივ სამოქალაქო მიზნისთვისაა განკუთვნილი, როგორიცაა ღვთისმსახურების ადგილი, სახლი, სხვა ნაგებობა, ან სკოლა” სამოქალაქოდ ითვლება და შესაბამისად, მასზე შეტევის განხორციელება აკრძალულია, ოღონდ მანამ, სანამ სამხედრო მეთაური საპირისპიროში არ დარწმუნდება. სამოქალაქო ობიექტებზე შეტევის განხორციელების ყველა აკრძალვა რეპრესალიებსაც შეეხება.[2]

სამოქალაქო ობიექტების კლასიფიკაციის დანიშნულებაა ის, რომ მოაწესრიგოს და გააიოლოს მის საერთაშორისო-სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. ამ სამოქალაქო ობიექტების ჯგუფის გამოყოფა, რომლებსაც ერთნაირი ნიშნები აერთიანებს, მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული, თვით ობიექტების სიმრავლისა და არსებული კრიტერიუმების მრავალფეროვნებით გამოწვეული განპირობებულობით, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია

---

[1] I ოქმი, მუხლი 61.7.

[2] ჰანს-პეტერ გასერი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (შესავალი), თბ. 1999წ. გვ.136.

ამ ობიექტების ამა თუ იმ ჯგუფის გამოყოფა. ამიტომ განიხილავენ კლასიფიკაციის მხოლოდ ზოგიერთ სახეს.

1. სამართლებრივი დაცვის მიხედვით გამოყოფენ:

– სამოქალაქო ობიექტებს, რომლებიც იმყოფებიან საერთო დაცვის ქვეშ (საცხოვრებელი ნაგებობები);

– სამოქალაქო ობიექტები, რომლებიც იმყოფებიან სპეციალური დაცვის ქვეშ (კაშხლები, დამბები, აესები, კულტურული ფასეულობები და სხვა).

ჰს სამოქალაქო ობიექტების სამართლებრივი დაცვის ორ ძირითად სახეს გამოყოფს: საერთოს და სპეციალურს. I დამატებითი ოქმის (1937წ) თანახმად, სამოქალაქო ობიექტების მიმართ ხორციელდება დაცვის საერთო რეჟიმი, რომლის შესაბამისადაც ობიექტები არ უნდა გახდნენ თავდასხმის ან რეპრესალიების ობიექტი. ამ ობიექტთა საერთო დაცვის სამართლებრივი რეჟიმის განმტკიცებას ემსახურება I დამატებითი ოქმის 51-ე მუხლი, რომელიც ახორციელებს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის რეგლამენტირებას იმ საფრთხისაგან, რომლებიც სამხედრო ოპერაციებთან დაკავშირებით ჩნდება.[1]

ამასთან, I დამატებითი ოქმის რამდენიმე მუხლი შეიცავს დებულებებს, რომლებიც მიმართულია სამოქალაქო ობიექტების გარკვეული ჯგუფის გაძლიერებული დაცვისაკენ: კულტურული ფასეულობები; სამოქალაქო მოსახლეობის არსებობის აუცილებელი ობიექტები; ობიექტები, რომლებიც შეიცავენ სახიფათო ძალას. მოცემული ნორმები ითვალისწინებენ სპეციალური დაცვის რეჟიმს აღნიშნული სამოქალაქო ობიექტების მიმართ; შეიცავს იმ ობიექტების ჩამონათვალს, რომლებზეც აკრძალულია შეიარაღებული თავდასხმა; აგრეთვე, განმარტავს იმ პირობებსა და გარემოებებს, რომლებშიც აღნიშნული აკრძალვა წყვეტს მოქმედებას.

სპეციალური დაცვის რეჟიმის ქვეშ ექცევა არა მარტო ცალკეული სამოქალაქო ობიექტები, არამედ ეს ეხება განსაკუთრებულ ტერიტორიებსაც: დემილიტარიზებულ ზონას, დაუკავებელ ადგილებს, ნეიტრალიზებულ ადგილებს, სანიტარულ ზონებს, უსაფრთხო ზონებსა და ადგილებს.

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ.119.

დებულებები, რომლებიც ითვალისწინებდა თავდასხმისაგან დაცული სპეციალური რაიონების შექმნას, შესული იყო 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციაში და I დამატებით ოქმში (1977წ). ასეთი ადგილებისა და ზონების შექმნა წარმოადგენს სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების დაცვის უზრუნველყოფის საშუალებას; ყოველ შემთხვევაში, საჰაერო ან სხვა სახის დაბომბვისაგან. ამასთან, ეს ობიექტები პასუხობენ სამოქალაქო ობიექტების ყველა იმ მოთხოვნას, რითაც განპირობებულია მათი მიკუთვნება სამოქალაქო ობიექტების კატეგორიისათვის.

I ოქმის 54-ე მუხლი იცავს ყველა იმ ობიექტს, რომელიც სამოქალაქო მოსახლეობის გადარჩენისთვისაა აუცილებელი, ასეთია, მაგალითად, საკვები პროდუქტების მარაგი, პირუტყვი ან სასმელი წყლის მოწყობილობები. ბუნებრივია, ასეთი ობიექტები იმდენად არის დაცული, რამდენადაც ისინი სამოქალაქო მოსახლეობის მიერ გამოიყენება და არა შეიარაღებული ძალების მიერ. მოცემული მუხლი კატეგორიულად აცხადებს: „სამოქალაქო პირთა დამშევა, როგორც ომის მეთოდი, აკრძალულია".[1]

2. მოსახლეობის არსებობის აუცილებლობის თვალსაზრისით, გამო იყოფა:

– მოსახლეობის გადარჩენისათვის აუცილებელი ობიექტები (კვების პროდუქტები, ნათესები, პირუტყვი, ირიგაციული ნაგებობები);

– ობიექტები, რომლებიც აუცილებელია საქმიანობის ნორმალური პირობების შესანარჩუნებლად (ელექტროენერგიის გამომმუშავებელი დანადგარები და ნაგებობები, კულტის მსახურების ადგილები, საცხოვრებლები და ა.შ.).

პირველი კატეგორიის ობიექტებისათვის, როგორც წესი, გათვალისწინებულია სპეციალური დაცვის რეჟიმი, რაც მიუთითებს მათ მნიშვნელობაზე მთელი სამოქალაქო მოსახლეობისათვის. სამოქალაქო მოსახლეობის არსებობისათვის აუცილებელი სამოქალაქო ობიექტების ჩამორთმევას, ჩვეულებრივ მოყვება ხოლმე ადამიანთა გადაადგილება სხვაგან,

---

[1] ჰანს-პეტერ გასერი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (შესავალი) თბ. 1999წ. გვ.137

რადგან მათ სხვა გამოსავალი აღარ რჩებათ. ამიტომ, ასეთი გადაადგილების თავიდან აცილებისათვის იკრძალება შიმშილის გამოყენება სამოქალაქო მოსახლეობის შორის.

მეორე კატეგორიად შეიძლება გამოიყოს როგორც სჰს-ის საერთო დაცვის ქვეშ მყოფი ობიექტები (საცხოვრებელი ნაგებობები), ისე, სპეციალურ დაცვას დაქვემდებარებული პირები.

ჰააგის 1954 წლის 14 მაისის შეიარაღებული კონფლიქტის დროს, კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ არსებულ კონვენციაზე დაყრდნობით, I ოქმის 53-ე მუხლი კრძალავს თავდასხმის განხორციელებას „ისტორიული ძეგლების, ხელოვნების ნიმუშების ან ღვთისმსახურების ადგილების წინააღმდეგ, რომლებიც ხალხთა კულტურულ და სულიერ მონაპოვარს წარმოადგენს.[1]

3. მატერიალური და კულტურული ფასეულობების კრიტერიუმის მიხედვით, გამოყოფენ:

– ობიექტებს, რომლებიც შეადგენენ მატერიალურ ფასეულობას (შენობები, ნაგებობები, დამბები, კაშხლები);

– ობიექტებს, რომლებიც წარმოადგენენ არა მარტო მატერიალურ, არამედ კულტურულ ფასეულობას (კულტურული ფასეულობები და კულტის მსახურების ადგილები).

და სხვა ყველა ობიექტს, რომლებსაც აქვს მატერიალური ფასეულობა. გარდა ამისა, ზოგიერთ სამოქალაქო ობიექტს ასევე აქვს კულტურული ფასეულობა, რომელიც შეადგენს არა სამოქალაქო ობიექტების დამოუკიდებელ ჯგუფურ-კულტურულ ფასეულობებს. ზიანი, რომელიც კულტურულ ფასეულობებს ადგება შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში, წარმოადგენს ზიანს კაცობრიობის მთელი კულტურული მემკვიდრეობისათვის, რამდენადაც ეს ფასეულობა წარმოადგენს მსოფლიო კულტურის საგანძურს, ხოლო კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ყველა ხალხისათვის.

4. პოტენციური საფრთხისა და რეალური დაცულობის მიხედვით, დივერსიულ-ტერორისტული საქმიანობის პირობებში. შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში, გამოყოფენ შემდეგ ჯგუფებს:

---

[1] I ოქმი, მუხლი 54

– სერიოზული მნიშვნელობის ობიექტები (ატომურ ენერგეტიკასთან დაკავშირებული);
– განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტები (კაშხლები, დამბები, ქიმიური ქარხნები);
– მომეტებული მნიშვნელობის ობიექტები (კულტურული ფასეულობები, სამოქალაქო მოსახლეობის არსებობისათვის აუცილებელი ობიექტები);
– საერთო მნიშვნელობის ობიექტები (საცხოვრებელი სახლები, სკოლები).

შეიარაღებული კონფლიქტების დროს, სამოქალაქო ობიექტების კლასიფიკაციის პირობებში, მოსალოდნელი ტერორიზმის გამოვლინებების ნიშნის გათვალისწინება უნდა მოხდეს შემდგომი ოპერაციების დაგეგმაში, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ასეთ ობიექტთა თითოეული ჯგუფისათვის უნდა დადგინდეს დაცვის შესაბამისი დონე, რომელიც გამოხატულია საორგანიზაციო, დაცვითი, სარეჟიმო და სხვა ზომების მოცულობითი და ანტიტერორისტული, ან დივერსიის საწინააღმდეგო მიზნების თვალსაზრისით.

თავი VIII

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

§1. კულტურულ ფასეულობათა დაცვა შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში

1935 წლის 15 აპრილს, ვაშინგტონში ხელი მოეწერა ე.წ. „პერიხის პაქტს“, რომლის ორგანიზატორი იყო „პერიხის მუზეუმი“, სადაც „მაღალმა ხელშემკვრელმა ქვეყნებმა მიზნად დაისახეს, კონვენციის ფორმა მიეცათ რეზოლუციის შინაარსისათვის, რომელიც მიღებული იქნა სახელმწიფოთა მიერ, 1933 წლის 16 დეკემბერს VII საერთაშორისო კონფერენციაზე ამერიკის მონტევიდეოში.[1]

„პერიხის პაქტის“ შესაბამისად, კულტურული ფასეულობები დაცული იქნეს და მას პატივისცემით უნდა მოეპყრან როგორც საომარი მდგომარეობის დროს, ასევე მშვიდობიანობის პერიოდში.

ყველა სამოქალაქო ობიექტს შორის, რომლებსაც სამართლებრივი დაცვა ესაჭიროებათ შეიარაღებული კონფლიქტების დროს, განსხვავებული ადგილი უჭირავს კულტურულ ფასეულობათა დასაცავად განკუთვნილ და კულტურულ ფასეულობათა შესანახ ობიექტებს. ისინი ითვლებიან კაცობრიობის კულტურულ და ისტორიულ საკუთრებად, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოების კულტურულ და სულიერ ცხოვრებაში; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად მიიჩნევს კულტურულ ფასეულობათა დაცვის საკითხს. კონვენცია შვიდი თავისა და 40 მუხლისაგან შედგება, სადაც განმტკიცებულია კულტურულ ფასეულობათა დაცვის ყველა ნიუანსი. შეიარაღებული კონფლიქტის წარმოშობის პირობებში, კონვენციის 23-ე მუხლით, გათვალისწინებულია იუნესკოს ჩართვა, რომელსაც უფლება აქვს, პრობლემასთან დაკავშირებით წინადადებით

[1] Сборник Гаагских конвенций и иных соглашений. М., 1995. с.30.

მიმართოს მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს.[1] მანამდე, კულტურულ ფასეულობად აღიარებული ობიექტების სამართლებრივი დაცვა საომარი მოქმედების პერიოდში, ძირითადად რეგულირდებოდა კონვენციით სახმელეთო ომის კანონებისა და წესების შესახებ (1907, ჰააგის IV კონვენცია) და დებულებით სახმელეთო ომის კანონებისა და წესების შესახებ.

შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ არსებული ჰააგის 1954 წლის 14 მაისის კონვენციისა და სხვა შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების დებულებებით აკრძალულია:

ა) მტრული მოქმედების განხორციელება იმ ისტორიული ძეგლების, ხელოვნების ნიმუშების ან ღვთისმსახურების ადგილების მიმართ, რომლებიც ხალხთა კულტურულ ან სულიერ მემკვიდრეობას წარმოადგენენ;

ბ) ამგვარი ობიექტების გამოყენება სამხედრო მიღწევების მხარდასაჭერად;

გ) რეპრესალიების წარმოება ამგვარი ობიექტების მიმართ.[2]

1995 წელს, მიღებული იქნა ვაშინგტონის პაქტი-ხელშეკრულება იმ დაწესებულებების დაცვის შესახებ, რომლებიც მეცნიერებისა და ხელოვნების მიზნებს ემსახურება; აგრეთვე, იმ დაწესებულებებისა, რომლებიც ისტორიულ ძეგლებს წარმოადგენენ. ეს იყო პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, თუმცა, არსებობდა რამდენიმე რეგიონალური მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც სპეციალურად ეძღვნებოდა კულტურულ ფასეულობათა დაცვის. ამ ხელშეკრულებაში შესულია პრინციპული დებულებები კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ (დაცვა მათი სპეციალურ დაცვაში გატარება რეგისტრაციით, ძეგლებზე მაგრადება განსაკუთრებული განმასხვავებელი ნიშნები და სხვა). ვაშინგტონის პაქტი ითვალისწინებდა კულტურულ ფასეულობათა დაცვის რომლებიც მშვიდობიან, ისე საომარ მოქმედებათა დროს; კერძოდ, ხელშეკრულების პრეამბულაში მოცემულია დებულება, რომლის

---

[1] Сборник Гаагских конвенций и иных соглашений. М., 1995. с.43.

[2] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ხელშეკრულებების კრებული), 2006წ. გვ. 122.

თანახმადაც, „კულტურის ძეგლები დაცული უნდა იყოს ომის დროს და მშვიდობიან პერიოდში“.

მსოფლიო კულტურისათვის ჰიტლერელთა ჯარების მიერ მეორე მსოფლიო ომში მიყენებული უზარმაზარი ზიანი განაპირობებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შემდგომი შემუშავება-დახვეწის აუცილებლობას. ამასთან დაკავშირებით 1954 წლის 14 მაისს მიღებულ ჰააგის კონვენციას კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, ახლავს კონვენციის აღმასრულებელი რეგლამენტი კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში და წარმოდგენილია ოქმის სახით, რაზედაც ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა.

როგორც უკვე აღინიშნა, 1954 წლის ჰააგის კონვენცია, ეს არის უნივერსალური ხასიათის პირველი საერთაშორისო შეთანხმება, რომელშიც კოდიფიცირებულია მრავალი ნორმა, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურულ ფასეულობათა დაცვას რომ ითვალისწინებს. მისი მოქმედება ვრცელდება როგორც მოძრავ, ისე უძრავ კულტურულ ფასეულობებზე.

თუმცა, საომარი მოქმედებების ხასიათში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც XX საუკუნის მე-2 ნახევრის შეიარაღებულ კონფლიქტებში გამოვლინდა, კერძოდ, ირან-ერაყის კონფლიქტი, ომი სპარსეთის ყურეში და, განსაკუთრებით, ბალკანეთში, ყოფილ იუგოსლავიაში, მოითხოვს 1954 წლის კონვენციის რიგ დებულებათა გადასინჯვას. ამით იყო განპირობებული მეორე ოქმის მიღება დიპლომატიურ კონფერენციაზე ჰააგაში. 1999 წლის 26 მარტს.

გარდა მითითებული საერთაშორისო ხელშეკრულებისა, ნორმებმა კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ ასახვა ჰპოვა ჯერ კიდევ 1949 წლის ჟენევის კონვენციებში და შემდგომ, 1977 წლის დამატებით ოქმებში. კერძოდ, I დამატებითი ოქმის 53-ე მუხლი და II დამატებითი ოქმის მე-16 მუხლი ეძღვნება კულტურულ ფასეულობათა და რელიგიური მსახურების ადგილთა დაცვას საერთაშორისო კონფლიქტების პერიოდში.

კულტურულ ფასეულობად, მათი წარმომადგენლობისა და მფლობელის მიუხედავად, ითვლება ის მოძრავი თუ უძრავი ფასეულობები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ყველა ხალხის კულტურული მემკვიდრეობისათვის. მაგალითად, ისეთები, როგორებიცაა არქიტექტურის, ხელოვნების ან ისტორიის ძეგლები, არქეოლოგიური ადგილები, არქიტექტურული ანსამბლები, რომლებიც ისტორიულ და მხატვრულ ღირებულებას ატარებენ, ასევე, ხელოვნების ნიმუშები, წიგნები, მხატვრული, ისტორიული და არქეოლოგიური მნიშვნელობის სხვა საგნები; აგრეთვე, სამეცნიერო კოლექციები ან წიგნების მნიშვნელოვანი კოლექციები, საარქივო მასალები, ზემოთ მითითებულ ფასეულობათა რეპროდუქციები;

– შენობები, რომელთა მთავარ და ნამდვილ დანიშნულებად მოძრავ კულტურულ ფასეულობათა შენახვა ან ექსპონირება ითვლება, მაგალითად, ისეთები, როგორებიცაა მუზეუმები, მსხვილი ბიბლიოთეკები, არქივების საცავები; აგრეთვე ის საცავები, რომელთა დანიშნულებაა შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, მოძრავი კულტურული ფასეულობების შენახვა-დაცვა;
– ცენტრები, რომლებშიც წარმოდგენილია კულტურულ ფასეულობათა მნიშვნელოვანი რაოდენობა, ე.ი. „კულტურულ ფასეულობათა თავმოყრის ცენტრები“.

ამგვარად, დაცვას, ერთი მხრივ, ექვემდებარება სამოქალაქო ობიექტები, რომლებიც თავისთავად წარმოადგენენ კულტურულ ფასეულობებს, ხოლო მეორე მხრივ ის ობიექტები, რომლებშიც დაცული ან გამოფენილია კულტურული ფასეულობები.

კულტურული ფასეულობები, როგორც მინიმუმ, უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ საერთო დაცვით, რომელიც მათ უსაფრთხოებასა და პატივისცემას გულისხმობს.

დაცვაში იგულისხმება იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის დანიშნულებაა კულტურულ ფასეულობათა შენახვა (1954 წ. კონვენციის მუხ. 3).[1] საუბარია, უწინარეს ყოვლისა, ყოველი სახელმწიფოს ვალდებულებაზე, მოამზადოს იმ ფასეულობათა დაცვა მშვიდობიანობის დროს, რომლებიც მის სა-

[1] Сборник Гаагских конвенций и иных соглашений. М., 1995. с.34.

კუთარ ტერიტორიაზეა განლაგებული, შეიარაღებული კონფლიქტის შესაძლო შედეგებისაგან. ამ დებულების საფუძველში დევს კონვენცია, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ კულტურული მემკვიდრეობა და მისი დაცვა ითვლება მთელი საერთაშორისო თანასაზოგადოების ზრუნვის საგნად. ამიტომ, ასეთ ფასეულობათა მფლობელი სახელმწიფო ვალდებულია და პასუხს აგებს ამ თანასაზოგადოების წინაშე ფასეულობათა დაცვისათვის.

1954 წლის კონვენცია ყველა მხარეს აძლევს საშუალებას, შეარჩიოს ღონისძიებები, რომელთა მიღებაც მას სურს საკუთარ ტერიტორიაზე ფასეულობათა დასაცავად. 1999 წლის II ოქმის მე-5 მუხლში მითითებულია კონკრეტული მოსამზადებელი ზომები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული კონფლიქტის მოსალოდნელი შედეგებისაგან კულტურულ ფასეულობათა დაცვისათვის. ეს ზომები შეიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა:

- ჩამონათვალის შედგენა;
- ხანძრებისა და კონსტრუქციების ნგრევისაგან დასაცავად საგანგებო ღონისძიებების დაგეგმვა;
- მომზადება მოძრავი ფასეულობის გადასატანად ან ადგილზე მათი სათანადო დაცვის უზრუნველყოფა;
- კომპეტენტური პირების დანიშვნა, რომლებიც პასუხს აგებენ კულტურულ ფასეულობათა დაცვისათვის.

კულტურულ ფასეულობათა პატივისცემაში იგულისხმება თითოეული სახელმწიფოს ვალდებულება:

- აკრძალოს კულტურულ ფასეულობათა გამოყენება იმ მიზნებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ მათი განადგურება ან დაზიანება შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში;

თავი შეიკავოს ამ ფასეულობათა წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი მტრული აქტისაგან (1954 წ. კონვენციის მუხ. 4 ნაწ. I).[1]

გარდა ამისა, 1954 წლის მონაწილე სახელმწიფოებმა ივალდებულეს:

[1] Сборник Гаагских конвенций и иных соглашений. М., 1995. с.34-35.

1) კულტურულ ფასეულობათა, ნაგებობათა, იმ მიზნებით გამოყენების აკრძალვა, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს მათი განადგურება ან დაზიანება შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში;
2) კულტურულ ფასეულობათა წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი აქტისაგან თავის შეკავება;
3) აკრძალვის რეალიზაცია, რათა თავიდან აიცილოს და, აუცილებლობის შემთხვევაში, აღკვეთოს კულტურულ ფასეულობათა ქურდობის, ძარცვის ან ნებისმიერი ფორმით, უკანონოდ მითვისების ნებისმიერი აქტი; აგრეთვე, ვანდალიზმის ყოველი აქტი, მიმართული ამ ფასეულობების წინააღმდეგ;
4) აკრძალოს მოძრავი კულტურული ფასეულობების რეკვიზიცია, რომლებიც განლაგებულია მეორე მომლაპარაკებელი მხარის ტერიტორიაზე;
5) თავი შეიკავოს კულტურული ფასეულობების წინააღმდეგ ნებისმიერი რეპრესიული ღონისძიებების მიღებისაგან (1954 წ. კონვენცია მუხ, 4 ნაწ. 3,).

საერთო დაცვის ქვეშ მყოფი კულტურული ფასეულობების დაცვა, შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში, აბსოლუტურ ხასიათს როდი ატარებს. 1959 წლის ჰააგის კონვენცია დასაშვებად მიიჩნევს კულტურული ფასეულობების პატივსაცემად ნაკისრი ვალდებულებებისაგან გადახვევას იმ შემთხვევაში, თუ „საომარი ვალდებულება" დაჟინებით მოითხოვს ასეთ ნგრევას, (1954 წლის კონვენცია მუხ. 4, ნაწ. 2).

გარდა საერთო დაცვისა, 1954 წლის კონვენცია ითვალისწინებს კულტურულ ფასეულობათა სპეციალური დაცვის რეჟიმს, რომელიც ენიჭება იმ ფასეულობებს, რომლებსაც თითოეული ხალხისათვის აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა; ისინი შეაქვთ „სპეციალური დაცვის ქვეშ მყოფ კულტურულ ფასეულობათა საერთაშორისო რეესტრში" (1954 წ. მუხ. 8, ნაწ. 6).[1]

სპეციალური დაცვის არსი იმაში მდგომარეობს, რომ 1954 წლის ჰააგის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები

[1] Сборник Гаагских конвенций и иных соглашений. М., 1995. с.35.

იღებენ ვალდებულებას, საერთაშორისო რეესტრში კულტურულ ფასეულობათა შეტანის მომენტიდან უზრუნველყონ მათი იმუნიტეტი, თავი შეიკავონ მათ მიმართ განხორციელებული ნებისმიერი მტრული აქტისაგან, აგრეთვე, მათი და მათ მახლობლად მდებარე ნაკვეთების სამხედრო მიზნებით გამოყენებისაგან.

სპეციალური დაცვის ქვეშ შეიძლება აიყვანონ იმ საფართა შეზღუდული რაოდენობა, რომლებიც დანიშნულია მოძრავი კულტურული ფასეულობების დასაცავად, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში; აგრეთვე, იმ კულტურულ ფასეულობათა დაცვის უზრუნველსაყოფად, რომლებსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ იმ პირობით, რომ ისინი:

1) იმყოფებიან საკმაოდ დაშორებით მსხვილი ინდუსტრიული პუნქტიდან ან ნებისმიერი სამხედრო ობიექტისაგან (აეროპორტიდან, რადიოსადგურიდან, პორტიდან, რკინიგზის სადგურიდან და სხვა);
2) არ გამოიყენება სამხედრო მიზნებისათვის (1954 წლის კონვენციით, მუხ. 8).

კულტურულ ფასეულობათა თავმოყრის ცენტრი სამხედრო მიზნებით გამოყენებულად იმ შემთხვევაში ითვლება, თუ მასში ისეთი საქმიანობა ხორციელდება, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვს სამხედრო ოპერაციებთან, ჯარის პირადი შემადგენლობის განლაგებასთან, სამხედრო მასალების წარმოებასთან, ან მის გამოყენებასთან პირადი შემადგენლობისა თუ ჯარის მატერიალური ნაწილის გადაადგილებისას, ან ტრანზიტის შემთხვევაშიც კი.

ჩამოთვლილი პირობები არსებითად ზღუდავს იმ ობიექტების არეს, რომლებიც შეიძლება სპეციალური დაცვით სარგებლობდნენ. 1954 წლის კონვენცია აზუსტებს ცნებას „საკმაოდ დაშორება"; არც არსებობს კრიტერიუმი, რომელიც იმის თქმის საფუძველს მოგვცემდა, თუ რა მანძილზეა ამ შემთხვევაში ლაპარაკი. ამიტომ, იმ აუარებელი ძეგლიდან, რომელსაც სახელმწიფო იცავს, მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ ისარგებლონ სპეციალური დაცვით, რომელიც 1954 წლის კონვენციით არის განსაზღვრული.

იუნესკოს ერთ-ერთი მოხსენების თანახმად, განცხადება. რეესტრში კულტურულ ფასეულობათა ცენტრების შეტანის თაობაზე, მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფომ გააკეთა: ავსტრიამ, გერმანიამ, ნიდერლანდებმა, ვატიკანმა და სხვა რესპუბლიკებმა. ამ განცხადებების შესაბამისად, რეესტრში შეტანილი იქნა კულტურულ ფასეულობათა თავმოყრის რვა თავშესაფარი, საფარი და ერთი ცენტრი. რეესტრში ბოლო ჩანაწერი მიეკუთვნება 1978 წელს.

სპეციალისტების აზრით, სპეციალური დაცვის ქვეშ მყოფი კულტურული ფასეულობის იმუნიტეტი ასევე აბსოლუტურად არ ვრცელდება და შეიძლება მოხსნილი იქნას შემდეგ შემთხვევებში:

1) თუ კონფლიქტის ერთ-ერთი მხარე ასეთ ფასეულობებს და მათ მიმდებარე ნაკვეთებს გამოიყენებს საომარი მიზნებით, მეორე მხარე თავისუფლდება ვალდებულებისაგან, უზრუნველყოს კულტურულ ფასეულობათა ხელშეუხებლობა მანამ, სანამ ეს დარღვევა ვრცელდება. ამიტომ, ყოველთვის, როდესაც ამის შესაძლებლობაა, წინასწარ უნდა იქნას აღკვეთილი მათი გამოყენება სამხედრო მიზნებით, გონივრულ ვადაში;

2) გარკვეული სამხედრო აუცილებლობის შემთხვევაში და მხოლოდ იქამდე, სანამ ეს აუცილებლობა არსებობს. ამის კონსტატირება შეუძლია სამხედრო მეთაურს, დაწყებული დივიზიის, ნაწილის მეთაურიდან და ზემოთ. ყველა შემთხვევაში, როდესაც ვითარება ამის შესაძლებლობას იძლევა, გადაწყვეტილება იმუნიტეტის მოხსნის შესახებ, დროულად ეცნობება მოწინააღმდეგე მხარეს. გარდა ამისა, უმოკლეს ვადაში, წერილობით და მოხსენების მითითებით ინფორმირდება გენერალური კომისარი ფასეულობათა დარგში.

სპეციალური დაცვის რეჟიმმა ვერ მოიტანა მოსალოდნელი შედეგები კულტურულ ფასეულობათა დაცვის საქმეში, რამაც მსოფლიო თანამეგობრობას უბიძგა, 1954 წლის ჰააგის კონვენციის რიგი დებულებების გადახედვისაკენ. 1999 წელს მიღებული იქნა მეორე ოქმი, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, კულტურულ ფასეულობათა გაძლიერებული დაცვის რეჟიმის შემოღებას ითვალისწინებს.

რომელიც კულტურულ ფასეულობათა საერთაშორისო სიაში შეტანილი ფასეულობების მიმართ გამოიყენება.

მიუხედავად იმისა, რომ 1999 წლის მეორე ოქმით გათვალისწინებული კრიტერიუმები სიაში შესატან ფასეულობებს უფრო შესაძლებელად მიიჩნევს, ვიდრე, კულტურულ ფასეულობათა საერთაშორისო რეესტრში შეტანას, კულტურული ფასეულობები უნდა აკმაყოფილებდნენ სამ პირობას:

– ისინი წარმოადგენენ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელსაც კაცობრიობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს;

– ისინი დაცულნი არიან ნაციონალურ დონეზე მიღებული სათანადო სამართლებრივი და ადმინისტრაციული ღონისძიებებით, რომლებიც მათ განსაკუთრებულ კულტურულ და ისტორიულ ღირებულებებს აღიარებენ და უზრუნველყოფენ ყველაზე უფრო მაღალ დონეზე დაცვას;

– ისინი არ გამოიყენება სამხედრო მიზნებით და სამხედრო ობიექტების დაფარვისათვის.

გაძლიერებული დაცვა გულისხმობს უფრო მაღალ პარამეტრებს საერთო და სპეციალურ დაცვასთან შედარებით. ამით არის განპირობებული ასეთ ფასეულობათა უფრო ეფექტური დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში.

კულტურულ ფასეულობათა დაცვის საუკეთესო და კლასიკურ მაგალითად ჩაითვლება საფრანგეთის სახელმწიფოს მიერ საქართველოსა და ქართველი ხალხის კუთვნილი საგანძურის დაცვა, რომელიც განხორციელდა 1921-1945 წლებში აკად. ექვთიმე თაყაიშვილისა და სხვა ემიგრანტი ქართველი პატრიოტების ძალისხმევით. 24 წლის შემდეგ განძი ხელშეუხებელი დაუბრუნდა მის ისტორიულ მეპატრონეს-ქართველ ხალხს.

1999 წლის ოქმმა 1954 წლის კონვენცია ახალი დებულებებით შეავსო, რომლებიც სამხედრო აუცილებლობას ეხება. 1999 წლის მეორე ოქმის მე-6 მუხლის თანახმად, კულტურულ ფასეულობათა წინააღმდეგ მტრული აქტის განხორციელებაზე თავშეკავების ვალდებულების დარღვევა უკიდურესი სამხედრო აუცილებლობის მიზეზებით დასაშვებია, როდესაც:

1) თავიანთი დანიშნულებით ეს კულტურული ფასეულობები გადაქცეულია სამხედრო ობიექტად:

2) არ არსებობს არავითარი პრაქტიკულად შესაძლო ალტერნატივა, თანაბარფასეული სამხედრო უპირატესობის მისაღებად, გარდა იმისა, რომელიც შეიძლება მიღებული იქნას იმ ობიექტის მიმართ მტრული აქტის განხორციელების შედეგად.

ამ პირობებს მეოთხე ოქმმა დაუმატა გარანტია, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ უკიდურესი სამხედრო აუცილებლობის მოხმარების გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ უფროსი ოფიცრის, ბატალიონის მეთაურის ან უფრო ნაკლები ძალების მეთაურის მიერ, თუკი გარემოება სხვაგვარი მოქმედების საშუალებას არ იძლევა.

1999 წლის ოქმი ასევე შეიცავს იმ ქმედების ჩამონათვალს, რომელიც განიხილება როგორც სჰს-ის ნორმების სერიოზული ხელყოფა, რომელთა დარღვევისათვისაც სახელმწიფო ვალდებულია, განახორციელოს სისხლის სამართლებრივი დევნა.

§2. სამოქალაქო მოსახლეობის არსებობისათვის აუცილებელი ობიექტების დაცვა

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ითვალისწინებს იმ ობიექტების დაცვის აუცილებლობას, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო მოსახლეობის არსებობა – გადარჩენისათვის. ადამიანისათვის მნიშვნელობა არა აქვს, იგი შიმშილით მოკვდება თუ ტყვიით, მთავარია სიცოცხლე. ამიტომ, სჰს გულისხმობს იმ ობიექტების განსაკუთრებულ დაცვას, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო მოსახლეობის არსებობისათვის.

კონფლიქტში მყოფი მხარეების მიერ, მათი დაცვის უზრუნველყოფისათვის, აკრძალულია „თავდასხმა ან განადგურება, გატანა ან განადგურება ობიექტებისა, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო მოსახლეობის არსებობისათვის; ისეთებისა, როგორიცაა კვების პროდუქტების მარაგი, სურსათის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო რაიონები, ნათესები, პირუტყვი, წყლის მარაგი და მისი ნაგებობები; აგრეთვე, „ირიგაციული ნაგებობ-

ები“ (1977 წლის I დამატებითი ოქმი, მუხ. 54)[1]. მუხლის შინაარსის გამოყენების სფერო მოიცავს აკრძალვებს, სამოქალაქო მოსახლეობის გადარჩენისათვის აუცილებელი ობიექტის განადგურების ან მწყობრიდან გამოყვანის (წახდენის) თავიდან ასაცილებლად;

– ობიექტის განადგურება მოწინააღმდეგის იმ ტერიტორიაზე თავდასხმის შედეგად, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ოკუპირებული;

– ობიექტის განადგურება საკუთარ ტერიტორიაზე თავდასხმის შედეგად, რომელიც მოწინააღმდეგის მიერ არის ოკუპირებული;

– ობიექტის განადგურება მოწინააღმდეგის ოკუპირებულ ტერიტორიაზე;

– ობიექტის ნგრევა საკუთარ ტერიტორიაზე, რომელიც არ არის ოკუპირებული ან მოსალოდნელია მოწინააღმდეგის მიერ მისი დაკავება.

ნორმა, რომელიც ეხება სამოქალაქო ობიექტების დაცვას ნაციონალურ ტერიტორიაზე, სჰს-ში ნოვაციას წარმოადგენს. რაც შეეხება იმ ობიექტების დაცვას, რომლებიც აუცილებელია ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამოქალაქო მოსახლეობის გადარჩენისათვის, მათი სამართლებრივი სტატუსი განხილულია ჯერ კიდევ ჟენევის კონვენციაში, ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ 1949 წელს კერძოდ, 1949 წლის IV ჟენევის კონვენციის 53-ე მუხლის შესაბამისად, ოკუპაციის განმახორციელებელ ქვეყანას, განსაზღვრული გამონაკლისის გარდა, ეკრძალება ნებისმიერი სამოქალაქო ობიექტის განადგურება, კერძოდ, იმ ობიექტებისაც, რომლებიც დანიშნულია სამოქალაქო მოსახლეობის გადარჩენისათვის.

1977 წლის I დამატებით ოქმში არ არის მოცემული განსაზღვრა, რომელიც ახსნიდა ტერმინს „ადამიანთა არსებობისათვის აუცილებელი ობიექტები“. 54-ე მუხლი, მის სანაცვლოდ განიხილავს იმ ობიექტების ჩამონათვალს, რომლებიც ადამიანთა არსებობისთვისაა აუცილებელი. იგი შესულია 1977 წლის I დამატებითი ოქმის მე-2 ნაწ, 54-ე მუხლის სიტყვებით: „ისეთები, როგორიც“ – საარსებოდ აუცილებელს წარმოადგენს. ასეთებია:

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული) თბ. 2006. გვ. 122

საკვების მარაგის, სურსათის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო რაიონების, ნათესების, საქონლის, სასმელი წყლის მარაგის, საირიგაციო ნაგებობების განადგურება, გატანა, მწყობრიდან გამოყვანა, მათზე თავდასხმა იმ განზრახვით, რომ სამოქალაქო მოსახლეობამ ან მოწინააღმდეგე მხარემ ვერ შეძლოს მათი, როგორც საარსებო საშუალებების გამოყენება, განურჩევლად იმისა, თუ რა მოტივი ედო საფუძვლად ამგვარ მოქმედებას – სამოქალაქო მოსახლეობის დამშევა, მათი იძულებითი გადასახლება თუ რაიმე სხვა.[1] სპეციალისტთა აზრით, იგი არ იძლევა საშუალებას, განვიხილოთ როგორც სამაგალითო ობიექტების ამომწურავი სიის ჩამონათვალი. ადვილად შეიძლებოდა, ადგილი ჰქონოდა სამოქალაქო ობიექტების გამოტოვებას ან რამდენადმე დაუდევარ შერჩევას. ამიტომ ამ ცნების გაფართოებული განმარტება საშუალებას მოგვცემს, გავითვალისწინოთ კონკრეტული გარემოებები შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის მაქსიმალურად ეფექტური რეჟიმის უზრუნველსაყოფად.[2] ამიტომ, მკვლევარები ასეთი ობიექტების ორ ზოგად ჯგუფად დაყოფას გვთავაზობენ: უშუალოდ სურსათი (კვების პროდუქტების მარაგი, ნათესები, პირუტყვი, სასმელი წყლის მარაგი); ამ სურსათის მწარმოებელი რაიონები და ნაგებობები (სასაოფლო-სამეურნეო რაიონები, საირიგაციო ნაგებობები). ობიექტების მეორე ჯგუფი, მოწინააღმდეგე მხარემ შეიძლება გამოიყენოს არა მარტო საკუთარი არსებობის შენარჩუნების მიზნით, არამედ სხვა სამხედრო-სტრატეგიული მიზნებითაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ასეთ ობიექტებს ეხსნებათ სჰს-ის ნორმებით მინიჭებული სპეციალური დაცვა.

მაგალითად, ნებადართულია რაიონის დაბომბვა იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალოს მოწინააღმდეგის გადაადგილებას იმის მიუხედავად, იწარმოება თუ არა სურსათი ამ რაიონში,

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006. გვ. 123.

[2] მსჯელობა შეიძლება იყოს, კერძოდ კონფლიქტის ზონის კლიმატურ, გეოგრაფიულ, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ-ისტორიულ თავისებურებებზე, რომლებიც ობიექტურად აფართოებენ სამოქალაქო მოსახლეობის გადარჩენისათვის აუცილებელი ობიექტების წრეს.

ამასთან, აკრძალულია იმ რაიონის განზრახ განადგურება, რომელიც სურსათს აწარმოებს, რათა ხელი შეუშალოს მოწინააღმდეგეს, მასზე მოიწიოს მოსავალი. ასევე, ნათესების გათიბვა სროლის სექტორის გაწმენდისათვის, ან იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს მოწინააღმდეგეს, გამოიყენოს იგი, როგორც საფარი, ნებადართულია. სამაგიეროდ აკრძალულია გათიბვა იმ მიზნით, რომ არ მისცენ მოწინააღმდეგეს ამ ნათესების როგორც კვების პროდუქტის გამოყენების საშუალება.

სამოქალაქო მოსახლეობის გადარჩენისათვის აუცილებელი ობიექტების დაცვის რეჟიმი, აბსოლუტურად არ ითვლება. 1977 წლის I დამატებითი ოქმის 54-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ნათესები, პირუტყვი, საირიგაციო ნაგებობები, წყლით მომარაგების სისტემა-ნაგებობები შეიძლება გახდნენ თავდასხმის კანონიერი მიზანი, თუ:

– მოწინააღმდეგე მხარე მათ გამოიყენებს მისი შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის არსებობის შესანარჩუნებლად ან საომარი მოქმედებების პირდაპირი მხარდაჭერისათვის;

– ამ ობიექტის წინააღმდეგ არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენება მოქმედებები, რომელთა შედეგად მოსალოდნელია, რომ სამოქალაქო მოსახლეობა დარჩება სურსათის ან წყლის საკმაო რაოდენობის გარეშე, რაც გამოიწვევს შიმშილს ან აიძულებს მოსახლეობას, დატოვოს ეს ტერიტორია.[1]

ამგვარად, თუკი მოსალოდნელია, რომ თავდასხმა, განადგურება, გატანა ან წახდენა იმ ობიექტებისა, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო მოსახლეობის გადარჩენისათვის, მაგრამ გამოიყენება საომარი მოქმედებების პირდაპირი მხარდაჭერისათვის, გამოიწვევს შიმშილს სამოქალაქო მოსახლეობაში, ნებისმიერი ზომით, ჩამოთვლილი ქმედება განსახილველი ობიექტების მიმართ, აკრძალულია. გარდა ამისა, ასეთ ობიექტებზე თავდასხმის აკრძალვა შეესაბამება დებულებას, რომლის თანახმადაც, არავითარი საომარი აუცილებლობა არ შეიძლება იყოს გამართლებული, თუ ზიანი, რომელიც ამ დროს მიადგა მშვიდობიან მოსახლეობას და სამოქალაქო ობიექტს, ბევრად

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006. გვ. 123.

აღმატებული იქნება თავდასხმის შედეგად მოპოვებულ უპირატესობასთან.

სპს კრძალავს რეპრესალიების განხორციელებას სამოქალაქო მოსახლეობის გადარჩენისათვის აუცილებელი ობიექტების მიმართ. ეს ნორმა გამომდინარეობს საერთო აკრძალვიდან, რომელიც ეხება სამოქალაქო ობიექტების რეპრესალიების ობიექტებად გამოყენებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შემდეგი: 1977 წლის I დამატებითი ოქმის, 54-ე მუხლის მე-5 ნაწილით, აღიარებულია, რომ კონფლიქტის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია გააფართოვოს სამოქალაქო მოსახლეობის არსებობისათვის აუცილებელ ობიექტთა ჩამონათვალი და უზრუნველყოს თავისი ეროვნული ტერიტორიის დაცვა მტრის შემოჭრისაგან, ამ მიზნით დაშვებულია მე-2 პუნქტში მითითებული აკრძალვების დარღვევა, მის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, როცა ამას ოპერატიული სამხედრო აუცილებლობა მოითხოვს.[1] ე.ი. ნორმის თანახმადაც, კონფლიქტში მყოფ მხარეს, რომელიც გამოდის თავისი ეროვნული ტერიტორიების თავდასხმისაგან დაცვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოთხოვნილების აუცილებლობიდან, „შეუძლია დაანგრიოს სამოქალაქო მოსახლეობის გადარჩენისათვის აუცილებელი ობიექტები, ოღონდ, ტერიტორიის იმ კონტროლირებად ნაწილში, სადაც ამას მოითხოვს საომარი აუცილებლობა".

„ასეთ ობიექტთა დაცვის მიზნით, სპს კრძალავს შიმშილის გამოყენებას მშვიდობიან მოსახლეობაში, როგორც ომის წარმოების მეთოდს. ტერმინი „შიმშილი" აღნიშნავს კვების პროდუქტების მწვავე უკმარისობის ხანგრძლივ მდგომარეობას, რომელსაც მოსახლეობის სიკვდილი მოჰყვება.

მშვიდობიან მოსახლეობაში შიმშილის გამოყენების აკრძალვა ითვლება ნორმად, რომელსაც აბსოლუტური ხასიათი აქვს, რამდენადაც 1974-1977 წლების დიპლომატიურ კონფერენციაზე არ ყოფილა მიღებული ფორმულირება, რომლის თანახმადაც შესაძლებელი იქნებოდა ამ დებულებიდან გადახვევა, „დაჟინებული საომარი აუცილებლობის შემთხვევაშიც კი".

ომის წარმოების ეს მეთოდი დასაშვებია, მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტების მონაწილეთა მიმართ. ამიტომ,

---

[1] იქვე, გვ. 123.

ბლოკადის ან ალყის გამოყენება, რომელთა პროცესშიც შიმშილი გამოიყენება, კანონიერი რჩება იმ პირობით, რომ ისინი მიმართულია მხოლოდ კომბატანტების მიმართ, და მიზნად არ ისახავს შიმშილის გავრცელებას სამოქალაქო მოსახლეობას შორის. ლიბერის კოდექსში მითითებულია, რომ შიმშილის გამოყენება კანონიერია შეიარაღებული თუ უიარაღო მტრის მეომარი მხარის მიმართ, რამდენადაც ამას მოჰყვება მტრის უფრო სწრაფი დათრგუნვა.

არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში სამოქალაქო მოსახლეობის გადარჩენისათვის აუცილებელი ობიექტების დაცვა უფრო ფართო ხასიათს ატარებს. 1977 წლის II დამატებითი ოქმის მე-14 მუხლში მოცემულია დასახლებული სამოქალაქო ობიექტების, როგორც ასეთის, განადგურება და ა.შ. ესე იგი, იმ მიზნებისა და მოტივების მიუხედავად, რომლებიც გააჩნია თავდამსხმელ მხარეს, მითითებულ მუხლში ვერ ჰპოვეს ასახვა იმ ნორმებმა, რომლებიც მოსახლეობის გადარჩენისათვის აუცილებელი ობიექტების თავდასხმის კანონიერ მიზნად გადაქცევას გულისხმობენ. ამიტომ, გაანალიზებული ნორმა, შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც უფრო პროგრესული, დასახლებული ობიექტების დაცვის რეჟიმის ეფექტურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

§3. სახიფათო ძალის შემცველი დანადგარებისა და ნაგებობების დაცვა

სახიფათო ძალის შემცველი დანადგარები და ნაგებობები, კერძოდ, კაშხლები, დამბები და ატომური ელექტროსადგურები, არ უნდა გახდეს თავდასხმის ობიექტი მაშინაც კი, როცა ისინი სამხედრო ობიექტებს წარმოადგენენ, თუკი თავდასხმა გამოიწვევს სახიფათო ძალების გამოთავისუფლებას და შესაბამისად, მნიშვნელოვან მსხვერპლს სამოქალაქო მოსახლეობაში.[1]

იმ ობიექტების გვერდით, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო მოსახლეობის გადარჩენისათვის, მოქმედი საერთა-

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006. გვ. 124.

შორისო ჰუმანიტარული სამართალი გამოყოფს სახიფათო ძალების შემცველი ობიექტების სპეციალური დაცვის რეჟიმს, რამდენადაც, საომარი მოქმედებების დროს, მითითებულ ობიექტზე თავდასხმას შეიძლება მოჰყვეს საშიში ძალების გამოთავისუფლება და კატასტროფული შედეგები როგორც სამოქალაქო მოსახლეობის, სამოქალაქო ობიექტებისათვის, ისე გარემოსათვის.

1977 წლის I დამატებითი ოქმის 56-ე მუხლში მოცემულია ნორმა, რომელიც კრძალავს თავდასხმას ისეთი „საშიში ძალების შემცველ დანადგარებსა და ნაგებობებზე, როგორებიცაა კერძოდ, კაშხლები, დამბები და ატომური ელექტროსადგურები". თუმცა, ეს აკრძალვა როდია ყოვლისმომცველი და აბსოლუტური, რამდენადაც ის ვრცელდება მხოლოდ მითითებულ ობიექტზე, ამიტომ მთელი რიგი ნაგებობები და დანადგარები, რომლებიც საშიშ ძალას შეიცავენ, მუხლის მოქმედების ფარგლებს გარეთ დარჩნენ. მაგალითად, ქიმიური ქარხნის დანგრევას, ბირთვული საწვავის მწარმოებელ და გადამამუშავებელ ქარხნებზე, ასეთი ნარჩენების საცავზე თავდასხმას, შეუძლია სამოქალაქო მოსახლეობას, გარემოს, ბუნებას მიაყენონ არა ნაკლები მასშტაბის ზიანი, ვიდრე კაშხლის, დამბის თუ ატომური ელექტროსადგურის კატასტროფას.[1]

მხარდასაჭერია სპეციალისტთა ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, 1977 წლის I დამატებითი ოქმის 56-ე მუხლის თავისებურებად ითვლება ის, რომ ის ასევე ითვალისწინებს თავდასხმისაგან „განსაკუთრებულ" დაცვას იმ სამხედრო ობიექტებისათვის, რომლებიც ან საშიში ძალის შემცველ დანადგარებსა და ნაგებობებში არიან განლაგებულნი, ან მათ სიახლოვეს, თუ ამ თავდასხმას შეუძლია გამოიწვიოს საშიში ძალების გამოთავისუფლება და შედეგად, მშვიდობიანი მოსახლეობის მძიმე დანაკარგები. ასეთ ობიექტთა სპეციალური დაცვა წყდება, თუ ისინი გამოიყენება საომარი ოპერაციების

---

[1] ნატოს შეიარაღებული ძალების თავდასხმას (1999 წლის 24 მარტიდან 8 ივნისამდე) ყოფილი იუგოსლავიის ქიმიურ და ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებზე ათასობით მოქალაქის მოწამვლა მოჰყვა. წყალი, ნიადაგი, ტყეებიც დაზარალდნენ. ხანგრძლივი შედეგებია.

რეგულარული, არსებითი და უშუალო მხარდაჭერისათვის და ასეთი თავდასხმა მათზე, წარმოადგენს ერთადერთ პრაქტიკულ შესაძლო გზას, რათა შეწყდეს ასეთი მხარდაჭერა.[1]

კაშხლებისა და დამბების მიმართ დამატებულია პირობა: „გამოყენება რაიმე ისეთი სახით, რომელიც განსხვავდება მათი ნორმალური ფუნქციონირებისაგან". ნორმალურ ფუნქციონირებაში იგულისხმება მათი ფუნქცია, წყლის განსაზღვრულ ფარგლებში და განსაზღვრულ დონეზე შეკავება-შენარჩუნებასთან დაკავშირებით. თუმცა, თუ კაშხალი ან დამბა გამოიყენება რეგულარული საომარი ოპერაციების არსებითი, უშუალო მხარდაჭერისათვის, უკვე იგულისხმება, რომ ეს ობიექტები „გამოიყენება რაიმე ისეთი სახით, რომელიც განსხვავდება მათი ნორმალური ფუნქციონირებისაგან". 56-ე მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული თავდასხმისაგან განსაკუთრებული დაცვა წყდება: ა) კაშხალისა და დამბების მიმართ, როცა მათ იყენებენ ნორმალური ფუნქციონირებისაგან განსხვავებული სახით და საომარი ოპერაციების რეგულარული, არსებითი და უშუალო მხარდაჭერისათვის; და თუ თავდასხმა, ამგვარი მხარდაჭერის შეწყვეტის ერთადერთი, პრაქტიკულად შესაძლებელი საშუალებაა.[2]

თუკი განსაკუთრებული დაცვა წყდება და სახიფათო ძალის შემცველი ობიექტები ექცევიან თავდასხმის ქვეშ, ხორციელდება სიფრთხილის ყველა პრაქტიკული ზომა, რათა გამოირიცხოს საშიში ძალების გამოთავისუფლება. ამასთან, ყველა შემთხვევაში, სამოქალაქო მოსახლეობა და ცალკეული სამოქალაქო პირები აგრძელებენ სრული დაცვის უფლებით სარგებლობას, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ საერთაშორისო სამართლით.

სჭს კრძალავს რეპრესალების ობიექტად იმ ნაგებობებისა და დანადგარების გამოყენებას, რომლებიც შეიცავენ სახიფათო ძალას მათ სიახლოვეს განლაგებული სამხედრო ობიექტებისა. კონფლიქტში მყოფი მხარეები ვალდებულნი არიან, ხელი შეუწყონ საშიში ძალების შემცველი ნაგებობებისა და დანადგარე-

---

[1] ნაწ. 2, მუხ. 56

[2] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006 წ. გვ. 124

ბის დაცვას, განახორციელონ ყველა შესაძლო ზომა მათზე თავდასხმის აცილებისათვის.

1974-1977 წლების დიპლომატიურ კონფერენციაზე, I დამატებითი ოქმის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის დებულებების შემუშავებისას, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საკითხს, თავდაცვითი მოქმედებისათვის დასაშვები შეიარაღებების ტიპებთან დაკავშირებით. დასაშვებად მიიჩნიეს გამოყენება „იარაღისა, რომელსაც შეუძლია მხოლოდ მოიგერიოს მოწინააღმდეგის თავდასხმა იმ ნაგებობებსა და დანადგარებზე, რომლებიც დაცვით სარგებლობენ“. ამიტომ, აკრძალულია საშიში ძალების შემცველი ობიექტების სიახლოვეს ისეთი იარაღის განლაგება, რომლის დახმარებითაც შესაძლოა თავდასხმა მოწინააღმდეგის იმ ძალებზე, რომლებიც გადაადგილდებიან გარკვეულ მანძილზე ასეთი დაცული ობიექტებიდან. მაგ. 56-ე მუხლის მეორე და მე-6 პუნქტის ძალით, ატომური ელექტროსადგურების მიმართ, თუ ისინი ელექტროენერგიას საომარი ოპერაციების რეგულარული, არსებითი და უშუალო მხარდაჭერისათვის გამოიმუშავებენ და თუ თავდასხმა ამგვარი მხარდაჭერის შეწყვეტის ერთადერთი პრაქტიკულად შესაძლებელი საშუალებაა.[1]

კაშხლების, დამბებისა და ატომური ელექტროსადგურების, სამხედრო ობიექტების, ამ ნაგებობებში და დანადგარებში ან მათ სიახლოვეს განლაგებული სხვა ობიექტების ამოცნობის მიზნით, კონფლიქტში მყოფ მხარეებს შეუძლიათ, მონიშნონ ისინი სპეციალური ნიშნით.[2] ასეთი მონიშვნის უქონლობა კონფლიქტის მონაწილე არც ერთ მხარეს არ ათავისუფლებს მისი ვალდებულებებისაგან მითითებული ობიექტების დაცვასთან დაკავშირებით.

1977 წლის I დამატებითი ოქმის 56-ე მუხლის მე-6 ნაწილი შეიცავს დაბულებას, რომლის თანახმადაც, კონფლიქტის

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006 წ. გვ. 124

[2] ასეთ ნიშნად აღიარებულია ერთ ღერძზე განლაგებული ღია-ნარინჯისფერი წრეები, როგორც მითითებულია I ოქმის დანართის მე-16 მუხლში. იგი შეიძლება იყოს იმდენად დიდი და განმეორებული ისეთ ფართობზე, როგორც ამას კონკრეტული ვითარება მოითხოვს.

მონაწილე მხარეებმა ერთმანეთთან უნდა დადონ შეთანხმება საშიში ძალის შემცველი ობიექტების დამატებითი დაცვის უზრუნველსაყოფად. მოცემული ნორმა ეხება ჟენევის კონვენციის (1949 წ.) ყველა მონაწილეს, ბუხედავად იმისა, ითვლება ის მეომარ მხარედ თუ არა; სახიფათო ძალის შემცველი ობიექტების დაცვა არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში რეგულირდება 1977 წლის II დამატებითი ოქმით. მასში მოცემულია დებულება იმის შესახებ, რომ სახიფათო ძალის შემცველი დანადგარები და ნაგებობები, სახელდობრ, კაშხლები, დამბები და ელექტროსადგურები, არ უნდა გახდნენ თავდასხმის ობიექტები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ასეთი ობიექტები ითვლება სამხედრო ობიექტებად და თუ ასეთ თავდასხმას შეუძლია გამოიწვიოს სახიფათო ძალების გამოთავისუფლება და შემდგომი მძიმე დანაკარგები სამოქალაქო მოსახლეობაში".[1] ამგვარად, მითითებულ მუხლში გათვალისწინებული არ არის განსაკუთრებული დაცვის შეწყვეტის შემთხვევები სახიფათო ძალების შემცველი ობიექტების მიმართ.

§4. განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფი ადგილებისა და ზონების სამართლებრივი მოწესრიგება

კონფლიქტის მონაწილე მხარეებს ეკრძალებათ დაუცველ ობიექტებზე ნებისმიერი სახის თავდასხმა. ასევე, ხელისუფლების ორგანოებს დაუცველ ადგილად შეუძლიათ გამოაცხადონ ნებისმიერი სამოქალაქო პუნქტი, რომელიც შეიარაღებული ძალების ურთიერთშეხების ზონაში, ან მის ახლოსაა და ღიაა ოკუპაციისათვის მოწინააღმდეგის მხრიდან; ოღონდ, ასეთი ადგილი გარკვეულ პირობებს უნდა პასუხობდეს.[2]

სამოქალაქო ობიექტების დაცვის მოწესრიგებულ და მოქმედ საერთაშორისო–სამართლებრივ აქტებში გამოიყენება ორი ტერმინი: „ობიექტი" და „ადგილი". დებულებები, რომლებიც თავდასხმისაგან მოფარებულ სპეციალური რაიონების შექმნას

---

[1] მე-15 მუხლი.

[2] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006 წ. გვ. 129

ითვალისწინებენ, შეტანილია 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციაში: სანიტარული ზონების და ადგილების შექმნა (1949 წლის ჟენევის კონვენცია „დაჭრილებისა და ავადმყოფების ხვედრის გაუმჯობესების შესახებ მოქმედ არმიებში"), 1949 წლის ჟენევის კონვენცია „სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ ომის დროს", აგრეთვე, „ნეიტრალიზებული ზონების შესახებ").

დაცული ტერიტორიების ეს სახეები იქმნებოდა როგორც შეიარაღებული კონფლიქტებისაგან თავშესაფარებელი ადგილები. ამიტომ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, 1977 წლის I დამატებით ოქმში შეტანა დებულებისა განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფ ადგილებისა და ზონების ახალი სახეების შესახებ: დაუცველი ადგილებისა (მუხ, 59) და დემილიტარიზებული ზონებისა (მუხ. 60). ასეთი სპეციალური რაიონების შექმნა ემსახურება სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების დაცვის ამოცანას, როგორც, მინიმუმ საჰაერო ან სხვაგვარი დაბომბვისაგან. ამასთან, მოცემული რაიონები უპასუხებენ სამოქალაქო ობიექტების ყველა ნიშანს, რომლითაც განპირობებულია მათი სამოქალაქო ობიექტთა სახესხვაობად განხილვა.

სანიტარული ზონები და ადგილები. კონფლიქტში მყოფი მხარეების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმგვარად არის ორგანიზებული, რომ ომის შედეგებიდან იყვნენ დაცულნი დაჭრილები და ავადმყოფები; აგრეთვე პერსონალი, რომელთაც ეკისრებათ იმ ზონების ორგანიზაცია და მართვა და იქ კონცენტრირებული პირების მოვლა. 1949 წლის ჟენევის კონვენცია „მოქმედ არმიებში დაჭრილებისა და ავადმყოფების ხვედრის გაუმჯობესების შესახებ", სახელმწიფოს სთავაზობს, ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს შექმნას ასეთი ადგილები და მოწინააღმდეგე მხარესთან დადოს სპეციალური შეთანხმებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

სანიტარული და უსაფრთხო ზონები. ეს ზონები და ადგილები კონფლიქტში მყოფი მხარეების ან ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმგვარად არის ორგანიზებული, რომ ომის მოქმედებიდან იყვნენ დაცულნი დაჭრილები, ავადმყოფები, ინვალიდები, მოხუცები, 15 წლამდე ასაკის ბავშვები, ორსული

ქალები, ქალები 7 წლამდე ასაკის ბავშვებით, აგრეთვე პერსონალი, რომელთაც ეკისრებათ ამ ზონების მოვლა (სანიტარული ზონები და ადგილები იქმნებოდა მხოლოდ დაჭრილებისა და ავადმყოფთა დაცვისათვის მოქმედ არმიებში). ისინი შეიძლება შეიქმნას ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს; ხოლო, საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ დადონ შეთანხმებები ასეთი ზონებისა და ადგილების ურთიერთაღიარების შესახებ.

ნეიტრალიზებული ზონები. იმ რაიონებში, სადაც ბრძოლები წარმოებს, შეიძლება შეიქმნას ზონები, საბრძოლო მოქმედებებებთან დაკავშირებული საფრთხისაგან შემდეგ პირთა დაცვის მიზნით: დაჭრილი და ავადმყოფი კომბატანტები და არაკომბატანტები, სამოქალაქო პირები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში და არ ასრულებდნენ საომარი ხასიათის რაიმე მოქმედებას ამ ზონებში. ასეთი ზონების შექმნა შესაძლებელია, კონფლიქტში მყოფი ნებისმიერი მხარის მიერ, ნეიტრალური სახელმწიფოს, ან ჰუმანიტარული ორგანიზაციის მიერ.

კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა უნდა დადონ წერილობითი შეთანხმება ნეიტრალური ზონების ადგილმდებარეობის შესახებ, რათა გაიმიჯნოს საომარი ხაზი და ის ზონა ან მის მახლობლად მდებარე ზოლი, რომელიც გახსნილია ოკუპაციისათვის, ან საომარი მოქმედებებისა და ნგრევის თავიდან ასაცილებლად, შეიძლება იქნას გამოცხადებული დაუცველ ადგილად, რათა თავიდან იქნას აცილებული საომარი მოქმედებები მათზე და ამით საფრთხე თავიდან იქნას აცილებული, მათში მყოფი სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტებისათვის. კონფლიქტში მყოფ მხარეებს ეკრძალებათ ნებისმიერი სახის თავდასხმა დაუცველ ადგილებზე.[1]

იმისათვის, რომ ადგილის გამოცხადება დაუცველად იყოს შესაძლებელი, ის შემდეგ პირობებს უნდა პასუხობდეს:

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული. 1977 წ. I დამატებითი ოქმის 59-ე მუხლის I ნაწილი), თბ. 2006 წ. გვ. 129.

– ყველა კომბატანტი, აგრეთვე, მობილური საბრძოლო საშუალებები და მობილური სამხედრო აღჭურვილობა ევაკუირებული უნდა იყოს;
– სტაციონარული საბრძოლო დანადგარები ან აღჭურვილობა, არ უნდა იყოს გამოყენებული მტრული მიზნებით;
– ხელისუფლება და მოსახლეობა არ უნდა ახორციელებდეს მტრულ ქმედებას;
– არ უნდა ხორციელდებოდეს არავითარი მოქმედება სამხედრო ოპერაციების მხარდასაჭერად.

დაუცველ ადგილებზე დასაშვებია იმ პირთა ყოფნა, რომლებიც სჰს-ის შესაბამისად, სარგებლობენ განსაკუთრებული დაცვით, აგრეთვე, პოლიციური ძალების მიერ, ერთადერთი მიზნით – კანონიერებისა და წესრიგის დაცვა.

მტრის მხარეს ეძლევა განცხადება, რომელშიც მოცემულია დაუცველი მხარის რაც შეიძლება ზუსტი განსაზღვრა და აღწერა. მეომარი მხარე, რომელსაც მიეწოდება ასეთი განცხადება, ადასტურებს მის მიღებას და ეპყრობა ამ ადგილს, როგორც დაუცველ ადგილს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც, ფაქტობრივად, არ ხდება იმ პირობების დაცვა, რომლებიც განცხადებაშია მოყვანილი; ამ შემთხვევაში ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება განმცხადებელ მხარეს. მაშინაც კი, როდესაც არ ხდება იმ პირობების დაცვა, რომლებსაც უნდა პასუხობდეს დაუცველი მხარე, ასეთი მხარე აგრძელებს სჰს-ის სხვა ნორმებით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობას.

1977 წლის I დამატებითი ოქმის 59-ე მუხლში[1] პირველადაა მოცემული ნორმა, რომლის თანახმადაც, მეომარ მხარეს შეუძლია, ცალმხრივად გამოაცხადოს დაუცველ ადგილად ნებისმიერი დასახლებული პუნქტი, რომელიც შეიარაღებული ძალების ზონაში ან მის მახლობლად იმყოფება. ამასთან, არ არის საჭირო სხვა ამ ადგილების აღიარება სახელმწიფოების მიერ.

დემილიტარიზებული ზონები – ეს არის ზონები, რომლებზეც სამხედრო ოპერაციების განხორციელება ეკრძალებათ

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006 წ. გვ. 130

კონფლიქტში მყოფ მხარეებს. მათ ასევე არ შეუძლიათ ამ ზონების გამოყენება ხაომარი მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებული მიზნებით. შეთანხმება ასეთი ზონების აღიარების შესახებ ნათლად უნდა იყოს გამოხატული, გაფორმებული მშვიდობიან დროს; ასევე, საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ. მაგალითად, გაეროს უშიშროების საბჭომ ერაყში შექმნა დემილიტარიზებული ზონა, კუვეიტის საზღვრის გასწვრივ, ორივე სახელმწიფოსთან შეთანხმებით, სჰს-ის ნორმებთან სრული შესაბამისობით.

კონფლიქტის მონაწილე მხარეებს ეკრძალებათ საომარი მოქმედებების წარმოება ტერიტორიაზე, რომელიც მათ შორის არსებული შეთანხმებით, დემილიტარიზებულ ზონად არის აღიარებული, თუკი, ასეთი რამ ეწინააღმდეგება ამგვარი შეთანხმების პირობებს.[1]

ზონა, რომელიც შეიძლება აღიარებული იქნას „დემილიტარიზებულად", უნდა პასუხობდეს შემდეგ პირობებს:

– ყველა კომბატანტი, აგრეთვე, მობილური საბრძოლო საშუალებები და მობილური საომარი აღჭურვილობა ევაკუირებული უნდა იყოს;

– სტაციონარული სამხედრო დანადგარები და აღჭურვილობები არ უნდა გამოიყენებოდნენ მტრული მიზნებით;

– არც ხელისუფლებამ და არც მოსახლეობამ არ უნდა ჩაიდინოს მტრული მოქმედებები;

– ყოველგვარი საქმიანობა, დაკავშირებული საომარ ძალისხმევასთან, უნდა იყოს შეწყვეტილი.

დემილიტარიზებული ზონის სტატუსი, ერთი შეხედვით, ჰგავს დაუცველი ადგილის სტატუსს, მაგრამ არის განსხვავებებიც. კერძოდ:

– განცხადებას დაუცველი ადგილის შექმნის შესახებ ცალმხრივი ხასიათი აქვს, მაგრამ შეთანხმებას დემილიტარიზებული ზონის შექმნის შესახებ – კონსენსუალური ხასიათი;

– დაუცველი ადგილის სტატუსი დროებითი ხასიათისაა, ხოლო, დემილიტარიზებული ზონის სტატუსი – მუდმივი ხასიათისა, რომელიც მას უნარჩუნდება იმის მიუხედავად, თუ რომელი მეომარი მხარე აკონტროლებს მას.

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი,(ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006 წ. გვ. 131

გარდა განხილული ზონებისა და ადგილებისა, რომელთა სტატუსი გათვალისწინებულია 1949 წლის ჟენევის კონვენციებითა და 1977 წლის I დამატებითი ოქმით, გაეროს აქვს უფლება, ჰუმანიტარული მიზნებით შექმნას უსაფრთხოების და უსაფრთხო ჰუმანიტარული ზონები, ადამიანთა დაცვის გარანტიები.[1] კერძოდ, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში კონფლიქტის დროს უშიშროების საბჭომ ასეთი ზონები შექმნა ქალაქებისათვის: სარაევო, ტუზლა, ბიხაკა, გორაჟდე, სრებრენიცისა და მათი მიმდებარე ტერიტორიებისათვის.

უსაფრთხოების ზონების" შექმნა უპასუხებდა შემდეგ პირობებს:

– ნებისმიერი მტრული მოქმედების აკრძალვა ამ ზონების მიმართ;

– ამ ზონებზე თავდამსხმელი ყველა სამხედრო ნაწილისა და ნახევრად სამხედრო ფორმირების უკან დახევა იმ მანძილზე, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ ეს ნაწილები და ფორმირებები აღარ წარმოადგენდნენ საფრთხეს ამ ზონებისათვის;

– ამ არსებული დაწესებულებების პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სპს-ში დადგენილია და მოქმედებს სამოქალაქო ობიექტების დაცვის პრინციპი შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში, რომლის შესაბამისად, აკრძალულია:

– სამხედრო ობიექტების გარდაქმნა თავდასხმის ან რეპრესალების ობიექტებად;

– თავდასხმა განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფ ადგილებსა და ზონებზე.

– რაიმე მტრული აქტების განხორციელება იმ ისტორიული ძეგლების, ხელოვნების ნიმუშების ან კულტის მსახურების წინააღმდეგ, რომლებიც ხალხთა კულტურულ და სულიერ მემკვიდრეობას შეადგენენ;[2]

– განახორციელონ თავდასხმა, ან გაანადგურონ, გაიტანონ და წაახდინონ ის ობიექტები, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო მოსახლეობის გადარჩენისათვის;

---

[1] International Review of the Red Cross, "Urban violance", Volume 92 Number 878 June 2010(ICRC).

[2] მასალები აღებულია რუსული წყაროებიდან.

– თავდასხმა ნაგებობებზე და დანადგარებზე, თუ ასეთ თავდასხმას შეუძლია გამოიწვიოს სამოქალაქო მოსახლეობისათვის საშიში ძალების გამოთავისუფლება;
– სამედიცინო ფორმირებაზე და სამედიცინო სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებებზე, აგრეთვე, იმ ობიექტებზე თავდასხმა, რომლებიც გამოიყენება სამოქალაქო თავდაცვის საჭიროებებისათვის;
– მტრის საკუთრების განადგურება ან მიტაცება (ძარცვის აკრძალვა).

საბოლოოდ, განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფი ადგილებისა და ზონების სამართლებრივი მოწესრიგების მექანიზმების სრულყოფა ევოლუციურ პროცესშია.

თავი IX

ეკოლოგიური პრობლემები და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

§1. გარემოს საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის ცნება

„ეკოლოგია" სიტყვა-სიტყვით ნიშნავს მეცნიერებას „სახლის" შესახებ (ბერძნული „ოიკოს" – საცხოვრებელი დასახლებული ადგილი). ტერმინი ეკოლოგია 1866 წელს შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში გერმანელმა ზოოლოგმა ე. გეკელმა, მაგრამ ეკოლოგია, როგორც მეცნიერების ცალკე სფერო, XX ს-ის დასაწყისში ჩამოყალიბდა.

საერთაშორისო სამართალი იცნობს ტერმინს „ეკოციდი", რომელიც არის კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო დანაშაული და რომელიც ზიანს აყენებს და მასობრივად ანადგურებს უშუალოდ ფლორას და ფაუნას, წამლავს ატმოსფეროს, მიწისა და წყლის რესურსებს; ასევე სხვა ქმედებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს და რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ეკოლოგიური კატასტროფა.[1] აღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოს დაცვა არის თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა, რამდენადაც, ჯანსაღი ბუნება კაცობრიობის საყოველთაო სიკეთეს წარმოადგენს. ცნება „გარემო" მოიცავს ბუნებრივი (ცოცხალი) გარემოს (ფლორა, ფაუნა), არაცოცხალი ბუნების (ლითოსფერო, წყლის, საჰაერო და კოსმოსური სივრცე) უძრავ ობიექტს, აგრეთვე, ადამიანის მიერ შექმნილ უნიკალურ ბუნებრივ კომპლექსებს, ბუნებასთან მისი ურთიერთზემოქმედების პროცესში.

მეოცე საუკუნის დასასრულიდან დაწყებული, ეკოლოგიზმის ზრდას ბიძგი მისცა ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის შემდგომმა და უფრო მძლავრმა განვითარებამ. იმისმა შიშმა, რომ ეკონომიკურმა ზრდამ, შეიძლება საფრთხე შეუქმნას კაცო-

---

[1] თანამედროვე საწრთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი) ,თბ. 2003წ. გვ.114.

ბრიობის გადარჩენასა და თვით იმ პლანეტას, რომელზეც ის სახლობს, ეკოლოგიური საკითხები კიდევ უფრო მწვავედ დააყენა. ხშირად მიიჩნევენ, რომ პირველი ნაშრომი, რომელშიც ყურადღება მიექცა მზარდ ეკოლოგიურ კრიზისს, იყო რეიჩელ კარსონის „ჩუმი გაზაფხული“ (Rachel Carson, The Sylent Spring, 1962). სხვა მნიშვნელოვან ადრეულ ნაშრომებს შორის იყო ერლიხისა და ჰარიმანის „როგორ გადარჩე“ (Erlich and Harriman, How to Be a Survivor, 1972), და გოლდსმითისა და თანაავტორების „გადარჩენის გეგმა“ (Goldsmith et al, Blueprint for Survival, 1972) გაეროს არაოფიციალური ანგარიში „მხოლოდ ერთი დედამიწა“ (Only One Earth, 1971) და რომის კლუბის „ზრდის ზღვრები“ (The Limits of Growth, 1972). ამავდროულად, განვითარდა პოლიტიკურად აქტიური ჯგუფების ახალი თაობა, მაგალითად, გრინფისი (Greenpece) და დედამიწის მეგობრები (Friends of the Earth), რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ისეთ ეკოლოგიურ საკითხებზე, როგორებიც არის ატომურ ენერგიასთან დაკავშირებული საფრთხეები, დაბინძურება და წიაღისეული საწვავის რესურსების შემცირება.[1]

გარემოს დაცვის ნორმები ამ პრობლემატიკის დიდი მნიშვნელობის გამო, შესულია საერთაშორისო სამართლის ისეთ დარგებში, როგორიცაა: საზღვაო, საჰაერო, კოსმოსური და ჰუმანიტარული.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებულმა განვითარებამ განაპირობა ბუნებაზე ადამიანის თავისი მასშტაბებითა და შედეგებით უპრეცედენტო ზემოქმედება. ბუნებრივი რესურსების ინტენსიური გამოყენება და პლანეტის ბიოსფეროს დაბინძურება კაცობრიობის არსებობისათვის ქმნის საფრთხეს, რითაც მას კატასტროფის წინაშე აყენებს, რაც იწვევს ხალხებისა და მსოფლიო თანამეგობრობის სამართლიან შეშფოთებას. სახელმწიფოთა მისწრაფება გარემოს დაცვის უზრუნველყოფისათვის მჟღავნდება მათ მიერ ამ სფეროში საკანონმდებლო აქტების კომპლექსთა მიღებაში. ადამიანთა უფლება ჯანსაღ ბუნებრივ გარემოზე მრავალი სახელმწიფოს კონსტიტუციებში განიხილება, როგორც ადამიანის ერთ-ერთი ძირითად უფლებათაგანი.

---

[1] ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, თბ. 2004წ. გვ. 309.

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტით ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოებებით. ყველა ვალდებულია, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.[1] ეს პრობლემა გახდა სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკებების საგანი, ბევრ სახელმწიფოთა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხილული. გარემოს დაცვითი საქმიანობის გლობალურმა ხასიათმა გამოიწვია მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულების, შეთანხმების, კონვენციის მიღების აუცილებლობა, რომელთა ნორმებიც მიმართულია გარემოს საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვისაკენ არა მარტო მშვიდობიან დროს, არამედ შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდშიც.

ამ დოკუმენტების მიღება განაპირობა მსოფლიოში შექმნილმა რეალურმა მდგომარეობამ, რათა გარემოს სტრუქტურებში საერთაშორისო დაცვის საერთაშორისო-სამართლებრივი საშუალებების სისტემა ჩამოყალიბებულიყო, რომელიც მიმართულია შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში გარემოს ზიანის თავიდან აცილების, აგრეთვე, ბუნებრივი რესურსების გადარჩენისა და მისი შემდგომში რაციონალური გამოყენებისაკენ. ეს უკავშირდება ბუნების მიმართ აკრძალულ ქმედებებს, რაც ლ. ტოლსტოის მიაჩნდა ადამიანებთან მიმართებაში. მწერალი ფიქრობდა, რომ ჩვენ არ ვიცით ზოგადსაკაცობრიო ჭეშმარიტება, ამიტომ მანამდე სანამ ის აღმოჩენილი არ იქნება, ჩვენ არ უნდა გამოვიყენოთ ძალადობა ადამიანის მიერ ბუნებასთან დაკავშირებით. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის უცნობია აბსოლუტური ჭეშმარიტება, ამიტომ, მის პოვნამდე არ უნდა გამოვიყენოთ ძალადობა ბუნების მიმართ.[2] ამ აზრის ადრინდელ ანალოგს ვხედავთ ქართულ ლიტერატურაში, აგიოგრაფიულ თუ სამართლებრივ ძეგლებში.

---

[1] გ. ლობჟანიძე, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები. თბ. 2012. წ.გვ 180

[2] ა.ა. გორელოვი, ეკოლოგია, მთარგმნელი, რ. დიასამიძე. ბათ. 2011წ.გვ.369

§2. გარემოს დაცვის სამართლებრივი მოწესრიგება შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში

როგორც კი ცივილიზებულ ქვეყნებში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების შედეგად ადამიანის მიმართ ძალადობის გამოყენების შემცირება დაიწყო, იმავე მიზეზით გაიზარდა ადამიანის ძალადობა ბუნებაზე. ბუნების ექსპლოატაციამ, თითქოსდა, ნაწილობრივ შეცვალა ადამიანის ექსპლოატაცია. ამიტომ საჭირო გახდა, ჰუმანიზმი გავრცელებულიყო ეკოლოგიურ ანუ ბუნებრივ გარემოზე[1], განსაკუთრებით, კონფლიქტის დროს.

შეიარაღებული კონფლიქტები თავისთავში მოიცავენ განსაკუთრებულ საფრთხეს, გარემოს დაბინძურებისა და მისი განადგურების თვალსაზრისით; ამიტომ, საკითხი დგება მისი დაცვის, სამართლებრივი მოწესრიგების გარანტიების შესახებ, რათა თავიდან იქნას აცილებული კონფლიქტის უარყოფითი შედეგები. უზარმაზარი და ზოგჯერ, აუნაზღაურებელი ზიანი, რომელიც გამოწვეულია საბრძოლო მოქმედებების პროცესში დეფოლიანტების ქვეითთასაწინააღმდეგო ნაღმების, აგრეთვე, ნაღმი-ხაფანგებისა, ცეცხლგამჩენი იარაღის გამოყენებით, დამბების ნგრევის შედეგად დიდი ფართობების წყლით დაფარვით, აკვატორიის ნავთობით, ხოლო ატმოსფეროს სხვადასხვა მავნე გაზებით დაბინძურებით და ა.შ.

დღესაც კი, დიდი ტერიტორიები, რომლებზეც უშუალოდ ორი მსოფლიო ომის დროს შეიარაღებული ბრძოლები მიმდინარეობდა, გამოუსადეგარია მიწათმოქმედებისათვის და საშიშია ადამიანთა სიცოცხლისათვის აუფეთქებელი ჭურვებისა და ნაღმების, აგრეთვე, დაბომბვების შედეგად წარმოქმნილი უზარმაზარი ორმოების გამო, რომლებიც წყლით აივსო; ამას კი, თავის მხრივ, დაჭაობება მოჰყვა. თუ ამას დაეუმატებთ ინდოჩინეთის ომის მძიმე შედეგებს, ირან-ერაყის 1980-1987 წლების ომს, 1991 წლის სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომს, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მომხდარ, ლიბან-ისრაელის 2006 წლის შეიარაღებული კონფლიქტების, აგრეთვე, ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მომხდარი დაპირისპირებების, საქართველოში

---

[1] იქვე. გვ-364

წარმოებული რუსეთ – საქართველოს ომის შედეგებს,[1] თვალწინ თვალწინ წარმოგვიდგება საშინელი სურათი.

საომარი მოქმედებების მავნე შედეგები არღვევენ ეკოსისტემის თვითრეგულაციის უნარს, ახდენენ გარემოში დეგრადაციის პროცესების ინიცირებას და იმდენად აუარესებენ ეკოსისტემის პარამეტრებს, რომ შემდგომში მათი აღდგენა უზარმაზარ ძალისხმევასა და მატერიალურ დანახარჯებს მოითხოვს. ეკოსისტემის აღდგენა ყოველი ომის მძაფრი ზემოქმედების შემდეგ ბევრად უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე ზიანის მიყენებამდე.

რუსული აგრესიის დროს, საქართველოს ტერიტორიაზე გაჩნდა ხანძრის კერები, ისეთ საკურორტო ადგილებში (მაგ. ბორჯომის ხეობაში), სადაც ტექნიკა ძნელად გამოიყენებოდა ბუნებრივი პირობების გამო და ათეულობით ჰექტარზე განადგურდა მწვანე საფარი და უნიკალური ტყე. სავალალო ის არის, რომ მწვანე საფარისა და ნარგავების აღდგენა წლების მანძილზე შეუძლებელი იქნება. ეს შემთხვევით არ მომხდარა. შემდგომში, ხანძრის გაჩენის რამდენიმე მიზეზი რუსულმა მხარემ დაასახელა.

მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული კონფლიქტების დროს ხანგრძლივი და არცთუ იშვიათად, გამოუსწორებელი ზიანი ადგება გარემოს, სჰს-ის განვითარების ადრეულ სტადიაზე ბუნებრივი ობიექტები დაცულნი იყვნენ მხოლოდ როგორც საკუთრების უფლების საგნები, სახმელეთო ომის კანონებისა და წესების შესახებ არსებული დებულების (1907 წ.) 23-ე მუხ. შესაბამისად. მაგრამ, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებისა და შეიარაღების სრულყოფის კვალდაკვალ აშკარა გახდა, რომ თანამედროვე იარაღის გამოყენებას შეიარაღებული კონფლიქტების პირობებში შეუძლია დიდი საფრთხე შეუქმნას გარემოს, სამოქალაქო მოსახლეობასა და მისი გადარჩენისათვის აუცილებელ ობიექტებს და ამისათვის საჭიროა სპეციალური ზომების მიღება მის დასაცავად.

ამ მიზნებით, სახელმწიფოების მიერ მიღებული იქნა მთელი რიგი შეთანხმებები, რომლებიც მიმართულია გარემოს დაცვისაკენ შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ჟენევის კონვენციების დამატებით

[1] შ. მალაშხია, კონფლიქტების ანატომია, 2011წ.გვ11-21

ოქმში (1949 წ. 12 აგვისტო), რომელიც საერთაშორიო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვას ეხება (1977 წ. 8 ივნისი, I ოქმი), მოცემულია ნორმა, რომლის თანახმადაც საომარი მოქმედებების დროს იკრძალება იმ მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება, რომელთა მიზანსაც გარემოსათვის ხანგრძლივი და სერიოზული ზიანის მიყენება წარმოადგენს. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საომარი მოქმედებების წარმოებისას, გარემოს ხანგრძლივი და სერიოზული ზიანისაგან დაცვა შეიცავს ყველა იმ მეთოდისა და საშუალებების გამოყენების აკრძალვას, რომლის მიზანსაც გარემოსათვის ასეთი ზიანის მიყენება წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, ზიანს მიაყენებს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და არსებობას. ამ მუხლებში ლაპარაკია საომარი მოქმედებების დროს გარემოსათვის „ფართო, ხანგრძლივი და სერიოზული ზიანის“ მიყენების შესახებ. თუმცა, I დამატებითი ოქმის არც დასახელებულ და არც სხვა ნორმებში არ არის განმარტებული, როგორ კონკრეტულ სივრცობრივ ან დროით ფარგლებში რა იგულისხმება, სახელდობრ, რაში გამოიხატება მიყენებული ზიანის სერიოზულობა.

თუმცა აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა, ზოგიერთ დებულებათაგან განსხვავებით, აფიქსირებს „მოსახლეობის ჯანმრთელობის ან არსებობისათვის“ ზიანის მიყენებას და მითითებას იმაზე, რომ „გარემოსათვის ზიანის მიყენება რეპრესალიებით იკრძალება.“[1]

კონვენციამ გარემოზე ზემოქმედებისას სამხედრო ან ნებისმიერი სხვა მტრული საშუალების გამოყენების აკრძალვის შესახებ (1977 წ.), უშუალოდ დაადგინა აკრძალვა, გარემოს გამოყენებაზე სამხედრო ან მტრული მიზნებით. დოკუმენტის მირებისას მონაწილე სახელმწიფოები ხელმძღვანელობენ მთელი რიგი მოსაზრებებით, კერძოდ: კაცობრიობის გათავისუფლება ომის წარმოების ახალი საშუალებების გამოყენების საშიშროებისაგან; სამხედრო-ტექნიკური მიღწევებით სარგებლობის თავიდან აცილება ბუნებაზე ნეგატიური ზემოქმედებისათვის, რამდენადაც, სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების მტრულ

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ. გვ.124.

გამოყენებას, შეიძლება, დამღუპველი შედეგები ჰქონდეს კაცობრიობის არსებობისათვის.

სახელმწიფოების ფუძემდებლური დებულებებით გარემოს დაცვის სფეროში, ფორმირებულია კონვენციის I მუხლში:
– არ გამოიყენონ საომარი ან ნებისმიერი მტრული მიზნებით, ბუნებაზე ზემოქმედების საშუალებები, რომლებსაც აქვთ ფართო, ხანგრძლივი და სერიოზული შედეგები ნგრევის, ზიანის მიყენების ან ზრდის სახით, სხვა მონაწილე სახელმწიფოსათვის; აღმოუჩინონ დახმარება, არ წაახალისონ და არ წააქეზონ ნებისმიერი სახელმწიფო, სახელმწიფოთა ჯგუფი ან საერთაშორისო ორგანიზაცია, ზემოთ მითითებული საქმიანობის განსახორციელებლად.

ცნებაში, „გარემოზე ზემოქმედების საშუალებები“, კონვენციაში იგულისხმება ნებისმიერი საშუალებები მის შესაცვლელად, ბუნებრივი პროცესების წინასწარ განსაზღვრული მართვის გზით – დედამიწის დინამიკით, შედგენილობის ან სტრუქტურის, მისი ბიო, ლითოსფეროს, ჰიდროსფეროს და ატმოსფეროს, ან კოსმოსური სივრცის შეცვლით (მუხ. II).

მონაწილე სახელმწიფოებმა ვალდებულება იკისრეს, მიიღონ ყველა ზომა იმ საქმიანობის აკრძალვისათვის, რომელიც დასახელებული დოკუმენტაციის დებულებებს ეწინააღმდეგება.

სპეციალისტები ცდილობენ გაარკვიონ, თუ რით განსხვავდება I ოქმის დებულებები 1977 წლის კონვენციისაგან იმ ნაწილში, რომელიც გარემოს დაცვას ეხება. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ თუ I ოქმი კრძალავს ომის წარმოების მეთოდებსა და საშუალებებს, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენონ გარემოს, ე.ი. დაარღვიონ მისი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბუნებრივი წონასწორობა, და ამასთან ერთად, შეასუსტოს მოწინააღმდეგის საბრძოლო შესაძლებლობები, დააზარალოს სამოქალაქო მოსახლეობა, – კონვენცია კრძალავს გარემოზე ზემოქმედებას, როგორც ომის წარმოების საშუალებას, ე.ი. ბუნებრივი პროცესების წინასწარგანზრახულ მართვას საკუთარი მეომარი მხარის ინტერესების შესაბამისად, რითაც შეიძლება გამოწვეული იქნას დედამიწის ოზონის ფენის დარღვევა (ცუნამი, ქარიშხლები, მიწისძვრა და ა.შ.); ანუ შედეგ-

ები, რომლებიც ცნობილია, როგორც „გეოფიზიკური ომი“ ან „მეზოლოგიური ომი“ (ბერძნ. mesos – გარემო).

„გეოფიზიკური ომის“ წარმოების ძირითადი მეთოდებია:
– მეტეოროლოგიური პირობების შეცვლა („მეტეოროლოგიური ომი“, როგორც გეოფიზიკური ომის სახე);
– ნიადაგის მცენარეული საფარისა და ზედაპირული ფენის განადგურება („ეკოლოგიური ომი“ როგორც გეოფიზიკური ომის სახე).[1]

ექსპერტთა აზრით, თუ 1977 წლის საერთაშორისო აქტის დებულებები არ შეიძლება გავრცელდეს ვიეტნამის მოვლენებზე, რომლებსაც კონვენციის ხელმოწერამდე ჰქონდათ ადგილი, ისინი მთლიანად ვრცელდება 1991 წლის ერაყ-კუვეიტის მოვლენებზე სპარსეთის ყურეში, როდესაც, ომის ბოლო დღეებში, ცეცხლი წაუკიდეს ნავთობის ჭაბურღილებს (ზოგიერთი მონაცემით, 950 ჭაბურღილს), რასაც მოჰყვა უზარმაზარი რაოდენობით ტოქსიკური გაზების გატყორცნა ატმოსფეროში, ხოლო სპარსეთის ყურეში – მილიონობით ტონა ნავთობის დაღვრა. ერაყის მიერ გარემოზე ზემოქმედების განხორციელება სამხედრო ნებით იყო მისი სამხედრო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი.

1949 წლის ჟენევის კონვენციის I ოქმი (1977 წ. 8 ივნისი) კრძალავს საომარი მოქმედებების წარმოების იმ მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებას გარემოსათვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად, რომლებსაც საერთო კრიტერიუმები აქვთ და რომლებიც ხასიათდებიან სამი ნიშნით: „ფართო, ხანგრძლივი და სერიოზული“, ე.ი. რომელსაც ერთსა და იმავე დროს სამივე ნიშანი აქვთ.

I ოქმში ძირითადი აქცენტი კეთდება გარემოს დაცვაზე, გამოყენებული იარაღის მიუხედავად, ხოლო კონვენცია მიმართულია კონკრეტულ გარემოზე ზემოქმედების „სამხედრო ან ნებისმიერი სხვა მტრული“ საშუალების აკრძალვებზე. I ოქმის ნორმები გამოიყენება მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში, ხოლო კონვენციის დებულებები მოქმედებს როგორც მშვიდობიან, ისე, ომის დროს.

---

[1] International Review of the Red Cross, "Environement", Volume 92 Number 879 September 2010(ICRC)

სახელმწიფოების მიერ იმის გაცნობიერებამ, რომ ომის წარმოების აკრძალული მეთოდების ან საშუალებების გამოყენებას შეუძლია გარემოს მიაყენოს ფართო, ხანგრძლივი და სერიოზული ზიანი, ასახვა ჰპოვა 1980 წლის კონვენციის პრეამბულაში, ჩვეულებრივი იარაღის კონკრეტული სახეების გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ, რომლებიც შეიძლება ჩაითვალონ მეტისმეტი დაზიანებების მიმყენებლად ან განურჩეველი მოქმედების მქონედ (1980 წ. 10 ოქტომბერი).

I ოქმი შეიცავს აკრძალვას ნებისმიერი იარაღის გამოყენებაზე, რომლის ძირითადი მოქმედება მდგომარეობს იმ ნამსხვრევებით დაზიანების მიყენებაში, რომელთა აღმოჩენაც ადამიანის სხეულში არ ხერხდება რენტგენის სხივების დახმარებით".

II ოქმი, „ნაღმების, ნაღმ-ხაფანგების და სხვა მოწყობილობების აკრძალვის ან გამოყენების შეზღუდვის" შესახებ, ეხება ნაღმების გამოყენების აკრძალვას. მასში 1996 წლის 3 მაისს შეტანილი შესწორებებით „იკრძალება ქვეითთასაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენება, რომლებიც არ ითვლება დისტანციურად მართვად ნაღმებად; დისტანციურად მართვადი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები, რომლებიც არ შეესაბამება თვითგანადგურებადის, თვითდეაქტივაციისა და სხვათა შესახებ არსებულ დებულებებს".

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების სრული აკრძალვის კანონი მიღებული იქნა დეკემბერში ხელმოწერილი კონვენციის წყალობით ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების აკრძალვის, დაგროვების, წარმოების, და გაყიდვისა და მათი განადგურების შესახებ, რომელსაც ხელი 130 სახელმწიფომ მოაწერა.

ბუნებრივ გარემოს მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება მიადგეს ცეცხლგამჩენი იარაღით: ცეცხლმფრქვევებით, ფუგასებით, ნაპალმით და ა.შ. სპეციალისტების შეფასებით, ვიეტნამში, 1965 წელს, საომარი მოქმედებების დაწყებიდან, 1968 წლის მარტამდე, გამოყენებულ იქნა 100 ათას ტონაზე მეტი ნაპალმი, რაც წარმოადგენდა ამერიკის შეიარაღებული ძალების მიერ განხორციელებული სტრატეგიის ნაწილს. ეს გულისხმობდა ტყეებისა და პლანტაციების დეფოლიაციას, ბრინჯის ნათესების

მთელი ტერიტორიების განადგურებას მიწის ნაყოფიერი ფენების გადაწვისა და გატანის გზით.

III ოქმი მიღებულ იქნა ამერიკა-ვიეტნამის ომის მოვლენათა განვითარებასთან დაკავშირებით. მან მიიღო სახელწოდება, „ცეცხლგამჩენი იარაღის გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ“.

IV ოქმი მიიღეს 15 წლის შემდეგ, 1995 წელს და ის ეხებოდა ჩვეულებრივი იარაღის ისეთ სახეებს, რომლებიც შეიძლება „ჩაითვალოს ზომაგადასული დაზიანების მომყენებლად ან განურჩეველი მოქმედების მქონედ“. ამ დოკუმენტის შესაბამისად, აკრძალეს ლაზერული იარაღის გამოყენება, რომელიც სპეციალურად არის დამზადებული საბრძოლო მოქმედებებში გამოსაყენებლად, რათა ოპტიკური ხელსაწყოების გამოყენების გზით დააბრმავოს ადამიანი.

ფეთქებადსაშიში ნივთიერებების აკრძალვის ან გამოყენების შეზღუდვის შესახებ არსებული კონვენციის მონაწილეებმა, V ოქმის შესაბამისად, ზომაგადასული დაზიანების მიმყენებლად ან განურჩეველი მოქმედების მქონედ ჩათვალეს; რაც მსჯელობის საგნად იქცა 2003 წლის 28 ნოემბერს, ქ. ჟენევაში. იგი ეხება ასევე, „ფეთქებადსაშიში გადმონაშთების“ პოსტკონფლიქტურ ტერიტორიებზე მათ გაუვნებელყოფას (აუცილებელი საბრძოლო მასალები და დატოვებული ფეთქებადსაშიში მასალები). აქამდე, მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, მრავალი ათეული წლის შემდეგ, ხან ერთ, ხან მეორე სახელმწიფოში პოულობენ ომის ამ ფეთქებადსაშიშ ნაშთებს, აუფეთქებელი ჭურვებისა და ბომბების სახით, რომლებსაც, როგორც წესი, აწყდებიან სამშენებლო და სხვა სამუშაოების პროცესში.

კონფლიქტის მხარეები V ოქმის თანახმად იღებენ ვალდებულებას ომის ფეთქებადსაშიში ნაშთების განაღმვის, გატანისა და განადგურების შესახებ; აგრეთვე, ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გადაცემის საკითხებთან დაკავშირებით; ასევე, იღებენ სიფრთხილის ზომებს, სამოქალაქო მოსახლეობისა და ჰუმანიტარული მისიების დასაცავად.

2005 წლის ნოემბერში ჟენევაში მიმდინარეობდა საკითხების განხილვა იმ ნაღმების შესახებ, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ქვეითთასაწინააღმდეგო, ტრანსპორტისა და

ტანკსაწინააღმდეგო თვალსაზრისით აგრეთვე იყო მსჯელობა I კონვენციის რატიფიკაციის შესახებ, რაც ეხებოდა მისი მოქმედების სფეროს გავრცელებას არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტებზე და ეს ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენადაც არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტებს შეუძლიათ ისეთივე ნეგატიური ზეგავლენა იქონიონ გარემოზე, როგორც საერთაშორისო კონფლიქტებს.

ქიმიური იარაღის დახმარებით სამხედრო უპირატესობის მოპოვების ცდებს ადგილი ჰქონდა სხვადასხვა მასშტაბის სამხედრო მოქმედებების დროს, პირველი მსოფლიო ომიდან მოყოლებული, როდესაც საკმაოდ ფართოდ იყენებდნენ სხვადასხვა სახის მომწამვლელ ქიმიურ საშუალებებს, რომლის შესახებაც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

ასე რომ, პირველი მსოფლიო ომი შეიძლება ჩაითვალოს ახალი ტიპის იარაღების, მათ შორის, ქიმიური იარაღის გამოგონებისა და გამოყენების ათვლის წერტილად.

მომწამვლელი გაზი პირველად ამ ომში გამოიყენეს ფრანგებმა 1914 წლის აგვისტოში. იგი იყო ცრემლმდენი-ეტილბრომაცეტინი, რომელიც კონცენტრირებული იყო 15 მმ ყუმბარმტყორცნებში. პირველად დიდი რაოდენობით მომწამვლელი აირი გამოიყენა გერმანიამ 1914 წლის 3 ივნისს.

ქიმიური იარაღის გამოსაყენებლად და მისი საშუალებით შედეგის მისაღწევად, საჭირო არაა სანგრებისა და მიწისქვეშა შენობების განადგურება, რადგან მომწამვლელი აირი შედის ყველგან, სადაც კი უანგბადია.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პირველი მსოფლიო ომი[1] შეიძლება ჩაითვალოს ქიმიური იარაღის გამოყენების ათვლის წერტილად, მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ ისტორიას, ჩვენ იქაც შევხვდებით ქიმიურ იარაღებს. ჯერ კიდევ 2000 წლის წინ, სპარტელები, ათენის გარემოცვის დროს, ხმარობდნენ ახლანდელი აირის მსგავს საშუალებებს. კერძოდ, ისინი წვავდნენ ხეს, რომელიც გაჟღენთილი იყო ფისითა და გოგირდით.

ყირიმის ომის დროს (1855 წ.), ინგლისელებმა ქიმიური იარაღი გამოიყენეს სევასტოპოლის ასაღებად. ქიმიური იარაღი

[1] შემოკლებით – პ.მ.ო.

ასეთი იყო: მათ გამოიყენეს 500 ტონა გოგირდი, 200 ტონა ნახშირი და თანაბარი რაოდენობის შეშა. ამგვარი მეთოდები ჩვენ დავინახეთ პ.მ.ო-ში. როგორც ჩანს, ინგლისმა უფრო ადრე დაიწყო ქიმიური იარაღის გამოყენება, ვიდრე გერმანიამ და კიდევ უფრო ადრე, სპარტელებმა. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქიმიური იარაღის გამოყენების ათვლის წერტილი პ.მ.ო კი არაა, არამედ სპარტელების, და ათენელების ომის წლები. ამის გათვალისწინებით, ინგლისმა, საფრანგეთმა, ამერიკამ და სხვა ქვეყნებმა მიიღეს სამშვიდობო კონვენცია, რომლითაც აკრძალული იყო ქიმიური იარაღის გამოყენება ომში.

მაგრამ პ.მ.ო-ში, გერმანელებმა მაინც გამოიყენეს მომწამვლელი იარაღი. პირველად მათ გამოიყენეს ქლორი. ქლორის გაშვებით ადამიანებს სუნთქვა ეხუთებათ, ფილტვები ეწამლებათ და ომისათვის გამოუსადეგარი ხდებიან. გერმანელებმა პირველად ქლორი გამოიყენეს ფრანგების წინააღმდეგ და როდესაც დარწმუნდნენ, რომ მათმა ცდამ გაამართლა და ფრანგული სანგრებიდან ჯარისკაცები და მათ ცხენოსანი ჯარი განდევნეს, გერმანელებმა ამას უწოდეს „გასეირნება ფრანგულ სანგრებში შაშხანით ხელში და ჩიბუხით პირში.” ამ ცდამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ მოწინააღმდეგე მხარემ თავიანთი ჯარები აირწინაღებით აღჭურვა და ქლორს უკვე დიდი ეფექტი აღარ ჰქონდა. ამიტომ, მოგვიანებით, გერმანელებმა ახალი იარაღი გამოიგონეს, რომელიც შედგებოდა ქლორისა და ფოსგენისაგან, მაგრამ გერმანელებისათვის ამ ხერხმა ვერ გაამართლა, რადგან მოკავშირეებს ტყვედ ჩავარდნილმა გერმანელებმა ყველაფერი უამბეს იმის შესახებ, თუ რას აპირებდა გერმანია მათ წინააღმდეგ და მათ სათანადო ზომები მიიღეს. ინგლისთან განცდილმა მარცხმა გერმანია გააოგნა და ამიტომ, მათ გადაწყვიტეს, ფოსგენი აღმოსავლეთ ფრონტზე გამოეყენებინათ, სადაც რუსებს არცთუ ისე კარგი აირწინაღები ჰქონდათ. გერმანელებმა იერიში „ოროვეცზე” მიიტანეს. მართალია, ფოსგენურმა იერიშმა რუსები საგრძნობლად დააზარალა, მაგრამ მათმა სულიერმა სიმტკიცემ და ბრძოლის ჟინმა შეაძლებინა ციხის შენარჩუნება. ომის პერიოდში ქიმიურ იარაღს ბრძოლის ორივე მხარე იყენებდა ანუ ანტანტის წევრი

ქვეყნებიც და სამთა კავშირიც. მოგვიანებით, 1916 წლის მიწურულს, გერმანიამ ახალი ქიმიური იარაღი შექმნა. ეს იყო ცეცხლმფრქვეველები და ყუმბარმტყორცნები, რომლებიც ჩვენ მოგვიანებითაც გვხვდება მეორე მსოფლიო ომში.

1917 წელს ბრძოლის ორივე მხარემ დაიწყო საარტილერიო ქიმიური ყუმბარების გამოყენება. საარტილერიო ყუმბარებში მომწამვლელი მასალა ცოტა რაოდენობით იყო, რაც დიდ ეფექტს არ იძლეოდა. ამიტომ, გერმანელებმა ამავე წლის ივლისში, გადაწყვიტეს გამოეყენებინათ ახალი აირი, რომელიც ჩირქოვან გამონაყარს გამოიწვევდა სხეულზე. პირველად გერმანელებმა ეს იარაღი მდინარე იპრის ტერიტორიაზე გამოიყენეს და ამის გამო მას ეწოდა „იპრიტი". იპრიტი აზიანებდა როგორც დაბომბილ მხარეს, ასევე დამბომბველებსაც, რადგან მისი გამოყენების შემდეგ, იმ ტერიტორიაზე, გარკვეული პერიოდის მანძილზე, ვერ ახერხებდნენ გადასვლას, რადგან იპრიტი მიწაში იჟღინთებოდა და იქ ცხოვრება, ფაქტობრივად შეუძლებელი ხდებოდა.

ომის მიწურულს ძალზე ფართო გახდა ქიმიური იარაღის გამოყენება. მეომრები სხვადასხვა ტიპის ქიმიურ იარაღებს იყენებდნენ. ეს იყო: მხრჩოლავი ყუმბარები, შხამიანი ყუმბარები, ცრემლმდენი ყუმბარები და ა.შ.

პირველ მსოფლიო ომში, ქიმიური იარაღები ძალზე დიდი რაოდენობით იქნა გამოყენებული. შედეგად, 400 ათასი ადამიანი დაზიანდა. სულ ამ ომში წარმოებული იყო 180 ათასი ტონა სხვადასხვაგვარი მომწამვლელი ნივთიერება. მთლიანობაში, ქიმიურმა ნივთიერებებმა ამ ომში 1.3 მილიონი ადამიანი დააზარალა. ამათგან 100 ათასს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, თითქმის მეორე მსოფლიო ომამდე, საზოგადოებრივი აზრი ევროპაში, მხარს არ უჭერდა ქიმიური იარაღის გამოყენებას საომარ ვითარებებში. ამის გამო, შეიქმნა ეგრეთ წოდებული პაციფისტური მოძრაობა „ომის პოეტები", რომელიც აღწერდა ქიმიური იარაღის მიერ მიყენებულ დაზიანებებს.

პ.მ.ო-ს შედეგად დაღუპულთა რიცხვი 10 მილიონს აღწევდა, დაჭრილთა კი, 20 მილიონს. საერთო მატერიალურმა ზარალმა 58 მილიარდი ოქროს მანეთი შეადგინა. ომის ბოლოს სა-

ბრძოლო მოქმედებებში ჩაბმული იყო 33 სახელმწიფო, 1.5 მილიარდიანი მოსახლეობით. ომის დროს ჯარში გაიწვიეს 74 მილიონი კაცი.

1925 წლის 11 ივნისს, ჟენევაში ხელმოწერილი იქნა კონვენცია ქიმიური იარაღების ომში გამოყენების აკრძალვის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1928 წლის 8 თებერვალს. მაგრამ ზოგიერთმა ხელმომწერმა ქვეყანამ მაინც დაარღვია ოქმი. კერძოდ, იტალიამ ეთიოპიის წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენა 1935-1936წწ., ხოლო მოგვიანებით – ამერიკამ ვიეტნამელების წინააღმდეგ.

თუ თვალს გადავალებთ ახლო წარსულს, დავინახავთ, თუ რა ხშირია ქიმიური იარაღის გამოყენება ჩვენ დროშიც. დაუნდობლად იყენებდნენ ქიმიურ იარაღს ირან-ერაყს შორის წარმოებულ ომში მოწინააღმდეგე მხარეები.

1988 წელს, ერაყის მახლობლად დასახლებულ ქურთების ტერიტორიაზე, სადაც 25000 მოსახლე იყო, სრულიად გაუფრთხილებლად, სადამ ჰუსეინის ბრძანებით ერაყელმა სამხედროებმა მოსახლეობაში ჩაყარეს ციანიდის ბომბები. არანაირი გასროლა და არანაირი ხმაური. მათ ასე, გაუფრთხილებლად ჩაყარეს ბომბები და უყურებდნენ, თუ როგორ დაიხოცებოდა 25000 მოსახლე ადგილზე. ინტერნეტში ამის ამსახველი კადრებიც არსებობს.

1995 წელს, ტოკიოს ერთ-ერთ მეტროში, იაპონურმა რელიგიურმა სექტამ „აუმ სინრიკიომ", ტერორისტული აქტი მოაწყო მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოყენებული იქნა ქიმიური იარაღი ზარინი. ტერაქტის შედეგად დაიღუპა 12 ადამიანი, ხოლო, 4000 ადამიანი მძიმედ დაშავდა. 2004 წელს სექტის ლიდერი სიკო ასახურა დამნაშავედ ცნეს და ჩამოახრჩვეს.[1]

ისეთი საშუალებები, როგორებიცაა ზარინი, ტაბუნი, ასევე, ფაშისტების მიერ შექმნილი ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების მქონე ნივთიერებები, ადრე იქნა გამოყენებული. გარდა ამისა, ერაყელებმა პირველად გამოიყენეს გაზი VX. შედეგად დაიღუპა 3 ათასი (ზოგი მონაცემით, 4 ათასი) ქურთი. ამ საომარი ეპიზოდების თავისებურება იყო ის, რომ პირველად

[1] გამოყენებულია ინტერნეტ მასალა.

მოხერხდა ადამიანზე ქიმიური იარაღის ზემოქმედების შედეგების დოკუმენტირებული დადასტურება. ეს მოახერხეს უცხოელმა კორესპონდენტებმა, ტელევიზიის წარმომადგენელებმა და ფოტოგრაფებმა ირანის თვითმფრინავების ბორტიდან.

ერაყელი ქურთების დასახლება ხალაბჯაზე ქიმიური თავდასხმის შედეგების შესწავლამ და ანალიზმა, რასაც ადგილი ჰქონდა 1998 წელს, შეიარაღებული კონფლიქტიდან 10 წლის შემდეგ, მოგვცა არა მარტო იმის მტკიცების საშუალება, რომ დაიღუპა რამდენიმე ათასი ადამიანი ქიმიური დაბომბვიდან რამდენიმე საათში (რის შესახებაც ადრევე იყო ცნობილი), არამედ ასეთი დაბომბვის გადამტანი ადამიანების ჯანმრთელობის შეუქცევადი მოშლის საფუძველიც. კანის კიბოს, ნეიროლოგიური დაავადებების უმძიმესი ფორმები, სიმახინჯეები, სერიოზული ფსიქიკური გადახრები, სუიციდის მცდელობები. გარდა ამისა, როგორც ლივერპულის უნივერსიტეტის პროფესორი რისტინ გოსდენი ამტკიცებს, ქიმიური ნივთიერებების გამოყენებამ სერიოზული გენეტიკური ზიანი მიაყენა ადგილობრივ მოსახლეობას. ქიმიური დაბომბვების შედეგად შეუქცევადი ცვლილებები განიცადა არა მარტო თვით დაზარალებულთა, არამედ მათი შვილებისა და შვილიშვილების ორგანიზმმაც კი.

პროფესორ გოსდენის ჯგუფმა არამარტო დასკვნები მოამზადა, არამედ წარმოადგინა საშინელი პროგნოზი გარემოსა და მოსახლეობაზე ზემოქმედების შესაძლო შედეგების შესახებ ომის პროცესში: ერაყის მოვლენები – ეს არის შენელებული მოქმედებების გენეტიკური ბომბი, რომელიც მიმართულია მომავალი თაობებისაკენ და მისი შედეგები, უკვე დღეს (1998 წ.), არის ბევრად უფრო საშინელია ვიდრე შეიძლებოდა გვევარაუდა. მომწამლავმა ნივთიერებებმა ზიანი მიაყენა დასახლება ხალაბჯას მიმდებარე ტერიტორიებს: მკვეთრად შემცირდა მოსავალი, გახმა ბროწეულის ხეები, ადგილი ჰქონდა ზოგიერთი პირუტყვისა და მცენარეული ფორმის მუტაციას.

ერაყის მიერ კონფლიქტის დროს (1998 წ) მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მომწამლავი ნივთიერებების გამოყენების მომენტისათვის ამ ქვეყანამ არ მოახდინა ომის დროს მოსახლეობის დაცვის შესახებ არსებული ჟენევის კონვენციების დამატებითი ოქმის რატიფიცირება. მიუხედავად ამისა, მოწი-

ნააღმდეგის ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის დაბომბვის განმახორციელებელი მხარე, 1907 წლის ჰააგის კონვენციების შესაბამისად, ვალდებული იყო მიეღო ზომები, რათა მინიმუმამდე დაეყვანა შემთხვევით მსხვერპლთა, ე.ი. დაღუპულ მშვიდობიან მოქალაქეთა რიცხვი.

უსაფრთხოების ღონისძიებათა გაძლიერების მიზნით, 1993 წლის 13 იანვარს, მსოფლიო თანასაზოგადოების მიერ, მირებული იქნა ახალი კონვენცია ქიმიური იარაღის დამუშავების, წარმოების, დაგროვების, გამოყენებისა და განადგურების შესახებ, რომელიც ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ყოველი მონაწილე სახელმწიფო ქიმიური იარაღის ტრანსპორტირების, სინჯების აღების, შენახვისა და განადგურების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანთა უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის უზრუნველყოფას თავისი ნაციონალური სტანდარტების შესაბამისად ამ სფეროში. მოცემული კონვენციის I მუხლში გათვალისწინებულია სახელმწიფოთა ვალდებულებების ოთხი სახე:

– არ დაამუშავოს, არ აწარმოოს, არ შეიძინოს სხვა გზით, არ დააგროვოს, არ შეინახოს ქიმიური იარაღი და არ გადასცეს იგი პირდაპირ ან ირიბად ვინმეს;

– არ გამოიყენოს ქიმიური იარაღი;

– არ ჩაატაროს არავითარი სამხედრო მომზადება ქიმიური იარაღის გამოყენებისათვის;

– არ დაეხმაროს, არ წაახალისოს ან არ წააქეზოს რაიმე სახით იმგვარი საქმიანობისაკენ, რომელიც აკრძალულია ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოსათვის.

ამ დოკუმენტში დაწვრილებითაა განხილული სახელმწიფოთა ვალდებულებები ზემოთჩამოთვლილ საქმიანობასთან დაკავშირებით; წარმოდგენილია კრიტერიუმები იმ ყველაფრის განსაზღვრისათვის, თუ რა შეიძლება მიკუთვნებოდა ქიმიურ იარაღს, განისაზღვრა ობიექტები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს ასეთად ქიმიური იარაღის წარმოების მიხედვით, ნაციონალური ღონისძიებები ამ კონვენციის განსახორციელებლად, ქიმიური იარაღის დაცვისა და დახმარების აღმოჩენის საკითხები, რას ნიშნავს განხილული კონვენციის კონტექსტში კოორდინატთა და სახელმწიფოებისათვის დაცვის სისტემის შე-

ქმნა (აღმოჩენის საშუალებები და სიგნალიზაციის სისტემები, დაცვითი მოწყობილობები და დეგარაციის საშუალებები, სამედიცინო ანტიდიციები და კვლევის მეთოდები. აგრეთვე, ნებისმიერ ამ ღონისძიებასთან დაკავშირებული კონსულტირება და სხვა საკითხები.[1] მოკლედ, ასეთია პრობლემა, რომელიც აქტუალობას დღემდე ინარჩუნებს.

§3. ეკოლოგიური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სამართლებრივი ღონისძიებები

მართალია, თანამედროვე გარემოს დამცველთა, ანუ მწვანეთა პოლიტიკა, მხოლოდ XX ს-ის 60-იან წლებში გამოვიდა ასპარეზზე, მაგრამ ეკოლოგიური იდეები ბევრად უფრო ადრეულ წარსულში შეიძლება აღმოვაჩინოთ. მრავალთა მოსაზრებით, თანამედროვე ეკოლოგიზმის პრინციპები შეიძლება დიდად ეფუძნებოდეს ძველ წარმართულ რელიგიებს, რომლებიც „დედა მიეის" კონცეფციას ავითარებდნენ; ასევე, ისეთ აღმოსავლურ რელიგიებს, როგორებიცაა ინდუიზმი, ბუდიზმი და დაოიზმი. მაგრამ ეკოლოგიზმი, მნიშვნელოვანი დოზით, იყო და არის რეაქცია ინდუსტრიალიზაციაზე. ეს აშკარა გახდა მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც ქალაქური და ინდუსტრიული ცხოვრების გავრცელებამ გამოიწვია გაიდეალებული სოფლის ცხოვრების ძლიერი ნოსტალგია, როგორც გადმოცემულია ისეთი მწერლის მიერ, როგორიც იყო თომას ჰარდი; ასევე, სხვა ისეთი პოლიტიკური მოაზროვნეების მიერ, როგორებიც იყვნენ ამერიკელი ლიბერტანელი სოციალისტი უილიამ მორისი (William Moris, 1834-96) და პიტერ კროპოტკინი. მსგავსი ძლიერი რეაქცია ხშირად ისეთ ქვეყნებში იყო, რომლებმაც ინდუსტრიალიზაციის პროცესი ყველაზე სწრაფად და დრამატულად გაიარეს. მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს გერმანია გადაიქცა ისეთ ინდუსტრიულ ძალად, რომელსაც შეეძლო დაპირისპირებოდა დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ეკონომიკურ ძლიერებას. ამ გამოცდილებამ ღრმა დაღი დაასვა გერმანულ

[1] მოქმედი საერთაშორისო სამართალი, ტ.2, მ., 2002 წ. გვ. 440-470 (რუს. ენაზე).

პოლიტიკურ კულტურას. შეიქმნა მითები გლეხური ცხოვრების სიწმინდისა და ღირსეულობის შესახებ. გერმანელ ახალგაზრდობაში წარმოშვა ძლიერი მოძრაობა „უკან, ბუნებისაკენ". მეოცე საუკუნეში ამ რომანტიკულ პასტორალიზმს ექსპლუატაციას უწევდნენ ნაციონალისტები და ფაშისტები.[1]

მეორე მსოფლიო ომმა მთლიანად შეცვალა ადამიანთა აზროვნება როგორც საზოგადოებრივ, ისე საბუნებისმეტყველო სფეროში, რაც არსებული ღირებულებისადმი დამოკიდებულების გადაფასების საფუძველი გახდა.

აქედან გამომდინარე, 1946 წლიდან სამხედრო მიზნებისათვის ბუნებრივ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების საკითხებმა მრავალი მეცნიერის დაინტერესება გამოიწვია. კერძოდ, აშშ-ის მკვლევარებმა ასეთი ზემოქმედების 20 სახეობაზე მეტი გამოავლინეს. ამასთან, გააანალიზეს გამოყენების სავარაუდო ეფექტურობა და შედეგიანობა. განიხილებოდა ზემოქმედების პროცესში საერთაშორისო ტერიტორიების-მსოფლიო საოკეანო წყლების ჩართვაც კი.

ეკოლოგიური იარაღის სახეებზე, განხორციელების შესაძლებლობაზე და პროექტის სავარაუდო ეფექტურობაზე მკვლევარები და სპეციალისტები მსჯელობენ. რადგანაც დღემდე პრაქტიკაში გამოყენებულია შემდეგი სახის იარაღები: მაგნისლის ან ღრუბლის გაფანტვის გამომწვევი იარაღი, რომლის განხორციელებას არაერთი ქვეყენა მიმართავს, მისი ეფექტურობა შეზღუდულია სივრცეში და ტაქტიკურ მიზანს აღწევს. ანალოგირად არის იმის შესაძლებლობა, რომ ხელოვნურად იქნას გამოწვეული ნისლი ან ღრუბელი. მისი განხორციელება გარკვეულ შეზღუდულ სივრცეშია შესაძლებელი. არსებობს სეტყვის ხელოვნურად წარმომქმნელი საშუალებები, რომელთა მიზანია კავშირგაბმულობის, ელექტრო გადამცმათა დაზიანება, ზოგიერთი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისათვის ხელის შეშლა. შესაძლებელია წვიმის ან თოვლის ხელოვნურად გამოწვევა, რომელიც შეიძლება ემსახურებოდეს ჯარის ნაწილების გადადგილების გართულებას, კომუნიკაციის საშუალებების ხელის შეშლას. პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ირ-

[1] ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები. თბ. 2004 წ. გვ. 309

იგაციული ნაგებობებისა და სისტემების დაზიანება, რომელიც შეიძლება ემსახურებოდეს საბრძოლო მოქმედებათა რაიონების დატბორვასა და შეიარაღებული ძალების ზურგის მოშლას. არცთუ ისე იშვიათად ხდება შიდა წყლების დაბინძურება და სასმელი წყლის მოწამვლა, რომელიც მიზნად ისახავს მომარაგების ხელის შეშლას და ცოცხალი ძალის მწყობრიდან გამოყვანას.

მსოფლიო იცნობს მუდმივი გამყინვარების დადნობის შესაძლებლობას, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას გზების, აეროდრომებისა და მნიშვნელოვანი ნაგებობების დანგრევისათვის. არსებობს ზვავებისა და მეწყერების გამოწვევის სტიმულირებაც, რომელიც თავისთავად გამოიწვევს კომუნიკაციების მოშლას. სამწუხაროდ, ხშირად იყენებენ კულტურული ნაგებობებისა და მცენარეულობის განადგურებას, რაც მოწინააღმდეგე ჯარის მოქმედების მართვას, ბრძოლისუნარიანობის დაქვეითებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოშლას ემსახურება. მხარეები იყენებენ მიწის საფარის განადგურებას, რომელიც თავისთავად იწვევს კომუნიკაციების მოშლას და ა.შ. არის ისეთი იარაღის სახეობები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია; ესაა ოზონის ფენის განადგურება, რაც გამოიწვევს მოსახლეობისა და სასოფლო სამეურნეო წარმოების ზიანს. მის გამოყენებას ახლავს რისკები და საეჭვო უკუქცევადი შედეგების საშიშროება, ქარიშხლის გამოწვევა და მათი მიმართულებით ჯარისა და ეკონომიკისათვის ზიანის მიყენება.

სპეციალისტთა ინფორმაციით, შესაძლებელია ელექტრომაგნიტური ან აკუსტიკური ველების შექმნა, თუმცა ეს პრობლემატურია და ემსახურება მეომარი მხარის ცოცხალი ძალის დაზიანებას.

ატმოსფერული სივრცის ზემოქმედება, მათ შორის, მეხისა და ელვის გამოწვევა, რაც გამოიწვევს კავშირგაბმულობის საშუალებათა მწყობრიდან გამოყვანას. ოკეანის, ზღვის ფიზიკურ, ქიმიურ და ელექტრონულ თვისებათა შეცვლა, რაც გამოიწვევს მოწინააღმდეგის მიერ შესაბამისი წყლის რესურსებისა და სივრცის გამოყენების შეზღუდვას. ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა ხელოვნური მიწისძვრის გამოწვევა? სპეციალისტები თვლიან, რომ ეს შესაძლებელია და ემსახურება მოწინააღ-

მდეგის ჯარებისა და ეკონომიკისათვის ზიანის მიყენებას. თუმცა, მისი უარყოფითი შედეგის პროგნოზირება შეუძლებელია და მას შესაძლებელია მოყვეს კატასტროფები.

პირველი წარმატებული ექსპერიმენტი ღრუბლების გაფანტვასთან დაკავშირებით ჩატარდა აშშ-ში 1946 წლის 13 ნოემბერს. პირველი ექსპერიმენტის ჩამტარებელი ფირმა „ჯენერალ ელექტრიკი“ და აშშ-ის ამინდის ბიურო ახორციელებდნენ პროექტ „ცირიუსს“ და ისინი დაკავშირებული იყვნენ სამხედრო-საჰაერო ძალებსა და სამხედრო-საზღვაო კვლევების სამსახურებთან. პროექტი მოიცავდა კვლევათა ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა ღრუბლების გაფანტვა, წვიმის სტიმულირება და ქარიშხლის მიმართულების შეცვლა.

ღრუბლების გაფანტვის პრაქტიკასა და სეტყვის თავიდან აცილების მცდელობებს საქართველოშიც მიმართავენ. კერძოდ, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, კახეთში იყენებდნენ ღრუბლების გასაფანტ „გრადის“ ტიპის ქვემეხებს და ხშირ შემთხვევაში, სასურველ შედეგებსაც აღწევდნენ; თუმცა, გამოყენება არარენტაბელური იყო, რადგან იმაზე მეტ სახსრებს შტანთქავდა, ვიდრე შედეგად ღებულობდნენ.

თავის დროზე ედუარდ ტელერი, ამერიკული ატომური და თერმობირთვული ბომბების შექმნის მონაწილე, თვლიდა, რომ უკანასკნელი ომის მიზეზი შესაძლოა გახდეს „ამინდი“, ანუ, თუ არა სრულმასშტაბიანი ეკოლოგიური ომი, ეკოლოგიური იარაღის ამა თუ იმ სახეობის შექმნა და გამოყენება მაინც მოხდეს.

მ. ჰაიდეგერმა გამოავლინა ჰუმანიზმის უკმარისობა ბუნებასთან მიმართებაში. ნაშრომის მიხედვით, ჰუმანიზმი გაიგება როგორც მიწიერი, ეკოლოგიური. „ეკოლოგია კი, გაიგება როგორც ადამიანის „სახლი“, მისი ყოფიერება სიტყვის ფართო გაგებით“[1] აქედან გამომდინარე, პრობლემა მეტად დამაფიქრებელი და სათუთია.

რუსი მეცნიერის, ა.მ. კოვალიოვის აზრით, ეკოლოგიური ომი წარმოადგენს ბუნებრივი პროცესების მართვას მიწისა და კოსმოსური სივრცის დინამიკის შედგენილობის და სტრუქტურის შესაცვლელად სხვა სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენების

[1] ა.ა. გორელოვი, ეკოლოგია, მთარგმნელი რ. დიასამიძე. ბათ. 2011წ. გვ. 366.

მიზნით, მისი ეკოსისტემის მოშლის ხარჯზე. თუმცა, ჩვენი წარმოდგენები .სამყაროზე, ბუნებრივი პროცესების ურთიერთკავშირებზე, მუდმივად ფართოვდება და ღრმავდება; შეისწავლება აგრეთვე, ბუნებრივ გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედება. შეუძლებელია იმის წინასწარ განჭვრეტა, თუ როგორი იქნება გარემოზე სამხედრო მიზნებით ზემოქმედება, მასშტაბებით, დროის ხანგრძლივობით, მეორეული შედეგებით, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ათობით ან ასობით წლის შემდეგ. XX საუკუნის მეორე ნახევარში, სამხედრო ტაქტიკა და სტრატეგიაც ბუნების ნგრევის წინასწარგანზრახული ზემოქმედების ნაწილი გახდა, ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების გზით – მოწინააღმდეგისათვის ზარალის მიყენებისათვის.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებით არ ამოიწურება მსგავსი იარაღების სახეობანი, რომელთა გამოყენებაც უკვე მოხდა. მკვლევართა აზრით, ჯერ კიდევ 1975 წელს იყო შესაძლებელი მსგავსი პროექტების ნაწილის განხორციელების მცდელობა, რომელიც მანამდე მხოლოდ თეორიულად იყო შესაძლებელი და აქედან, მხოლოდ ოთხი პროექტი ეჩვენებოდათ პრობლემურად. ზოგიერთი მათგანი დაკონკრეტდა 1974-1976 წლებში, ბუნებრივ გარემოზე სამხედრო ან ნებისმიერი სხვაგვარი ზემოქმედების აკრძალვის შესახებ არსებულ კონვენციაზე მუშაობის პერიოდში. თუ გავითვალისწინებთ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, განსაკუთრებით, კოსმოსური სივრცის შესწავლის პროცესში, პრობლემებთან დაკავშირებული ბევრი საშიში პოზიციის შესრულების ალბათობამ იჩინა თავი. ბევრმა მათგანმა, შეიძლება გადაიწიოს კატეგორიაში – „განხორციელებადი“ და მათი გამოყენება შესაძლოა, გადატანილი იქნას პრაქტიკულ სიბრტყეზე.

იარაღის სხვა სახეობებთან ერთად, აშშ-ის მიერ პირველად ეკოლოგიური იარაღი გამოყენებულ იქნა ინდოჩინეთში. ამერიკული არმია ამ რეგიონში 1967-დან 1972 წლამდე აწარმოებდა ე.წ. „მეტეოროლოგიურ ომს“, ე.წ. გეოფიზიკური იარაღით; იწვევდა თავსხმა წვიმას, შედეგად იწვევდა წყალდიდობებს, ღვარცოფებს, რაც იწვევდა ნაოესების განადგურებას. მეტეოროლოგიური ომის ცნებაში ხვდება, აგრეთვე, ადგილის ტემპერა-

ტურული რეჟიმის, ტროპიკული ციკლონების (ტაიფუნი) მოძრაობის მიმართულების ინტენსიური შეცვლა და ცუნამი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა ტერმინი „ეკოლოგიური ომი“, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც გამოყენებული იარაღი ზემოქმედებას ახდენდა მცენარეულ და ნიადაგის ფენაზე. ქიმიური ნივთიერებები ანადგურებდა ზედაპირის მცენარეულ საფარს. სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე ამერიკის მხარემ გამოიყენა ჰერბიციდები 1.7 მლნ. ჰექტარზე. ვიეტნამის ომამდე ჰერბიციდები, როგორც იარაღის სახეობა, შეიარაღებულ კონფლიქტებში არ გამოიყენებოდა.

აშშ-ის პროგრამა „რომაული სახნისი“ ითვალისწინებდა სპეციალური დანებით აღჭურვილი 200 მძიმე, 33 ტონიანი ბულდოზერის გამოყენებას ტყეების გასაწმენდად. თავიდან იმისათვის, რომ ხელი შეეშალათ ვიეტნამელი პარტიზანებისათვის გზების გასწვრივ საფარის, სამალავების მოწყობაში, ხოლო მოგვიანებით – გარემოსათვის და პირველ რიგში, ნიადაგის ფენისათვის ზიანის მისაყენებლად. „რომაული სახნისის“ - 33 ტონიანი ბულდოზერის დახმარებით არა მარტო მიწაზე ანარცხებდნენ ნებისმიერი დიამეტრის ხეს, არამედ, სპობდნენ ნიადაგის ზედა ნაყოფიერ ფენას. ორ ტრაქტორზე მიმაგრებული 75-მეტრიანი მძიმე ჯაჭვით, ასევე ანადგურებდნენ კაუჩუკის პლანტაციებს.

პროგრამა „რომაული სახნისი“ 1971 წლისათვის შეცვალა ჰერბიციდების გამოყენებამ, რადგან ის „წარმატებით“ ანადგურებდა მცენარეულ საფარს.

ნიადაგი – ეს არის დამოუკიდებელი ბუნებრივ-ისტორიული და ორგანულ-მინერალური სხეული, რომელიც შეიქმნა მიწის ზედაპირზე ბიოტიკური და ანთროპოგენური ფაქტორების ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად. იგი შედგება მყარი მინერალური ნაწილაკების, წყლის, ჰაერისგან და აქვს სპეციალური გენეტიკურ-მორფოლოგიური ნიშნები, თვისებები, რომლებიც შესაბამის პირობებს ქმნიან მცენარეთა ზრდისა და განვითარებისათვის. იწვევენ ნიადაგის საფარის ნაწილობრივ ან სრულ რღვევას, რომელსაც მოჰყვება მისი ფიზიკური და ბიოლოგიური მდგომარეობის გაუარესება, ნაყოფიერების დაქვეითება ან და-

კარგვა, რაც შეუძლებელს ხდის მიწების სასოფლო-სამეურნეო მიზნით მის გამოყენებას, რაც მოითხოვს განსაკუთრებული და სპეციალური ღონისძიებების გატარებას ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენისათვის, ამას კი ძალიან დიდი ხანი სჭირდება.

მაგალითად, ვიეტნამის მანგოს ტყეების განადგურებას ჰერბიციდების დახმარებით, ამერიკა-ვიეტნამის ომის დროს მოჰყვა ნიადაგის გაშიშვლება და ფლორის შეცვლა, ხოლო შემდეგ, მთლიანად შეიცვალა მიკრო კლიმატი იმ ტერიტორიებზე, რომლებმაც მათი ზემოქმედება განიცადეს. ტროპიკული ტაიგის ხეებუჩქოვანი ჯიშებიდან გადარჩა ხეებისა და ეკლოვანი ბუჩქების მხოლოდ რამდენიმე სახე, რომლებიც პირუტყვის საკვებადაც კი გამოუსადეგარი იყო; ფრინველის 150 სახეობიდან გადარჩა მხოლოდ 18. გაქრნენ მწერები, წყალ-ხმელეთები, კრევეტკები, გადაგვარდა თევზი. მანგოს ტყეების ადგილას გაჩნდა თიხიანი ჭაობები. ოპერაციები ტარდებოდა საიდუმლოდ. ინფორმაცია მათ შესახებ დიდხანს ფართო საზოგადოებისათვის მიუწვდომელი იყო, რადგანაც სამხედრო უწყება თვლიდა, რომ მათ გახმაურებას შეეძლო ზარალი მიეყენებინა ქვეყნის ნაციონალური უსაფრთხოებისათვის. მხოლოდ 1982 წელს გახმაურდა 500 გვერდიანი დაწვრილებითი მოხსენება, ინდოჩინეთში ჰერბიციდების გამოყენების შესახებ: სამხედრო-საჰაერო ძალების „ოპერაცია რენჩ-ჰენდი“ და ჰერბიციდები სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში 1961-1971 წლებში“. ეს მოხდა გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსის“ წყალობით

აღსანიშნავია, რომ აშშ არ მიიჩნევდა ჰერბიციდებს იმ კატეგორიის საშუალებად, რომელთა გამოყენება აკრძალულია ჟენევის 1925 წლის ოქმით. მაგრამ გაეროს წევრ სახელმწიფოთა უდიდესი უმრავლესობა საწინააღმდეგო აზრისა იყო. ეკოლოგიის, ბოტანიკის, ქიმიის, მედიცინის უდიდესი სპეციალისტები, საერთაშორისო სიმპოზიუმზე ქ. ხოშიმინში, 1983 წელს, რომელიც ჰერბიციდების, და დეფოლიანტების გამოყენების შედეგებისადმი იყო მიძღვნილი, ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ ოპერაცია „რენჩ-ჰენდი“ იყო „ქიმიური სივრცესა და დროში, ომი ფართომასშტაბიანი ჰერბიციდების გამოყენებით. ომების ისტორიაში, პირველი ასეთი მასირებული გამოყენება, მთლიანად

განსხვავდებოდა ქიმიურ ქარხნებში აფეთქებებისა და უბედური შემთხვევებისაგან".

ამერიკულმა ჯარებმა სამხრეთ ვიეტნამში მთლიანობაში გაანადგურეს 350 ათასი ჰექტარი ტყე, ათასობით ჰექტარი კაუჩუკის პლანტაციები, ხეხილის ბაღები. გადაიწვა ჯუნგლების უზარმაზარი ნაკვეთები. მავნე ზემოქმედების შედეგად, მოხდა ეკოლოგიური ვითარების საერთო გაუარესება და ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწების დეგრადაცია, რაც გამორიცხავდა მათ გამოყენებას ხანგრძლივი დროის მანძილზე. ამერიკელებმა ვიეტნამში გამოიყენეს ე.წ. ნარინჯისფერი რეაქტივი, რომელსაც ავრცელებდნენ თვითმფრინავებიდან, რათა მოწინააღმდეგის საფარი გაენადგურებინათ. ამით მთლიანად ნადგურდებოდა მცენარეები. მკვეთრად იმატა თანდაყოლილი დეფექტების მქონე ბავშვების შობადობამ.

საინტერესოა, რომ მავნე შედეგები აღინიშნებოდა არა მარტო ვიეტნამის მოსახლეობაში, არამედ ამერიკელ ჯარისკაცებშიც. ბევრ ვეტერანს აღმოაჩნდა არახოჯკანსის ლიმფომა და კანის სარკომა. ვარაუდობდნენ, რომ ამ სიმსივნური დაავადების მიზეზი გახდა „ნარინჯისფერ რეაქტივში" შემავალი დიოქსინები.

საერთოდ, აშშ-ის არმიის მიერ რეაქტივთა რამდენიმე სახე იქნა გამოყენებული: „ნარინჯისფერი აგენტი", „თეთრი აგენტი", რომელსაც ტყეების დასაზიანებლად იყენებენ და „ცისფერი აგენტი" (კაკოდილის მჟავა), რომელსაც იყენებდნენ ბრინჯისა და სხვა კულტურების მოსასპობად. პიკლორამი ისეთივე საშიში მომწავლელი ნივთიერებაა, როგორიცაა ყველგან აკრძალული DDT. კოკოდილის მჟავა, ესაა მაღალი ტოქსიკურობის მქონე დარიშხანის მსგავსი შენაერთი. გარდა ამისა, ამერიკულმა მხარემ მრავალგზის გამოიყენა უშუალოდ ადამიანთა წინააღმდეგ მიმართული ე.წ. პოლიციური გაზი GS, აგრეთვე, მისი მოდიფიკაციები GS 1, და GS 2, რომლებიც ვრცელდებოდა ქიმიური შეიარაღებისა და მოწყობილობების, საავიაციო რაკეტების, კასეტური ბომბების, მრავალლულიანი გასაშვები დანადგარებისა და ა.შ. საშუალებით. ამ პრეპარატების ლოკალური კონცენტრაციის შექმნას ლეტალური შედეგი მოჰყვებოდა. ესეც წარმოადგენდა იმ ოქმის დარღვევას, რომელიც კრძალავდა

ომში მგუდავი, შხამიანი ან სხვა მსგავსი გაზებისა და ბაქტერიოლოგიური საშუალებების გამოყენებას (1925 წ. 17 ივნისი).

აშშ არმიის ქმედებამ ინდოჩინეთში საფუძველი მისცა გაეროს გენერალურ მდივანს შემდეგი განცხადებისათვის: „შეერთებულ შტატებში გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე სხვაგან. ყურადღება ექცევა ამინდის შეცვლას. როდესაც ომის წარმოების შესაძლო საშუალებად იყენებდა წვიმის ხელოვნურად გამოწვევის, ნისლის შექმნის, ქარიშხლების მიმართულების შეცვლას და ა.შ. გზით, ეს საკითხი თავსებადია გარემოს შეცვლასთან, ომის წარმოების საშუალების უფრო ფართო პრობლემასთან".[1]

გეოფიზიკურმა ომმა უარყოფითი რეაქცია გამოიწვია თვით შეერთებულ შტატებში: „1978 წელს, კონგრესში, საკითხის განხილვისას „ამინდის ომის" შესახებ, მიღებული იქნა რეზოლუცია, რომელიც აშშ-ის მთავრობას მოუწოდებდა, გამოსულიყო ინიციატივით, რათა მომხდარიყო ხელშეკრულების დადება გეოფიზიკური გარემოს შეცვლის, როგორც ომის იარაღის გამოყენებისაკენ მიმართული ნებისმიერი კვლევის, ექსპერიმენტის და მსგავსი საქმიანობის სრული შეწყვეტისაკენ".

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ჩინეთის შეიარაღებული ძალები შორეულ აღმოსავლეთში, სსრ კავშირის ტერიტორიაზე შემოიჭრა. გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირმა გამოიყენა აკრძალული ქიმიური ნივთიერება, რომელმაც არა მარტო ადამიანები, არამედ ყველა ცოცხალი არსება გაანადგურა და უვარგისი გახადა მიწის საფარიც.

ექსპერტების აზრით, თუ ინდოჩინეთში აშშ-ის ეკოლოგიური ომის შესახებ კარგადაა ცნობილი, ამას ვერ ვიტყვით ამ ქვეყნის მიერ კუბის წინააღმდეგ განხორციელებული მსგავსი ქმედებების შესახებ. 1970 წელს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აწარმოებდა ღრუბლების გაფანტვას კარიბის ზღვაში კუნძულზე გვალვის გამოწვევის მიზნით, კუბის რესპუბლიკის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურის-შაქრის ლერწმის მომწიფების პერიოდში. გარემოს შეცვლის, როგორც ომის წარ-

---

[1] ი. არციბასოვი, ნ. ეგოროვი. შეიარაღებული კონფლიქტები, სამართალი, პოლიტიკა და დიპლომატია. მოსკ. 1989 წ. გვ. 103-104 (რუს. ენაზე).

მოების საშუალების პროგრამამ, არა მარტო მსოფლიო თანამეგობრობის შეშფოთება გამოიწვია, არამედ მისი გადაწყვეტის აუცილებლობის გაცნობიერებაც. ხანგრძლივი მოლაპარაკების (პირველ რიგში სსრკ-სა და აშშ-ს შორის) შემდეგ შემუშავებული იქნა კონვენცია, ბუნებრივ გარემოზე სამხედრო ან ნებისმიერი სხვა სახის მტრული ზემოქმედების აკრძალვის შესახებ, რომელიც მზად იყო ხელმოწერისათვის 1977 წლის 18 მაისს.[1]

ეკოლოგიურ იარაღს აქვს სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც მას ახასიათებენ, როგორც განსაკუთრებით საშიშს, რამდენადაც მისი გამოყენებისას:

– იშლება ზღვარი სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებს შორის, მათი გამიჯვნა-დაზუსტების თვალსაზრისით;

– იშლება ზღვარი ჩვეულებრივ შეიარაღებასა და მასობრივი განადგურების იარაღს შორის;

– ზოგიერთი ბუნებრივი პროცესის (მიწისძვრა, ცუნამი) მოქმედებაში მოსაყვანად, „ამფეთქებლის“ როლში, შეიძლება გამოვიდეს ბირთვული იარაღი;

– მშვიდობიანი მიზნისათვის გამოსაყენებელი საშუალების – ჰერბიციდების მასობრივმა გამოყენებამ ისინი გადააქცია აკრძალულ ქიმიურ იარაღად, ე.ი. მასობრივი განადგურების იარაღად;

– თავისი განსაკუთრებულობის გამო ეკოლოგიური იარაღის ყოველმხრივი შემოწმება შეუძლებელია;

– ეკოლოგიური იარაღის გამოყენების სურვილმა შესაძლოა სწრაფი გავრცელება პოვოს მისი შედარებითი სიიაფის გამო;

– ეკოლოგიური იარაღის გამოყენებით ომი შესაძლოა საკმაოდ ფართო ტერიტორიულ სივრცეში წარმოებდეს წლების განმავლობაში;

– ელექტროგამოთვლითი ტექნიკის განვითარებას მოჰყვა ამინდის პროგნოზირების შესაძლებლობა და მასთან ერთად, ეკოლოგიური იარაღის გამოყენების გათვლა ამინდის პირობების გათვალისწინებით არა მარტო მშვიდობიანი, არამედ სამხედრო მიზნებითაც;

---

[1] ს. ვინოგრადოვი. საერთაშორისო სამართალი და ატმოსფეროს დაცვა. მ. 1981 წ. გვ. 67-70 (რუს. ენაზე).

– „ამინდის“ იარაღის გამოყენების შესაძლებლობები ძირს უთხრის მეტეოროლოგიური ინფორმაციების გაცვლას საერთაშორისო მასშტაბით;
– შეზღუდულ ტერიტორიაზე გამოყენებული ეკოლოგიური იარაღი ომს ანიჭებს შეუზღუდავ ხასიათს დროსა და სივრცეში;
– ეკოლოგიური იარაღი შესაძლოა გამოვიდეს კონტროლიდან, რამდენადაც გადაწყვეტილება, მისი გამოყენების შესახებ, შეიძლება მიღებული იქნას საომარი სიტუაციის მოთხოვნილებათა საფუძველზე და იგი იქცეს არაპროგნოზირებად და უცნობი ეკოლოგიური შედეგების მომტანად.

გასული საუკუნე იყო ორი მსოფლიო ომისა და როგორც საერთაშორისო, ისე არასაერთაშორისო ხასიათის მრავალრიცხოვანი შეიარაღებული კონფლიქტების საუკუნე. მეორე მსოფლიო ომმა და მომდევნო შეიარაღებულმა კონფლიქტებმა მრავალ საკითხთა შორის, ერთ-ერთ, ყველაზე მეტად გლობალურ პრობლემად აქციეს გარემოს დაცვის საკითხი შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში. გარემოსათვის ზიანის მიყენება დამღუპველად აისახება კაცობრიობის სასიცოცხლო პირობებზე და მთლიანად დედამიწაზე, რადგანაც იგი „ამცირებს აუცილებელი საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებს ჩვენი პლანეტის ბუნების დაცვის სფეროში“, როგორც აღნიშნულია გაეროს გენერალური ასამბლეის 35/8 რეზოლუციაში (1980 წ. 5 ნოემბერი). საერთაშორისო თანამეგობრობამ, გაეროს ეგიდით მიიღო აუცილებელი ზომები სიტუაციის გასაუმჯობესებლად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მიღებული იქნა 1949 წლის ჟენევის კონვენციები და მათი დამატებითი ოქმები, აგრეთვე, ოთხი კონვენცია 1977 წლიდან – 1997 წლამდე:
– კონვენცია ბუნებრივ გარემოზე სამხედრო ან ნებისმიერი სხვაგვარი საშუალების ზემოქმედების აკრძალვის შესახებ (1977 წ.);
– კონვენცია ჩვეულებრივი იარაღის იმ კონკრეტულ სახეთა გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ (1980 წ), (მისი ხუთი ოქმით), რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს გადამეტებული ზიანის მიმყენებლად ან განურჩეველი მოქმედების მქონედ (1980 წ. 10 ოქტომბერი);
– კონვენცია ქიმიური იარაღის შექმნის, წარმოების, დაგროვების და გამოყენების აკრძალვისა და განადგურების შესახებ (მიღებულია 1993 წლის 13 იანვარს);

– კონვენცია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების, წარმოების და გაყიდვის აკრძალვისა და მათი განადგურების შესახებ; (1997 წ. დეკემბერი მიღებულია 130 სახელმწიფოს მიერ).

ზოგიერთ ჩამოთვლილ კონვენციას ახლავს ოქმებიც.

მიუხედავად გაეროს და მისი ზოგიერთი დაწესებულების აქტიურობისა, რაც გამოიხატება გარემოს დაცვის საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმის სრულყოფისაკენ მიმართული დოკუმენტების შემუშავებასა და ხელმოწერაში, ჯერ კიდევ მრავალი საკითხი რჩება მოუგვარებელი; მათ შორის, ეკოლოგიურ იარაღთან დაკავშირებული. ჩვენი აზრით, მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შემდეგი:

– ზღვარის წაშლა სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებს შორის დამიზნების აუცილებელი სიზუსტის არქონის გამო; აგრეთვე, ჩვეულებრივ შეიარაღებასა და მასობრივი განადგურების იარაღს შორის;

– ომის ფარულად წარმოების შესაძლებლობა რიგი წლების განმავლობაში;

– შეზღუდულ ტერიტორიაზე გამოყენება, ფაქტობრივად, ანიჭებს ომს შეუზღუდავ ხასიათს დროსა და სივრცეში.

სჰს-ის ნორმების დარღვევა, რასაც ადგილი აქვს ამა თუ იმ შეიარაღებული კონფლიქტის დროს, აშკარად ავლენს სახელმწიფოთა ურთიერთზემოქმედების სამართლებრივი მექანიზმის შემდგომი მოწესრიგების, სრულყოფის აუცილებლობას, მათ შორის, გარემოს საერთაშორისო სამართლის ახალი ინსტიტუტების ფორმირებისა და არსებულის შინაარსის გაღრმავების თვალსაზრისით. დადგა დრო, ეკოლოგიური სამართლის სრულყოფისათვის, სპეციალისტებმა მეტი იზრუნონ „ისეთი იურიდიული ნორმების სისტემაზე, რომლებიც კანონმდებლობის წესით არეგულირებენ ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედებას. თანამედროვე ეკოლოგიური სამართალი ორი მიდგომით უნდა განვიხილოთ. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ადამიანის კონსტიტუციური უფლება, ჯანსაღ ბუნებრივ გარემოზე და „ბუნების უფლება" – მის გულზე დააბიჯებდეს ჰუმანური ადამიანი, რომელიც მას ისე მოექცევა, როგორც „მშობელს".

თავი X

ომის წარმოების მეთოდებისა და საშუალებების აკრძალვები

§1. ომის წარმოების აკრძალული მეთოდები

დიდი მხედართმთავრები და სარდლები ცდილობდნენ, ომის დროს გამოეყენებინათ ისეთი მეთოდები და საბრძოლო საშუალებები, რაც მათ წარმატებას გარანტირებულს გახდიდა. ამ წესებსა და საშუალებებს თვითონ იგონებდნენ და პრაქტიკაში ნერგავდნენ. წყაროები იტყობინებიან, რომ ბრძოლის წინ კართაგენელმა სარდალმა ჰანიბალმა მეომრებს დაავალა გველების დაჭერა და მათი თიხის ჭურჭელში მოთავსება. ამით მან პირველმა დაამზადა „ზოოლოგიური ჭურვი“[1], რომელიც გამოიყენა პერგამოსის ფლოტის წინააღმდეგ, როდესაც თიხის ქოთნები მტრის ხომალდს ესროლეს. ერთდროულად გველებისა და ჰანიბალის მებრძოლების შეტევამ მტერი დააბნია და ადვილად დასამარცხებელი შეიქმნა.[2] ეტყობა, ჰანიბალმა გველის გამოყენების იდეა თვით რომაელებისაგან აიღო. ისინი სისხლის სამართლის დამნაშავეს, როდესაც სიკვდილს მიუსჯიდნენ, ტომარაში გველთან ერთად სვამდნენ და ტიბრში აგდებდნენ.[3] ამ ისტორიის გახსენება იმისათვის გახდა საჭირო, რომ კაცობრიობა თავისი არსებობის მანძილზე უამრავ და საშინელ მეთოდს მიმართავდა გამარჯვების მიღწევის მიზნით. ამიტომ, ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ არსებული ჟენევის 1949 წლის კონვენციებითა და 1977 წლის დამატებითი ოქმებით, ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ დადგენილი წესებით, იკრძალება ომის წარმოების ისეთი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება, როგორებიცაა: მოწინააღმდეგე მხარეზე მებრძოლ პირთა მუხანათურად მოკვლა ან დაჭრა; წამება, მოწინააღმდეგე

---

[1] http /imanagement. ge/

[2] Г.Ш. Королев. Ганибал. М., 1976. стр. 320.

[3] გ. ლობჟანიძე, რომის სახელმწიფო და სამართალი, წ. I. 2009წ. გვ. 230.

მხარის შესახებ არსებული ცნობების მოპოვების მიზნით; ეროვნული და საერთაშორისო ემბლემების, სიგნალებისა და დროშების ბოროტად გამოყენება; პარლამენტისა და მისი თანმხლები პირების მკვლელობა; სანიტარულ ობიექტებზე თავდასხმა; გენოციდი, აპართეიდი, მშვიდობიანი მოსახლეობის ტერორი, სამხედრო ტყვეთა და მოწინააღმდეგე მხარის შეიარაღებულ ძალებში მებრძოლ სხვა პირთა იძულება, მონაწილეობა მიიღონ სამხედრო მოქმედებებში საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ; კულტურულ ფასეულობათა და ისტორიულ ძეგლთა განადგურება და სხვა.

ლიბერის ნაშრომმა ორ მნიშვნელოვან პროცესს დაუდო სათავე. ერთი მხრივ, იგი ომის სამართლის სახელმძღვანელოსა და ინსტრუქციების შექმნის მაგალითად იქცა, მეორე მხრივ კი, საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარების მეორე ეტაპს – ომის წარმოების წესების ჩასახვას.[1]

იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული მუდმივი ტანჯვა, გაუმართლებელი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობასა და კომბატანტებს შორის, რაც თან ახლავს საომარ მოქმედებებს, სჭს ადგენს შეზღუდვებს მეომარ მხარეთა მიერ ომის წარმოების მეთოდებისა და საშუალებების შემთხვევაში, რაც ჯერ კიდევ პეტერბურგის დეკლარაციაში იყო გაფორმებული 1868 წელს. მის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ „ერთადერთი კანონიერი მიზანი, რომელიც სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ომის დროს, მოწინააღმდეგის სამხედრო ძალების შესუსტებაში მდგომარეობს".

დასახელებული პრინციპის ნორმატიული ასახვა პირველად განხორციელდა ფორმულაში: „მეომარი მხარეები არ სარგებლობენ შეუზღუდავი უფლებით მტრისათვის ზიანის მიყენების საშუალებების შერჩევაში". კონვენცია სახმელეთო ომის კანონებისა და წესების შესახებ (1907 წ., მუხ. XXII). შემდგომი განვითარება მან ჰპოვა 1949 წლის ჟენევის კონვენციების I დამატებით ოქმში ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ: „კონფლიქტში მყოფი მხარეების უფლება, შეარჩიონ ომის წარმოების

---

[1] ჰანს-პეტერ გასერი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (შესავალი), თბ. 1999წ. გვ. 22.

მეთოდები და საშუალებები, არ ითვლება შეუზღუდავად“ (მუხ. 35). აღნიშნული პრინციპის შესაბამისად, მეომარ მხარეებს უფლება აქვთ, საომარი მოქმედებების დროს მხოლოდ ის მეთოდები და საშუალებები გამოიყენონ, რომლებიც საომარი აუცილებლობით არის გათვალისწინებული, რათა მოხდეს მტრის ჯარების წინააღმდეგობის დათრგუნვისა და მისთვის ადამიანთა დანაკარგების მოყენება მინიმალურად დასაშვებ დონეზე. ამ პრინციპის შინაარსიდან გამომდინარე, გარკვეული რაიონის სრული განადგურება რომელიმე კონკრეტული ობიექტის ან წინააღმდეგობის უმნიშვნელოვანესი კერის ლიკვიდაციის მიზნით, მართლსაწინააღმდეგოდ ითვლება.

ამგვარად, მეომარმა მხარეებმა არა მარტო უნდა იცოდნენ ის, რომ მათი შეტევის ობიექტი მხოლოდ სამხედრო დანიშნულების არის, არამედ მისი განადგურების ისეთი მეთოდები და საშუალებები უნდა შეარჩიონ, რომლებიც არ გამოიწვევენ უფრო მეტ ზიანს, ვიდრე ეს არის საჭირო საბრძოლო ამოცანის შესრულებისათვის.

სჰს-ის ნორმების შესაბამისად, ომის წარმოების აკრძალულ მეთოდებს მიეკუთვნება შემდეგი ქმედებები:

– მუხანათური მკვლელობა ან დაჭრა იმ პირებისა, რომლებიც მიეკუთვნებიან მოწინააღმდეგის მოსახლეობას ან ჯარებს;

– გასაძარცვად თვით შეტევით აღებული ქალაქის ან ადგილის გადაცემაც კი;

– თავდასხმა მწყობრიდან გამოსულ პირებზე;

– შეიარაღებულ კონფლიქტში ნეიტრალურ სახელმწიფოთა ემბლემების, განმასხვავებელი ნიშნების ან ფორმის ტანსაცმლის გამოყენება;

– მძევლების აყვანა;

– განმასხვავებელი ემბლემების არადანიშნულებისამებრ, ე.ი, წითელი ჯვრის, წითელი ნახევარმთვარის ან წითელი კრისტალის და სხვა საერთაშორისოდ აღიარებული ნიშნების, სიგნალებისა და ა.შ, გამოყენება;

– სამოქალაქო მოსახლეობის ან ცალკეული სამოქალაქო პირების თავდასხმის ობიექტად გადაქცევა;

– ბრძანების გაცემა, რათა არავინ დატოვონ ცოცხალი, ამით დამუქრება ან საომარი მოქმედებების წარმოება ამის საფუძველზე;
– მტრის კერძო საკუთრების განადგურება ან მიტაცება, გარდა აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევებისა;
– განურჩეველი ხასიათის თავდასხმის განხორციელება;
– პირთა იძულება იმსახურონ მტრული სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში;
– ხანგრძლივი და სერიოზული ზიანის მიყენება ბუნებრივი გარემოსათვის;
– თავდასხმის განხორციელება საშიში ძალების შემცველ დანადგარებზე ან ნაგებობებზე, თუ ასეთი თავდასხმები ჩაითვლება სამოქალაქო პირთა ზედმეტი დანაკარგების საფუძვლად, მრავალთა დაჭრის მიზეზად ან სამოქალაქო ობიექტისათვის ზიანის მიყენებად;
– მუხანათობა, ე.ი. იმისკენ მიმართული მოქმედება, რათა გამოიწვიოს მოწინააღმდეგის ნდობა და დაარწმუნოს, რომ მას აქვს დაცვის უფლება ან გადასცეს მას ასეთი დაცვა სპს-ის ნორმების შესაბამისად, რასაც იყენებენ შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში, ასეთი ნდობით მოტყუების მიზნით; მუხანათობის მაგალითია შემდეგი მოქმედებები: მოლაპარაკებების სიმულირება შერიგების დროშის ქვეშ ან კაპიტულაციის სიმულირება; ავადმყოფობის ან დაჭრის შედეგად მწყობრიდან გამოსვლის სიმულირება; სამოქალაქო პირის ან არაკომბატანტის სტატუსის ფლობის სიმულირება; იმ სტატუსის ფლობის სიმულირება, რომელიც ანიჭებს დაცვას გაეროს, ნეიტრალურ სახელმწიფოთა ნიშნების, ემბლემებისა და ფორმის ტანსაცმლის გამოყენების გზით;
– დაუცველ ქალაქებზე შეტევა ან დაბომბვა, საზღვაო ძალებით თავდასხმა ღია და დაუცველ პორტებზე, ქალაქებზე, სოფლებზე, სხვა არასამხედრო ობიექტებზე.

აკრძალულია ჰაერიდან თავდასხმა არასამხედრო ობიექტებსა და სამოქალაქო მოსახლეობაზე, ამ უკანასკნელის დაშინების მიზნით. იმ შემთხვევაში, როდესაც ობიექტები იმგვარადაა განლაგებული, რომ მათმა დაბომბვამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას სამოქალაქო მოსახლეობას, მეომარმა მხარეებმა არ

უნდა განახორციელონ საჰაერო თავდასხმები. ჰაერიდან დაბომბვის დროს უნდა მიიღონ ყველა ზომა, რათა მაქსიმალურად შეინარჩუნონ ისეთი შენობები, რომლებიც დანიშნულია ხელოვნებისათვის, მეცნიერებისათვის, საქველმოქმედო მიზნებისათვის, აგრეთვე, ჰოსპიტალები, საავადმყოფოები, მსგავსი ობიექტები.

ჩამოთვლილი მეთოდებით ომის წარმოების აკრძალვამ ასახვა ჰპოვა მთელ რიგ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში: კონვენციები სახმელეთო ომის კანონებისა და წესების შესახებ (1907წ., მუხ. XXIII), 1949 წლის ჟენევის I, II, III, IV კონვენციები, შესაბამისად, მუხ. 59, 51, 130 და 147. აგრეთვე, 1977 წლის I დამატებითი ოქმი (მუხ. 35, 37, 38, 39, 41, 75, 85).

საომარი ეშმაკობები სჰს-ის ნორმებით არ იკრძალება. ასეთებია იქითკენ მიმართული მოქმედებები, რათა დააბნიონ მოწინააღმდეგე ან წააქეზონ ის იმოქმედოს იმგვარად, რომ ეს არ წარმოადგენდეს რომელიმე საერთაშორისო ნორმის დარღვევას და რომლებიც არ ითვლება მუხანათობად, რამდენადაც ისინი არ ატყუებენ მოწინააღმდეგე მხარის ნდობას იმ დაცვისადმი, ამ ნდობით რომ ენიჭებათ (შენიღბვის, მახეების გამოყენება, ცრუ საომარი მოქმედებების ჩატარება, დეზინფორმაციის გავრცელება – I დამატებითი ოქმის მუხ, 37).

§2. ომის წარმოების აკრძალული საშუალებები

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ადამიანები ყველა დროში ეძებდნენ გამოსავალს მშვიდობის შენარჩუნებისათვის და შეიარაღებული დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ როდესაც ეს არ ხერხდებოდა, მაშინ დაცული უნდა ყოფილიყო იარაღის გამოყენების თანაფარდობისა და აღექვატურობის პრინციპი[1]. საერთაშორისო სამართლით, იმ საშუალებების გამოყენება, რომლებიც აკრძალულია ომის კანონებითა და ჩვეულებებით, განიხილებოდა, როგორც ომის დანაშაულობანი, რომლებიც ექვემდებარებიან იურიდიულ პასუ-

[1] Международное право, Ведение боевых действий, М. 1995г. стр.13.

ხისმგებლობას. საერთაშორისო სამართალი კრძალავს ომის წარმოების ისეთ საშუალებათა გამოყენებას, რომლებიც ზედმეტად ტანჯავენ მტრის ცოცხალ ძალას, გაუმართლებელ ზიანს აყენებენ მის მშვიდობიან მოსახლეობასა და მატერიალურ სიკეთეებს. XIX საუკუნიდან მოყოლებული, აკრძალულია ომის დროს ისეთი ტყვიების გამოყენება, რომლებიც ადამიანის სხეულთან შეხებისას ფეთქდებიან, იწვევენ სხეულის სიდამწვრეს ან ადამიანს მეტისმეტ ტანჯვას აყენებენ. ამან განაპირობა მშვიდობის პირველ (1899 წ.) და მეორე კონფერენციებზე (1907 წ.) იმის აღნიშვნა, რომ ომის წარმოების აკრძალული საშუალებების უბრალო ჩამოთვლა საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებში არ იქნებოდა საკმარისი იარაღის ახალი სახეების შექმნის და არმიების შეიარაღებაში მათი მიღების თვალსაზრისით. ამასთან, სახელმწიფოები ადვილად შეძლებდნენ დადგენილი აკრძალვების გვერდის ავლას მტრის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის გასანადგურებლად შექმნილი უფრო სრულყოფილი სისტემების გამოყენების დროს. ამიტომ, შეთავაზებული იქნა იმ საშუალებათა აკრძალვის კრიტერიუმები და განსაზღვრა, რომლებთან წინააღმდეგობაში შესვლაც უკანონოს გახდიდა ნებისმიერი ახალი სახის იარაღის გამოყენებას.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან და მომდევნო ხანებში მიღებული იქნა მრავალი სამართლებრივი აქტი საბრძოლო მოქმედების წარმოების საშუალებათა აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ. ასეთ აქტთა რიცხვს განეკუთვნება: სანქტ-პეტერბურგის 1868 წლის დეკლარაცია „ფეთქებადი და ცეცხლგამჩენი ტყვიების გამოყენების აკრძალვის შესახებ“, რომლითაც აიკრძალა ადამიანის სხეულში ადვილად ბრუნვადი და მსკდომი ტყვიები – ე.წ. „დუმ-დუმ“ ტყვიები; ჰააგის 1899 წლის დეკლარაციები „ადვილად ბრუნვადი და კუმშვადი ტყვიების გამოუყენებლობის შესახებ“ და ჰააგის 1907 წლის დეკლარაცია „მხუთავი, მომწავლელი ან სხვა მსგავსი აირების გამოყენების აკრძალვის შესახებ“. ჟენევის 1925 წლის „ოქმი ომის დროს მხუთავი, მომწამვლელი ან სხვა მსგავსი აირებისა და ბაქტერიოლოგიური საშუალებათა გამოყენების აკრძალვის შესახებ“. საერთაშორისო აქტებით, აკრძალულია აგრეთვე მცურავი ნაღმების დაყენება, თუ მათ არა აქვთ თვითგაუვნებლობის უნარი

იმ პერიოდიდან, რაც კონტროლს აღარ ექვემდებარებიან; ღუზაზე დამაგრებული ნაღმის დაყენება, თუ იგი მოწყობისთანავე უსაფრთხო არ ხდება, და ისეთი ტორპედოების გამოყენება, რომლებიც, თუ მიზანს ასცდა, ავტომატურად არ ხდება უსაფრთხო.

თუმცა, როგორც სჰს-ის განვითარების პრაქტიკამ აჩვენა, ამის გაკეთება სჯმაოდ რთული აღმოჩნდა, რამდენადაც ამ აკრძალვათა სამართლებრივი დადგენა მნიშვნელოვნად იგვიანებდა იარაღის ახალი თაობების შექმნასა და სრულყოფასთან შედარებით. ეს ჩამორჩენა განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის შემდეგ. ლაპარაკი, პირველ რიგში, ბირთვულ იარაღს ეხება, რომლის აკრძალვასაც მსოფლიო თანასაზოგადოებამ დღემდე ვერ მიაღწია. ამის შესახებ ქვემოთ.

თანამედროვე სჰს-ის შემადგენელ ნაწილად ითვლება დეკლარაციების, კონვენციების, ოქმებისა და სხვა დოკუმენტების დებულებები ომის წარმოების აკრძალული საშუალებების შესახებ, რომლებსაც მიეკუთვნება:

– 400 გრამზე ნაკლები წონის ჭურვები, რომლებსაც აქვთ ფეთქებადი თვისება ან აღჭურვილნი არიან დამრტყმელი ან აალებადი შემადგენლობით (1868 წლის პეტერბურგის დეკლარაცია);

– მსხვრევადი ტყვიები (ჰააგის დეკლარაცია 1899 წ.);

– ჭურვები, რომელთა ერთადერთი დანიშნულებაა მხუთავი ან დამაზიანებელი გაზების გავრცელება (ჰააგის დეკლარაცია 1899 წ);

– შხამები ან მომწამლავი იარაღი (ჰ. „ა“ მუხ. XXIII დებულებისა სახმელეთო ომის კანონებისა და წესების შესახებ);

– შეხების შედეგად ავტომატურად ფეთქებადი ჭურვები. ასევე ღუზებზე დაუმაგრებლად დაყენებული ჭურვები, გარდა ისეთებისა, რომლებიც ისეა მოწყობილი, რომ უხიფათო ხდებიან მათზე კონტროლის დაკარგვიდან ერთ საათში;

– ღუზებზე დამაგრებული, შეხებით ავტომატურად ფეთქებადი ჭურვები, რომლებიც არ ხდებიან უხიფათონი, როგორც კი სამაგრებს მოწყდებიან;

– თვითმოძრავი ჭურვები, რომლებიც აცდებიან რა მიზანს, არ ხდებიან უხიფათო;
– შეხების შედეგად ავტომატურად ფეთქებადი ჭურვები, რომლებიც დაყენებულია მოწინააღმდეგის პორტებთან და სანაპიროსთან ერთადერთი მიზნით – შეწყვიტონ სავაჭრო ცურვა (1907 წ. კონვენცია წყალქვეშა შეხებით ავტომატურად ფეთქებადი ჭურვების დაყენების შესახებ);[1]
– მხუთავი, შხამიანი ან სხვა მსგავსი გაზები და ბაქტერიოლოგიური საშუალებები. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, 1925 წელს, კაცობრიობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ომის შემდგომი ჰუმანიზაციის გზაზე. მიღებული იქნა ჟენევის ოქმი, რომელიც ითვალისწინებს ომში მხუთავი, შხამიანი ან სხვა ამგვარი იარაღებისა და ბაქტეროლოგიურ საშუალებათა გამოყენების დაუშვებლობას. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ხელი შეუწყო ახალი, მრავალჯერ უფრო ძლიერი ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღების შექმნას. ზოგიერთი მათგანი გამოყენებული იქნა კიდეც. ის ფაქტი, რომ დღეისთვის ზოგიერთი სახელმწიფოს არსენალში დაგროვილია აღნიშნული ტიპის იარაღის დიდი მარაგი, რაც კაცობრიობას პოტენციურ საფრთხეს უქმნის, გადაუდებელ ამოცანად აქცევს არსებული მარაგის ლიკვიდაციას და ამ ტიპის იარაღის წარმოების შეწყვეტას. ლიტერატურაში მითითებულია, რომ მოსკოვში, ვაშინგტონსა და ლონდონში 1972 წლის 10 აპრილს ხელმოწერისათვის გაიხსნა კონვენცია ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის დამუშავების, წარმოებისა და დაგროვების აკრძალვისა და მათი მოსპობის შესახებ (ძალაში შევიდა 25.III.1975). საქართველოს პარლამენტმა ამ კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 6.III.1996, ხოლო იგი საქართველოსათვის ძალაში შევიდა 22.V.1996. ამ კონვენციის ძალით, მხარეები ვალდებულებას კისრულობენ არასდროს არ შექმნან, არ დააგროვონ, არ შეიძინონ და არ შეინახონ იმ სახის ან რაოდენობის მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური ნივთიერებები თუ ტოქსინები, რაც არ შეესაბამება მშვიდობიან მიზნებს. ეს ვალდებულებები ეხება აგრეთვე იმ იარაღს, მოწყობილობას თუ მიწოდების საშუალებებს, რომელთა დანიშნულებაა ამ საშუ-

[1] Международное право, Ведение боевых действий, М.1995г.стр.206

ალებებისა და ტოქსინების გამოყენება მტრული მიზნებისათვის ან შეიარაღებულ კონფლიქტებში. მხარეებმა ვალდებულება აიღეს კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან, ცხრა თვის ვადაში მოსპონ ან მშვიდობიან მიზნებს დაუქვემდებარონ მათ განკარგულებაში ან მათ კონტროლქვეშ არსებული ყველა ნივთიერება: ტოქსინი, იარაღი, მოწყობილობა და მათი მიწოდების საშუალებანი. აკრძალულია ასეთი იარაღის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა ან მისი წარმოებისათვის დახმარების აღმოჩენა. კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფომ უნდა მიიღოს სათანადო სამართლებრივი და სხვა ზომები ზემოაღნიშნულ ვალდებულებათა შესრულების მიზნით.[1]

გარდა ამისა, ბაქტერიოლოგიური იარაღი ექვემდებარება სახელმწიფოთა არსენალებიდან ამოღებას ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის დამუშავების, წარმოებისა და მარაგის დაგროვების აკრძალვის და განადგურების შესახებ არსებული 1977 წლის კონვენციის შესაბამისად. ბაქტეროლოგიურ იარაღში იგულისხმება ისეთი იარაღი, რომელთა მოქმედებაც დამყარებულია მიკროორგანიზმების დაავადების გამომწვევ თვისებაზე, რასაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ადამიანების, პირუტყვისა და მცენარეული სამყაროს მასობრივი დაავადებები.[2]

იკრძალება, აგრეთვე, ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების ისეთი საშუალებების გამოყენება, რომლებსაც აქვთ ფართო, ხანგრძლივი ან სერიოზული შედეგები ნგრევისა და ზიანის მიყენების სახით.

სჰს-ის ნორმებით იკრძალება ასევე, განურჩეველი ხასიათის ჩვეულებრივი იარაღის კონკრეტული სახეების გამოყენება, რასაც შეიძლება მოჰყვეს გადამეტებული დაზიანება ან ტანჯვა, ე.ი. იმ იარაღისა, რომლის ძირითადი თვისება მდგომარეობს ისეთი ნამსხვრევებით დაზიანების მიყენებაში, რომლების აღმოჩენაც ადამიანის სხეულში რენტგენით შეუძლებელია: კასეტებიანი, ბურთულებიანი ბომბები, ნაღმი-მახეები (კონვენცია ჩვეულებრივი იარაღის გამოყენების აკრძალვის ან გამოყენების

---

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი). თბ. 2003 წ. გვ. 375

[2] Международное право, Ведение боевых действий, М. 1995г. стр. 215.

შეზღუდვის შესახებ (1980 წ) და მისი ოქმები). აკრძალულია სამოქალაქო მოსახლეობის, ცალკეული სამოქალაქო პირების ან სამოქალაქო ობიექტების, ასევე, სამოქალაქო მოსახლეობის თავმოყრის რაიონში განლაგებული სამხედრო ობიექტების მიმართ ცეცხლგამჩენი იარაღის გამოყენება. სჰს-ის ნორმებით, აკრძალულია ტყეების ან მცენარეული საფარის სხვა სახეობების ქცევა ცეცხლგამჩენი იარაღის თავდასხმის ობიექტად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ბუნებრივი ობიექტები იმისათვის გამოიყენება, რომ მოხდეს კომბატანტების ან სამხედრო ობიექტების დამალვა, მოფარება ან შენიღბვა.

ომის წარმოების აკრძალული იარაღებიდან, პირველ რიგში უნდა მივუთითოთ მასობრივი განადგურების ქიმიურ იარაღზე. 1925 წლის ჟენევის ოქმი, რომელიც იმდროინდელი 100 სახელმწიფოს მიერ იქნა რატიფიცირებული, შეიცავს უნივერსალურ ნორმას, რომელიც კრძალავს საომარი მიზნებით ყველა ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ბიოლოგიური აგენტის (ცრემლსადენი და სხვა აგენტები) გამოყენებას. ოქმში მითითებულია, რომ გაზების გამოყენება იკრძალება სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ომებში.

გაცილებით უფრო რთულად მიმდინარეობდა მოლაპარაკება ქიმიური იარაღის აკრძალვისა და მოსპობის შესახებ, მაგრამ 1992 წელს მაინც შემუშავდა სათანადო შეთანხმების საბოლოო ტექსტი, ხოლო 1993 წლის 14 თებერვალს პარიზში ხელმოწერილი იქნა კონვენცია ქიმიური იარაღის აკრძალვის, განლაგების, წარმოების, შენახვის, გამოყენებისა და მისი სრული განადგურების შესახებ. ამ კონვენციით აკრძალულია ყოველგვარი ქიმიური იარაღის წარმოება. შენახვა, სხვა ქვეყნებისათვის გადაცემა; არსებული ქიმიური იარაღის მარაგის განადგურება უნდა დაწყებულიყო 1995 წლიდან. კონვენცია ძალაში შევიდა. საქართველომ აღნიშნულ კონვენციას ხელი მოაწერა პარიზში, 1993 წლის 14 იანვარს, ანუ მისი მიღებისთანავე, ხოლო რატიფიცირება მოახდინა 1995 წლის 19 ივნისს.[1]

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჟენევის ოქმი არ უკრძალავს სახელმწიფოებს ჩაატარონ ქიმიური იარაღის კვლევა, დამუშაე-

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი). თბ. 2003 წ. გვ. 375

ბა, წარმოება და დაგროვება. ამიტომ, აქტუალურია 1993 წლის 13 იანვრის კონვენცია, ასეთი იარაღის კვლევის, დამუშავების, წარმოების, დაგროვების აკრძალვისა და განადგურების შესახებ, რომელიც ძალაში 1997 წლის 29 აპრილს შევიდა მას შემდეგ, რაც უნგრეთში, 1996 წლის 31 ოქტომბერს, შესანახად გადასცეს სარატიფიკაციო სიგელი, რომელიც გახდა სამოცდამეხუთე. კონვენციას ხელი მოაწერა 170-ზე მეტმა სახელმწიფომ, ხოლო რატიფიცირება მოახდინა 120-მა სახელმწიფომ.

ამ კონვენციის მონაწილეები ვალდებულებას იღებენ, არასდროს, არანაირ ვითარებაში:

– არ დაამუშაონ, არ აწარმოონ, არ შეიძინონ სხვა სახით, არ დააგროვონ და არ შეინახონ ქიმიური იარაღი ან არ გადასცენ იგი პირდაპირ ან ირიბად ვინმეს;

– არ გამოიყენონ ქიმიური იარაღი;

– არ ჩაატარონ არავითარი სამხედრო მზადება ქიმიური იარაღის გამოსაყენებლად;

– არ დაეხმარონ, არ წაახალისონ ან არ წააქეზონ რაიმე სახით ვინმე ისეთი საქმიანობის საწარმოებლად, რომელიც ეკრძალება დასახელებული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს.

გარდა ამისა, ნებისმიერი, კონვენციის მონაწილე სახელმწიფო ვალდებულებას იღებს გაანადგუროს ქიმიური იარაღი, რომელიც იმყოფება მის საკუთრებაში ან მფლობელობაში ან რომელიც განლაგებულია მისი იურისდიქციის ამ კონტროლის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ადგილზე; მის მიერ სხვა მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე დატოვებული ყველა ქიმიური იარაღი, ქიმიური იარაღის მწარმოებელი ნებისმიერი ობიექტები, რომლებიც იმყოფებიან მის საკუთრებაში ან მფლობელობაში ან რომლებიც განლაგებულია მისი იურისდიქციის ან კონტროლის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ადგილზე.

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა ვალდებულება აიღეს, არ გამოიყენონ ქიმიური საშუალებები საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ, როგორც ომის წარმოების საშუალებები (მუხ. 1).

საერთაშორისო თანამეგობრობის მნიშვნელოვან წარმატებად უნდა ჩაითვალოს ამ თვალსაზრისით, 1995 წელს მიღებული ახალი დამატებითი ოქმი „დამაბრმავებელი ლაზ-

ერული იარაღის შესახებ“ (IV ოქმი) იმ კონვენციისადმი, რომელიც კრძალავს ჩვეულებრივი იარაღის ისეთ სახეებს, რომლებიც შეიძლება ჩაითვალონ გადამეტებული ზიანის მიმყენებლად ან განურჩეველი მოქმედების მქონედ (1980 წ). ამ ოქმის შესაბამისად, იკრძალება ლაზერული იარაღის გამოყენება ადამიანის დასაბრმავებლად, რომელიც არ სარგებლობს ოპტიკური ხელსაწყოებით, ე.ი. მხედველობის დაუცველი ორგანოებისა, ან რომლებიც იყენებენ მოწყობილობებს მხედველობის კორექტირებისათვის.

ლაზერული სისტემების გამოყენების წინააღმდეგ არსებული ოქმის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სიფრთხილის ყველა შესაძლო ზომა, რათა თავიდან იქნას აცილებული იმ ადამიანთა მუდმივი სიბრმავე, რომლებსაც იწვევენ ოპტიკური ხელსაწყოები. სიფრთხილის ზომები გულისხმობს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის სპეციალური მომზადების ჩატარებას და სხვა პრაქტიკულ ღონისძიებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი მძიმე შედეგები.

1996 წლის 22 აპრილიდან 3 მაისამდე ჩატარებულ კონფერენციაზე მონაწილე სახელმწიფოთა მიერ მიღებული იქნა ოქმი შესწორებებით, რომელიც შეიცავს „ნაღმების, მახე-ნაღმების და სხვა მოწყობილობების აკრძალვის ან გამოყენების შეზღუდვას 1996 წლის 3 მაისს შეტანილი შესწორებებით“. ახალი რედაქციით, მისი მოქმედების სფერო გაფართოებულია იმის შესახებ, რომ იგი ვრცელდება შიდა შეიარაღებულ კონფლიქტებზეც.

მე-3 ოქმში შეტანილია დებულება, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოებს (კონფლიქტის მხარეებს) ეკისრებათ პასუხისმგებლობა ყველა ნაღმის, მახე-ნაღმის და სხვა მოწყობილობების დაყენებისათვის, რომლებსაც ისინი იყენებენ. საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ, მხარეები ვალდებულნი არიან მოახდინონ დანაღმული ტერიტორიების განაღმვა, ნაღმებისა და მსგავსი მოწყობილობების ლიკვიდაცია, ან იქონიონ ისინი დოკუმენტით განპირობებულ მოთხოვნათა პირობებში. აკრძალულია ნებისმიერ ვითარებაში ნებისმიერი ნაღმის და მსგავსი მოწყობილობების გამოყენება, რომლებიც: 1) განკუთვნილი არიან იმისათვის, რომ მიაყენონ, ან შეუძლიათ მიაყენონ გადამეტებული ზიანი ან ზედმეტი ტანჯვა; 2) შეიცავს სპე-

ციალურად პროექტირებულ მექანიზმს და მოწყობილობას, რათა საბრძოლო მასალის აფეთქება მოხდეს ჩვეულებრივი ნაღმძებნის არსებობისას, მათი მაგნიტური ან სხვაგვარი უკონტაქტო ზეგავლენის შედეგად მათი აღმოჩენის მიზნით წარმოებული ოპერაციის პროცესში.

ამ დოკუმენტით აკრძალულია ყველა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი, რომლებიც აღმოჩენას არ ექვემდებარება (მუხ. 4). დადგენილია გარკვეული შეზღუდვები იმ ქვეითთასაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენებაზე, რომლებიც არ არიან დისტანციურად მართვადი. კერძოდ, აკრძალულია ისეთი ნაღმების გამოყენება, რომლებსაც არა აქვთ თვითმაგნიტირებისა და თვითაქტივაციის უნარი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი ყენდება მარკირებული პერიმეტრის რაიონში, რითაც უზრუნველყოფილია სამოქალაქო პირთა დაუშვებლობა ამ რაიონში; რაიონის განაღმვის განხორციელება მის დატოვებამდე, თუ ის არ გადადის სხვა სახელმწიფოს ჯარის ხელში, რომელიც საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას ამ რაიონის შემდეგი განაღმვისათვის (მუხ. 5).

იკრძალება დისტანციურად დასაყენებელი ქვეითთასაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენება, თუ ისინი არ შეესაბამება დებულებებს თვითგანადგურებისა და თვითდეაქტივაციის შესახებ. აგრეთვე, იმ დისტანციური არაქვეითთასაწინააღმდეგო ნაღმების, თუ ისინი არ არიან აღჭურვილნი თვითგანადგურების და თვითნეიტრალიზაციის ეფექტური მექანიზმით და არ გააჩნიათ თვითდეაქტივაციის სარეზერვო ელემენტი.

ნაღმების დისტანციური დაყენების ყველა ფაქტზე, რომელიც შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდეს სამოქალაქო მოსახლეობისათვის, წარმოებს დროული ეფექტური შეტყობინება (მუხ. 6). ოქმში პრინციპულად ახალია ის დებულებები, რომლებიც მის მონაწილეებს ავალდებულებს:

– არ გადასცენ არავითარი ნაღმი, რომლის გამოყენებაც აკრძალულია;

– არ გასცენ არავითარი ნაღმი არანაირ მიმღებს, გარდა სახელმწიფოსი ან სახელმწიფო დაწესებულებებისა, რომელიც საამისოდ არის უფლებამოსილ;

– გამოიჩინონ თავშეკავება ნებისმიერი ნაღმის გადაცემისას, რომლის გამოყენებაც შეზღუდულია;
– უზრუნველყონ, რომ გადაცემა ხორციელდებოდეს როგორც გადამცემი, ისე მიმღები სახელმწიფოს მიერ შესაბამისი დებულების სრული დაცვით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში გარკვეული წარმატებები იქნა მიღწეული, II ოქმის შესწორებებით მაინც ვერ იქნა უზრუნველყოფილი საყოველთაო სიმშვიდე საერთაშორისო თანამეგობრობაში.

ქვეითთასაწინააღმდეგო ნაღმების სრული აკრძალვის პრობლემის გადაწყვეტაში მორიგი ნაბიჯი იქნა გადადგმული 1997 წლის სექტემბერში შემდგარი საერთაშორისო კონფერენციის სახით, რომელშიც მსოფლიოს 89 სახელმწიფო და ბევრი სხვა ქვეყნის დამკვირვებელი მონაწილეობდა. მომზადდა კონვენციის ტექსტი ქვეითთასაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების, მარაგის დაგროვების, წარმოების, გადაცემის აკრძალვისა და განადგურების შესახებ, კონვენციის მონაწილეა 152 სახელმწიფო, რომელთაგან 62-მა დაასრულა ასეთი ნაღმების საკუთარი მარაგის ლიკვიდაცია, 48-მ ოფიციალურად იკისრა ვალდებულება, რომ არ იქონიებს მათ, ხოლო 11 იარაღის ამ სახის განადგურების პროცესში იმყოფება.

მონაწილე სახელმწიფოებმა ვალდებულება იკისრეს არასდროს და არავითარ გარემოებაში:
– არ გამოიყენონ ქვეითთასაწინააღმდეგო ნაღმები;
– არ დაუშვან, არ აწარმოონ, არ შეიძინონ სხვა სახით, არ დააგროვონ, არ შეინახონ და არავის გადასცენ პირდაპირ ან ირიბად ქვეითთასაწინააღმდეგო ნაღმები;
– არ დაეხმარონ, არ წაახალისონ და არ წააქეზონ სხვა სახით, ნებისმიერი ისეთი საქმიანობისათვის, რომელიც აკრძალულია მონაწილე ქვეყნებისათვის, ამ კონვენციის თანახმად. გარდა ამისა, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, გაანადგურონ ქვეითთასაწინააღმდეგო ნაღმების მთელი მარაგი ან უზრუნველყონ მათი განადგურება მიღებული დოკუმენტების დებულებათა შესაბამისად (კონვენციის მუხ. 1).

ამგვარად, XXI საუკუნის მიჯნაზე, სახელმწიფოებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს ომის წარმოების ახალი

ანტიპუმანური საშუალებების შეზღუდვისა და აკრძალვის საქმეში, რაც მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს სჰს-ის პროგრესულ განვითარებაში.

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით, აკრძალულია ქიმიური, ბიოლოგიური ან მასობრივი განადგურების სხვა იარაღის დამზადება. აკრძალვა ვრცელდება ქმედებისათვის იურიდიულ პირზეც, რაც დაფიქსირებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 406-ე მუხლში.[1]

§3. ბირთვული იარაღი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებისა და ნორმების შუქზე

ჰანს-პეტერ გასერი წერს: „დღეისათვის არ არსებობს ბირთვული იარაღის წარმოების, დაგროვებისა და გამოყენების რაიმე სპეციალური აკრძალვა, მაგრამ მიუხედავად ამისა, არსებობს რიგი კონვენციებისა, რომლებიც ბირთვული შეიარაღების გარკვეულ ასპექტებს არეგულირებენ," რის შესახებაც მსჯელობა უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება. ატომური ენერგიის მიღება XX საუკუნის მიღწევად ითვლება. ბირთვული იარაღის გამოყენების კანონიერების საკითხი საერთაშორისო სასამართლოს წინაშეც დადგა, როდესაც საკონსულტაციო დასკვნა გახდა საჭირო. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ სასამართლოს (WHC) მიმართა პირველად 1993 წლის 3 სექტემბერს. მანმადე, მთელი მსოფლიოს ხალხებმა გაიგეს ენერგიის ამ სახის სამხედრო მიზნებით გამოყენების უზარმაზარი საფრთხის შესახებ, ამერიკული თვითმფრინავების მიერ იაპონური ქალაქების – ხიროსიმასა და ნაგასაკის ატომური დაბომბვის შემდეგ, რასაც 105 ათასი ადამიანის სიკვდილი და 125 ათასის დაჭრა მოჰყვა, ასიათასობით კი დაავადდა.

სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეს არაჰუმანური აქტი არ იყო გამოწვეული რაიმე სამხედრო აუცილებლობით. ის მიმართული იყო მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ და უნდა გამოეხატა აშშ-ის სამხედრო

[1] საქაროველოს სისხლის სამართლის კოდექსი (2011 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით), თბ. 2011წ.გვ188-189

უპირატესობა სხვა ქვეყნებთან შედარებით. „ბომბის საბრძოლო შესაძლებლობის დემონსტრაცია, - წერდა ამერიკელი ისტორიკოსი ალპროვიტი წიგნში „ატომური დიპლომატია: ხიროსიმა და პოტსდამი," - საჭირო იყო იმისათვის, რომ აეძულებინათ რუსები, მიეღოთ ომისშემდგომი ამერიკული გეგმა და უწინარეს ყოვლისა, თავს მოეხვიათ მათთვის საკუთარი პოზიცია ძირითად სადავო საკითხებზე – ამერიკულ წინადადებებზე, რომლებიც ეხებოდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას."[1]

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ბირთვული იარაღი შეიძლება შევადაროთ მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარ მასობრივ დაბომბვებს; ამ დროს არ არსებობდა მსგავსი სახის საჰაერო თავდასხმების ამკრძალავი ხელშეკრულება. პირველი ოქმის (1977წელი) 48-60 მუხლები მეორე მსოფლიო ომის დროს რომ ყოფილიყო ძალაში, მრავალი დაბომბვის თავიდან აცილება იქნებოდა შესაძლებელი.[2] აღნიშნულმა განაპირობა იაპონიის პოზიცია, რომელიც გამოხატული იყო საგარეო საქმეთა მინისტრის პასუხით პარლამენტში გაკეთებულ შეკითხვაზე, „შამადის საქმის" მიმართ მთავრობის აზრთან დაკავშირებით, რაც ხიროსიმასა და ნაგასაკის ატომურ დაბომბვებს ეხებოდა. მასში ნათქვამი იყო, რომ „ატომური დაბომბვა უეჭველად წარმოადგენს ტრაგიკულ და დასანანთ ინციდენტს, მაგრამ წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით, მას არ შეუძლია მთელი გარკვეულობით განაცხადოს, რომ ეს დაბომბვა ითვლება საერთაშორისო სამართლის დარღვევად, რამდენადაც ამ საკითხზე არ ყოფილა საერთაშორისო სამართლის არავითარი პოზიტიური ნორმები". იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელშეკრულებო დეპარტამენტის დირექტორი ეხმაურება იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების უმრავლესობა იაპონიაში თვლის, რომ ხიროსიმასა და ნაგასაკის ატომური დაბომბვა უნდა იქნას დაგმობილი როგორც საერთაშორისო სამართლის დარღვევა, თუმცა შეუძლებელია საერთაშორისო სამართლის კონკრეტული ნორმის მოხმობა, რომელიც ამ შეფასებისათვის გამოდგებოდა.

---

[1] „პრავდა", 1983 წელი, 2 აგვისტო

[2] პ. მალანჩუკი, აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2005წ. გვ.378.

ინტერესს მოკლებული არ არის ის ფაქტი, რომ იაპონიის სასამართლომ, რომელმაც განიხილა შამიდისა და სხვა იაპონელ მოქალაქეთა საქმე, რომლებიც ატომური დაბომბვის შედეგად დაზარალდნენ, ბირთვული იარაღის გამოყენება მიიჩნია საერთაშორისო სამართლის დარღვევად. მართლაც, 1899 და 1907 წლების ჰააგის კონვენციებში არაფერია ნათქვამი და არც შეიძლება ყოფილიყო ნახსენები ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ, რომელიც მათი მიღებიდან თითქმის 50 წლის შემდეგ გამოჩნდა. მაგრამ ომის კანონებისა და წესების შესახებ არსებული დებულების XXV მუხლი ცალსახად აღნიშნავს, რომ „იკრძალება დაუცველი ქალაქების, სოფლების, საცხოვრებლებისა და ნაგებობების მიმართ შეტევისა და დაბომბვის განხორციელება, როგორი სახითაც უნდა იყოს ეს". ეს ნიშნავს ნებისმიერი საფრენი აპარატიდან (საჰაერო ბურთიდან, თვითმფრინავიდან) დაბომბვის აბსოლუტურ აკრძალვას ნებისმიერი საბრძოლო მასალით (ჭურვები, ნაღმები, ბომბები), ბუნებრივია, ბირთვულის ჩართვით, რომელსაც შეუდარებლად დიდი და ფართო დამაზიანებელი ფაქტორები აქვს მშვიდობიანი მოსახლეობისათვის, სამოქალაქო ობიექტებისათვის, გარემომცველი ბუნებისათვის, რაც მსოფლიომ ნახა ხიროსიმასა და ნაგასაკის მაგალითზე.

მკვლევართა ნაწილის აზრით, ამ თვალსაზრისით კრიტიკას ვერ უძლებდა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. სრულიად საწინააღმდეგოდ ჟღერს ამერიკული ავიაციის მოქმედების კვალიფიკაცია, რაც იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელშეკრულებო დეპარტამენტის დირექტორმა გააკეთა, როდესაც განაცხადა, რომ იაპონური ქალაქების ბირთვული დაბომბვა უნდა იყოს განხილული როგორც საერთაშორისო სამართლის დარღვევა, მაგრამ ამავე დროს ამტკიცებს, რომ არ არის საერთაშორისო სამართლის კონკრეტული ნორმა, რომლითაც აკრძალული იქნებოდა გარედან დაბომბვა. ამასთან, აშკარადაა მხედველობიდან გამორჩენილი ომის კანონებისა და წესების შესახებ არსებული დებულების შესაბამისი მუხლები. აქვე შეიძლება მოვიშველიოთ კანონისა და სამართლის ანალოგიის პრინციპი, როდესაც

საქმე ეხება სამართლის ნორმებით მოუწესრიგებელ გარემოებას.

1961 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ბირთვული იარაღის გამოყენებას უკანონოდ აცხადებდა. რეზოლუციას მხარი დაუჭირა 55-მა სახელმწიფომ (უმეტესად კომუნისტურმა და მესამე იარუსის სახელმწიფოებმა). წინააღმდეგი იყო 20 სახელმწიფო (უმეტესად დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები). თავი შეიკავა 26-მა სახელმწიფომ (ლათინური ამერიკის ქვეყნები). კომუნისტურ და დასავლურ ბანაკებს შორის არსებული უთანხმოება გამოწვეული იყო ევროპაში საბჭოთა კავშირის სიძლიერით, რომელიც კონვენციური (არაბირთვული) იარაღის არსებობას ეფუძნებოდა. დასავლეთის ქვეყნები (აღმოსავლეთ ევროპიდან წითელი არმიის გასვლამდე) იძულებული გახდებოდნენ, გამოეყენებინათ ბირთვული იარაღი დასავლეთ ევროპის საბჭოური ჯარების ინტერვენციისაგან დასაცავად. ამის გამო დასავლური ქვეყნები ამტკიცებდნენ, რომ ბირთვული იარაღის გამოყენება არ ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო საჯარო სამართლის ნორმებს. საბჭოთა კავშირმა კი შეძლო მესამე მსოფლიოს ქვეყნების კეთილი ნების მოპოვება; ის მხარს უჭერდა მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, ბირთვული იარაღის გამოყენება მოუწევდა; თუკი დასავლური სახელმწიფოები მას პირველნი გამოიყენებდნენ, საბჭოთა კავშირს საშუალება მიეცემოდა, თავისი საპასუხო ქმედება (ბირთვული იარაღის გამოყენება) რეპრესალიად გამოეცხადებინა.[1]

რუსი მკვლევარების ნაშრომებში მითითებულია, რომ 1961 წლის ივნისში საბჭოთა კავშირი გაეროში გამოვიდა კონკრეტული წინადადებებით, რომლებიც მიმართული იყო ბირთვული იარაღის კანონგარეშედ გამოცხადებისაკენ; მან შეიტანა კონვენციის პროექტი იმ იარაღის წარმოებისა და აკრძალვის შესახებ, რომელიც ემყარებოდა ატომური ენერგიის გამოყენებას მასობრივი განადგურების მიზნით. პროექტის ძირითადი შინაარსი იყო მისი წარმოების შეწყვეტა და მთელი მარაგის განადგურება სამოცდაან ვადაში.

---

[1] პიტერ მალანჩუკი. დას. ნაშრ. გვ. 374

ამ ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს დასავლეთის სახელმწიფოებმა. უფრო მეტიც, ამერიკელმა წარმომადგენელმა გაეროს გენერალური ასამბლეის XXVI სესიაზე (1961 წ) უარყო მტკიცება, რომ ბირთვული იარაღის გამოყენება ეწინააღმდეგება გაეროს წესებსა და საერთაშორისო სამართალს. იმ დროის აშშ-ის სამხედრო პოლიტიკამ ბირთვული იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით ასახვა ჰპოვა სახმელეთო ომების წესებში და ამერიკული სამხედრო-საზღვაო ძალების ინსტრუქციაში. ამ უკანასკნელში აღნიშნულია, რომ დღეისთვის (1961 წ.) არ არსებობს საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომლებიც აუკრძალავდნენ სახელმწიფოებს, გამოიყენონ ატომური იარაღი ომის პერიოდში. ასეთი იარაღის აშკარა აკრძალვის არარსებობის პირობებში, მავანს და მავანს დასაშვებად მიაჩნია მისი გამოყენება მტრის კომბატანტებისა და სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ.

1963 წლის 5 აგვისტოს მოსკოვში ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყალქვეშ ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ. ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შევიდა 1963 წლის 10 ოქტომბერს, კრძალავს ამ სამ სფეროში ყოველგვარ ბირთვულ აფეთქებას. იკრძალება აგრეთვე ისეთი ბირთვული იარაღის გამოცდა, რომლებიც საჭიროებს სპეციალური ხელშეკრულების დადებას, რაც მოსკოვის ხელშეკრულების დანამატად ჩაითვლება, ან ახალი საყოველთაო ხელშეკრულების დადებას მოითხოვს, რომლის შემადგენელ ნაწილად მოსკოვის ხელშეკრულება იქცევა.

1974 წელს, დაიდო სსრკ-აშშ-ს ხელშეკრულება მიწისქვეშ ბირთვული იარაღის გამოცდის შეზღუდვის შესახებ. 1976 წელს დაიდო მეორე მნიშვნელოვანი აქტი – ხელშეკრულება მშვიდობიანი მიზნებისათვის მიწისქვეშ ბირთვული აფეთქებების შესახებ.[1]

დასავლეთის მთელი რიგი ქვეყნების სამხედრო სამართლებრივი ნორმები დასაშვებად მიიჩნევენ ბირთვული იარაღის გამოყენებას გარკვეულ გარემოებებში.

---

[1] ლ. ალექსიძე, ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2010წ. გვ. 339.

მაგალითად, გერმანიის წესდებაში აღნიშნულია: „ბირთვული იარაღის გამოყენება, რომელიც ნებისმიერ სხვა შემთხვევაში აკრძალულია საერთაშორისო სამართლით, დასაშვებია როგორც რეპრესალია დამრღვევის წინააღმდეგ“.

რუსი სპეციალისტების აზრით, რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინა ბირთვულ იარაღს განიხილავს, როგორც აგრესიის შემაკავებელ და ქვეყნისა და მისი მოკავშირეების უსაფრთხოების, აგრეთვე, მშვიდობის საერთაშორისო სტაბილურობის შენარჩუნების ფაქტორს. ამ დოქტრინის თანახმად, იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ მისი და მისი მოკავშირეების მიმართ ბირთვული იარაღისა და მასობრივი განადგურების იარაღის სხვა სახეების გამოყენების საპასუხოდ. აგრეთვე, ჩვეულებრივი იარაღის სრულმასშტაბიანი აგრესიის საპასუხოდ, რომელიც გამოიყენება ქვეყნის ნაციონალური უსაფრთხოებისათვის კრიტიკულ სიტუაციებში. 2008 წლის აგვისტოს ომმა საპირისპირო დაამტკიცა – რუსული სამხედრო მანქანა მზადაა არაადექვატური ძალებისა და იარაღის გამოყენებისათვის.

ბირთვული იარაღის გამოყენებამ კარდინალურად იმოქმედა სამხედრო ხელოვნების განვითარებაზე იმის გამო, რომ იგი წარმოადგენს ომის წარმოების განსაკუთრებულად მძლავრ და დამანგრეველ საშუალებებს. მისმა მიღებამ მრავალი ქვეყნის შეიარაღებაში მსოფლიო თანასაზოგადოების შეშფოთება გამოიწვია. დადგა ამასთან დაკავშირებული მთელი რიგი საერთაშორისო სამართლებრივი პრობლემების მოწესრიგების აუცილებლობა. ბუნებრივია, გაჩნდა მოსაზრება და მისი განხორციელების აუცილებლობა, რათა ბირთვული იარაღის გამოყენებაზე დაწესდეს ჯს-ის ნორმების გავრცელება.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ საერთაშორისო სამართალში დააყენა მოთხოვნა ბირთვული იარაღის გამოყენების ან მისი გამოყენების მუქარის მართლზომიერების შესახებ. ჰააგელმა მოსამართლეებმა დაწვრილებით შეისწავლეს ეს საკითხი და მივიდნენ დასკვნამდე, რომ არ არსებობს არცერთი საერთაშორისო სამართლის აღიარებული ნორმა, რომელიც პირდაპირ აკრძალავდა ნებისმიერ გარემოებებში ბირთვული იარაღის გამოყენებას ან მისი გამოყენების მუქარას შეიარაღებული კონ-

ფლიქტის პროცესში. სასამართლომ ერთპიროვნულად დაადასტურა, რომ ბირთვული იარაღის გამოყენების ნებისმიერი შემთხვევა ექცევა სპს-ის ნორმებისა და მოთხოვნების მოქმედების ქვეშ. აქედან გამოდის, რომ, თუმცა საერთაშორისო თანამეგობრობამ ჯერჯერობით ვერ შეიმუშავა ბირთვული იარაღის გამოყენების ფორმალური აკრძალვა, ტექნიკური მახასიათებლებით, დამაზიანებელი ფაქტორებით, გამოყენების შემთხვევაში შედეგებით, იგი ექცევა სპს-ში არსებულ შეზღუდვებში.

როგორც უკვე ითქვა, სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე აღნიშნულია, რომ საერთაშორისო სამართალში არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული ნორმა, რომელიც აკრძალავდა ბირთვული იარაღის გამოყენებას. ცნობილია მხოლოდ რიგი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებისა, რომლებიც მიმართულია მისი რაოდენობისა და შემდგომში, მისი ხარისხობრივი გაუმჯობესების შეზღუდვისაკენ და გავრცელების სფეროს შემცირებისაკენ.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ რამდენჯერმე მიიღო დეკლარაცია, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ბირთვული იარაღის გამოყენების აკრძალვა, ასეთებია 1961 წლის 24 ნოემბრის დეკლარაცია ბირთვული და თერმობირთვული იარაღის გამოყენების შესახებ, 1972 წლის 29 ნოემბრის დეკლარაცია საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობისა და ბირთვული იარაღის გამოყენების სამარადისოდ აკრძალვის შესახებ. მაგრამ, როგორც უკვე წინა თავებიდან ვიცით, გაეროს გენერალური ასამბლეას რეზოლუციებს მხოლოდ რეკომენდაციის ძალა გააჩნიათ.

გენერალურმა ასამბლემამ თავის XXXVIII სესიაზე მიიღო რეზოლუცია ბირთვული იარაღის დაგმობის შესახებ. დეკლარაცია გმობს არა მარტო ბირთვულ ომს, როგორც ხალხთა წინააღმდეგ ყველაზე საშინელ დანაშაულს, არამედ უფრო შორსაც მიდის და გმობს ისეთი პოლიტიკური და სამხედრო დოქტრინებისა და კონცეფციების შემუშავებას, წამოყენებას, გაგრძელებასა და პროპაგანდას, რომლებიც ამართლებენ ბირთვული

იარაღის პირველად გამოყენების „მართლზომიერებას", ასეთი ომის გაჩაღებას და სხვ.[1]

იმ ხელშეკრულებების დადების პრაქტიკა, რომლებიც მასობრივი განადგურების იარაღის (ქიმიური, ბაქტერიოლოგიური) გამოყენებას კანონგარეშე აყენებენ, ადასტურებს იმ თეზისის სარგებლიანობას, ბირთვული იარაღის, როგორც მისი წარმოების საშუალებების სრული აკრძალვის შესახებ სპეციალური ხელშეკრულების შემუშავების აუცილებლობას რომ გულისხმობს.

გენერალურმა ასამბლეამ, თავის XXXIX და XL (1983-1984 წ.წ.) სესიებზე, კიდევ ერთხელ მოუწოდა ბირთვულ სახელმწიფოებს, პირველებმა განაცხადონ უარი ბირთვული იარაღის გამოყენებაზე, მიმართა განიარაღების კონფერენციას, განიხილოს საბჭოთა ინიციატივა ამ საკითხზე საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტის შემუშავების მიზნით, მხარი დაუჭირა დელის დეკლარაციას, რომელიც მიიღეს არგენტინამ, საბერძნეთმა, ინდოეთმა, მექსიკამ, ტანზანიამ და შვეციამ 1984 წლის 4 მაისს და მოუწოდა ყველა ბირთვულ ქვეყანას, გაყინოს ბირთვული შეიარაღება გლობალური მასშტაბით.[2]

I დამატებითი ოქმის 36-ე მუხლით „იარაღის ახალი სახეები" – შეიცავს დებულებას იმის შესახებ, რომ იარაღის ახალი სახეების შექმნის, დამუშავების, შეძენის ან შეიარაღებაში მიღების წესები მხარეებმა უნდა განსაზღვრონ, ხვდება თუ არა მათი გამოყენების შესაძლებლობა იმ აკრძალვის ქვეშ, რომელიც ასახულია I ოქმში ან სჰს-ის რომელიმე სხვა დოკუმენტში. ამგვარად, გასული საუკუნის მეორე ნახევარში დადგენილი იქნა აკრძალვები ომის წარმოების მრავალ მეთოდსა და საშუალებაზე.

ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოები ცდილობენ, მაქსიმალურად გამორიცხონ ბირთვული იარაღის შეცდომით ან უნებლიედ გამოყენების შესაძლებლობა, ღებულობენ ვალდებულებებს, არ შექმნან ისეთი სიტუაცია, რომელმაც შეიძლება

---

[1] ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2010. გვ. 338.

[2] იქვე, გვ. 339.

აიძულოს მეორე მხარე, გამოიყენოს ბირთვული იარაღი[1], რაც კაცობრიობის ყოფნა-არყოფნის საკითხს დააყენებს.

ამ მიზანს ემსახურება 1974 წელს დიპლომატიური კონფერენციის ორი დამატებითი ოქმის პროექტის შემუშავება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია I ოქმი, რომლის ტექსტი, მართალია, ბირთვულ იარაღს არ ახსენებს, მაგრამ 51-ე და 53-ე მუხლებით, ის განურჩეველი შეტევების განხორციელებისა და ჭარბი ტანჯვის გამომწვევი იარაღის გამოყენების აკრძალვის კოდიფიკაციას ახდენს. ჰანს-პეტერ გასერი თვლის, რომ „დიპლომატიურ კონფერენციას არ სურდა შეხებოდა ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენების სამართლებრივ წესებს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, I ოქმს არ შეუცვლია ამ საკითხთან დაკავშირებით მანამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობა."[2] მეორედ კი, გენერალურმა ასამბლეამ 1996 წლის 6 იანვარს, რადგან კითხვის ქვეშ დადგა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიმართვის უფლების არსებობის თაობაზე საერთაშორისო სასამართლოსათვის სახელმწიფოთა მიერ შეიარაღებული კონფლიქტების დროს ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ, საქმეში ჩაერთო გაეროს გენერალური ასამბლეა, რადგან ის უფლებამოსილია, მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს ნებისმიერ საკითხზე. ეს თხოვნა უფრო ადრე აისახა გენერალური ასამბლეის მიერ 1994 წლის 15 დეკემბერს მიღებულ რეზოლუციაში (49/75K), რომელშიც გენერალური ასამბლეა დაეყრდნო გაეროს წესდების 96-ე მუხლს და მიმართა საერთაშორისო სასამართლოს, რაც შეიძლება სწრაფად მიეღო საკონსულტაციო დასკვნა შემდეგ საკითხზე: „არის თუ არა ბირთვული იარაღის მუქარა ან გამოყენება საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგო ქმედება ყველა არსებულ შემთხვევაში?"

ეს პროცესი საკმაოდ საყურადღებოა, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების საერთო ძალისხმევით, შესაძლებელი გახდა ბირთვული სახელმწიფოების უკანდახევა. საერთაშორისო სასამართლომ მიიღო მილიონი კა-

---

[1] ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2010. გვ. 341

[2] ჰანს-პეტერ გასერი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (შესავალი), თბ. 1999წ. გვ.128.

ცის მიერ ხელმოწერილი პეტიცია ბირთვული იარაღის გამოყენების უკანონობის შესახებ (inter alia) მარტენსის წესებზე დაყრდნობით. 1995 წლის 30 ოქტომბერს, მშვიდობის სასახლეში გაიმართა საჯარო მოსმენა, რომელიც 15 ნოემბრამდე გაგრძელდა. მოსმენისას, 21 სახელმწიფოსა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლები ბირთვული იარაღის გამოყენების წინააღმდეგ გამოვიდნენ. მათ შორის იყვნენ ქალაქების – ჰიროსიმასა და ნაგასაკის მერები. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართალი კატეგორიულად ზღუდავს ბირთვული იარაღის გამოყენებას.

თავი XI

ნეიტრალიტეტის პრობლემა და სახელმწიფოთა ინტერესების დაცვა

§1. ნეიტრალიტეტის ცნება

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი იცნობს მიუმხრობლობის მოძრაობას, რომელიც ასზე მეტ სახელმწიფოს აერთიანებს და იგი ძირითადად მეორე მსოფლიო ომის შემგომ პერიოდში შეიქმნა. საერთაშორისო სამართლის ნორმები მას განასხვავებს ნეიტრალიტეტისაგან. როდესაც სახელმწიფო აცხადებს ნეიტრალიტეტს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არ მონაწილეობს სხვა სახელმწიფოთა შორის არსებულ კონფლიქტში. ნეიტრალიტეტის უფლების დებულებები განეკუთვნება განსაკუთრებულ უფლებებს და მოვალეობებს, რომლებიც ახასიათებს ურთიერთობებს მეომარ სახელმწიფოსა და ნეიტრალურ სახელმწიფოს შორის.[1]

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ომს ცვლილებები შეაქვს არა მარტო მეომარ სახელმწიფოთა ურთიერთობაში, არამედ იმათ შორისაც, რომლებიც ომს არ აწარმოებენ და მასში არ მონაწილეობენ, ე.ი. ინარჩუნებენ ნეიტრალიტეტს.

ზოგადად, ნეიტრალიტეტი – ეს არის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა, რომელიც გამორიცხავს მის მონაწილეობას სხვა სახელმწიფოთა ომში და დახმარების გაწევას მეომარი სახელმწიფოებისათვის.

ე.ი. ნეიტრალიტეტი – მუდმივი ნეიტრალიტეტისაგან განსხვავებით, წარმოადგენს დროებით სტატუსს, რომელიც დაკავშირებულია სხვა სახელმწიფოებს შორის წარმოებულ საომარ მოქმედებებთან. სახელმწიფო, რომელსაც არ სურს ომში მონაწილეობა, ოფიციალურად ატყობინებს მეომარ მხარეს და სხვა ქვეყნებს თავის ამ სტატუსს. იგი განისაზღვრება ჰააგის

---

[1] Rudolf I. Bindschedler „Neitrality, Concptand General Rules", in Bernhardt (ed), Encyclopedia of Public interenational Law, Vol, 1982 p.p. 9-14

1899 და 1907 წლების კონვენციებით „სახმელეთო ომის შემთხვევაში ნეიტრალური სახელმწიფოებისა და პირების უფლებათა და მოვალეობათა შესახებ" და „საზღვაო ომის შემთხვევაში, ნეიტრალური სახელმწიფოების უფლებათა და მოვალეობათა შესახებ".[1]

ამ შემთხვევაში ლაპარაკია სახელმწიფოს ნეიტრალიტეტზე, რომელიც ეხება განსაზღვრულ ომს. მას ასევე უწოდებენ დროებით ნეიტრალიტეტს. იგი უნდა განვასხვავოთ მუდმივი ნეიტრალიტეტისაგან, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივ სტატუსს, რომლის შესაბამისადაც ის ვალდებულია, ომის შემთხვევაში არ ჩაებას მასში რომელიმე მეომარი სახელმწიფოს მხარეზე და არ აღმოუჩინოს მეომარ მხარეებს უშუალო სამხედრო დახმარება.[2]

ნეიტრალური სახელმწიფო – სახელმწიფო, რომელიც თავს იკავებს ომში ჩარევისაგან. ნეიტრალიტეტი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ომის პირობებში ძირითადად ერთსა და იმავე უფლებამოვალებებს აკისრებს ამ სტატუსის მქონე სახელმწიფოს: არ დაიშვება ნეიტრალური ქვეყნის ტერიტორიის გამოყენება სამხედრო მოქმედების ან მისი დამხმარე ოპერაციებისათვის (მაგ. შეიარაღებული ძალების, პროვიანტის, ტექნიკის გატარებისათვის, სატელეგრაფო და კავშირგაბმულობის სხვა საშუალებათა საჭიროებისათვის). ნეიტრალურ სახელმწიფოს უფლება არა აქვს გადასცეს მეომარ მხარეს იარაღი, სამხედრო გემები, სურსათ-სანოვაგე, გადაიყვანოს მტრის შეიარაღებული ძალები. ნეიტრალური სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამხედრო ნაწილების შემოსვლის შემთხვევაში, ისინი განიარაღებული და ინტერნირებული უნდა იქნენ და ომის დამთავრებამდე მოთავსდნენ დროებით სპეციალურ ბანაკებში. ფიზიკური პირები, რომლებიც ნეიტრალურ სახელმწიფოს ეკუთვნიან და მოხალისეებად შედიან მეომართა შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში, კარგავენ თავის ნეიტრალურ სტა-

---

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, (ლექსიკონი-ცნობარი). თბ.2003წ. გვ206

[2] Rudolf I. Bindschedler „Neitrality, Concptand General Rules", in Bernhardt (ed), Encyclopedia of Public interenational Law, Vol, 1982.

ტუსს, ხოლო მათ სახელმწიფოს არ შეიძლება ამაში ბრალი დაედოს.

ერთადერთი, რაც შეუძლია ნეიტრალურ სახელმწიფოს მოიმოქმედოს და რის გაკეთებაც მის მოვალობას შეადგენს, არის მოხალისეთა გატარება თავის ტერიტორიაზე.[1]

მუდმივ ნეიტრალიტეტს ინარჩუნებენ ავსტრია (1955 წ.), ვატიკანი (1929 წ.), კამბოჯა (1991 წ.), ლაოსი (1962 წ), მალტა (1981 წ.), სან-მარინო (1939 წ.), თურქმენეთი (1995 წ.), შვეიცარია (1815 წ.).

სახელმწიფოები, რომლებიც დროებით ნეიტრალიტეტს ინარჩუნებენ და ამის შესახებ, როგორც წესი, აცხადებენ დეკლარაციაში, ვალდებულნი არიან დაიცვან გარკვეული წესები, რომლის შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი. მაგრამ მუდმივი ნეიტრალიტეტის მქონე ქვეყნებისაგან განსხვავებით, მათ დაკისრებული აქვთ ვალდებულება, რომ შეასრულონ გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებები აგრესიის წინააღმდეგ სამხედრო აქციებში მათ ჩაბმასთან დაკავშირებით. ამ ქვეყნებს უფლება აქვთ, უარი თქვან ნეიტრალიტეტზე, ამასთან, ასეთ უარს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ აგრესიის მსხვერპლის და მის მხარეზე გამოსული გაეროს სასარგებლოდ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, აგრესიის სასარგებლოდ.

§2. სახელმწიფოთა ვალდებულებები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა შესასრულებლად

სახელმწიფოთა მიერ ჰუმანიტარული ნორმების შესრულების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი — ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება. I და II კონვენციებს, შესაბამისად, IX-XIII თავებს ეწოდება „ბოროტად გამოყენების და დარღვევათა აღკვეთა“. ამ თავების მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოებმა იკისრეს შემდეგი ვალდებულებები:

---

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, (ლექსიკონი-ცნობარი), თბ. 2003წ. გვ.206.

– სამოქმედოდ შემოიღონ იმ პირთა ეფექტური სისხლის სამართლებრივი დასჯის უზრუნველსაყოფად აუცილებელი კანონმდებლობა, რომლებმაც ჩაიდინეს ან უბრძანეს ამ კონვენციის ამა თუ იმ სერიოზული დარღვევის ჩადენა;
– დაძებნონ ის პირები, რომელთაც ბრალი ედებათ იმაში, რომ ჩაიდინეს ან უბრძანეს ამა თუ იმ სერიოზული დარღვევის ჩადენა და მოქალაქეობის მიუხედავად, გადასცენ თავიანთ სასამართლოს:
– გადასცეს სჰს-ის ნორმათა დარღვევის ჩამდენი პირები, ნაციონალური კანონმდებლობის დებულებათა შესაბამისად მეორე დაინტერესებული მხარის სასამართლოს, თუ არის საფუძველი ამ პირთა ბრალდებისათვის;
– განახორციელოს აუცილებელი ზომები ყველა იმ სხვაგვარი ქმედების აღკვეთისათვის, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კონვენციის დებულებებს.

I ოქმში ლაპარაკია იმაზე, რომ „მაღალი მომლაპარაკებელი მხარეები და კონფლიქტში მყოფი მხარეები დაუყოვნებლივ ახორციელებენ ყველა ღონისძიებას იმ ვალდებულებათა შესასრულებლად, რასაც მათ კონვენციები და ოქმი აკისრებენ. ასევე, რომ „მაღალი მომლაპარაკებელი მხარეები და კონფლიქტში მყოფი მხარეები გასცემენ ბრძანებებსა და განკარგულებებს კონვენციებისა და ოქმის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით და ახორციელებენ კონტროლს მათ შესრულებაზე“ (მუხ. 80).

სჰს-ის ნორმათა დაცვის აუცილებლობამ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მიერ, ცოდნის გავრცელებამ მის შესახებ სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო მოსახლეობას შორის ასახვა ჰპოვა ქცევის კოდექსში, რომელიც ეხება უსაფრთხოების სამხედრო პოლიტიკურ ასპექტებს (პ. 29-31, 34), რაც ითვლება ბუდაპეშტის უმაღლესი დონის შეხვედრის (1994 წ.) დეკლარაციის განუყოფელ ნაწილად.[1]

ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის დამუშავების, წარმოების და მარაგის დაგროვების აკრძალვისა

[1] მოქმედი საერთაშორისო სასამართლო. ტ.2. მ. 2002 წ. გვ. 250-253 (რუს. ენაზე)

და მათი განადგურების შესახებ არსებული კონვენციის (1972 წ.) მონაწილე სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება, თავიანთი საკონსტიტუციო პროცედურებით მიიღონ აუცილებელი ზომები I კონვენციაში მითითებული აგენტების, ტოქსინების, იარაღის, აღჭურვილობის და მიწოდების საშუალებების დამუშავების, წარმოების, დაგროვების, შეძენის ან შენახვის აკრძალვის და თავიდან აცილების მიზნით ასეთი სახელმწიფოს ფარგლებში, მისი იურისდიქციის ან მისი კონტროლის ქვეშ (მუხ. IV).

ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ არსებული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა კონვენციის დებულებების შესრულების მიზნით დააარსეს ქიმიური იარაღის ამკრძალავი ორგანიზაცია. ამასთან, ყოველი მონაწილე სახელმწიფო, არა უგვიანეს 30 დღისა მას შემდეგ, რაც ქიმიური იარაღის შესახებ არსებული კონვენცია შევა მისთვის ძალაში, დასახელებულ ორგანიზაციას წარუდგენს ინფორმაციას, რომლის ტიპური შინაარსიც მოყვანილ პარამეტრებს შეესაბამება.

I. ქიმიური იარაღის მიმართ:

– მონაწილეები იმის შესახებ, მას აქვს თუ არა საკუთრებაში ან მფლობელობაში რაიმე ქიმიური იარაღი, განლაგებული მისი იურისდიქციის ან კონტროლის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ადგილზე;
– მიუთითებს ქიმიური იარაღის ზუსტ ადგილსამყოფელს, რაოდენობას და დაწვრილებით საინვენტარო შემადგენლობას;
– აცნობებს მის ტერიტორიაზე შენახული ნებისმიერი ქიმიური იარაღის შესახებ, რომელიც სხვა სახელმწიფოს საკუთრებაში ან მფლობელობაშია და განლაგებულია სხვა სახელმწიფოს იურისდიქციის და კონტროლის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ადგილზე;
– აცხადებს, გადასცა ან მიიღო თუ რა მან პირდაპირ ან ირიბად რაიმე ქიმიური იარაღი 1946 წლის 1 იანვრიდან და მიუთითებს ამის შესახებ კონვენციის დამატების შესაბამისად;
– წარმოადგენს იმ ქიმიური იარაღის განადგურების გეგმას, რომელიც იმყოფება მის საკუთრებაში ან მფლობელობაში, ან განლაგებულია მისი იურისდიქციის ან კონტროლის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ადგილზე.

2. ძველი ქიმიური იარაღის[1] და მიტოვებული ქიმიური იარაღის[2] მიმართ;

– აცხადებს, აქვს თუ არა თავის ტერიტორიაზე ძველი ქიმიური იარაღი და წარადგენს მთელ ინფორმაციას მის შესახებ;

– აცნობებს, არსებობს თუ არა მის ტერიტორიაზე დატოვებული ქიმიური იარაღი და წარმოადგენს ყველა არსებულ მონაცემს მის შესახებ;

– წარმოადგენს მონაცემებს იმის შესახებ, დატოვა თუ არა მან ქიმიური იარაღი სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე და აწვდის ამის შესახებ მთელ არსებულ ინფორმაციას.

გარდა ამისა, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ორგანიზაციაში წარადგენენ მონაცემებს, რომლებიც ეხება ქიმიური იარაღის მწარმოებელ ობიექტებს. ინფორმაციას უწესრიგობასთან ბრძოლის ქიმიური საშუალებების შესახებ. ისინი ვალდებული არიან, წარმოადგინონ ქიმიური იარაღის განადგურების დაწვრილებითი გეგმა, არა უგვიანეს 60 დღისა, განადგურების ყოველი წლიური პერიოდის დაწყებამდე და გააკეთონ ყოველწლიური განცხადებები ქიმიური იარაღის განადგურების საკუთარი გეგმის შესახებ და სხვა.

ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ არსებულ კონვენციაში მოცემულია დებულებები, რომლებიც ეხება მისი რეალიზაციის ნაციონალურ ღონისძიებებს. ყოველი სახელმწიფო საკუთარი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად იღებს აუცილებელ ზომებს თავის ვალდებულებათა შესასრულებლად;

– უკრძალავს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც იმყოფებიან მის ტერიტორიაზე ან მის იურისდიქციაში მყოფ ნებისმიერ ადგილზე, ჩაატარონ ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ეკრძალება კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს, აგრეთვე,

---

[1] ექსპერტთა დასკვნებით, „ძველი ქიმიური იარაღი" - ეს არის 1925 წლამდე ან 1925-დან 1996 წლამდე წარმოებული ქიმიური იარაღი, რომელიც უვარგისი გახდა იმ დონემდე, რომ მისი, როგორც ქიმიური იარაღის გამოყენება, შეუძლებელია.

[2] ქიმიური იარაღი, რომელიც 1925 წლის 1 იანვრის შემდეგ იქნა დატოვებული სახელმწიფოს მიერ, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი თანხმობის გარეშე.

ღებულობს სისხლის სამართლის ნორმებს ამ საქმიანობასთან დაკავშირებით;
– არ აძლევს ნებართვას, რომ მისი კონტროლის ქვეშ არსებულ ნებისმიერ ადგილზე განხორციელდეს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებისათვის აკრძალული ყოველგვარი საქმიანობა;
– ავრცელებს საკუთარი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მოქმედებას კონვენციით აკრძალულ ნებისმიერ საქმიანობაზე, რომელიც ტარდება ნებისმიერ ადგილას მისი მოქალაქეობის მქონე ფიზიკური პირების მიერ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

ამ და სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სჰს-ის ვალდებულებათა დაცვა ნიშნავს სხვადასხვაგვარი ღონისძიებების განხორციელებას შიდასახელმწიფოებრივ დონეზე და საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში მშვიდობიანობის დროს და შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში:
– იმ კანონების და კანონქვემდებარე აქტების მოქმედებაში მოყვანა, რომლებიც მიმართულია სჰს-ის ნორმების დარღვევის თავიდან აცილებისა და აღკვეთისაკენ;
– ცოდნის გავრცელება სჰს-ის შესახებ;
– საორგანიზაციო ხასიათის ღონისძიებების ჩატარება.

ამ მიზნებიდან გამომდინარე, არ უნდა ხდებოდეს სამხედრო ობიექტების განლაგება მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში ან მათ სიახლოვეს და მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული ყველა შესაძლო ღონისძიება სამოქალაქო მოსახლეობის დაცვისათვის (I დამატებითი ოქმის 58-ე მუხლი);
– აუცილებელია მუშაობა კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მოსამზადებლად ჟენევის კონვენციების, დამატებითი ოქმებისა და სჰს-ის სხვა დოკუმენტების გამოყენებაში ხელშეწყობის მიზნით (I დამატებითი ოქმი, მუხ. 6);
– სამედიცინო დანაყოფების, ნაწილებისა და დაწესებულებების ისეთი განლაგების ორგანიზაციის გათვალისწინება, რომლის დროსაც მათი უსაფრთხოება არ დადგება მუქარის ქვეშ სამხედრო ობიექტებზე თავდასხმის დროს (I დამატებითი ოქმის მუხ.12, პ.4);

– უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძებნის, რეგისტრაციისა და ცნობების გადაცემისათვის ღონისძიებათა სისტემის გათვალისწინება (I დამატებითი ოქმის 33-ე და 34-ე მუხლები);
– ღონისძიებათა დაგეგმვა არმიისა და ფლოტის სანიტარული პერსონალისა და სამოქალაქო თავდაცვის პერსონალის განმასხვავებელი ემბლემებითა და ნიშნებით უზრუნველსაყოფად (I დამატებითი ოქმის მუხ. 18);
– ღონისძიებათა გათვალისწინება იურიდიული მრჩევლების მუშაობის ორგანიზაციისათვის, იმ სათანადო დოკუმენტებით, შიდა კანონმდებლობის ნორმატიული აქტებით უზრუნველყოფა, რომლებიც ეხება ომის წარმოების წესების დაცვას (I დამატებითი ოქმის მუხ. 82);
– დაცული ადგილების, სანიტარული, ნეიტრალიზებული, აგრეთვე, დემილიტარიზებული ზონების ფარგლების განსაზღვრა (I კონვენციის 23-ე მუხლი. I ოქმის 59–ე და მე-60 მუხ.);
– ცნობათა ეროვნული ბიუროს შექმნა და მისი საქმიანობის ამოცანების განსაზღვრა (III კონვენციის 192-ე მუხ. IV კონვენციის 137-ე მუხ.) და სხვა.

სამართლებრივი თვალსაზრისით, ვალდებულებებისადმი სახელმწიფოთა დამოკიდებულების გნოსეოლოგიური ფესვები ძველი რომის სამხედრო სამართალში უნდა ვეძებოთ.

§3. ნეიტრალიტეტი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ომში

რამდენადაც საომარი მოქმედებები და ოპერაციები მიმდინარეობს ერთდროულად და ცალ-ცალკე სხვადასხვა სახეობის შეიარაღებული ძალებისა და სივრცის ფარგლებში, განასხვავებენ ნეიტრალიტეტს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ომში. ძირითადი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები, რომლებიც სახელმწიფოებისა და მეომარი მხარეების უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავენ, არის შემდეგი:
– ჰააგის V კონვენცია ნეიტრალური სახელმწიფოების და პირთა უფლებებისა და მოვალეობის შესახებ (1907 წ.);

– ჰააგის XIII კონვენცია ნეიტრალური სახელმწიფოების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ საზღვაო ომის შემთხვევაში (1907 წ.);
– ლონდონის დეკლარაცია საზღვაო ომის სამართლის შესახებ (1909 წ.);
– ჟენევის კონვენციები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ (1949 წ.) და მათი დამატებითი ოქმები.

ამ დოკუმენტების შესაბამისად, ნეიტრალურ სახელმწიფოთა ტერიტორია ითვლება ხელშეუხებლად და არ შეიძლება გადაქცეული იქნეს ომის თეატრად.

ნეიტრალიტეტი სახმელეთო ომში გამოიყენებოდა უხსოვარი დროიდან, მაგრამ მისი სამართლებრივი ხასიათი XVII –XVIII საუკუნეებიდან ყალიბდება. ჰუგო გროციუსმა, ჯერ კიდევ თავის ძირითად ნაშრომებში „თავისუფალი ზღვა" (1609 წ.) და „ომისა და მშვიდობის სამართლის შესახებ" (1625 წ.), აღიარა ნეიტრალიტეტის ცნების არსებობა და ორ ძირითად წესად ჩამოყალიბება: ა) მესამე სახელმწიფოებმა არ უნდა გაუწიონ დახმარება არც ერთ მეომარ მხარეს, რომელიც უსამართლო ომს აწარმოებს, და არ უნდა გაუწიონ წინააღდეგობა იმ მხარეს, რომელიც სამართლიანად იბრძვის; ბ) ეჭვის არსებობისას, ნეიტრალური სახელმწიფოები ორივე მხარეს ერთნაირად უნდა მოექცნენ. გროციუსისაგან განხვავებით, მეცნიერთა ნაწილი (ბეინკერსგუკი) თვლიდა, რომ ნეიტრალური სახელმწიფოები მოვალენი არ არიან შეაფასონ, რამდენად სამართლიანია ამა თუ იმ მეომარი მხარის საქმე და მოვალენი არიან, პრინციპში დარჩნენ მიუკერძოლებელები.[1] ამ ორ კონცეფციას შორის, მეორეს უფრო მეტი მხარდაჭერა აღმოაჩნდა.

ნეიტრალიტეტი სახმელეთო ომში. მეომარ მხარეებს ეკრძალებათ, ნეიტრალური სახელმწიფოების ტერიტორიის გავლით ჯარების ან საზიდრების სამხედრო ქონებით ან სურსათის მარაგით გადაყვანა.

ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა თავიანთ ტერიტორიებზე არ უნდა დაუშვან სამხედრო რაზმების ფორმირება. არ უნდა შექმნან დაწესებულებები სამხედრო მოსამსახურეთა გადაბირე-

[1] გ. თორაძე, შეიარაღებული კონფლიქტის სამართალი, თბ. 2001წ. გვ.120.

ბისათვის. ნეიტრალური სახელმწიფო ვალდებულია აკრძალოს, თუნდაც მეომარ მხარეთა ხარჯზე, იარაღის, საომარი მასალა-ბისა და სხვა ქონების გადატანა ან ტრანზიტი, ან იმ კავშირგაბმულობის საშუალებებით სარგებლობა მათ ინტერესებში, რომლებიც ითვლება ნეიტრალური სახელმწიფოს, კომპანიის ან კერძო პირთა საკუთრებად. თუ ნეიტრალური სახელმწიფოს მიერ რაიმე შემზღუდავი ან ამკრძალავი ზომები ხორციელდება ასეთი ქონებისა და საშუალებების მიმართ, ისინი თანაბრად უნდა იქნას გავრცელებული ყველა მეომარი მხარის მიმართ.

ამავე დროს, მეომარ მხარეებს ეკრძალებათ რაიმე სახის შენობა-ნაგებობების მოწყობა ნეიტრალური სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლებიც გამოყენებული იქნება კავშირგაბმულობის უზრუნველსაყოფად თავიანთი შეიარაღებული ძალებისათვის როგორც ხღვაში, ისე ხმელეთზე.

მეომარი მხარეების შეიარაღებული ძალების მიერ ნეიტრალური სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავდასხმის შემთხვევაში, მათ უფლება აქვთ, გამოიყენონ ძალა მოსაგერიებლად. ნეიტრალური სახელმწიფოს ასეთი ქმედება არ შეიძლება განხილულ იქნას მტრულ ქმედებად.

თუ ნეიტრალური სახელმწიფოს თანხმობით მის ტერიტორიაზე შედიან მეომარი მხარის ჯარები, ის ვალდებულია, განალაგოს ისინი შეძლებისდაგვარად, საომარი მოქმედებების ცენტრიდან მოშორებით. ნეიტრალურ სახელმწიფოს შეუძლია შეინახოს ისინი ბანაკებში, განათავსოს ციხე-სიმაგრეებშიც კი (ინტერნირება), საომარი მოქმედებების დასრულებამდე. ამ პერიოდში ის უზრუნველყოფს მათ საკვებით და სხვა შესაძლო დახმარებით, რასაც კაცთმოყვარეობა მოითხოვს. ასეთი ჯარების შენახვაზე გაწეული ხარჯები ზავის დადების შემდეგ ანაზღაურდება.

ნეიტრალური სახელმწიფო უფლებამოსილია, თავის ტერიტორიაზე მიიღოს გამოქცეული სამხედრო ტყვეები. მათ ტოვებენ თავისუფლებად და განალაგებენ გამოყოფილ ადგილებზე. პირებზე, მეომარ მხარეთა შეიარაღებული ძალების შემადგენლობიდან და მათთან გათანაბრებულ პირებზე, რომლებიც ინტერნირებულები არიან ნეიტრალური სახელმწიფოს ტერიტორი-

აზე, ვრცელდება სამხედრო ტყვის რეჟიმი, გათვალისწინებული III კონვენციით (მუხ. 4).

ნეიტრალურ სახელმწიფოს შეუძლია, თავის ტერიტორიაზე მეომარ მხარეთა დაჭრილებისა და ავადმყოფების გადაყვანის ნება დართოს იმ პირობით, რომ მათი გადამყვანი სატრანსპორტო საშუალებები, იმავდროულად არ იქნება გამოყენებული ჯარისა და სამხედრო ქონების ტრანსპორტირებისათვის. ამ შემთხვევაში ნეიტრალური სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს სიფრთხილისა და კონტროლისათვის. ნეიტრალურ ტერიტორიაზე ერთ-ერთი მეომარი მხარის მიერ გადაყვანილი დაჭრილები და ავადმყოფები ნეიტრალურმა სახელმწიფომ ისეთ პირობებში უნდა ამყოფოს, რომ მათ არ შეეძლოთ ხელახლა მიიღონ მონაწილეობა საომარ მოქმედებებში. კონფლიქტში მყოფი სახელმწიფოების კუთვნილ დაჭრილებსა და ავადმყოფებზე, ასევე ნეიტრალური სახელმწიფოს მიერ მიღებულებზე და ინტერნირებულებზე გავრცელდება I კონვენციის (მუხ. 4) და II კონვენციის (მუხ. 5) დებულებები.

ნეიტრალური სახელმწიფოს, მისი მოქალაქეების ან კერძო საზოგადოებების კუთვნილი რკინიგზის მოძრავი შემადგენლობა არ ექვემდებარება რეკვიზაციას ან ექსპლუატაციას მეომარი მხარეების მხრივ, გარდა უკიდურესი აუცილებლობისა. ამასთან, ამ შემთხვევაშიც დაბრუნებული უნდა იქნას პირველი შესაძლებლობისთანავე.

ნეიტრალური სახელმწიფოების პირები ვერ ისარგებლებენ თავიანთი სახელმწიფოს ნეიტრალიტეტით, თუ ისინი ჩაიდენენ მტრულ ქმედებებს კონფლიქტის მონაწილე მხარეთა მიმართ.

ისტორიულად, საზღვაო ომში ნეიტრალიტეტის კონცეფციის შემუშავება უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ვინაიდან მოწინააღმდეგის სავაჭრო ფლოტის განადგურება და მისი საზღვაო ვაჭრობის შეწყვეტა არის საზღვაო ომის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი, ნეიტრალური სავაჭრო გემების რეჟიმი წარმოადგენს ნეიტრალიტეტის სამართლის ერთ-ერთ ძირითად კარს.[1] ნეიტრალიტეტი საზღვაო ომში, თანამედროვე გაგებით ნიშნავს იმას, რომ მეომარი მხარეები ვალდებული არიან თავი

[1] გ. თორაძე, შეიარაღებული კონფლიქტის სამართალი, თბ. 2001წ. გვ.122.

შეიკავონ სამხედრო მოქმედებების წარმოებისაგან ნეიტრალური სახელმწიფოების ტერიტორიულ წყლებში და არა აქვთ ამ წყლებში გემების დაკავების ან დათვალიერების უფლება.

ომის წარმოების პროცესში მათ შეუძლიათ მიმართონ ნეიტრალური ქვეყნის სავაჭრო გემებს, იახტების და მცირე ხომალდების კაპიტნებს მოწოდებით, რომ აიყვანონ ბორტზე დაჭრილები, ავადმყოფები და მოუარონ მათ. ასევე აიყვანონ დაღუპულები. ყველა სახის გემები, რომლებიც გამოეხმაურებიან ამ მოწოდებას ან ისინი, ვინც საკუთარი ინიციატივით აკეთებს ამ ჰუმანურ საქმეს, სარგებლობენ სპეციალური მფარველობით ან დახმარებით ამ სფეროში. დაუშვებელია მათი შეპყრობა ასეთი საქმიანობის განხორციელების პროცესში, თუ მათ მიერ არ იყო დარღვეული დებულებები ნეიტრალიტეტის შესახებ (II კონვენციის მუხ. 21).

ნეიტრალური სახელმწიფოები 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის მე-4 მუხლის შესაბამისად, კონვენციის დებულებებს ანალოგიურად გამოიყენებენ კონფლიქტის მონაწილე მხარეების შეიარაღებული ძალების დაჭრილებისა და ავადმყოფების სამედიცინო და სასულიერო პერსონალის მიმართ, რომლებიც მიღებული ან ინტერნირებული არიან მათ ტერიტორიაზე, აგრეთვე, ნაპოვნი ცხედრების მიმართ.[1]

ნეიტრალურ სახელმწიფოთა აღიარებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები (მაგალითად, წითელი ჯვრის საზოგადოებები) უფლებამოსილი არიან თავიანთი პირადი შემადგენლობით დახმარება აღმოუჩინონ დაჭრილებს, ავადმყოფებს და იმ პირებს, რომლებმაც კატასტროფა განიცადეს საკუთარი მთავრობის წინასწარი ნებართვით და ასევე კონფლიქტში მყოფი მხარის ნებართვით (I კონვენცია მუხ. 27). აღნიშნული დახმარება არავითარ შემთხვევაში არ უნდა განიხილებოდეს როგორც კონფლიქტში ჩარევა.

მეომარ მხარეთა სანიტარულ საფრენ აპარატებს უფლება აქვთ გადაუფრინონ ნეიტრალურ სახელმწიფოთა ტერიტორიას და განახორციელონ მასზე დაშვება აუცილებლობის შემთხვევაში ან შუალედური გაჩერებისათვის. ისინი ვალდებულნი არი-

---

[1] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006წ.

ან, ამის შესახებ წინასწარ აცნობონ ნეიტრალურ სახელმწიფოს და დაემორჩილონ ყოველგვარ მოთხოვნას ხმელეთზე ან წყალზე დაშვებასთან დაკავშირებით. სანიტარული საფრენი აპარატები თავდასხმისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში არიან დაცულნი, როდესაც ფრენას ახორციელებენ დადგენილ სიმაღლეზე და დადგენილ დროს, რაც შეთანხმებულია კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის, ასევე დაინტერესებულ ნეიტრალურ სახელმწიფოებთან. ნეიტრალურ სახელმწიფოს უფლება არა აქვს გადასცეს მეომარ მხარეებს სამხედრო-საზღვაო გემები ან სხვა სამხედრო ქონება, აგრეთვე საკუთარ პორტებში დაუშვან მეომარი მხარეების რაიმე ბაზები.

ნეიტრალურმა სახელმწიფომ მეომარ მხარეებს უნდა დაუდგინოს ერთნაირი პირობები, შეზღუდვები ან აკრძალვები მის პორტებში, რეიდებზე ან ტერიტორიულ წყლებში შესვლასთან დაკავშირებით. იგი უფლებამოსილია აუკრძალოს პორტებში და რეიდებზე შესვლა იმ მეომარ სახელმწიფოს, რომელიც არად აგდებს მის მითითებებს ან განკარგულებებს ან შეუძლია დაარღვიოს ნეიტრალიტეტი.

ზღვა ყოველთვის გამოიყენებოდა ვაჭრობისათვის. საუკუნეების მანძილზე საზღვაო ომების ძირითად მიზანს მოწინააღმდეგის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება წარმოადგენდა. ამიტომ, ზღვაზე მტრის სავაჭრო ხომალდის დაკავება ნებადართულია, ხოლო აკრძალულია მტრის კერძო საკუთრების კონფისკაცია. ამასთან ერთად, შესაძლებელია ნეიტრალური სავაჭრო გემების დაკავება, თუ მათ გადააქვთ კონტრაბანდა,[1] რაზედაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

მეომარი მხარეების სამხედრო გემებს ეკრძალება ნეიტრალური ქვეყნის პორტებში, რეიდებზე ან ტერიტორიულ წყლებში ყოფნა 24 საათზე მეტი ხნით. ამ ვადის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ ავარიის ან ამინდის პირობების გამო. ხომალდმა პორტი უნდა დატოვოს დაზიანების აღმოფხვრის ან ამინდის გაუმჯობესებისთანავე. მეომარი მხარის სამხედრო გემების რიცხვი, რომლებიც ერთდროულად იმყოფებიან ნეიტრალური სახელმწიფოს პორტში ან რეიდზე, არ უნდა აღემატებოდეს

---

[1] პიტერ მალანჩუკი, აკჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2005. გვ. 381

სამს. თუ ნეიტრალურ პორტში ერთდროულად აღმოჩნდებიან კონფლიქტში მონაწილე მხარეთა სამხედრო გემები, დგინდება 24 საათიანი დროის შუალედი, პორტიდან თითოეულ მათგანის გასვლისათვის.

სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი არ ითვლება ხელყოფილად მეომარი მხარის სამხედრო გემების მიერ მისი ტერიტორიული წყლების გავლის შედეგად. ნეიტრალურ სახელმწიფოს შეუძლია, მეომარი მხარის სამხედრო გემებს მისცეს უფლება, ისარგებლოს ლოცმანებით მის პორტში შესვლის, იქიდან გამოსვლის ან მისი გავლით, ნეიტრალურ წყლებში გასვლისათვის.

ნეიტრალური სახელმწიფოს პორტში სამხედრო გემის ავარიის აღმოფხვრას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ცურვის უსაფრთხოება მოითხოვს. არ დაიშვება სამხედრო გემების საბრძოლო შესაძლებლობების გაძლიერება. მეომარ მხარეებს არა აქვთ უფლება ნეიტრალურ პორტებში, რეიდზე ან ტერიტორიულ წყლებში ყოფნა გამოიყენონ საკვების ან შეიარაღების შესავსებად, აგრეთვე, ეკიპაჟის დაკომპლექტებისათვის. თუმცა შეუძლიათ შეავსონ ნორმალური მარაგი, რაც მშვიდობიანი დროისათვის არის დადგენილი, აგრეთვე, აიღონ საკუთარი ქვეყნის ახლოს მდებარე პორტამდე მისაღწევად აუცილებელი საწვავი.

ნეიტრალიტეტი საზღვაო ომ'ში სამი მნიშვნელოვანი ფაქტორისაგან შედგება: 1. გადასატანი ტვირთის ერთფეროვნება; 2. ტვირთის გადამტანი გემის წარმომავლობა; 3. ტვირთის ხასიათი (კონტრაბანდაა თუ არა).

სანამ სამხედრო კონტრაბანდის ცნებაზე ვიმსჯელებთ, საჭიროდ მიგვაჩნია გავიხსენოთ ზოგადად კონტრაბანდის განმარტება, რაც საშუალებას მოგვცემს, უკეთ გაეერკვეთ სამხედრო კონტრაბანდის შინაარსში.

კონტრაბანდა არის საერთაშორისო ხასიათის დანაშაული, რომელიც ზიანს აყენებს სახელმწიფოთა მართლწესრიგს საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში, სახელმწიფოს ეკონომიკურ ურთიერთობებს როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე სახელმწიფოს გარეთ. კონტრაბანდა გამოიხატება სახელმწიფო საზღვარზე იმ საგანთა, ნივთიერებათა, ფასეულობათა უკანონო გადაადგილებაში, რომელთა შემოტანა სახელმწიფოს ტერიტო-

რიაზე ან სახელმწიფოს ტერიტორიიდან გატანა აკრძალულია. კონტრაბანდის აღმოჩენისას დამნაშავე პირთა მიმართ გამოიყენება ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის სასჯელი იმისდა მიხედვით, თუ რა სახისა და რა ოდენობისაა კონტრაბანდული საქონელი. კონტრაბანდის განსაკუთრებულად საშიშ ფორმებს წარმოადგენს ნარკოტიკები, იარაღი, ბირთვული მასალები[1] დ .ა.შ.

სამხედრო კონტრაბანდა არის მასალებისა და საქონლის ერთობლიობა, რომელიც ნეიტრალურ სახელმწიფოებს მეომარი მხარისათვის მისაწოდებლად გადააქვთ მისი სამხედრო ძალების გაძლიერების მიზნით და თავიანთი ნეიტრალიტეტის სტატუსის დარღვევით. ასეთ კონტრაბანდად არ შეიძლება ჩაითვალოს ავადმყოფთა და დაჭრილთა მოსავლელად გამოსაყენებელი მასალები. სამხედრო კონტრაბანდა კონფისკაციას ექვემდებარება. ნეიტრალური ტვირთი და ნეიტრალური გემი წარმოადგენს კანონიერ პრიზს მეორე მეომარი მხარისათვის, რომელსაც უფლება აქვს, ხელში ჩაიგდოს ან გაანადგუროს ისინი. ზღვაზე სამხედრო კონტრაბანდული ტვირთის ან კონტრაბანდის გადამზიდი გემის მფლობელისათვის ზიანის ანაზღაურების საკითხი უნდა გადაწყვიტოს საპრიზო სასამართლომ. სამხედრო კონტრაბანდასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს ლონდონის 1909 წლის დეკლარაცია „საზღვაო ომის სამართლის შესახებ". სამხედრო კონტრაბანდა იყოფა ორ ჯგუფად: პირდაპირი და ირიბი: 1) პირდაპირია იგი, როდესაც კონტრაბანდის საგანს წარმოადგენს უშუალოდ სამხედრო მიზნისათვის განკუთვნილი საგნები: იარაღი, ტყვია-წამალი, სამხედრო აღჭურვილობა და სხვ. ამ შემთხვევაში, კონტრაბანდის დაკავება და კონფისკაცია შესაძლებელია ნებისმიერ დროს და ნებისმიერ სიტუაციაში; 2) ირიბ სამხედრო კონტრაბანდას მიეკუთვნება ის საგნები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც სამხედრო, ისე სამშვიდობო მიზნით. ასეთი კონტრაბანდის კონფისკაცია დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დადგინდება, რომ იგი

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ. 2003წ. გვ.178.

განკუთვნილი იყო მეომარი მხარის შეიარაღებული ძალებისათვის ან სამხედრო მიზნებისათვის.[1]

სამხედრო კონტრაბანდა გულისხმობს ისეთ საგნებს, რომლებიც მეომარ მხარეებს შეუძლიათ გადაიტანონ ნეიტრალური გემით, რამდენადაც ისინი შეიძლება მოწინააღმდეგის მიერ ომის წარმოებისათვის იქნას გამოყენებული. ხანგრძლივი დროის მანძილზე მეომარი მხარეები თავიანთი შეხედულებებისამებრ მიაკუთვნებდნენ სამხედრო კონტრაბანდას ამა თუ იმ მასალას, რომლებსაც, მათი აზრით, უწევდნენ ან შეეძლოთ გაეწიათ დახმარება მოწინააღმდეგისათვის საომარი მოქმედებების პროცესში. ცნების – „სამხედრო კონტრაბანდა“ – ზუსტი განსაზღვრა დიდ სირთულეებს იწვევდა მეომარი და არამეომარი სახელმწიფოების ურთიერთდამოკიდებულებაში და მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა საერთაშორისო ვაჭრობას. ლონდონის 1909 წლის დეკლარაცია სამხედრო კონტრაბანდას ყოფს აბსოლუტურად (პირდაპირ, ომის წარმოებისათვის დანიშნული საგნები: შეიარაღება, საბრძოლო მასალები, სამხედრო ტრანსპორტი და ა.შ.), და პირობითად (საგნები და მასალები, რომლებიც ერთდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სამხედრო, ისე არასამხედრო მიზნებისათვის). თუმცა, ასეთი დაყოფა მოდის XVIII და XIX საუკუნეების მიჯნიდან.[2]

აბსოლუტური სამხედრო კონტრაბანდა ექვემდებარება დაკავებას ან განადგურებას ნებისმიერ შემთხვევაში, თუ მისი გადამზიდი გემი მიემართება მოწინააღმდეგის პორტში, მიუხედავად ტვირთის მიმღების, გამგზავნისა და გზის მიმართულებისა.

პირობითი კონტრაბანდა ექვემდებარება დაკავებას და განადგურებას, თუ იგი დანიშნულია მოწინააღმდეგისათვის ან მისი სამხედრო მართვის ორგანოებისათვის. არ შეიძლება მისი დაკავება, თუ იგი მიემართება ნეიტრალური სახელმწიფოს პორტისაკენ.

სადავოდ რჩება, თუ რამდენად შეცვალა არსებული სამართლებრივი მდგომარეობა ირანის თავდასხმებმა ნეიტრალურ

---

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ. 2003წ. გვ.173.

[2] ჰ. მალანჩუკი, დას. ნაშ., გვ.381.

გემებზე, რომლებიც ერაყისათვის იყო განკუთვნილი სპარსეთის ყურის პირველი ომის დროს (1980-1988) და აშშ-ს მიერ მესამე სახელმწიფოების ნავთობ-ტანკერებისათვის ადგილის შეცვლამ მათივე დაცვის მიზნით. ომში მონაწილე სახელმწიფოს ფართო უფლებამოსილება გააჩნია ხომალდების, თვითმფრინავებისა თუ მტრისაფვის გათვალისწინებული საქონლის გადაზიდვისას, როგორც წესი, ყველა გემი ნეიტრალურ წყლებს გარეთ, განურჩევლად მათი ეროვნებისა და მიზნებისა, გაჩერებას, ჩხრეკასა და სხვა ქმედებებს ექვემდებარება. დაკავების და კონფისკაციის უფლება არ ვრცელდება იმ ხომალდებსა და საქონელზე, რომლებიც ხელს არ უწყობენ ბრძოლას და მტრის სამხედრო განვითარებას.[1]

ნეიტრალიტეტი საჰაერო ომში არ არის დარეგულირებული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით. საჰაერო ომის წარმოებაზე მთლიანობაში ვრცელდება საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები და ნორმები, რომლებითაც განისაზღვრება ნეიტრალიტეტი სახმელეთო და საზღვაო ომებში.

ერთ-ერთი მთავარი დებულება ამ სფეროში არის საჰაერო სივრცის ხელშეუხებლობა ნეიტრალურ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე. მაგალითად, ბერძნულ-გერმანულმა საარბიტრაჟო სასამართლომ გაასამართლა პილოტი ომის კანონებისა და წესების ჰააგის კონვენციის (1899 წ.) საფუძველზე 1916 წელს ჰაერიდან ნეიტრალური ქალაქების – სალონიკისა და ბუქარესტის დაბომბვის გამო. სასამართლომ ამ შემთხვევაში მიუთითა 25-ე მუხლის გამოყენებაზე, რომელიც კრძალავს „დაუცველი ქალაქების“ დაბომბვას და 26-ე მუხლზე, რომელიც მოითხოვს, რომ თავდამსხმელი ჯარების მეთაურმა, რომელიც დაბომბვას აპირებს, ამის შესახებ შეატყობინოს ქალაქის ხელისუფლებას.

ნეიტრალურ სახელმწიფოთა მეთაურებს უფლება აქვთ გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა არ დაუშვან თავიანთი ტერიტორიის საზღვრებში მეომარ სახელმწიფოთა საჰაერო ხომალდები, ხოლო თუ ისინი იმყოფებიან ამ ფარგლებში, იძულებით დასვას ისინი. ნეიტრალურ სახელმწიფოებთა მეთაურები ყველა ზომას იღებენ იმისათვის, რა-

[1] იქვე. გვ383.

თა მოახდინონ მათ ტერიტორიაზე აღმოჩენილი მეომარი სახელმწიფოს სამხედრო-საჰაერო ხომალდების, მათი ეკიპაჟებისა და მგზავრების ინტერნირება. ისინი ვალდებულნი არიან, ხელი შეუშალონ თავიანთი ტერიტორიის ფარგლებიდან იმ სამხედრო ხომალდების გაყვანას, რომლებსაც განზრახული აქვთ თავდასხმა მეომარ სახელმწიფოზე.

§4. საერთაშორისო კონტროლის განხორციელება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა მიხედვით

საერთაშორისო სამართლისა და მათ შორის, ჰუმანიტარული სამართლის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოთა მიერ აღებული ვალდებულებების დაცვის კონტროლის მექანიზმის შემუშავება, რადგან საერთაშორისო ურთიერთობებმა არ იცის სახელმწიფოთა შორის ისეთი ზემდგომი ორგანოს არსებობა, რომელიც შეძლებდა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას. ამიტომ, ქვეყნები ეძებენ ისეთ მექანიზმებს, რომლებითაც მოხერხდებოდა ეფექტური კონტროლი ხელშეკრულებათა შესრულებაზე და მათი დაცვის გარანტიები, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ საერთაშორისო კონტროლი. რას წარმოადგენს იგი არსობრივად, რაში მდგომარეობს მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობა? როგორც მაკონტროლებელი მექანიზმების მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, მათი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ შემოწმების გზით დარწმუნდნენ, რამდენად შეესაბამება სახელმწიფოთა მოქმედება საერთაშორისო ხელშეკრულებებით მიღებულ ვალდებულებებს.

ამასთან, როგორც საერთაშორისო პრაქტიკა მოწმობს, სახელმწიფოების ნაწილს ყველა შემთხვევაში როდი აწყობს მაკონტროლებელი ორგანოების შექმნა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ მიზეზით არ ხდება საერთაშორისო შეთანხმებების დაცვა, ან შეიძლება ისინი დაცული არ იყოს. როგორც წესი, დღემდე შექმნილი მაკონტროლებელი ორგანოები არ არიან აღჭურვილნი სახელისუფლო უფლებამოსილებებით და ცხა-

დია, მათ არ შეუძლიათ უზრუნველყონ საერთაშორისო შეთანხმებების გონივრული დაცვა მისი ყველა მონაწილის მიერ. როგორც უნგრელი იურისტი ლ. ბუსა აღნიშნავს, კონტროლი თავისთავად არ წარმოადგენს კანონიერების გარანტს საერთაშორისო ცხოვრებაში. ამიტომ, ვილაპარაკოთ კონტროლზე, როგორც ნაკისრ ვალდებულებათა დაცვის გარანტიაზე და ამ თვალსაზრისით - ვაღიაროთ მისი მნიშვნელობის იმპერატიულობა, არ ნიშნავს იმას, რომ გადაჭარბებით შევაფასოთ მისი როლი.[1]

პრაქტიკაში საერთაშორისო შეთანხმებების ფაქტობრივი შესრულების უზრუნველყოფა, უფრო ზუსტად, გარანტირება ხდება თვითონ საერთაშორისო სამართლის სუბიექტების, როგორც საერთაშორისო ურთიერთობის სრულუფლებიანი მონაწილეების მიერ. ამიტომ, კონტროლის დაწესებას, უწინარეს ყოვლისა, პრევენციული მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ მაკონტროლებელი ორგანოების ინფორმირებისას საქმეთა ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ კონტროლირებად სფეროში, ამით თითქოსდა იცავენ სახელმწიფოს საერთაშორისო ხელშეკრულებების პირობების შესაძლო დარღვევებისაგან.

იმ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შინაარსის მიხედვით, რომლებიც შემოწმებას ექვემდებარება, სახელმწიფოები ქმნიან სხვადასხვა ფორმის მაკონტროლებელ ორგანოთა საორგანიზაციო სტრუქტურებს. საერთაშორისო კონტროლი ხორციელდება:

- საერთაშორისო ორგანიზაციების ორგანოებით;
- სახელმწიფოს მიერ სპეციალურად შექმნილი საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანოს საშუალებით;
- ნაციონალური ორგანოებით (აგრეთვე საშუალებების, ტექნიკის ჩათვლით);
- საერთაშორისო პროცედურებისა და ნაციონალური ორგანოების ან ტექნიკური საშუალებების საქმიანობის შერწყმისას.

კონტროლის ფუნქციები საერთაშორისო ორგანიზაციების ორგანოების მიერ ხორციელდება მათი წესდებების შესაბამისად

---

[1] Busa L. internacional Control os a Safeguandi of Cegality interrnacional sife, in Questons of internacional Law Buagdest, 1966 s. 46-48

ან ამ ორგანიზაციების წევრებს შორის მიღწეული განსაკუთრებული შეთანხმების საფუძველზე. უდავოა ის ფაქტი, რომ რაც უფრო საპასუხისმგებლო და რთულია ამა თუ იმ საკონტროლო მექანიზმზე დაკისრებული ამოცანები, მით უფრო მწვავედ დგება საკითხი მათ მიერ საკუთარი ფუნქციების განხორციელების მართლზომიერების შესახებ, აგრეთვე, შემოწმების ამა თუ იმ სხვა მეთოდის გამოყენების თაობაზე. საერთაშორისო კონტროლის მართლზომიერების კრიტერიუმია მისი ორგანოების (საშუალებების) საქმიანობის შესაბამისობა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან და ნორმებთან. პირველ რიგში, სხვა სახელმწიფოების საქმიანობაში ჩაურევლობის, სუვერენული თანასწორობის, სახელმწიფოთა მიერ საერთაშორისო ვალდებულებათა კეთილსინდისიერად შესრულების პრინციპებთან.

საერთაშორისო პრაქტიკაში შემუშავებულია კონტროლის სხვადასხვა მეთოდი. მათ შორის:

– ანგარიშებისა და მოხსენებების წარდგენა;
– ინფორმაციების გაცვლა;
– დაკვირვება;
– ობიექტების მონახულება;
–კონსულტაციების ჩატარება;
– საჩივრების განხილვა.

ნათქვამის გათვალისწინებით, საერთაშორისო კონტროლი შეიძლება განისაზღვროს როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტების (პირველ რიგში სახელმწიფოს) საქმიანობა, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე და ექვემდებარება სახელმწიფოთა მიერ აღებულ ვალდებულებათა დაცვის განუხრელი და ზუსტი შესრულების უზრუნველყოფას.

საერთაშორისო კონტროლის სფეროდ ითვლება ვალდებულებები და შეთანხმებები, რომლებიც პრაქტიკულად ეხება საერთაშორისო სამართლის ყველა დარგს (საზღვაოს, საჰაეროს, კოსმოსურს, გარემოს დაცვის სამართალს, ადამიანის უფლებებს). განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განიარაღებისა

და შეიარაღების შეზღუდვის, შეიარაღებული ძალების შემცირების სფეროში შეთანხმებების დაცვას.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად რჩება კონტროლის განხორციელება, რომელიც ეხება ომის „მსხვერპლთა" დაცვას. ტერმინ „მსხვერპლის" ქვეშ იგულისმება პირი, რომელსაც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად მიადგა ზიანი, სხეულებრივის და მორალურის ჩათვლით, სულიერი ტანჯვა, მატერიალური ზარალი ან არსებითად დაირღვა მისი ძირითადი უფლებები,[1] რაც გამოიწვია ომის წარმოების აკრძალულმა მეთოდებმა, აგრეთვე, საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების დებულებების შეუსრულებლობამ და ომის წარმოების აკრძალული საშუალებების გამოყენებამ. ამდენად, კონტროლი მოიცავს მხოლოდ სახელმწიფოს საქმიანობას საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში. ერთ შემთხვევაში, საკონტროლო საქმიანობა მიმართულია იმ სახელმწიფოების ვალდებულებათა შესრულების შემოწმებისაკენ, რომლებიც შედიან ჟენევისა და ჰააგის სამართალში.

ჟენევის კონვენციებითა და დამატებითი ოქმებით გათვალისწინებულია კონტროლის სხვადასხვაგვარი საორგანიზაციო ფორმა:

– მეომარი მხარეების მიერ გამოძიების ჩატარება სჰს-ის ნორმათა დარღვევის ფაქტების გამოვლენის მიზნით;

– ფაქტების დამდგენი საერთაშორისო კომისიის საკონტროლი საქმიანობა;

– მფარველი სახელმწიფოების საკონტროლო საქმიანობა;

– წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საკონტროლო საქმიანობა.

I. მეომარი მხარეების მიერ გამოძიების ჩატარება სჰს-ის ნორმების დარღვევის გამოვლენის მიზნით. ასეთი გამოძიება ეფუძნება შესაბამისად I-IV კონვენციების 52-ე, 53-ე, 132-ე, 149-ე მუხლებს, რომელთა თანახმადაც, მათი ყოველი მონაწილე უფლებამოსილია, მოითხოვოს სჰს-ის ნორმათა დარღვევის გამოძიება.

---

[1] ბ. საყანელი, ადამიანის უფლებები თბ. 2001წ.გვ 237

თუმცა, თუკი არ იქნება მიღწეული შეთანხმება გამოძიების პროცედურის საკითხზე, მხარეები ურთიერთშეთანხმებით ირჩევენ არბიტრს, რომელიც წყვეტს პროცედურის საკითხს. შემდგომში, თუ გამოძიების პროცესში დადგენილი იქნება, რომ ადგილი აქვს სჰს-ის ნორმათა დარღვევას, კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა უნდა მიიღონ ზომები დამნაშავე პირთა დასასჯელად, რაც შეიძლება მოკლე ვადაში.

სჰს-ის ნორმათა დარღვევის ასეთი გზით გამოვლენის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფომ, რომლის მიმართაც შეიძლება გამოძიება ჩატარდეს, სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპის მომიზეზებით, შეიძლება თავი აარიდოს ასეთი გამოძიების პროცედურულ საკითხების და არ დათანხმდეს არბიტრის მოწვევას. სწორედ ეს აღმოჩნდა მთავარი მიზეზი იმისა, რომ არც ერთი გამოძიება არ ჩატარებულა ჟენევის ოთხი კონვენციის შესაბამისად.

2. ფაქტების დამდგენი საერთაშორისო კომისიის საკონტროლო საქმიანობა. ეს კომისია იქმნება I დამატებითი ოქმის 90-ე მუხლის შესაბამისად. იგი ოფიციალურად გაფორმდა 1991 წელს. ეს არის მუდმივი ორგანო, რომლის ძირითადი მიზანი მდგომარეობს სჰს-ის სერიოზული დარღვევების შესახებ არსებული განცხადებების მოკვლევაში. მის შემადგენლობაში შედის იმ სახელმწიფოების მიერ არჩეული 15 წევრი, რომლებმაც კომისიის უფლებამოსილება აღიარეს. თითოეული მათგანი მოქმედებს პიროვნულ რანგში და არ წარმოადგენს იმ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეებიც თვითონ არიან. ისინი უნდა ფლობდნენ მაღალ ზნეობრივ თვისებებს და სარგებლობდნენ აღიარებული მიუკერძოებლობით.

კომისია უფლებამოსილია:

– გამოიძიოს ნებისმიერი ფაქტი, რომელიც, სავარაუდოდ, წარმოადგენს ჟენევის კონვენციებისა და I ოქმის სერიოზულ დარღვევას;

– სათანადო ღონისძიებების გატარებით ხელი შეუწყოს პატივისცემის აღდგენას კონვენციებისა და I პროტოკოლის მიმართ.

გამოძიების პროცესში კომისია მხოლოდ განსაზღვრავს, ჰქონდა თუ არა ადგილი სჰს-ის ნორმათა სერიოზულ დარღვე-

ვას. ის არავითარ გადაწყვეტილებებს არ იღებს და არ აძლევს სამართლებრივ შეფასებას დადგენილ ფაქტებს. გამოძიების ჩატარების საბაბი არის შესაბამისი თხოვნის მიღება მეომარი მხარის ან სახელმწიფოსაგან, რომელიც აღიარებს კომისიის კომპეტენციას, მაგრამ არ მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში, ე.ი. სახელმწიფოს მიერ კომპეტენციის უფლებამოსილების აღიარების თვითონ-ფაქტი ნიშნავს იმას, რომ იგი ეთანხმება მის მიერ გამოძიების ჩატარებას მუდმივ საფუძველზე. თავის მხრივ, ასეთი სახელმწიფო უფლებამოსილია, მოითხოვოს გამოძიების ჩატარება იმ სხვა მეომარ სახელმწიფოთა შორის შეიარაღებული კონფლიქტის გაჩენის შემთხვევაში, რომლებმაც გააკეთეს განცხადება კომისიის კომპეტენციის ცნობის შესახებ. კომისიამ არ უნდა მოახდინოს გამოძიების ინიცირება. როგორც წესი, მის მუშაობაში კომისიის მთელი შემადგენლობა როდი მონაწილეობს. გამოძიებას ატარებს კომისიის შვიდი წევრისაგან შემდგარი პალატა, რომელთაგან ხუთი მისი მუდმივი წევრია, ხოლო ორი – ad hoc, ე.ი.თითო კაცი კონფლიქტის მონაწილე ყოველი მხარისაგან. პალატის არც ერთ წევრს არ უნდა ჰქონდეს შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე მხარის მოქალაქეობა. მეომარ მხარეებს სთავაზობენ, დახმარება აღმოუჩინონ პალატას გამოძიების პროცესში, წარმოადგინონ ან უარყონ მტკიცებულებები. შეგროვებული ყოველი მტკიცებულება მთლიანად ეცნობება მხარეებს და იმ სახელმწიფოებს, რომელთა ინტერესები შესაძლოა შელახული იყოს ამა თუ იმ ზომით. კომისია ატყობინებს დაინტერესებულ მხარეებს თავის რეკომენდაციებს ჩატარებული გამოძიების შედეგების თაობაზე და აგრეთვე, გამოთქვამს სურვილს და წინადადებებს შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილეთა მიერ ხელშეკრულებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

კომისიის შექმნის შედეგია ის, რომ მისი კომპეტენციის აღიარების შემდეგ, ჟენევის კონვენციების და I ოქმის მონაწილე მხარეს არ შეუძლია ხელი შეუშალოს გამოძიებას, დადგენილი პროცედურის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ თხოვნა გამოძიების შესახებ შემოვიდა იმ სახელმწიფოსაგან ან იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლებსაც არა აქვთ გაკეთებული განცხადება I ოქმის 90-ე მუხლის შესაბამისად, კომისიას არა

აქვს გამოძიების ჩატარების უფლება იმ სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, რომლის მიმართაც არსებობს ეჭვი ჟენევის კონვენციების და I ოქმის დარღვევასთან დაკავშირებით.

ფაქტების დამდგენ საერთაშორისო კომისიას ასევე შეუძლია გამოიძიოს არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტის დროს მომხდარი სჰს-ის დარღვევათა ფაქტები იმ პირობით, რომ კონფლიქტის მონაწილე მხარეები გამოხატავენ თანხმობას გამოძიების ჩატარებაზე.

ფაქტების დამდგენი საერთაშორისო კომისიის დაარსება არის წინ გადადგმული ნაბიჯი გამოძიების იმ მექანიზმთან შედარებით, რომელსაც შეიცავს 1949 წლის ჟენევის კონვენციები. კომისიის დამოუკიდებლობა მთავრობების მხრიდან ჩარევის თვალსაზრისით და პროცედურების საკუთარი წესების შემუშავების უნარი მრავლისმთქმელია. მაგრამ მაინც არსებობს პრობლემები, რომლებსაც შესაძლოა წააწყდეს კომისია. როგორც უკვე აღინიშნა, მოცემული საკონტროლო მექანიზმის სავალდებულო ხასიათი მხოლოდ იმ სახელმწიფოებს ეხება, რომლებმაც მისი კომპეტენცია ცნეს. I ოქმის მიღების მომენტიდან 1991 წლის ბოლომდე, ე.ი. 14 წელიწადში 22-მა სახელმწიფომ გააკეთა განაცხადი 90-ე მუხლის შესაბამისად. მათგან მხოლოდ ალჟირი, ჩილე, ურუგვაი და ახალი ზელანდია ითვლებიან არაევროპულ ქვეყნებად. აქედან გამოდის, რომ მსოფლიოს რეგიონების უმრავლესობას ჯერ კიდევ არ შეხებია ეს საკონტროლო მექანიზმი, თუმცა 2008 წლისათვის იმ სახელმწიფოთა რიცხვი, რომლებმაც გააკეთეს განცხადება კომისიის კომპეტენციის აღიარების შესახებ, 70-მდე გაიზარდა, ე.ი. 3-ჯერ და მეტად.

3. მფარველ სახელმწიფოთა მაკონტროლებელი საქმიანობა. მფარველი სახელმწიფო წარმოადგენს ნეიტრალურ სახელმწიფოს, რომელიც მეომარ მხარეთა თანხმობით ხელს უწყობს სჰს-ის ნორმათა დაცვას და ახორციელებს კონტროლს ერთი მხარის ტერიტორიაზე, წარმოადგენს რა მეორე მხარის ინტერესებს.

შეიარაღებული კონფლიქტის აღმოცენების შემთხვევაში, მეომარი მხარის მთავლეობაში შედის მფარველი სახელმწიფოს დანიშვნა (I-II კონვენციების ძუხ. 8, IV კონვენციის მუხ. 9).

მფარველ სახელმწიფოთა ინსტიტუტებმა იურიდიული განმტკიცება პირველად ჰპოვეს 1929 წლის ჟენევის კონვენციაში, რომელიც სამხედრო ტყვეთა მიმართ მოპყრობას ეხება. II განყოფილებაში, რომელსაც ეწოდება „კონტროლის ორგანიზაცია“, აღნიშნულია, რომ მაღალი მომლაპარაკებელი მხარეები აღიარებენ, რომ კონვენციის რეგულარული გამოყენების გარანტად ითვლება თანამშრომლობა მფარველ სახელმწიფოთა შორის, რომელთა ინტერესებში შედის მეომარ მხარეთა ინტერესების დაცვა. მფარველ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ან მათ უფლებამოსილ დელეგატებს უნდა ჰქონდეთ უფლება გამონაკლისის გარეშე ეწვიონ ნებისმიერ ადგილს, სადაც შეიძლება ტყვეები იყვნენ. მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, შევიდნენ ნებისმიერ შენობაში, სადაც ტყვეები იმყოფებიან და ესაუბრონ მათ მოწმეთა გარეშე, როგორც პირადად, ისე, თარჯიმნის დახმარებით. მეომარ მხარეებს შეუძლიათ დაუშვან ერთი ეროვნების ტყვეთა და წარმომადგენელთა ყოფნა ინსპექციის ჩატარების პროცესში (მუხ. 86). შემდგომში 1949 წლის ჟენევის კონვენციებმა გააფართოვეს მზრუნველ სახელმწიფოთა მანდატი. ასე, III კონვენციის 126-ე მუხლის თანახმად, მზრუნველ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ან დელეგატებს უფლება აქვთ, ეწვიონ იმ ადგილებს, სადაც სამხედრო ტყვეები იმყოფებიან. კერძოდ, ინტერნირების, პატიმრობის, სამუშაო ადგილები, ყველა შენობას, რომლებითაც სამხედრო ტყვეები სარგებლობენ; ასევე ტყვეთა გამგზავრების, ტრანზიტის ან ჩასვლის ადგილები და ა.შ.

მზრუნველ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს და დელეგატებს სრული თავისუფლება ეძლევათ მათთვის სასურველი ადგილების მონახულების თვალსაზრისით; ამ მონახულების რაოდენობა და ხანგრძლივობა არ არის შეზღუდული. ამის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ დაჟინებითი სამხედრო აუცილებლობით და განსაზღვრული დროით.

მფარველ სახელმწიფოთა დანიშნულება ჟენევის კონვენციების და I დამატებითი ოქმის შესაბამისად, გულისხმობს შემდეგ პირობებს:

1) ნებისმიერი მთავრობა, რომელსაც მიმართავენ თხოვნით, რომ გამოვიდეს მფარველი სახელმწიფოს როლში, უფლებამოსილია არ დაეთანხმოს ამ თხოვნას;

2) კონფლიქტის ერთი მხარე არ არის ვალდებული მიიღოს მეორე მეომარი მხარის წინადადება;

3) თუ მფარველი სახელმწიფო არ არის დანიშნული ან ამტკიცებული შეიარაღებული კონფლიქტის აღმოცენებისას, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი სთავაზობს თავის კეთილ სამსახურს კონფლიქტში მყოფ მხარეებს, მათი თანხმობით, მზრუნველ სახელმწიფოთა დანიშვნის მიზნით.

თუ ამის შედეგადაც მზრუნველი სახელმწიფოები არ არიან დანიშნული ან არ მოქმედებენ, მეომარი მხარეები დაუყოვნებლივ იღებენ საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის ან ნებისმიერი სხვა ორგანიზაციის წინადადებას, რომლებიც წარმოადგენენ მიუმხრობლობისა და იმის გარანტიებს, რომ იმოქმედებენ, როგორც სუბსტიტუტები ზემოაღნიშნულ მხარეებთან კონსულტაციების შემდეგ. ასეთი სუბსტიტუტის საქმიანობა განპირობებულია კონფლიქტში მყოფ მხარეთა თანხმობით (I ოქმის მუხ. 5). მიუხედავად მზრუნველ-სახელმწიფოთა დანიშვნის აშკარა აუცილებლობისა, ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ ჟენევის კონვენციების მიღების (1949 წ.) შემდეგ, ეს ინსტიტუტი პრაქტიკულად არ ფუნქციონირებდა. მას ოთხჯერ მიმართეს: 1956 წლის სუეცის კრიზისის დროს, გოას ტერიტორიის გამო არსებული კონფლიქტის დროს, 1961 წელს ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტთან დაკავშირებით და ინგლის-არგენტინის კონფლიქტში, ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების გამო (1982 წ.).

1) წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მაკონტროლებელი საქმიანობა. ამ კომიტეტის მოღვაწეობა სპს-ის ნორმების თავიდან აცილების მიზნით, საკმაოდ რთულია იმის გამო, რომ სწორედ სახელმწიფოებზეა დაკისრებული პასუხისმგებლობა სპს-ის ნორმათა დაცვისათვის და მათი დარღვევის აღკვეთისათვის. ამ ორგანიზაციამ თავისი არსებობის მანძილზე შეიმუშავა საქმიანობის საკმაოდ საიმედო ფორმები, შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დასახმარებლად, ჰუმანიტარული ნორმების დაცვაზე კონტროლის განხორციელების ჩათვლით. მაკონტროლებელი ფუნქციების განხორციელების მეთოდები შეიძლება იყოს შემდეგი:

– კომიტეტის დელეგატების მიერ იმ რეგიონების, ადგილების. მონახულება, რომლებიც მათთვის არის საინტერესოა;

– სჰს-ის ნორმათა დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა.

კომიტეტის მოღვაწეობის გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს მისი დელეგატების მიერ სხვადასხვა რეგიონის მონახულება ჰუმანიტარული ნორმების დაცვის შემოწმების მიზნით. კომიტეტი აცნობებს ხელისუფლებას ყველა მოქმედების, ხარვეზის შესახებ, რომლებიც, მისი თვალსაზრისით, ეწინააღმდეგება საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს. მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით, ასეთი შეტყობინებები კეთდება სხვადასხვა ფორმით, დაწყებული შენიშვნიდან, რომელიც მიეცა სამხედრო ტყვეთა ბანაკის უფროსს, დამთავრებული კომიტეტის პრეზიდენტის მოხსენებით დაინტერესებული მთავრობისადმი. კომიტეტის საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს ასეთ შემთხვევაში წარმოადგენს, მაგალითად, III კონვენციის მუხ. 126 და IV კონვენციის მუხ. 143, რომლებიც ეხება იმ ადგილების მონახულების უფლებას, სადაც სამხედრო ტყვეები და ინტერნირებულები იმყოფებიან. ამ შემთხვევაში კომიტეტს აქვს ნათლად ფორმირებული უფლებამოსილება: სამხედრო ტყვეთა და სამოქალაქო ინტერნირებულ პირთა მონახულების უფლება. სახელმწიფოს, თავის მხრივ, არ აქვს ამ პირთა ინტერესების დასაცავად კომიტეტის მოქმედებისათვის ხელის შეშლის უფლება.

კომიტეტის მოქმედებას, როგორც წესი, კონფიდენციალური ხასიათი აქვს. თუმცა, სერიოზული და განმეორებადი დარღვევების დადგენის შემთხვევაში, თუ კომიტეტი ამის აუცილებლობას დაინახავს, შეუძლია, აღმოჩენილი ფაქტები დაიყვანოს საზოგადოებრიობის ყურამდე, გაახმოვანოს ისინი, მოითხოვოს მათი აღკვეთა, გააფრთხილოს შესაბამისი მხარეები შესაძლო საშიშროებებსა და შედეგებზე, რომლებიც არამარლთზომიერ მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს.

კომიტეტი იშვიათად მიმართავს საჯარო დემარშებს და ისიც გარკვეული პირობების არსებობისას:

1) თუ სჰს-ის დარღვევები საკმაოდ სერიოზულია;

2) თუ საზოგადოებრივი აზრის ინფორმირება ხდებოდა დაზარალებულ ან საფრთხეში მყოფ პირთა ან მოსახლეობის ინტერესების დასაცავად;

3) თუ კომიტეტის დელეგატები იყვნენ ამ დარღვევათა უშუალო თვითმხილველნი ან თუ ეს დარღვევები საყოველთაოდ იყო ცნობილი.

სახელმწიფოების მიერ სჰს-ის ნორმათა დარღვევის ან მათ მიერ ჟენევის რამდენიმე დებულების გამოუყენებლობის, ან არასწორად გამოყენების შესახებ საჩივრების განხილვას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც კომიტეტს შეუძლია განახორციელოს უშუალო მოქმედებები ამ პირთა ინტერესების დასაცავად. ამ შემთხვევაში კომიტეტის დელეგატები ავლენენ მაღალ აქტივობას. ამასთან, დასახელებულ საჩივართა განხილვის ეფექტურობა საკმაოდ მაღალია იმის გამო, რომ მაგალითად, სამხედრო ტყვეთა და ინტერნირებულ პირთა ბანაკის მონახულებისას, კომიტეტს შეუძლია, უშუალოდ მიმართოს მისთვის ცნობილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით.

ზემოთ ჩამოთვლილ კონტროლის მეთოდებთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, შეუძლია თუ არა კომიტეტს, მიიღოს მონაწილეობა კონვენციის და ოქმის დარღვევის ფაქტების დამდგენი გამოძიების ჩატარებაში, თუ მან მიიღო ასეთი თხოვნა მეომარი მხარეებისაგან? ასეთი გამოძიების სირთულე მის მიღებაში მდგომარეობს. ჟენევის კონვენციებით (კონვენცია I - მუხ. 52; კონვენცია II – მუხ. 149), არ არის გათვალისწინებული მისი მონაწილეობა ასეთ გარემოებაში. კომიტეტი არასდროს მიისწრაფოდა, გამოსულიყო გამოძიების ორგანოს როლში, რამდენადაც ეს არ შეესაბამება მისი – ნეიტრალური და მიუკერძოებული ორგანიზაციის სტატუსს. უკვე მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტმა განისაზღვრა საკუთარი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც დღემდე უცვლელი რჩება და იმაში მდგომარეობს, რომ კომიტეტს არ შეუძლია დაიწყოს გამოძიება საკუთარი ინიციატივით. მაქსიმუმ, რის გაკეთებაც მას შეუძლია, ეს არის მონაწილეობა საგამოძიებო კომისიის შექმნაში, თუ დაინტერესებული მხარეები მას ასეთი თხოვნით მიმართავენ.

საერთაშორისო პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც გაერო იმ ფაქტების გამოძიებით იყო დაკავებული, რომლებიც დაკავშირებულია მეომარი სახელმწიფოების მიერ სჰს-ის ნორმათა შესრულების შემოწმებასთან. ასე, ირან-ერაყის ომის დროს ერაყის მთავრობამ ირანს ბრალი დასდო სამხედრო ტყვეების მიმართ მოპყრობის შესახებ ჟენევის კონვენციის დარღვევაში და სთხოვა გაეროს გენერალურ მდივანს, გაეგზავნა თავისი წარმომადგენელი ირანში, შესაბამისი ფაქტების დადგენის მიზნით. ირანის თანხმობის შემდეგ, აუცილებელი კომპეტენციით აღჭურვილი და მიუკერძოობლობით ცნობილი სამი ემისარი ეწვია სამხედრო ტყვეთა ბანაკს ირანში და დაკითხა დატყვევებულები. მისიამ თავისი დასკვნები წარუდგინა გაეროს გენერალურ მდივანს, რომელმაც, თავის მხრივ, მოხსენება გააკეთა უშიშროების საბჭოს სხდომაზე, კონფლიქტის მხარეების მიერ ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა დაცვის შესახებ.

სახელმწიფოთა მაკონტროლებელი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ვალდებულებების შესრულება ომის წარმოების აკრძალული საშუალებების მიმართ.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მიღებული საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტები, ჟენევის 1925 წლის ოქმის ჩათვლით, არ შეიცავს დებულებებს კონტროლის შესახებ. მომდევნო წლებში იარაღის ახალი, განსაკუთრებით, მასობრივი მოსპობის იარაღის შექმნასთან დაკავშირებით, სახელმწიფოებმა დაიწყეს ერთობლივი მოქმედება პროგრესის მისაღწევად, მისი სრული განადგურების გზაზე, რათა აღარასდროს გაჩნდეს მისი გამოყენების ცდუნება. აღებულ ვალდებულებათა შესრულების გარანტიის სრული უზრუნველყოფისათვის აუცილებელი გახდა საერთაშორისო კონტროლის სისტემის შექმნა.

მაგალითად, ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის დამუშავების, წარმოების და მარაგის დაგროვების შესახებ არსებული კონვენციით, გათვალისწინებულია სახელმწიფოების კონსულტაციისა და თანამშრომლობის მექანიზმი ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს კონვენციის დებულებათა შესრულებასთან დაკავშირებით.

ნებისმიერ სახელმწიფოს უფლება აქვს საჩივარი შეიტანოს გაეროს უშიშროების საბჭოში, თუ მას აქვს საფუძველი ივარაუდოს, რომ რომელიმე მონაწილე სახელმწიფო მოქმედებს კონვენციის დებულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევით. და მაინც, კონვენცია არ შეიცავს შემოწმების ეფექტურ მექანიზმს. თვით ფუძემდებლური IV კონვენციის I მუხლის დებულებებშიც კი არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო კონტროლის კონკრეტული გზები. სპეციალური სამუშაო ჯგუფი (შექმნილი 1991 წელს, კონვენციის მოქმედების შემსწავლელი კონვენციის მიერ), 1995 წლიდან აწარმოებს მოლაპარაკებებს იურიდიულად დამავალდებულებელი დოკუმენტის შესამუშავებლად, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საკითხთან მიმართებაში. ასე, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დელეგაციებს სთავაზობდნენ დამატებითი ოქმის შემუშავებას, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა ღონისძიებები კონტროლის მექანიზმის გასაძლიერებლად.

კონვენციის მოქმედებების განხილვის მიზნით გამართულ კონფერენციებზე, გათვალისწინებული იქნა ნაბიჯები ბიოტექნიკური საქმიანობის ტრანსპარანტულობის გასაძლიერებლად: მონაწილე სახელმწიფოებმა ვალდებულებები იკისრეს მონაცემთა გასაცვლელად, კვლევითი ცენტრების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, მოცულობის, დასრულებისა და ადგილმდებარეობის მითითებით.

კონვენციის დებულებებთან ერთობლიობაში, მსგავსი პოლიტიკური ვალდებულებები ქმნიან „კონვენციის რეჟიმს“, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია მისი ფუნქციონირება როგორც საერთაშორისო-სამართლებრივი აქტისა. იგი არის მის მიერ გათვალისწინებული მოვალეობებისა და უფლებების ცხოვრებაში გატარების გარანტია.

ბუნებრივ გარემოზე სამხედრო ან ზემოქმედების ნებისმიერი სხვაგვარი მტრული საშუალების გამოყენების აკრძალვის შესახებ არსებული კონვენცია (1977 წ.) ითვალისწინებს მონაწილეთა თანამშრომლობას მის დებულებათა დაცვის შემოწმებასთან დაკავშირებით; კონსულტაციების ჩატარება, შესაძლებელია შესაბამისი საერთაშორისო პროცედურების გამოყენების გზით, გაეროს ჩარჩოებში მისი წესდების შესაბამისად. კონვენციის

შესრულების ნებისმიერი საკითხის გარკვევის მიზნით, დეპოზიტარს, მონაწილე სახელმწიფოს თხოვნის მიღების შემდეგ, შეუძლია მოიწვიოს ექსპერტთა საკონსულტაციო კომიტეტი, რომელიც არკვევს საქმის ფაქტობრივ ვითარებას და დეპოზიტარს უგზავნის დოკუმენტს, რომელიც შეიცავს ყველა წარმოდგენილ თვალსაზრისსა და ინფორმაციას.

ყოველ მონაწილე სახელმწიფოს ასევე აქვს უფლება, შეიტანოს საჩივარი გაეროს უშიშროების საბჭოში, თუ მას აქვს მონაცემები, რომ რომელიმე სხვა მონაწილე-სახელმწიფო მოქმედებს კონვენციის დებულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევით. ასეთ საჩივარს თან უნდა ახლდეს ყველა სათანადო ინფორმაცია და მტკიცებულება, რომლებიც ადასტურებს მის საფუძვლიანობას. კონვენციის მონაწილეები კისრულობენ ვალდებულებას, რომ ითანამშრომლებენ ნებისმიერი გამოძიების ჩატარებაში, რომლებსაც შეიძლება მიმართოს უშიშროების საბჭომ, გაეროს წესდების შესაბამისად, საბჭოს მიერ მიღებული საჩივრის საფუძველზე.

კონვენციით გათვალისწინებულია კონფერენციის პერიოდული მოწვევა, რათა დარწმუნებული იყვნენ, რომ მისი მიზნები და დებულებები ხორციელდება აგრეთვე იმისათვის, რომ მოხდეს ბუნებრივ გარემოზე სამხედრო ან ნებისმიერი სხვაგვარი ჩარევის გამორიცხვის მიზნით დებულებების განხილვა.

როგორც უკვე აღინიშნა, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან გააკეთონ განცხადება,- რომელშიც აცნობებენ ქიმიური იარაღის ადგილსამყოფელს. კონვენციით ასევე გათვალისწინებულია მონაწილე სახელმწიფოთა მთელი რიგი ვალდებულებები, მისი შესრულების შემოწმებასთან დაკავშირებით:

1) ყველა ადგილი, სადაც ინახება ან ნადგურდება ქიმიური იარაღი (ძველი და მიტოვებული ქიმიური იარაღის გარდა), ექვემდებარება სისტემურ შემოწმებას ინსპექციის მიერ ადგილზე და შესაბამისი ხელსაწყოების გამოყენებით, დებულების შესაბამისად;

2) სახელმწიფოს მიერ ქიმიური იარაღის არსებობისა და მისი ადგილსამყოფელის შესახებ არსებული ინფორმაციის წარ-

მოდგენის შემდეგ, სახელმწიფო მისაწვდომს ხდის ქიმიურ იარაღს, ადგილზე სისტემატური ინსპექტირების მიზნით;

3) დადგენილ ვადებში აწოდებენ ქიმიური იარაღის განადგურების დაწვრილებით გეგმებს;

4) ყოველწლიურად აწოდებენ განცხადებებს ქიმიური იარაღის განსაზღვრული მარაგების განადგურების გეგმების შესახებ, დადგენილ ვადებში.

კონვენციაში ლაპარაკია აგრეთვე იმ საქმიანობასთან დაკავშირებული შემოწმების ღონისძიებათა შესახებ, რომელიც აკრძალვას არ ექვემდებარება. მაგალითად, იმის შესახებ, რომ ტოქსიკური ქიმიკატები და მათი პრეკურსორები მუშავდებოდეს, იწარმოებოდეს, შეიძინებოდეს. შესაბამისად ინახებოდეს და გამოიყენებოდეს სახელმწიფოთა ტერიტორიის ფარგლებში, ნებისმიერ სხვა ადგილას მისი იურისდიქციის ან კონტროლის ქვეშ (მუხ. VI). კონვენციის დებულებების შესრულების შემოწმებისაკენ მიმართული საკონტროლო საქმიანობის პროცედურული საკითხები ასახულია მრავალრიცხოვან დამატებებში.

ამგვარად, სჰს-ში არსებობს კონტროლის სხვადასხვა ფორმა და მეთოდი, რომლებიც მოწოდებულია, ხელი შეუწყოს სახელმწიფოთა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. ამავე დროს, მაკონტროლებელი საქმიანობა ამ სფეროში მოითხოვს შემდგომ სრულყოფას და დარეგულირებას სჰს-ის ნორმათა ეფექტურობის ამაღლებისათვის, როგორც საერთაშორისო ხასიათის, ასევე არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში ეფექტური მექანიზმის შემუშავებისათვის.

თავი XII

სახელმწიფოთა და ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობის პრობლემა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში

§1. ომიხ დამთავრების სამართლებრივი შედეგები

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართალი კრძალავს ომის წარმოებას, ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, იგი არის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც მშვიდობის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა იქნას შეწყვეტილი, რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში. ამის ურთ-ერთ სერიოზულ წანამძღვრად ითვლება პირობების შექმნა მეომარ სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობების აღსადგენად.

ომის დამთავრება კი არის იურიდიული ფაქტი, რომელიც სხვადასხვა საშუალებებით ფორმდება. ამ საშუალებათაგან მთავარია სამშვიდობო ხელშეკრულების დადება, რითაც აღდგება მშვიდობიანი ურთიერთობა, გადაწყდება ტერიტორიული დავა, განისაზღვრება სამხედრო ტყვეთა ბედი, სამხედრო დამნაშავეთა დასჯის ვალდებულება, რეგულირდება შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო წარმოების შეზღუდვის საკითხები, დგინდება რეპარაციის, რესტიტუციისა და სხვა საკითხები.[1]

დაზავება შეიძლება იყოს საერთო ან ადგილობრივი (ჰააგის შეთანხმების 37-ე მუხლი, სახმელეთო ომის კანონების დაწესების შესახებ).

საერთო დაზავება წყვეტს სამხედრო მოქმედებებს. ამასთან, ეს ვრცელდება ომის მთელ თეატრზე და ამის გამო წარმოადგენს არა მარტო სამხედრო, არამედ პოლიტიკურ აქტს. ამიტომ ის ფორმდება მეომარი მხარეების მიერ სახელმწიფო ორგანოების სახელით. გარკვეულ გარემოებებში, საერთო დაზავებას შეუძლია არა მარტო შეაჩეროს საომარი მოქმედებები, არამედ მოახდინოს კიდეც მათი შეწყვეტა. მაგალითად შეიძლება

---

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, (ლექსიკონი-ცნობარი), თბ. 2003წ. გვ. 213

მოვიტანოთ შეთანხმება სამხედრო დაზავების შესახებ კორეაში, 1953 წლის 27 ივლისს, შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ალჟირში, 1962 წლის 18 მარტს.

დაზავების უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დროის დადგენას დაზავების შესახებ შეთანხმების ძალაში შესასვლელად და ამ შეთანხმების შედეგად, ვადის განსაზღვრისათვის. მხარეები თვითონ წყვეტენ, როდის შევა ძალაში შეთანხმება საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ: მისი ხელმოწერისთანავე თუ განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ. თუ დაზავების პირობებში არ არის განსაზღვრული მისი მოქმედების ვადა, ყოველ მხარეს აქვს საომარი მოქმედებების ნებისმიერ დროს განახლების უფლება, თუ ამის შესახებ წინასწარ გააფრთხილებს მეორე მხარეს. ეს დებულება მიუღებელია საერთო დაზავებისათვის, რამდენადაც ის არ არის გადამწყვეტი ნაბიჯი მშვიდობის დამყარებისათვის. მისი დარღვევა ფასდება როგორც აგრესიის აქტი.

ამგვარად, არ დაიშვება საერთო დაზავების დარღვევა და განხილული უნდა იქნას როგორც უვადო დაზავების ნებისმიერი არსებითი დარღვევა, რაც ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარეს აძლევს მასზე უარის თქმის უფლებას და უკიდურეს შემთხვევაში, საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივი განახლების უფლებასაც კი. თუმცა, დაზავების პირობების დარღვევა საკუთარი თაოსნობით მოქმედი ცალკეული პირების მიერ, ქმნის იმის უფლებას, რომ მოითხოვონ დანაშაულთა დასკვნა და ზარალის ანაზღაურება, თუ ასეთს ადგილი აქვს (მუხ. XL და XLI ჰააგის შეთანხმებისა, სახმელეთო ომის კანონებისა და წესების შესახებ).

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი გულისხმობს დაზავების შეთანხმების დადებას გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებითა და კონტროლით, შესაბამისად, გაეროს წესდების მე-40 მუხლისა „დროებითი ღონისძიებების შესახებ", რომელიც შეიძლება შეიცავდეს, კერძოდ, ცეცხლის შეწყვეტას, ჯარების გადაყვანას წინასწარ დაკავებული პოზიციებიდან და ა.შ.

ადგილობრივ დაზავებას მიზნად აქვს ცალკეული სამხედრო ქვედანაყოფებს შორის საომარი მოქმედებების შეწყვეტა, საომარი მოქმედებების თეატრის შეზღუდულ უბანზე, რათა

შესაძლებელი იყოს დაჭრილებისა და ავადმყოფების გაყვანა, დაღუპულთა დასაფლავება, ალყაშემორტყმული რაიონებიდან ქალებისა და ბავშვების ევაკუირება (ჟენევის კონვენციის მუხ. 17). ანალოგიურ დებულებას შეიცავს ჟენევის კონვენციის მე-15 მუხლი, დაჭრილებისა და ავადმყოფების ხვედრის გაუმჯობესების შესახებ, რომელშიც ნათქვამია: „ყოველთვის, როდესაც ვითარება ამის საშუალებას იძლევა, უნდა დაიდოს ხელშეკრულება დაზავების შესახებ ან ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, ან ადგილობრივი შეთანხმებები, რათა მოხდეს ბრძოლის ველზე დარჩენილი დაჭრილებისთვის დახმარება, მათი ტრანსპორტირება, აგრეთვე, მათი გაცვლა. ასევე, კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის, შესაძლებელია ადგილობრივი შეთანხმებების დადება ალყაშემორტყმული რაიონებიდან დაჭრილებისა და ავადმყოფების ევაკუაციის, მათი გაცვლის და ამ ზონაში სანიტარული და სასულიერო პერსონალის დაშვების მიზნით“. დროებითი დაზავების ამოცანების განხორციელების შემდეგ შესაძლებელია საომარი მოქმედებების განახლება. ადგილობრივი დაზავების ამოცანათა შეზღუდული ხასიათი, მისი ხანმოკლეობა გულისხმობს მასში მეთაურთა შემადგენლობის მიერ საკითხის გადაწყვეტას, თუ კანონები და სამხედრო წესდებები სხვა წესს არ ითვალისწინებენ.

კაპიტულაცია წარმოადგენს საომარი მოქმედებების შეწყვეტის მეორე ფორმას. მისი სახესხვაობაა უსიტყვო კაპიტულაცია. იგი კაპიტულაციისაგან იმით განსხვავდება, რომ დამარცხებული მხარე გამარჯვებულთან ფორმალურ თანასწორობასაც კი კარგავს.

უსიტყვო კაპიტულაციის დროს დამარცხებული სახელმწიფო (სამხედრო ნაწილი) გამარჯვებულს ნებდება ყოველგვარი წინასწარი პირობის გარეშე. ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, ხდება საომარ მოქმედებათა შეწყვეტა ყველა ფრონტზე. ომის დამთავრება ფორმდება „ომის მდგომარეობის შეწყვეტის აქტით“, რაც სამშვიდობო ხელშეკრულების სახეს იღებს. ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია შემდეგი საკითხები: 1) ომის მდგომარეობის შეწყვეტა და მშვიდობიან ურთიერთობათა აღდგენა; 2) ტერიტორიული საკითხები; 3) რეპარაციის, რესტიტუციისა და ზარალის ანაზღაურების სხვა საშუალებათა გამ-

ოყენების საკითხები; 4) სამხედრო ტყვეთა, ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა გაცვლა; 5) ომამდე დადებულ ხელშეკრულებათა ბედის გადაწყვეტა; 6) პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობათა საკითხები; 7) სხვადასხვა სახის კომისიების შექმნისა და მუშაობის საკითხები (მაგ., სადემარკაციო კომისიისა, რესტიტუციის საკითხთან დაკავშირებული კომისიისა და სხვ).[1]

მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის ტოტალური დამარცხების შემდეგ, თითოეულმა მათგანმა მოაწერა ხელი უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ვერც დაზავება და ვერც კაპიტულაცია ვერ წყვეტენ ომის მდგომარეობას. თუმცა საერთაშორისო ურთიერთობებმა ომის შემდგომ პერიოდში ამ საყოველთაოდ აღიარებულ მდგომარეობაში ცვლილებები შეიტანა. მაგალითად, ზემოთ ნახსენებმა შეთანხმებამ კორეაში დაზავების შესახებ (1953 წ.), აგრეთვე, შეთანხმებამ საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ ვიეტნამში (1973 წ.), არა მარტო საომარი მოქმედებები შეაჩერა, არამედ ომის მდგომარეობაც და ამით აღადგინა მშვიდობა ამ ქვეყანაში. თუმცა, ომის მდგომარეობის შეწყვეტა დაზავების შესახებ შეთანხმებით, არის არა წესი, არამედ გამონაკლისი.

ომის მდგომარეობის შეწყვეტის ძირითად საერთაშორისო-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს სამშვიდობო ხელშეკრულების დადება. შინაარსით იგი საკითხთა ფართო წრეს მოიცავს: ომის მდგომარეობის შეწყვეტა, მშვიდობიან ურთიერთობათა აღდგენა. აგრეთვე, სამხედრო ბოროტმოქმედთა პასუხისგებაში მიცემა, ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტა, სამხედრო ტყვეთა გაცვლა, ქონების, ზარალის ანაზღაურება და ა.შ.

ომის მდგომარეობა მეომარ სახელმწიფოთა შორის წყდება აგრეთვე ისეთი გზებით, როგორიცაა: ცალმხრივი ან ორმხრივი დეკლარაცია, რაც არ გამორიცხავს მომავალში მათ შორის სამშვიდობო ხელშეკრულებათა დადებას.

---

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, (ლექსიკონი-ცნობარი), თბ. 2003წ. გვ. 214

1) ცალმხრივი დეკლარაციის მიღება, ე.ი. სახელმწიფოთა შორის არ წარმოებს მოლაპარაკებები და მშვიდობიან ურთიერთობათა აღდგენა წარმოადგენს ერთი მხარის ინიციატივის შედეგს. მაგ., 1955 წელს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება „საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის სამართლებრივი მდგომარეობის შეწყვეტის შესახებ", რომლის მიხედვითაც არა-მარტო შეწყდა სამართლებრივი მდგომარეობა, არამედ აღდგენილ იქნა მშვიდობიანი ურთიერთობა, ძალა დაეკარგა გერმანელ მოქალაქეთა მიმართ შეზღუდვებს. ომის შეწყვეტის ეს ფორმა ცალმხრივი დეკლარაციის სახეს ატარებდა.[1]

2) ომის შემდგომ პრაქტიკაში ცნობილია ომის შეწყვეტის სხვა ფორმებიც. მაგ., 1956 წელს სსრ კავშირმა და იაპონიამ ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, რომლის მიხედვითაც მათ შორის შეწყდა 1945 წელს დაწყებული სამართლებრივი მდგომარეობა, აღდგა დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობები, გათავისუფლებულ და რეპატრიირებულ იქნენ სსრ კავშირში მსჯავრდებული იაპონელი სამხედრო ტყვეები და მოქალაქეები, მაგრამ დღემდე არ დადებულა სამშვიდობო ხელშეკრულება ტერიტორიული საკითხების მოუგვარებლობის გამო.[2] ორმხრივი დეკლარაციის მიღებაა, როდესაც ომის მდგომარეობა წყდება მოლაპარაკებების შედეგად.

ომის დამთავრების სამართლებრივი შედეგები, როგორც მეომარი, ისე ნეიტრალური სახელმწიფოებისათვის, მდგომარეობს შემდეგში:

– წყდება სპს-ის იმ ნორმების გამოყენება, რომლებიც ეხება მეომარ სახელმწიფოთა სამართლებრივ მოქმედებებს;

– აღდგება დიპლომატიური ურთიერთობები სახელმწიფოთა შორის;

– განახლდება ზოგიერთი ადრე დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედება;

– ხორციელდება სამხედრო ტყვეთა, აგრეთვე, ყოფილი მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამოქალაქო მოსახლეობის რეპატრიაცია;

---

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, (ლექსიკონი-ცნობარი), თბ. 2003წ. გვ. 214

[2] იქვე. გვ. 214.

– წყდება სახელმწიფოთა პოლიტიკური და მატერიალური პასუხისმგებლობის, ასევე, ფიზიკურ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები და სხვა.

ამგვარად, ომის დამთავრება შემდგომი პერიოდის ურთიერთობათა განვითარების მნიშვნელოვან და გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს, როდესაც სახელმწიფოები მთავრობათა შორის თანამშრომლობას ააქტიურებენ იმ საერთაშორისო-სამართლებრივ სფეროებში, რომლებიც მშვიდობიან ურთიერთობებზეა გათვლილი.

§2. სახელმწიფოებისა და ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობის ცნება და საფუძვლები სჰს-ის ნორმათა დარღვევისათვის

საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელმწიფოსა და ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობის პრობლემას, რაც დაკავშირებულია საერთაშორისო სამართლის სფეროში შემავალ ისეთ საკითხებთან, რომელთაც დამნაშავედ ცნობა ეწოდება და რომლის მიხედვითაც სახელმწიფო პასუხს აგებს მხოლოდ საკუთარ ქმედებებზე და შეცდომებზე. ამ შემთხვევაში იგულისხმება სამთავრობო აპარატი, მოსახლეობის გარეშე. სახელმწიფოს სამთავრობო აპარატში იგულისხმება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი. კერძო პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულზე სახელმწიფო არ არის პასუხისმგებელი.[1] ომის წარმოებას ჰუმანიტარული სამართლის შესაბამისად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც მოყვება. როდესაც ომის თავიდან აცილება არ ხერხდება, მაშინ იგი გარკვეული ჰუმანიტარული შეზღუდვების საფუძველზე უნდა წარმოებდეს. აღნიშნული შეზღუდვები მიზნად ისახავს სამხედრო ტყვეების, დაჭრილებისა და სამოქალაქო პირების დაცვას, ან გარკვეული სახის იარაღის აკრძალვას. ომის კანონების კოდიფიცირების ფაქტმა არ შეამცირა ჩვეულებითი სამართლის ნორმების როლი. მათ ას-

[1] პ. მალანჩუკი, აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2005წ. გვ. 287

ახეა პოვეს „მარტენსის დათქმაში", რაც ჰააგის 1899 წლის მეორე კონვენციაში არის მოცემული, თუმცა პროცესი, ნორმათა სრულყოფის თვალსაზრისით, დღესაც გრძელდება.

სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის პრობლემა გაჩნდა საერთაშორისო სამართლის ჩასახვის მომენტიდან. პასუხისმგებლობის დაწესება მიმართულია სახელმწიფოთა მიერ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების სახელშეკრულებო და ჩვეულებრივი ნორმების დაცვისაკენ, ე.ი. საერთაშორისო მართლწესრიგის უზრუნველყოფისაკენ. პასუხისმგებლობის ინსტიტუტი საერთაშორისო სამართალში, სწორედ მოწოდებულია, იყოს მისი განმტკიცების ერთ-ერთი გარანტი. სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველს წარმოადგენს მათ მიერ საერთაშორისო სამართალდარღვევათა ჩადენა.

საერთაშორისო სამართალდარღვევა, – ესაა იმ საერთაშორისო სამართლის სუბიექტის მოქმედება ან უმოქმედობა, რომელმაც დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები და მთელ სუბიექტს ან მთელ საერთაშორისო თანამეგობრობას მთლიანობაში მიაყენა მატერიალური ან არამატერიალური ხასიათის ზიანი (მაგალითად, აგრესიის, ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის აქტები, სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევა და ა.შ.).

საერთაშორისო სამართალდარღვევები ხასიათისა და სიმძიმის მიხედვით იყოფა საერთაშორისო დელიქტებად (გადაცდომად) და საერთაშორისო დანაშაულებად.

საერთაშორისო დელიქტი არის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს ცალკეულ სახელმწიფოს ან საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა შეზღუდულ წრეს. ასეთ საერთაშორისო სამართალდარღვევებს მიეკუთვნება მაგალითად, დისკრიმინაციული რეჟიმის დამყარება უცხოელთა განსაზღვრული კატეგორიისათვის, დიპლომატიური იმუნიტეტის, საეჭრო ვალდებულებათა, სჰს-ს ნორმათა დარღვევა, რასაც მძიმე შედეგები არ მოჰყვა.

საერთაშორისო დანაშაულები, ეს არის განსაკუთრებით სამში საერთაშორისო სამართალდარღვევა, რომელიც ხელყოფს სახელმწიფოსა და ერის სასიცოცხლოდ მნიშვნელო-

ვან ინტერესებს, ძირს უთხრის მათი არსებობის საფუძვლებს, საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს, ემუქრება მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

ამგვარად, საერთაშორისო პასუხისმგებლობა, ეს არის ნეგატიური იურიდიული შედეგები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ნორმების დამრღვევი სახელმწიფოსათვის დგება და ერთ-ერთი იურიდიული გარანტია ამ ნორმების დაცვისა და მიყენებული ზარალის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად.

პასუხისმგებლობა ჩნდება მხოლოდ სახელმწიფოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და მიყენებულ ზარალს შორის მასობრივი კავშირის არსებობის შემთხვევაში. ნაციონალური კანონებისა და წესების რაიმენაირი მომიზეზება საკუთარი ქცევის გასამართლებლად, რომელსაც საერთაშორისო სამართლის ნორმათა დარღვევა და ზიანის მიყენება მოჰყვა, დაუშვებელია. ასევე არ დაიშვება საერთაშორისო სამართლის არცოდნის მომიზეზება. პრაქტიკულად, ყველა საერთაშორისო სამართალდარღვევა წარმოადგენს წინასწარგანზრახულ სამართალდარღვევით ქმედებათა შედეგს.

საერთაშორისო დანაშაულობათა კლასიფიცირება ხელყოფის ობიექტის მიხედვით შემდეგ ჯგუფებად შეიძლება:

1. დანაშაულები მშვიდობის წინააღმდეგ. მათ მიეკუთვნება ისეთი ქმედებები, როგორიცაა აგრესიული ომის ან საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმებების, რწმუნებათა დარღვევისაკენ მიმართული საომარი მოქმედების დაგეგმვა, მომზადება, ან წარმოება, ან მონაწილეობა ნებისმიერ ზემოთ ჩამოთვლილი ქმედების განხორციელებისაკენ მიმართულ გეგმას ან შეთქმულებაში (პ. „ა“ მუხ. 6 საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებისა სასამართლოსათვის ან ევროპული ქვეყნების მთავარი სამხედრო დამნაშავეების დასჯისათვის).

2. სამხედრო დანაშაულები. ეს არის ჟენევის კონვენციების და მათი დამატებითი ოქმების სერიოზული დარღვევა. მათ მიეკუთვნება: შხამის ან მოწამლული იარაღის გამოყენება; იმ პირთა მუხანათური მკვლელობა ან დაჭრა, რომლებიც მიეკუთვნებიან მოსახლეობას ან მოწინააღმდეგის ჯარს; მოწინააღმდეგის მოკვლა ან დაჭრა, რომელსაც, დაყარა რა იარაღი, ან არა აქვს თავდაცვის შესაძლებლობა და აშკარად

დანებდა; იმის გამოცხადება, რომ არავის დაინდობენ; მომეტებული ტანჯვის მიმყენებელი იარაღის, ჭურვების ან ნივთიერებათა გამოყენება; საპარლამენტიორო ან ნაციონალური დროშის, სამხედრო ნიშნების, მოწინააღმდეგის ფორმის ტანსაცმლის უკანონო გამოყენება, მტრის საკუთრების განადგურება ან მიტაცება; მოწინააღმდეგის ქვეშევრდომებისათვის სასამართლო დაცვის უფლების ჩამორთმევა; დაუცველი ობიექტების დაბომბვა და სხვა ქმედებები; სამღვდელოებისა და საყდრების უაზრო ნგრევა და სხვა დანაშაულები.

შევნიშნავთ: თუ სახმელეთო ომის კანონებისა და წესების შესახებ არსებულ XXIII მუხლში (1907 წ.) მოცემულია მხოლოდ იმ აკრძალული ქმედებების ჩამონათვალი საომარი მოქმედებების დროს, რომელიც საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალების წესდებით მიეკუთვნება სამხედრო დანაშაულობებს (ომის კონვენციების და წესების დარღვევა), ჟენევის 1949 წლის ოთხივე კონვენციაში ისინი სერიოზულ დარღვევად განიხილება.

სხვათა შორის, I ოქმში მოცემული ანალოგიური ქმედებები იყოფა სერიოზულ დარღვევებად. ასევე ჟენევის კონვენციების და დამატებით ოქმში დაფიქსირებული დარღვევები კვალიფიცირდება როგორც სამხედრო დანაშაულები (I დამატებითი ოქმის მუხ. 85).

3. დანაშაულები ადამიანურობის წინააღმდეგ. აქ შედის მკვლელობები, განადგურება, დამონება, გადასახლება და სხვა სისასტიკეები, ჩადენილი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, მშვიდობიანობის და ომის დროს, ან დევნა, პოლიტიკური, რასობრივი და რელიგიური მოტივებით.

4. დანაშაულები, რომლებიც ხელჰყოფენ ერის ან ხალხების თვითგანვითარების უფლებას, აგრეთვე, საფრთხეს უქმნიან ცალკეულ ეროვნებებს, ჯგუფებს, რასებს. დანაშაულთა ამ ჯგუფში შედის გენოციდი, რასიზმი, აპართეიდი.

კონვენცია გენოციდის დანაშაულთა თავიდან აცილების და მისთვის დასჯის შესახებ (1948 წ.), წარმოადგენს მხარეთა პასუხისმგებლობას მშვიდობიანობის ან ომის დროს განხორციელებული ქმედებისათვის, რომლის მიზანსაც შეადგენს რომელიმე ნაციონალური, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურება. როგორც

ასეთი, ჯგუფებისათვის ისეთი წინასწარგანზრახული სასიცოცხლო პირობების შექმნა, რომლებიც გათვლილია მათ სრულ ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებაზე; ასეთ ჯგუფში ბავშვთა შობადობის გამორიცხვისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება; ერთი ჯგუფიდან მეორეში ბავშვების ძალადობრივი გადაყვანა. გარდა ამისა, დაისჯება შეთქმულება გენოციდის განხორციელების მიზნით ან მისი მცდელობისათვის, წაქეზება გენოციდის ჩასადენად და მასში მონაწილეობა.

საერთაშორისო კონვენცია დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (1996 წ.), კანონით დასჯადად აცხადებს ყველა იდეის გავრცელებას, რომელიც დაფუძნებულია რასობრივ უპირატესობაზე ან სიძულვილზე, ყოველგვარ წაქეზებაზე რასობრივი დისკრიმინაციისაკენ. აგრეთვე, ძალადობის ნებისმიერ აქტს და წაქეზებას ისეთი აქტების ჩასადენად, რომლებიც მიმართულია ნებისმიერი სახის ან კანის სხვა ფერის მქონე ჯგუფის, ან სხვაგვარი ეთნიკური წარმომავლობის მქონე პირთა წინააღმდეგ, ასევე ნებისმიერ დახმარებას რასისტული საქმიანობის ჩასატარებლად, მისი ფინანსირების ჩათვლით.

კონვენცია, აპარტეიდის დანაშაულთა აღკვეთისა და მათ გამო დასჯის შესახებ (1977წ.), განსაზღვრავს სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას არაადამიანური აქტების ჩატარებისათვის, რომელთა მიზანსაც შეადგენს ერთი რასობრივი ჯგუფის ბატონობის დამყარება და შენარჩუნება მეორე რასობრივ ჯგუფზე და მის სისტემატურ ჩაგვრას; რასობრივი ჯგუფის წევრის ან ჯგუფისათვის, სიცოცხლის ან პიროვნების თავისუფლების უფლების ჩამორთმევა სხვადასხვა სასტიკი ფორმით; რასობრივი ჯგუფის ან ჯგუფებისათვის სიცოცხლის განზრახ ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც გათვლილია მის მთლიან ან ნაწილობრივ განადგურებაზე; საკანონმდებლო ხასიათის ან სხვაგვარ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც გათვლილია იმაზე, რომ ხელი შეუშალოს რასობრივი ჯგუფის ან ჯგუფების მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში; მოსახლეობის დაყოფა რასობრივი ნიშნით იზოლირებული რეზერვაციების და გეტოს შექმნით, სხვადასხვა რასობრივი ჯგუფების წევრთა შო-

რის ქორწინების აკრძალვა; რასობრივი ჯგუფის ან ჯგუფების შრომის ექსპლუატაცია. კერძოდ, მათი იძულებითი შრომის გამოყენება, იმ ორგანიზაციებისა და პირთა დევნა, რომლებიც აპართეიდის წინააღმდეგ გამოდიან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეთოთხმეტე ქარის (დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ) XXVII თავის (დანაშაული კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ) 404-ე მუხლი კრძალავს აგრესიული ომის მომზადებას, წარმოებას ან გაჩაღებას, ასევე მოწოდებას აგრესიული ომის გაჩაღებისაკენ[1] და ითვალისწინებს მკაცრ სანქციებს, რაზედაც ცალკე გვექნება მსჯელობა.

5. დანაშაულები ბუნებრივი გარემოს წინააღმდეგ ან ბუნებრივი გარემოს მტრული მიზნებით გამოყენება. ეს არის, უწინარეს ყოვლისა, ეკოციდი, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო დანაშაული, რომელიც ზიანს აყენებს და მასობრივად ანადგურებს უშუალოდ ფლორასა და ფაუნას, წამლავს ატმოსფეროს, მიწისა და წყლის რესურსებს; ასევე, სხვა ქმედებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს და რომლებსაც შეუძლიათ ეკოლოგიური კატასტროფის გამოწვევა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (მუხ. 409), იგი ითვლება კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად.[2]

ნიურნბერგისა და ტოკიოს პროცესების შემდეგ გაეროს ჩარჩოებში განხორციელდა ღონისძიებები მშვიდობისა და კაცობრიობის უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კოდექსის შესამუშავებლად, რომლის პროექტზე მუშაობაც 1953 წელს დაასრულა გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიამ. თუმცა ეს პროექტი არ იქნა მოწონებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1954 წელს. გათვალისწინებულია დანაშაულობები: მშვიდობის წინააღმდეგ მიმარ-

---

[1] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (2011 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით), თბ. 2011წ. გვ.188.

[2] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ. 2003წ.

თული დანაშაულები, ომის დანაშაულები და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.

ეს დანაშაულები განსაზღვრულია ისეთ იურიდიულ წყაროებში, როგორებიცაა 1945 წლის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდება (ლონდონის წესდება მუხლი 6) და რუანდასა და ყოფილ იუგოსლავიაში, გენოციდისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირთა გასასამართლებლად შექმნილი საერთაშორისო ტრიბუნალების წესდებები და სხვა დოკუმენტები: მაგ. 1984 წლის კონვენცია, გენოციდის დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ (გენოციდის კონვენცია); 1949 ჟენევის ოთხი კონვენცია ომის მსხერპლთა დაცვის შესახებ; 1973 წლის საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპები იმ პირთა დაკავების, დაპატიმრების, გადაცემისა და დასჯის შესახებ, რომელთაც ბრალი ედებათ ომის დანაშაულების და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენაში (გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 3074 (XXVIII), 1973 წლის 3 დეკემბერი; ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ არსებულ ჟენევის ოთხი კონვენციის დამატებითი ოქმი (პირველი დამატებითი ოქმი); 1984 წლის კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის შესახებ (კონვენცია წამების წინააღმდეგ).

გამომრიცხავი პირობებით გათვალისწინებული მოცემული სამივე დანაშაული შესულია პერმანენტული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების პროექტში. კერძოდ: გენოციდი, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ომის დანაშაულები და მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. ზოგიერთი მძიმე ხასიათის დანაშაული შეიძლება ხვდებოდეს ერთზე მეტ კატეგორიაში. მაგალითად, გენოციდი შეიძლება ჩაითვალოს ომის დანაშაულადაც და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულადაც.

მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები გულისხმობს აგრესიული ომის დაგეგმვას ან წარმოებას, ანდა, ომის დაგეგმვასა და წარმოებას საერთაშორისო ხელშეკრულებათა დარღვევით. 1974 წელს, გენერალურმა ასამბლეამ

„აგრესია" განსაზღვრა, როგორც „სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალის გამოყენება, მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან გაეროს წესდებასთან შეუთავსებელი ნებისმიერი სხვა გზით". მოცემული დეფინიცია შენარჩუნდა საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ შემუშავებულ მშვიდობისა და კაცობრიობის უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კოდექსის პროექტში, რადგან მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას და საერთაშორისო მშვიდობას.

ომის დანაშაულების ამ კატეგორიაში იგულისხმება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და შეიარაღებული კონფლიქტის კანონების დარღვევები. ლონდონის წესების მე-6 (ბ) მუხლი ამ კატეგორიაში მოიაზრებს ისეთ დანაშაულებს, როგორებიცაა: სამოქალაქო მოსახლეობის ან სამხედრო ტყვეების მკვლელობა ან მათდამი უკანონოდ მოპყრობა, მძევლების მკვლელობა ანდა ქალაქებისა და სოფლების არასაჭირო განადგურება ან განადგურება, რომელიც არ არის გამართლებული სამხედრო აუცილებლობით. ომის დანაშაულებად ითვლება ასევე 1949 წლის ჟენევის კონვენციებითა და პირველი დამატებითი ოქმით გათვალისწინებული მძიმე დარღვევები, კერძოდ: განზრახ მკვლელობა, წამება ან სხვა არაჰუმანური მოპყრობა (ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩათვლით), პირის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის განზრახ მძიმე ზიანის მიყენება, განურჩეველი თავდასხმა, რომელიც ზიანს აყენებს სამოქალაქო პირებს ან მათ, ვინც ჩააბარა იარაღი, აგრეთვე მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება. ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის 1993 წლის წესდება ასევე შეიცავს ომის დანაშაულთა ფართო ჩამონათვალს. ომის დანაშაულები შეიძლება ჩადენილი იყოს სამოქალაქო ან სამხედრო პირების წინააღმდეგ როგორც საერთაშორისო, ისე შიდა კონფლიქტის დროს. ომის დანაშაულების ჩადენის გამო ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დადგომისათვის საჭირო არ არის კავშირის არსებობა ბარალეულობასა და სახელმწიფოს ან სახელმწიფოსმაგვარ ორგანიზაციას შორის.

საერთაშორისო სამართლის კომისიამ 1999 წელს მოამზადა კოდექსის ახალი პროექტი. მასში შესულია საერთაშორისო დანაშაულთა შემდეგი შემადგენლობები: აგრესია, აგრესიის მუქარა, სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევა, საზღვარგარეთული ბატონობის კოლონიური და სხვა ფორმები: გენოციდი, აპარტეიდი, ადამიანის უფლებების სისტემატური და მასობრივი დარღვევა, სერიოზული სამხედრო დანაშაულები, დაქირავებულთა გადაბირება, გამოყენება, დაფინანსება და სწავლება, საერთაშორისო ტერორიზმი, ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო მიმოქცევა, გარემოს წინაწარგანზრახული და სერიოზული ზიანი.

სეზანის უნივერსიტეტის საჯარო სამართლის პროფესორი ქსავიერ ფილიპი მსჯელობს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში სანქციების ეფექტურობის პრობლემაზე. მისი აზრით, „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევისათვის დაწესებული სანქციების არაეფექტურობა გამოწვეულია მთელი რიგი ფაქტორებით, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალზე კონტროლის განმახორციელებელი პირების უუნარობაა. უკეთ რომ ავხსნათ, მაკონტროლებელი იურისდიქციები ან ინსტიტუტები ვერ, ან არ ასრულებენ საკუთარ მისიას და ვერ, ან არ აკისრებენ სანქციებს ჩადენილი დარღვევებისათვის. ჩადენილი დარღვევების რაოდენობას თუ გავითვალისწინებთ, სანქციები საკმაოდ იშვიათად გამოიყენება და თუ გამოიყენება, ისინი საკმაოდ სუსტია დარღვევის ჩამდენების მიმართ. სამართლებრივ ტექსტებსა და რეალობას შორის არსებული ეს ხარვეზი წარმოადგენს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ერთ-ერთ კრიტიკულ საკითხს, რადგან ვერ ხერხდება სამართალდამრღვევთა დასჯა. ამ არაეფექტურობის შთაბეჭდილება (თუმცა გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე შთაბეჭდილება) გაულენას ახდენს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალზე და იმ სიტუაციებზე, რომელიც თავად უნდა აკონტროლოს.“[1]

მ. სასოლი მსჯელობს იმ გარემოებებზე, რომლებიც გამორიცხავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის

---

[1] ქ. ფილიპი, სანქციები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევისათვის. (სტატია გვ. 1).

დარღვევების დასჯადობას. მისი აზრით, სსკ ითვალისწინებს დასჯადობის გამომრიცხველ ეჭვს, გარემოებას. ესენია: თანხმობა, თავდაცვა, კონტრზომები, ფორსმაჟორი, თუმცა არ გამორიცხავს საერთაშორისო სამართლის სავალდებულო ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობას. ამის მაგალითად ის იხილავს საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს, იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალს და ასკვნის: სსკ მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი წესები არის სავალდებულო.

§3 სახელმწიფოთა პოლიტიკური და მატერიალური პასუხისმგებლობა

სამართლის თეორია იცნობს პოლიტიკური და ზნეობრივი პასუხისმგებლობის პრინციპს, თუმცა აღიარებულია, რომ პოლიტიკური პასუხისმგებლობის შეფასების საკითხი რთულია, რადგან ამ სისტემაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მაკიაველის აზრით, პოლიტიკოსმა, როდესაც სახელმწიფოებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობს, თუ კი საჭიროა, უნდა მიმართოს ძალადობას, ტყუილს, სისასტიკეს და ა.შ. ე.ი. „მიზანი ამართლებს საშუალებას". მ. ვებერმა „შეარიგა" ზნეობა და პოლიტიკა.[1]

საერთაშორისო სამართალში კი დამკვიდრდა სახელმწიფოთა პოლიტიკური და მატერიალური პასუხისმგებლობა, რომელიც ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად იქცა ჰუმანიტარული სამართლისათვის. ამ დარგში სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის ინსტიტუტის ფორმირება იწყება XVIIIს. ბოლოს. სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ არსებული დებულებები ხდებოდა ორმხრივ ხელშეკრულებათა დადგენის საგანი საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ. ასე მაგ., სან-სტეფანოს სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, რომელიც რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო 1878 წელს, მათ

[1] გ. ლობჟანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ. 2009წ.გვ 405-406

შორის ომის დამთავრების შემდეგ, თურქეთმა იკისრა ვალდებულება რუსეთისათვის 1.1140 მლრდ. მანეთი გადაეხადა, ხოლო მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად კი არმიის შენახვა, სამხედრო შეკვეთები, სამხრეთ სანაპიროსათვის მიყენებული ზიანი, ვაჭრობის, მრეწველობის, რკინიგზისათვის მიყენებული ზიანი, ზარალი, რაც კავკასიაში შეჭრამ გამოიწვია და ა.შ. თანხის დიდი ნაწილი შეიცვალა ტერიტორიის დათმობით თურქეთის მხრიდან.

სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის დადგენამ სჰს-ის ნორმათა დარღვევისათვის შემდგომი ასახვა მრავალმხრივ დონეზე ჰპოვა კონვენციაში სახმელეთო ომის კანონების და წესების შესახებ (1907წ). მასში მოცემულია ნორმა, რომლის თანახმადაც, „მეომარი მხარე, რომელიც დაარღვევს დებულების პირობებს, ვალდებული იქნება აანაზღაუროს ზარალი, თუ იქნება საამისო საფუძველი. ის იქნება პასუხისმგებელი ყველა იმ მოქმედებისათვის, რომელსაც მის სამხედრო ძალებში შემავალი პირები ჩაიდენენ (მუხ. II).

სამეცნიერი-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებულმა განვითარებამ XX საუკუნის პირველ ნახევარში და როგორც მისმა შედეგმა, იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის ახალი სახეების შექმნამ, საბრძოლო ხელოვნების სრულყოფამ გადამწყვეტი გავლენა იქონიეს სჰს-ის ფორმირებაზე, საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისათვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის ინსტიტუტის ჩათვლით.

ამ საქმეში გარკვეული როლი ითამაშა 1919 წლის ვერსალის ხელშეკრულებამ, რომელიც დაიდო ერთი მხრივ, გერმანიას, ხოლო მეორე მხრივ, აშშ-ის, ბრიტანეთის იმპერიას, საფრანგეთს, იტალიას, იაპონიას, ბელგიასა და სხვა სახელმწიფოებს შორის, რომელმაც ფაქტობრივად დაამთავრა პირველი მსოფლიო ომი. ვერსალის ხელშეკრულებით დადგინდა გერმანიისა და მისი მოკავშირეების ბრალი ომის გაჩაღებაში. ამ დოკუმენტის ანალიზი იმაზე მეტყველებს, რომ იგი შეიცავდა დებულებებს გერმანიის მიმართ პოლიტიკური ხასიათის სანქციების შესახებ, მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ, იმ პირთა სისხლის სამართლებრივი პასუხ-

ისმგებლობის შესახებ, რომლებსაც ბრალი ედებოდათ ომის კანონებისა და წესების დარღვევაში.

როდესაც საუბარია სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის საფუძველზე ომის კანონებისა და წესების დარღვევისათვის, რაც მეორე მსოფლიო ომამდე იყო მიღებული, უნდა აღინიშნოს ჟენევის კონვენცია დაჭრილებისა და ავადმყოფების ხვედრის გაუმჯობესების შესახებ მოქმედ არმიებში (1929წ.). მასში აღნიშნულია, რომ ჟენევის კონვენციის ხელმომწერი მთავრობები, მათი სამხედრო სისხლისამართლებრივი კანონების არასაკმარისობის შემთხვევაში, ვალდებულებას იღებენ მიიღონ ან დასამტკიცებლად შესთავაზონ საკუთარი წინადადებები ომის დროს სპს-ის ნორმათა დარღვევის ცალკეული შემთხვევების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ეხება დაჭრილებისა და ავადმყოფების დაცვას მოქმედ არმიებში.

მეორე მსოფლიო ომის წლებში სსრკ-ის ტერიტორიაზე და სხვა სახელმწიფოებში ფაშიზმის მიერ ჩადენილმა ბოროტმოქმედებამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი ნაცისტური გერმანიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩადენილი სისასტიკის და დანაშაულებრივი ქმედებების ომის კანონებისა და წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. ამის შემდეგ მოკავშირე სახელმწიფოებმა მიიღეს საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც ითვალისწინებდა ფაშისტური გერმანიის, როგორც აგრესორი სახელმწიფოს პასუხისმგებლობას: მოსკოვის დეკლარაცია ჩადენილი ქმედებებისათვის ჰიტლერელთა პასუხისმგებლობის შესახებ (1943 წ. 30 ოქტომბერი); ყირიმის კონფერენციაზე მიღწეული შეთანხმებები სსრკ-ის, აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა მეთაურების მიერ (1945წ. 4-12 თებერვალი); აქტი გერმანიის შეიარაღებული ძალების სამხედრო კაპიტულაციის შესახებ (1945წ. 8 მაისი); გერმანიის დამარცხების დეკლარაცია და გერმანიის მიმართ სსრკ-ის, გაერთიანებული სამეფოს, აშშ-ის და საფრანგეთის მთავრობების უმაღლესი ხელისუფლების უფლებების შესახებ (1945წ. 5 ივნისი); პოტსდამის კონფერენციაზე სამი დიდი სახელმწიფოს (სსრკ, აშშ, დიდი ბრიტანეთი) მეთაურთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება (რომელიც გაიმართა 1945 წლის 17 ივლისს 2 აგვისტოს), ლონდონის

შეთანხმება სსრკ, აშშ, დიდ ბრიტანეთს და საფრანგეთს შორის მთავარი სამხედრო დამნაშავეების სასამართლო დევნის და დასჯის შესახებ (1945წ. 8 აგვისტო).

საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების ეს ჩამონათვალი იმაზე მეტყველებს, რომ ომის შედეგს, პირველ რიგში გერმანიისა და მისი სატელიტების პოლიტიკური და მატერიალური პასუხისმგებლობა მოყვა და ფიზიკურ პირთა მიერ საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი გახდა.

ომის შემდგომ პერიოდში, სპს-ის ნორმათა დარღვევისათვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ არსებულმა დებულებებმა ასახვა ჰპოვა 1949 წლის ჟენევის კონვენციებში და მათ 1977 წლის დამატებით ოქმებში. შესაბამის დოკუმენტებში განსაზღვრულია, რომ „არც ერთი მაღალი მომლაპარაკებელი მხარე არ არის თავისუფალი პასუხისმგებლობისაგან ამ კონვენციებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენისათვის". I დამატებითი ოქმის 91-ე მუხლში ლაპარაკია იმაზე, რომ „კონფლიქტში მყოფი მხარე, რომელიც არღვევს კონვენციის ან ოქმის დებულებებს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზარალი, თუ არსებობს საამისო საფუძველი. იგი არის პასუხისმგებელი იმ პირთა მიერ ჩადენილი ყველა ქმედებისათვის, რომლებიც შედიან მისი შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში". მარკო სასოლი, კვებეკის უნივერსიტეტის პროფესორი, თვლის, რომ სწორედ ის დროა, რომ ვიკვლიოთ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის მათი პასუხისმგებლობის შესახებ შესაბამისი მუხლებით, როგორც 45 წლიანი მუშაობის შედეგი, რომელიც წარმოდგენილი იქნა გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ 53-ე სხდომაზე. ავტორის აზრით, აღნიშნული საკითხების განხილვა ცხადყოფს, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი უკეთ აღიქმება შედეგებისა და დარღვევების გათვალისწინებით სახელმწიფოთაშორის დონეზე. მიუხედავად საერთაშორისო სისხლის სამართლის ბოლოდროინდელი პროგრესისა.

სახელმწიფოთაშორის წესებში მოსახვედრად, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ტრადიციულ შრეს მიეკუთვნება, დარღვევები უნდა შეიცავდეს სახელმწიფოსათვის შესარაცხ

ქმედებას. თუ ეს არ განხორციელდა, აღნიშნული დარღვევები მაინც გამოიწვევს ინდივიდუალურ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას და სწორედ ეს განასხვავებს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს საერთაშორისო სამართლის თითქმის ყველა სხვა დარგისაგან.[1]

ამ მუხლის მოთხოვნათა თავისებურება ოთხი კონვენციის ანალოგიურ დებულებებთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ არაორაზროვნად და უფრო კონკრეტულად არის ფორმულირებული ნორმა, რომელიც ავალდებულებს:

- შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში მიყენებული ზარალის ანაზღაურებას;
- შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი იმ პირების პასუხისმგებლობაში მიცემას, რომლებსაც ბრალი ედებათ სჰს-ის ნორმათა დარღვევაში.

ამ ნორმების რეალიზაციის მექანიზმი შეიცავს იმ მხარეთა უფრო ფართო ვალდებულებებს, რომლებიც წარმოადგენენ მათი დაცვის გარანტს. 86-ე მუხლში აქცენტი იმაზეა გაკეთებული, რომ მეომარი მხარეები ვალდებულნი არიან:

- აღკვეთონ სერიოზული დარღვევები საომარი მოქმედებების წარმოების პერიოდში;
- მიიღონ აუცილებელი ზომები კონვენციების და I დამატებითი ოქმის ყველა სხვა დარღვევის აღსაკვეთად.

სჰს-ის ნორმათა დამრღვევი პირების პასუხისმგებლობაში მიცემის შესაძლებლობაზე არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში, ზოგადი სახით მითითებულია II დამატებით ოქმში (მუხ. 6). შეიძლება დავასკვნათ, რომ სჰს-ში, როგორც საერთოდ საერთაშორისო სამართალში, ჩამოყალიბდა სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შემდეგი სახეები: პოლიტიკური, მატერიალური, აგრეთვე ფიზიკურ პირთა (ინდივიდების) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

---

[1] მ. სასოლი, სახელმწიფო პასუხისმგებლობა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების დროს. (წ.ჯ.ს.კ, ივნისი 2002,896), გვ. 3

სახელმწიფოთა პოლიტიკური პასუხისმგებლობა. სახელმწიფოთა პოლიტიკური პასუხისმგებლობის ფარგლებში გამოყოფენ მის უფრო ტიპურ ფორმებს:

- სატისფაქციები;
- სანქციები;
- რეპრესალიები.

სატისფაქციები იმით გამოიხატება, რომ დამრღვევი სახელმწიფო დააკმაყოფილებს დაზარალებულ სახელმწიფოს: რაც მდგომარეობა მწუხარების გამოხატვაში ან დამნაშავეთა დასჯაში, მაგალითად, სჰს-ის უმნიშვნელო დარღვევისათვის. სატისფაქციები ამ დარგში შედარებით იშვიათად გვხვდება.

სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის სანქციები იმ ღონისძიებათა სისტემაა, რომელიც საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისათვის თავისებურ სასჯელს წარმოადგენს.

გაეროს შექმნასთან და გაეროს წესდების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით (1945წ. 24 ოქტომბერის) აგრესიის განხორციელებისათვის სანქციების დადების უფლებამოსილებით აღჭურვილია მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭო (გაეროს წესდების 39-ე, 41-ე და 42-ე მუხლი). სანქციები მოიცავს სამხედრო და არასამხედრო ხასიათის იძულებით ღონისძიებებს. სამხედრო ხასიათის იძულებით ზომებს მიეკუთვნება დემონსტრაცია, ბლოკადა, გაეროს წევრ სახელმწიფოთა საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო ძალების ოპერაციები. არასამხედრო ხასიათის ღონისძიებებს მიეკუთვნება ეკონომიკური ურთიერთობების სრული ან ნაწილობრივი გაწყვეტა, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო, საფოსტო, სატელეგრაფო, რადიო ან კავშირის სხვა საშუალებების შეწყვეტა, აგრეთვე, დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა. უკვე ყოფილი ნაცისტური გერმანიის მიმართ დაწესებული სანქციები მოიცავდა: გერმანიისა და მისი მოკავშირეების შეიარაღებული ძალების მთლიან დათხოვნას, CC, SA, SD და გესტაპოს ჩათვლით. აგრეთვე, იარაღის მქონე სხვა ძალების მთლიანად განიარაღებას, ხოლო მათი კონტინგენტები გამოცხადნენ სამხედრო ტყვეებად. ყველა სახის იარაღი გადაეცა მოკავშირე სახელმწიფოთა მეთაურებს, სამოქალაქო პოლიციის რაზმების შესაიარაღებლად და მათი ფუნქციები განისაზღვრა მოკავშირეთა წარმომადგენლების

მიერ. მთლიან და საბოლოო გაუქმებას ექვემდებარებოდა გერმანიის ყველა შეიარაღებული ძალა, სამხედრო ორგანიზაცია და დაწესებულება, სამხედრო სასწავლებელი და ყველა დანარჩენი სამხედრო და ნახევრადსამხედრო ორგანიზაცია.

მოკავშირეთა არმიების მიერ მთელი ფაშისტური გერმანიის ოკუპაციის მიზანს შეადგენდა „გერმანიის სრული განიარაღება და დემილიტარიზაცია, გერმანიის მთელი მრეწველობის ლიკვიდაცია, რომელიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სამხედრო წარმოების ან მისი კონტროლისათვის". დასახელებული სანქციების რეალიზაციის მიზნით ნაცისტურ გერმანიაში შექმნილი იყო საკონტროლო საბჭო ოთხი მოკავშირე ქვეყნის მხედარმთავრებისაგან.

ფაშისტური გერმანიის მიმართ გამოყენებული პოლიტიკური აქციების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის, ცენტრალური ხელისუფლების და მთავრობის შეზღუდვა. უმაღლესი ხელისუფლება გერმანიაში გადადიოდა ოთხი მოკავშირე სახელმწიფოს ხელში. იგი ხორციელდებოდა მოკავშირე საკონტროლო საბჭოს მიერ ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის განადგურების მიზნით, გარდა ამისა, მის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა ყველა ნაცისტური დაწესებულების დათხოვნა, ყოველგვარი ნაცისტური მილიტარისტული საქმიანობის ან პროპაგანდის თავიდან აცილება, ნაცისტ დამნაშავეთა დაპატიმრება, სასამართლოსათვის გადაცემა და ა.შ.

გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციასთან დაკავშირებით და ამ კაპიტულაციის დღიდან გერმანული სახელმწიფოს დიპლომატიური, საკონსულო, სავაჭრო და სხვა ურთიერთობები სხვა სახელმწიფოებთან შეწყდა. გარე სამყაროსთან ყოველგვარი ურთიერთობები უნდა განხორციელებულიყო მოკავშირეთა წარმომადგენლების მეშვეობით. უფრო ახალი მაგალითია ერაყ-ქუვეითის ომი. 1990-1991 წლებში ერაყმა განახორციელა აგრესია ქუვეითის წინააღმდეგ. გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ აგრესორის მიმართ განხორციელდა სანქციები, რაც მდგომარეობდა ერაყის იძულებით ნაწილობრივ განიარაღებაში. გაეროს უშიშროების საბჭოს №687 რეზოლუციაში (1991წ. 2 მარტი) წარმოდგენილი იყო მოთხოვნა ერაყისადმი, რომ უსიტყვოდ

დათანხმებოდა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის მთელი მარაგის ამოღებას, განადგურებას ან გაუვნებლობას საერთაშორისო კონტროლქვეშ, მათი დამამზადებელი ობიექტის ჩათვლით, აგრეთვე 150 კმ-ზე და უფრო შორს მოქმედი ყველა არსებული რაკეტის განადგურებას. გარდა ამისა, გაეროს უშიშროების საბჭოს ამ რეზოლუციამ დაამტკიცა ერაყისათვის ნებისმიერი შეიარაღების, სამხედრო მასალების და ტექნოლოგიების მიყიდვის აკრძალვა.

სახელმწიფოთა მატერიალური პასუხისმგებლობა. მას ორი ძირითადი ფორმა აქვს: რეპარაცია და რესტიტუცია.

რეპარაცია წარმოადგენს მატერიალური ზარალის ანაზღაურებას ფულადი სახით, საქონლით, მომსახურებით.

1945 წელს ყირიმის კონფერენციაზე მიღებული კომუნიკე შეიცავდა სამი სახელმწიფოს მეთაურთა შეთანხმებას, რომელიც ეხებოდა გერმანიის მიერ მოკავშირე ქვეყნებისათვის მიყენებულ ზარალს. მასში სამართლიანად იყო აღიარებული გერმანიისათვის „ამ ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა ნატურით, მაქსიმალურად შესაძლებელი ზომით". სამი სახელმწიფოს 1945 წლის ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ გერმანია უნდა აიძულონ მოახდინოს იმ ზარალისა და ტანჯვის კომპენსირება, რომელიც მან მიაყენა გაერთიანებულ ერებს და რომლისთვისაც გერმანელი ხალხი პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა.

1947 წელს, პარიზში, ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა მიერ, ხუთიდან თითოეულთან (იტალია, რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი და ფინეთი) დადებული ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებდა მოკავშირეებისათვის საომარი მოქმედებებითა და ოკუპაციით მიყენებულ ზარალის ანაზღაურებას. კერძოდ, იტალიის რეპარაციული ვალდებულებები საბჭოთა კავშირის მიმართ შეადგენდა 100 მლნ. აშშ დოლარს.

რეპარაციამ ფაშისტური გერმანიისაგან შეადგინა 20 მლრდ. დოლარი, საიდანაც 10 მლრდ. განსაზღვრული იყო სსრკ-ს სასარგებლოდ (აქ შედიოდა რეპარაციის თანხა პოლონეთისათვის). მათთვის გერმანიის აგრესიით მიყენებული 100 მლრდ. მანეთის პირდაპირი ზარალის სანაცვლოდ. გათვალისწინებული იყო მოკავშირეთა საყოველთაო კონტროლის დაწესება განია-

რაღებისა და დემილიტარიზაციის პროგრამის შესასრულებლად, რეპარაციის გადასახდელად და ა.შ.

უმოკლეს ვადაში გერმანიის მრეწველობა უნდა ყოფილიყო დეცენტრალიზებული, რაც გულისხმობდა კარტელების, სინდიკატების, ტრესტებისა და სხვა მონოპოლისტური გაერთიანებების მსხვილი მოწყობილობების დემონტაჟს და მათი გატანით რეპარაციის ძირითადი თანხის დაფარვას.

რესტიტუცია, როგორც მატერიალური პასუხისმგებლობის ფორმა, ასევე იქნა გამოყენებული ფაშისტური გერმანიის მიმართ, რაც ქონების ნატურით დაბრუნებაში გამოიხატა. რესტიტუციის მოხდენის აუცილებლობა ეხებოდა ყველა ამოცნობილ საკუთრებას. იტალიის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთისა და ფინეთის მთავრობებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა ქონების უკლებლივ დაბრუნებასთან დაკავშირებით და სამუშაო ძალის, მასალის, ტრანსპორტის ყველა ხარჯის გაწევა; ასევე, ყველა საჭირო ღონისძიების განხორციელება ქონების მოძებნისა და დაბრუნებისათვის. თუ ცალკეულ შემთხვევაში შეუძლებელი იყო იმ საგნების რესტიტუცია, რომლებიც მხატვრულ ან არქეოლოგიურ ფასეულობას წარმოადგენდნენ, შესაბამის მთავრობას ევალებოდა დაინტერესებული სახელმწიფოსათვის გაზიდული ქონების მსგავსი ღირებულების ნივთების და ფასეულობათა დაბრუნება.

ამგვარად, ომის კანონებისა და წესების დარღვევით მატერიალური ზარალის მიყენების თვით ფაქტი წარმოადგენს სახელმწიფოთა მატერიალური პასუხისმგებლობის საფუძველს, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

§4. ფიზიკურ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის

საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტებად გვევლინება სახელმწიფო, მაგრამ ის ერთადერთი სუბიექტი არაა. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი გარკვეული მიდგომით სუბიექტად ცნობს, აგრეთვე, თავისუფლებისათვის მებრძოლ ერს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 1-ლი მუხლის მე-2 პარაგრაფი და 55-ე მუხლი აღიარებს ერის, ხალხის თვითგამორკვევის უფლებას. საერთაშორისო სამართლის არაძირითად, განსაკუთრებულ სუბიექტს წარმოადგენს ის საერთაშორისო გაერთიანებები, რომლებიც ასეთ ხასიათს ატარებენ (გამონაკლისს წარმოადგენს ვატიკანი). მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი ცდილობს დაასაბუთოს თეზისი, თითქოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს ფიზიკური პირიც. თუ საერთაშორისო სამართალში ფიზიკური პირის აღიარების საკითხი სერიოზული პრობლემაა, კონვენციებით ჰუმანიტარული სამართლისათვის ფიზიკური პირი შეიძლება საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისათვის დევნის საფუძველი გახდეს.

ფიზიკური პირები შეიარაღებული კონფლიქტების დროს ისეთ ქმედებებს ჩადიან, რომლებიც ემსახურებიან ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი თუ რელიგიური ჯგუფის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას, რომლებიც მიზნად ისახავენ, ამა თუ იმ გეოგრაფიული რაიონიდან სხვა ასეთი ჯგუფების სამოქალაქო მოსახლეობის განდევნას ძალადობისა და ტერორის მეთოდების გამოყენებით (მკვლელობა, წამება, თვითნებური დაპატიმრება და დაკავება, გაუპატიურება და სხვა სექსუალური ხელყოფა. სამოქალაქო მოსახლეობის ძალმომრეობით განდევნა, გადაადგილება და დეპორტაცია, სამოქალაქო მოსახლეობასა და რაიონებზე მიზანმიმართული სამხედრო თავდასხმები თუ ამ თავდასხმების მუქარა, საკუთრების განადგურება). ეთნიკური წმენდის პრაქტიკა აგრესიული სეპარატიზმის ძირითადი იარაღია და იგი გენოციდის სახეს იღებს, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, სადაც, 1992 წელს,

სერბმა სეპარატისტებმა მუსლიმანების მიმართ, გაეროს გენერალური ასამბლეის შეფასებით, სწორედ ამ გზით განახორციელეს გენოციდი. ეთნიკური წმენდა დანაშაულისა ერთ-ერთი ყველაზე საშიში სახეობაა ადამიანურობის წინააღმდეგ.[1] რეგიონული და საერთაშორისო სასამართლოები, რომლებიც მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენენ დავების გადაწყვეტისა და საერთაშორისო სამართლის დაცვის უზრუნველყოფისათვის. ამგვარ სასამართლოებს, როგორც წესი, იურისდიქცია მხოლოდ სახელმწიფოების მიმართ აქვთ მეორე გამონაკლისით, როგორიც არის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ნიურნბერგის ტრიბუნალი, ინდივიდების დანაშაულებრივი ქმედებები შიდა ეროვნული სასამართლოების კომპეტენციაში შედიოდა. თუმცა, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა იმგვარი საერთაშორისო სასამართლოების შექმნის მიმართულებით, რომლებიც გაასამართლებენ ინდივიდებს, რომლებმაც კონკრეტული სერიოზული დანაშაულები ჩაიდინეს.

სჰს ითვალისწინებს ფიზიკურ პირთა (ინდივიდების) სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისათვის. ასეთი პასუხისმგებლობის სამართლებრივ საფუძველს თავის დროზე წარმოადგენდა კონვენცია სახმელეთო ომის კანონებისა და წესების შესახებ (1907 წ.); ჟენევის კონვენციები კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში (1954 წ.), ამ პრობლემის გადაწყვეტას ემსახურება მისი მეორე ოქმი; საერთაშორისო სისხლის სამართლის რომის სტატუტი (1998 წ.).

კონვენცია სახმელეთო ომის კანონებისა და წესების შესახებ ზოგადად საუბრობს იმაზე, რომ „მეომარი მხარე პასუხისმგებელი იქნება მის შეიარაღებულ ძალებში შემავალი პირების ყველა ქმედებაზე“ (მუხ. III). თუმცა, ამ მუხლში აქცენტი იმაზე კეთდება, რომ მეომარი სახელმწიფო პასუხისმგებელია მისი შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი პირების დანაშაულებრივი ქმედებისათვის. მაგრამ სახელმწიფო არ შეიძლება იყოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტი სჰს-ს ნორმათა დარღვევისათვის, იმათი ჩათვლით,

---

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ. 2003 წ. გვ. 113

რომლებიც მითითებულია ამ კონვენციის დანართში (მუხ. XXIII-XXVIII). უნდა ვივარაუდოთ, რომ დასახელებული კონვენციის მონაწილე მეომარმა სახელმწიფოებმა თვითონ უნდა მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ომის კანონების და წესების დამრღვევი პირები.

I-IV კონვენციებში ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ (1949 წ.) (მუხ. 49, 50, 129 და 146 შესაბამისად) ლაპარაკია სახელმწიფოთა პასუხისმგებლობაზე იმ პირთა გამოვლენისა და სისხლის სამართლის თუ დისციპლინური სანქციების დაკისრების შესახებ, რომლებმაც ეს კონვენციები დაარღვიეს ან ბრძანეს მათ მოთხოვნათა დარღვევა. ანალოგიურ ნორმებს შეიცავს კონვენცია კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში (მუხ. 28), აგრეთვე, მისი მეორე ოქმის (1999 წ.) მე-15 და მე-16 მუხლები.

ამ საკითხებმა შემდგომი განვითარება პპოვა I დამატებით ოქმში. მასში მოცემულია ნორმა იმის შესახებ, რომ მეომარ მხარეებს დაკისრებული აქვთ პასუხისმგებლობა მათი შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი პირების ყველა მოქმედებაზე (მუხ. 91). ამიტომ, თითოეულ მხარეს უნდა მოთხოვონ აუცილებელი ზომების გატარება კონვენციის და I ოქმის დარღვევათა თავიდან ასაცილებლად და აუცილებლობის შემთხვევაში დისციპლინური და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება დამრღვევთა მიმართ (პ. 3. მუხ. 87). რაც შეეხება არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებს, II დამატებითი ოქმის I პარაგრაფის მე-6 მუხლში, რომლებსაც ეწოდება „სისხლისსამართლებრივი დევნა“, აღნიშნულია, რომ „მოცემული მუხლი გამოიყენება სასამართლო დევნისა და დასჯისათვის შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებულ სისხლისსამართლებრივ დარღვევათა ჩადენისათვის. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ საუბარია ყველა იმ აკრძალულ ქმედებაზე, რომლებიც ჩამოთვლილია ამ დოკუმენტის 4, 5, 9-11, 13-17-ე მუხლებში, აგრეთვე 1949 წლის ჟენევის ყველა კონვენციისათვის საერთო მე-3 მუხლში.

საერთაშორისო სისხლის სამართლის რომის სტატუტში ასევე მოცემულია დებულებები საერთაშორისო დანაშაულებისათვის პირთა ინდივიდუალური სისხლისსამართლე-

ბრივი პასუხისმგებლობის შესახებ. დასახელებული სტატუტი თანაბრად გამოიყენება ყველა პირის მიმართ მათ მიერ დაკავებული თანამდებობის მიუხედავად: სახელმწიფოს თუ მთავრობის მეთაურის, მთავრობის თუ პარლამენტის წევრის არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს, თუ თანამდებობის პირისა (მუხ. 27) დანაშაული, რომელიც არ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ პირი გათავისუფლდეს ამ წესდებით გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ან შემცირდეს განაჩენი.[1] 27-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, პირის თანამდებობრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული იმუნიტეტი ან სპეციალური პროცესუალური ნორმები, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული ან საერთაშორისო სამართლით, არ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ პირი გათავისუფლდეს წესდებით გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ან შემცირდეს განაჩენი.

მეთაურების და უფროსების პასუხისმგებლობას ეძღვნება 28-ე მუხლი, რომელშიც ჩადებულია ნორმა იმის შესახებ, რომ სამხედრო მეთაური, ან სამხედრო მეთაურის რანგში ეფექტურად მოქმედი პირი, ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ძალების მიერ ჩადენილი დანაშაულებისათვის, რომლებიც იმყოფებიან მისი ეფექტური მეთაურობისა და კონტროლის ქვეშ, მათ მიმართ სათანადო კონტროლის არარსებობის შემთხვევაში, როდესაც ასეთმა მეთაურმა ან უფროსმა ვერ უზრუნველყო კანონის მოთხოვნები, როგორიცაა:

ა) სამხედრო მეთაურის ან სამხედრო მეთაურის სახით ეფექტურად მოქმედ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულისათვის, რომელიც ჩაიდინეს მის ეფექტურ ხელმძღვანელობას ან კონტროლს დაქვემდებარებულმა ძალებმა. და, ცალკეულ შემთხვევაში, ჩაიდინეს მისი ეფექტური ძალაუფლების ან კონტროლის პირობებში იმის შედეგად, რომ ეს პირი აღნიშნულ ძალებს ვერ უწევდა სათანადო კონტროლს. თუ:

---

[1] სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება 1988 წ. 17 ივლისი, გვ. 11

(I) სამხედრო მეთაურმა ან პირმა, იმ დროისათვის არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ძალები სჩადიოდნენ ან განზრახული ჰქონდათ ამ დანაშაულთა ჩადენა; (II) სამხედრო მეთაურმა ან პირმა ვერ მოახერხა მიეღო ყველა საჭირო და გონივრული ზომა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რათა თავიდან აეცილებინა ან აღეკვეთა დანაშაულთა ჩადენა ან გადაეცა აღნიშნული საკითხი კომპეტენტური ორგანოებისათვის გამოძიების წარმოებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისათვის;

ბ) უფროსისა და ხელქვეითის იმ ურთიერთობასთან მიმართებაში, რომელიც არ არის გათვალისწინებული (ა) პუნქტით, უფროსს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულისთვის, რომელიც ჩაიდინეს მისი ეფექტური ძალაუფლების ან კონტროლის ქვეშ. ეს (I) უფროსმა იცოდა ან შეგნებულად უგულებელყოფდა ინფორმაციას, რომელიც აშკარად მიუთითებდა, რომ ხელქვეითნი სჩადიოდნენ ან განზრახული ჰქონდათ ასეთ დანაშაულთა ჩადენა;

(I) დანაშაული მოიცავდა საქმიანობას, რომელიც ექვემდებარება უფროსის ეფექტურ პასუხისმგებლობას ან კონტროლს, და

(II) უფროსმა ვერ მოახერხა ყველა საჭირო და გონივრული ზომის მიღება თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რათა თავიდან აეცილებინა ან აღეკვეთა დანაშაულთა ჩადენა ან გადაეცა აღნიშნული საკითხი კომპეტენტური ორგანოებისათვის გამოძიების წარმოებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისათვის.[1]

რომის წესდების მიხედვით, სასამართლოს იურისდიქცია არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც არ იყვნენ თერამეტი წლის ასაკს მიღწეული დანაშაულის სავარაუდო ჩადენის მომენტისათვის. არის კიდევ სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის გამომრიცხავი საფუძვლები; პირს არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ ქმედების ჩადენის მომენტისათვის: სულიერი ავადმყოფობის ან ფსიქიკური მოშლილობის გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა საკუთარი

[1] სისხლის სამართლის საერთაშორისო სამართლის რომის წესდება. 17 ივლისი 1998 წ., გვ.11.

ქცევის უკანონობა ან მისი ხასიათი, ანდა შეესაბამებინა იგი კანონის მოთხოვნებისათვის. ასევე, მხედველობაშია მისაღები ინტოქსიკაციის მდგომარეობაში და სხვა გამოუვალ გარემოებათა გამო ჩადენილი ქმედება.

სტატუტის 29-ე მუხლში ასევე განმტკიცებულია დებულება იმ დანაშაულთა მიმართ ხანდაზმულობის ვადის გამოუყენებლობის შესახებ, რომლებიც სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ ექცევა, ე.ი. „სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულობებზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა“.[1]

ისტორიამ იცის მაგალითები, როდესაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიეცნენ ომის დროს საერთაშორისო დანაშაულების ჩამდენი პირები. ჯერ კიდევ 1919 წლის ვერსალის ხელშეკრულება ითვალისწინებს დებულებებს ომის დამნაშავეების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ:

– სპეციალური სასამართლოს საშუალებით ვილჰელმ II-ზე;

– იმ სახელმწიფოების სამხედრო სასამართლოებით, რომელთა იურისდიქციაში შედიოდა საქმეები ომის კანონების და წესების დარღვევის შესახებ, რომლებიც მიმართული იყო მათი მოქალაქეების წინააღმდეგ;

– შერეული სამხედრო სასამართლოებით, რომლებიც შედგებოდა სხვადასხვა დაინტერესებული სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან სამხედრო დანაშაულთა საქმეებზე.

თუმცა, როგორც სინამდვილეში აღმოჩნდა, ანტანტის მმართველმა წრეებმა მხოლოდ მზადყოფნის დეკლარირება მოახდინეს კაიზერის გერმანიის ხელმძღვანელების დასჯასთან დაკავშირებით. თვითონ კი უფრთხოდნენ სასამართლო პროცესს ვილჰელმ II-ის მიმართ, რომელსაც შეეძლო გამხდარიყო არცთუ უსაფრთხო პრეცედენტი საერთაშორისო პრაქტიკაში. შედეგად ვილჰელმი არ იქნა მიცემული პასუხისგებაში. ამასთან, პოლანდიამ, სადაც ის გაიქცა, უარი თქვა მოკავშირეებისათვის მის გადაცემაზე. მოგვიანებით ლაიპციგში რამდენიმე სასამართლო

---

[1] სისხლის სამართლის საერთაშორისო სამართლის რომის წესდება, 17 იელისი 1998 წ., გვ.11.

პროცესი შედგა, რომლებზეც განსასაჯელები ან გაამართლეს ან უმნიშვნელო სასჯელები გამოუტანეს.

ამგვარად, დასავლეთის სახელმწიფოებმა ფარსად გადაქციეს ვილჰელმ II-ისა და იმ პირთა გასამართლების მცდელობა, რომლებსაც ბრალი მიუძღოდათ ომის კანონებისა და წესების დარღვევაში. პირველი სამოკავშირეო სიით ბრალდებულ გერმანიის მოქალაქეთა რაოდენობამ შეადგინა 896 კაცი, ხოლო გერმანიის მიერ აღიარებული სიის მიხედვით – 45 პირი; უმაღლესი ტრიბუნალის წინაშე ლაიპციგში წარსდგა 12 კაცი, რომელთაგან გაასამართლეს მხოლოდ ექვსი, ფაქტობრივად ვერსალის ხელშეკრულების დებულებები ომის კანონების და წესების დარღვევის გამო გერმანიის პასუხისმგებლობის შესახებ პირველ მსოფლიო ომში არ იქნა რეალიზებული ისე, როგორც ამას ამას 1907 წლის კონვენცია მოითხოვდა.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ითვალისწინებს ფიზიკურ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საერთაშორისო დანაშაულთა ჩადენისათვის. ერთერთი ამოცანა, რომელიც მშვიდობისმოყვარე ხალხების წინაშე დადგა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, მდგომარეობდა იმაში, რომ მიღებული ყოფილიყო ზომები ომის დამნაშავეთა მკაცრი დასჯისათვის, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი დამალულნი.

ამასთან დაკავშირებით, ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოებმა სსრკ-ის აქტიური მონაწილეობით, გააფორმეს რიგი საერთაშორისო შეთანხმებებისა ჩადენილ დანაშაულებისათვის ჰიტლერელთა დევნის თაობაზე (მოსკოვის დეკლარაცია ჰიტლერელთა პასუხისმგებლობის შესახებ ჩადენილი მხეცობისათვის, 1943 წლის 30 ოქტომბერი; ლონდონის შეთანხმება სსრკ-ს, აშშს-ს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის ევროპის ქვეყნების მთავარ სამხედრო დამნაშავეთა დევნისა და დასჯის შესახებ – 1945 წლის 8 აგვისტო და მისი განუყოფელი ნაწილი – საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდება, რაზეც ზემოთ იყო საუბარი).

დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ჩადენილი არაადამიანურობისათვის ან მასში ნებაყოფლობით მონაწილეობისათვის

გერმანელი ოფიცრები, ჯარისკაცები და ნაცისტური პარტიის წევრები გადაიგზავნებიან იმ ქვეყნებში, სადაც მათ დანაშაული ჩაიდინეს, რათა ისინი გასამართლდნენ გათავისუფლებული ქვეყნების კანონების შესაბამისად. სამმა მოკავშირე სახელმწიფომ გამოხატა მათი მოძებნის სურვილი და შესაბამისი სახელმწიფოებისათვის გადაცემის მზადყოფნა, რითაც ფაქტობრივად, საუბარი იყო ნაცისტ დამნაშავეთა საერთაშორისო სასამართლო ორგანოებისა და შესაბამისი სახელმწიფოების ნაციონალური სასამართლოებით გასამართლებაზე.

მთავარი სამხედრო დამნაშავეების გასამართლების და დასჯისათვის, როგორც გერმანელების, ისე იაპონელების მიმართ შეიქმნა სპეციალური სამხედრო ტრიბუნალები.

საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის (სსტ) წესდების თანახმად, მთავარი სამხედრო დამნაშავეები, ორგანიზატორები, წამქეზებლები და ხელისშემწყობნი, რომლებიც მონაწილეობდენ საერთო გეგმის ან შეთქმულების შედგენასა და განხორციელებაში, რომელიც მიმართული იყო მასში ჩამოთვლილი ნებისმიერი ბოროტმოქმედების ჩადენისაკენ, ექვემდებარებოდნენ პასუხისგებას.

განსასჯელთა თანამდებობრივი მდგომარეობა არ წარმოადგენდა მიზეზს (საფუძველს) პასუხისმგებლობისაგან მათი გათავისუფლების ან სასჯელის შემსუბუქებისათვის. ის ფაქტი, რომ განსასჯელი მოქმედებდა მთავრობის განკარგულებით ან უფროსის ბრძანებით, არ ათავისუფლებდა მას პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ სსტ-ის წესდების თანახმად შეიძლებოდა განხილულიყო როგორც სასჯელის შემსუბუქების საბაბი იმ შემთხვევაში, თუ ტრიბუნალი აღიარებდა მას მართლმსაჯულების ინტერესებში. ამგვარად, დგინდებოდა ნაცისტი სამხედრო დამნაშავეების ინდივიდუალური პასუხისმგებლობა მათ მიერ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ჩადენილი ბოროტმოქმედებებისათვის.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1946 წლის 13 თებერვალს მიიღო რეზოლუცია ც (I), რომელიც ეხებოდა სამხედრო დამნაშავეების გადაცემასა და დასჯას. მასში შედიოდა რეკომენდაცია გაერთიანებული ერების წევრებისადმი, რომელთაც უნდა მიეღოთ ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ დაეპატიმ-

რებინათ სამხედრო დამნაშავეები და გადაეგზავნათ ისინი შესაბამისი ქვეყნებისათვის. გარდა ამისა, ასეთივე რეკომენდაციები დაეგზავნა გაეროს არა წევრ სახელმწიფოებს.

სსტ-ის მოსამართლეთა და ბრალმდებელთა შემადგენლობაში შეყვანილი იქნენ ოთხი დიდი სახელმწიფოს: სსრკ-ს, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლები.

გერმანელი ნაცისტების მთავარ სამხედრო დამნაშავეთა გასასამართლებლად გამართული სასამართლო პროცესი ქ ნიურნბერგში (გერმანია), რომელიც მიმდინარეობდა 1945 წლის 20 ნოემბრიდან 1946 წლის სექტემბრის ბოლომდე. ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა შეთანხმების საფუძველზე. სასამართლოს წინაშე წარსდგა ფაშისტთა 24 ლიდერი. ტრიბუნალის შემადგენლობაში შედიოდნენ სსრ კავშირის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მიერ დანიშნული ოთხი მოსამართლე და მათი მოადგილეები. ბრალდებას მხარს უჭერდა ოთხი მთავარი ბრალმდებელი.

ნ.პ-ზე პირველად გერმანიის ხელმძღვანელობას ბრალს სდებდნენ შეთქმულებაში აგრესიული ომის მომზადებისათვის და ამ ომის წარმოებაში პოლონეთის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, დანიის, ნორვეგიის, ბელგიის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, სსრ კავშირისა და სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათა ჩადენაში, სამხედრო ტყვეების, okკუპირებულ ტერიტორიებზე სამოქალაქო მოსახლეობის წამებასა და მასობრივ განადგურებაში, სამოქალაქო მოსახლეობის გერმანიაში გადაყვანაში იძულებითი სამუშაოების შესასრულებლად, მძევალთა მკვლელობაში, სახელმწიფო და კერძო საკუთრების გაძარცვაში, სამოქალაქო ობიექტების, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების არასამხედრო მიზნით განადგურებაში, სამხედრო დანაშაულობებში, პოლიტიკური, რასობრივი და რელიგიური მოტივებით სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივ განადგურებაში და სხვა. ამგვარად, პირველად იქნა აღიარებული აგრესია, როგორც უმძიმესი საერთაშორისო დანაშაული და პასუხისმგებლობა

აგრესიული ომის გაჩაღებისათვის. ამასთან, ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დაეკისრათ როგორც რიგით ფიზიკურ პირებს, ასევე სახელმწიფოს ხელმძღვანელებს. ნ.პ-ზე ასევე პირველად იქნა გამოყენებული პრინციპი, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება პირი, რომელიც ასრულებდა დანაშაულებრივ ბრძანებას. აღნიშნულმა პრინციპმა ასახვა ჰპოვა სამხედრო ტრიბუნალების წესდებებში და ამ ტრიბუნალების მიერ გამოტანილ განაჩენში. ამავე პრინციპს, როგორც საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპს აღიარებს გაეროს გენერალური ასამბლეის ორი რეზოლუცია, მიღებული 11.XII.1946 და 27.XI.1947. ნ.პ-ზე აღიარებული პრინციპები საფუძვლად დაედო 1968 წელს მიღებულ კონვენციას „სამხედრო დანაშაულთა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა მიმართ ხანდაზმულობის ვადის გამოუყენებლობის შესახებ".[1] სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა გერინგს, რიბენტროპს, კაიტელს, როზენბერგს, ფრანკს, შტრაიხერს, ზაუკელს, იოდლს, ზაის-ინკვარტს, კალტენბრუნერს და ბორმანს (ამ უკანასკნელს-დაუსწრებლად). 1946 წლის 16 ოქტომბერს ღამით ეს ფაშისტი მეთაურები (გარდა გერინგისა, რომელმაც თავი მოიწამლა) ჩამოახრჩვეს ნიურნბერგის სასამართლოს ეზოში. ჰიტლერის მოადგილეს პარტიაში, ჰესს, სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფილ მთავარსარდალს რედერს და ეკონომიკის საიმპერიო მინისტრს – ფენკს უვადო პატიმრობა მიესაჯათ, ოთხს – 20, 15 და 10 წლით პატიმრობა. ტრიბუნალმა დანაშაულებრივ ორგანიზაციებად გამოაცხადა ფაშისტური ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობა, გესტაპო (სახელმწიფო საიდუმლო პოლიცია) სს და სდ (უშიშროების სამსახურები).

სასამართლო პროცესი მთავარ იაპონელ სამხედროებზე ტოკიოში მიმდინარეობდა 1946 წლის 3 მაისიდან 1948 წლის 12 ნოემბრამდე. ტრიბუნალს გადაეცა მილიტარისტული იაპონიის 28 სახელმწიფო და სამხედრო ხელმძღვანელი.

ნიურნბერგის ტრიბუნალის გადაწყვეტილებებმა საერთაშორისო მოწონება დაიმსახურა და აისახა გენერალური

---

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ. 2003 წ. გვ. 208

სახლეობასთან მხეცურ, არაადამიანურ დამოკიდებულებაში. გამოძიებით დადგინდა, რომ საბჭოთა კავშირისა და სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ აგრესიული ომის დაგეგმვისა და მომზადებისას, ადამიანთა მასობრივი განადგურების დანაშაულებრივი საშუალების — ბაქტეროლოგიური იარაღის ფართომასშტაბიან გამოყენებას აპირებდნენ (ნაწილობრივ გამოიყენეს კიდეც. დამნაშავეებს სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯეს 2,5-დან 3-წლამდე).

სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის პრობლემას, აგრეთვე მის ორგანოთა და ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობის საკითხს სპს-ის დარღვევისათვის ომის შემდგომ პერიოდშიც არ დაუკარგავს თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა. მაგალითად გამოდგება სასამართლო პროცესები სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, რომლებმაც სამხედრო დანაშაულები ჩაიდინეს ვიეტნამში ომის დროს. განსაკუთრებული რეზონანსი გამოიწვია ლეიტენანტ კელის მოქმედებამ, რომელმაც ხელქვეითებთან ერთად პირწმინდად გაანადგურა სოფელ სონგმის მცხოვრებნი. სამწუხაროდ, ამერიკული სამხედრო ტრიბუნალები დაადგნენ განსასჯელთა გამართლების გზას, იმის მომიზეზებით, რომ ისინი მოქმედებენ მიღებული ბრძანების შესაბამისად. ეს ეწინააღმდეგებოდა 1945 წლის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესების დებულებებს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ I ოქმის 89-ე მუხლის შესაბამისად, პირველ რიგში, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სისხლის სამართლებრივი ზომები, რათა დასაჯონ ის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევა. ეს წარმოადგენს პოზიტიურ ზომას ან ვალდებულებას, რომლის შეუსრულებლობაც სახელმწიფოს პასუხისმგებლობას გამოიწვევს; მეორე, სახელმწიფოებმა უნდა გაასამართლონ ის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები; მესამე, მათ უნდა მიიღონ ზომები, რათა აღიკვეთოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების ჩადენა. თუ დარღვევა კიდევ გრძელდება, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები. მეოთხე, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დაცვის უფლება და სამართლიანი სასამართლოს უფლება როგორც ერთო-

ბლივად, ისე დამოუკიდებლად, გაეროსთან თანამშრომლობით და მისი წესდების შესაბამისად.

§5. რეპრესალიების პრობლემა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში

იურიდიულ და სპეციალურ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი რეპრესალიის პრობლემას. იგი საერთაშორისო სამართალში მიჩნეულია როგორც პოლიტიკური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახე. ეს არის ზიანის მიმყენებელი სახელმწიფოს მიმართ დაზარალებული სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მართლზომიერი იძულების ცალმხრივი აქტი თავისი უფლებების აღსადგენად, ამასთან ძალის ან ძალით დამუქრების გამოუყენებლად. რეპრესალიებს მიმართავენ მაშინ, როდესაც ზიანის მიმყენებელი სახელმწიფო უარს ამბობს ზარალის ანაზღაურებაზე, ხოლო მოლაპარაკებას შედეგი არ მოჰყოლია. რეპრესალიების სახით განხორციელებული კონტრზომების ინტენსივობა მათი გამომწვევი სამართალდარღვევის პროპორციული უნდა იყოს: არ აღემატებოდეს იმ დონეს, რომელიც საჭიროა უშუალო მიზნის მისაღწევად: კონტრზომების საზღვრის გადაცილება თავად ითვლება სამართალდამრღვევად, უფლების ბოროტად გამოყენებად.

სპეციალისტთა აზრით რეპრესალიები მთავრდება მიზნის მიღწევისთანავე, მიზანი კი იმაში მდგომარეობს, რომ სამართალდამრღვევი აიძულონ შეასრულოს საერთაშორისო სამართლით დაკისრებული ვალდებულება. რეპრესალიების განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ნორმების შეჩერება, დარღვეული ხელშეკრულების შეჩერება ან შეწყვეტა. ამგვარი ზომების გამოყენება არ შეეხება იმპერატიულ ნორმებსა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს. საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ არსებული 1969 წლის ვენის კონვენციის თანახმად (მუხ.60), ხელშეკრულების შეჩერება ან შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ არსებითი ხასიათის სამართალდარღვევის შემთხვევაში. ეს შეეხება საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ნორმებსაც.

ნაკლებ-მნიშვნელოვანი სამართალდარღვევები არ იძლევა იმის საფუძველს, რომ შეჩერებულ იქნეს ხელშეკრულება, ამასთან ხელშეკრულების შეჩერებისას ხდება არა მარტო მისი ცალკეული ნაწილების, არამედ მთელი ხელშეკრულების შეჩერება ან შეწყვეტა.[1]

საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს რეპრესალიების თემა, როგორც წესი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი რეპრესალიების გამოყენებას კრძალავს, ტერმინი „რეპრესალია" კონვენციებსა და დამატებით ოქმებში გამოყენებულია და ძირითადად ხაზი ესმება მის აკრძალვებს. ჰანს-პეტერ გასერი თვლის, რომ „სხვადასხვა სახის სამართლებრივი საშუალების არსებობა, რომელთა გამოყენებაც დაზარალებულ სახელმწიფოს შეუძლია, არ უნდა გვავიწყებდეს იმას, რომ ჰუმანიტარული სამართალი ზოგადად საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილის მსგავსად ჯერ კიდევ შორსაა ისეთი სისტემისაგან, რომელიც მის მიერ გათვალისწინებულ ვალდებულებათა მშვიდობიანი განხორციელების გარანტიას შექმნიდა."[2] ამით ავტორს იმის თქმა სურს, რომ, როგორც წესი, ფაქტების დამდგენი ან საარბიტრაჟო პროცედურისათვის აუცილებელია სამართალდარღვევაში ბრალდებული სახელმწიფოს თანხმობა, თუმცა იქვე ეჭვს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ „ომის დაძაბულ ემოციურ გარემოში ამგვარი თანხმობის მოპოვება ნაკლებად მოსალოდნელია".[3] ზემოაღნიშნულის გამო თავის მნიშვნელობას კვლავ ინარჩუნებს სამართლის დამყარების ძველი და „პრიმიტიული" საშუალება: ესაა თვითდახმარება, რეპრესალიები ტიპიური ფორმაა ამგვარი თვითდახმარებისა.[4]

---

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ. 2003წ. გვ. 240.

[2] ჰანს-პეტერ გასერი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (შესავალი) თბ. 1999წ.გვ 188

[3] იქვე

[4] Frits Kalshoven, Relligerant Reprisals, Leyde Geneve 1971 et le Commentaire des Protocples pvblie por CICR, para 423-3459

მაინც რას გულისხმობს და რა არის რეპრესალიები, არის თუ არა ჩამოყალიბებული ცნება, რომელიც მის შინაარსს წარმოაჩენს და განსაზღვრავს?

ჰ.ჰ. გასერი რეპრესალიების ცნების ქვეშ ჩვეულებრივად მოიაზრებს აკრძალულ და არასამართლებრივ ქმედებას, რომელიც იმ შემთხვევაში, თუკი მოწინააღმდეგის არასამართლებრივი ქცევის შეწყვეტასა და შემდგომში მისი მოქმედებების სამართლის მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვის იძულებას ისახავს მიზნად, სამართლებრივად ნებადართული აქტის ხასიათს იძენს. თუმცა რეპრესალიები უნდა შეწყდეს, როგორც კი შეწყდება მათი გამომწვევი დარღვევა.

როგორც ვხედავთ, რეპრესალიები უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული და მიღებული ზომებია, რომლის მიზეზი მოწინააღმდეგე მხარე ხდება, მაგრამ მისი დაშვება მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც სერიოზულ დარღვევებთან გვაქვს საქმე და ისიც უკანასკნელი საშუალების სახით, როცა ვერავითარმა სხვა ზომამ ვერ აიძულა მოწინააღმდეგე პატივი ეცა თავისი მოვალეობის შესრულებისათვის.

გასათვალისწინებელია რამდენიმე მოთხოვნა, რაც მის გამოყენებას მოსდევს:

ა) მოსალოდნელი ზიანი სამართალდარღვევისათვის გონივრულად პროპორციული უნდა იყოს;

ბ) რეპრესალიების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოცემული ქვეყნის მხოლოდ ყველაზე მაღალი პოლიტიკური ხელისუფლების კომპეტენციებში შედის;

გ) აკრძალულია რეპრესალიების განხორციელება დაჭრილთა წინააღმდეგ ბრძოლის ველზე, ხომალდის კატასტროფაში მყოფლილთა, სამხედრო ტყვეთა, სამოქალაქო მოსახლეობის, პოსპიტლებისა და სამედიცინო ტრანსპორტის წინააღმდეგ;

დ) ყოველგვარი გამონაკლისის გარშე დაუშვებელია რეპრესალიების განხორციელება მოწინააღდეგის სამოქალაქო მოსახლეობაზე.

1977 წლის კონვენციებსა და I დამატებით ოქმში რეპრესალიების ექსტენსიური აკრძალვა ყველაზე საკამათო სიახლე იყო, რაზედაც ცალსახა მიდგომა დღემდე ჩამოყალიბებული არ არის. ნაწილი მკვლევარებისა რეპრესალიების განხორციელე-

ბაში უპირველეს ყოვლისა, შეკავების საშულებას ხედავდა. ამის უპირველესი მიზანი არის მოწინააღმდეგისათვის იმის გაცნობიერების მიღწევა, რომ არსებული ნორმების არანაირი დარღვევა არ ეპატიება და ეს შეიძლება მისთვის ძალიან მძიმე შედეგებით დამთავრდეს.

მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ მორალურად გაუმართლებელია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მთავრობის შეიარაღებული ძალების მიერ ჩადენილ სამართალდაღვევას სამოქალაქო მოსახლეობა უნდა ემსხვერპლოს. მხედველობაში იღებენ იმას, რომ „ძალადობას ყოველთვის ძალადობა მოყვება" ანუ რეპრესალიებს ყოველთვის კონტრრეპრესალიები მოსდევს, ე.ი. რეპრესალია ძალადობის ესკალაციის მიზეზი შეიძლება გახდეს, რაც წინააღდეგობაში მოდის მის დანიშნულებასთან.

საბოლოოდ რეპრესალია თვისობრივად არასამართლებრივ აქტს წარმოადგენს, მისი გამოყენება მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ პირობებშია დასაშვები და იგი უნდა იყოს მოწინააღმდეგის მიერ ვალდებულებათა დარღვევისათვის ბოლოს მოღების ერთადერთი საშუალება.

დაუშვებელია რეპრესალიების განხორციელება მოწინააღმდეგე მხარის ძალადობის ქვეშ მყოფი პირების მიმართ, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი რეპრესალიების მეშვეობით სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმა დაშვებულად ჩაითვლებოდა, ამ ზომის გამოყენებას უკანასკნელი საშუალების ხასიათი ექნებოდა, ე.ი. სერიოზული კატასტროფის თავიდან აცილებისაკენ იქნებოდა მიმართული. და ბოლოს, არავის არ უნდა დააეიწყდეს, რომ რეპრესალიების მიზანი არასოდეს არ უნდა იყოს მიწინააღმდეგის ამ გზით დასჯა ან შურისძიების ნაწილის დაკმაყოფილება. რეპრესალიები ერთ-ერთი საშუალებაა, აიძულო სახელმწიფოები დაიცვან ომის კანონები და მათ შორის საერთაშორისო სამართალი. იგი წარმოადგენს ჩვეულებრივ უკანონო ქმედებას, მაგრამ კანონიერ ქმედებად აღიქმება, რომელიც მიმართულია მეორე სახელმწიფოს უკანონო ქმედების წინააღმდეგ. რეპრესალიის გამოყენება მაშინ არის მიზანშე-

წონილი, როდესაც ყველა სხვა საშუალება არ გაამართლებს (მაგ. პროტესტი, გაფრთხილება)[1].

პ. მალანჩუკი მას შემაკავებელი ეფექტის მატარებელ ღონისძიებად მიიჩნევს და ამის მაგალითად ასახელებს მეორე მსოფლიო ომში გაზის გამოუყენებლობას. იმისათვის, რომ კარგად ჩავწვდეთ რეპრესალიების ბუნებას, საჭიროდ ვთვლით, განვიხილოთ შეიარაღებული რეპრესალიები, რადგან თავდაცვა არ შეიცავს შეიარაღებული რეპრესალიის უფლებას. თუ ტერორისტები ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მეორე სახელმწიფოდან შევლენ, პირველი სახელმწიფოს შეუძლია ძალა გამოიყენოს მათ დასაკავებლად და შემოსულთა გასაძევებლად, თუმცა, ამის შემდეგ მას არ აქვს მეორე სახელმწიფოზე შურისძიების უფლება, რომ მასზე თავდასხმის მიზეზად გამოიყენოს. უშიშროების საბჭო ხანდახან გმობდა ისრაელს თავისი მეზობლების წინააღმდეგ შეიარაღებული რეპრესალიების განხორციელებისათვის. 1970 წელს გენერალურმა ასამბლეამ განაცხადა, რომ „სახელმწიფოები ვალდებულნი არიან თავი შეიკავონ რეპრესალიებისაგან, რომლებიც ძალის გამოყენებას იწვევენ". 1986 წლის აპრილში აშშ-მ დასავლეთ ბერლინში ამერიკელ ჯარისკაცებზე ლიბიელი ტერორისტის მიერ განხორციელებული თავდასხმის პასუხად ლიბია დაბომბა, თუმცა აშშ-ს არ უცდია დაბომბვა რეპრესალიით გაემართლებინა. პირიქით, პრეზიდენტმა რეიგანმა განაცხადა, რომ დაბომბვა გამართლებული იყო წესდების 51-ე მუხლით, როგორც „(ლიბიის) ტერორისტული ორგანიზაციის წინააღმდეგ გატარებული გამაფრთხილებელი ზომა" (ხაზგასმა დამატებულია). სხვა სიტყვებით, დაბომბვა წინასწარი თავდაცვის აქტი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ლიბიის მომავალი ტერორისტული აქტების თავიდან აცილებას. ამ ინციდენტს აზრთა სხვადასხვაობა მოყვა და ის სერიოზული განსჯის საგნად იქცა. მიუმხრობელი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა დაგმეს ლიბიის დაბომბვა, როგორც „უსაფუძვლო აგრესიის აქტი". სიტყვა „უსაფუძვლო" იმას მოწმობს, რომ ამ ქვეყნების აზრით, ლიბია არ იყო დამნაშავე ტერორიზმში. ამ განმარტების სა-

[1] პ. მალანჩუკი, აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2005წ. გვ. 383.

ფუძველზე, მათი განცხადება ვერ წყვეტს საკითხს – იქნებოდა თუ არა აშშ-ს მიერ ლიბიის დაბომბვა სამართლებრივად გამართლებული, ლიბია დამნაშავე რომ ყოფილიყო ტერორიზმში. აშშ-ს მიერ განხორციელებული სხვა შეიარაღებული ინტერვენციების, მაგალითად, 1989 წელს პანამაში შეჭრის ან 1993 წლის 26 ივნისს ბაღდადის დაბომბვის მსგავსი რეპრესალიების კანონიერება ასევე საეჭვოა.

ატომური იარაღის გამოყენების მუქარის შესახებ თავის საკონსულტაციო მოსაზრებაში საერთაშორისო სასამართლომ არ განიხილა შეიარაღებული რეპრესალიების საკითხი მშვიდობიანობის დროს. მაგრამ აღინიშნა, რომ ასეთი რეპრესალიები „უკანონოდ ითვლება". სასამართლომ ასევე თავი შეიკავა აგრესიული რეპრესალიების საკითხის განხილვისაგან (შეიარაღებული კონფლიქტის დროს), თუმცა მან აღნიშნა, რომ „ნებისმიერ შემთხვევაში, როცა ამგვარი რეპრესალიისათვის მიმართვის უფლებას იყენებენ, თავდაცვის მსგავსად, პროპორციულობის პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდნენ."

მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად სჩანს, რომ რეპრესალიების პრობლემასთან დაკავშირებით ყველაფერი გარკვეული არ არის და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებს პრაქტიკის გათვალისწინებით კიდევ ბევრი სამუშაო დარჩათ მისი ცნებისა და იურიდიული ბუნების გასააზრებლად.

§6. დაქირავებულთა გაწვრთნის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა, დაპირისპირებებმა და შეიარაღებულმა კონფლიქტებმა წარმოაჩინა საერთაშორისო უკანონო საქმიანობის ახალი სახეები, რომლებიც აერთიანებს ნარკოტიკული ნივთიერებებით მოვაჭრეებს და დაქირავებულებს ისეთ ძალადობრივ ქმედებათა ჩასადენად, რომლებიც ძირს უთხრიან სახელმწიფოთა კონსტიტუციურ წეს-წყობილებას.

ამ კატეგორიის მეომართა სტატუსის განსაზღვრის ცდები იწყება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, გან-

საკუთრებით 1950-1960-იან წლებიდან, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ აფრიკისა და აზიის ქვეყნებში ახალ საფეხურს მიაღწია – დაიწყო დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა. ამას ყოფილმა მეტროპოლიებმა, შიგნით ხელისუფლებისათვის მებრძოლმა ჯგუფებმა დაუპირისპირეს დაქირაებულ პირთა შეიარაღებული ფორმირებები. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ არაერთხელ მიმართა ყველა სახელმწიფოს, არ დაუშვან თავის ტერიტორიაზე დაქირავებულ პირთა გამოყენება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს, ხოლო თვით ეს პიროვნებები დამნაშავეთა კატეგორიას მიეკუთვნებიან (1968წ).[1]

ზემოაღნიშნულმა განაპირობა საერთაშორისო კონვენციის მიღება დაქირავებულთა გადაბირების, გამოყენების, დაფინანსების და გაწვრთნის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელსაც საქართველო შეუერთდა 1995 წლის 3 მაისის №731 საქართველოს პარლამენტის დადგენილებებით.

კონვენცია მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებითა და მის შესაბამისად სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო სამართლის დეკლარაციით განმტკიცებული მიზნებისა და პრინციპების დაცვას.

სახელმწიფოები, რომლებიც დაქირავებულებს იბირებენ, იყენებენ, აფინანსებენ და წვრთნიან ქმედებებისათვის, არღვევენ საერთაშორისო სამართლის იმ პრინციპებს, როგორიც არის სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა, პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და ხალხთა თვითგამორკვევა.

დაქირავებულთა გადაბირება, გამოყენება, დაფინანსება და გაწვრთნა ითვლება დანაშაულებად, რომლებიც ყველა სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება და ასეთი დანაშაულის ჩამდენი ნებისმიერი პირი ექვემდებარება ან სასამართლო დევნას ან გადაცემას.

---

[1] ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2010წ. გვ368.

კონვენცია სახელმწიფოებს ავალებს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას და გაფართოებას მსგავს დანაშაულობათა თავიდან ასაცილებლად, დამნაშავე პირთა დევნისა და დასჯის მიზნით.

კონვენციის ხელმომწერი მხარეები დარწმუნებული არიან, რომ დაქირავებულთა გადაბირების, გამოყენების, დაფინანსებისა და გაწვრთნის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციის მოთხოვნათა შესრულება ხელს შეუწყობს მსგავსი კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის ლიკვიდაციას და ამით დაეხმარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში დადასტურებული მიზნებისა და პრინციპების დაცვას.

როგორც ზემოდ აღინიშნა, ტერმინი „დაქირაებული" ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც:

- სპეციალურად გადაბირებულია ადგილზე ან საზღვარგარეთ იმისათვის, რომ იბრძოლოს შეიარაღებულ კონფლიქტებში;
- სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობისას ძირითადად ხელმძღვანელობს პირადი გამორჩენის სურვილით და კონფლიქტში მყოფი მხარე პირდება ან მისი დავალებით ჰპირდებიან მატერიალურ გასამრჯელოს, რომელიც არსებითად აჭარბებს ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების პირად შემდგენლობაში მყოფი ასეთივე რანგისა და ფუნქციის მქონე პირის ანაზღაურების;
- არ არის არც კონფლიქტში მყოფი მხარის მოქალაქე, არც იმ ტერიტორიაზე მცხოვრები, რომელსაც აკონტროლებს კონფლიქტში მყოფი მხარე;
- არ იმყოფება კონფლიქტში მყოფი მხარის შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში და
- ოფიციალურ ვალდებულებათა შესასრულებლად, როგორც მისი შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი პირი არ არის გაგზავნილი იმ სახელმწიფოების მიერ, რომელიც კონფლიქტში მონაწილე მხარე არ არის;
- ტერმინი „დაქირაებული" ნიშნავს აგრეთვე ყოველ პირს, რომელიც სხვა ნებისმიერ სიტუაციაში:

სპეციალურად გადაბირებულია ადგილზე ან საზღვარგარეთ ერთობლივი ძალადობრივი ქმედებებისათვის, რომელთა მიზანია:
მთავრობის დამხობა ან სახელმწიფოს კონსტიტუციური წეს-წყობილების სხვაგვარი შერყევა ან

- სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა;
- ასეთ ქმედებებში მონაწილეობისას ძირითადად ხელმძღვანელობს მნიშვნელოვანი პირადი გამორჩენის სურვილით და მისკენ უბიძგებს მატერიალური გასამარჯელოს დაპირება ან მიღება;
- არ არის იმ სახელმწიფოს არც მოქალაქე, არც მუდმივი მცხოვრები, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული ასეთი ქმედებები;
- არ შედის იმ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში, რომლის ტერიტორიაზეც ხდება ასეთი ქმედებები.

პირი, რომელიც იბირებს, იყენებს, აფინანსებს ან წვრთნის დაქირავებულებს, სჩადის დანაშაულს, გარდა ამისა დანაშაულად ჩაითვლება კონვენციაში აღნიშნულთაგან ერთ-ერთის ჩადენის მცდელობაც. ასევე დამნაშავედ ითვლება თანამზრახველნიც. დაქირავებული, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს სამხედრო ან ერთობლივ ძალადობრივ ქმედებებში, გარემოებათა შესაბამისად სჩადის დანაშაულს, რომელსაც კონვენცია ითვალისწინებს.

კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები, ბუნებრივია არ იბირებენ, არ იყენებენ და არ აფინანსებენ, არ წვრთნიან დაქირავებულებს და კრძალავენ ასეთ საქმიანობას, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლით აღიარებულ ხალხთა თვითგამორკვევის ხელშეუვალი უფლების განხორციელებას და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად იღებენ საჭირო ზომებს ამ მიზნებისათვის დაქირავებულების გადმობირების, გამოყენების, დაფინანსების და გაწვრთნის თავიდან ასაცილებლად. იღებენ ზომებს შესაბამის ტერიტორიაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული ასეთ დანაშაულებათა ჩადენა მათი ტერიტორიის ფარგლებს გარეთაც, იმ პირების, ჯგუფებისა და ორგანიზაციების საქმიანობის აკრძალვის ჩათვლით, რომლებიც

ხელს უწყობენ, აქეზებენ, ორგანიზაციას უწევენ ასეთი დანაშაულებების ჩადენას. სახელმწიფოები ურთიერთ-კოორდინაციით აუცილებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული და სხვა ზომების მიღების გზით თავიდან იცილებენ ასეთ დანაშაულებათა ჩადენას და ასეთის მზადების შემთხვევაში სახელმწიფოები ვალდებული არიან გაცვალონ ინფორმაციები.

ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება სავარაუდო დამნაშავე, დარწმუნდება რა რომ გარემოება ამას მოითხოვს, თავისი კანონების შესაბამისად აპატიმრებს მას ან იღებს სხვა ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სავარაუდო დამნაშავის დაკავებას იმ ვადით, რომელიც აუცილებელია სისხლისსამართლებრივი დევნის აღძრისთვის ან მის გადასაცემად. ასეთი მონაწილე სახელმწიფო ატარებს ფაქტების წინასწარ გამოძიებას.

როდესაც მონაწილე სახელმწიფო კანონის შესაბამისად აპატიმრებს პირს ან პირების მიმართ ატარებს გათვალისწინებულ სხვა ზომებს, იგი დაუყოვნებლივ აცნობებს ამას უშუალოდ ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეშვეობით:

- მონაწილე სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც იქნა ჩადენილი დანაშაული;
- მონაწილე სახელმწიფოს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია დანაშაული ან დანაშაულის მცდელობა;
- მონაწილე სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეობაც აქვს ფიზიკურ ან მის ტერიტორიაზე დაფიქსირებულ იურიდიულ პირს, რომლის წინააღმდეგაც იყო მიმართული დანაშაული ან დანაშაულის მცდელობა;
- მონაწილე სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეც არის სავარაუდო დამნაშავე, ან იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეობა არ აქვს, სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც ის ჩვეულებრივ ცხოვრობს;
- ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოს, რომლის ინფორმირებაც აუცილებლად მიაჩნია.

ნებისმიერ პირს, რომლის მიმართაც იღებენ ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულ ზომებს, ეძლევა უფლება:

- დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს იმ სახელმწიფოს უახლოეს შესაბამის წარმომადგენელს, რომლის ტერიტორიაზეც ჩვეულებრივ ცხოვრობს;
- მოინახულოს ამ სახელმწიფოს წარმომადგენელმა.

კანონმდებლობა არ ზღუდავს ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს უფლებებს, სთხოვოს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს დაუკავშირდეს სავარაუდო დამნაშავეს და მოინახულოს იგი.

სახელმწიფო, რომელიც ატარებს კანონით გათვალისწინებულ წინასწარ გამოძიებას, დაუყოვნებლივ აცნობებს დაინტერესებულ სახელმწიფოებს და მიუთითებს საფუძვლებზე, აქვს თუ არა უფლება განახორციელოს იურისდიქცია.

აღსანიშნავია ისიც, რომ გაეროს „დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ" (1970წ.) სპეციალურად მიუთითებს, რომ ყოველი სახელმწიფო მოვალეა, თავი შეიკავოს არარეგულარული ძალებისა და მათი შეიარაღებული ბანდების, მათ შორის დაქირავებულ პირთა და ორგანიზაციების წახალისებისაგან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეჭრის მიზნით.[1]

ასეთი თანამშრომლობა მსგავსი დანაშაულობების პრევენციაა.

---

[1] ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2010წ. გვ. 369

თავი XIII

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო

§1. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიზნები და ამოცანები

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა და მათი გადაწყვეტის პროცესმა, დღის წესრიგში დააყენა ახალი მექანიზმების შექმნის აუცილებლობა, რადგან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მიმართულია შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვისა და ომის წარმოების საშუალებებისა და მეთოდების შეზღუდვისაკენ. ამ სამართლის სერიოზული დარღვევები ომის დანაშაულებს წარმოადგენენ. მათზე პასუხისმგებელი პირები უნდა გასამართლდნენ და დაისაჯონ. ამისათვის, 1990-იან წლებში შეიქმნა საერთაშორისო სისხლის სამართლის ორი ტრიბუნალი, რომლებსაც უფლებამოსილება ჰქონდათ, გაესამართლებინათ პირები ომის იმ დანაშაულებისათვის, რომელსაც ისინი სჩადიოდნენ კონკრეტულ კონფლიქტებში. მოლაპარაკე მხარეებმა, მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს შექმნის თაობაზე ძალისხმევა დაასრულეს 1998 წელს, რომის სტატუტის მიღებით. 2002 წლის 1 ივლისს, საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, 120-მა ქვეყანამ ხელი მოაწერა რომის სტატუტს (7 სახელმწიფო გამოვიდა წინააღმდეგი, ხოლო 21-მა თავი შეიკავა), რომელიც ეფუძნება დიპლომატიურ კონფერენციაზე 1998 წლის 17 ივლისს მიღებულ წესდებას, მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო ორგანოს, სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნას (შემდგომში სსს ან სასამართლო), რომელიც საერთაშორისო დანაშაულების ჩამდენ პირთა მიმართ იურისდიქციას ახორციელებს. რომის წესდებით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრეამბულაში ვკითხულობთ: წინამდებარე წესდების მონაწილე სახელმწიფოები აცნობიერებენ, რომ ყველა ხალხები გაერთიანებულნი არიან საერთო კავშირებით და ერთმანეთს გადაჯაჭვული ყოველი მათგანის კულტურა ქმნის საერთო

მემკვიდრეობას, და შეშფოთებულნი არიან იმის გამო, რომ ეს მყიფე მოზაიკა შეიძლება დაიშალოს ნებისმიერ დროს;

მხედველობაში იღებენ იმას, რომ ამ საუკუნის განმავლობაში მილიონობით ბავშვი, ქალი და მამაკაცი გახდა წარმოუდგენელ ბოროტმოქმედებათა მსხვერპლი, რამაც ღრმად შეძრა კაცობრიობის შეგნება;

აღიარებენ, რომ ეს უმძიმესი დანაშაულები საფრთხეს უქმნის მსოფლიოს მშვიდობას, უშიშროებასა და კეთილდღეობას;

ამტკიცებენ, რომ მთელი საერთაშორისო საზოგადოების შემაშფოთებელი უმძიმესი დანაშაულები არ უნდა დარჩეს დაუსჯელი და მათი ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა უზრუნველყოფილი უნდა იქნას ეროვნულ დონეზე ზომების მიღებითა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებით;

გადაწყვეტილი აქვთ, ბოლო მოუღონ ამგვარი დანაშაულების ჩამდენთა დაუსჯელობას და ამგვარად, ხელი შეუწყონ მსგავსი დანაშაულების თავიდან აცილებას.

ითვალისწინებენ იმასაც, რომ ყველა სახელმწიფოს ვალდებულებაა, განახორციელოს თავისი სისხლის სამართლის იურისდიქცია იმ პირებზე, რომელთაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისათვის;

კვლავ ადასტურებენ რა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებსა და პრინციპებს, კერძოდ, იმას, რომ ყოველი სახელმწიფო თავს იკავებს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ძალით მუქარისაგან ან ძალის გამოყენების, ან სხვა ქმედებისაგან, რაც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებთან;

ამასთან დაკავშირებით, ხაზს უსვამენ იმას, რომ ამ წესდებაში არაფერი არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ რომელიმე მონაწილე სახელმწიფოს მიენიჭოს უფლება, ჩაერიოს ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ კონფლიქტში, ან მის საშინაო საქმეებში;

იღვწიან მიზნების მიღწევისა და ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის, აფუძნებენ გაეროთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემასთან დაკავშირებულ დამოუკი-

დებელ მუდმივ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, რომლის იურისდიქციაც მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის შემაშფოთებელ უმძიმეს დანაშაულებზე ვრცელდება;

ხაზს უსვამენ იმას, რომ ამ წესდების საფუძველზე დაფუძნებული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, ეროვნული სისხლის სამართლის იურისდიქციის შემავსებელი იქნება;

მიზნად ისახავენ საერთაშორისო მართლმსაჯულების აღსრულებისათვის მყარი გარანტიების შექმნას და მისდამი პატივისცემის უზრუნველყოფას.[1]

წესდების მუხლში პირველი ნაწილი ეხება სასამართლოს დაფუძნებას, საიდანაც ჩანს, რომ პირველივე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო („სასამართლო") წარმოადგენს მუდმივმოქმედ ორგანოს და გააჩნია უფლებამოსილება, განახორციელოს მისი იურისდიქცია იმ პირებზე, რომლებიც პასუხს აგებენ საერთაშორისო მნიშვნელობის ისეთი დანაშაულებისათვის, რომლებიც ჩამოთვლილია წინამდებარე წესდებაში და წარმოადგენს ეროვნულ სისხლის სამართლის იურისდიქციათა შემავსებელს. სასამართლოს იურისდიქციასა და ფუნქციონირებას წინამდებარე წესდების დებულებები არეგულირებენ.

რომის სტატუტი არის ვრცელი, მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს 128, მათ შორის, ბევრ მნიშვნელოვან და რთულ მუხლს, იგი, პრეამბულასთან ერთად, შედგება 13 ნაწილისაგან. ამათგან I ნაწილში მოცემულია ინსტიტუციური დებულებები ნაწილი ეხება იურისდიქციისა და დასაშვები ნდობის საკითხებს და განსაზღვრავს გამოსაყენებელი სამართლის ნორმებს, რომელიც სტატუტის ძირითად ნაწილს, ხერხემალს წარმოადგენს, სადაც მოცემულია როგორც დანაშაულის შემადგენლობის დეფინიციები, რომლებზედაც ვრცელდება სასამართლოს იურისდიქცია.

---

[1] სისხლის სამართლის საერთაშორისო სამართლის რომის წესდება, მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებამოსილ წარმომადგენელთა დიპლომატიურ კონფერენციაზე 1998 წლის 17 ივლისი გვ.1

მესამე ნაწილში მოცემულია სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპები, მეოთხე ნაწილი იხილავს სასამართლოს ორგანიზაციისა და ადმინისტრაციის საკითხებს. მე-5, მე-6 და მე-8 ნაწილები აწესრიგებენ სასამართლოს საქმიანობის პროცესუალურ საკითხებს. მე-7 ნაწილში მოცემულია, სასჯელის სახეები და სისხლისსამართლებრივი იძულებები. მე-9 და მე-10 ნაწილები ეხება თანამშრომლობისა და აღსრულების საკითხებს. ხოლო მე-12 ნაწილი – დაფინანსების საკითხებს. მე-13 ნაწილში მოცემულია დასკვნითი დებულებები, სტატუტის ძირითადი დებულებები და შინაარსი ფართოდ განხილული აქვს პროფ. მ. ტურავას.[1]

სასამართლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ურთიერთობას ამყარებს შეთანხმებით, რომელსაც იწონებს ამ წესდების მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა და შემდგომში, სასამართლოს თავმჯდომარე ახდენს ურთიერთობათა კონკრეტიზაციას სასამართლოს სახელით.

სასამართლოს ადგილსამყოფელია ქ. ჰააგა, ნიდერლანდები („მასპინძელი სახელმწიფო“).

სასამართლო, მასპინძელ სახელმწიფოსთან დებს შეთანხმებას შტაბ-ბინის მთავარი ადგილსამყოფელის შესახებ, რომელსაც ამტკიცებს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა და შემდგომში დებს სასამართლოს თავმჯდომარე, სასამართლოს სახელით.

თუ სასამართლო მიზანშეწონილად ჩათვლის, მას შეუძლია შეიკრიბოს ნებისმიერ სხვა ადგილას, რომელიც გათვალისწინებულია ამ წესდებით.[2]

სასამართლოს აქვს საერთაშორისო სამართალი, სუბიექტობა. მას, აგრეთვე, აქვს ისეთი დამატებითი უფლებამოსილება, რომელიც შეიძლება აუცილებელი აღმოჩნდეს მისი ფუნქციების განხორციელებისა და მიზნების მიღწევისათვის. გარდა ამისა, მას შეუძლია თავისი ფუნქციები და უფლებამოსილება განახორციელოს ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე,

---

[1] იხ. მ. ტურავა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, თბ., 2005 წ.

[2] სისხლის სამართლის საერთაშორისო სამართლის რომის წესდება, 1998 წლის 17 ივლისი გვ. 2.

როგორც ეს განსაზღვრულია სსს-ის წესდებაში და სპეციალური შეთანხმების საფუძველზე, ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

გარდა ამისა, სს-ს რომის წესდება ეხება სასამართლოს მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტს: მატერიალურს, პროცესუალურს და პროცედურულს. დანაშაულთა ჩამონათვალი, რომლებზეც სსს იურისდიქციას ახორციელებს, იურისდიქციული კომპეტენციის საკითხები (სიტუაციის პირობები სასამართლოზე მათ განსახილველად), სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპები, რომლებითაც ის ხელმძღვანელობს, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წესი, სასამართლო განხილვის პროცედურა, გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და გადახედვის პროცედურა, განაჩენთა აღსრულების საკითხები, საერთაშორისო თანამშრომლობისა და სამართლებრივი დახმარების სხვადასხვა ასპექტი და სხვა საკითხები.

სსს-ს საქმიანობის განხორციელებისათვის მიღებული რიგი დამატებითი ფუძემდებლური დოკუმენტები სსს-ს სტატუტისადმი:

1) იმ დანაშაულთა ელემენტები, რომლებიც სსს-ს სტატუტის მე-9 მუხლის შესაბამისად, დახმარებას უწევენ სასამართლოს სსს-ს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულების მუხლების განმარტებასა და გამოყენებაში.

2) იმ პროცედურებისა და მტკიცებების წესი, რომლებიც სასამართლოს უშუალო ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის აუცილებელ ნორმებს გულისხმობენ;

3) შეთანხმებები სსს-ს პრივილეგიებსა და იმუნიტეტებზე, რომელთა შესაბამისადაც, დგინდება იმუნიტეტები მოსამართლეების, პროკურორის, მდივნისა და სხვა პერსონალისათვის;

4) საფინანსო დებულებები და წესები, რომლებიც ადგენენ სასამართლოს ბიუჯეტის ფორმირებას;

5) დებულება პერსონალის შესახებ, რომელიც ახდენს სსს-ს პერსონალის დაკომპლექტების წესს;

6) მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის პროცედურის წესი, რომელიც აუცილებელია მისი ეფექტური ფუნქციონირებისათვის, სხვა დოკუმენტები.

თანამედროვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს აღმოცენების ისტორია იწყება წარუმატებელი წინადადებებით, ჩამოყალიბებულიყო საერთაშორისო ტრიბუნალი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კი, ნიურნბერგისა და ტოკიოს სამხედრო ტრიბუნალებმა, მსოფლიო საზოგადოების თვალთახედვის არეში წინა პლანზე წამოსწია მუდმივმოქმედი სასამართლოს შექმნის აუცილებლობა.

საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდიფიკაციის დასაწყისად და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ჩანასახად შეიძლება მივიჩნიოთ 1945 წლის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი. აღნიშნული დოკუმენტებისათვის იურიდიული ძალის მინიჭების მიზნით, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, 1946 წლის დეკემბერში, სპეციალური რეზოლუციით დაადასტურა ნიურნბერგის ტრიბუნალის სტატუტით აღიარებული საერთაშორისო სამართლის პრინციპები. გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭომ, რომელიც გაერთიანებული ერების ქარტიის მე-7 თავის საფუძველზე მოქმედებს, ჩამოაყალიბა სისხლის სამართლის ორი საერთაშორისო სასამართლო. ეს ტრიბუნალები საგანგებოა (ად ჰოც). ისინი შეიქმნა იმ ქმედებების განსასჯელად, რომლებიც ჩადენილი იქნა ორ კონკრეტულ შემთხვევაში: ყოფილ იუგოსლავიასა და რუანდაში.

ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი, რომელიც ჰააგაში (ნიდერლანდები) დაფუძნდა, შეიქმნა უსაფრთხოების საბჭოს №808 რეზოლუციით, 1993 წლის თებერვალში. მისი იურისდიქცია შეზღუდულია ყოფილ იუგოსლავიაში, 1991 წლის შემდეგ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებით და მოიცავს დანაშაულთა ოთხ კატეგორიას:

1. 1949 წლის ჟენევის კონვენციის სერიოზული დარღვევები;
2. ომის კანონებისა და ჩვეულებების დარღვევები;
3. გენოციდი;
4. დანაშაულები ადამიანობის წინააღმდეგ.

ეს დანაშაულები განსაზღვრულია ტრიბუნალის სტატუტში.

ტრიბუნალმა ინდივიდთა ფართო წრის წინააღმდეგ გამოსცა საბრალდებო აქტები, დანაშაულზე ფორმალური ბრალდებები. თუმცა, ამ პირთა უმეტესი ნაწილი, ჯერ კიდევ თავისუფალია. ზოგიერთი მათგანი დაკავებული იქნა და გასამართლდა. ტრიბუნალს მიღებული აქვს მთელი რიგი გადაწყვეტილებები პროცედურულ და არსებით საკითხებზე. პირველი სასამართლო პროცესი გაიმართა 1997 წლის მაისში.

რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი, რომელიც არუშაში (ტანზანია) დაფუძნდა, შეიქმნა უსაფრთხოების საბჭოს № 955 რეზოლუციით, 1994 წლის ნოემბერში. მისი იურისდიქცია შეზღუდულია რუანდაში ან რუანდის მოქალაქეების მიერ, მეზობელ სახელმწიფოებში 1994 წელს ჩადენილი დანაშაულებით. ის მოიცავს სამი კატეგორიის დანაშაულებს, როგორც ეს განსაზღვრულია ტრიბუნალის სტატუტში:

1. გენოციდი;
2. დანაშაულები ადამიანობის წინააღმდეგ;
3. 1949 წლის კონვენციისა და II დამატებითი ოქმის საერთო, მე-3 მუხლის დარღვევები (ისინი განსაზღვრავს წესებს, რომლებიც შეეხება არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს).

არუშას ტრიბუნალს მიღებული აქვს მთელი რიგი გადაწყვეტილებები სამართლებრივ საკითხებზე. ტრიბუნალში, პირველი სასამართლო განხილვა დაიწყო 1997 წლის იანვარში.

თითოეულ ტრიბუნალს, უსაფრთხოების საბჭოს მიერ წარდგენილი სიიდან, ყავს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ არჩეული თერთმეტი მოსამართლე. ასევე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ დანიშნული რეგისტრატორი, რომელიც პასუხისმგებელია ადმინისტრირებაზე. ტრიბუნალებს ყავთ საერთო პროკურორი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარდგინებით არის დანიშნული უსაფრთხოების საბჭოს მიერ და, ასევე, ყავთ საერთო სააპელაციო პალატა.

სახელმწიფოებს ჰააგისა და არუშას ტრიბუნალებთან თანამშრომლობის ღია ვალდებულება აქვთ. ეს, საჭიროების შემთხვევაში, მოიცავს იმგვარი კანონმდებლობის დამტკიცებას,

რომელიც უზრუნველყოფს მტკიცებულებათა შეკრებასა და იმ პირთა დაკავებასა და გადაცემას, რომელთაც ბრალი ედებათ ტრიბუნალების იურისდიქციაში შემავალი დანაშაულების ჩადენაში.

გარდა ამისა, სახელმწიფოებს თვითონაც ეკისრებათ ვალდებულება, მათ საკუთარ ეროვნულ სასამართლოებში გაასამართლონ ის პირები, რომელთაც ბრალი ედებათ ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი ხელშეკრულებების (1949 წლის ჰააგის კონვენციები და 1977 წლის I დამატებითი ოქმი) — სერიოზულ დარღვევებში; ან ისინი, სხვა სასამართლოებს წარუდგინონ გასასამართლებლად. ამის მიუხედავად, სახელმწიფოებს არ ეხსნებათ ვალდებულება, სერიოზულ დარღვევებზე პასუხისმგებელი პირები წარუდგინონ მართლმსაჯულებას, ხოლო შიდა ეროვნული სასამართლოები კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ომის დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივ დევნაში.

1950-იანი წლებიდან მოყოლებული, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განიხილავდა იმგვარი სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს შექმნის საკითხს, რომლის იურისდიქცია გავრცელდებოდა დანაშაულებზე. მათი ჩადენის ადგილისა და დროის მიუხედავად. დისკუსიები განახლდა 1994 წელს, როცა გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ შექმნა კომისია, სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტის პროექტის განსახილველად. ამას მოყვა სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს შესაქმნელად მოსამზადებელი კომიტეტის შეკრება. მოსამზადებელ კომიტეტში გამართულ დისკუსიებს მოყვა 1998 წლის რომის დიპლომატიური კონფერენცია, რომელზეც დამტკიცებული იქნა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 162 სახელმწიფო. აქედან 120 მოწონებით შეხვდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის იდეას.

„სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება“ ძალაში შევიდა 2002 წლის პირველ ივლისს.

დღევანდელი მდგომარეობით, რომის სტატუტის რატიფიცირება უკვე მოახდინა ას ათმა სახელმწიფომ.[1]

სასამართლოს სტატუტი წესდება შედგება პრეამბულისა და 13 ნაწილისაგან, რომელიც 128 მუხლს მოიცავს.

როგორც უკვე აღინიშნა, სტატუტის პრეამბულაში მოცემულია სსს-ს მიზნები და პრინციპები. სასამართლოს ძირითადი მიზანი ნათლად და მოკლედ არის ფორმულირებული: ბოლო მოუღოს სერიოზულ დანაშაულთა ჩამდენ პირთა დაუსჯელობას, რომლებიც ემუქრება საყოველთაო მშვიდობას, ურთიერთობასა და კეთილდღეობას, რაც მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის შეშფოთებას იწვევს და ამით ხელი შეუწყოს მსგავსი დანაშაულების თავიდან აცილებას (პრეამბულის 3-ე და 9-ე აბზ.). სსს თავის საქმიანობას ავსებს სისხლის სამართლის იუსტიციის ნაციონალური ორგანოებით.

შეთანხმება სსს-სა და გაეროს შორის დადებული იყო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ, სსს-ის სახელით, ამ შეთანხმების თანახმად:

– გაერო აღიარებს სასამართლოს, როგორც დამოუკიდებელ მუდმივ სასამართლო ორგანოს, რომელიც სსს-ის სტატუტის 1 და 4 მუხ. თანახმად, ფლობს საერთაშორისო სამართალსუბიექტურობას და ისეთ სამართალუნარიანობას, რომელიც შეიძლება აუცილებელი აღმოჩნდეს მისი ფუნქციების განხორციელებისა და მიზნების მიღწევისათვის;

– სსს აღიარებს გაეროს ვალდებულებებს წესდების თანახმად;

– გაერო და სასამართლო პატივს სცემენ ერთმანეთის სტატუსს და მანდატს;

– გაერო და სსს თანხმდებიან იმაში, რომ თავიანთი მოვალეობების ეფექტურად შესრულებისათვის, მჭიდროდ ითანამშრომლონ და ერთმანეთს უწევენ კონსულტაციებს იმ საკითხებში, რომლებიც ორივე მხარისათვის მისაღებია.

ამასთან, მათი ინსტიტუციური კავშირები გამოიხატება შემდეგში:

– ურთიერთწარმომადგენლობა მათი ორგანოების სხდომებზე და მათ მიერ მოწვეულ თათბირებსა და კონფერენციებზე;

---

[1] ს. გრიცაევი, საერთაშორისო მართლმსაჯულება და რომის სტატუტი, მ. 2005 წ. (რუს. ენ.).

– ორივე მხარისათვის საინტერესო ინფორმაციებისა და დოკუმენტების რეგულარული გაცვლა;
– სსს-ს შეუძლია, თუ ამას მიზანშეწონილად ჩათვლის, წარუდგინოს მოხსენება თავისი მოღვაწეობის შესახებ გაეროს, გენერალური მდივნის მეშვეობით;
– სსს-ს შეუძლია, შესთავაზოს საკითხები განსახილველად გაეროს და ა.შ.

სს-სა და გაეროს თანამშრომლობა ხდება შემდეგი ფორმებით:

1) გაეროს მიერ სასამართლოსათვის ისეთი ინფორმაციის, ან დოკუმენტების წარდგენა, რომელთა მოთხოვნაც მას შეუძლია საკუთარი სტატუტის შესაბამის დებულებათა შესასრულებლად;

2) თუ სასამართლო სთხოვს გაეროს, რომელიმე თანამდებობის პირის ან მისი ნებისმიერი პროგრამის, ფონდის განყოფილების წევრის, მოწმის ჩვენების მიცემას, გაერო იღებს ვალდებულებას, ითანამშრომელოს სასამართლოსთან, თანახმად წესებისა და კონვენციისა გაეროს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ და საკუთარი წესების დაცვის პირობით, უარს ამბობს ვალდებულებებზე, კონფედენციალურობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით;

3) სასამართლო თანამშრომლობს გაეროს უშიშროების საბჭოსთან იმ დანაშაულთა გამოძიების დაწყებისა და შეჩერების საკითხებშიც, რომლებიც სსს-ის იურისდიქციაში ექცევა;

4) სსს-ს პროკურორი ახორციელებს თანამშრომლობას გაეროსთან იმ დანაშაულთა გამოძიების დაწყების ან შეჩერების საკითხებშიც, რომლებიც სსს-ს იურისდიქციაში ექცევა; აგრეთვე, სასამართლოსთან თანამშრომლობაზე სახელმწიფოს უარის შემთხვევაში.

სსს-ს სტატუტის მე-12 ნაწილის შესაბამისად, დაწესდა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს, რომის სტატუტის მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა, წარმომადგენლობითი ორგანო, რომელშიც ყოველ სახელმწიფოს ჰყავს თითო წარმომადგენელი, მოადგილეებითა და მრჩევლებით.

მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის უფლებამოსილებანი:

1) წარუდგენს პრეზიდიუმს, პროკურორს და მდივანს ადმინისტრაციულ მიმოხილვას სასამართლოს საქმეთა მართვის საკითხებზე;
2) განიხილავს ბიუროს მოხსენებებსა და მოღვაწეობას და ამასთან დაკავშირებით ატარებს შესაბამის ღონისძიებებს;
3) განიხილავს და იღებს სასამართლოს ბიუჯეტს;
4) წყვეტს, არის თუ არა აუცილებელი მოსამართლეთა რიცხვის შეცვლა 36-ე მუხლის შესაბამისად;
5) განიხილავს სსს-ს სტატუტის 87-ე მუხლის V, VII პარაგრაფის შესრულებას, რომელიც თანამშრომლობის არსებობას ეხება;
6) ახორციელებს ნებისმიერ სხვა ფუნქციებს, რომლებიც თავსებადია სსს-ს სტატუტთან ან პროცედურის დამტკიცების წესებთან.

ასამბლეის ბიუროს შემადგენლობაში შედიან თავმჯდომარე, მისი ორი მოადგილე და 18 წევრი. ასამბლეის მიერ სამი წლის ვადით არჩეულ ბიუროს აქვს წარმომადგენლობითი ხასიათი, რომელიც ითვალისწინებს, კერძოდ, მსოფლიოს თანამედროვე სამართლებრივი სისტემების სათანადო წარმომადგენლობებისა და სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების კრიტერიუმებს. ბიუროს სხდომები ტარდება აუცილებლობის მიხედვით, მაგრამ არანაკლებ ერთხელ წელიწადში.

ასამბლეის დამხმარე ორგანოდ დაწესდა მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის სამდივნო, როგორც ზედამხედველობის, ინსპექციის ჩატარების, სასამართლოს საქმიანობის შეფასების და კვლევის მექანიზმი, მისი ეფექტურობისა და ეკონომიურობის მიზნით.

სასამართლოს თავმჯდომარე, პროკურორი, მდივანი ან მათი წარმომადგენელი უფლებამოსილნი არიან, აუცილებლობის შემთხვევაში, მონაწილეობა მიიღონ ასამბლეის და ბიუროს სხდომებში. ასამბლეის სესიები ტარდება სასამართლოს ადგილსამყოფელში ან გაეროს ცენტრალურ დაწესებულებებში, წელიწადში ერთხელ; ხოლო, როდესაც ამას მოითხოვს ვითარება, ასამბლეის სპეციალური სესიები ტარდება. სპეციალურ სესიებს ბიურო იწვევს საკუთარი ინიციატივით ან მონაწილე სახელმწიფოთა ერთი მესამედის თხოვნით.

ყოველ მონაწილე სახელმწიფოს აქვს ერთი ხმა. ყველა ძალისხმევა ხორციელდება გადაწყვეტილების მისაღწევად კონსენსუსის საფუძველზე ასამბლეასა და ბიუროში, თუ სტატუტში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული:

1) გადაწყვეტილება არსობრივად უნდა დამტკიცდეს მონაწილეთა ორი მესამედის უმრავლესობით იმ პირობით, რომ მონაწილე სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობა კენჭისყრისათვის უზრუნველყოფს ქვორუმს.

2) გადაწყვეტილებები პროცედურულ საკითხებზე მიიღება დამსწრეთა და კენჭისყრის მონაწილე სახელმწიფოთა უბრალო უმრავლესობით.

მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც დავალიანება აქვს სასამართლოს ხარჯების ანაზღაურებისათვის ფულადი შენატანების მიმართ, არა აქვს ხმის უფლება ასამბლეასა და ბიუროში, თუ დავალიანების თანხა უტოლდება ან აღემატება ორი სრული წლის ფულადი შენატანის ოდენობას. ასამბლეას, მიუხედავად ამისა, შეუძლია ნება დართოს ასეთ სახელმწიფოს, მიიღოს მონაწილეობა ასამბლეასა და ბიუროში, თუ ის დარწმუნდება, რომ გადაუხდელობა გამოწვეულია ამ მონაწილე სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი გარემოებებით.

§2. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებები

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების მე-5 მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ დანაშაულებს, რომლებიც ოთხ კატეგორიას მოიცავს. ესენია:

- გენოციდის დანაშაული;
- დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ;
- სამხედრო დანაშაულები;
- აგრესიის დანაშაული.

ისინი განიხილება, როგორც ყველაზე უფრო სერიოზული დანაშაულები, რომლებიც მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის შეშფოთებას იწვევენ.

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ლექსიკონ-ცნობარში განმარტებულია როგორც საერთაშორისო დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, რომელიც განისაზღვრება კონვენციით, გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისი ჩადენისათვის დასჯის შესახებ (გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 9.XII.1948. საქართველო ამ კონვენციას შეუერთდა 1992). გენოციდი არის ქმედება, რომლის მიზანია, მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპოს რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფი. გენოციდი გამოიხატება ასეთი ჯგუფის წევრთა გაჟლეტაში, მათი სხეულისა თუ გონებისათვის სერიოზული ზიანის მიყენებაში, განზრახ ისეთი საარსებო პირობების შექმნაში, რომელთა მიზანია ჯგუფის სრული ან ნაწილობრივი ფიზიკური მოსპობა, შობადობის იძულებითი შემცირებით, სხვა ჯგუფისათვის მათ გადაცემაში. ასეთი ქმედებები დანაშაულია საერთაშორისო სამართლის წინაშე და მის აღსაკვეთად ყველა სახელმწიფო, ერთობლივად თუ ინდივიდუალურად, უნდა იბრძოდეს. გენოციდის ჩამდენ პირთა დასჯის მიზნით შესაძლებელია საერთაშორისო სასამართლოს შექმნა. დანაშაული შეტანილია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში. სახელმწიფოები მოვალენი არიან, აქტიურად ებრძოლონ გენოციდის ნებისმიერ გამოვლინებას თავისი საზღვრების შიგნით, ხოლო, თუ ასეთ ქმედებას თვითონ სახელმწიფო ახორციელებს, ის საერთაშორისო დანაშაულს სჩადის და მისი ხელმძღვანელებიც ამ დანაშაულის უშუალო ჩამდენნი არიან, სამართალით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას ექვემდებარებიან.[1]

მე-6 მუხლი მთლიანად იმეორებს გენოციდის შესახებ არსებული კონვენციის მე-2 მუხლის სამი ძირითადი ელემენტის ჩამონათვალით: ჩადენილი ნაციონალური, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის; მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების განზრახვით; ნებისმიერი, ზემოთ ჩამოთვლილი ქმედების განხორციელება მოცემული იდენტიფიცირებული ჯგუფის მიმართ.

---

[1] თანამედროვე სართაშორისო სამართალი(ლექსიკონი-ცნიბარი), თბ. 2003 წ. გვ. 71

2. დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ. ესაა ნებისმიერი ქმედება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, როდესაც მათ ადგილი აქვთ ნებისმიერ სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ფარგლებში. ეს აღნიშნავს ქცევის სახეს, რომელიც შეიცავს სსს-ს მე-7 მუხლში მითითებული აქტების მრავალგზის ჩადენას, ასევე ნებისმიერ ქმედებას სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოს ან ორგანიზაციის მიერ ისეთი პოლიტიკის გატარების მიზნით, რაც გამოიხატება შემდეგ ქმედებებში:

– მკვლელობა;

– განადგურება – ცხოვრების პირობების განზრახ გაუარესება, კერძოდ, საკვები პროდუქტებისა და წამლების მისაწვდომობის აღკვეთა, რაც მოსახლეობის ნაწილის განადგურებას ისახავს მიზნად;

– დამონება დაკავშირებულია „საკუთრების უფლებასთან“, როდესაც, ნებისმიერი ქმედების განხორციელება შეიცავს საკუთარ თავში ასეთი უფლებამოსილების შინაარსს, რაც გამოიხატება ადამიანებით, კერძოდ, ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის პროცესის განხორციელებაში.[1]

– დეპორტაცია ან მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება.

– იმ პირთა იძულებითი გადაადგილება, რომლებიც დაექვემდებარნენ გასახლებას ან სხვა იძულებით ქმედებებს იმ რაიონიდან, რომელშიც ისინი კანონიერად იმყოფებიან, საერთაშორისო სამართლით დაშვებული საფუძვლის არსებობის პირობებში;

– ციხეში ჩასმა ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა, საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური ნორმების დარღვევით;

– წამების, ძლიერი ტკივილის ან ტანჯვის განზრახ მიყენება; იქნება ის ფიზიკური თუ ფსიქიკური, დაცვის ან კონტროლის ქვეშ მყოფი პირისათვის; მაგრამ წამებად არ ითვლება ტკივილი ან ტანჯვა, რომელიც ჩნდება მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად, განუყოფელია ამ სანქციებიდან, ან მათ მიერ შემთხვევით არის გამოწვეული.

---

[1] გ. ლობჟანიძე, თრეფიკინგის სამართლებრივი ასპექტები. თბ. 2006 წ. გვ. 30-31.

– გაუპატიურება, სქესობრივი დამონება, პროსტიტუციის იძულება, იძულებითი ორსულობა, რომელიმე ორსული ქალისათვის იძულებით თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლის ან საერთაშორისო სამართლის სხვა სერიოზული დარღვევის განხორციელების მიზნით (ეს განსაზღვრა არავითარ შემთხვევაში არ განიმარტება, როგორც იმ ნაციონალური კანონმდებლობის უარყოფა, რომელიც ეხება ორსულობას, იძულებით სტერილიზაციას ან სექსუალური ძალადობის ნებისმიერ სხვა ფორმას);
– ნებისმიერი იდენტიფიცირებული ჯგუფის ან ეროვნების დევნა პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, გენდერული ან სხვა მოტივებით, რომლებიც ყველგან დაუშვებლად არის აღიარებული, თანახმად საერთაშორისო სამართლისა;
– ადამიანთა იძულებითი გაუჩინარება; ადამიანთა დაპატიმრება, დაკავება ან მოტაცება სახელმწიფოს ან პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ, ან მათი ნებართვით, მხარდაჭერით ან თანხმობით, თავისუფლების ასეთი აღკვეთის შემდგომი უარყოფით, რათა არ აღიარონ თავისუფლების აღკვეთის ფაქტი, ან არ გაავრცელონ ინფორმაცია ამ ადამიანების ბედის ან ადგილსამყოფელის შესახებ, კანონის მიერ მათი დაცვის ჩამორთმევის მიზნით დროის ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში;
– აპართეიდის დანაშაული, ეს არის, თავისი ხასიათით, იმისი ანალოგიური ქმედებები, რაც სსს-ს სტატუტის მე-7 მუხლის 1 პარაგრაფში, მითითებულია ერთი რასობრივი ჯგუფის მქონე ბატონობისა და სისტემატური ჩაგვრის ინსტიტუციონალიზებული რეჟიმის კონტექსტში, ასეთი რეჟიმის შენარჩუნების მიზნით. აპართეიდი რასობრივი დისკრიმინაციის ნაირსახეობაა, რაც გამოიხატება გაბატონებული ეროვნების მხრიდან, აღნიშნული ჯგუფების ექსპლუატაციის ყველაზე ულმობელი და არაადამიანური პოლიტიკისა და სათანადო მექანიზმების შექმნით. აპართეიდი მძვინვარებდა სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკაში XX საუკუნის 90-იან წლებამდე. ევროპიდან გადმოსახლებულმა მოსახლეობამ დაამწყვდია აფრიკის, აზიისა და სხვა ფერადკანიანები (მოსახლეობის 80%) ე.წ. ბანტუსტანებში, კონცენტრაციულ ბანაკებში და შემოიღო ამ ბანაკებში მცხოვრები მო-

სახლეობისათვის განცალკევებული საზოგადოებრივი ცხოვრების წესები, სწავლა-განათლების უვარგისი სისტემა. აპართეიდის წინააღმდეგ ბრძოლა სისხლისმღვრელი შეტაკებებით სრულდებოდა, ხოლო მებრძოლთა ლიდერებს სამუდამო პატიმრობას უსჯიდნენ (მათ შორის იყო პრეზიდენტი მანდელაც). გაერო აქტიურად იბრძოდა აპართეიდის რეჟიმის წინააღმდეგ. გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, მთელმა მსოფლიომ შეწყვიტა სამხრეთ აფრიკასთან პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო, კულტურული, სპორტული ურთიერთობანი. 1973 წელს დაიდო კონვენცია აპართეიდის დანაშაულებების აღკვეთისა და მის გამო დასჯის შესახებ, რომელიც აპართეიდს საერთაშორისო დანაშაულთა რიცხვს, კერძოდ, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა კატეგორიას მიაკუთვნებს. გაეროს და სხვა რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით, თეთრკანიანთა რეჟიმი იძულებული გახდა გაეუქმებინა აპართეიდის რეჟიმი და მოსახლეობის უმრავლესობისათვის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სრული რეალიზაციის საშუალება მიეცა. ეს პროცესი დაიწყო 1994 წლიდან;[1]

– ანალოგიური ხასიათის სხვა არაადამიანური ქმედებები, რომლებიც მდგომარეობს ძლიერი ტანჯვის ან სხეულის სერიოზულ დაზიანების მიყენებაში, ან ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობისათვის სერიოზული ზიანის მიყენებაში. წესდების მიზნებისათვის, ტერმინი „გენდერული“, საზოგადოების კონტექსტით ეხება ორივე სქესს, მამრობითსა და მდედრობითს.

დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, რომის სტატუტის მიხედვით, არ გულისხმობს მოთხოვნებს, რომ ქმედება ხორციელდებოდეს შეიარაღებული კონფლიქტების დროს. გარდა ამისა, სსს-ს სტატუტში მითითებული განსაზღვრა, ყველა ქმედებას არ უკავშირებს გარკვეულ მოტივებს (მე-7 მუხლის პ.1). მნიშვნელოვანია, რომ ისინი ხორციელდება ნებისმიერ სამოქალაქო პირზე, ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ჩარჩოებში, თუ ასეთი თავდასხმა შეგნებულად ხორციელდება.

---

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ. 2003 წ. გვ. 27

მკვლევართა აზრით, იმისათვის, რომ მოხდეს ქმედების სწორი კვალიფიკაცია, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა, აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: ადგილი უნდა ჰქონდეს თავდასხმას; იგი უნდა იყოს მიმართული ნებისმიერი სამოქალაქო პირის წინააღმდეგ; სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული თავდასხმა უნდა ატარებდეს ფართომასშტაბიან ან სისტემატურ ხასიათს; ბრალდებული უნდა იყოს ასეთი თავდასხმის მონაწილე.

თავდასხმა განიხილება როგორც ძალადობის აქტების შემცველი ქცევა. ამასთან, ძალადობის აქტები არ შემოიფარგლება ფიზიკური ძალის გამოყენებით. ისინი შეიძლება შეიცავდეს, მაგალითად, ძალის მუქარას ან ფსიქიკურ ზემოქმედებას.

პირველად საერთაშორისო სამართლის ისტორიაში, ცნების შინაარსში „დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ", ჩართულია საერთაშორისო სასამართლო ორგანოს მიერ დასჯადი ქმედებები: სექსუალური დამონება, პროსტიტუციის იძულება, ძალდატანებითი ორსულობა, იძულებითი სტერილიზაცია და სექსუალური ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმა; ადამიანთა ძალადობრივი გაქრობა; აპართეიდის დანაშაული; ნებისმიერი, საერთაშორისო სამართლით აკრძალული მეთოდით, სსს-ს იურისდიქციაში მოხვედრილ ნებისმიერ დანაშაულთან დაკავშირებული ყოველი ქმედება.

3. სამხედრო დანაშაულობები. მათ ეხება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების მე-8 მუხლი, რომლის შესაბამისადაც სასამართლო თავის იურისდიქციას ახორციელებს სამხედრო დანაშაულებზე და განსაკუთრებით, თუ იგი ჩადენილია გეგმის ან პოლიტიკის ფარგლებში ან ამგვარი დანაშაულის ფართომასშტაბიანი ჩადენის შემთხვევაში. წესდებით განსაზღვრული მიზნებისათვის, „სამხედრო დანაშაული" ნიშნავს:

1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციის სერიოზული დარღვევები, სახელდობრ, ნებისმიერი შემდეგი ქმედება იმ პირთა ან საკუთრების წინააღმდეგ, რომლებიც დაცულია ჟენევის კონვენციის შესაბამისი დებულებებით: განზრახ მკვლელობა; წამება ან არაადამიანური მოპყრობა, ბიოლოგიური ექსპერიმენტის ჩათვლით; ძლიერი ტანჯვის ან სხეულის მძიმე დაზიანების

განზრახ მიყენება; საკუთრების უკანონო, უაზრო და მრავალმასშტაბიანი განადგურება და მითვისება, რაც სამხედრო აუცილებლობით არ არის გამოწვეული; სამხედრო ტყვის ან სხვა დაცული პირის იძულება, იმსახუროს მოწინააღმდეგე სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში; სამხედრო ტყვის ან სხვა დაცული პირისათვის სამართლიანი და ნორმალური სამართალწარმოების უფლების განზრახ ჩამორთმევა; უკანონო დეპორტაცია ან გადაადგილება, ან თავისუფლების უკანონო აღკვეთა; მძევალთააყვანა და მათი დეპორტაცია ან გადაადგილება, ან თავისუფლების უკანონო აღკვეთა.

კანონების და ჩვეულებების სხვა სერიოზული დარღვევები, რომლებსაც ადგილი აქვთ საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებში, საერთაშორისო სამართლით დადგენილ ჩარჩოებში, სახელდობრ, ნებისმიერი შემდეგი ქმედებიდან: განზრახ თავდასხმა სამოქალაქო მოსახლეობაზე ან ცალკეულ სამოქალაქო პირზე, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში; იმ პერსონალისათვის განზრახ თავდასხმა სამოქალაქო ობიექტზე; განზრახ დარტყმების მიყენება, რომელიც გამოყენებულია ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის ან გაეროს წესდების შესაბამისი მისიისათვის, სანამ მათ აქვთ დაცვის უფლება, რომლითაც სარგებლობენ სამოქალაქო პირები ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სამოქალაქო ობიექტები შეიარაღებული კონფლიქტების დროს.

საერთაშორისო დანაშაულთა მესამე კატეგორიას ასევე მიეკუთვნებიან ჟენევის ოთხივე კონვენციისათვის საერთო მე-3 მუხლის სერიოზული დარღვევები, რომლებიც ჩადენილია არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში; სახელდობრ, ნებისმიერი შემდეგი ქმედებიდან, რომელიც იმ პირთა მიმართ არის ჩადენილი, რომლებიც აქტიურად არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში, იმ სამხედრო მოსამსახურეთა ჩათვლით, რომელთაც დაყარეს იარაღი და იმ პირთა ჩათვლით, რომლებიც მწყობრიდან გამოვიდნენ ავადმყოფობის, დაჭრის, დაკავებისა ან სხვა მიზეზით:

– სიცოცხლისა და პიროვნების ხელყოფა, კერძოდ, ნებისმიერი ფორმით მკვლელობა, დასახიჩრება, სასტიკი მოპყრობა და წამება;

– ადამიანური ღირსების ხელყოფა, კერძოდ, შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა;
– მძევლების აყვანა;
– განაჩენის გამოტანა სასამართლოს მიერ, საქმის წინასწარი განხილვის გარეშე დადგენილი წესით, რაც ყველას სასამართლო გარანტიის დაცვას უზრუნველყოფს და რომლებიც საყოველთაოდაა აღიარებული.

ამგვარად, დანაშაულებრივმა ქმედებებმა, რომლებიც წარმოადგენენ 1999 წლის ჟენევის კონვენციების (I კონვენციის მუხ. 50, II კონვენციის მუხ51, III კონვენციის მუხ. 130 და IV კონვენციის მუხ. 147) სერიოზულ დარღვევას, სრული მოცულობით ჰპოვეს ასახვა სსს-ს სტატუტში. მასში უმეტესად, თუმცა არა მთლიანად, მეორდება სახმელეთო ომის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ არსებული კონვენციის ნორმები (1907 წ), I დამატებითი ოქმისა, ომში, მხუთავი, მომწამლავი და სხვა მსგავსი გაზებისა და ბაქტერიოლოგიური საშუალებების აკრძალვის ოქმისა (1925 წ.).

სსს-ს რომის სტატუტში ძირითადი აქცენტი კეთდება სისტემატურად განხორციელებული ან მასობრივი სამხედრო დანაშაულების დევნაზე. კონკრეტულად არ ფიქსირდება ატომური იარაღის, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების, ცეცხლგამჩენი და დამაბრმავებელი ლაზერული იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული ქმედებების შესახებ, რომლებიც ეჭვსგარეშეა, გადამეტებულ დაზიანებას ან ზედმეტ ტანჯვას იწვევენ. დანაშაულთა ამ სახეების ჩართვა იარაღის ცალკეული სახეების გამოყენების მიხედვით გათვალისწინებულია მხოლოდ მომავალში. ამისათვის ისინი უნდა იყოს საყოველთაო აკრძალვის საგანი და აუცილებლად უნდა იქნას ჩართული სსს-ის დანართში.

პირველად საერთაშორისო სამართლის ისტორიაში ნათლად და დაწვრილებით იქნა კოდიფიცირებული სექსუალური დანაშაულები, როგორც სამხედრო დანაშაულთა სფეროს შემადგენელი ნაწილი. ასევე მოქმედებს დაწვრილებითი ჩამონათვალი შიდა სახელმწიფო კონფლიქტების მიმართაც: ამასთან, „სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები", აშკარად გამოდიან ადრე არსებული ფორმულირების ფარგლებიდან და

უნდა წარმოადგენდნენ 1949 წლის ჟენევის კონვენციის მე-3 მუხლის მძიმე დარღვევას.

15 წლამდე ასაკის ბავშვების იძულებითი მობილიზაცია ან ჩაბმა ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში, ან შეიარაღებულ ჯგუფებში, ან აქტიურ შეიარაღებულ მოქმედებებში, სახელმწიფოთაშორისი და შიდასახელმწიფო კონფლიქტებში, სამხედრო დანაშაულს წარმოადგენს.

სსს-ს რომის სტატუტი, სასამართლოს იურისდიქციაში ასევე აქცევს „აგრესიას", თუმცა, არ იძლევა განსაზღვრას და არ ადგენს სამართალწარმოების წესებს შესაბამის საქმეებზე. როდესაც მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმებას მიაღწევენ ამ საკითხში, სსს-ს მიიღებს ჩადენილი აგრესიისათვის დევნის გადაწყვეტილებას იმ წინადადებათა უმრავლესობით, რომელიც აგრესიის დანაშაულთა განსაზღვრის საკითხთან არის დაკავშირებული და გამომდინარეობს სსს-ს სტატუტის მიზნებიდან, ასევე ასახულია მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის თავმჯდომარის მიერ განსახილველად შეტანილ დოკუმენტში, რომელიც ეხება აგრესიის დანაშაულებს (№155 – ASP/5/SWG, 1967 წ. 16 იანვარი). დოკუმენტის თანახმად, ქვეყნების ერთი ჯგუფი გამოდის სსს-ს სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნით, აგრესიის დანაშაულთა განსაზღვრისა და დანაშაულთა ამ სახის მიმართ, იურისდიქციის განხორციელებასთან დაკავშირებით. მეორენი თვლიან, რომ გაეროს წესდების შესაბამისად მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს აქვს უფლება, განსაზღვროს აგრესიის აქტის განხორციელების შესაძლებლობა. გარდა ამისა, ზოგიერთი ქვეყანა ვარაუდობს, რომ ასეთი უფლებამოსილებებით შეიძლება აღჭურვილი იყოს არა მარტო უშიშროების საბჭო, არამედ გაეროს გენერალური ასამბლეაც ან გაეროს სხვა ორგანიზაციები. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების 70-ე მუხლი ეხება მართლმსაჯულების წინააღმდეგ გამიზნულ იმ დანაშაულებს, რომლებიც მიმართულია მართლმსაჯულების აღსრულების წინააღმდეგ. კერძოდ, როგორიცაა: განზრახ, ცრუ ჩვენების მიცემა იმის მიერ, ვინც იკისრა სიმართლის თქმის ვალდებულება;

– მოწმეზე მართლსაწინააღმდეგო ზეგავლენის მოხდენა; მოწმის დასწრებისათვის ან ჩვენების მიცემისათვის ხელის შეშლა ან დაბრკოლების შექმნა; შურისძიება მოწმის მიმართ და ა.შ.;
– სასამართლოს თანამდებობის პირზე მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედება, მისთვის დაბრკოლებების შექმნა, დაშინება და ა.შ. იმ მიზნით, რომ აიძულონ ან დაარწმუნონ იგი, არ შეასრულოს ან არასათანადოდ შეასრულოს თავისი მოვალეობები;
– სასამართლოს თანამდებობის პირის რანგში ქრთამის აღება ან გამოძალვა, თავისი ოფიციალური მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.[1]

შესაბამისად, სასამართლოს იურისდიქცია არ შემოიფარგლება მხოლოდ საკუთრივ საერთაშორისო დანაშაულობით და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები მის დამატებით იურისდიქციას განიხილავენ.

§3. სსს სასამართლოს დამატებითი იურისდიქციის საკითხები და მისი სხვა საფუძვლები

როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, კანონმდებლებმა გაითვალისწინეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან ცალკეული ქვეყნების თანამშრომლობის აუცილებლობაც. ამიტომ სსს-ს ფუნქციონირების ერთ-ერთ ძირითად ასპექტად ითვლება საკითხი, ეროვნული სასამართლო ორგანოების კომპეტენციებთან და მათი იურისდიქციასთან შეთანხმების შესაძლებლობა იმ შემთხვევებში, როდესაც ერთიც და მეორეც უფლებამოსილია განიხილოს ერთი და იგივე საქმე. სსს-ს სტატუტში დაფიქსირებულია სსს-ს დამატებითი იურისდიქციის კონცეფცია, რომელიც პირდაპირი ფორმით იყო შეტანილი ამ ხელშეკრულების პრეამბულასა და სხვა მუხლებში.

სასამართლოს მოვალეობებში შედის საერთო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპების დაცვა, რათა აღმოიფხვრას კა-

[1]სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, 17 ივლისი 1998 წ. გვ. 28

ნონდარღვევები და შეტანილი იქნას შესწორებები, სახელმწიფოში მოქმედი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებში, დაწყებული ისტორიული წარსულიდან. სასამართლოს კომპეტენცია შეზღუდულია, როდესაც საქმე ეხება კონვენციაში და მის პროტოკოლში შესწორებების შეტანას, 1, მე-19 და 32-ე მუხლების თანახმად. და მაინც, ეს საშუალებები წარმოადგენს ზოგადი საჯარო საერთაშორისო სამართლის და სტატუტის ნაწილს, რომლის თანახმადაც მათ კომპეტენციაში შედის როგორც საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, ისე საერთაშორისო საბაჟო სამართალი. ეს თავი განიხილავს ზოგადად იმას, თუ როგორ უყურებს საერთაშორისო სამართალი ურთიერთობას სამართლის ორ დარგს შორის და კონკრეტულად რას გადმოგვცემს კონვენცია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ და რომელ მიმართულებას ირჩევს სასამართლო მათ შორის, რომლებიც მანამდე წარმოიშვა.[1]

სასამართლოს დამატებითი იურისდიქციის პრინციპი ასახვას პოულობს სსს-ს სტატუტის I მუხლში, რომელშიც ჩაწერილია: „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო („სასამართლო") დაფუძნებულია და იგი წარმოადგენს მუდმივ ორგანოს და უფლებამოსილება გააჩნია განახორციელოს მისი იურისდიქცია პირებზე იმ საერთაშორისო მნიშვნელობის დანაშაულისათვის, რომლებიც აღნიშნულია წინამდებარე წესდებაში და წარმოადგენს ეროვნულ სისხლის სამართლის იურისდიქციათა შემაფასებელს".[2] სტატუტის მე-17 მუხლი აწესრიგებს საქმეთა მისაღებობას სსს-სათვის და ადგენს პრინციპულ შეზღუდვას სასამართლოს უფლებამოსილებისათვის. სტატუტის მე-17 მუხლის I პარაგრაფის შესაბამისად, სასამართლო განსაზღვრავს იმას, თუ რომელი საქმე არ შეიძლება იქნას მიღებული წარმოებაში შემდეგ შემთხვევებში:

---

[1]Bibliography. 1 st Trimester 2012. International Humanitarian Law. Iternational Committee of the Red Cross Library's Classified Acquisitions on International Humanitarian Law.

[2]სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, 17 იულისი, 1998 წ.

1) მოცემულ საქმეს იძიებს ან აღძრავს სისხლის სამართლის დევნას ის სახელმწიფო, რომელიც ფლობს იურისდიქციას მის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ სახელმწიფოს არ სურს ან არ შეუძლია აწარმოოს გამოძიება ან აღძრას სისხლის სამართლის დევნა სათანადოდ;
2) საქმე გამოძიებულია სახელმწიფოს მიერ, რომელიც ფლობს იურისდიქციას მის მიმართ და ამ სახელმწიფომ გადაწყვიტა, არ აღძრას სისხლის სამართლებრივი დევნა იმ პირის მიმართ, რომელსაც ეხება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გადაწყვეტილება გახდა იმის შედეგი, რომ სახელმწიფოს არ სურს ან არ შეუძლია აღძრას სისხლის სამართლის დევნა სათანადოდ;
3) პირი, რომელსაც ეს ეხება, უკვე იყო გასამართლებული იმ ქცევისათვის, რომელიც წარმოადგენს მოცემული განცხადების საგანს და სასამართლოს მიერ, სასამართლო გარჩევა არ არის ნებადართული სსს სტატუტის მე-3 პარაგრაფის მე-20-ე მუხლის საფუძველზე;
4) საქმე არ არის საკმაოდ სერიოზული იმისათვის, რომ გამართლებული იქნას შემდგომი მოქმედება სასამართლოს მხრიდან.

სტატუტის მე-17 მუხლის პირველი სამი ქვეპუნქტი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო დევნა ხორციელდება ან უკვე იყო რეალიზებული ნაციონალურ დონეზე. ამ მუხლის უკანასკნელი ქვეპუნქტი, რომელიც ეხება საქმის სერიოზულობას, გამოიყენება სასამართლოსათვის გადაცემული ყველა საქმის მიმართ, გარდა იმ საქმეებისა, რომელთა მიმართაც ნაციონალური ხელისუფლების ორგანოები უკვე ახორციელებენ ან უკვე ჩაატარეს პროცესუალური მოქმედებები. ამასთან, აღძრული ბრალდებების, საერთო პრინციპებისა და სასჯელების უქონლობის, რომლებიც სსს-ს სტატუტშია გადმოცემული, შეიძლება ხელი შეუწყოს იმას, რომ სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება „შესაბამისად არ აწარმოოს გამოძიება ან არ აღძრას სისხლის სამართლის დევნა“.[1]

---

[1]სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება. 17 ივლისი, 1998 წ. გვ. 7.

სსს-ს სტატუტი არ განიხილავს უშუალოდ სახელმწიფოს მიერ ამნისტიის განხორციელების საკითხს. ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად განხილვამდე მიღებადობის და მითითებული იურიდიული ფაქტების გავლენა საქმეთა მიღებაზე, სასამართლოს წარმოებაში არ შეიძლება საბოლოოდ იყოს ფორმულირებული სსს-ს მიერ ამ საკითხზე გამოტანილ გადაწყვეტილებამდე.

თუ ბლანკეტური ამნისტია შეიძლება განხილული იქნას როგორც უმოქმედობის ფორმა, რომლისგანაც გამომდინარეობს სასამართლოს წარმოებაში საქმის მიღებადობა, სავარაუდოა, რომ ჭეშმარიტების დასადგენად განხორციელებული ამნისტია, კომისიის საქმიანობის კონტექსტში, შეიძლება განხილული იქნას, როგორც გამოძიება, რომელზეც მიღებული იქნა გადაწყვეტილება, არ განხორციელდეს პროცესუალური ქმედებები, თანახმად, სსს-ს სტატუტის მე-17 მუხლის I (ბ) პარაგრაფისა. განხილვის შემდეგ მიღებული ისეთი ზომები, როგორებიცაა პირობით ვადამდე გათავისუფლება, შეწყალება ან სასჯელის ვადის შემცირება საბრალდებო განაჩენის შემდეგ. რომელიც გამოტანილი იქნა მიუკერძოებლობისა და კეთილსინდისიერების ნორმებთან მკაცრი შესაბამისობით და რომელიც სსს-ს სტატუტითაა გათვალისწინებული, მდგომარეობს სსს-ს მე-17 და მე-20 მუხლების მოქმედების სფეროს მიღმა.

სახელმწიფოს მხრიდან უმოქმედობას შეიძლება მოჰყვეს ის, რომ საქმე ჩაითვლება მისაღებად სსს-ს წარმოებისათვის. თუ სასამართლო წარმოება არ მიმდინარეობს სახელმწიფოს მხრიდან უმოქმედობის გამო, ან იმ მიზეზით, რომ საქმე ნებაყოფლობით იქნა გადაცემული სასამართლოს განსახილველად, სსს-ს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება წარმოებაში საქმის მიღებადობის შესახებ. თუ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, დანაშაულებრივი ქმედებების ჩამონათვალი უფრო ფართოა, ვიდრე სტატუტის ასეთი ჩამონათვალი, სსს-ს არ უნდა გაუჩნდეს არავითარი კითხვები იურისდიქციულ კომპეტენციასთან დაკავშირებით, თუმცა მას არ გააჩნია იურისდიქცია იმ ქმედებების მიმართ, რომლებიც არ არის გათვალისწინებული სასამართლოს სტატუტით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი დანაშაულებრივად ითვლება შიდასახელმწიფოებრივი სა-

მართლის მიხედვით. ხოლო, თუ დანაშაულებრივ ქმედებათა ჩამონათვალი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით უფრო ვიწროა, ვიდრე სსს-ს სტატუტში, ფაქტობრივად, ეს შეიძლება აღნიშნავდეს იმას, რომ ქმედებები, რომლებიც დანაშაულებრივად ითვლება სსს-ს სტატუტის შესაბამისად, დაუსჯელი დარჩება. სასამართლოს შეუძლია, საკუთარი იურისდიქცია განახორციელოს მხოლოდ სსს-ს სტატუტსა და ნაციონალურ კანონმდებლობას შორის მნიშვნელოვანი სხვაობის შემთხვევაში.

თუ სსს იღებს გადაწყვეტილებას საქმის წარმოებაში მიღების თაობაზე, ჩნდება სასამართლოსთან სახელმწიფოს თანმშრომლობის ვალდებულება მის მიერ გამოძიების სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას. ამასთან, საკვანძო კრიტერიუმად, სასამართლოსათვის საქმის მიღებადობის სამართლებრივი რეგულირებისათვის, ითვლება სახელმწიფოს გარკვეული „უუნარობა“ ან „სურვილის არ ქონა“, განახორციელოს სასამართლო დევნა, ასევე ითვლება სსს-ს სტატუტის მე-20 მუხლის დებულებები, მე-3 პარაგრაფის ზოგიერთი გამონაკლისით.

სასამართლო, რომელიც სახელმძღვანელოდ იღებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სამართლით აღიარებულ პრინციპებს და მე-17 მუხლის აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, საქმე არ შეიძლება იყოს წარმოებაში მიღებული როდესაც, საქმეს იძიებს ან სისხლის სამართლებრივ დევნას აღძრავს მოცემულ საქმეზე იურისდიქციის მქონე სახელმწიფო, მაგრამ მას რჩება კომპეტენცია, რათა გამოავლინოს რაიმე კონკრეტულ საქმეზე „სურვილის არქონა“, ან „არ შესწევს უნარი“, სათანადოდ წარმართოს გამოძიება, ასეთი მდგომარეობა ითვალისწინებს ერთი ან რამდენიმე ფაქტორის არსებობას:
1) სასამართლო განხილვა ჩატარდა ან ტარდება, ან ნაციონალური გადაწყვეტილება გამოტანილი იქნა იმ მიზნით, რომ შესაბამისი პირისათვის აერიდებინათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იმ დანაშაულებისათვის, რომლებიც ხვდება სასამართლოს იურისდიქციაში, რის შესახებაც აღნიშნულია სსს-ს სტატუტის მე-5 მუხლში;

2) ადგილი ჰქონდა სასამართლო განხილვის ჩატარების დაუსაბუთებელ დაგვიანებას, რაც შექმნილ ვითარებაში შეთავსებულია შესაბამისი პირის მართლმსაჯულებისათვის გადაცემის განსაზღვრასთან;

3) სასამართლო განხილვა არ არის ჩატარებული ან არ ჩატარებულა დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად და წესი, რომლითაც ის ჩატარდა ან ტარდება, შექმნილ ვითარებაში შეუთავსებელია შესაბამისი პირის მართლმსაჯულებისათვის გადაცემის განზრახვასთან.

იმისათვის, რომ რაიმე კონკრეტულ საქმეში უუნარობა გამოვლინდეს და მიღებული იქნას გადაწყვეტილება, წარმოებაში საქმის მიღებადობის თაობაზე, სტატუტის მე-17 მუხლის შესაბამისად, სასამართლო ითვალისწინებს იმას, შეუძლია თუ არა მოცემულ სახელმწიფოს, საკუთარი ნაციონალური სასამართლო სისტემის სრული ან ნაწილობრივი მოშლის ან არარსებობის გამო, თავის განკარგულებაში მიიღოს ბრალდებული ან აუცილებელი მტკიცებულებებისა და მოწმეთა ჩვენებები, ან მოკლებულია შესაძლებლობას, განახორციელოს სასამართლოს განხილვა რაიმე სხვა მიზეზით. ამასთან დაკავშირებით, სასამართლოს მოუწევს დაადგინოს:

– ეროვნული სასამართლო სისტემის მოშლის ან არარსებობის ფაქტი;

– რომ ეს მოშლა არის „სრული“ ან „არსებითი“;

– უუნარობა, მიიღოს თავის განკარგულებაში ბრალმდებელი ან აუცილებელი მტკიცებულებები და მოწმეთა ჩვენებები; ან განახორციელოს სასამართლო განხილვა რაიმე მიზეზით;

– რომ აღნიშნული უუნარობა უნდა იყოს სისტემის მოშლის ან არარსებობის შედეგი.

ამასთან, სსს-ს სტატუტის მე-3 პარაგრაფის მე-20 მუხლი ითვალისწინებს ნორმებს, რომელთა შესაბამისად სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ საქმე არ შეიძლება იყოს მიღებული წარმოებაში, ადრე გამართული სასამართლო პროცესის მიზეზით, რომელზეც განიხილებოდა იგივე ქმედება სხვის (ე.ი ნაციონალური სასამართლოს) მიერ (მუხ. 17).

თუ აღნიშნულ მუხლში, მე-17-ე (ა) მუხ. პ.I ლაპარაკია გაჭიანურებულ გამოძიებაზე ან სისხლის სამართლის დევნაზე ხოლო მე-17 მუხლის პ.I(ბ)-ში, უკვე მომხდარ გამოძიებაზე, რომელიც დასრულდა გადაწყვეტილებით – არ აღძრას სისხლის სამართლის დევნა – მე-17 მუხლის პ.I(დ)-ში – განხორციელებულ გამოძიებაზე, რომელსაც მოჰყვა სასამართლო პროცესი ნაციონალურ დონეზე.

სსს-ს სტატუტის მე-20 მუხლის მე-3 პარაგრაფის შესაბამისად, არც ერთი პირი, რომელიც გასამართლებული იქნა მე-6, 7, 8 მუხლით აკრძალული ქმედებებისათვის, არ შეიძლება გასამართლებული იქნას სსს-ს მიერ იმავე ქმედებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განხილვა მოხდა სხვა სასამართლოში:

1) დანიშნული იყო იმისათვის, რომ დაეცვათ შესაბამისი პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან იმ დანაშაულებისათვის, რომლებიც ხვდებიან სსს-ს იურისდიქციაში;

2) სხვა ნიშნების მიხედვით, არ იყო ჩატარებული დამოუკიდებლად ან მიუკერძოებლად, ნორმების შესაბამისობაში საერთაშორისო სამართლით აღიარებული კანონიერი პროცედურა და ჩატარდა იმგვარად, რომ არსებულ ვითარებაში, არ პასუხობდა შესაბამისი პირის მართლმსაჯულებისათვის გადაცემის მიზანს.

გარდა აღნიშნული კონცეფციისა, სსს-ს სტატუტში არის კიდევ სხვა, ძალზე მნიშვნელოვანი საფუძვლები.

მაგალითად, სსს-ს სტატუტის მე-11 მუხლის შესაბამისად, ამ სასამართლოს დროებითი იურისდიქცია ვრცელდება სსს-ს სტატუტის ძალაში შესვლის შემდეგ მომხდარ და განხორციელებულ დანაშაულებზე (2002 წლის 1 ივლისის შემდეგ). ამასთან, თუ რომელიმე სახელმწიფო ხდება სსს-ს სტატუტის მონაწილე ძალაში მისი შესვლის შემდეგ, სასამართლოს თავისი იურისდიქციის განხორციელება შეუძლია მხოლოდ სტატუტის ძალაში შესვლის შემდეგ მომხდარ დანაშაულებზე.

სსს-ს სტატუტის შესაბამისად, არსებობს სასამართლოში სისხლის სამართლის დევნის სამი შესაძლებლობა:

1) მონაწილე სახელმწიფოს მიერ სტატუტის გადაცემა სსს-ს პროკურორისათვის, სსს-ს სტატუტის მე-14 მუხლის შესაბამისად;
2) სტატუტის გადაცემა უშიშროების საბჭოს მიერ, რომელიც მოქმედებს გაეროს წესდების VII თავის საფუძველზე, სსს-ს პროკურორისათვის;
3) გამოძიების აღძვრა სსს-ს პროკურორის მიერ საკუთარი ინიციატივით (proprio motu), სსს-ს სტატუტის მე-15 მუხლის შესაბამისად.

ამასთან, სსს-ს სტატუტის მე-12 მუხლის მე-2 პარაგრაფის თანახმად, იმ შემთხვევებში, როდესაც გამოძიება იწყება მონაწილე სახელმწიფოს ინიციატივით ან სასამართლოს პროკურორის ინიციატივით, სსს-ს შეუძლია, განახორციელოს საკუთარი იურისდიქცია, თუ ქვემოთმოყვანილ სახელმწიფოთაგან ერთი ან რამდენიმე, არის სსს-ს სტატუტის მონაწილე, ან აღიარებს სასამართლოს იურისდიქციას, შესაბამისად სტატუტის მე-12 მუხლისა; ე.ი. მხედველობაშია სახელმწიფო:

1) რომლის ტერიტორიაზეც მოხდა აღნიშნული ქმედება, ან, თუ დანაშაული მოხდა საზღვაო ან საჰაერო ხომალდის, ან
2) ამ საზღვაო ან საჰაერო ხომალდზე რეგისტრაციის მიხედვით, რომლის მოქალაქედაც ითვლება დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირი.

წესდების მონაწილე სახელმწიფოებისაგან საჭიროა იურისდიქციის აღიარება. ამ სახელმწიფოს შეუძლია, განცხადებით, რომელიც რეგისტრატორთან ინახება, აღიაროს სასამართლოს იურისდიქცია მოცემული დანამატის მიმართ. აღიარების შესახებ განცხადების წარმდგენი სახელმწიფო სასამართლოსთან თანამშრომლობს ყოველგვარი დაყოვნების ან გამონაკლისის გარეშე, წესდების შესაბამისად.

ე.ი. სასამართლოს იურისდიქციის აღიარება, სსს-ს სტატუტის მე-12 მუხლის მე-3 პარაგრაფის თანახმად, ნიშნავს იმას, რომ თუ სტატუტის მე-12 მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად საჭიროა სსს-ს სტატუტის არა მონაწილე სახელმწიფოს მიერ იურისდიქციის აღიარება, ამ სახელმწიფოს შეუძლია, იმ განცხადების მეშვეობით, რომელსაც წარუდგენენ

4) ინდივიდუალური სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ სასამართლო იურისდიქციას ფლობს მხოლოდ ფიზიკურ პირთა მიმართ;

5) 18 წელს მიღწეულ პირთა იურისდიქციიდან გამორიცხვის პრინციპი;

6) თანამდებობრივი მდგომარეობა, როგორც არამართებული საფუძვლის პრინციპი;

7) მეთაურებისა და სხვა უფროსების პასუხისმგებლობის პრინციპი;

8) სსს-ს სტატუტში მითითებულ დანაშაულებისადმი ხანდაზმულობის ვადის გამოუყენებლობის პრინციპი;

9) სპეციალური სუბიექტური მხარის პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს იმას, რომ თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, პირი ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და დასჯას სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მხარის დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით, ის ჩადენილია განზრახ და შეგნებულად;

10) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების სპეციალური საფუძვლის პრინციპი განსაზღვრავს საფუძველს პირთა ამგვარი გათავისუფლებისათვის, თუ:

— ქმედების ჩადენის მომენტში იგი იმყოფებოდა სულიერი აშლადმყოფობის ან ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობაში, რაც ხელს უშლიდა, აღექვა საკუთარი ქცევის უკანონობა ან ქცევის ხასიათი, ან კანონის მოთხოვნებთან საკუთარი შესაბამისობის აღქმა;

— პირი იმყოფება ინტოქსიკაციის მდგომარეობაში, რაც მას არ აძლევს შესაძლებლობას, გააცნობიეროს საკუთარ ქმედებათა მართლსაწინააღმდეგობა ან მათი შესაბამისობა კანონის მოთხოვნებთან, თუ ამ პირმა ნებაყოფლობით არ გამოიწვია ინტოქსიკაციის მდგომარეობა ისეთ გარემოებებში, როდესაც მან იცოდა, რომ ინტოქსიკაციის შედეგად შეეძლო ჩაედინა ის ქმედება, რისთვისაც მელთა შედეგადაც ის ჩაითვლება სასამართლოს იურისდიქციაში გათვალისწინებული დანაშაულებების რიცხვში ან უბუნებელყოფდა მის მიერ ასეთი ქმედების ჩადენის საშიშროებას;

– ეს პირი გონივრულად მოქმედებდა საკუთარი თავის ან სხვა პირის დასაცავად, სამხედრო დანაშაულთა შემთხვევაში, იმ ქონების დასაცავად, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პირის ან სხვისი გადარჩენისათვის, ან იმ ქონებისა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამხედრო ხასიათის ამოცანის. შესასრულებლად, იმ ძალის გარდაუვალი და მართლსაწინააღმდეგო გამოყენებისაგან დასაცავად, რომელიც საფრთხეს უქმნის ამ პირს ან სხვა დაცულ პირს ან ქონებას;
– თუ ქმედება, რომელიც წარმოადგენს ისეთ დანაშაულს, რომელიც ხვდება სსს-ს იურისდიქციაში, არის იძულებითი საპასუხო რეაქცია გარდაუვალი სიკვდილის ან მისთვის ან სხვა პირისათვის სხეულის მძიმე დაზიანების მუქარაზე ან ასეთი დაზიანებების მიყენების გადალახვაზე და ეს პირი იღებს აუცილებელ და გონივრულ ზომებს ასეთი მუქარის აღმოსაფხვრელად იმ პირობით, რომ ამ პირს არ გააჩნია უფრო დიდი ზიანის მიყენების განზრახვა, ვიდრე არის ის, რისი თავიდან აცილებისაკენაც მიისწრაფოდა;
11) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პრინციპი, ფაქტში შეცდომის ან სამართალში შეცდომის არსებობისას;
12) სისხლის სამართლის პასუხიმგებლობისაგან გათავისუფლების პრინციპი, უფროსის ბრძანების ან კანონის დანაწესის არსებობისას.

ის ფაქტი, რომ პირმა სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაული ჩაიდინა მთავრობის ან ზემდგომი სამხედრო თუ სამოქალაქო უფროსის ბრძანების შესაბამისად, არ ათავისუფლებს მას სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ: პირს ეკისრებოდა მთავრობის ან აღნიშნული უფროსის ბრძანებას შესრულების იურიდიული ვალდებულება. პირმა არ იცოდა, რომ ბრძანება უკანონო იყო და ბრძანება არ იყო აშკარად უკანონო ხასიათისა, ასევე, ამ მუხლის მიზნებისათვის. ბრძანება, გენოციდის დანაშაულის ან კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის შესახებ, აშკარად უკანონოდ ჩაითვლება.

§5. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შემადგენლობა და საქმეთა მმართველობა

რომის სტატუტის 34-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო შედგება შემდეგი ორგანოებისაგან:

1) პრეზიდიუმი;
2) სააპელაციო განყოფილება;
3) სასამართლო წარმოების განყოფილება;
4) წინასწარი წარმოების განყოფილება;
5) პროკურორის კანცელარია;
6) სამდივნო.

სასამართლოს შემადგენლობაში შედის 18 მოსამართლე. ყველა მოსამართლეს ირჩევენ, როგორც სასამართლოს წევრებს, რომლებიც თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ მუდმივ საფუძველზე, მათი უფლებამოსილების ვადის დაწყებიდან.

მოსამართლეები თანამდებობას იკავებენ ცხრა წლით და არა აქვთ ხელმეორედ არჩევის უფლება, მაგრამ პირველი არჩევნებისას კენჭისყრით არჩეული მოსამართლეები, თანამდებობაზე რჩებიან სამი წლის განმავლობაში; ერთი მესამედი – ექვსი წლის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი მოსამართლეები – ცხრა წლის ვადით. სამწლიანი ვადით არჩეულ მოსამართლეს უფლება აქვს ხელახლა იქნას არჩეული მთელი ვადით. მოსამართლეების შერჩევა ხდება იმ პირთაგან, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი ზნეობრივი თვისებებით, მიუკერძოებლობითა და დამოუკიდებლობით და რომლებიც აკმაყოფილებენ თავიანთ სახელმწიფოში უმაღლეს სასამართლო თანამდებობებზე დანიშვნისათვის არსებულ მოთხოვნებს. კერძოდ, კომპეტენტურობა საერთაშორისო სამართლის შესაბამის სფეროში, ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის ცოდნა, აგრეთვე, ფართო გამოცდილება პროფესიული იურიდიული საქმიანობის სფეროში, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს სამოსამართლო საქმიანობასთან. სასამართლოში არჩევის ყოველმა კანდიდატმა სრულყოფილად უნდა იცოდეს სასამართლოს სულ ცოტა ერთერთი სამუშაო ენა და თავისუფლად ლაპარაკობდეს ამ ენაზე.

მოსამართლეები თავიანთი ფუნქციების შესრულებისას დამოუკიდებლები არიან; ამავდროულად, არ უნდა ეწეოდნენ ისეთ საქმიანობას, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მათი სამოსამართლო ფუნქციების შესრულებას ან ეჭვის ქვეშ დააყენოს მათი დამოუკიდებლობა.

მოსამართლემ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს ისეთი საქმის განხილვაში, რომელთანაც მისდაუნებურად არის დაკავშირებული. ამის გარდა, სხვა საფუძველთა შორის მოსამართლე შეიძლება ჩამოაცილონ საქმის განხილვას. ასეთ შემთხვევაში პროკურორს უფლება ეძლევა, მოითხოვოს მოსამართლის საქმიდან აცილება.

სტატუტი სასამართლოს პრეზიდიუმს აღჭურავს სხვადასხვა ფუნქციით, რომელთაგან მთავარია სასამართლოს საქმეთა მართვა, პროკურორის კანცელარიის გამოკლებით (მუხ. 38). თავისი ფუნქციის შენარჩუნებისას პრეზიდიუმი კოორდინაციას უწევს და შეათანხმებს პროკურორთან ორმხრივი ინტერესის ყველა საკითხს.

სასამართლო ფუნქციები სასამართლოს განყოფილების ჩარჩოებში შემდეგი პალატებით ხორციელდება: სააპელაციო პალატა, სასამართლოს პალატა და წინასწარი წარმოების პალატა (სტატუტის 39-ე მუხლი). სტატუტი დასაშვებად მიიჩნევს ერთ სასამართლო პალატაზე ან ერთ წინასწარი წარმოების პალატაზე მეტის დაწესების შესაძლებლობას, როდესაც ამას მოითხოვს სასამართლოს მუშაობის მოცულობის ეფექტური რეგულირების ამოცანები. სააპელაციო განყოფილების სტატუსი იმით განსხვავდება ორი სხვა განყოფილების სტატუსისაგან, რომ მასში დანიშნული მოსამართლეები თავიანთ ფუნქციებს მხოლოდ ამ განყოფილებაში ასრულებენ უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში. რაც შეეხება ორ სხვა განყოფილებას, შესაძლებელია სასამართლო განყოფილებიდან მოსამართლეთა დროებითი დანიშვნა წინასწარი წარმოების განყოფილებაში ან პირიქით.

<u>პროკურორის კანცელარია</u> წარმოადგენს სასამართლოს ცალკე ორგანოს (42-ე მუხ.). მას ხელმძღვანელობს პროკურორი, რომელიც ფლობს ყველა უფლებამოსილებას მისი მართვა – ხელმძღვანელობისას, მის განკარგულებაში მყოფი პერსონალის,

შენობისა და სხვა რესურსების ჩათვლით. პროკურორსა და მის მოადგილეებს ირჩევენ ფარული კენჭისყრით, მონაწილე სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობით, ცხრა წლის ვადით და დაუშვებელია ხელახალი არჩევნები.

კანონმდებლობა მოითხოვს პროკურორებისა და მისი მოადგილეებისაგან მაღალი ზნეობრივი თვისებების ქონას; ასევე მაღალ კვალიფიკაციას და ფართო სპექტრით პრაქტიკულ გამოცდილებას. მათ უნდა იცოდნენ სასამართლოს თუნდაც ერთი სამუშაო ენა და თავისუფლად ლაპარაკობდნენ ამ ენაზე.

სამდივნო პასუხს აგებს საქმეთა მართვის და სასამართლოს მომსახურების არაიურიდიული საკითხების, პროკურორის ფუნქციებისა და უფლებამოსილებისათვის ზიანის მიუყენებლად (სტატუტის 43-ე მუხლი). მას ხელმძღვანელობს მდივანი, რომელიც ითვლება სასამართლოს მთავარი ადმინისტრაციული თანამდებობის პირად, რომელიც თავის ფუნქციებს სასამართლოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით ახორციელებს. მდივანს ირჩევენ მოსამართლეები, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის რეკომენდაციების გათვალისწინებით. აუცილებლობის შემთხვევაში, მოსამართლეები ამგვარადვე ირჩევენ მდივნის მიერ რეკომენდირებულ მის მოადგილეს. სსს სტატუტის 44-ე მუხლის თანახმად, პროკურორი და მდივანი ნიშნავენ აუცილებელ კვალიფიციურ პერსონალს იმ ორგანოებში, რომლებსაც თვითონ ხელმძღვანელობენ. მდივანი, პრეზიდიუმის და პროკურორის თანხმობით, სთავაზობს დებულებას პერსონალის შესახებ, რომელსაც იწონებს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა.

მდივანი სამდივნოს სტრუქტურაში ადგენს ჯგუფს, დაზარალებულებისა და მოწმეთა დასახმარებლად, რომელიც, პალატასთან და პროკურორის კანცელარიასთან კონსულტაციით, უზრუნველყოფს უსაფრთხოების პროცედურებს და დაცვას, საკონსულტაციო და სხვა შესაბამის დახმარებას იმ მოწმეების და დაზარალებულებისათვის, რომლებიც ცხადდებიან სასამართლოში; აგრეთვე, სხვა პირებისთვის, რომლებსაც საფრთხე ემუქრებათ მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებების შედეგად.

ამგვარად, ადმინისტრაციულ-ტექნიკური საკითხების განხორციელება სასამართლოში განაწილებულია ორ ორგანოს შორის, რაც სასამართლოსა და მის მიერ განხორციელებულ ფუნქციათა განსაკუთრებული ხასიათით აიხსნება.

პროკურორი და მდივანი ნიშნავენ ისეთი კვალიფიკაციის პერსონალს, რომელიც საჭირო იქნება მათი შესაბამისი ორგანოებისათვის. ჯგუფი შედგება თანამშრომლებისაგან, რომელთაც აქვთ ტრავმების, მათ შორის სქესობრივ ძალადობასთან დაკავშირებული ტრავმების საკითხებზე მუშაობის გამოცდილება.

პროფ. მ. ტურავა ყურადღებას ამახვილებს სტატუტის სხვა საყურადღებო დებულებებზე. მათ შორის სამუშაო ენაზე, რადგანაც სასამართლოს აქვს რამდენიმე როგორც ოფიციალური, ასევე სამუშაო ენა (მუხ. 50). მისი აზრით, საკითხის ასეთი გადაწყვეტით არ განხორციელდა ის პოლიტიკური მოთხოვნა, რომ სასამართლო, შეძლებისდაგვარად, ყოფილიყო უნივერსალური დაწესებულება, ვინაიდან ყოველდღიურ საქმიანობას იგი ახორციელებს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.

სასამართლოს ყველა განაჩენი და სხვა გადაწყვეტილება უმნიშვნელოვანეს საკითხებზე უნდა ითარგმნოს გაეროს ექვს ენაზე – ინგლისურად, ფრანგულად, ესპანურად, არაბულად, რუსულად და ჩინურად. ეს დაყოფა შეირჩა აგრეთვე ხარჯების შემცირების მიზნით[1], – მიაჩნია მ. ტურავას.

§6. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო დევნა, საქმის წარმოება და პრაქტიკა

რომის სტატუტის მე-15 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს პროკურორს (proprio motu) შეუძლია, თავისი ინიციატივით დაიწყოს გამოძიება იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც არსებობს სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ სავარაუდო დანაშაულთა შესახებ. ის დაკითხავს მოწმეებსა და დაზარალებულებს, ინფორმაციის კონფედენციალურობის შენ-

[1] მ. ტურავა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, გვ. 14.

არჩუნებით; დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილს, მისი ყველა უფლების შენარჩუნებით, წამების, სასტიკი მოპყრობის, ღირსების შემლახავი ყოველგვარი მოქმედების გამორიცხვით. გამოძიების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი განიხილავს იურიდიულად მნიშვნელოვანი საკითხების მთელ რიგს:

1) იძლევა თუ არა პროკურორის განკარგულებაში არსებული ინფორმაცია გონივრულ საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ჩადენილი იყო ან ხდება დანაშაულის ჩადენა, რომელიც ექცევა სასამართლოს იურისდიქციაში;

2) ითვლება თუ არა ეს საქმე, ან ჩაითვლება თუ არა იგი, სასამართლოს სტატუტის მე-17 მუხლის „დაშვებასთან დაკავშირებული საკითხები"-ს მოთხოვნათა შესაბამისად;[1]

3) არის თუ არა საკმარისი საფუძვლები ვარაუდისათვის, რომ გამოძიების ჩატარება უპასუხებს მართლმსაჯულების ინტერესებს.

თუ პროკურორი განსაზღვრავს, რომ არ არსებობს გონივრული საფუძვლები მოქმედებისათვის და განსაზღვრა დაფუძნებულია მხოლოდ მოსაზრებებზე, იგი ამის შესახებ აცნობებს წინასწარი წარმოების პალატას.

თუკი პროკურორმა მიიღო გადაწყვეტილება სისხლის სამართლის დევნის დაწყებაზე, იგი მთელ მიღებულ მასალას და მტკიცებულებებს გადასცემს წინასწარი წარმოების პალატას, რომელსაც შეუძლია გასცეს დაპატიმრების ორდერი ან სასამართლოში გამოცხადების ბრძანება. იგი ასევე უზრუნველყოფს დაზარალებულთა და მოწმეების დაცვასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას; აგრეთვე, იმ ინფორმაციის დაცვას, რომელიც სახელმწიფოს ეროვნულ უშიშროებას ეხება.

დაპატიმრების ორდერში მითითებულია შემდეგი ცნობები:

1) პირის სახელი და შესაბამისი ინფორმაცია;

2) პირისადმი ინკრიმინირებული დანაშაულების კონკრეტული დასახელება;

3) ფაქტების მოკლე გადმოცემა.

---

[1]სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, 17 ივლისი, 1998 წ.; გვ. 7.

დაპატიმრების ორდერის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია მონაწილე სახელმწიფოებისაგან მოითხოვოს ამ პირის დაპატიმრება და სასამართლოში მიყვანა. ანალოგიური ცნობებია მითითებული სასამართლოში გამოცხადების ბრძანებაში, რომელიც უშუალოდ გადაეცემა ეჭვმიტანილ პირს. მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ზომები ამ პირის დასაპატიმრებლად,- თავისი ნაციონალური კანონმდებლობის შესაბამისად და გადასცეს იგი სასამართლოს. წინასწარი წარმოების პალატა საქმის მოსმენას ატარებს პროკურორის, ბრალდებულის და მისი დამცველის თანდასწრებით. მოსმენა შეიძლება ბრალდებულის გარეშეც ჩატარდეს, თუ მან უარი თქვა დასწრების უფლებაზე ან მიმალვაშია. ბრალდებული მონაწილეობს პროცესში და სარგებლობს თავისი პროცესუალური უფლებებით.[1]

პალატა ამტკიცებს ბრალდებას საკმარისი მტკიცებულებების არსებობისას და გადასცემს ან არ ამტკიცებს ბრალდებას; ან, მოსმენას გადადებს პროკურორის მიერ დამატებითი მტკიცებულებების წარდგენამდე, ან ბრალდების შეცვლამდე.

სასამართლო პალატა უზრუნველყოფს სწრაფ და სამართლიან განხილვას ბრალდებულის, დაზარალებულის და მოწმეთა უფლებების დაცვით, ღია ან დახურულ სხდომებზე (როდესაც ამას ის ინფორმაცია მოითხოვს, რომელიც საქმეში ფიგურირებს). ბრალდებულს შესაძლებლობა ეძლევა, აღიაროს თავისი ბრალი ან განაცხადოს საკუთარი უდანაშაულობის შესახებ. სასამართლოში მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმფცია; მტკიცების ტვირთი კი პროკურორს აწევს. ბრალდებულის განსჯისათვის სასამართლო უნდა დარწმუნდეს მის დამნაშავეობაში, რომელიც გონივრულ საფუძველზე არსებულ ეჭვს არ ექვემდებარება.

ბრალდებული აქტიურად მონაწილეობს პროცესში და იყენებს მისთვის მინიჭებულ ყველა უფლებას.

სასამართლოს პალატის გადაწყვეტილების მიღება ხდება მის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა და საქმეზე მთელი

---

[1] International Review of the Red Cross," Sanctions ", Volume 90 Number 870 June 2008 (ICRC).

წარმოების შეფასების საფუძველზე. ერთსულოვნების არარსებობის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, მოსამართლის მიერ თათბირის საიდუმლოების შენახვით. გადაწყვეტილება გამოაქვთ წერილობითი სახით, დასკვნების სრული და მოტივირებული გადმოცემით. გადაწყვეტილების სრული ტექსტი ან მისი რეზიუმე ცხადდება ღია სხდომებზე. სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომელიც ავალდებულებს განსასჯელს, აუნაზღაუროს ზარალი დაზარალებულებს სათანადო ფორმით, რესტიტუციის, კომპენსაციისა და რეაბილიტაციის ჩათვლით.

თუ ბრალდებულის დანაშაული დადგენილია, სასამართლო პალატა განიხილავს საკითხს, სასჯელის დანიშვნის შესახებ. განაჩენი ცხადდება საჯაროდ, ბრალდებულის თანდასწრებით (როდესაც ეს შესაძლებელია). სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს ერთ-ერთი შემდეგ სასჯელთაგან: თავისუფლების აღკვეთა ვადით, რომელიც არ აღემატება მაქსიმალურს (30 წელს). ან, უვადო პატიმრობა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გამართლებულია დანაშაულის განსაკუთრებით მძიმე ხასიათით და დანაშაულების ჩადენაში მხილებული პირის ინდივიდუალური გარემოებებით. გარდა თავისუფლების აღკვეთისა, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ჯარიმა იმ კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც გათვალისწინებულია პროცედურისა და მტკიცებების წესებში; შემოსავლების, ქონებისა და აქტივების კონფისკაცია, რომლებიც მიღებულია პირდაპირ და ირიბად, დანაშაულის შედეგად, მესამე მხარის უფლებებისათვის ზიანის მიყენების გარეშე. მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის გადაწყვეტილებით, შექმნილია მიზნობრივი ფონდი, დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა და მათი ოჯახების ინტერესების დასაცავად, რომელშიც, სასამართლოს მიერ, შეიძლება გადაცემული იქნას ფულადი სახსრები და სხვა ქონება, ამოღებული ჯარიმის ან კონფისკაციის მეშვეობით.

სასამართლო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შეიძლება გასაჩივრებული იქნას სააპელაციო პალატაში, შესაბამისად პროცედურისა და მტკიცებების წესებისა, პროკურორის ან განსასჯელის მიერ ნებისმიერი შემდეგი საფუძვლის

მიხედვით: პროცესუალური შეცდომა, შეცდომა ფაქტში, შეცდომა სამართალში.

სააპელაციო პალატა ფლობს სასამართლო პალატის ყველა უფლებამოსილებას. მას შეუძლია გააუქმოს ან შეცვალოს გადაწყვეტილება ან განაჩენი, ან გასცეს განკარგულება, ახალი სასამართლო განხილვის ჩატარების თაობაზე, სხვა სასამართლო პალატის მიერ. გადაწყვეტილება მიიღება მოსამართლეთა ხმების უმრავლესობით და ცხადდება ღია სხდომაზე. ნებისმიერ პირს, რომელიც უკანონო პატიმრობის ან დაკავების მსხვერპლი გახდა, აქვს კომპენსაციის უფლება, სასარჩელო ხანდაზმულობის გათვალისწინებით.

სასჯელს, თავისუფლების აღკვეთის სახით, იხდიან იმ სახელმწიფოში, რომელსაც დანიშნავს სასამართლო იმ სახელმწიფოთა შემადგენლობიდან, რომლებიც აცნობებენ სასამართლოს საკუთარ მზადყოფნაზე განსასჯელთა მიღებასთან დაკავშირებით. სასამართლოს შეუძლია, ნებისმიერ დროს გამოიტანოს გადაწყვეტილება, განსასჯელის სხვა სახელმწიფოს ციხეში გადაყვანის თაობაზე. აგრეთვე, შეამციროს სასჯელის ვადა (სასჯელის ვადის ორი მესამედის მოხდის ან 25 წლის შემდეგ უვადო პატიმრობის შემთხვევაში).

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს პარლამენტმა, 2003 წლის 16 ივლისის №2479 დადგენილებით, მოახდინა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების (რომის სტატუტი) რატიფიცირება. რომის სტატუტიდან გამომდინარე, საქართველომ იკისრა ვალდებულება, ითანამშრომლოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან ისეთი დანაშაულების გამოძიებისა და დასჯის მიზნით, როგორებიცაა გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ომის დანაშაული და აგრესია (აგრესიის დანაშაულზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია გავრცელდება მას შემდეგ, რაც განიმარტება თავად ეს ტერმინი).

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს საქართველოს თანამშრომლობას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან. აღნიშნული მიზნით, დეპარტა-

მენტი უფლებამოსილია, მიიღოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს თხოვნები თანამშრომლობის შესახებ, უზრუნველყოს სასამართლოსათვის თხოვნის შესრულების შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. შეიმუშაოს წინადადებები პირის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ, კოორდინაცია გაუწიოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს თანამშრომლობას სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და ა.შ.

2001 წლის 17 ივლისს, მართლმსაჯულების საერთაშორისო დღეს, საქართველოს კოალიციამ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის – ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, კავშირი „კონსტიტუციის 42-ე მუხლი", კავშირი – „ოცდამეერთე საუკუნე", კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია – სოლიდარობა გამოხატა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც გენოციდის, ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების მსხვერპლი გახდნენ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.

კოალიციამ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებასა და საერთაშორისო საზოგადოებას, მიიღოს კონკრეტული ზომები, რათა გასამართლდნენ ის პირები, რომლებმაც რუსეთ-საქართველოს ომის დროს ჩაიდინეს ისეთი უმძიმესი დანაშაულები, როგორებიცაა: თავდასხმა სამოქალაქო მოსახლეობასა და ობიექტებზე, სამოქალაქო პირების ტყვედ აყვანა, მკვლელობა და გაუპატიურება, მაროდიორობა და სხვა, რაც დოკუმენტირებულია კოალიციის წევრების, ასევე სხვა, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

სსს-ს პირველმა შემადგენლობამ ფიცი დადო 2003 წლის 11 მარტს; 2003 წლის 16 ივნისს თანამდებობა დაიკავა სასამართლოს პროკურორმა; 2006 წლის 26 იანვარს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეამ კვლავ აირჩია ექვსი მოსამართლე, ცხრაწლიანი ვადით.

სსს მუდმივად იღებს განსახილველად ინფორმაციას იმ დანაშაულთა შესახებ, რომლებიც შესაძლოა მოხვდნენ მისი იურისდიქციის ქვეშ. ყოველწლიურად სასამართლოში იგზავნება

რამდენიმე ასეული შეტყობინება. მაგალითად, 2006 წლის განმავლობაში, პროკურორის კანცელარიაში ახეთი, დაახლოებით, 670 შევიდა. მათგან, დაახლოებით, 570, მიჩნეული იქნა აშკარად შეუსაბამოდ სასამართლოს იურისდიქციისათვის; მაშინ, როდესაც დანარჩენები, რომლებიც წინასწარი შეფასებით, შემდგომ ანალიზს იმსახურებენ, განხილვის სხვადასხვა ეტაპზე იმყოფებიან.

სსს-ს პროკურორის მიერ განხილული ოთხი სიტუაციის თაობაზე ოფიციალურად გამოცხადებულია: კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უგანდაში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, დარფურში, სუდანში. სამი მათგანი განიხილება სასამართლოს სტატუტის მონაწილე სახელმწიფოების თხოვნით. ისინი შემოვიდა 2003, წელს უგანდის პრეზიდენტის, მიუზევენის მიერ; 2004 წელს, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის, ჟოზეფ კაბილას მიერ და 2005 წელს – ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის სახელით. სიტუაცია დარფურის პროვინციაში გადაეცა სსს-ს პროკურორს, გაეროს, 2005 წლის 31 მარტის, უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე (№1593). მეხუთე სიტუაცია ანალიზდება სასამართლოში მონაწილე სახელმწიფოს – კოტ დივუარის განცხადებით იმ დანაშაულთა თაობაზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, 2002 წლის 19 სექტემბრიდან.

პროკურორის კანცელარიამ, 2006 წლის 10 თებერვალს, გააცხადა მოსაზრება, რომლის შესაბამისადაც, მან შეწყვიტა მუშაობა, ერაყსა და ვენესუელაში არსებულ სიტუაციებზე, რომლებიც ინტენსიური ანალიზის ობიექტებს წარმოადგენდნენ.

კონგოს, უგანდასა და სუდანის სიტუაციებზე კი უკვე არის კონკრეტული ბრალდებულები და შესაბამისი სისხლის სამართლის საქმეები.

პრეზიდიუმმა შექმნა წინასწარი წარმოების სამი პალატა: I პალატა დაკავებულია სიტუაციებით კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და დარფურში (სუდანი); II პალატა – უგანდაში, III პალატა – ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. სააპელაციო პალატის შემადგენლობაში შედის სააპელაციო განყოფილების ხუთივე მოსამართლე, რომლებიც გად-

აწყვეტილებას იღებენ თითოეული აპელაციის მიხედვით, მოსამართლის თავმჯდომარეობასთან დაკავშირებით.

მაგალითად, 2006 წლის 1 იანვრიდან აგვისტომდე პერიოდში, წინასწარი წარმოების I-მა პალატამ 68 დოსიე მიიღო მონაწილეთაგან და გამოიტანა 18 გადაწყვეტილება, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის სიტუაციასთან დაკავშირებით: სასამართლომდელ წარმოებაში, დაზარალებულთა მონაწილეობის უფლების შესახებ და წინასწარი გარემოების პალატის გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლების ნებართვის მიღების საფუძვლების თაობაზე. გარდა ამისა, პალატამ მიიღო 393 დოსიე, 9931 გვერდის მოცულობით და მიიღო 92 გადაწყვეტილება საქმეზე – „პროკურორი ტომას ლუბანგა დიილო“. ამ პერიოდისათვის ლუბანგას საქმეზე ჩატარებული იყო 14 მოსმენა და გამოტანილი იქნა 19 სიტყვიერი გადაწყვეტილება. წინასწარი მოსმენის I-მა პალატამ, 2006 წლის 10 თებერვალს, კონფიდენციალურად გასცა ორდერი ლუბანგა დიილოს დაპატიმრებისათვის, რომელსაც ბრალი ედება სამხედრო დანაშაულობებში, კერძოდ, 15 წლამდე ასაკის ბავშვების გაწვევასა და გადაბირებაში, საომარ მოქმედებებში მათი გამოყენებისათვის. სასამართლომ აღნიშნულ სახელმწიფოს გაუგზავნა თხოვნა, ამ პირის დაპატიმრებისა და მის განკარგულებაში გადაცემის თაობაზე. 2006 წლის 17 მარტს ლუბანგა გადაეცა სასამართლოს განკარგულებაში. როგორც უკვე აღინიშნა, სსს არ ცვლის ეროვნულ სამართლებრივ სისტემებს და მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფოები არ ატარებენ გამოძიებასა და სისხლის სამართლის დევნას, ან „არ სურთ“, ან „არ შეუძლიათ“ ამის ეფექტურად გაკეთება.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში, ამჟამად განიხილება სამი საქმე. გამოძიება დაწყებულია 5 ქვეყანაში მომხდარ დანაშაულებზე. სასამართლოს გაცემული აქვს დაკავების 12 ორდერი და სასამართლოს წინაშე გამოცხადების 3 უწყება.

ამჟამად სასამართლოს პროკურორის ოფისი წინასწარ ანალიზს აწარმოებს 6 საქმეზე, რომლებშიც შესაძლოა აღმოჩნდეს სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულების ფაქტები. მათ შორისაა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი.

1993 წლიდან მოყოლებული, ექვსმა საერთაშორისო თუ სპეციალურმა ტრიბუნალმა 181 სასამართლო პროცესი გამართა მსოფლიოს 12 ქვეყანაში ჩადენილ საშინელ დანაშაულებებზე. მსგავსი სასამართლო პროცესები უმძიმეს დანაშაულებზე მიმდინარეობს ასევე, ქვეყნებს შიდა სასამართლოებში.

საერთაშორისო მართლმსაჯულების დღეს საერთაშორისო საზოგადოებას შესაძლებლობა ეძლევა აღნიშნოს საერთაშორისო სამართლის მიღწევები დაუსჯელობასთან ბრძოლაში.

საერთაშორისო მართლმსაჯულების დღე შეხსენებაა სამართლიანობის ერთგული სახელმწიფოებისათვის იმის შესახებ, რომ აუცილებელია რომის სტატუტით შექმნილი მართლმსაჯულების საერთაშორისო სისტემის მხარდაჭერა.

საერთაშორისო საზოგადოებრიობა მოუწოდებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს და მის წევრ სახელმწიფოებს, რომ რეალურად განახორციელოს სასამართლოს დაპირება: გენოციდის, ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები არასოდეს დარჩება დაუსჯელი.[1]

სსს-ში განხილული ყველა სიტუაცია დაკავშირებულია შეიარაღებულ კონფლიქტებთან და მაშასადამე, სამხედრო დანაშაულობებთან. სასამართლოს ძალისხმევა მიმართულია საერთაშორისო სამართლის დარღვევების თავიდან აცილებისა და მათ ჩადენაში დამნაშავე პირთა დასჯისათვის. სასამართლო, ასევე უწევს დახმარებას სხვა დაწესებულებებს, რომლებიც ადგენენ ფიზიკურ პირთა საერთაშორისო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი არის ერთ-ერთი იმ 6 საქმეთაგანი მსოფლიოში, რომლის წინასწარ ანალიზსაც ამჟამად სასამართლოს პროკურორის ოფისი აწარმოებს. 2008 წლის 27 აგვისტოს პროკურორმა ითხოვა ინფორმაცია როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს მხრიდან. საპასუხოდ, ორივე მხარემ მიაწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია. 2008 წლის ნოემბერში, პროკურორის ოფისის წარმომადგენლები ვიზიტით

[1]მაგალითები აღებულია რუსული წყაროებიდან.

იმყოფებოდნენ საქართველოში, ხოლო 2010 წლის მარტში, რუსეთში.

საქართველოს ხელისუფლების განცხადებით, გამოძიება საქართველოში მიმდინარეობს იმ შესაძლო დანაშაულების შესახებ, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ომის დროსაა ჩადენილი და ხვდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ.

2010 წლის ივნისში პროკურორის ოფისის წარმომადგენლები კვლავ იმყოფებოდნენ საქართველოში. ვიზიტის უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მიმდინარე გამოძიების შესახებ არსებული ინფორმაციის მიღება ამ დანაშაულებთან დაკავშირებით. პროკურორის ოფისის კოალიციის წევრები, ეხმარებიან ომით დაზარალებულებს.

ამგვარად, სასამართლოს შექმნა მნიშვნელოვანი ფაქტია საერთაშორისო დანაშაულების ჩადენის, დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთოდ და კერძოდ, სამხედრო დანაშაულებისათვის. ის ხდება ცენტრალური რგოლი საერთაშორისო სისხლის სამართლის, მართლმსაჯულების ფორმირებად სისტემაში.

§7. საქართველოს კანონი, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს პარლამენტმა დადგენილებით, 2003 წლის 16 ივლისს მოახდინა „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების“ რატიფიკაცია, რითაც ქვეყანამ გამოხატა მზაობა საერთაშორისო თანამეგობრობის წევრობისათვის. ამის შემდგომ საქართველოს პარლამენტმა, 2003 წლის 14 აგვისტოს, მიიღო კანონი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის თაობაზე, რომელიც ცხრა თავისა და 50 მუხლისაგან შედგება. კანონმა მოაწესრიგა 1998 წლის 17 ივლისის წესდების – რომის სტატუტის საფუძველზე შექმნილ სისხლის სამაროლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის

საკითხი; განსაზღვრა თანამშრომლობაზე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოსა და საერთაშორისო სასამართლოსათან თანამშრომლობისას სამართლებრივი ურთიერთდახმარების ფორმები.

სპეციალისტთა აზრით, საქართველოს მოქმედ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ამ ეტაპზე არ არსებობს საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობისა და სამართლებრივი დახმარების სფეროში ურთიერთობის დამაბრკოლებელი გარემოებანი.[1]

კანონმა საქართველოში საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობაზე უფლებამოსილება მიანიჭა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომლობის თაობაზე საერთაშორისო სასამართლოს თხოვნის მიღებას, თხოვნის შესრულებისათვის აუცილებელი ზომების გატარებას, საჭიროების შემთხვევაში, თხოვნათა შესრულებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებას; ასევე, განსაზღვრავს თხოვნათა შესრულებისათვის საქართველოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის კოორდინაციას. რადგანაც თანამშრომლობა მთლიანობაში იწყება სასამართლოს მიერ სახელმწიფოსადმი სამართლებრივი დახმარების შესახებ შესაბამისი თხოვნის გაგზავნით იმისათვის, რომ სახელმწიფომ ასეთ თხოვნაზე სასწრაფო რეაგირება მოახდინოს. მიზანშეწონილება მოითხოვს თითოეულ სახელმწიფოში შეიქმნას ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო, რომელიც მჭიდროდ ითანამშრომლებს სასამართლოსთან და მიღებულ თხოვნებზე მოახდენს ოპერატიულ რეაგირებას.[2] ამ ფუნქციის განხორციელებისთვის იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია:

- მიიღოს საერთაშორისო სასამართლოს თხოვნა თანამშრომლობის თაობაზე;
- მიიღოს გადაწყვეტილება საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის დასაშვებობის შესახებ; შეიმუშაოს თანამშრომლობის პროცედურები; საჭიროების

[1] მ. ტურავა, დას. ნაშ. გვ. 139.
[2] იქვე. გვ. 125.

შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება საერთაშორისო სასამართლოს განსჯადობის გასაჩივრების თაობაზე;

- მიიღოს გადაწყვეტილება თანამშრომლობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებაზე; ამასთან განსაზღვროს, რომელი სახელმწიფო ორგანოა უშუალოდ უფლებამოსილი თხოვნის შესრულებისათვის;
- უზრუნველყოს საერთაშორისო სასამართლოსათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება თხოვნის შესრულების შედეგების თაობაზე;
- გამართოს თათბირი, საერთაშორისო სასამართლოსთან თხოვნაში დასმული საკითხის თაობაზე, სტატუტით განსაზღვრულ შემთხვევებში;
- საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს ზომები, სახაზინო წესით დამცველის დანიშვნის, ან/და, სხვაგვარი სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისათვის, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- მიიღოს გადაწყვეტილება საერთაშორისო სასამართლოს თხოვნაზე, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის საქართველოში აღსრულების მიზნით, მსჯავრდებულის მიღებისა და საერთაშორისო სასამართლოს მიერ დანიშნული ფულადი სახდელის, ან/და, სხვა ხარჯების ანაზღაურების აღსრულების თაობაზე;
- განსაზღვროს თხოვნის შესრულების ფორმა და, მის შესასრულებლად აუცილებელი პირობები, თხოვნაში მითითებული გადაუდებელი ღონისძიებების შესრულების უზრუნველსაყოფად;
- გადასცეს საერთაშორისო სასამართლოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ შეგროვებული მტკიცებულებები და ინფორმაცია საქართველოს სახელით, თუ აღნიშნული შესაძლებელს ხდის, რომ საერთაშორისო სასამართლომ დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა;
- მოითხოვოს საერთაშორისო სასამართლოსაგან, საერთაშორისო სასამართლოს თხოვნის შესრულებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება, სტატუტით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

- განახორციელოს სტატუტით და ამ კანონით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

აქედან გამომდინარე, კანონის მესამე თავმა ჩამოაყალიბა მონაწილე სახელმწიფოების თანამშრომლობა და მათ შორის ჩვენიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან წარმოადგენს საერთაშორისო მართლმსაჯულების სისტემის ეფექტური ფუნქციონირების ერთ-ერთ საფუძველს, რომელიც შეიქმნა რომის სტატუტის ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად.[1] საერთაშორისო სასამართლოს განსჯადობისა და იურისდიქციის განსაზღვრის პრობლემა, რომლის შესაბამისადაც, საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილ იმ დანაშაულთა მიმართ, რომლებიც სტატუტის შესაბამისად, საერთაშორისო სასამართლოს განსჯადობას განეკუთვნება. თუ საერთაშორისო სასამართლო მიიჩნევს, რომ დანაშაულებრივი ქმედება მისი განსჯადია, უფლებამოსილ ორგანოს უფლება აქვს, საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებელ ორგანოებთან შეთანხმებით, მიიღოს საერთაშორისო სასამართლოს თხოვნა, ან სტატუტის მე-19 მუხლის შესაბამისად, გაასაჩივროს საერთაშორისო სასამართლოს განსჯადობა. თუ ასეთი არ არის და საერთაშორისო განსჯადობის უპირატესობა აშკარაა, საქმის მთლიანი მასალები გადაეცემა საერთაშორისო სასამართლოს. არსებობს ერთი სპეციფიკურობა: საერთაშორისო სასამართლოს განსჯადობის გასაჩივრების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

საქართველოს კანონის მე-5 თავი ეხება პირის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემის სამართლებრივ საფუძვლებს, რომლის მიხედვითაც პირი საერთაშორისო სასამართლოს გადაეცემა, თუ თხოვნიდან და თანდართული მასალებიდან გამომდინარეობს, რომ ჩადენილი ქმედება საერთაშორისო სასამართლოს განსჯადია.

საქართველოს მოქალაქის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემის შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანო

[1] მ. ტურავა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, თბ., 2005 წ., გვ. 123.

იტოვებს შესაძლებლობას, თხოვნით მიმართოს საერთაშორისო სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ, ამ პირის საქართველოში დაბრუნების თაობაზე.

კანონი ითვალისწინებს თხოვნას პირის ძებნისა და დაკავების ღონისძიებების გატარებაზე; ასევე, მტკიცებულებათა დაცვის უზრუნველყოფას, როდესაც ხდება პირის დაპატიმრება გადაცემის მიზნით, რაც მოწესრიგებულია კანონის 23-ე მუხლით. უფლებამოსილი ორგანო, პირის დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში, მიმართავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას, საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემის მიზნით, პირის დაპატიმრების თაობაზე ბრძანების გაცემის შესახებ. სასამართლო, თავის მხრივ, ვალდებულია, მომდევნო 24 საათის განმავლობაში მიიღოს გადაწყვეტილება პირის დაპატიმრების თაობაზე ბრძანების გაცემის შესახებ. თუ სასამართლო ამ ვადაში არ მიიღებს გადაწყვეტილებას, დაკავებული პირი თავისუფლდება.

საქართველოს კანონის 30-ე მუხლი ითვალისწინებს ექსკლუზიურობის პრინციპს, რომლის საფუძველზეც, საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემული პირის სისხლისსამართლებრივი დევნა, დაპატიმრება ან მხარდაჭერა, საერთაშორისო სასამართლოს მიერ შეიძლება განხორციელდეს ყველა იმ ქმედებისათვის, რომელზეც ვრცელდება საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია.

კანონმა გაითვალისწინა თანამშრომლობის სხვა ფორმები და პრინციპებიც, რომელსაც ეძღვნება მე-6 თავი, სადაც გათვალისწინებულია რომის სტატუტის 32-ე, მე-17 და მე-19 მუხლების მოთხოვნები, რითაც გათვალისწინებულია თხოვნის შესრულების გადადება, საერთაშორისო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. ასეთ შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით, შეიძლება განხორციელდეს წინასწარი ღონისძიებები.

ამ სახის ღონისძიებების მიზანია, საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობა, რომელიც ეფუძნება რომის სტატუტსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი საპროცესო მოქმედების შესრულებას; იგი ხელს უწყობს საერთაშორისო სასამართლოს განსჯად ქმედე-

ბათა გამოძიებას და სისხლის სამართლებრივ დევნას, აგრეთვე, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ამოღებას, რომელიც ითვალისწინებს კანონით დადგენილ ისეთ საპროცესო მოქმედებებს, როგორებიცაა:

- პირთა იდენტიფიცირება, მათი ადგილსამყოფელის დადგენა;
- მტკიცებულებათა, მათ შორის, მოწმის ჩვენების მოპოვება; საერთაშორისო სასამართლოსათვის აუცილებელ მტკიცებულებათა, მათ შორის, ექსპერტის ან სპეციალისტის დასკვნის მომზადება და წარდგენა;
- იმ პირის დაკითხვა, ვის მიმართაც წარმოებს გამოძიება ან ვინც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ სისხლის სამართლებრივი წესით იდევნება;
- დოკუმენტების, მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარება;
- დაპატიმრებული პირის დროებითი გადაცემა;
- ადგილებისა და ობიექტების ადგილმდებარეობის დადგენა;
- ჩხრეკა, ამოღება, ყადაღის დადება;
- მასალებისა და დოკუმენტების, მათ შორის, სასამართლო დოკუმენტების წარდგენა;
- მოწმეთა და დაზარალებულთა, ასევე, მტკიცებულებათა დაცვა;
- თანხისა და ქონებრივი ღირებულებების მქონე ნივთების აღმოჩენა, დაყადაღება, ასევე, დანაშაულის საგნის და საშუალების ამოღება და დაყადაღება მათი ჩამორთმევის მიზნით;
- სასამართლოს წინაშე მოწმეთა და ექსპერტთა სახით, პირთა ნებაყოფლობითი გამოცხადებისათვის ხელის შეწყობა;
- ექსპუმაციის ჩატარება, ადგილებისა და ობიექტების დათვალიერება, მათ შორის, სამარხების აღმოჩენა და დათვალიერება;
- დახმარების ნებისმიერი სხვა ფორმა, რომელიც აკრძალული არ არის საქართველოს კანონმდებლობით და რომელიც ხელს უწყობს სასამართლოს, მის იუ-

რისდიქციაში შემავალი დანაშაულების გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებაში.

საქართველოს კანონის VIII თავში ასახულია საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებათა ასრულების პირობები, რომლებიც ითვალისწინებენ:

1. საერთაშორისო სასამართლოს თხოვნით, საქართველოში შეიძლება აღსრულდეს კანონიერ ძალაში შესული საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ გასამართლებელი პირი არის საქართველოს მოქალაქე, ან/და, მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, ან საქართველოს ტერიტორიაზე აქვს საკუთრება;
2. საქართველოში საერთაშორისო სასამართლოს მიერ სასჯელის სახით დანიშნული სახდელი შეიძლება აღსრულდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მსჯავრდებულს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საზღვარგარეთ აქვს, მაგრამ საქართველოში აქვს საკუთრება;
3. საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულდება პატიმრობის კოდექსით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ", საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

კანონის 46-ე მუხლი ეხება თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის აღსრულებას:

1. საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შესახებ, საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულდება მას შემდეგ, რაც უფლებამოსილი ორგანო ამ მოთხოვნის შესრულებაზე დათანხმდება.
2. უფლებამოსილი ორგანო, თავისუფლების აღკვეთის აღსრულებაზე უფლებამოსილ შესაბამის სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმებით, გადაწყვეტილებას იღებს საერთაშორისო სასამართლოს თხოვნის შესახებ, თავისუფლების აღკვეთის, საქართველოში აღსრულების თაობაზე. უფლებამოსილი ორგანო მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ატყობინებს საერთაშორისო სასამართლოს.
3. საერთაშორისო სასამართლოს თხოვნით, უფლებამოსილი ორგანო აწვდის მას ნებისმიერ ინფორმაციას საერთაშორისო სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის სასჯელის აღს-

რულებასთან დაკავშირებით. საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია, ნებისმიერ დროს გამოაგზავნოს თავისი წარმომადგენელი საქართველოში, რათა შეამოწმოს სასჯელის აღსრულების პირობები, შეხვდეს და ესაუბროს მსჯავრდებულს. საერთაშორისო სასამართლოს და მსჯავრდებულის ურთიერთობა კონფიდენციალურ ხასიათს ატარებს.

4. თუ მსჯავრდებულმა დააყენა შუამდგომლობა სასჯელის მოხდისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლების, შეწყალების, გასაჩივრების, ახლადგამოვლენილ ან ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო სისხლის სამართლის საქმის წარმოების აღძრის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ, ასეთი შუამდგომლობები, ყველა სხვა აუცილებელ დოკუმენტაციასთან ერთად, დაუყოვნებლივ წარედგინება საერთაშორისო სასამართლოს. მხოლოდ საერთაშორისო სასამართლოა უფლებამოსილი, შეამციროს მსჯავრდებული პირის პატიმრობის ვადები ან სხვაგვარად შეუმსუბუქოს მას სასჯელის მოხდა.
5. სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.[1]

„საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობისა და სამართლებრივი დახმარების სფეროში ასევე შესაძლებელი იყო პრობლემის სხვაგვარი გადაწყვეტაც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე თავში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის გზით, კერძოდ მისი გაფართოება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის საკითხით“, – წერს პროფ. მ. ტურავა.[2]

ამრიგად, საქართველოს კანონი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან, საქართველოს თანამშრომლობის შესახებ, ხელს უწყობს ეროვნული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას და ქვეყნის მართლმსაჯულების სფეროში დემოკრატიული პრინციპების განმტკიცებას.

---

[1] საქართველოს კანონი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ, 2003 წლის 14 აგვისტო №2972

[2] მ. ტურავა, დას. ნაშ. გვ. 139.

თავი XIV

საერთაშორისო ორგანიზაციების როლი შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის აღდგენის პროცესებში

§1. გაერო და მისი სტრუქტურები

საერთაშორისო სამართალი ითვალისწინებს შეიარაღებული კონფლიქტების ჩაქრობისა და მშვიდობის აღდგენის პროცედურების განხორციელებაში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობას. ამ კონცეფციის მიღმა, უპირველესად, მოიაზრება გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი სტრუქტურები. ერთი შეხედვით, აღნიშნული საკითხი შეიძლება არ შედიოდეს უშუალოდ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითად პრობლემათა რიგში, მაგრამ მისი შინაარსიდან გამომდინარე, იგი პროცესის შემადგენელი ნაწილია და ჰუმანიტარული სამართლის წისქვილზე ასხამს წყალს. რას წარმოადგენს გაეროს უმთავრესი ამოცანა, თუ არა მშვიდობის დაცვასა და დედამიწაზე გლობალური ომის საფრთხის თავიდან აცილებას.[1]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად, თუ გაეროს უშიშროების საბჭომ აგრესორთან ვერაფერი გააწყო იარაღის გამოუყენებლად, მას უფლება აქვს, იმოქმედოს წესდების VII თავის შესაბამისად, ე.ი. დაიწყოს სამხედრო მოქმედებები. ამისათვის, მას გადაეცემა წევრ-სახელმწიფოთა (საბჭოსთან შეთანხმებით) შეიარაღებული ძალების კონტინგენტები, რომლის სათავეში დგება უშიშროების საბჭოს მიერ დანიშნული მთავარსარდალი. საერთო ხელმძღვანელობა გაეროს გენერალურ მდივანს ეკისრება. გაეროს ჯარების სამხედრო ოპერაციები აგრესორის წინააღმდეგ კანონიერ ხასიათს ატარებს და სახელმწიფოთა კოლექტიური უშიშროების რეალიზაციის ერთ-ერთ მთავარ სახეს წარმოადგენს. უშიშროების საბჭო

---

[1] Note by the President of the Council UN SCOR, 47 in Sesion 30449 th Meeting UN Doc. S/23500 (1992) ILM 31 (1992) 759 act 761.

მკაცრ კონტროლს უწევს თავისი ჯარების საქმიანობას, რათა ოპერაციები ჰუმანურობის, ომის კანონებისა და ჩვეულებების დაცვით მიმდინარეობდეს.[1]

მეტი მოხერხებულობისთვის ეს ფუნქციები საქმიანობის სამ ფართო კატეგორიად იქნა დაყოფილი: პირველი კატეგორია ეხება გაეროს ორგანოების პოლიტიკურ როლს დავების მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში. საკითხი, რომელიც ძირითადად მიმართულია წესდების VI თავისაკენ, რომლის სახელწოდებაცაა „დავების მშვიდობიანი მოგვარება". საერთაშორისო სასამართლოს – გაეროს ექვსი ძირითადი ორგანოდან, ერთ-ერთის მართლმსაჯულებითი როლია, ისევე, როგორც საერთაშორისო დავების მოგვარების ძირითადი მეთოდები.მეორე კატეგორია მოიცავს იძულების ღონისძიებებს, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს VII თავის თანახმად და რომელიც ეხება „ქმედებებს, ,მშვიდობისადმი მუქარის, მშვიდობის დარღვევისა და აგრესიის აქტების მიმართ". მესამე კატეგორია ეხება გაეროს „სამშვიდობო" ოპერაციების განსაკუთრებულ ინსტიტუტს, რომელთაც არა აქვთ ზუსტი სამართლებრივი ბაზა წესდებაში, მაგრამ განვითარება ჰპოვეს პრაქტიკაში და ხშირად ხასიათდებიან, როგორც დაფუძნებული – „VI და VII ნახევარ თავზე".[2]

გაეროს წესდების 1 (1) მუხლი ადგენს, რომ გაეროს ერთ-ერთი მიზანია: სამართლიანობისა და საერთაშორისო სამართლის პრონციპების შესაბამისად, დავები მშვიდობიანი გზებით მოაგვაროს, ან, გადაწყვიტოს საერთაშორისო დავები ან ისეთი სიტუაციები, რომლებსაც შესაძლოა მოჰყვეს მშვიდობის დარღვევა.

2(3) მუხლი, წევრ-სახელმწიფოებს ავალდებულებს:

მოაგვარონ დავები მშვიდობიანი საშუალებებით ისე, რომ არ შეუქმნან საფრთხე საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებასა და სამართლიანობას.

გაეროს ორი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ორგანო, დავების მშვიდობიანი მოგვარებისათვის, არის

---

[1] ლ. ალექსიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 302.

[2] პ. მალანჩუკი, აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2005წ. გვ. 417

უშიშროების საბჭო და გენერალური ასამბლეა. მაგრამ გაეროს გენერალური მდივანიც ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონფლიქტის მხარეებისათვის „კეთილი სამსახურის" გაწევაში. ეს არის ფუნქცია, რომელიც თავისი ეფექტურობის შესანარჩუნებლად ხშირად საიდუმლოდ სრულდება.

დავა შეიძლება გაგრძელდეს უშიშროების საბჭოში და საქმის შეტანის უფლებით სარგებლობს:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დავის მხარე;
2. სახელმწიფო, რომელიც არაა ორგანიზაციის წევრი, მაგრამ არის დავის მონაწილე და „წინასწარ იკისრებს ამ დავის მიმართ, წესდებით გათვალისწინებულ ვალდებულებას მშვიდობიანი მოგვარების თაობაზე";
3. გენერალური ასამბლეა, რომელსაც „შეუძლია უშიშროების საბჭოს ყურადღება მიაპყროს ისეთ სიტუაციებს, რომლებიც შესაძლოა დაემუქროს საერთაშორისო მშვიდობას და უშიშროებას";
4. გენერალური მდივანი, რომელსაც „უფლება აქვს, შეატყობინოს უშიშროების საბჭოს ნებისმიერი ისეთი საკითხი, რომელიც, მისი აზრით, შეიძლება ემუქრებოდეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას".

ამის გარდა, გაეროს სისტემაში ჩამოყალიბდა ე.წ. „მშვიდობის დაცვის ძალების" და „მეთვალყურეთა" ინსტიტუტი. დაცვის ძალები იგზავნება უშიშროების საბჭოს მიერ შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში, რათა დააშორიშოროს მოწინააღმდეგე მხარეები მათი შეხების არეალში.[1]

გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფოს, გენერალურ ასამბლეას ან გენერალურ მდივანს შეუძლია, მხოლოდ სთხოვოს უშიშროების საბჭოს დავის განხილვა. სწორედ უშიშროების საბჭო წყვეტს, დაუჭიროს თუ არა თხოვნას მხარი და შეიტანოს იგი დღის წესრიგში. ანალოგიურად, დავა, უშიშროების საბჭოს დღის წესრიგიდან შეიძლება ამოღებული იქნეს, მხოლოდ უშიშროების საბჭოს და არა დავის მონაწილე მხარეების მიერ.

---

[1] ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 1999წ. გვ. 302

ამ პრაქტიკის სისწორე კარგად გამოჩნდა 1968 წლის აგვისტოში, ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ჯარების შეჭრიდან რამდენიმე დღის შედეგ, როდესაც უშიშროების საბჭომ უარი განუცხადა ჩეხოსლოვაკიას (რომელიც, რა თქმა უნდა, საბჭოთა ზეწოლის ქვეშ მოქმედებდა), შეჭრის საკითხი დღის წესრიგიდან ამოეღო. დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხები პროცედურულია, და შესაბამისად, ვეტოს უფლება არ მოქმედებს.

VI თავი უშიშროების საბჭოს უფლებას აძლევს, წარადგინოს მრავალი სახის რეკომენდაცია, დავების მშვიდობიანი მოგვარებისათვის. უშიშროების საბჭოს, ასევე აქვს გამოძიების წარმოების გარკვეული უფლებამოსილება. წესდების მიხედვით, გარემოებები, როდესაც უშიშროების საბჭოს შეუძლია შესთავაზოს მოგვარების პირობები, განსხვავდება გარემოებებისაგან, როდესაც მას შეუძლია შესთავაზოს დავების მოგვარების პროცედურა. მაგრამ აღნიშნული გარემოებები ძალზე ბუნდოვანია. პრაქტიკაში უშიშროების საბჭო, ჩვეულებრივ, ყურადღებას არ აქცევს სირთულეებს და იძლევა ნებისმიერი სახის რეკომენდაციას, წესდების ნებისმიერი მუხლის ციტირების გარეშე და VI თავში მოცემულ გარკვეულ და დამაბნეველ განსხვავებებზე ყურადღების მიუქცევლად.

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმ საკითხთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა, უშიშროების საბჭოს მიერ VI თავის მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულო გახდეს. უფრო ფართო შეხედულება, რომელიც საერთაშორისო სასამართლომ გამოხატა თავის გადაწყვეტილებაში ნამიბიის საქმეზე 1970 წელს, პრაქტიკაში არ დამკვიდრდა (სასამართლო დაობდა, რომ უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც ემყარება არა VII თავს, არამედ, პირდაპირ, წესდების V თავის 25-ე მუხლს, რომელიც ადგენს, რომ გაეროს წევრები „თანხმდებიან, წინამდებარე წესდების შესაბამისად, დაემორჩილონ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს და შეასრულონ ისინი, შეიძლებოდა სავალდებულო ყოფილიყო). ამდენად, უშიშროების საბჭოს მიერ, VI თავზე დაყრდნობით გაკეთებული რეკომენდაციები, ზოგადად სამართლებრივ ვალდებულებებს არ წარმოშობს, თუმცა მათ ხშირად დიდი პოლიტიკური გავლენა აქვთ. საბჭოს უფლება აქვს, გამოსცეს

სავალდებულო გადაწყვეტილება, მხოლოდ VII თავის შესაბამისად. თუმცა, სირთულეს წარმოდგენს ის, რომ უშიშროების საბჭო ხშირად თავს იკავებს ზუსტი მითითებებისაგან, თუ წესდების რომელ მუხლს ეყრდნობა მისი გადაწყვეტილება. რაც შეეხება ხმის მიცემის პროცედურას, VI თავის მიხედვით გაკეთებული რეკომენდაციები არაა პროცედურული; ასე რომ, ამ შემთხვევაში გამოიყენება ვეტოს უფლება.

გენერალურ ასამბლეას ასევე შეუძლია ჩაერიოს დავების მოწესრიგებაში. გაეროს შეიარაღებული ძალების საშუალებით, ჯარის დაკომპლექტება ხდება მრავალეროვნულ საწყისზე – გაეროს წევრ-სახელმწიფოთა მიერ გამოყოფილი კონტინგენტებით. ამ კონტინგენტებს არა აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ ბრძოლებში, ერთ-ერთი მხარის დასაცავად. ისინი მკაცრ ნეიტრალიტეტს იცავენ და შეიარაღებული არიან მსუბუქი სამხედრო ტექნიკით, რომელსაც მხოლოდ თავდაცვის მიზნით იყენებენ. უშიშროების საბჭო იყენებს მშვიდობის დაცვის ძალებს მას შემდეგ, რაც მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას დაზავების შესახებ და შეწყვიტეს ცეცხლი. ეს ჯარები იგზავნება უშიშროების საბჭოს მიერ, ზუსტად განსაზღვრული ვადით (ერთი ან რამდენიმე თვით, რომელიც საჭიროებისამებრ შეიძლება იყოს გაგრძელებული უშიშროების საბჭოს მიერ). გაერომ ეს ძალები გამოიყენა აფრიკასა (კონგო) და ახლო აღმოსავლეთში (ისრაელის ლიბანთან, სირიასა და ეგვიპტესთან კონფლიქტების დროს). ისინი დღესაც დგანან სამხრეთ ლიბანში, ისრაელის საზღვარზე, კვიპროსში.

საერთაშორისო სამართლის მკვლევარები საუბრობენ კიდევ ერთ ახალ ტენდენციაზე: უფლება მიეცეთ გაეროს ჯარებს ჩაებან ურჩი ქვეყნის მიმართ გაეროს მიერ გამოცხადებულ ბლოკადაში, ან ჰუმანიტარული დახმარების ცხელ წერტილებში უსაფრთხოდ ჩატანის უზრუნველყოფაში. ამ შემთხვევაში მათ უფლება ეძლევათ, აქტიურად გამოიყენონ იარაღი თავიანთი ამოცანების შესასრულებლად. ასე მოხდა სერბეთის მიმართ, გაეროს მიერ მიღებულ ღონისძიებათა რეალიზაციის დროს (1992 წლის ოქტომბერ-დეკემბერი). უფრო ფართომასშტაბიანი ოპერაციები ჩატარდა სომალიში, სადაც გაეროს ძალებმა (ძირითადად აშშ-ს კონტინგენტების საშუალებით) იერიში მი-

ტანეს იმ ქვეყანაში ერთმანეთთან მებრძოლი სამხედრო დაჯგუფებების წინაღმდეგ, რომლებიც აბრკოლებდნენ მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას. ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ნამდვილ საომარ მოქმედებას, მაგრამ გაეროს ძალებმა შეძლეს რეგიონში მშვიდობის დამყარება და მებრძოლ ჯგუფთა სამხედრო მოქმედებების ნეიტრალიზება (1992 წლის დეკემბერი – 1993წლის იანვარი).

აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად საქართველომ გაეროს მიმართა თხოვნით, გამოეგზავნა მშვიდობის დაცვის ძალები, თავის დროზე წერდა აკად. ლ. ალექსიძე იმის შესახებ, რომ სახსრების უქონლობის გამო, გაერომ ვერ შეძლო ამ მისიის შესრულება და სამხედრო მეთვალყურეთა გამოგზანით დაკმაყოფილდა. სამშვიდობო ძალების გამოგზავნა დსთ-მ იკისრა, რაც პრაქტიკულად, რუსეთის სამშვიდობო ჯარების გამოგზავნაში გამოიხატა, რომელსაც, რა შედეგიც მოყვა, ყველასათვის ცნობილია.

სხვა შემთხვევაში, მეთვალყურეთა ჯგუფები, რომლებიც მრავალეროვნულ საწყისებზე იქმნება, „ცხელ წერტილებში" ზავის პირობების დაცვის კონტროლისათვის იგზავნებიან (მაგ. ინდოეთისა და პაკისტანის საზღვარზე, ერაყ-ქუვეითის საზღვარზე და სხვ). 1993 წელს ასეთი ჯგუფი აფხაზეთშიც დაბინავდა.

ავტორის აზრით ევროთათბირის მშვიდობის დაცვის ზომები მხოლოდ არაიძულებით ხასიათს ატარებენ და კონფლიქტში ჩაბმული მხარეების თანხმობით ხორციელდება. მხარეებად ჩაითვლებიან მოდავე სახელმწიფოები და სახელმწიფოებში არსებული დაპირისპირებული შეიარაღებული ფორმირებები. მშვიდობის დაცვის ოპერაციის ძირითადი მიზანია, კონტროლი გაუწიოს დაზავებულ მხარეთა შეთახმებებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ან დახმარების გაწევა; ასევე, ამ შეთანხმების შესრულების მიზნით, მეთვალყურეობის გაწევა ჯარების გამოყვანის პროცესისათვის; კანონიერებისა და წესრიგის დაცვა კონფლიქტის ზონაში და ა.შ. ყველა ეს ღონისძიება ხორციელდება გაეროს წესდების შესაბამისად და უშიშროების საბჭოსთან მჭიდრო კონტაქტში. თხოვნა, მშვიდობის დაცვის ოპერაციის შესახებ, გაიგზავნება მოქმედი

თავმჯდომარის მეშვეობით, უფროსი თანამდებობის პირთა კომიტეტში.საბჭო ან თვით კომიტეტი, კონსენსუსით ღებულობს გადაწყვეტილებას ოპერაციის დაწყების შესახებ. ამგვარად, საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ ერთ-ერთი მოდავე სახელმწიფო წინააღმდეგია და უარს ამბობს თანამშრომლობაზე. მისიებისა და ჯარების გაგზავნა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ მიღწეულია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და არსებობს უსაფრთხოების რეალური გარანტიები. მშვიდობის დაცვის ჯარების პირადი შემადგენლობის საჭიროება, პრაქტიკული საქმიანობის პირობები და სხვა, განისაზღვრება კონფლიქტების თავიდან აცილების ცენტრის მიერ და მტკიცდება უფროსი თანამდებობის პირთა კომიტეტის მიერ. დაისვა საკითხი, ნატოს ჯარების გამოყენების შესახებ, რაც დადებითად გადაწყდა. ასეთია ძირითადად დავების მშვიდობიანი მოწესრიგების, კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მათი რეგულირების პროცედურები ევროთათბირის ფარგლებში.

აკად. ლ. ალექსიძის აზრით საქართველოს რესპუბლიკის მიერ თხოვნის წერილს უფროსი თანამდებობის პირთა კომიტეტისადმი, რათა აღკვეთილიყო აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთიდან შემოჭრილი დაქირავებული პირების თარეში მყისიერი რეაგირება მოყვა (1992 წლის ოქტომბერი). საქართველოში ჩამოვიდა ევროთათბირის მისია, რომელიც პერიოდულად ამოწმებდა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს და სათანადო დოკუმენტების შექმნით, ამხელდა სეპარატისტთა ეთნიკური წმენდის პოლიტიკას.[1]

ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების I დამატებითი ოქმი, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ, 81-ე მუხლი, წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის გარდა, სხვა ჰუმანიტარული ორგანიზაციების საქმიანობასაც ითვალისწინებს. ასე რომ, შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის აღდგენის პროცედურებში საერთაშორისო ორგანიზაციების როლი მნიშვნელოვანია.

---

[1] ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 1999წ. გვ. 304

საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივით, მშვიდობის მისაღწევად საჭირო პირობების შესამუშავებლად, ტარდება შეხვედრები და ღონისძიებები. მშვიდობის დაცვისათვის ძალისხმევასა და მეომარ მხარეებს შორის სამხედრო მოქმედებების შეჩერებასთან, ხშირად, მჭიდროდ არის დაკავშირებული სამშვიდობო აქციები. ისინი შეიცავენ ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებასა და განაწილებას, კონსულტაციებსა და სოციალ-პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტაში დახმარების გაწევას. ასეთი სახის ოპერაციები ჩატარდა ანგოლაში, ტაჯიკეთში, სიერა-ლეონესა და იემენში. სწორედ ასეთი გზით უნდა მოხდეს მხარეების დაშორიშორება და კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების ჩაყენება. კონფლიქტებში ნატოს ძალზე აქტიური შენაერთების გამოყენება და გაეროს სწრაფი რეაგირების ბრიგადის განთავსება, სამშვიდობო ოპერაციის თაობაზე უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასა და ამ გადაწყვეტილების განხორციელებას შორის არსებულ ვაკუუმს შეავსებს. აუცილებელია, რომ გადაუდებელ შემთხვევაში ბრიგადას ჰქონდეს ძალის გამოყენების უფლება, რომელიც კონფლიქტის დაწყებისთანავე, დაუყოვნებლივ ჩაერთვება აღნიშნულ პროცესში და მხარეებს შორის შეიარაღებული დაპირისპირების თავიდან აცილების გარანტი იქნება.

§2. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი და ჰუმანიტარული სამართალი

წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბების სათავეებთან ანრი დიუნანი დგას, რომელმაც 1859 წლის 24 ივლისს, საკუთარი თვალით ნახა ჩრდილოეთ იტალიის პატარა ქალაქ სოლფერინოს ახლოს, ავსტრიისა და საფრანგეთის არმიების ბრძოლის ველზე დატრიალებული საშინელება, ერთმანეთ'ში არეული ცოცხალ-მკვდარი ჯარისკაცები, მიტოვებული დაჭრილები და დაუმარხავი დახოცილები. მან თხოვნით მიმართა ახლომახლო მოსახლეობას, დახმარებოდნენ დაჭრილების მოვლა-პატრონობაში. ეს იყო პირველი შემთხვევა,

მოსახლეობის აქტიური დახმარებისა დაჭრილთა მიმართ. შვეიცარიაში დაბრუნების შემდეგ, დიუნანმა გამოაქვეყნა წიგნი სათაურით: „მოგონებანი სოლფერინოს ბრძოლაზე“, სადაც აღწერილი იყო ომის საშინელებები. ავტორმა საზოგადოებას შემდეგი წინადადებები შესთავაზა:

1) მშვიდობიან პერიოდში, შექმნილიყო ნებაყოფლობითი საზოგადოება, რომლის მიზანი იქნებოდა დაჭრილების დახმარება ომის პერიოდში;

2) მიღებული ყოფილიყო საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავდა ამ ორგანიზაციის უფლებამოსილებას, რომლის ძირითად დანიშნულებად აღიარებული იქნებოდა არმიებისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

1863 წლის ჟენევის საქველმოქმედო საზოგადოებამ შექმნა 5 კაციანი კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა დიუნანის წინადადებათა მიზანშეწონილობა და მათი პრაქტიკულად განხორციელების შესაძლებლობანი. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ: გუსტავ მუანე, ანრი დიუფურა, ლუი აპპია, თეოდორა მონუარე და თვით დიუნანი. მათი თაოსნობით ჩამოყალიბდა დაჭრილთა დახმარების საერთაშორისო კომიტეტი, რომლის ძალისხმევითა და დიდი შრომის ფასად, 1863 წლის 26 ოქტომბერს, ჟენევაში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს 26 ქვეყნის წარმომადგენლებმა და ოთხმა ფილანთროპიულმა ორგანიზაციამ. სწორედ ჟენევის ამ კონფერენციაზე გადაწყდა და მიღებული იქნა ამ ორგანიზაციის ემბლემა – წითელი ჯვარი თეთრ ფონზე.

საწყის ეტაპზე, სწჯკ-ის მოღვაწეობა ერთობ შეზღუდულ ხასიათს ატარებდა. თუმცა, XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ომებმა წამოაყენეს ახალი პრობლემები, რომელთა შეუსრულებლობა, უბრალოდ, შეუძლებელია და აიძულა კომიტეტი, განეხორციელებინა ქმედითი ღონისძიებები. კონფლიქტიდან კონფლიქტამდე ფართოვდებოდა მისი მოღვაწეობის სფერო და სიტუაციის წრე, რომელშიც მას მოქმედება უწევდა.

ორგანიზაციის მოქმედების არეალისა და უფლებების გაფართოების მიზნით, 1864 წელს, ჟენევაში მოწვეული იქნა დიპლომატიური კონფერენცია, სადაც დამტკიცდა კომიტეტი და

რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღეს 12 ქვეყნის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა. მიიღეს ჟენევის კონვენცია, მოქმედ არმიაში დაჭრილებისა და ავადმყოფთა მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების თაობაზე. ფაქტობრივად, ეს იყო პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელმაც საფუძველი დაუდო საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს.

1883 წლის რეზოლუციის საფუძველზე შექმნილი დახმარების საზოგადოებები ხედავდნენ ერთმანეთთან რეგულარული შეხვედრის აუცილებლობას გამოცდილების გაზიარებისა და კავშირების განმტკიცების მიზნით. 1893 წლის რეზოლუციის მე-9 მუხლში გათვალისწინებულია, რომ „სხვადასხვა ქვეყნების კომიტეტებს და განყოფილებებს, შეუძლიათ შეიკრიბონ საერთაშორისო კონგრესებზე, რათა ერთმანეთს გაუზიარონ დაგროვილი გამოცდილება და შეათანხმონ ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს წარმატებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად". 1867 წელს პარიზში გაიხსნა დაჭრილთა დახმარების საზოგადოებების მსოფლიო გამოფენა, რომელიც მოაწყო საფრანგეთის კომიტეტმა, მუნიეს წინადადებით. მალევე იქნა მოწვეული წითელი ჯვრის პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც შეიკრიბნენ არამარტო ეროვნული საზოგადოებების დელეგატები, არამედ ჟენევის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლებიც. აქედან მოყოლებული, მთავრობები ყოველთვის იღებენ მოწვევას კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. მათ ხმის ისეთივე უფლება აქვთ, როგორც წითელი ჯვრის ეროვნულ საზოგადოებებს. ეს უნიკალურობა იმით აიხსნება, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია — წითელი ჯვარი — დაკავშირებულია სახელმწიფო ხელისუფლებასთან.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1949 წელს მიღებული იქნა ჟენევის ოთხი კონვენცია, რომლითაც გაძლიერდა სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის მდგომარეობა ომის პირობებში. 1977 წელს მიღებული იქნა ორი დამატებითი ოქმი, ამ კონვენციებთან მიმართებაში („წითელი ჯვარი" ქრისტიანულ სამყაროში აღნიშნული ორგანიზაციის სიმბოლოდ იქცა. აზერბაიჯანში, ტაჯიკეთში, თურქეთში, უზბეკეთში, ავღანეთში, პაკისტანში, თურქეთსა და არაბულ ქვეყნებში — წითელი ნახევარმთვარე, ირანში — წითელი ლომისა და მზის

საზოგადოება), მრავალ ქვეყანაში შეიქმნა ორგანიზაციები, რომლებიც ომის დროს ეხმარებიან სამხედრო ტყვეებს, ავადმყოფ და დაჭრილ მეომრებს; მშვიდობიან პერიოდში დახმარებას უწევენ სტიქიური უბედურების დროს დაზარალებულებს; მთელ რიგ ქვეყნებში ატარებენ ამა თუ იმ დაავადების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. საერთაშორისო მასშტაბით, იურიდიულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი „წითელი ჯვრის“ ეროვნული საზოგადოებები ქმნიან საერთაშორისო „წითელ ჯვარს“და გაერთიანებული არიან „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო კომიტეტისა და „წითელი ჯვრის“ საზოგადოებების ლიგაში. მოქმედი დებულების თანახმად (მიღებულია 1965 წელს), საერთაშორისო „წითელი ჯვრის“ ადგილსამყოფელია ჟენევა.

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ფედერაცია შეიქმნა 1919 წელს, საფრანგეთში, ქ. პარიზში. იგი აერთიანებს 175 ქვეყანაში არსებული წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ეროვნულ საზოგადოებებს. ხელმძღვანელობს 1977 წლის 12 ოქტომბერს მიღებული წესდებით, რომლის ძალითაც ფედერაცია ეროვნულ საზოგადოებებს ეხმარება ბუნებრივი ან ხელოვნური კატასტროფებით გამოწვეულ უბედურებათა თავიდან აცილებასა და შემსუბუქებაში, განვითარების გრძელვადიანი პროგრამების შემუშავებასა და გავრცელებაში, კოორდინაციას უწევს საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების პროგრამების განხორციელებას.

ფედერაციის უმაღლესი ორგანოა კონფერენცია, სადაც განისაზღვრება ფედერაციის პოლიტიკა, ხდება ახალ ეროვნულ საზოგადოებათა მიღება ან მათი გარიცხვა. საჭიროა აღინიშნოს, რომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფედერაციის მიზანია იხელმძღვანელოს და იმოქმედოს წითელი ჯვრის ყველა ფუნდამენტური პრინციპის დაცვით. დამოუკიდებლობის და ნეიტრალიტეტის პრინციპების დაცვა ხელს შეუწყობს იმ მისიის განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებს ადამიანთა ჩაგვრაწამების აღკვეთას ნებისმიერი გზით.[1]

---

[1] International Review of the Red Cross, "International Conference of the Red Cross and Red Crescent", Volume 91 Number 876 December 2009 (ICRC), p.735.

ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ეწყობა წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც ესწრებიან არა მარტო წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, ფედერაციისა და ეროვნული საზოგადოების წარმომადგენლები, არამედ ჟენევის 1949 წლის კონვენციებისა და მათი დამატებითი ოქმების. ხელმომწერი სახელმწიფოების დელეგაციებიც. თუ რომელიმე სახელმწიფომ თავის ტერიტორიაზე აკრძალა ეროვნული საზოგადოების საქმიანობა, იგი ავტომატურად კარგავს სტატუსს, თუმცა ფედერაციას მიზეზებში გარკვევის და რეკომენდაციების მიცემის უფლება გააჩნია; მათი მიღება-არ მიღების პრიორიტეტი კი სახელმწიფოსეკუთვნის.

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ეროვნული საზოგადოებების ჩამოყალიბება განისაზღვრა 1863 წელს საკონსულტაციო კონფერენციაზე. ისინი მოქმედებენ თავიანთ სახელმწიფოებში და ეფუძნებიან მათ კანონმდებლობას ისევე, როგორც წითელი ჯვრის სამართლებრივ ნორმებს. ეროვნული საზოგადოებები იმყოფებიან ორმაგ დაქვემდებარებაში. წითელი ჯვრის ფარგლებში ეროვნული საზოგადოებებისათვის საერთაშორისო სტატუსის მინიჭება მათ ავალდებულებს, იმოქმედონ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ყველა წევრისათვის საერთო მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, ხოლო შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო საქმიანობაში იხელმძღვანელონ წითელი ჯვრის პრინციპებითა და ნორმებით. ისინი რეგისტრაციას გადიან ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობით, რაც მათ ავალდებულებს, პატივი სცენ ეროვნულ კანონმდებლობას. წესდებაში მკაფიოდაა განსაზღვრული მათი ფუნქციები და მოვალეობანი. შესასრულებლად სავალდებულოა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ათი წესი, რომლის კონტროლს ახორციელებს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, როგორც ნეიტრალური ორგანო. ეროვნული საზოგადოება ითვლება წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის წევრად.

რაც შეეხება წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ორგანიზაციას ყოფილ საბჭოთა კავშირში, იგი ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია იყო, რომელიც ეხმარებოდა ჯანდაცვის ორგანოებს პრო-

ფილაქტიკური და სანიტარულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარებაში, აგრეთვე, დახმარებას უწევდა სტიქიური უბედურებებისა და საომარი მოქმედებების დროს დაზარალებულებსა და დაშავებულებს.

1918 წლის 7 აგვისტოს გამოქვეყნდა ვ.ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი მთავრობის დეკრეტი, რომელშიც განსაზღვრული იყო „წითელი ჯვრის“ საზოგადოების შინაგანი და საერთაშორისო საქმიანობა. 1918 წლის 20 ნოემბერს მიიღეს წესდება და აირჩიეს რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი. ანალოგიური საზოგადოებები შეიქმნა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც და მათ შორის საქართველოშიც. 1923 წლის 29 მაისს საზოგადოების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას „სსრკ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის“ შექმნის შესახებ.

კავშირში შევიდა წითელი ჯვრის 11 და წითელი ნახევარმთვარის 4 რესპუბლიკა. საზოგადოების წესდების შესაბამისად, მისი უმაღლესი ორგანო იყო საკავშირო ყრილობა, ყრილობებს შორის პერიოდში – აღმასკომი და მისი პრეზიდიუმი. კავშირი ხელს უწყობდა უსასყიდლო დონორობის განვითარებას, გამოსცემდა ჟურნალ „საბჭოთა წითელ ჯვარს“ (1951 წლიდან), სასწავლო და სანიტარულ-საგანმანათლებლო ლიტერატურას. „იგი ატარებდა აქტიურ საერთაშორისო საქმიანობას, დახმარებას უწევდა საზღვარგარეთის ქვეყნებს ეპიდემიების, შიმშილობის, სტიქიური უბედურებების დროს“ და ა.შ.

1965 წელს ვენაში შედგა „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ საერთაშორისო ორგანიზაციის XX კონფერენცია, სადაც მიღებული იქნა მისი საქმიანობის ისეთი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები, როგორიცაა:

1) ჰუმანურობის პრინციპი. ის გულისხმობს „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ საერთაშორისო კომიტეტის მიზანს, ბრძოლის ველზე აღმოუჩინოს დახმარება ყველას, განურჩევლად იმისა, თუ ვის მხარეზე იბრძვიან ისინი, ასევე, შეუმსუბუქონ ადამიანებს ბრძოლებისაგან მიყენებული ტანჯვის პროცესები. დაიცვან მათი პიროვნული ღირსება. ორგანიზაციები ამკვიდრებენ ხალხთა შორის მეგობრობას და სახელმწიფოთა თანაარსებობას მშვიდობიან გარემოში;

2) მიუკერძოებლობის პრინციპის საფუძველზე მოძრაობა არ ითვალისწინებს არანაირ დისკრიმინაციას, რომელიც დაკავშირებული იქნება ეროვნულობასთან, ეროვნებასთან, რელიგიასთან, კლასთან ან პოლიტიკურ მრწამსთან და ა.შ. ორგანიზაცია, პირველ რიგში, ეხმარება და უმსუბუქებს მდგომარეობას იმ ადამიანებს, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ;

3) დამოუკიდებლობის დაცვის პრინციპი ითვალისწინებს იმას, რომ მოძრაობამ შეინარჩუნოს საზოგადოებრიობის ნდობა, საკუთარ ქვეყანას დაეხმაროს და დაემორჩილოს ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს, შეინარჩუნოს ავტონომიურობა, რომ შეძლოს „წითელი ჯვრის“ პრინციპებით მოქმედება;

4) ნებაყოფლობის პრინციპის შესაბამისად მოძრაობაში მონაწილეობა ნებაყოფლობის საფუძველზე ხდება. კანონით იკრძალება ზეწოლა და მოქმედება პირადი გამორჩენის მიზნით;

5) ნეიტრალობითობის პრინციპი. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი თავის მოძრაობას ანიჭებს კონფლიქტში მონაწილე მხარეთა შორის თანაბარი მოქმედების შესაძლებლობას. რაიმე მოტივით რომელიმე მხარეზე გადახრა დაუშვებელია;

6) ერთადერთობის პრინციპის საფუძველზე, ქვეყანაში მხოლოდ ერთი „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ საერთაშორისო ორგანიზაცია უნდა არსებობდეს, რომელიც ყველასთვის მისაწვდომი და გამჭირვალე იქნება და ჰუმანიტარულ მისიას შეასრულებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე;

7) უნივერსალურობის პრინციპი მოძრაობას ანიჭებს მსოფლიო ხასიათს. ყველა ეროვნული საზოგადოება სარგებლობს ერთნაირი უფლებებით და ვალდებულნი არიან, დაეხმარონ ერთმანეთს.[1]

რაც შეეხება ორგანიზაციის სამართლებრივ სტატუსს, საერთაშორისო „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ საზოგადოება არის დამოუკიდებელი არასამთავრობო საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია, რომელსაც სამხედრო კონფლიქტების დროს ადამიანთა დახმარების უფლების მან-

[1] გ. ლობჟანიძე. ადამიანის უფლებათა სამართალი, თბ; 2005 წ. გვ. 317

დატი მიანიჭა ჟენევის ოთხმა კონვენციამ და მასზე ხელმომწერმა სახელმწიფოებმა. ის სარგებლობს განსაკუთრებული სტატუსით. არის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტს. „წითელი ჯვარი“ სარგებლობს განსაკუთრებული იმუნიტეტით, რომლითაც არ განიცდის ადმინისტრაციულ და სასამართლო დევნას. მისი შენობები, არქივები და სხვა დოკუმენტები სარგებლობენ ხელშეუხებლობით. ეს საკანონმდებლო შეღავათები ორგანიზაციას უფლებას აძლევს, გააფორმოს ისეთი ხელშეკრულება შვეიცარიის მთავრობასთან, რომლის ძალითაც მას ეძლევა თავისუფლება და დამოუკიდებლობა საქმიანობაში.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს ჟენევის ოთხი კონვენცია. პირველი კონვენცია ეხება მოქმედ არმიაში დაჭრილებისა და ავადმყოფების ხვედრის გაუმჯობესებას, რომელიც შედგება 9 თავისა და 64 მუხლისაგან.

მეორე კონვენციით განსაზღვრულია დაჭრილების, ავადმყოფებისა და გემის დაღუპვის დროს დაზარალებულების მდგომარეობის გაუმჯობესება. იგი შედგება 8 თავისა და 63 მუხლისაგან. მესამე კონვენცია ეხება სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის ღონისძიებებს, რომელიც ექვსი ნაწილისაგან და 143 მუხლისაგან შედგება.

მეოთხე კონვენციით წესრიგდება სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის ღონისძიებები ომის დროს. იგი ხუთ ნაწილს და 159 მუხლს მოიცავს. რაც შეეხება დამატებით ოქმებს, ისინი აწესრიგებენ „საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა და არასაერთაშორისო მსხვერპლთა დაცვას“.

სტრუქტურული თვალსაზრისით, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი წარმოადგენს მოძრაობის ფლაგმანს. როგორც არაერთხელ აღინიშნა, იგი შეიქმნა 1864 წელს, შვეიცარიელი მოქალაქეების, ს. დიუნანის, ჰ. მუანიეს, გ. დიუფურის, ლ. აპიასა და დ.ტ. მონუარის ინიციატივით. კომიტეტი, ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნებით, შუამავლად გამოდის საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებში. ატარებს შესაბამის ღონისძიებებს კონ-

ფლიქტების მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის; ასევე, შინააშლილობისა და ქვეყანაში სხვადასხვა სახის ძალადობათა შემთხვევაშიც, რასაც ითვალისწინებს ჟენევის 1949 წლის კონვენციები და 1977 წლის დამატებითი ოქმები. კომიტეტი არასამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციაა და განსხვავდება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან. მისი ფუნქციების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ჰუმანიტარული სამართლის განვითარება. მას საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, გააკონტროლოს ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა დაცვის მდგომარეობა შეიარაღებული კონფლიქტების დროს.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წესდებით, განსაზღვრულია მისი სტრუქტურა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსა და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ფედერაციას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გამიჯნულია მათი ფუნქციები. მაგ., შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედებს კომიტეტი, ხოლო ტექნოგენური კატასტროფებისა და სტიქიურ უბედურებათა დროს-ფედერაცია. კომიტეტი მოქმედებს შვეიცარიის კანონების საფუძველზე. მისი მანდატი საერთაშორისო ხასიათისაა და მის საქმიანობას საერთაშორისო მასშტაბები გააჩნია. კომიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს დელეგატების მეშვეობით. მისი უმაღლესი ორგანოა 25 წევრისაგან შემდგარი კონფერენცია, რომლის წევრებსაც ირჩევიან ოთხ წელიწადში ერთხელ და მხოლოდ შვეიცარიის მოქალაქეები არიან. კონფერენციის თავმჯდომარესაც 4 წლის ვადით ირჩევენ. შესაძლებელია მისი არაერთგზის არჩევაც.

ორგანიზაციის ოპერატიული მართვის ფუნქციას ასრულებს 7 წევრისაგან შემდგარი ორგანო (პრეზიდენტი, მუდმივი ვიცე-პრეზიდენტი, ასამბლეის ორი სხვა წევრი და 3 დირექტორი). კომიტეტს თავისი მუდმივი წარმომადგენელი ჰყავს 58 ქვეყანაში და მოღვაწეობს მსოფლიოს 80 ქვეყანაში.

„წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ერიკვნული საზოგადოებები“, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის ფედერაცია, რომლებიც თავის საქმიანობას წარმართავენ „წითელი ჯვრისა

და წითელი ნახევარმთვარის“ საერთაშორისო მოძრაობის სახელმძღვანელო პრინციპებით, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ფუნქციონირებენ. ისინი ახორციელებენ სხვადასხვა სახის დახმარებებს, დაწყებული კატასტროფების შემთხვევაში, მაშველების როლს თუ სამედიცინო და სოციალურ დახმარებას. ომის შემთხვევაში დახმარებას უწევენ მშვიდობიან მოსახლეობას. კონფლიქტების შემთხვევაში მხარში უდგანან ეროვნულ სამედიცინო სამსახურებს.

„წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ ფედერაცია ხელმძღვანელობს სავალდებულო პრინციპებით. იგი ყოველგვარ დახმარებას უწევს ეროვნულ ორგანიზაციებს. მათი საქმიანობის პრიორიტეტული სფეროებია: სოციალურად დაუცველი, სტიქიური უბედურებით, ტექნოგენური კატასტროფით დაზარალებული მოსახლეობის დახმარება. საერთაშორისო დონეზე საერთაშორისო ფედერაციას ჰყავს ოფიციალური წარმომადგენლობა თითოეულ ქვეყანაში. აღნიშნული ორგანიზაცია თანამშრომლობს ქვეყნის სამთავრობო, არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, წესდებით განსაზღვრულ სფეროებში.

შვეიცარიის, როგორც საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაციის შემქმნელი ქვეყნის, პატივისცემის ნიშნად, წითელი ჯვრის ემბლემად აღიარებული იქნა შვეიცარიის ჰერალდიკური ნიშნის ფერთა პირიქით განლაგება, ე.ი. თეთრ ფონზე წითელი ჯვრის გამოსახულება. 1929 წლიდან, დიპლომატიურ კონფერენციაზე მიღებული იქნა ახალი ემბლემა „წითელი ნახევარმთვარის“. „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ გამოსახულებით, როგორც ემბლემას, ორი ძირითადი ფუნქცია გააჩნია: 1) დაცვითი ფუნქცია, 2) ამოცნობის ფუნქცია.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ადგენს არამარტო ემბლემის გამოყენების წესებს, არამედ აკრძალვებს, თუ ვის არა აქვს მისი გამოყენების უფლება. ასე მაგალითად: „კერძო პირებს, საზოგადოებრივი ან კერძო ფირმების ან კომპანიების წარმომადგენლებს“.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებით, აკრძალულია საერთაშორისო შეთანხმებებით აღიარებული ამა

თუ იმ ემბლემის არადანიშნულებისამებრ, უკანონოდ ან წინასწარი განზრახვით ბოროტად გამოყენება. ეს ემბლემებია: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, კულტურული საგანძურის აღმნიშვნელი ემბლემები, ნეიტრალური ან იმ სახელმწიფოთა ემბლემები, რომლებიც შეიარაღებულ კონფლიქტში არ მონაწილეობენ.

რაც შეეხება წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ემბლემების გამოყენებას, მას თავისი სამართლებრივი საფუძვლები გააჩნია ჟენევის კონვენციებით. ემბლემის, როგორც დამცავი ნიშნის გამოყენება, სამედიცინო პერსონალის, ქვედანაყოფებისა და ტრანსპორტისათვის მინიჭებული დაცვის თვალსაჩინო გამოვლინებაა, როგორც ომის, ისე მშვიდობიან დროს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ამა თუ იმ პირს, ტრანსპორტს ან ქონებას, კავშირი აქვს „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ საერთაშორისო მოძრაობასთან. კონვენციებით წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ ემბლემების გამოყენება არ იზღუდება და მისით სარგებლობა ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი.

იმის გამო, რომ ადგილი ჰქონდა ემბლემების არადანიშნულებისამებრ და ბოროტად გამოყენების შემთხვევებს, საერთაშორისო ჰუმანიტარულმა სამართალმა განსაზღვრა ემბლემის ბოროტად გამოყენების სამი სახეობა. ესენია – იმიტაცია, უზურპაცია, ვერაგობა.

იმიტაცია გულისხმობს ისეთი ნიშნის გამოყენებას, რომელიც თავისი ფორმით, ანდა ფერის გამო, შეიძლება შეცდომით წითელი ჯვრის ემბლემად იქნეს მიჩნეული.

უზურპაცია ნიშნავს ემბლემის იმ პირების ან ორგანიზაციების მიერ გამოყენებას, ვისაც არ ჰქონდა ამის უფლება.

ვერაგობის ქვეშ იგულისხმება ემბლემების გამოყენება კონფლიქტის დროს, კომბატანტების ან შეიარაღების დაცვის მიზნით და იგი ითვლება „ომის დანაშაულად“.

დღეისათვის „წითელი ჯვარი“ და „წითელი ნახევარმთვარე“ თანაბარი უფლებამოსილებით გამოიყენება სახელმწიფოებისა და ჟენევის კონვენციების ხელმომწერი ყველა სახელმწიფოს ეროვნული საზოგადოებების მიერ. ისრაელი, ჟენევის კონვენციების ქვეშ მყოფი პირებისა და ობიექტების

აღსანიშნავად, დავითის წითელ ფერს იყენებს, რომელიც არაა აღიარებული საერთაშორისო სამართლის მიერ. მიუხედავად ამისა, ეს ემბლემა პატივისცემით სარგებლობს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში. ისრაელის ეროვნულ საზოგადოებას „დავითის წითელი ვარსკვლავის“ საზოგადოება ეწოდება.

ვინაიდან ამ საზოგადოებამ ჟენევის I კონვენციით გათვალისწინებული არცერთი ემბლემა არ ცნო, „წითელი ჯვრის“ მოძრაობას მისი აღიარება არ შეუძლია.

ემბლემებთან და ნიშნებთან დაკავშირებით, 1974-1977 წლების დიპლომატიურმა კონფერენციებმა, სამედიცინო ფორმირებებისა და სატრანსპორტო საშუალებების აღნიშვნასა და ამოცნობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს. თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაყრდნობით, სანიტარულ საფრენ აპარატებზე უნდა იდგეს მოციმციმე ლურჯი ფერის ნათურა. აგრეთვე, დაინერგა ობიექტების რადიოსიგნალური და მეორადი რადიოლოკაციური ამოცნობის წესი და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ჟენევის კონვენციების მონაწილე ქვეყნებმა იკისრეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება ემბლემის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, როგორც ომის, ასევე, მშვიდობიან პერიოდში.

წესდების შესაბამისად, წ.ჯ.ს.კ-ის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარების ხელშეწყობა და დაცვის უზრუნველყოფა, რასაც იგი სხვადასხვა საშუალებით ახორციელებს:

1) პრაქტიკული საქმიანობით, რაც გამოიხატება კონფლიქტის მსხვერპლთათვის განხორციელებული საქმიანობით, რომელიც ითვალისწინებს დაცვასა და დახმარებას, კერძოდ, თავისუფლებააღკვეთილ პირთა (მათ შორის ტყვეთა) მონახულებას, ოჯახს დაცილებულ წევრთა შორის კავშირის აღდგენას, ჰუმანიტარულ და სამედიცინო დახმარებას, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ ცოდნის გავრცელების ხელშეწყობას;

2) პრევენციული ზომების მიღებით წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი სახელმწიფოებს შეახსენებს, რომ მათ იკისრეს ამ სამართლის შესახებ ცოდნის გავრცელების ვალდებულება, რათა მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა, ჰუმან-

იტარული სამართლის ეფექტური გამოყენებისა და აქედან გამომდინარე, დაცვის უზრუნველსაყოფად, წ.ჯ.ს.კ. ამგვარ საქმიანობას ახორციელებს თავისი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საკონსულტაციო სამსახურების მეშვეობით;

3) ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის შემთხვევაში, კონკრეტული ზომების მიღებით, რაც გამოიხატება შემდეგში:

ა) წ.ჯ.ს.კ. კონფიდენციალური ხასიათის განცხადებებით მიმართავს ხელისუფლების შესაბამის წარმომადგენლებს დარღვევების შესახებ. თუ დარღვევა მძიმე ხასიათისაა და არაერთხელ იყო ჩადენილი, ამასთან, თუ უეჭველად შეიძლება მომხდარი ფაქტის დადასტურება, წ.ჯ.ს.კ. იტოვებს უფლებას, საჯაროდ განაცხადოს ამის შესახებ.ეს კეთდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი საჯაროობა დაზარალებულთა ან საფრთხეში მყოფ პირთა ინტერესებს ემსახურება და ეს განსაკუთრებული ხასიათის ზომას წარმოადგენს;

ბ) წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი მხარს უჭერს სახელმწიფოებს ისეთი ეროვნული კანონმდებლობის მიღებაში, რომელიც მათ მძიმე დარღვევების ჩამდენთა სისხლისსამართლებრივი წესით დევნის საშუალებას მისცემს;

გ) კონფლიქტის ერთ-ერთ მონაწილე მხარეს შეუძლია მიმართოს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს, როგორც ნეიტრალურ შუამავალს თხოვნით, გადასცეს მოწინააღმდეგე მხარეს საჩივარი ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა დარღვევის თაობაზე. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს ასევე შეუძლია, ბრალდებულ მხარეს შესთავაზოს თავისი სამსახური ბრალდებაზე პასუხის გაცემასთან დაკავშირებით;

დ) წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი არ არის სასამართლო ორგანო და არც ბრალმდებლის ან მოსამართლის როლის შემსრულებელი. იგი მხოლოდ აკმაყოფილებს თხოვნას დარღვევათა დადასტურების თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ მისი დელეგატების ადგილზე ყოფნა ხელს უწყობს ჰუმანიტარული ამოცანების შესრულებას და თუ ის მიიღებს იმის გარანტიას, რომ მათი ადგილზე ყოფნა არ იქნება გამოყენებული პოლიტიკური მიზნებისათვის.[1]

---

[1] გ. ლობჟანიძე, ადამიანის უფლებათა სამართალი, თბ. 2005წ. გვ. 311-324

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობს გაეროსთან, მიუხედავად მათი სამართლებრივი სტატუსის სხვადასხვაობისა, რომელთა შორისაც დგას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, რადგან გაეროს ხელმძღვანელობისა და კონტროლის ქვეშ მებრძოლი ჯარები უშუალოდ იღებენ მონაწილეობას შეიარაღებულ კონფლიქტში. თავის მხრივ, გაერო განსაზღვრავს იმას, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მხოლოდ პრინციპები და სულისკვეთება გამოიყენონ ამ ძალების მიმართ. ექსპერტების მიერ შემუშავებულია იმ „პრინციპებისა და სულისკვეთების“ არსის განმსაზღვრელი ქცევის კოდექსის პროექტი, რომელთა დაცვა და განხორციელება თავის თავზე აიღო გაერომ, მაშინაც კი, როდესაც ძალის გამოყენება დაშვებულია კანონიერი თავდაცვის გამო ან უშიშროების საბჭოს მიერ გაცემული განსაკუთრებული მანდატით.

§3. წითელი ჯვარი და საქართველო

წითელი ჯვრის საზოგადოების ფუნქციონირება საქართველოში იწყება 1918 წლიდან. ის 1923 წელს შეუერთდა საკავშირო წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა აღმასკომს. 1991 წლიდან საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება დამოუკიდებელ საზოგადოებად ჩამოყალიბდა.

წითელი ჯვრის საზოგადოების „წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის“ პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოში 1992 წლის 27 თებერვალს ჩამოყალიბდა,[1] რისი აუცილებლობაც 1991 წლის სამოქალაქო ომმა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე (ე.წ. სამხრეთ ოსეთში) მომხდარმა მოვლენებმა განაპირობა. ამ ხნის მანძილზე ორგანიზაციამ ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. საქართველოს ხელისუფლების თანხმობით, წ.ჯ.ს.კ.-ს დელეგატები და სამედიცინო პერსონალი სისტემატურად ნახულობენ

[1] საქართველოში წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ფედერაციამ თავისი წარმომადგენლობა 1993 წელს გახსნა.

თავისუფლებააღკვეთილ პირებს პენიტენციურ დაწესებულებებში, პოლიციის განყოფილებებში და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, სადაც ადამიანები იძულებითი მკურნალობის ქვეშ იმყოფებიან. საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის ოქტომბრის ბრძანებულებით, წ.ჯ.ს.კ. დელეგატებს უფლება ეძლევათ, მოინახულონ დაკავებული პირები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, ისინი სისტემატურად ახერხებდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე ტყვედ აყვანილ თუ დაკავებულ საქართველოს მოქალაქეთა მონახულებას. ხოლო, ეს შეთანხმება 1999 წლის დეკემბერში წერილობით გაფორმდა. იგივე სამუშაო ჩატარდა (ე.წ. სამხრეთ ოსეთში) სამაჩაბლოს ტერიტორიაზე.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მოძიების სამსახური ძირითად საქმიანობასთან ერთად, საქართველოში ეწევა „წითელი ჯვრის" ბარათების შეგროვებას, გაგზავნას და კონფლიქტის შედეგად დაშორებული ოჯახების გაერთიანებას. მათი ძალისხმევით, კონფლიქტის შედეგად 1993 წლიდან, 425 დაშორებული ოჯახი გაერთიანდა საქართველოში, ხოლო საზღვარგარეთ – 74. გარდა ამისა, უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიების კომისიას აქტიური ტექნიკური დახმარება გაუწია წ.ჯ.ს.კ-მა კონფლიქტის დროს ეკსჰუმაციისა და გვამების იდენტიფიკაციის პროცესში მოწვეული ექსპერტებისა და სპეციალისტების მეშვეობით. უამრავ სოციალურად დაუცველ იძულებით ადგილმონაცვლე ადამიანს გაეწია დახმარება საკვებით, ჯანმრთელობის დაცვის, შრომისა და სოცუზრუნველყოფის სფეროებში.

1997 წლის ნოემბრის თვიდან წ.ჯ.ს. კომიტეტმა გაითვალისწინა საქართველოს „წითელი ჯვრის" საზოგადოების წვლილი საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დაცვა-განხორციელების თვალსაზრისით და მიიღო „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის" საერთაშორისო ფედერაციისა და შესაბამისად, „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის" კომიტეტის სრულუფლებიან წევრად.დღეისათვის ის წარმოდგენილია 10-ზე მეტი რეგიონალური ორგანიზაციით და მუშაობას წარმართავს 1997 წლის 16 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონით „საქართველოს წითელი

ჯვრის შესახებ“, რომლითაც მოწესრიგებულია საზოგადოების საქმიანობა, განსაზღვრულია მისი სტატუსი, ფუნქციები, მიზნები და ამოცანები. საზოგადოება თავის საქმიანობას წარმართავს მიმართულებების მიხედვით ჩამოყალიბებული სტრუქტურებით: ა) მოწყალების სამსახური; ბ) ძიების სამსახური; გ) სამაშველო სამსახური; დ) საერთაშორის ურთიერთობათა და ჰუმანიტარული დახმარების სამსახური; ე) წითელი ჯვრის მოძრაობის შესახებ ცოდნის გავრცელების სამსახური; ვ) საინფორმაციო სამსახური; ზ) ახალგაზრდული დეპარტამენტი.

ყოველი წლის 8 მაისს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობის დღე აღინიშნება, რომელსაც მთელს მსოფლიოში აღნიშნავენ და კიდევ ერთხელ ახსენებენ საზოგადოებას წითელი ჯვრის ისტორიას, როლს, მნიშვნელობასა და ფუძემდებლურ პრინციპებს.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება სისტემატიურად გეგმავს და ატარებს მეტად საინტერესო ღონისძიებებს წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობის პოპულარიზაციისათვის. საქართველოში წჯსკ-ს მუშაობის 20 წლისთავი უსრულდება, რომელსაც მიეძღვნა ეროვნული შეჯიბრება სტუდენტებს შორის საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში, სადაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, იურიდიული და საერთაშორისო სამართლის სტუდენტებმა და მაგისტრანტებმა. ყოველივე ეს ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციას ემსახურება.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს საომარი მოქმედებების რაიონში „წითელი ჯვრის“ და „წითელი ნახევარმთვარის“ ნიშნების უკანონოდ ტარებას იმ პირთა მიერ, რომელთაც ამის უფლება არა აქვთ, აგრეთვე, ომიანობის დროს „წითელი ჯვრისა“ და „წითელი ნახევარმთვარის“ ალმების ან ნიშნების, აგრეთვე სანიტარული ევაკუაციის სატრანსპორტო საშუალებებისათვის მიკუთვნებული შეფერადების ბოროტად გამოყენებისათვის პასუხისმგებლობას.

§4. წითელი ჯვარი სამართლებრივ სივრცეში

მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საქმიანობა დაკავშირებულია ჰუმანიტარული სამართლის განვითარებასთან, რასაც საფუძველი ეყრება XIX საუკუნის 60-იან წლებში, კერძოდ, ხდება საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება, ბრძოლის ველზე სამედიცინო პერსონალისათვის ნეიტრალური სტატუსის მიცემის თაობაზე და მუდმივი ორგანიზაციის შექმნა ომში დაჭრილთა პრაქტიკული დახმარებისათვის. პირველ საკითხს 1894 წელს ჟენევის I კონვენციის მიღება მოყვა, მეორეს კი, წითელი ჯვრის შექმნა.[1]

1864 წლის ჟენევის კონვენციამ ერთგვარი რევოლუცია მოახდინა სამართლის განვითარების სფეროში და შექმნა პირობები ჰუმანიტარული სამართლის სწრაფი განვითარებისათვის; სახელმწიფოებმა საკუთარ თავზე აიღეს ვალდებულებები, რომლებიც სცილდებოდნენ სპეციალური შეთანხმებების ჩარჩოებს. ისინი წარმოადგენენ ნორმათა უნივერსალურ ღირებულებას. სხვა სიტყვებით, ეს სახელმწიფოები დაკავშირებულნი არიან საერთო შეთანხმებით, რომელიც გამოიყენება მათ შორის შეიარაღებული კონფლიქტის აღმოცენების შემთხვევაში.

ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლით ადრე საუბრობდნენ ომის სამართალზე, ანუ ისეთ ნორმებზე, რომლებიც 1867 წელს ომის სამართლის რეალური საფუძველი გახდა და არა მარტო იურისტების შრომებში, არამედ, სახელშეკრულებო დოკუმენტის ფორმატშიც. იმ წლების ომებმა დაადასტურეს ამ სფეროში შეთანხმებების შემდგომი განვითარების აუცილებლობა. იმ ქვეყნებმაც კი, რომლებიც მეტად სკეპტიკურად უყურებდნენ ამ საკითხს, დაიწყეს ომის სამართლის შექმნის აუცილებლობის აღიარება. 1866 წელს ავსტრო-პრუსიის ომმა აჩვენა ჟენევის კონვენციის დებულებების დაზუსტებისა და გაფართოების აუცილებლობა, რის შედეგადაც, 1868 წელს, ჟენევაში მოწვეული იქნა დიპლომატიური კონფერენცია, რომელმაც კონვენციის შემავსებელი 15 დამატებით მუხლი მიიღო, რაც ომის კანონებისა და ჩვეულებების დასაზუსტებლად ახალ

[1] ჰანს-პეტერ გასერი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (შესავალი), თბ. 1999 წ. გვ. 19

ასპარეზს ხსნიდა. მათგან ცხრა ეხებოდა ომს ზღვაზე. ეს მუხლები არ იქნა რატიფყცირებული, თუმცა საერთაშორისო კომიტეტისა და შვეიცარიის მთავრობის ძალისხმევის წყალობით, მოხერხდა ამ დებულებების პრაქტიკაში გამოყენება 1870-1871 წწ. საფრანგეთ-გერმანიის ომის დროს.

პროცესის განვითარებაში აქტიურად ებმება მეფის რუსეთიც, იმპერატორმა ალექსანდრე II-მ გამოაცხადა სანქტ-პეტერბურგში კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომლის დევიზიც იყო: „შემსუბუქდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ომის დამანგრეველი შედეგები". მენიემ რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილების შესახებ მაშინ შეიტყო, როდესაც დიპლომატიურ კონფერენციას ამზადებდა ჟენევაში. მან შესთავაზა შვეიცარიის კონფედერენციის პრეზიდენტს, რუსეთისათვის შეეთავაზებინათ ორი რამ: იდეა მათი კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ და ჟენევის კონვენცია „არა მარტო იმიტომ, რომ ამისაკენ მოგვიწოდებს მოვლენათა განვითარება, არამედ იმიტომაც, რომ რუსეთი თვითონ, ალბათ, სასარგებლოდ ჩათვლის ჟენევაში კონფერენციის ჩატარებას, რაც ორ მიზანს ემსახურება".

თუმცა მენიეს წინადადებამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა და შემდეგი თავი ომის სამართლის განვითარებაში დაიწერა სანქტ-პეტერბურგში, კონფერენციაზე. მისი ჩატარების ინიციატივა ეკუთვნოდა დ. ა. მილიუტინს, რუსეთის სამხედრო მინისტრს. როდესაც მილიუტინი უთითებდა იმ არნახულ ტანჯვაზე, რასაც ამ პერიოდში გამოგონებული მსკდომი ტყვია აყენებდა დაჭრილს, ომში მის გამოყენებას უწოდა „სუფთა ბარბაროსული საშუალება, რომელსაც ვერავითარი სამხედრო საჭიროება ვერ გაამართლებს". მან მოითხოვა ასეთი ტყვიების გამოყენების აკრძალვა ომის პროცესში. 1868 წლის 11 დეკემბერს სანქტ-პეტერბურგში მიღებული იქნა დეკლარაცია, რომლითაც მომლაპარაკებელი მხარეები შეთანხმდნენ ისეთი ჭურვების გამოყენების აკრძალვაზე, რომლებსაც 400 გ-ზე ნაკლები წონისას ფეთქებადი ხასიათი აქვთ, ან რომლებიც აღჭურვილნი არიან დამრტყმელი ან აალებადი შემადგენლობით.

1899 წელს ჰააგაში გაიმართა მშვიდობის პირველი კონფერენცია. აქაც განსახილველად იქნა გამოტანილი მთელი რიგი წინადადებები, რომლებიც საომარი მოქმედებების წარმოებას

ეხებოდა. კონფერენციამ ვერ გაამართლა იმედები, რამდენადაც ვერ მოხერხდა იმ შეთანხმების მიღება, რომელიც ეხებოდა აუცილებელი არბიტრაჟის მიღებას და განიარაღების განხორციელებას. მიუხედავად ამისა, მან არსებითად წასწია წინ ომის კანონებისა და ჩვეულებების კოდიფიკაცია და მიიღო კონვენცია, რომელიც მოწოდებული იყო, შეეზღუდა ომით გამოწვეული უბედურებები: კონვენცია დავების მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ; კონვენცია სახმელეთო ომის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ; კონვენცია საზღვაო ომისადმი ჟენევის 1864 წლის საწყისების გამოყენების შესახებ.

კონფერენციის მუშაობის მნიშვნელოვანი შედეგი იყო კონვენციის პრეამბულაში იმ დებულების შეტანა, რომელსაც შემდგომში მარტენსის სახელით მოიხსენიებდნენ. ამ დებულების თანახმად, იმ შემთხვევებში, რომლებიც მოცემული არ არის სამართლის დებულებებით, „მოსახლეობა და მეომარი მხარეები რჩებიან საერთაშორისო სამართლის დაცვისა და მოქმედებების ქვეშ, რამდენადაც ისინი გამომდინარეობენ ხალხებს შორის დამყარებული ჩვეულებებიდან, ადამიანურობის კანონებიდან და საზოგადოებრივი შეგნების მოთხოვნებიდან". დასახელებული დებულება წარმოადგენს სამართლებრივ გარანტიას იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობები სათანადოდ არ არის მოწესრიგებული სამართლის ნორმებით. მეომარ სახელმწიფოთა ქცევა ასეთ სიტუაციებში ადამიანურობის კანონებით განისაზღვრება.[1]

მშვიდობის პირველი კონვენციის შემდეგ, წჯსკ-მა დაიწყო ჟენევის 1864 წლის კონვენციის გადახედვა. ამ მიზნით, ჟენევაში, 1906 წლის 11 ივნისიდან 6 ივლისამდე მიმდინარეობდა სპეციალური კონფერენცია. დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით, მან შეიმუშავა ახალი კონვენცია, რომელიც ეხება მოქმედ არმიებში ავადმყოფთა ხვედრის გაუმჯობესების პრობლემებს (1906 წ).

1907 წელს, ჰაagაში შედგა მშვიდობის მეორე საერთაშორისო კონფერენცია. მისი მიზანი იყო ჰაagის 1899 წლის

---

[1] International Review of the Red Cross, "International Conference of the Red Cross and Red Crescent", Volume 92 Number 876 December 2010 (ICRC).

კონვენციების გადახედვა და შემდგომი განვითარება, აგრეთვე, საზღვაო ომის პრობლემატიკის გადახედვა. ის დასრულდა 13 კონვენციის მიღებით.

ისტორიულმა მოვლენებმა 1874 წლიდან, პირველ მსოფლიო ომამდე, თავისი კვალი დააჩნია წითელი ჯვრის მოძრაობის განვითარებას. კომიტეტის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ყველგან, სადაც საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა. რაც შეეხება სამართლის განვითარებას, 1899-დან, 1907 წლამდე პერიოდში, კომიტეტის როლი ომის სამართლის კოდიფიკაციის პროცესში წამყვანი რჩებოდა.

პირველი მსოფლიო ომის დროს და მისი დამთავრებისთანავე, საერთაშორისო კომიტეტის ფუნქციები მნიშვნელოვნად გაფართოვდა: თუ მანამდე იგი ყურადღებას ამახვილებდა ავადმყოფებზე და დაჭრილებზე შეიარაღებული ძალების შემადგენლობიდან და სამედიცინო პერსონალზე, პირველი მსოფლიო ომის დროს მისი საქმიანობა კონცენტრირდებოდა საომარი მოქმედებების დროს სამხედრო ტყვეებისა და სამოქალაქო მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენაზე. ომმა აჩვენა ჰააგის კონვენციების არაეფექტურობა ტექსტების არასაკმარისი გამჭვირვალობის, მათზე კონტროლის დაწესებისა და სანქციების არასაკმარისობის გამო. ტყვეობაში აღმოჩნდა სამოქალაქო პირთა უზარმაზარი რაოდენობა. ისეთი ხელშეკრულების არარსებობამ, რომელიც დაიცავდა მათ განუკითხაობისაგან, მოითხოვა ჰუმანიტარული სამართლის არსებული ნორმების გადახედვა ომის დროს შეძენილი გამოცდილების გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო კომიტეტმა შემდეგი მიზნები დაისახა:

– დაჭრილების და ავადმყოფების დაცვის შესახებ არსებული ჟენევის კონვენციის გადახედვა;
– კონვენციის შემუშავება სამხედრო ტყვეების დაცვის შესახებ;
– იმ კონვენციის შემუშავება, რომელიც დაიცავს მოწინააღმდეგის ხელში ჩავარდნილ სამოქალაქო პირებს.

ეს მუშაობა გაჭიანურდა მეორე მსოფლიო ომის დასაწყისამდე. 1923 წელს შედგა იურისტების საერთაშორისო კომისიის სხდომა, რომელზეც შემუშავდა იმ წესების პროექტი, რომლებიც საჰაერო ომის წარმოებას აწესრიგებდნენ. მას

ეწოდება „საჰაერო ომის წარმოების ჰააგის წესები“. მიუხედავად იმისა, რომ ის იურიდიულად სავალდებულო არ გახდა, ამ დოკუმენტს დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ მასში პირველად არის სისტემატიზებული ნორმები ამ სფეროში. 1925 წელს, ჟენევის კონფერენციაზე მიიღეს ოქმი, ომში მხუთავი, მომწამლავი და სხვა მსგავსი მასალების გამოყენების შესახებ. საზოგადოებრივმა აზრმა მკაცრად გაკიცხა ქიმიური ნივთიერებების გამოყენება პირველი მსოფლიო ომის დროს და კონფერენციის მონაწილეებმა უყოყმანოდ აკრძალეს მათი გამოყენება.

1929 წელს შედგა დიპლომატიური კონფერენცია ჟენევის 1906 წლის კონვენციის (მოქმედ არმიებში დაჭრილებისა და ავადმყოფების ხვედრის გაუმჯობესების შესახებ) გადახედვისათვის და იმ ახალი კონვენციების შემუშავებისათვის, რომლებიც სამხედრო ტყვეებს დაიცავდა. აქ გათვალისწინებული იქნა რა ის ფაქტი, რომ 1906 წლის კონვენციამ საუკეთესოდ წარმოაჩინა თავი, გადაწყვეტილი იყო არ გაეუქმებინათ იგი და ამოეღოთ მისგან აშკარად შეუსრულებადი ნორმები და დაეზუსტებინათ დებულებები, რომელთა განმარტებაც გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.რაც შეეხება სამხედრო ტყვეთა დაცვას, საერთაშორისო კომიტეტმა შეიმუშავა ახალი კონვენციის პროექტი ტყვეების მიმართ მოპყრობის შესახებ.

1929 წელს ორი ახალი კონვენციის მიღება წარმოადგენდა აშკარა პროგრესს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარებაში მანამდე არსებულ სამართლებრივ ნორმებთან შედარებით, რადგანაც, მუხლების ამოღება რეპრესალიების გამოყენების შესახებ, მკაცრი სამართლებრივი რეჟიმისა და კონტროლის მექანიზმის შემოღება ავადმყოფებისა და დაჭრილების მიმართ, აგრეთვე, სამხედრო ტყვეებისა, უზრუნველყოფდა ჩამოთვლილი კატეგორიების დაცვის ახალ დონეს. წჯსკ-ის ძალისხმევას სამოქალაქო პირებთან დაკავშირებით დადებითი შედეგები არ მოჰყოლია, ხელშეკრულებით გამაგრებული დაცვის არარსებობამ სამოქალაქო პირებთან მიმართებაში მოგვიანებით სირთულეები შექმნა, რომ-

ლებსაც წ.ჯ.სკ წააწყდა მეორე მსოფლიო ომის წლებში, მაგრამ ამ დროს მას არ შეეძლო სიტუაციის შეცვლა.

მეორე მსოფლიო ომმა სრულად წარმოქმნა საერთაშორისო სამართლის შემდეგი სრულყოფის აუცილებლობა სამოქალაქო პირთა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. საერთაშორისო კომიტეტმა თავის მემორანდუმში, 1945 წლის 15 თებერვალს, გამოაქვეყნა მიმართვა მთავრობებისა და ნაციონალური საზოგადოებების მიმართ თხოვნით, აუცილებელი ინფორმაციის შეგროვებაში დახმარებასთან დაკავშირებით. კონვენციის გადახედვას რომ იწყებდა, წჯსკ სამ ძირითად მიზანს ისახავდა:

— ჟენევის კონვენციების დებულებების გავრცელება მოწინააღმდეგის ხელში ჩავარდნილი მოსახლეობის დაცვაზე;

— სამოქალაქო ომის მსხვერპლთა დაცვის უზრუნველყოფა;

— ახალი კონვენციებისათვის კონტროლის მექანიზმის შექმნა, თვით კომიტეტის მონაწილეობით.

საერთაშორისო კომიტეტმა თავისი წინადადებები და პროექტები განსახილველად წარუდგინა ორ წინა კონფერენციას. კონფერენციის დასკვნების საფუძველზე წჯსკ-მა შეიმუშავა კონვენციის ოთხი პროექტი, რომლებიც განსახილველად წარედგინა 1949 წლის 21 აპრილს დიპლომატიურ კონფერენციაზე მოწვეული სახელმწიფოების მთავრობებს. კონფერენციის შედეგი იყო ოთხი ახალი ან შესწორებული კონვენციის მიღება ომის მსხვერპლთა დასაცავად (1949 წ. 12 აგვისტო). ჟენევის პირველი და მესამე კონვენცია წარმოადგენს 1929 წლის ორი კონვენციის გადახედულ ვარიანტს, ხოლო მეორე — ჰააგის 1907 წლის კონვენციის გადასინჯულ ვარიანტს დაჭრილების, ავადმყოფებისა და ხომალდის კატასტროფაში მოხვედრილ პირთა დაცვის შესახებ. მეოთხე არეგულირებს იმ საკითხებს, რომლებიც იმ დღემდე არ დასმულა ჰუმანიტარულ სამართალში: სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა ომის დროს.

გარკვეული სიახლე იყო მე-3 მუხლის მიღება, რომელიც საეროა ოთხი კონვენციისათვის და შეიცავს დებულებებს, რომლებიც ეხება არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვას. ასევე, მფარველ სახელმწიფოთა როლის განსაზღვრაზე, დადგენილი იქნა კონტრო-

ლის მექანიზმი, რითაც ვალდებულნი გახდნენ, დაიცვან მხარეთა ინტერესები კონფლიქტში. გარდა ამისა, ცალკეულ დებულებებში ოფიციალურად არის აღიარებული სწჯკ-ის როლი და მტკიცდება მისი უფლება, ინიციატივის გამოვლენასთან დაკავშირებით.

სწჯკ-ისათვის ეს მნიშვნელოვანი წარმატება იყო. იმ დროს, როდესაც მსოფლიო ორად იყო გახლეჩილი და ცივი ომის პირობებში იმყოფებოდა, საერთაშორისო საზოგადოებრიობა დათანხმდა იმას, რომ ახალი ჰუმანიტარული წესრიგის დასამყარებლად, აუცილებელია აქტიური ნაბიჯების გადადგმა.

სწჯკ-ის საქმიანობა განსაკუთრებით გამოიკვეთა სამედიცინო კომისიებში დელეგატების მონაწილეობით რეპატრიაციის განხორციელების პროცესში, როგორც ნეიტრალური შუამავალი მხარე.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარების მიზნით, კომიტეტი ამზადებს და მართავს დიპლომატიურ კონფერენციებს, რომლებზეც ხდება ახალი დოკუმენტების მიღება; ამზადებს პროექტებს, რომლებიც საფუძვლად ედება სახელმწიფოთა მიერ მიღებულ დოკუმენტებს, აღნიშნულის გარდა. ამგვარად იქნა მიღებული 1977 წლის დამატებითი ოქმები. როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დამცველ დაწესებულებას, კომიტეტს საერთაშორისო თანამეგობრობისაგან მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, გააკონტროლოს ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვა შეიარაღებული კონფლიქტების დროს. კომიტეტი მოუწოდებდა და მოუწოდებს სახელმწიფოებს, მშვიდობიან პერიოდშივე მიიღონ პრაქტიკული ზომები, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დასაცავად ომის შემთხვევაში ისეთი საქმიანობით, როგორიცაა მაგალითად: ჟენევის 1949 წლის კონვენციების ტექსტის თარგმნა, სპეციალური კანონის მიღება წითელი ჯვრის ემბლემის დაცვის შესახებ, ცოდნის გავრცელება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების იმპლემენტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში და სხვა.

წითელი ჯვრის მოძრაობის წესდება განსაზღვრავს მასში შემავალი ორგანოების ურთიერთობის საკითხებს. ამასთან,

კომიტეტსა და ზემოხსენებულ ფედერაციას შორის დადებულია შეთანხმება, რომლის მიხედვით, შეიარაღებული კონფლიქტების სიტუაციებში მოქმედებს კომიტეტი, ხოლო ტექნოლოგიური კატასტროფებისა და სტიქიურ უბედურებათა დროს – ფედერაცია. თავისი შექმნის დღიდან, კომიტეტი ინარჩუნებს არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსს. იგი მოქმედებს შვეიცარიის კანონების საფუძველზე. მთავრობებს არ შეუძლიათ გავლენა იქონიონ მის საქმიანობაზე. მიუხედავად ამისა, კომიტეტის მანდატი საერთაშორისო ხასიათისაა, ხოლო თვით ამ ორგანიზაციის საქმიანობას საერთაშორისო მასშტაბები აქვს. როგორც უკვე ითქვა, კომიტეტის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს 25 წევრისაგან შემდგარი კონფერენცია; წევრები აირჩევიან ან ხდება მათი კოოპტაცია ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ. კონფერენციის წევრები არიან მხოლოდ შვეიცარიის მოქალაქეები. კონფერენციის თავმჯდომარე აირჩევა ასევე ოთხი წლის ვადით; ამასთან, შეიძლება არაერთგზის იქნეს არჩეული. კომიტეტის ბიუჯეტს შეადგენს ჟენევის კონვენციებისა და დამატებითი ოქმების ხელმომწერ სახელმწიფოთა სუბსიდიები, ეროვნულ საზოგადოებათა შენატანები, კერძო პირთა და სხვადასხვა ფონდის შენაწირები. კომიტეტის შტაბ-ბინაა ქ. ჟენევაში (შვეიცარია). კომიტეტს თავისი მუდმივი წარმომადგენლობა ჰყავს 60-მდე ქვეყანაში, თუმცა ის მსოფლიოს გაცილებით მეტ სახელმწიფოში მოღვაწეობს.[1]

ასევე, მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის სწჯკ-ს, კულტურულ ფასეულობათა დაცვაში შეიარაღებული კონფლიქტების დროს, რის შესახებაც ნაშრომის შესაბამის თავშია საუბარი.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში შემუშავებული ჟენევის კონვენციები არ იყო მისადაგებული ბრძოლის იმ ახალი ფორმებისადმი, როგორებიც გახდნენ ეროვნულ-გამანთავისუფლებელი და პარტიზანული ომები. კვლავ დადგა დღის წერიგში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამისობის საკითხი, საომარი მოქმედებების წარმოების პირობებთან. სწჯკ-ის აზრით, ერთადერთი მისაღები იყო ჟენევის კონვენციებში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და

---

[1] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ. 2003წ. გვ. 402

მათი განვითარება დამატებითი ოქმების მიღების გზით. როგორც კონვენციებთან დაკავშირებით მოხდა, საერთაშორისო კომიტეტმა შეიმუშავა დამატებითი ოქმების ორი პროექტი 1971 და 1972 წლებში გამართული კონსულტაციების საფუძველზე და წარუდგინა ისინი დიპლომატიური კონფერენციის მოსაწყობებს, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დამტკიცებისა და განვითარების საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში იყენებდნენ. კონფერენცია მოწვეული იქნა შვეიცარიის მთავრობის მიერ, რომელიც ასრულებდა ჟენევის კონვენციების დეპოზიტარის როლს. 1974-1977 წ.წ. შედგა კონფერენციის ოთხი სესია და მიღებული იქნა 1949 წლის ჟენევის კონვენციების დამატებითი ოქმები.

I დამატებითი ოქმი განსაზღვრავს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვას; II დამატებითი ოქმი მიმართულია არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის გაძლიერებისაკენ. დამატებითი ოქმების ძირითადი როლი მდგომარეობს იმ წესების კოდიფიკაციაში, რომელიც ეხება სამოქალაქო მოსახლეობის დაცვას საომარი მოქმედებების შედეგებისაგან.

შემდეგი ნაბიჯი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარებაში იყო კონვენციის მიღება (1980 წ.) იმ ჩვეულებრივი იარაღის გამოყენების აკრძალვის ან გამოყენების შეზღუდვის შესახებ, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს გადამეტებული დაზიანების მიმყენებლად ან განურჩეველი მოქმედების მქონედ.

მეომარი და მშვიდობიანი მოსახლეობისათვის მიყენებული ტანჯვა იქნა მიჩნეული მიზეზად, ქვეითთასაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საყოველთაო კამპანიის დასაწყებად, რომელიც დასრულდა 1997 წელს, კონვენციის მიღებით ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების, მარაგის დაგროვების, წარმოებისა და გადაცემის აკრძალვისა და მათი განადგურების შესახებ (ოტავის ხელშეკრულება).

უკანასკნელ წლებში გადადგმული იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი 1980 წლის კონვენციის სრულყოფისათვის. მიღებულია ახალი ნორმები, რომლებიც აფართოებენ მის გამოყენებას არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული

კონფლიქტების სიტუაციებში, გაუმჯობესებულია რიგი დებულებების ფორმულირებები მიწისზედა ნაღმების, მახე-ნაღმების და სხვა მოწყობილობების მიმართ; შემოღებულია აკრძალვა დამაბრმავებელი ლაზერული იარაღის გამოყენებაზე. 1980 წლის კონვენცია შეიცავს მხოლოდ ზოგად დებულებებს, რომლებიც არ მოითხოვს ზოგიერთი სახის იარაღის პირდაპირ აკრძალვას. დებულებები, რომლებიც კრძალავენ ან ზღუდავენ იარაღის ზოგიერთი კონკრეტული სახის გამოყენებას, შესულია ოქმებში, რომლებიც წარმოადგენენ დანართს კონვენციებისადმი: I ოქმი – აღმოუჩენელი ნამსხვრევების შესახებ;II ოქმი – ნაღმების, მახე-ნაღმების და სხვა მოწყობილობების აკრძალვის ან შეზღუდული გამოყენების შესახებ, 1996 წელს შეტანილი შესწორებებით; III ოქმი – ცეცხლგამჩენი იარაღის აკრძალვის ან გამოყენების შეზღუდვის შესახებ; IV ოქმი – დამაბრმავებელი ლაზერული იარაღის შესახებ და V ოქმი – ომის ფეთქებადსაშიში გადმონაშთების შესახებ, 2003 წელს.

შემდგომი წარმატება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარებაში უკავშირდება 1993 წლის კონვენციის მიღებას ქიმიური იარაღის შექმნის, წარმოების, დაგროვებისა და გამოყენების აკრძალვისა და მისი განადგურების შესახებ, რომელიც მასობრივი განადგურების იარაღის ამკრძალავი დოკუმენტების კატეგორიას განეკუთვნება. მისი დებულებები ავსებენ და აძლიერებენ ჟენევის 1925 წლის დებულებებს, რომლებიც კრძალავენ ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენებას, რომელიც ადგენს დამატებით აკრძალვას ქიმიური იარაღის დამუშავებაზე, წარმოებასა და დაგროვებაზე; ასევე, აყენებს მოთხოვნებს მთელი მისი არსებული მარაგების განადგურების თაობაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჟენევის 1893 და 1894 წლების კონფერენციების მონაწილეებმა შეიმუშავეს წესები, რომლებიც შემდგომში მიღებული იქნა ჟენევის კონვენციების სახით. ნეიტრალურ ემბლემად შეთავაზებული იყო თეთრ ფონზე წითელი ჯვრის გამოყენება. ეს სიმბოლო რელიგიურად არ ითვლება. იგი წარმოადგენს შეიცარული დროშის ფერების უკუ პროექციას. ასეთი სახით ივარაუდებოდა ნეიტრალურობის მოთხოვნათა შესრულება, რაც ფუძემდებლურია მოძრაობისათვის.

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ემბლემები – ეს არის შეიარაღებული კონფლიქტებისა და აქტიური უბედურებების მსხვერპლთა დახმარების საყოველთაოდ აღიარებული სიმბოლოები. თუმცა ისინი ყოველთვის როდი სარგებლობენ სათანადო პატივისცემით. უფრო მეტიც, ზოგიერთი სახელმწიფო სირთულეს განიცდის იმის გამო, რომ არჩევანი გააკეთოს ერთი ან მეორე ემბლემის სასარგებლოდ. რამდენიმე წლის წინათ, ამ საერთაშორისო ორგანიზაციამ ისევ დაიწყო კონსულტაციების სერია ემბლემასთან დაკავშირებით, რათა მიეღწეულიყო ყველა სახელმწიფოსათვის მისაღები სიმბოლიკა. გამოსავალი მოიძებნა. შეთავაზებულ იქნა წითელი კრისტალის დამატებითი ემბლება, რომელსაც იგივე სტატუსი ჰქონდა, რაც წითელ ჯვარს და წითელ ნახევარმთვარეს. შედეგად, 2005 წლის დეკემბერში, ჟენევაში, ხმათა უმრავლესობით, დიპლომატიურ კონფერენციაზე მიღებული იქნა მესამე დამატებითი ოქმი. 2006 წლის ივნისში, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის 29-ე საერთაშორისო კონფერენციაზე, მიღებული იქნა წითელი ჯვრის მოძრაობის წესდების შესწორება, რომლითაც ახალი ემბლემის რეგლამენტირება მოხდა.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი მხარს უჭერს ყოველგვარ ძალისხმევას, რომელიც მიმართულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პროპაგანდისა და განსაკუთრებით, ომის დანაშაულების დასჯისაკენ. ამ მხრივ საინტერესოა, რომ ეს უკანასკნელი მიესალმებოდა ჰააგის და არუშას ტრიბუნალების შექმნას და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს შექმნის მიზნით გამართულ მოლაპარაკებებში.

წჯსკ მთელი თავისი არსებობის მანძილზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს ჰუმანიტარული სამართლის განვითარებას და მისი კომპეტენტურობა ამ სფეროში არავითარ ეჭვს არ იწვევს. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შეიარაღებული კონფლიქტები სხვადასხვა რეგიონში უფრო და უფრო ხშირად ჩნდება, უახლოეს წლებში მისი ძირითადი ამოცანა არის არა ახალი საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტების შექმნა, რომელთა მოთხოვნების შესრულებაც პოლიტიკურ ვითარებაზეა დამოკიდებული, არამედ „არსებული

ნორმებისა და ფასეულობების განმტკიცება და თუ შესაძლებელია, მათი მოქმედების თანდათანობით გავრცელება უფრო ფართო გამოყენების მეშვეობით". სწორედ ასეთ დასკვნამდე მივიდა ომის მსხვერპლთა დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია (ჟენევა, 1993 წლის აგვისტო-სექტემბერი). მრავალმა მისმა მონაწილემ დაადასტურა არსებული ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელობა, თუმცა იმასაც გაუსვეს ხაზი, რომ მასში შემავალი ზოგიერთი ნორმა ექვემდებარება დაზუსტებას ან დამატებას. აქედან გამომდინარე, კონფლიქტურ ზონებში წჯსკ-ის საქმიანობა, რომელსაც ჰუმანიტარულ დიპლომატიაში უდიდესი გამოცდილება გააჩნია, სახელმწიფოთა საყოველთაო მხარდაჭერას იმსახურებს.[1] აქ, მაკიაველის ცნობილი კონცეფცია: „მიზანი ამართლებს საშუალებას", სხვაგვარად ჟღერს, რადგან საქმე საომარ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების გადარჩენასა და მათი უფლებების, თავისუფლებებისა და ღირსებების დაცვას ეხება. თავისი არსებობის მანძილზე, წჯსკ-მ მრავალგზის მიმართა კონვენციათა მონაწილე სახელმწიფოებს, რათა აეძულებინათ კონფლიქტში მონაწილე მხარეები, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა მოთხოვნები შეესრულებინათ.

[1]ჰანს-პეტერ გასერი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, (შესავალი), თბ. 1999 წ. გვ. 193.

თავი XV

ლტოლვილთა და დევნილთა სამართალი

§1. ლტოლვილებისა და დევნილთა სამართლებრივი სტატუსი

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განვითარებას მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი. მასთან ერთად ვითარდებოდა ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო სამართალი. პირველმა მსოფლიო ომმა და ბოლშევიკურმა რევოლუციამ ლტოლვილთა დიდი ნაკადის წარმოშობა განაპირობა. 1917 წლიდან 1921 წლამდე 1.5 მილიონზე მეტი ადამიანი იქცა ლტოლვილად საბჭოთა კავშირში.[1]

ამის შემდგომ საერთაშორისო ხასიათი მიიღო ლტოლვილთა და იძულებით ადგილმონაცვლეთა პრობლემამ. იგი მსოფლიოს მრავალ რეგიონს შეეხო, განსაკუთრებით ყოფილ პოსტსაბჭოურ სივრცეს და მათ შორის, საქართველოსაც. ამ შემთხვევაში ჩვენს მიზანს წარმოადგენს სამართლებრივად განვასხვავოთ ლტოლვილი იძულებით გადაადგილებულისაგან და შევაფასოთ მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობა. „ჰუმანიტარული თანამეგობრობა“ უფრო და უფრო აცნობიერებს იძულებით გადაადგილებულის პრობლემას, რომელიც დედამიწაზე 20 მილიონზე მეტ ადამიანს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვა, უპირველესად, ეროვნული ხელისუფლებისა და ადგილობრივი მთავრობების მოვალეობად რჩება, საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოძებნოს კრიზისული სიტუაციებისა და კონფლიქტის დროს იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის საქმეში მხარდაჭერისა და საკუთარი წვლილის შეტანის საუკეთესო გზები. – აღნიშნა ჰუმანიტარულ საქმეთა გენერალური მდივნის მოადგილემ სერჯიო ვიეირა დე მელომ.

საერთაშორისო საზოგადოებრიობა უმნიშვნელოვანესი ამოცანის წინაშე დგას. უზრუნველყოს იმ პირთა დაცვა, რომ-

---

[1] შესავალი ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალში, თბ. 2001წ. გვ. 5.

ლებმაც იძულებით მიატოვეს თავიანთი საცხოვრებელი ადგილი შეიარაღებული კონფლიქტების, ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევების ან სხვა ტრამვული მოვლენების გამო, მაგრამ დარჩნენ თავიანთი ქვეყნის ფარგლებში. ისინი, თითქმის ყოველთვის, სასტიკ უუფლებობას, გაჭირვებასა და დისკრიმინაციას განიცდიან.

ლტოლვილთა სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული სამართლებრივი ნორმებით. სამეცნიერო ლიტერატურაში ლტოლვილად მიჩნეულია უცხოეთის მოქალაქე, ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელმაც თავშესაფარი ნახა უცხო ქვეყანაში; ხოლო იძულებით ადგილმონაცვლედ (იგულისხმება იძულებით გადაადგილებული) მოიაზრება ადგილობრივი მცხოვრები, რომელიც იძულებული ხდება საკუთარი საცხოვრისი დატოვოს თავის ქვეყანაში, მაგრამ ერთი განსხვავებით; იძულებით ადგილმონაცვლედ შეიძლება ჩაითვალოს უცხოეთის მოქალაქეც ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც კანონის საფუძველზე, უკვე დიდი ხანია მუდმივად ცხოვრობს ამა თუ იმ ქვეყანაში და თავის დროზე იძულებული იყო დაეტოვებინა სამშობლო სხვადასხვა მიზეზის გამო.

იმის გამო, რომ ლტოლვილობა და იძულებით ადგილმონაცვლეობა სერიოზული პრობლემა გახდა, საერთაშორისო სამართლის სფეროში არის მცდელობა, რომ ცალკე დარგად ჩამოყალიბდეს ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი, თუმცა ამ აზრს დარგის ყველა სპეციალისტი როდი იზიარებს, რადგან ისინი შედიან გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატის სამსახურის მანდატით მინიჭებული დაცვის სფეროში, ამასთან, იმ შემთხვევაში, როდესაც პიროვნება შეიარაღებული კონფლიქტის გამო ლტოლვილი ხდება, მას იცავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალიც, უენევის მეოთხე კონვენციაც და დამატებითი ოქმიც, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფთ სპეციალურ დაცვას ანიჭებს მეოთხე კონვენცია. იგი ასევე მიუთითებს ნონრეფოლმენტის პრინციპზე, რომელზეც ლტოლვილთა სამართლებრივი მდგომარეობა არის დაფუძნებული.

გარდა ამისა, საკუთარი ქვეყნის ფარგლებში გადაადგილებული პირები (იძულებით ადგილმონაცვლე – გ.ლ.) საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა დაცვის ქვეშ იმყოფებიან, რომელიც ასევე უზრუნველყოფს სამოქალაქო მოსახლეობის ფართო დაცვას.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კრძალავს იძულებით გადაადგილებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ან გადაუდებელი სამხედრო საჭიროების გამო. უფრო მეტიც, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიერ სამოქალაქო მოსახლეობის გარანტირებული დაცვა უნდა ითვალისწინებდეს იძულებით გადაადგილების შეზღუდვასაც, რაც ბოლო პერიოდში არ იცვლება. ამიტომ უფრო მნიშვნელოვანია არსებულ ნორმათა დაცვა და მექანიზმების მთელი დატვირთვით ამოქმედება.

ლტოლვილთა სტატუსი განსაზღვრა 1951 წლის 28 ივლისის ჟენევის კონვენციამ, რომელიც გავრცელდა მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც ლტოლვილები გახდნენ 1951 წლის 1 იანვრამდე მომხდარი მოვლენების გამო.

მაგრამ რა სტატუსი უნდა მიენიჭოს იმ ადამიანებს, რომლებიც ლტოლვილები გახდნენ კონვენციის მიღების შემდეგ და ვერ მოხვდნენ კონვენციის მოქმედების არეალში? ყველასათვის მოულოდნელად, სწორედ გასული საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ, მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა უამრავი ადამიანი აქცია ლტოლვილად. აქედან გამომდინარე, შეიქმნა გაეროს ოქმი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, რომელსაც ხელი მოეწერა გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისა და გენერალური მდივნის მიერ, 1967 წლის 31 იანვარს, სადაც დაფიქსირდა, რომ ოქმის წევრი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, კონვენციის მე-2-34 მუხლები გამოიყენონ იმ ლტოლვილებთან მიმართებაში, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული ნორმები. ახლად ფორმირებულ განმარტებაში, „1951 წლის 1 იანვრამდე მომხდარი მოვლენების შედეგად", მათი მოქმედება გავრცელდა „მსგავს მოვლენათა მიმართ", რომელიც იძლევა იმის გარანტიას, რომ ოქმის დებულებები გამოყენებულ იქნას ყოველგვარი გეოგრაფიული შეზღუდვების გარეშე. ოქმის წევრ-

მა სახელმწიფოებმა ვალდებულება აიღეს, ითანამშრომლონ გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნებისმიერ სხვა ორგანოსთან, რომელსაც შეიძლება გადაეცეს მისი ფუნქციის შესრულება და ხელს შეუწყობენ ოქმის დებულებების გამოყენებას, მის მიერ სამეთვალყურეო მოვალეობის შესრულებას, რის თაობაზეც გაერთიანებული ერების სათანადო ორგანოებს წარედგინება მოხსენება, რომელიც აღწერს ლტოლვილთა მდგომარეობას, ოქმის მოთხოვნათა ცხოვრებაში გატარებას, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მიღების პროცესს, რომლებიც ძალაშია ან შესაძლებელია შემდგომში შევიდეს ძალაში ლტოლვილთა მიმართ.

წევრ-სახელმწიფოთა შორის წამოჭრილი დავის გადაწყვეტის კომპეტენცია საერთაშორისო სასამართლოს გააჩნია რადგან ოქმთან მიერთება არ იზღუდება სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და მმართველობის ფორმის მიუხედავად.

ოქმი, მე-9 მუხლის ძალით, სახელმწიფოებს დენონსაციის უფლებასაც ანიჭებს. ოქმის ყველა წევრ-სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია ომის დენონსაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე გადაგზავნილი შეტყობინების მეშვეობით, რომელიც ძალაში შედის გაეროს გენერალური მდივნის მიერ დენონსაციის აქტის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ოქმის მე-5 მუხლში მითითებულ სახელმწიფოებს ატყობინებს ოქმის ძალაში შესვლის თარიღს, შეერთებებს, დათქმებს, დათქმების გახსნასა და ოქმის დენონსაციას; აგრეთვე, მასთან დაკავშირებულ განცხადებებსა და შეტყობინებებს.

1951 წლის კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, ტერმინი „ლტოლვილი“ გამოიყენება ყველა იმ პირის მიმართ, რომელიც „რასის, სარწმუნოების, მოქალაქეობის, გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური მრწამსის ნიშნით დევნის მსხვერპლად ქცევის საფუძვლიანი შიშის გამო, მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ იმყოფება და არ შეუძლია ისარგებლოს შესაბამისი მფარველობით ამ საშიშროების გამო,

ანდა, არ გააჩნია გარკვეული მოქალაქეობა და მსგავსი მოვალეობის შედეგად, იმყოფება საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ, რის გამოც, არ შეუძლია ან არ სურს, დაბრუნდეს იქ, ამგვარი საშიშროების გამო". აფრიკის ერთობის ორგანიზაციის კონვენციამ და კარტახენას დეკლარაციამ ეს განსაზღვრება გააფართოვა და მოიცვა ის პირები, ვინც გაქცევით შველის თავს ისეთ პირობებში, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზულ დარღვევას იწვევს. ეს შეიძლება იყოს შეიარაღებული კონფლიქტები და არეულობები.

საერთაშორისო და ჰუმანიტარული სამართლით ლტოლვილები გამონაკლის შემთხვევაში სარგებლობენ უვიზო შესვლით ამა თუ იმ სახელმწიფოში, რაც ნიშნავს შესვლას სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ, ვიზის მიცემის აუცილებლობის გარეშე. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოებს შეუძლიათ, გახსნან ცალმხრივად საზღვარი, რომლის პირობები ხელშეკრულებაში ან ცალმხრივ აქტში არის განსაზღვრული, საზღვრის გადაკვეთა შეიძლება დაიშვას მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი საბუთების საფუძველზე (მაგ. პირადობის მოწმობის წარდგენით) არსებული საბაჟო თუ სანიტარული წესების დაცვით.

პროცენტულად, ყველაზე მეტი საქართველოს მოქალაქე, როგორც ლტოლვილი, ცხოვრობდა და დღესაც ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში, რაც განაპირობებს ამ პრობლემის შედარებით ფართო განხილვას რუსეთის ფედერაციის კანონების მაგალითზე, რადგან კანონის შესაბამისად მრავალმა მათგანმა მიიღო ამ ქვეყნის მოქალაქეობა და, ბუნებრივია, ლტოლვილის სტატუსიც მოეხსნა.

რუსეთის ფედერაციაში, ლტოლვილთა და იძულებით ადგილმონაცვლეთა სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია 1993 წლის 19 თებერვლის, 1995 წლის 20 დეკემბრისა და 1998 წლის 21 ივლისის კანონებით. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისაგან ზემოაღნიშნული კატეგორიები განსხვავდებიან შეზღუდვებით, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე.

ლტოლვილისა და იძულებით ადგილმონაცვლეთა შორის უფლებრივი სხვაობა შემდეგია: მაგ: ლტოლვილს შეუძლია

ფლობდეს უძრავ ქონებას კანონის იმ ფარგლებში, რისი უფლებაც გააჩნიათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 59-ე მუხლის შესაბამისად, სამხედრო სავალდებულო სამსახურში იწვევენ რუსეთის მოქალაქეებს, რაც არ ვრცელდება ლტოლვილებზე. კანონის შესაბამისად, ფედერაციაში ლტოლვილად ითვლება პიროვნება 3 წლის განმავლობაში, ხოლო იძულებით ადგილმონაცვლედ კი, 5 წლის ვადით.

რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით, ლტოლვილისა და იძულებით ადგილმონაცვლის სტატუსი უწყდებათ იმ შემთხვევაში:

1) როდესაც ლტოლვილი ან იძულებით ადგილმონაცვლე ღებულობს რუსეთის ფედერაციის ან რომელიმე სხვა ქვეყნის მოქალაქეობას;

2) როდესაც ლტოლვილი ან იძულებით ადგილმონაცვლე ტოვებს რუსეთის ფედერაციას და მუდმივ საცხოვრებლად გადადის სხვა ქვეყანაში;

3) როდესაც ნებაყოფლობით მიმართავს დახმარებისათვის იმ ქვეყანას, რომელიც თავის დროზე დატოვა.

რუსეთის ფედერაციის ფედერალურ და ადგილობრივ საემიგრაციო სამსახურებს იმ შემთხვევაში ეძლევათ უფლება, გააუქმონ სტატუსი, თუკი დევნილი ან იძულებით ადგილმონაცვლე ჩაიდენს სისხლის სამართლის დანაშაულს, მიეცემა პასუხისგებაში და სასამართლო მას ცნობს დამნაშავედ. ასევე, თუ პირმა წარადგინა ყალბი საბუთები, ან შეგნებულად შეიტანა მასში არასწორი მონაცემები, კანონი მოითხოვს სახელმწიფოს მიერ მათზე გამოყოფილი თანხების უკან დაბრუნებას.

ხელისუფლების მიერ მათი დეპორტაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე დამრღვევ პირებს ეცნობება სამი დღის განმავლობაში და მათზე გაცემული პირადობის მოწმობა ჩაითვლება გაუქმებულად. ასეთ შემთხვევაში, პირს შეუძლია მიმართოს მიგრაციის სამსახურს. თუკი ის, მისთვის მისაღებ პასუხს ვერ მიიღებს, კანონმდებლობა მას აძლევს შესაძლებლობას, მიმართოს უფრო მაღლა მდგომ ორგანოს. რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ იგნორირება გაუკეთა

საერთაშორისო სამართლის ნორმებს, საქართველოს დაუწესა ემბარგო და მოახდინა ქართველების უკანონო დეპორტაცია, პირველ რიგში მოსკოვიდან, შემდეგ კი მთელი ქვეყნიდან.

საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად, ლტოლვილისა და იძულებით ადგილმონაცვლის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელსაც ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის დანაშაული კაცობრიობის წინაშე, ან მონაწილეობა აქვს მიღებული გენოციდში ამა თუ იმ ფორმით.

1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ დააწესა პრინციპი, რომლის თანახმადაც ყოველი ადამიანი უნდა სარგებლობდეს ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ეს პრინციპი დაედო საფუძვლად ლტოლვილთა და აპატრიდთა სტატუსის საკითხზე სრულუფლებიანი წარმომადგენლების კონფერენციის მიერ 1951 წლის 28 ივლისსა და გენერალური ასამბლეის, 1950 წლის 14 დეკემბრის 429 (V) რეზოლუციის საფუძველზე მიღებულ კონვენციას ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, სადაც ცალსახად განისაზღვრა არა მარტო სტატუსის ცნება, არამედ ჩამოყალიბდა თავშესაფრის მინიჭების უფლება; ასევე, დაწესდა მეთვალყურეობა ლტოლვილთა დაცვის შესახებ არსებული საერთაშორისო კონვენციების შესრულებაზე, რამაც გაზარდა არსებული პრობლემის გადასაჭრელად მიღებულ ღონისძიებათა კოორდინაციის ეფექტურობა და რელიგიური მრწამსით დისკრიმინაციის დაუშვებლობა და ა.შ.

კონვენციის მე-2 თავი ეძღვნება სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრას, სადაც კონკრეტდება პირადი სტატუსი, უძრავ-მოძრავი ქონების შეძენის უფლება, საავტორო უფლებები და სამრეწველო საკუთრება, გაერთიანების უფლება, სასამართლოსათვის მიმართვის უფლება.

კონვენციის მე-3 თავი განსაზღვრავს შემოსავლის მომტან საქმიანობას; კერძოდ, დაქირავებულ შრომას, თვითდასაქმებას, თავისუფალი პროფესიების არჩევას.

კონვენციის მე-4 თავი ეხება სოციალური უზრუნველყოფის ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა: საულუფო სისტემა, დაბინავება, საჯარო განათლება, სახელმწიფო შემწეობა, შრომის კანონმდებლობა და სოციალური დაცვა; მე-5 თავში მოცე-

მულია ის ადმინისტრაციული ღონისძიებები, რომლის ქვეშაც მოიაზრება: ადმინისტრაციული დახმარება, გადაადგილების თავისუფლება, პირადობის დამადასტრებელი საბუთების მიღების წესი, სამგზავრო ბილეთების გაცემის წესი, სახაზინო გადასახადების დაწესება, ქონების გაცემა, თავშესაფრის მიმცემ ქვეყანაში, უკანონოდ მყოფი ლტოლვილების მდგომარეობის განსაზღვრა, გადასახადების ორგანიზაცია, გადასახლების ან იძულებითი დაბრუნების აკრძალვა „refovlement", ნატურალიზაცია.

მე-6 თავი ეხება იმ გარდამავალ დებულებებს და აღსრულებას, როგორებიცაა: ხელისუფლების ორგანოების თანამშრომლობა გაერთიანებულ ერებთან, ინფორმაციის მიწოდება შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესახებ, კონვენციის მიმართება ადრე დადებულ კონვენციებთან; ხოლო მე-7 თავი ეხება ისეთ დასკვნით დებულებებს, როგორებიცაა: დავების გადაწყვეტა, ხელმოწერა, რატიფიკაცია და შეერთება, სივრცეში მოქმედება, დათქმები, ძალაში შესვლა, დენონსაცია და გადასინჯვა.

საერთაშორისო კანონმდებლობით, შედარებით უფრო მოწესრიგებულია ლტოლვილთა სამართლებრივი მდგომარეობა, ვიდრე იძულებით ადგილმონაცვლეთა, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში ლტოლვილთა ისტორიის დასაწყისი 3500 წლის წინათ მოიაზრება. XX საუკუნის დასაწყისიდან, პირველად იქმნება რუს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი. მეორე მსოფლიო ომის პირობებში შეიქმნა გაეროს დახმარებისა და რეაბილიტაციის ადმინისტრაცია (UNRRA), ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაცია (IRO), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) და ა.შ. დოკუმენტები, რომლებითაც მათი მდგომარეობა წესრიგდებოდა, შემდეგია: საბაზო დოკუმენტად ითვლება 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, 1951 წლის 28 ივლისის ლტოლვილთა სტატუსის კონვენცია, რომელიც ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის საფუძველს წარმოადგენს და რასის, რელიგიისა და სახელმწიფოებრივი კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე უნდა გამოიყენებოდეს. თუმცა, იგი ვრცელ-

დება მხოლოდ იმ პირებზე, ვინც ლტოლვილად იქცა 1951 წლის 1 იანვრამდე. 1967 წლის 31 იანვარს მიღებული იქნა ლტოლვილთა კონვენციის ოქმი (პროტოკოლი), რომელიც კონვენციით გათვალისწინებულ დაცვას ყველა ლტოლვილზე ავრცელებს, იმის მიუხედავად, თუ როდის იქცნენ ისინი ლტოლვილებად; 1969 წლის 10 სექტემბრის აფრიკული ერთობის ორგანიზაცია (OAU); 1984 წლის 10 დეკემბერს, ლათინური ამერიკის არაერთმა ქვეყანამ, კარტახენას დეკლარაცია მიიღო, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის მსხვერპლთა დაცვას დაცვის საერთაშორისო მექანიზმის ფარგლებში ითვალისწინებს. 1998 წლის ლტოლვილთა კონვენციას და ოქმს მსოფლიოს 136 ქვეყანა შეუერთდა. „არც ერთმა წევრმა სახელმწიფომ, არც ერთი ფორმით არ უნდა გააძევოს ან დააბრუნოს ლტოლვილი ტერიტორიაზე, სადაც მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება რასის, აღმსარებლობის, მოქალაქეობის, სოციალური კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის ნიშნით დევნის გამო“.

რაც შეეხება ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაციას, იგი 1947 წლიდან არსებობს. 1949 წლის 3 დეკემბრიდან, გაეროს ეგიდით შეიქმნა გაეროს უმაღლესი კომისარიატი (გლუკი).გაეროს გენერალური ასამბლეის 1950 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციით (428 (V)), დამტკიცდა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წესდება, რომლის შესაბამისად. იგი მოქმედებს გენერალური ასამბლეის დაქვემდებარების ქვეშ, როგორც მისი დამხმარე ორგანო და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელით ახორციელებს იმ ლტოლვილთა ინტერესების დაცვას, რომელთა სტატუსი განისაზღვრება წესდებით. გლუკი არის არაპოლიტიკური, ჰუმანიტარული ორგანიზაცია. კომისარიატი სახელმწიფოთა მთავრობებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეთანხმებისა და თანამშრომლობის გზით ახდენს ლტოლვილთა ნებაყოფლობით რეპატრიაციას ან მათ ასიმილაციას ახალ ეროვნულ საზოგადოებაში. კომისარიატი ფინანსდება გაეროს ბიუჯეტიდან, გარდა ადმინისტრაციული დანახარჯებისა, რაც ანაზღაურდება ნებაყოფლობითი შემოწირულობებით.

გენერალური ასამბლეის მიერ, 1951 წლის 1 იანვარს, გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის პოსტი იქნა შემოღებული, რომელიც უფლებამოსილია, გაეროს სახელით დაიცვას ლტოლვილთა ინტერესები თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შემდეგი საშუალებებით:

ა) ლტოლვილთა შესახებ არსებული საერთაშორისო კონვენციების მიერთება და რატიფიკაცია, თვალყურის დევნება მათ მოთხოვნათა შესრულებაზე;

ბ) სახელმწიფოთა მიერ ლტოლვილთა სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებათა ხელისშეწყობა;

გ) თანამშრომლობა იმ არასამთავრობო და კერძო სექტორებთან, რომლებიც მოწოდებულნი არიან და ხელს უწყობენ ლტოლვილთა ნებაყოფლობით რეპატრიაციასა და ასიმილაციას ახალ ქვეყნებში;

დ) ლტოლვილთა საკუთრებაში მყოფი ნივთების გადატანის უფლების მიღება და თანხმობის მიღწევა ქვეყნებს შორის;

ე) ყოველგვარი ინფორმაციის მიღება სახელმწიფოებისაგან, ლტოლვილებთან დაკავშირებით, რაც ეხება მათ რიცხობრივ რაოდენობას, მდგომარეობას, კანონებსა და სამთავრობო გადაწყვეტილებებს;

ვ) არასამთავრობო და სამთავრობათაშორის საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტის დამყარება.

გარდა ამისა, ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის ფუნქციაში შედის რეპატრიაციასთან დაკავშირებული გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებები. ასევე, დახმარების გაწევა მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის და ზრუნვა მათი რიცხვის შესამცირებლად.[1]

ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი 50 მილიონ ადამიანს დაეხმარა და ადგილი მოუძებნა ცხოვრებაში. ორგანიზაცია 118 სახელმწიფოში მუშაობს და მას 5500 ადამიანისგან შემდგარი შტატი ემსახურება.

გლუკ-ი სამართლებრივი მანდატით უზრუნველყოფს, რომ თავშესაფრის მაძიებელ პირებს მიენიჭოთ ლტოლვილის სტატუსი, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს; მხარს უჭერს

---

1 მოქალაქეობა და მოქალაქეობის არქონა: სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის, №11-205, გვ. 47-49.

თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის შესაბამის ორგანოებს, ლტოლვილის სტატუსის მინიჭების ეფექტური პროცედურის შექმნაში; თვალყურს ადევნებს, თუ როგორ იცავენ ლტოლვილთა უფლებებს საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით; ცდილობს, შეაფერხოს ლტოლვილების იმ ქვეყანაში იძულებით დაბრუნება, სადაც მათი სიცოცხლე და თავისუფლება საფრთხეში იქნება; ეხმარება თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის მთავრობებსა და ლტოლვილებს, პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტის პოვნაში; ხელს უწყობს სახელმწიფოებს, შეუერთდნენ ლტოლვილთა საკითხებზე არსებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს; მხარს უჭერს ლტოლვილთა კანონმდებლობის განხორციელებას.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოქვეყნებულია კვლევების შედეგები, სადაც დადგინდა, რომ ერაყში ლტოლვილთა რიცხვი მინიმუმ 2 მილიონია და კიდევ 2 მილიონი, რომელიც ქვეყნის შიგნითაა გადაადგილებული. ლტოლვილთა აღრიცხვა ხშირად გამოიყენება ტენდენციების ინდიკატორად. დღეს უკვე უმეტესი მათგანი შუა და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებშია თავმოყრილი და ეს პროცესი 1948 წლიდან დაიწყო. 1 მილიონი ერაყელი სირიაშია,[1] 450000-500000 იორდანიაში, 50000 – ლიბანში, 40000-60000 – ეგვიპტეში, 60000 – ირანის ისლამისტურ რესპუბლიკაში, 10000 – თურქეთში. უნდა აღინიშნოს, რომ ერაყის მოსახლეობის ათასობით ადამიანმა რეგიონი დატოვა 2003 წლამდე, რაც ქვეყნის გარეთ დისკრიმინაციის, შევიწროების, უკეთესი ეკონომიკური, ჯანსაღი და საგანმანათლებლო პირობების ძიების შედეგი იყო.[2]

რაც შეეხება იძულებით გაადგილებულთ (ადგილმონაცვლეთ – გ.ლ.), არსებობს გაეროს რეკომენდაცია სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ, რომელიც ეხება მსოფლიოში იძულებით გაადგილებულ (ადგილმონაცვლე – გ.ლ.) პირთა სპეციფიკურ პრობლემებს. მასში მოცემულია ის უფლებები და გარანტიები, რომლებიც დაკავშირებულია როგორც პირთა იძულებით გადაადგილებისაგან დაცვასთან, ასევე მათი გადა-

---

[1] სირიაში განვითარებულმა ამჟამინდელმა მოვლენებმა შეცვლა მდგომარეობა.

[2] International Review of the Red Cross, "Conflict in Iraq II", Volume 90 Number 869 March 2008 (ICRC). p.170.

ადგილების, დაბრუნების ან განსახლებისა და რეინტეგრაციის დაცვასა და დახმარებასთან. დასახელებული პრინციპიდან გამომდინარე, იძულებით გადაადგილებულ პირებად ითვლებიან ის პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც გაძევებული იქნენ ან იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა გაქცეოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, საყოველთაო ძალადობას, ადამიანის უფლებათა ხელყოფასა და სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფებს და, ამასთან, არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი. სახელმძღვანელო პრინციპები ასახავს და შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს. იგი შედგება ხუთი თავისა და 30 პრინციპისაგან. პირველი კარი, 4 ზოგადი პრინციპისგანაა შემდგარი, მეორე და მესამე კარი ეხება გადაადგილებისაგან დაცვის პრინციპებს. მეოთხე კარი ჰუმანიტარულ დახმარებას ასახავს, ხოლო მეხუთე კარში მოცემულია ის პრინციპები, რომლებიც რეკომენდაციას აძლევენ ხელისუფლების ორგანოებს, შეუფერხებლად დაუშვან და გაუადვილონ საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებსა და შესაბამის დაწესებულებებს თავისი მანდატის განხორციელების შესაძლებლობა, რათა მათ სწრაფად და შეუფერხებლად განახორციელონ იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება მათი დაბინავების, განახლებისა და რეგისტრაციის პროცესში.

§2. თავშესაფრის უფლება

ძველი წყაროების მიხედვით, თავშესაფრის ცნება, სულ ცოტა, 3500 წლის წინათ წარმოიშვა. პირველად სამეცნიერო მიმოქცევაში „თავშესაფრის უფლებას" ვხვდებით 1725 წლიდან. მიუხედავად ამისა, მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში გარდაიქმნა ეს ცნება სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებიდან ადამიანის პირად უფლებად.[1]

---

[1]შესავალი ლტოლვილთა საერთაშორის სამართალში, თბ. 2001წ. გვ 5

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მნიშვნელოვანია პოლიტიკური შეხედულებებისა და საქმიანობისათვის საკუთარ ქვეყანაში შევიწროებული და დევნილი მოქალაქის (არ აპატრიდის – მოქალაქეობის არმქონე პირის) უფლება, თავი შეაფაროს სხვა სახელმწიფოს და არ იქნეს დაბრუნებული თავისივე ან სხვა სახელმწიფოში, რომელიც მას (მათ) დევნის.

როგორც აღინიშნა, თავშესაფრის პრობლემა ახალი არ არის. ადამიანს სდევნიდნენ ჯერ კიდევ პირველყოფილი თემურ-გვაროვნული წყობის დროსაც (ოღონდ მოტივი სხვა იყო). რაც შეეხება თავშესაფრის უფლებას, იგი გვხვდება სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების მომენტიდან და მისი შინაარსი იცვლებოდა საზოგადოების განვითარების პარალელურად.

საერთაშორისო სამართალში თავშესაფრის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს უფლებას, პოლიტიკური თავშესაფარი მისცეს უცხოელს, რომელსაც დევნიან საკუთარ ქვეყანაში. ამ უფლებით სარგებლობენ მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით დევნილები. თავშესაფრის მიცემის საკითხს ყოველი სახელმწიფო დამოუკიდებლად წყვეტს, რადგანაც იგი ქვეყნის საშინაო კომპეტენციაა, მაგრამ არსებობს საერთაშორისო შეთანხმებები, რომელთა საფუძველზეც ხდება შიდა გადაწყვეტილების მიღება. ეს პრობლემა მოწესრიგებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-14 მუხლით, რომელშიც აღნიშნულია: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს, სხვა ქვეყანაში ეძებოს დევნისაგან თავშესაფერი და ისარგებლოს ამ თავშესაფრით“ და გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაციით, „ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1967 წლის 14 დეკემბერს.

საერთაშორისო სამართალი იცნობს თავშესაფრის ორ ფორმას: 1) ტერიტორიული და 2) დიპლომატიური. ტერიტორიული თავშესაფარის უფლება გულისხმობს ამა თუ იმ პირის უფლებას, მოითხოვოს თავშესაფარი უცხოეთის სახელმწიფოში საკუთარ სახელმწიფოში პოლიტიკური დევნის გამო. ეს პრინციპი, როგორც უკვე ითქვა, განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და „ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ“ არსებული დეკლარაციით. დიპლომატიური თავშესაფრის უფლებით სარგებლობენ ესა თუ ის პირები,

დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ტერიტორიაზე, სახმელეთო ან საზღვაო ხომალდებზე, სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალით, არ შეიძლება თავშესაფარი მიეცეთ: სამხედრო დამნაშავეებს, ან იმ პირებს, რომელთა მიმართაც არსებობს სერიოზული საფუძველი, ჩაითვალოს სამხედრო ან კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჩამდენად. ასევე, არ მიეცემათ თავშესაფარი სისხლის სამართლის დამნაშავეებს.

დიპლომატიური თავშესაფრის უფლების თვალსაზრისით, განიხილავენ სახელმწიფოთა ოთხ ჯგუფს: 1) სახელმწიფოები, რომლებიც არ ცნობენ ამ ინსტიტუტს; 2) სახელმწიფოები, რომლებიც კრძალავენ დიპლომატიურ თავშესაფარს თავის ტერიტორიაზე, მაგრამ ამ უფლებას ანიჭებენ თავის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებს (საფრანგეთი, ინგლისი, აშშ); 3) სახელმწიფოები, რომლებიც დიპლომატიურ თავშესაფარს აძლევენ თავის დაწესებულებებში და აღიარებენ ამ უფლებას, მათ ტერიტორიაზე მდებარე დიპლომატიურ და სხვა დაწესებულებათა მიმართ (ლათინური ამერიკის ქვეყნები); 4) სახელმწიფოები, რომლებიც თვითონ არ ანიჭებენ დიპლომატიურ თავშესაფარს, მაგრამ აღიარებენ ასეთ უფლებას მათ ტერიტორიაზე (საბერძნეთი, ლათ. ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა).

საერთაშორისო ხელშეკრულებები ავალდებულებენ პოლიტიკური თავშესაფრის მიმცემ სახელმწიფოებს, შეუქმნან თავშეფარებულებს უსაფრთხო ცხოვრების პირობები და არ გადასცენ ისინი იმ სახელმწიფოს, რომელშიც მათ მიმართ კვლავ შეიძლება განხორციელდეს პოლიტიკური დევნა. მიანიჭოს თავშეფარებულ პირებს ყველა ის უფლება, რომლითაც სარგებლობენ უცხოელები მოცემულ ქვეყანაში. 1961 წლის ვენის კონვენცია დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ კრძალავს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა გამოყენებას ოფიციალური მიზნების შესრულებისათვის შეუთავსებელი საქმიანობის საწარმოებლად.

საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლი ადასტურებს საერთაშორისო ხელშეკრულებების ამ ძირითად პრინციპს და აღიარებს, რომ საქართველოში მცხოვრებ უცხოელ

მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არამქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს. ასევე, დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედებისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.

კონსტიტუციით განმტკიცებული თავშესაფრის უფლების ინსტიტუტი არ შედის იმ ურთიერთობათა სფეროში, რომელიც არსებობს სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს შორის. ეს ძირითადად შეეხება უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლებს, რადგან პირი, რომელსაც თავშესაფარი საქართველოში მიეცემა, თუკი ის შემდგომში არ მოინდომებს კანონის შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის მოქალაქე გახდეს, ასეთ შემთხვევაში ის უთანაბრდება იმ უცხოელ მოქალაქეს, რომელიც იმყოფება საქართველოს იურისდიქციის ქვეშ. საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის გ) პუნქტით, „ქვეყნის პრეზიდენტი „წყვეტს მოქალაქეობის, თავშესაფრის მიცემის საკითხებს".

ასეთია მოკლედ, თავშესაფრის უფლების ფონზე, ადამიანის უფლების აღიარებისა და დაცვის ერთ-ერთი პრობლემა.

§3.ლტოლვილებისა და დევნილების პრობლემა საქართველოში

საქართველო ის ქვეყანაა, რომელსაც ჰყავდა რამდენიმე ათასი ლტოლვილი პანკისის ხეობაში და ასევე, იძულებით ადგილმონაცვლე საკუთარ ქვეყანაში.[1] ამიტომ, მათი სტატუსის

[1] მართალია, მათი რიცხვი შემცირდა, მაგრამ გარკვეული რაოდენობა დღესაც რჩება. სამაგიეროდ, სამინისტროს ინფორმაციით, იზრდება სირიიდან და ერაყიდან ლტოლვილთა რაოდენობა. ამჟამად მათი რიცხვი 500 ადამიანს აჭარბებს.

განსაზღვრა და სამართლებრივი მოწესრიგება ეროვნული კანონმდებლობით, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა აქტუალური საკითხია, რადგან ხშირად ირღვევა და იზღუდება ამ ადამიანთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური უფლებები და თავისუფლებები, ასევე, მათი სამართლებრივი მდგომარეობა საარჩევნო კანონმდებლობისადმი და ა.შ.

საქართველოს კანონი ლტოლვილთა შესახებ.

საქართველოს პარლამენტმა 1996 წლის 28 ივნისს მიიღო კანონი ლტოლვილთა შესახებ, რომელიც ემყარება საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. იგი განსაზღვრავს საქართველოში ლტოლვილთა და ლტოლვილის სტატუსის მაძიებელთა სამართლებრივ მდგომარეობას, ლტოლვილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ჩამორთმევის საფუძვლებს და წესს, ლტოლვილის სოციალურ-ეკონომიკურ გარანტიებს.

კანონის პირველივე მუხლი განსაზღვრავს ლტოლვილის ცნებას, რომლის მიხედვითაც ლტოლვილად ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლისთვისაც საქართველო არ არის მისი წარმოშობის ქვეყანა და რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელი ქვეყანა, რადგან იდევნებოდა რასის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილების, რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულებების გამო და არ შეუძლია ან არ სურს, ისარგებლოს იმ ქვეყნის მფარველობით, ასეთი საშიშროების გამო.

საქართველოს კანონი „ლტოლვილთა შესახებ", აწესრიგებს ლტოლვილად ცნობისათვის საჭირო განცხადებით მიმართვის წესს; განსაზღვრულია ლტოლვილის სტატუსის მაძიებლის უფლება-მოვალეობანი, დაკონკრეტებულია პირის ლტოლვილად ცნობის წესი, განსაზღვრულია ლტოლვილის უფლებები, ლტოლვილის მოვალეობანი, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ვალდებულებები ლტოლვილის მიმართ, ლტოლვილთა სამართლებრივი გარანტიები, ლტოლვილის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღება, რომელიც

წესრიგდება „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" არსებული ორგანული კანონით. ასევე მოცემულია ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტისა და ჩამორთმევის საფუძვლები, ლტოლვილისათვის სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების შერჩევა, დახმარების გაწევა, ლტოლვილთა მიღებასა და მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯებისა და ფინანსური საკითხების გადაწყვეტა. კანონი არ ივიწყებს პასუხისმგებლობას კანონის დარღვევისათვის.

საქართველოში, კანონმდებლობის მიხედვით, „ლტოლვილად ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლისთვისაც საქართველო არ არის მისი წარმოშობის ქვეყანა და რომელიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელი ქვეყანა, რადგან იდევნებოდა რასის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილების, რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო და არ შეუძლია ან არ სურს, ისარგებლოს იმ ქვეყნის მფარველობით, ასეთი საშიშროების გამო".

ლტოლვილთა და იძულებით ადგილმონაცვლეთა სტატუსის, მათი უფლება-მოვალეობათა სამართლებრივი მოწესრიგების მიზნით, თავის დროზე შეიქმნა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, რომელსაც გააჩნდა თავისი სტრუქტურა და აპარატი.

1997 წლის 17 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა №667 ბრძანებულება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დებულების შესახებ, რომელიც ეყრდნობა 1997 წლის 15 აპრილის კანონს „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ". დებულების შესაბამისად, სამინისტრო ანგარიშვალდებული იყო საქართველოს პრეზიდენტის წინაშე, რომელიც წარმართავდა სამინისტროს საქმიანობას და ახორციელებდა მის სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონით დადგენილი წესით. სამინისტროს მმართველობის სისტემაში იყო აფხაზეთის შესაბამისი დეპარტამენტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, რეგიონალური და ადგილობრივი სამსახურები. სამინისტროს დაფინანსების წყაროა ბიუჯეტი, რომელსაც გააჩნია ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და დასრულებული

ბალანსი. მის ძირითად ამოცანას წარმოადგენს: საქართველოში მიგრაციული პროცესების მართვის სახელმწიფოებრივი სისტემის ჩამოყალიბება და ამ სფეროში ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების კოორდინაცია, ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, ლტოლვილთა თავშესაფრის მაძიებელთა, დევნილთა, დერეპატრიანტთა, საგანგებო სიტუაციებით (სტიქიური უბედურებები, ეპიდემია და სხვა) გამოწვეული მიგრაციული ნაკადების რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზაცია, ადაპტაცია – ინტეგრაციის პირობების შექმნა, სოციალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვა და ა.შ.

რაც შეეხება სამინისტროს ფუნქციებს, მიუხედავად მის დასახელებასა და დებულებაში შეტანილი ცვლილებებისა, ისინი გამომდინარეობენ ამოცანებიდან და აისახებიან სტრატეგიისა და პოლიტიკის, წინადადებებისა და პროექტების შემუშავებაში, რომლებიც წარედგინება ქვეყნის პრემიერ-მინისტრს. ამასთან, მიგრანტთა სოციალური და სამართლებრივი უფლებების დაცვის მიზნით, გათვალისწინებულია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებთან ერთად, სამართლებრივი ბაზის მომზადება, საქართველოს სახელით საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობა და სათანადო ინფორმაციის გავრცელება. დებულების შესაბამისად სამინისტროს საკმაო უფლებამოსილებები გააჩნია. კერძოდ: სახელმწიფო და სხვა ორგანოებისაგან, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან, თანამდებობის პირებისაგან სამინისტროსათვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად გამოითხოვოს საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტაცია და სხვა მასალა; გასწიოს მიგრაციის სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობა; სამინისტრო უფლებამოსილია, აღძრას სათანადო ორგანოებში უკანონო მიგრანტთა გაძევების საკითხი; ასევე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეიმუშავოს და მიიღოს ნორმატიული ხასიათის აქტები და შეუძლია, შესაბამის უწყებებს მოსთხოვოს მათი შესრულება; იღებს და იხილავს მოქალაქეთა და მიგრანტთა წერილებს,

საჩივრებს, წინადადებებს და მათზე ახდენს რეაგირებას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ჩარჩოებში და ა.შ.

სამინისტროს ხელმძღვანელობაში შედიან მინისტრი, მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილეები.სამინისტრო დაყოფილია სტრუქტურულ ქვედანაყოფებად, რომელთა ამოცანაა, ხელმძღვანელობა მათ შემადგენლობაში არსებული შიდა სტრუქტურული ურთიერთობისა და შენაცვლების წესის დაცვა, აგრეთვე, საკუთარი ბალანსის შედგენა და მისი გამოყენების წესის განსაზღვრა. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობა განსაზღვრულია დებულებებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დებულებამ არაერთხელ განიცადა ცვლილებები (2000 წლის 29 იანვარს; №336 ბრძანება; 2001 წლის 6 აპრილს, №123 ბრძანება). საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ახალი დებულება, (03.07.2010, №177), რომლის I მუხლის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო) სამთავრობო დაწესებულებაა, რომელიც მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.[1]

ლტოლვილთა სტატუსის მიღებისათვის მიმართვის, რეგისტრაციის, უფლება-მოვალეობების, მათი ცნობის წესი და სტატუსის შეწყვეტის პირობები განსაზღვრულია 1998 წლის 18 თებერვლის საქართველოს კანონით ლტოლვილთა შესახებ და დებულებით ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცედურის შესახებ.

საქართველოს კანონი ლტოლვილთა შესახებ 15 მუხლისაგან შედგება. მის შესავალში ვკითხულობთ: „კანონი გან-

[1] სამინისტროს ახალი დებულება შემუშავებულია, რომელიც ამჟამად დამტკიცებული არ არის.

საზღვრავს საქართველოში ლტოლვილთა სამართლებრივ მდგომარეობას, ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის წესს, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე იმ პირთა სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, რომლებმაც იძულებით დატოვეს თავიანთი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელი ქვეყანა და შევიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. კანონის მეორე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე, ვალდებულია ლტოლვილად ცნობის თაობაზე პირადად მიმართოს განცხადებით ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია ლტოლვილად ცნობის თაობაზე მიღებულ განცხადებაზე რეაგირება მოახდინოს სამი დღის განმავლობაში. ხოლო რეგისტრაციიდან ხუთ დღეში ეძლევა ნებართვა დროებით ჩასახლების თაობაზე, რომელსაც, კანონის თანახმად, ლტოლვილის სტატუსის მინიჭებამდე უწესდება უფლებამოვალეობანი.

პირის ლტოლვილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამინისტროში შექმნილი კომისია, განცხადების რეგისტრაციიდან ოთხი თვის განმავლობაში და მისი ლტოლვილად ცნობის გადაწყვეტილების მიღებიდან ხუთ დღეში ეძლევა დადგენილი ნიმუშის მოწმობა. ლტოლვილები ყოველწლიურად გადიან ხელახალ რეგისტრაციას სამინისტროში.

იმ შემთხვევაში, თუ პირს უარი ეთქვა ლტოლვილად ცნობის თაობაზე (კომისიის მიერ მას პასუხი უნდა ეცნობოს ხუთ დღეში), მას უფლება რჩება, გაასაჩივროს გადაწყვეტილება სასამართლოში.

ლტოლვილის უფლებები განსაზღვრულია კანონის მე-5 მუხლით, ხოლო მოვალეობანი – მე-6 მუხლით. მის სამართლებრივ გარანტიებს ეხება მე-8 მუხლი, ხოლო მოქალაქეობის მიღების წესს – მე-9 მუხლი, სადაც მითითებულია, რომ ლტოლვილი საქართველოს მოქალაქეობას იღებს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ არსებული საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტა და მოხსნა მოწესრიგებულია კანონის მე-10 მუხლით. პირს უწყდება ლტოლვილის სტატუსი, თუ მან: მიიღო საქართველოს ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, ნებაყოფლობით

ისარგებლა იმ სახელმწიფოს მფარველობით, რომლის ტერიტორიაც იძულებით დატოვა, მუდმივ საცხოვრებლად გაემგზავრა საქართველოს ფარგლებს გარეთ, აღარ არსებობს ის გარემოებები, რამაც პირი აიძულა, მიეღო ლტოლვილის სტატუსი.

ლტოლვილს აქვს იგივე უფლებები, რაც საქართველოს მოქალაქეებს, გარდა პოლიტიკური უფლებებისა. ლტოლვილს არ შეუძლია არჩევნებში ხმის მიცემა, არჩევით თანამდებობაზე კენჭისყრა, სამთავრობო სტრუქტურებში სამსახური; გარდა ამისა, ლტოლვილი არ შეიძლება გაწვეული იყოს თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის სამხედრო სავალდებულო სამსახურში. არ შეიძლება ლტოლვილთა გაძევება მათი სურვილის გარეშე.

გარდა უფლებებისა, კანონმდებლობა მათ გარკვეულ ვალდებულებასაც აკისრებს; კერძოდ: დაიცვან საქართველოს კანონმდებლობა, წინასწარ აცნობონ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, რომ სურთ შეცვალონ ადრე არჩეული საცხოვრებელი ადგილი, ყოველწლიურად გაიარონ რეგისტრაცია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში. მათი სოციალურ-ეკონომიკური გარანტიები განსაზღვრულია მე-11 მუხლში. ლტოლვილთა მიღებისა და მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯები განსაზღვრულია მე-12 და მე-13 მუხლებით. კანონის დარღვევისათვის ნებისმიერი ლტოლვილი აგებს პასუხს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცედურის შესახებ არსებული დებულება ეხება საქართველოს კანონს „ლტოლვილთა შესახებ“ და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. იგი განსაზღვრავს ლტოლვილთა სტატუსის მაძიებელ პირთა რეგისტრაციას, მათთვის სათანადო პროცედურის ჩატარებას, სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის ან მოხსნის წესს, აგრეთვე, მათ უფლებებსა და მოვალეობებს.

საერთაშორისო დაცვის თვალსაზრისით, საქართველოში აქტიურად მოღვაწეობს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის (გლუკ-ის) წარმომადგენლობა, რომელსაც გახსნილი აქვს სამსახურები თბილისში, ზუგდიდსა და სოხუმში. 1998 წელს ამ წარმომადგენლობამ საქართველოში დააფინანსა ათი მილიონ სამასი ათას დოლარზე მეტი ღირებულების სპე-

ციალური პროგრამები დევნილებისა და ლტოლვილებისათვის. გლუკ-ის აპარატი უმთავრეს როლს ასრულებს ლტოლვილთა და ადგილმონაცვლე პირთა სოციალურ-სამართლებრივი დაცვის საქმეში. გლუკ-ის მანდატით დაცულია ყველა ის პირი, ვინც 1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის ოქმის საფუძველზე ლტოლვილად შეიძლება იქნეს მიჩნეული. იგი მოწოდებულია, უზრუნველყოს ლტოლვილები თავშესაფრით, დაიცვას მათი სამართლებრივი უფლებები. არ დაუშვას მათი ძალით დაბრუნება იმ ქვეყანაში, სადაც ისინი იქცნენ ლტოლვილებად.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გლუკ-ს მიანიჭა სტატუსი, დახმარება გაუწიოს ქვეყნისავე ტერიტორიაზე ლტოლვილთა ანალოგიურ პირობებში მყოფ ადამიანებს, რაც მათ საშუალებას აძლევთ, აქტიურად იმუშაონ საქართველოში და დაეხმარონ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით ადგილმონაცვლეებს.

საქართველოს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (გლუკი) წარმომადგენლობა ასევე მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირებისა და მოქალაქეობის არქონის პრევენციის სფეროში, რადგან გლუკის მანდატი მოიცავს იძულებით გადაადგილებული პირების, მათ შორის, მოქალაქეობის არმქონე პირების დაცვას. ორგანიზაციამ თავის მოვალეობებში გაითვალისწინა ის, რომ დაეხმაროს სახელმწიფოების მოქალაქეობის არქონასთან დაკავშირებული პრობლემების მოწესრიგებაში. სახელმწიფოებთან თანამშრომლობს საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების საქმეში, პროცედურების გამარტივებაში და ა.შ. გლუკის საქართველოს წარმომადგენლობა აქტიურად თანამშრომლობს ქვეყნის მთავრობასთან მოქალაქეობისა და დოკუმენტების არმქონე პირთა შემცირების, ასევე პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების პრევენციისათვის. ამის შედეგად, საგრძნობლად გაუმჯობესდა კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს საქართველო მიუერთდა გაეროს 1954 წლის კონვენციას „მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ“. ამ აქტის შემდეგ, გლუკმა სხვა ამოცანებთან ერთად, მიზნად დაისახა ვრცელი საინფორმაციო საქმიანობის წარმართვა მოქალაქეობის არმქონე პირთა დახმარების მიზნით და საზოგადოების

ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით. საქართველოს გლუკის წარმომადგენლობის მონაცემებით, საინფორმაციო კამპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზან-ჯგუფი სტუდენტები არიან. ისინი სამართლიანად თვლიან, რომ მომავალი თაობის დროულად და სწორად ინფორმირება მოქალაქეობის უფლებაზე, მოქალაქეობის არქონასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, მის გამომწვევ მიზეზებზე, მოქალაქეობის არმქონედ დარჩენის საფრთხეებზე, ასევე, ამ სფეროში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებზე ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, მომავალი თაობის ცნობიერების ამაღლებას, ხოლო მეორე მხრივ, საკითხის აქტუალიზაციის და რიგ საკითხთა პრევენციას.

ამ მიზნით გლუკის ფინანსური მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაცია „ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის“ მეშვეობით ხორციელდება პროექტი „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირება და მოქალაქეობის არქონის პრევენცია საქართველოში“. პროექტის განხორციელებას ხელს უწყობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო. პროგრამის ფარგლებში გლუკის მიერ შერჩეულია 10 უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, სადაც ტარდება ერთჯერადი ლექცია-სემინარები სამართლის ფაკულტეტების III-IV კურსის სტუდენტებისათვის, სპეციალურად შედგენილი პროგრამის საფუძველზე.

გარდა ამისა, UNHCR გლუკი, მისი მანდატის საფუძველზე ეხმარება საქართველოს მთავრობას ისეთ საკითხებში, როგორიცაა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვა და მათთვის დახმარების გაწევა, იმ მიზნით, რომ მოიძიოს მათი პრობლემების გადაჭრის გრძელვადიანი გადაწყვეტილებები.

შესაბამისად, სხვა საქმიანობასა და პროექტებთან ერთად, გლუკის ოფისი უზრუნველყოფს ფინანსურ და სხვა ტექნიკური დახმარებით ადგილობრივ და საერთაშორისო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა მათ დახმარება გაუწიოს ამის საჭიროების ადამიანებს.[1]

---

[1] პრაქტიკული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბ., 2009 წ. გვ. 3.

გარდა ამისა, იძულებით ადგილმონაცვლეთა და ლტოლვილთა სოციალური დაცვის მიკრო პროგრამებს ახორციელებენ საქართველოში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები. მათ შორის, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო, გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა დეპარტამენტი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გაეროს ასოციაცია და ა.შ.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველო ის ქვეყანაა, რომელსაც ყავს ლტოლვილები და სამწუხაროდ, იძულებით გადაადგილებული პირები ანუ დევნილები. სწორედ ამის გამო, 1996 წლის 28 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი იძულებით გადაადგილებულ დევნილ პირთა შესახებ, რომელიც განსაზღვრავს იძულებით გადაადგილებული პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტისა და ჩამორთმევის საფუძვლებს და წესს, დევნილის სამართლებრივ-ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას.

კანონით, იძულებით გადაადგილებულ პირად-დევნილ პირად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.

კანონი განსაზღვრავს დევნილად ცნობის და დევნილის სტატუსის მინიჭების წესს, დევნილის სტატუსის მაძიებელი პირის უფლებებსა და მოვალეობებს, მათ უზრუნველყოფას დროებითი საცხოვრებელი ადგილით, ადგენს დევნილის ვალდებულებებს; დევნილის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლები განსაზღვრავს დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე რეალიზაციის სახელმწიფო გარანტიებს; წყვეტს დევნილთა დახმარების საორგანიზაციო საკითხებს, ადგენს დევნილის უფლებებს ან გარანტიებს, დახმარების ფინანსურ წყაროებს და პასუხისმგებლობას კანონის დარღვევისათვის.

დღევანდელი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიიდან იძულებით ადგილმონაცვლე ქართულ მოსახლეობას თავიდანვე ლტოლვილი უწოდეს, რაც, ბუნებრივია, სწორი არ იყო, არ შეიძლება საკუთარ ქვეყანაში გახდე ლტოლვილი. შემდგომში მათ სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ: დევნილი, იძულებით გადაადგილებული, რაც დაფიქსირებულია საერთაშორისო დოკუმენტებშიც. მაგრამ, ჩვენი აზრით, იძულებით ადგილმონაცვლეობა უფრო შეესაბამება მათ სამართლებრივ და რეალურ მდგომარეობას, რადგან ადამიანი ნივთი არ არის, რომ გადააადგილო. ბუნებრივია, პრობლემა საერთაშორისო მასშტაბით არის აქტუალური. მსოფლიოს მრავალ კუთხეში უამრავი ცხელი წერტილია და სამწუხაროდ, ლტოლვილთა და იძულებით ადგილმონაცვლეთა რიცხვი არ კლებულობს. კანონმდებლობის დახვეწა კიდევ უფრო კონკრეტულს გახდის მათ სტატუსს. იძულებით ადგილმონაცვლეთა დახმარებისათვის აუცილებელია სამართლებრივი და ინსტიტუციონალური არეალის განვითარება და ქვეყნის შიდა მისიების განხორციელება, რათა საბოლოოდ მაქსიმალურად იქნას დაცული ადგილმონაცვლეთა უფლებები და თავისუფლებები.

§4. „ჰუმანიტარული ჩარევის“ კონცეფცია

„ჰუმანიტარული მოტივებით ჩარევის უფლება“ ანუ „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ არის ადამიანის უფლებათა უხეში და მასობრივი დარღვევების ჩამდენი სახელმწიფოს წინააღმდეგ, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სამხედრო-ეკონომიკური და სხვა სახის მოქმედების ძალის გამოყენება, რადგან არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, თავის ტერიტორიაზე ჩაიდინოს საერთაშორისო სამართლით აკრძალული ისეთი დანაშაულებები, როგორებიცაა გენოციდი, აპართეიდი, ეთნიკური წმენდა და ა.შ.

საერთაშორისო სამართლის მიხედვით განმარტებულია ლექსიკონში, „ინტერვენცია“ ნიშნავს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს შიდა საქმეებში ძალის გამოყენებით ჩარევას ან სხვაგვარ უკანონო ქმედებას, რომელიც

მიზნად ისახავს ამ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის დარღვევას, პოლიტიკური წეს-წყობილების ან ორიენტაციის შეცვლას, რაც შეუთავსებელია გაეროს წესდებასთან. საერთაშორისო სამართალში განასხვავებენ შეიარაღებულ, ეკონომიკურ, დიპლომატიურ ინტერვენციას, რომელთაგან ყველაზე საშიში ფორმაა შეიარაღებული, ანუ სამხედრო ინტერვენცია. იგი აგრესიის აქტს წარმოადგენს და ომის დანაშაულად ითვლება. სახელმწიფო, რომელიც სამხედრო ინტერვენციას განიცდის, უფლებამოსილია იბრძოლოს ინტერვენტის წინააღმდეგ, ყველა მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებით. აგრესიული ომისაგან განსხვავებით, რომელიც ჩვეულებრივ, ქვეყნის ანექსიას ისახავდა ან ისახავს მიზნად, შეიარაღებული აგრესიის მიზანს წარმოადგენს ის, რომ ძალით შეცვალოს ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკური რეჟიმი, ამასთან, მისთვის ფორმალურად სუვერენული სახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნებით. 1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკური რუსეთის წითელი არმიის ინტერვენციას ემსხვერპლა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო წყობა და მოხდა საქართველოს ფაქტობრივი ანექსია, თუმცა, 1922 წლის დამლევამდე, ის ფორმალურად დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსს ინარჩუნებდა.[1]

ჩარევის უფლება და მოვალეობა გულისხმობს ჰუმანიტარული მოტივებით შეიარაღებული ჩარევის გამართლებას.ეს პრობლემა კი არ შედის ჰუმანიტარული სამართლის სფეროში, არამედ განეკუთვნება ნორმებს, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობებში შეიარაღებული ძალის გამოყენების კანონიერებას განსაზღვრავენ, ე.ი. jis at bellum-ს.

გაეროს წესდების 51-ე მუხლი არ კრძალავს ძალის გამოყენებას, როდესაც სახელმწიფოს თავს ესხმიან და იგი იძულებულია, თავი დაიცვას. ძალის გამოყენება ნებადართულია და გამართლებულია მესამე სახელმწიფოსათვის, რომელიც ეხმარება აგრესიის მსხვერპლ სახელმწიფოს. იმავე წესდების მე-2 მუხლის მე-4 პარაგრაფში ნათქვამია: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრმა, საერთაშორისო ურთიერთობებ-

[1]თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ. 2008წ. გვ. 155.

ისას თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ძალის გამოყენების, მუქარის, ან რაიმე სხვა მოქმედებისაგან, რომელიც არ შეესაბამება გაერთიანებული ერების მიზნებს". აქედან გამომდინარე, საჭიროა გაირკვეს, სად გადის ზღვარი ძალის გამოყენების აკრძალვასა და დაშვებას შორის. ასევე, დასადგენია განსხვავება „ინტერვენციასა" და „ჰუმანიტარულ ჩარევას" შორის.

ამისათვის გარკვეული ექსკურსის გაკეთებაა აუცილებელი.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დამკვიდრდა სახელმწიფოსაგან ადამიანის გათავისუფლების იდეა ანუ სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან ადამიანის პირად ცხოვრებაში უხეში და უკანონო ჩარევისაგან თავის დაცვის ცნება, „თუკი დევნა აღწევს აუტანელ ზღვარს, ერებს შეუძლიათ, დაეხმარონ გაუბედურებულ ხალხებს".

ჰუგო გროციუსი, თავის ნაშრომში, „ომისა და მშვიდობის უფლების შესახებ", უშვებდა სამართლიანი ომის შესაძლებლობას. მას მიაჩნდა, რომ სამართლიანი ომი დაშვებულია არა მარტო თავის, არამედ სხვათა ქვეშევრდომთა დაცვის მიზნით, თუ მათ მიმართ ადგილი აქვს „აშკარა უკანონობას". ჰ. გროციუსის ეს კონცეფცია შემდგომში „ჰუმანიტარული ჩარევის თეორიად" იქცა. ამ იდეის გავრცელებას ხელი შეუწყო ხალხთა ისტორიაში მანამდე არსებულმა ფაქტებმა. მაგ. ჯვაროსნული „ინტერვენციები" რელიგიური შეფერილობით; შემდგომში, 1860 წელს, დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა აიძულეს თურქეთი, დათანხმებოდა ჩარევას „ევროპის სახელით". საფრანგეთის ძალების მეოხებით დაეცვათ ლიბანის ქრისტიანი მოსახლეობა რუსი ჯარისკაცების ძალადობისაგან. 1870 წელს, ბულგარეთში, რუსეთის მიერ განხორციელებულმა მისიამ, 1878 წელს თურქეთი აიძულა აეღო საერთაშორისო ვალდებულება, რათა დაეცვა ეროვნული უმცირესობები, მათ შორის, ქრისტიანული დიასპორა.[1] თუმცა, არსებობს განსხვავებული აზრიც.ამ პრობლემის ირგვლივ გამოქვეყნებული ნაშრომებიდან ყურადღებას იმსახურებს რუსი მეცნიერის, ნ. უშაკოვის მონო-

[1]Международный комитет Красного Креста. М., 2002. стр.8

გრაფია,[1] რომელშიც კრიტიკულადაა განხილული ჰუმანიტარული ჩარევის“ იურიდიული ბუნება. მისი აზრით, საერთაშორისო თუ ლოკალურ ან ორმხრივ სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებებში, „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ არ გამოიყენება. ეს ტერმინი უცხოა საერთაშორისო სამართლისათვის, თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში, გაეროს დოკუმენტებსა და გაეროს გენერალური მდივნის გამონათქვამებში, გამოყენებულია ტერმინი - „ჰუმანიტარული ჩარევა“. მკვლევარის აზრით, ტერმინთა სხვადასხვაობით არ იცვლება ჰუმანიტარული ინტერვენციის სამართლებრივი ბუნება, რადგან „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ არაბუნებრივია და არავითარი გამართლება არ გააჩნია, რადგან იგი უპირისპირდება იმპერატიულ ნორმას: „iu-dagena“,რაც გულისხმობს: „არც ერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს, არა აქვს უფლება, ჩაერიოს პირდაპირ თუ არაპირდაპირ, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს, სხვა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმეებში“. ამ მოსაზრებას ეთანხმება მკვლევარი მ. შენგელია და სამართლიანად სვამს კითხვას, რომლის არსიც შემდეგში მდგომარეობს: „საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ცნება (ან ტერმინი) „ჰუმანიტარული „ინტერვენცია“. გარდა ამისა, უცხო სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევა სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში, არა მარტო აკრძალულია საერთაშორისო სამართლით, არამედ ნებისმიერ ქმედება უნდა აღიკვეთოს იარაღითაც კი (ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის საფუძველზე), თუკი ასეთი „ჰუმანიტარული შეიარაღებული ჩარევა“ წარმოებს სხვადასხვა საბაბით, გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე. ჩარევის აღსაკვეთად უშიშროების საბჭოს მიერ გატარებულ ზომებს გაეროს წესდების 42-ე მუხლის მიხედვით, აღნიშნულ შემთხვევაში არ შეიძლება ეწოდოს „შეიარაღებული“ ან „ჰუმანიტარული ჩარევა“.[2]

ხარებავა ერთ გავრცელებულ აზრს წააგავს: დარგის სპეციალისტი თავის მოვალეობად თვლის ჩვენს უწყებაში არსებული მექრთამეობის შემთხვევებს. მე ვეცადე, მაგრამ

---

[1] *Ушаков Н.А.* Правовое регулирование установления силы в международных отношениях. М., 1997 г.

[2] „ჩარევის“ საერთაშორისო სამართალი, ქუთ. 2002წ. გვ. 110.

ვერ აღვკვეთე კანონსაწინააღმდეგო ქმედებები და რაღაც უნდა მოვიფიქროთ. სანამ სხვა უწყება არ დაინტერესდება, მაგას მე ვიზამ, „მაყარიჩი“ თუ იქნებაო, მიუგო მოადგილემ. არსებობს ასეთი მოსაზრებაც: „მართალია, არ არსებობს „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ ოფიციალური განმარტება, მაგრამ ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს ის, რომ გარეშე ძალებს უფლება აქვთ და ზოგიერთი გარემოების გათვალისწინებით, ვალდებულებაც, ჩაერიონ კონფლიქტში, რათა დაიცვან სხვა ქვეყნის ხალხი, რომლებიც კონფლიქტის მსხვერპლად ქცეულა იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს კონფლიქტი ეროი ქვეყნის შიგნით მიმდინარეობს.[1] ჩვენი აზრით, აქ საკითხი ცნების განსაზღვრაში და ტერმინთა შერჩევაში კი არაა, არამედ შემდეგშია: საერთოდ, უნდა არსებობდეს თუ არა სამართლებრივად ჩარევის შესაძლებლობა, რომელიც არ წარმოადგენს დახმარების მოტივით ტვირთების ცხელ წერტილში უსაფრთხოდ ჩატანის უზრუნველყოფას.

„ამ შემთხვევაში მათ უფლება ეძლევათ, აქტიურად გამოიყენონ იარაღი თავისი ამოცანების შესასრულებლად. ასე მოხდა სერბიის მიმართ, გაეროს მიერ მიღებულ ღონისძიებათა რეალიზაციის დროს“ (1922 წლის ოქტომბერ-დეკემბერი).უფრო ფართომასშტაბიანი ოპერაციები ჩატარდა სომალიში, სადაც გაეროს ძალებმა იერიში მიიტანეს იმ ქვეყანაში ერთმანეთთან მებრძოლი სამხედრო დაჯგუფებების წინააღმდეგ, რომლებიც მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების მოწოდებას აბრკოლებდნენ.[2]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაეროს წესდება, ძალისმიერი მეთოდების აკრძალვებთან ერთად, უშვებს „ჰუმანიტარული ჩარევის“ შესაძლებლობასაც, მაგრამ მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში.

ყველა ახალ კონცეფციას ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგებიც. დარგის სპეციალისტთა აზრით, ჰუმანიტარული ჩარევა ნიშნავს საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებას სახელმწიფოს კანონმდებლობაში, საერთაშო-

---

[1] იქვე, გვ. 111

[2] Женевские Конвенции от 12 августа 1949 г. дополнительные протоколы к ним. М. 1979 г. стр.32

რისო სტანდარტები უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებათა დარგში, გულისხმობს სახელმწიფოთა მიერ თავისი საკონსტიტუციო კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას, ზოგად საერთაშორისო სტანდარტებთან, შემდეგ კი, მათი განხორციელების პრაქტიკას.[1] ამ დებულებების მხარდაჭერის საფუძველს იძლევა „მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ არსებული პაქტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი. იგი ითვალისწინებს იმას, რომ ამ შეთანხმების თითოეული მონაწილე მიიღებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ზომებს, რაც აუცილებელია პაქტის მიერ აღიარებული უფლებების განხორციელებისათვის. ამ კონცეფციის კრიტიკოსები გლობალიზაციისა და ინტერვენციის პირობებში, ეჭვის ქვეშ აყენებენ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სუვერენიტეტს ან უშვებენ მის „ნაწილობრივ კვდომას“; თუმცა, „ისტორიულმა ფაქტორებმა განაპირობა საყოველთაო უფლებების „ინტერვენციული“ ხასიათი“.[2] მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ადამიანის უფლებების დაცვის მოტივით, დასავლეთმა მრავალ ქვეყანაში განახორციელა მთელი რიგი (მათ შორის სამხედრო) ღონისძიებებიც. ამ პროცესს „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ სახელი უწოდეს და მართლაც, ჰუმანური მიზნების ფონზე (შიმშილის, სიღარიბის, სტიქიური უბედურების, ადამიანთა უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით), ადგილი ჰქონდა ქვეყნის ფაქტიურ ოკუპაციას და იქ, მათთვის მისაღები ხელისუფლების დასმას. გარდა ამისა, მოსახლეობის მატერიალური დახმარებისა და მათი უფლებების დაცვის მიზნით, „ჰუმანიტარულ ინტერვენციას“, ზოგიერთ შემთხვევაში სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან სახელმწიფოები ვერ წყვეტენ ადამიანთა უფლებების პრობლემებს. მიუხედავად იმისა, რომ „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ თეორიამ მწვავე კრიტიკა განიცადა და უფრო მეტიც, გაკიცხვა სახელმწიფოს შეუზღუდავი სუვერენიტეტის თეორიის მომხრეთაგან. ბოლოს და ბოლოს, მეცნიერთა დიდი უმრავლესობა, მრავალი საერთაშორისო სამ-

---

[1] დ. შინდერი, წითელი ჯვრის საერთაშორისო სამართალი და ადამიანის უფლებები, ჟენევა, 1973 წ. გვ. 32.

[2] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონ-ცნობარი), თბ. 2003წ. გვ. 33

თავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ, მეორე სახელმწიფოში „ჰუმანიტარული ინტერვენცია“, სრულად დასაბუთებულია და დისკუსია უნდა წარმოებდეს არა მისი ყოფნა-არყოფნის, არამედ მისი საზღვრების, „ინტერვენციის“ ფარგლების შესახებ.[1]ასეთ პოზიციას მისაღებად მიიჩნევენ.

საბოლოოდ, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი საერთაშორისო საჯარო სამართლის შემადგენელი და დამოუკიდებელი დარგია, რომელიც მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირთა უფლებებსა და ინტერესებს ემსახურება, რომლის ნორმების დაცვა ყველა ქვეყნისათვის სავალდებულოა. ამდენად, სტუდენტმა-ახალგაზრდობამ, მომავალმა იურისტებმა და პოლიციის მუშაკებმა უნდა იცოდნენ ის ძირითადი მოთხოვნილებები, რომლებიც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებითაა გათვალისწინებული და მიმართულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მაქსიმალური დაცვისაკენ. ტყვეობაში თუ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყოფნის დროს, ყველას უფლებების განსაზღვრისა და განმტკიცებისათვის, მითუმეტეს, საქართველოსათვის, ამ დარგს არა მარტო თეორიული, არამედ უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია, რადგანაც ქვეყნის ტერიტორიაზე არა ერთ შეიარაღებულ კონფლიქტს უკვე ჰქონდა ადგილი და მომავალშიც არა ვართ დაზღვეული მსგავსი მოვლენებისაგან.

„ამავე დროს,სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ წარმოშვა ომის საშუალებათა ისეთი სახეები, რომლებიც კაცობრიობას სრული განადგურებით ემუქრებიან.ბირთვული და სხვა მსგავსი იარაღის გამოყენებამ უშიშროების საკითხი გლობალურ პრობლემად აქცია.ყველა ქვეყნის უშიშროება ერთმანეთს დაუკავშირა და ერთი ჯაჭვით გადააბა“.[2]

საბოლოოდ, ასეთ დასკვნამდე მივდივართ: საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა სამართალი დამოუკიდებლად განვითარდნენ, როგორც საერთაშორისო სამართლის ცალკე დარგები. მიუხედავად მოქმედების

---

[1] ბ. სავანელი, ადამიანი უფლებები, თბ. 2001წ. გვ. 40

[2] ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 1999წ. გვ. 12.

სფეროების მნიშვნელოვანი განსხვავებისა, ადამიანის უფლებათა სამართალი სახელმწიფოს ზღუდავს მისივე მოქალაქეებისა და სხვა პირების მიმართ.საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კი, მეომარ მხარეთა შორის ურთიერთობებზე ზეგავლენის მოხდენის გზით, მტრის ხელში ჩავარდნილი პირის, ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. გარდა ამისა, სამოქალაქო ომის დროს „მტრის ხელში ჩავარდნილი პირები“, იმავე სახელმწიფოს მოქალაქეები არიან. შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში ხდება ადამიანის უფლებათა სამართლისა და ჰუმანიტარული სამართლის მექანიზმებისა და გარანტიების თანხვედრა, რამაც ნაშრომში ამ პრობლემების განხილვა განაპირობა.

§5. „ცივი ომის” ცნება, პერიოდიზაცია და სამართლებრივი შედეგი

თავდაპირველად ცივი ომი წარმოიშვა ომისშემდგომი მსოფლიო მოწყობის შესახებ განსხვავებული შეხედულებების შედეგა, რომელმაც გააჩინა ეჭვი და უნდობლობა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის.პირველი ასეთი კონფლიქტი მოხდა პოლონეთის საკითხთან დაკავშირებით. ამის შემდგომ პოლიტიკურ ლიდერთა საჯარო განცხადებებმა „ცივი ომის“ დაწყება რეალობად აქციეს. 1946 წელს ი. სტალინმა განაცხადა „მსოფლიოს ეკონომიკის ახლანდელი კაპიტალისტური განვითარების პირობებში ყოფნა შეუძლებელია“.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა ფულტონში აღნიშნა (ტრუმენთან ერთად): „კონტინენტზე რკინის ფარად ჩამოეშვა“, ამიტომ ბრიტანეთმა და შეერთებულმა შტატებმა უნდა ითანამშრომლონ საბჭოთა საფრთხის წინააღმდეგ.[1]

„ცივი ომის რეჟიმში დიდ ხანს მოუწია ყოფნა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს. ამ პროცესის დაწყებას გარკვეული წინაპირობები გააჩნდა. ეს იყო ორი განსხვავებული იდეოლოგიის დაპირისპირება და გავლენის სფეროებზე ზეგავლენის მოპოვება, რაც ახასიათებდა II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს.

---

[1]ამერიკის ისტორიის ესკიზები. გვ. 282.

ამ მოსაზრების დასტურია სპეციალისტთა აზრი იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირის არსებობამ ხელი შეუწყო საერთაშორისო სამართლის შემდგომ ჰუმანიზაციას და დემოკრატიზაციას, კოლონიალიზმის სისტემის დაშლას, თუმცა ყველაფერი ეს მიმდინარეობდა დასავლეთის დიდ სახელმწიფოებთან ზეგავლენის სფეროების განაწილებისათვის გააფრთებული ბრძოლის პირობებში.ავადსახსენებელი „ცივი ომის“ ნიშნის ქვეშ.[1]

სახელმწიფოთა ან მათ დაჯგუფებათა მწვავე დაპირისპირება „ცივი ომის” მდგომარეობაში გადასვლას ნიშნავს. რადიკალურად განსხვავებული იდეოლოგიების გამო ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა, ერთი მხრივ, აშშ-სა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებს, ხოლო მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირსა და მის სატელიტებს შორის, რამაც თავი იჩინა მეორე მსოფლიო ომის შედგომ პერიოდში და 90-იანი წლების დასაწყისამდე გრძელდებოდა.[2] დღევანდელი მსოფლიო საზოგადოება ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გარკვეული იმაში, თუ რა დიდი ზეგავლენა იქონია „ცივი ომის” ეპოქამ კაცობრიობის ისტორიაზე და რა კარდინალური ძვრები განიცადა ამ პერიოდში ადამიანთა წარმოდგენებმა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განსაკუთრებით გაიზარდა პრობლემის მნიშვნელობა. ესპანელი ფილოსოფოსი ორტეგა-ი-გასეტი სწორედ ამ მოვლენას უწოდებდა მასების ამბოხს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოხდა ე.წ. „კომუნიკაციური აფეთქება”. გაზეთების, წიგნების, რადიომიმღებისა და რადიოგადამცემების, ტელევიზორების რაოდენობა 50-ჯერ და 100-ჯერ გაიზარდა. მკვლევართა აზრით, მსოფლიო ერთგვარად შეიკუმშა, დაპატარავდა. შესაძლებელი გახდა ინფორმაციის გავრცელება მსოფლიოს ნებისმიერი კუთხეში.აქედან გამომდინარე, უაღრესად ადვილი გახდა ხალხთა ფართო მასებისათვის იდეების მიწოდება და ადამიანთა განწყობილებებისა და შეხედულებების მართვა. სწორედ ამ მიზნით გამოიყენეს პროპაგანდა „ცივი ომის” დროს, როგორც იდეების გავრცელების ხელოვნება.[3]

---

[1] ლ. ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 1999 წ. გვ. 40.

[2] თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი) თბ. 2003წ.გვ 392

[3] ამერიკის შესწავლის საკითხები, თბ.2003წ.გვ27

„ცივი ომი" გამოხატავდა XX საუკუნის მეორე ნახევრის საერთაშორისო ურთიერთობათა იმ ძირითად შინაარსს, რომ მსოფლიოს ორ ძირითად პოლუსს შორის არც ომი იყო და არც მშვიდობა. 1945 წელს, ნაცისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ, სსრ კავშირი და აშშ წარმოადგენდნენ მსოფლიოს ორად ორ სუპერსახელმწიფოს. 1945 წლის შემდეგ, გაეროს წესდების VII თავი, რომელიც უშიშროების საბჭოს მოქმედებას განსაზღვრავდა, პრაქტიკაში ნაკლებად გამოიყენებოდა და სახელმწიფოები პერიოდულად (განსაკუთრებით, 1950-იან წლებში) მიმართავდნენ გენერალურ ასამბლეასა და სამდივნოს, ამ ხარვეზის შესავსებად. მრავალი მიზეზის გამო, საბჭოთა კავშირი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ამ ტენდენციას. ასე რომ, 1960 წლის შემდეგ, ძალაუფლება კვლავ უშიშროების საბჭოს დაუბრუნდა. 1950-იან წლებში გენერალური ასამბლეა ითხოვდა გაეროს სამშვიდობო ძალების შექმნის უფლებას და რეალურად განახორციელა კიდეც იგი 1956 წელს. 1960 წლიდან გაეროს ყველა სამშვიდობო ძალა უშიშროების საბჭოს მიერ იყო შექმნილი და გენერალური ასამბლეის მხრიდან აღარ ყოფილა გაეროს სხვა სამშვიდობო ჯარების შექმნის არანაირი სერიოზული მცდელობა. საკითხი იმის თაობაზე, აქვს თუ არა გენერალურ ასამბლეას გაეროს სამშვიდობო ძალების შექმნის კანონიერი უფლება, უკვე აღარ არის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობისა, თუმცა, პ. მალანჩუკი თვლის, რომ ჯერ კიდევ ღირს მისი შესწავლა, რადგან იგი ნათელს ჰფენს სხვა უფრო მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემებს.

სსრ კავშირმა, მართალია, ფაშიზმისაგან გაათავისუფლა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, მაგრამ შემდგომ თვითონვე მოახდინა ზოგიერთის ოკუპაცია. ასევე, გადამწყვეტი როლი შეასრულა აშშ-მ დასავლეთ ევროპის გათავისუფლების საქმეში. დამარცხებული გერმანიის ტერიტორია ოთხ საოკუპაციო ზონად დაიყო (სსრ კავშირის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის). შემდგომში ცხადი გახდა, რომ სსრ კავშირს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში განზრახული ჰქონდა კომუნისტური რეჟიმის დამყარება. აშშ და დასავლეთის სხვა სახელმწიფოები, რომლებმაც დაინახეს კომუნიზმის ექსპანიის რეალური საფრთხე, აშკარად დაუპირისპირდნენ სსრ კავშირს. ჩამოყალიბდა ე.წ „სსრ კავშირის აგრესიის შეკავების თეორია".

ეს დაპირისპირება ლიტერატურაში, ხშირად, „დასავლეთ-აღმოსავლეთის" დაპირისპირების სახელით მოიხსენიება.[1]

მართალია ის, რომ სახელმწიფოებს შორის, გაეროს წესდების 43-ე მუხლის შესაბამისად, არავითარი შეთანხმება არ დადებულა. ამას ხელი არ შეუშლია გაეროსათვის, სხვა საშუალებებით შეეკრიბა სამხედრო ძალები. მაგალითად, ასეთი ძალები იქნა გაგზავნილი ახლო აღმოსავლეთში 1956 წელს და კონგოში, 1960 წელს. საბჭოთა კავშირი დაობდა, რომ ეს ორი ძალა უკანონო ფორმირებას წარმოადგენდა, იყო რადგან ისინი, 43-ე მუხლით განსაზღვრული პროცედურის თანახმად არ შექმნილა. ამაზე საერთაშორისო სასამართლომ უპასუხა, რომ ეს შეიარაღებული ძალები იძულებითი ზომების გასატარებლად არ შექმნილა და რომ 43-ე მუხლი მხოლოდ იმ შეიარაღებულ ძალებზე ვრცელდება, რომლებიც იძულებითი ზომების გატარებისთვისაა გამიზნული; შესაბამისად, 43-ე მუხლის მოთხოვნების უგულვებელყოფას ამ შეიარაღებული ძალების შექმნის უკანონოდ აღიარება არ გამოუწვევია.

თუმცა, როგორც ჩანს, საერთაშორისო სასამართლოს არ უგულისხმია, რომ 43-ე მუხლით დადგენილი პროცედურის უგულებელყოფას, შეეძლო გამოეწვია იძულებითი ზომების განსახორციელებლად შექმნილი შეიარაღებული ძალების უკანონოდ გამოცხადება.როდესაც 42-ე მუხლი ამბობს, რომ „ზომები (გაეროს) ძალებით – შეიძლება მოიცავდეს ორგანიზაციის წევრების ძალების ოპერაციებს, ის აშკარად გულისხმობს, რომ არსებობს გაეროს ძალების შექმნის ერთზე მეტი გზა.

43-ე მუხლის მიზანი იყო უშიშროების საბჭოსათვის მოქმედების გაადვილება; ამ მიზნისათვის აბსოლუტურად მიღებული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ 43-ე მუხლით გათვალისწინებული შეთანხმებების არსებობას, უშიშროების საბჭოსათვის მოქმედებაში ხელი უნდა შეეშალა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 43-ე მუხლი ადგენს პროცედურას, რომლის თანახმადაც უშიშროების საბჭოს შეუძლია იმოქმედოს, მაგრამ ის მას ხელს არ უშლის ალტერნატიული პროცედურის არჩევაში.

---

[1]თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ. 2003წ.გვ 392

ცივი ომის პერიოდში, აშშ-მ შეძლო, გამხდარიყო დასავლეთის, ანუ კაპიტალისტური სამყაროს ლიდერი, დასავლური ცივილიზაციისა და ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებათა გადარჩენის გარანტი. ამასთან ერთად ცხადი გახდა, რომ აშშ მთელ არაკომუნისტურ სამყაროში ცდილობდა ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობის მოპოვებას, რაც ევროპისა და იაპონიის მედგარ წინააღმდეგობას აწყდებოდა. თუმცა, კომუნისტურ სამყაროსთან ბრძოლის აუცილებლობა პირველ ხანებში ანელებდა ამ წინააღმდეგობას. ამიტომ, აშშ-სათვის დამახასიათებელი იზოლაციონისტური პოლიტიკა, რომელსაც ამერიკა 150 წლის განმავლობაში ადგა, შეიცვალა უაღრესად აქტიური საგარეო პოლიტიკური კურსით. ამერიკული მხარე განსაკუთრებით გააქტიურდა1949 წლიდან. ამერიკამ თავისი პროპაგანდის წარმოება უფრო აგრესიული მეთოდებით დაიწყო. ჰარი ტრუმენმა და ედუარდ ბარეტმა („ნიუსვიკის" ყოფილი რედაქტორი) შექმნეს რადიოსადგური „განთავისუფლება" (შედგომში „თავისუფლება") და 1950 წელს, ივნისში შეიმუშავეს პროპაგანდის შემტევი გეგმა – სიმართლის კამპანია. ბარეტის მიერ შემუშავებული რეზოლუცია მოუწოდებდა „იდეების სფეროში მარშალის გეგმის განხორციელებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით". რეზოლუცია ასევე მოითხოვდა „საერთაშორისო პროპაგანდის" ეროვნული პოლიტიკის გამოცხადებას.

კომუნიზმის შეჩერების საბაბით, აშშ-მ განახორციელა ისეთი სახის ღონისძიებები, როგორებიც იყო ეკონომიკური დახმარება (მარშალის გეგმა), საბერძნეთისა და თურქეთისათვის სამხედრო მხარდაჭერა, ნატოს ჩამოყალიბება, ყოველგვარი ხელშეწყობა გფრ-სათვის და მისი ნატოში გაწევრიანება, სამხედრო ბლოკების შექმნა და სხვა, რაც უკვე აღინიშნა.

60-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაძაბულობა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის შედარებით შენელდა. ხრუშჩოვის მიერ წამოყენებული „მშვიდობიანი თანაარსებობის" დოქტრინის ფარგლებში, შედარებით შერბილდა იდეოლოგიური დაპირისპირება, მაგრამ მიუხედავად 1958 წელს კულტურის სფეროში მიღწეული შეთანხმებებისა, 1960 წელს ყველაფერი კვლავ ძველებურ ყოფას დაუბრუნდა. იდეოლოგიური და პროპაგანდისტული ბრძოლა ახალი სიმძლავრით განახლდა, თუმცა

მისმა ეპიცენტრმა ძირითადად „მესამე მსოფლიოს" ქვეყნებში გადაინაცვლა. ამ ერთგვარი „განმუხტვის" (დეტანტის პოლიტიკისა, როგორც ამას აშშ-ში უწოდებენ და პრეზიდენტ ნიქსონის სახელს უკავშირებენ) შედეგები იყო ოთხმხრივი შეთანხმება დასავლეთ ბერლინის შესახებ (1971), სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულებები აშშ-სა და სსრკ-ს შორის (1972, 1979), ვიეტნამის ომის დამთავრება (1973), ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირი (1975) და სხვ. თუმცა ამ გარეგნული სიმშვიდის უკან, გრძელდებოდა სერიოზული დაპირისპირება უფრო ფარული ფორმით და, რაც მთავარია, ახალ გეოპოლიტიკურ რეგიონებზე (ახლო არმოსავლეთი, ტროპიკული აფრიკა, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, ცენტრალური ამერიკა) გავლენის მოპოვების მიზნით. 70-იანი წლების ბოლოსათვის, „ცივი ომი" ძირითადად წარმოგვიდგებოდა „აქცია-რეაქციის" სახით, როდესაც, ერთი მხარე, დაუყოვნებლივ ახდენს საპასუხო რეაქციას მეორე მხარის მოქმედებაზე. „ცივი ომის" მიზეზებისა და შინაარსის შესახებ სამი განსხვავებული შეხედულება არსებობს. პირველი მათგანის მიხედვით, რომელიც დასავლეთის სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში იყო მიღებული, „ცივი ომის" წარმოებაში მთავარი დამნაშავე არის საბჭოთა კავშირი და მისი კომუნისტური რეჟიმი, რომელმაც მიზნად დაისახა მთელი მსოფლიოს „გაწითლება". აშშ კი იძულებული გახდა, წინ აღდგომოდა საბჭოთა ექსპანსიონიზმის საფრთხეს და გადაერჩინა დასავლური ფასეულობები. მეორე შეხედულებით, (საბჭოური შეხედულება), ცივი ომი გამოიწვია აშშ-ს იმპერატიულმა მისწრაფებებმა მსოფლიო ბატონობისაკენ და კომუნიზმის განადგურების განზრახვამ. მესამე შეხდულებით, გერმანიის განადგურებამ წარმოშვა ძალის ვაკუუმი. მაშასადამე, „ცივი ომი" იყო ჩვეულებრივი კონფლიქტი ბიპოლარული მსოფლიოს ორ ზესახელმწიფოს შორის და იდეოლოგიური მომენტი აქ მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებდა. 80-იანი წლების პირველ ნახევარში დაძაბულობა მკვეთრად გაძლიერდა, რაც გამოიწვია საბჭოთა კავშირის ინტერვენციამ ავღანეთში.ორივე მხარემ მნიშვნელოვნად გაზარდა სამხედრო ხარჯები, ბირთვული არსენალი და სამხედრო ბაზების რიცხვი. კულმინაციას მიაღწია იდე-

ოლოგიურმა დაპირისპირებებმაც. მაგრამ 1985 წლიდან საბჭოთა კავშირში დაწყებულმა და განხორციელებულმა „გარდაქმნის“ კურსმა არსებითი ცვლილებები შეიტანა „ცივი ომისა“ და საერთოდ, საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში. სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვამ და საბჭოთა ჯარების გამოყვანამ ავღანეთიდან, საერთაშორისო ვითარება სასიკეთოდ შემოაბრუნეს, ხოლო ბერლინის კედლის დანგრევა, კომუნისტური რეჟიმების დამხობა აღმოსავლეთ ევროპაში და იქიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირის დაშლა, ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის დასასრულის მომასწავებელი გახდა. 1992 წლის დამდეგისათვის, როდესაც საბჭოთა კავშირი, როგორც სახელმწიფო, უკვე აღარ არსებობდა და კომუნისტური რეჟიმიც მთელ ევროპაში დაემხო. დაიწყო ცივი ომის შეწყვეტის პროცესი, რომელიც საბოლოოდ რუსეთის ნატოსთან მჭიდრო დაკავშირების სურვილით (2002 წლის ივნისი) დასრულდა. მიუხედავად ცივი ომისა, რასაც თან ახლდა დასავლეთ-აღმოსავლეთის მწვავე იდეოლოგიური და პოლიტიკური დაპირისპირება, საერთაშორისო სამართალში შეიჭრა და მთელი რიგი პროგრესული, ზოგადდემოკრატიული ნორმები, რომლებმაც საერთაშორისო სამართალი ჭეშმარიტად საყოველთაო საერთაშორისო მართლწესრიგად აქციეს. შეიქმნა სოლიდური ბაზა კაპიტალისტური, სოციალისტური და არენაზე ახალგამოსული „მესამე სამყაროს ქვეყნების“ ურთიერთობებისათვის.

საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, ცვალებადმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ უშიშროების საბჭო, რომელშიც დღეს წამყვანი ადგილი დასავლეთის ქვეყნებს უჭირავთ აშშ-ს ლიდერობით, ახალ და ცენტრალურ პოზიციაზე დააყენა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვასთან დაკავშირებით.[1] როგორც როზალინ ჰიგინსმა აღნიშნა:

ცივი ომის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა შეერთებული შტატების მიერ ძალის ცალმხრივად გამოყენება გაეროს გვერდის ავლით. მას შემდეგ, რაც მისი საკუთარი მიზნები გაეროს მიზნებს დაეხმარა, ერაყის მიერ ქუვე-

[1] P.B. Stephen B.M. Klimenko (eds) international Law and Political Security: Military and Political Dimentions (u.s Sovient Dialogue scries) 1991

ითის დაპყრობის შემთხვევაში, შეერთებულ შტატებში დაინახეს გაეროს საგარეო პოლიტიკის ცენტრად გადაქცევის უპირატესობა. ძველი, მტრულად განწყობილი საბჭოთა კავშირის გაუჩინარებამ უფრო კომფორტული გარემო შექმნა უშიშროების საბჭოში. შეერთებულ შტატებს, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის მნიშვნელოვანი საერთო ინტერესი არსებობდა მშვიდობისა და უშიშროების საკითხებთან დაკავშირებით, რასაც ასევე ბევრი საერთო ჰქონდა რუსეთის ფედერაციის ინტერესებთანაც. კვლავ რთულია სიტუაცია ჩინეთთან დაკავშირებით, მაგრამ ის თავს საკმარისად ძლიერად არ გრძნობს იმისთვის, რომ ვეტოს უფლება გამოიყენოს.

უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრს შორის ახალი თანამშრომლობის სწრაფი შედეგი იყო სპარსეთის ყურის პირველი ომის დასრულება 1988 წლის აგვისტოში. საბჭოთა ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან იმ გეგმის საფუძველზე განხორციელდა, რომელსაც გაეროს გენერალური მდივანი მედიატორობდა. 1989 წელს აფრიკაში კუბამ ანგოლიდან გაიყვანა ჯარები, ხოლო 1990 წლის მარტში ნამიბიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა უშიშროების საბჭოს მიერ 1978 წელს მიღებული რეზოლუციის საფუძველზე. მნიშვნელოვანი როლი გაეროს მიენიჭა ცენტრალური ამერიკის კონფლიქტების მოგვარებაში. თუმცა ორი ძირითადი მოვლენა, რამაც ბიძგი მისცა გაეროს როლის გაძლიერებას, იყო 1990 წლის აგვისტოში ერაყის შეჭრა ქუვეითში, რასაც 1991 წელს წესდების VII თავის საფუძველზე განხორციელებული მოკავშირეთა სამხედრო აქცია მოჰყვა, და ძირითადად ხელოვნურად ინსპირირებული, ქვეყნის საშინაო კონფლიქტებში მომხდარი მასობრივი ძალადობა, როგორებც იყო ტრაგედიები იუგოსლავიაში, სომალისა და რუანდაში.

1990 წლის იანვარში მალტაში გამართული უმაღლესი დონის შეხვედრაზე ბუშსა და გორბაჩოვს შორის მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა. ბუშმა განაცხადა იმის თაობაზე, რომ 195000-მდე ჯარისკაცით შეამცირებდა ევროპაში განლაგებულ აშშ-ს ჯარებს. ამის შემდეგ გამართული დისკუსიების შედეგად საბჭოთა კავშირმა უარი თქვა თავის ომისდროინდელ უფლებებზე და აღიარა გაერთიანებული ერმანია NATO-ს სრულუფლებიანი წევრის სტატუსით. ამას მოყვა ყველაზე ამ-

ბიციური შეთანხმებები (CSCE, CFE) შეიარაღებათა მრავალი სახეობის შემცირებათა შესახებ, რასაც სპეციალისტები თვლიდნენ „ცივი ომის“ დასასრულად.[1]

უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს შორის ახალმა დამოკიდებულებამ გამოხატულება პოვა 1992 წლის იანვარში, უშიშროების საბჭოს არსებობის მანძილზე, სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურთა დონეზე პირველ შეხვედრაზე მიღებულ უმნიშვნელოვანეს განცხადებაში. განცხადებაში ხაზი გაესვა იმას, რომ არასტაბილურობის არასამხედრო წყაროები ეკონომიკურ, სოციალურ, ჰუმანიტარულ და ეკოლოგიურ სფეროებში საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას.[2]

ჰ. მალანჩუკის აზრით, დროის მოკლე მონაკვეთში, 1990-დან 1995 წლამდე, უშიშროების საბჭომ მანამდე არნახული აქტიურობა გამოამჟღავნა. რვა შემთხვევაში გატარდა კოლექტიური ზომები VII თავის ამოქმედებით: ერაყის, ლიბერიის, ყოფილი იუგოსლავიის, ლიბიის, სომალის, ანგოლის, ჰაიტისა და რუანდის მიმართ. თითოეულ ამ შემთხვევაში სავალდებულო სანქციები წესდების 41-ე მუხლს ეფუძნებოდა. ხუთ შემთხვევაში საბჭომ გასცა სანქცია ძალის გამოყენების თაობაზე (ერაყი, სომალი, ყოფილი იუგოსლავია, რუანდა და ჰაიტი).[3]

საბოლოოდ, სპეციალისტები თვლიან, რომ პროპაგანდამ ძალზე დიდი როლი ითამაშა „ცივი ომის” ისტორიაში. მისი მეშვეობით ამერიკულმა პოლიტიკურმა წრეებმა მნიშვნელოვანი საგარეო და საშინაო პრობლემების გადაწყვეტა შეძლეს. ამერიკულ პროპაგანდას დიდი წვლილი მიუძღვის საბჭოთა ბლოკის დამარცხებაში.ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორის, სტივენ სპილბერგის გამონათქვამი: „მე დარწმუნებული ვარ, რომ კომუნიზმი ტელევიზიამ მოკლა“.

ასეთია, „ცივი ომის” პერიოდიზაცია და სამართლებრივი შედეგები, თუმცა იგი არცთუ ისე იშვიათად, ცხელ ხასიათსაც ღებულობდა გარკვეულ მასშტაბებში, ანუ, მთლად „ცივი” არ

---

[1] ამერიკის ისტორიის ესკიზები. გვ. 283.

[2] Note by the President of the Council UN SCOR, 47 in Sesion 30449 th Meeting UN Doc. S/23500 (1992) ILM 31 (1992) 759 act 761

[3] ჰ. მალანჩუკი, დას. ნაშ.გვ. 428.

ყოფილა და გარკვეულ ტემპერატურას დღესაც ინარჩუნებს. რუსეთის ფედერაციასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაპირისპირებამ სხვა ფორმატი შეიძინა, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „ნორმატიული ომი“, ანუ ურთიერთსაწინააღმდეგო კანონების მიღება, რომელიც დაიწყო აშშ-ის მიერ მაგნიტსკის კანონპროექტის გაჟღერებით, რასაც რუსეთის სასწრაფო რეაქცია მოყვა. სხვა პრობლემებთან ერთად ამას ემატება ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განვითარების საკითხი და საქართველოს ნატოსა და ევროკავშირის ინტეგრაციისა და ტერიტორიული მთლიანობის აღიარების პრობლემა.

§6. ომის წარმოების „სამართლიანი“ და უკანონო ასპექტები

დიდი ხნის განმავლობაში, ომის წარმოების შემზღუდველი მექანიზმების არსებობის მიუხედავად, მათი თავიდან აცილება კაცობრიობამ დღემდე ვერ შეძლო, იყო ქვეყნები, რომელთა ისტორია დიდ ომებთან იყო დაკავშირებული (მაგ. გერმანია). თუმცა, როგორც ამბობენ, „ომში აბსოლუტური გამარჯვება არ არსებობს“, მაგრამ ომის დაწყებას არა მარტო მიზეზი (საბაბი), არამედ სამართლებრივი დასაბუთებაც სჭირდებოდა. იმ პერიოდში, როგორც წესი, ომის მწარმოებელი თითოეული მხარე მიიჩნევდა, რომ სწორედ მეორე მხარის მიერ წარმოებული ომის მიზეზი იყო უკანონო, შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარეს, უბრალოდ, ყაჩაღად აღიქვამდა, რომელიც მოკლებული იყო ყოველგვარი სამართლიანი მოპყრობის უფლებას.[1]

დღესაც დასავლეთის გარკვეულ წრეებში დომინირებს სამართლიანი ომის თეორია, რომელიც ეფუძნება იქ გარკვეულ მთელ რიგ არსებულ პრინციპებს და განსაზღვრავს ძალის გამოყენების მორალურ კრიტერიუმებს, რომლებიც მოკლებულია კონკრეტულობას და მათში მკვლევარები ხედავენ კომპლექსურობის ელემენტებს, რაც შეუძლებელს ხდის მათ პირდაპირ გადმოტანას პრაქტიკაში, რადგან ისინი კანონებს არ

[1] პიტერ მალანჩუკი, დას. ნაშ. გვ. 428

მიესადაგება. ამ ხასიათის გამო ეს კრიტერიუმები სერიოზული კრიტიკის ობიექტი ხდება.

ისე, როგორც ყველაფერს, „სამართლიანი ომის" წარმოების თეორიასაც საკუთარი განვითარების ისტორია გააჩნია. პრობლემით დაინტერესებული მკლევარები თვლიან, რომ სამართლიანი ომის თეორია წარმოიშვა წმინდა ამბროსისა და წმინდა ავგუსტინეს ნაშრომებიდან, შემდგომში კი მან გაგრძელება ჰპოვა თომა აქვინელის (1225-1274) თხზულებებში, რომელსაც მიაჩნდა, რომ საზოგადოება ემორჩილება სულიერ ძალაუფლებას, რომელსაც ცაში ღმერთი, მიწაზე კი მისი რჩეული რომის პაპი და სახელმწიფო განასახიერებს.[1]

ძალმომრეობის (დაპყრობის) თეორიამ გავრცელება ჰპოვა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში. მისი იდეოლოგები იყვნენ ლ. გუმპლოვიჩი, კ. კაუცკი, ე. დიუნინგი და სხვები. ისინი ეყრდნობოდნენ ცნობილ ისტორიულ ფაქტებს – გერმანიისა და უნგრეთის სახელმწიფოების წარმოქმნას. სახელმწიფოს მშობელი, ამტკიცებდნენ ამ თეორიის მომხრეები, არის ომი და დაპყრობა.[2] თანამედროვე ფილოსოფოსებისა და მოზროვნეების მიერ ჩამოყალიბებულ კონცეფციებში მას შუალედური ადგილი უჭირავს პაციფიზმის დოგმებსა და რეალიზმს შორის და იმ პირობებს განსაზღვრავს, რომლებიც მორალურად ამართლებს ძალის გამოყენებას ან ომის დაწყებას მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარი ძალადობა ამორალურია. ამერიკელი მკლევარი ტომი ბლოველტი მიიჩნევს; „სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამართლიანი ომის თეორია ომს ამორალურად მიიჩნევს, მანამ, სანამ ომი შესაბამისად გამართლებული არ იქნება და სანამ მისი გამჩაღებლები არ დაამტკიცებენ, რომ გარკვეული კრიტერიუმები დააკმაყოფილეს".[3]

ადამიანთა უმრავლესობისათვის პარადოქსულად ჟღერს, რომ ომის წარმოება გარკვეული წესების შესაბამისად უნდა მოხდეს. იმ დროს, როდესაც ჩვეულებრივი კანონები და წესები ხშირად ირღვევა, რატომ უნდა შეიზღუდოს თავი გადარჩე-

---

[1] ბ. ლუტიძე, სოციოლოგია, თბ. 2002წ.გვ104

[2] გ. ლობჟანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ. 2009წ.გვ. 54

[3] ამერიკის შესწავლის საკითხები, გვ. 44

ნისათვის მებრძოლმა ერმა გარკვეული ნორმებით? ასე სვამს საკითხს ცნობილი საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი პიტერ მალანჩუკი და პასუხსაც იქვე იძლევა, რომ XVIII და XIX საუკუნეების მანძილზე სახელმწიფოები არ იყვნენ დაინტერესებული ერთგვარი სახის ომის წარმოებით.[1]

ტ. ბლოველტი მიიჩნევს, რომ სამართლიანი ომის თეორია ექვსი ძირითადი პრინციპისაგან შედგება:

Jus end bellum („სამართლიანობა ომის დაწყებამდე").

კანონიერი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია. მხოლოდ კანონის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების მქონე ოფიციალურ ორგანიზაციას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ძალის გამოყენების თაობაზე, დესპოტიზმისაგან თავის დასაცავად:

ომის სამართლიანი მიზანი. სამი სტანდარტული მისაღები მიზანია თავდაცვა, მოპარული კაპიტალის დაბრუნება და დასჯა ზარალის მიყენებისათვის;

საბოლოო ზომების მიღების პრინციპი: ომის დაწყებამდე იქნეს გამოყენებული საკითხის მშვიდობიანად მოგვარების ყველა შესაძლებლობა;

წარმატების გონივრული იმედი: ომის დაწყებისას უნდა არსებობდეს იმის გონივრული იმედი, რომ მშვიდობა დამყარდება და მეომარი მხარეები შერიგდებიან.

Jusi bello („ომის სამართლიანად წარმართვა)

პროპორციულობა: ომის გამოწვეულმა ტანჯვამ და ნგრევამ ომის შედეგად მიღებული სარგებელი არ უნდა გადაწონოს;

დისკრიმინაცია ანუ მშვიდობიანი მოსახლეობის იმუნიტეტი: მეომარმა მხარეებმა უნდა განასხვავონ სამხედროები და მშვიდობიანი მოსახლეობა.[2]

აღნიშნული პრინციპების დაუცველობა განპირობებული იყო იმით, რომ იმ პერიოდში, როდესაც სახელმწიფოები ნაკლებად ერეოდნენ საკუთარი სუბიექტების საქმიანობაში, ტერიტორიების გადასვლა ერთი სახელმწიფოს მმართველობიდან მეორეში უმნიშვნელო გავლენას ახდენდა მკვიდრი მო-

---

[1] პ. მალანჩუკი, დას. ნაშ.

[2] ამერიკის შესწავლის საკითხები, თბ. გვ 44

სახლეობის ცხოვრების წესზე. შესაბამისად, სახელმწიფოები ამ საკითხს ფილოსოფიურად უდგებოდნენ. ძალთა დაბალანსების სისტემამ შეაკავა სახელმწიფოთა ტერიტორიული ზრდის პროცესი და, შესაბამისად, შეზღუდა ომების წარმოების შედეგად მიღებული ტერიტორიული ცვლილებები.ძალთა დაბალანსების სისტემამ ხელი შეუწყო თანაფარდობის დამკვიდრებას. ამ სისტემის თანახმად, სახელმწიფოს დღევანდელი მტერი ხვალ შეიძლება მის მოკავშირედ გადაიქცეს; რა თქმა უნდა, ეს ფაქტი გარკვეულწილად ამცირებდა ომის დროს სისასტიკის კოეფიციენტს, რადგან სახელმწიფოებს არ სურდათ გამოუსწორებელი შეცდომის ჩადენა, თუნდაც იმჟამად დაპირისპირებული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ომის დაწყება-არდაწყების საკითხის გადაწყვეტის კანონისმიერი ორგანიზაცია არ არის ცალსახად გამოკვეთილი, თუმცა სახელმწიფოთა უმრავლესობა და მსოფლიო საზოგადოების დიდი ნაწილი ამ ფუნქციას გაეროს აკისრებს.

გაეროს წესდების მეექვსე თავის („დავების მშვიდობიანი მოგვარება") 36-ე მუხლი ითვალისწინებს ნებისმიერი დავის ან ასეთივე ხასიათის სიტუაციის ნებისმიერ სტადიაზე უშიშროების საბჭოს უფლებამოსილებას, რეკომენდაცია გაუწიოს მოწესიგების სათანადო პროცედურას ან დავის მეთოდებს. ამასთანავე, უშიშროების საბჭო ამ დავის მოსაგვარებლად მხედველობაში იღებს ნებისმიერ პროცედურას, რომელიც უკვე იქნა მიღებული მხარეების მიერ.

ხოლო გაეროს წესდების VII თავი იძლევა იმის საშუალებას, რომ აგრესორთან, თუკი ყველა ზომა გამოიყენა უშიშროების საბჭომ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, დაიწყოს სამხედრო მოქმედებები. ამისათვის მას გადაეცემა წევრსახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების კონტინგენტები, რომელთა სათავეში დგება უშიშროების საბჭოს მიერ დანიშნული მთავარსარდალი, ხოლო საერთო ხელმძღვანელობა ეკისრება გაეროს გენერალურ მდივანს. შეიარაღებული ძალების გამოყენების გეგმებს ადგენს უშიშროების საბჭო, სამხედრო-საშტატო კომიტეტის დახმარებით, რომელიც ასევე ვალდებულია, რჩევები მისცეს და დახმარება გაუწიოს უშიშროების საბჭოს ყველა იმ საკითხში, რომელიც შედის

საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების მხარდაჭერის სფეროში.[1] .ასე, მაგალითად, 1992 წლის იანვარ-თებერვალში გაეროს ჯარებმა ჩაატარეს ოპერაცია „ქარიშხალი უდაბნოში", რომელსაც ქუვეითის მიმართ ერაყის აგრესიის წინააღმდეგ ამერიკელი გენერალი შვარცკოფი ხელმძღვანელობდა და რომელიც წარმატების კლასიკურ მაგალითად იქცა.

ასევე გასარკვევია და დასაზუსტებელი ომის დაწყების მიზნები; ასევე, სამართლიანობის დადგენა, რომელიც თავისთავად უკავშირდება საბოლოო ზომების მიღების პრინციპს, რომელიც მაშინ უნდა იქნას გამოყენებული, როდესაც არ არსებობს ძალის გამოყენების არანაირი ალტერნატივა.

ომის დამწყები ყოველთვის ითვალისწინებს იმას, აქვს თუ არა მას წარმატების გონივრული იმედი, თუმცა ის ყოველთვის ისე არ მთავრდება, როგორც ომის დამწყებს ჰგონია. ამის მაგალითი საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთში დაწყებული ომია. თუმცა, ამას ვერ ვიტყვით ამერიკის ადმინისტრაციის სამხედრო ოპერაციაზე ერაყში. ნაწილი მკვლევარებისა თვლის, რომ ამერიკელების ოპერაცია ერაყში, „საოცრად წარმატებული აღმოჩნდა".

რაც შეეხება ომის სამართლიანდ წარმართვის პრინციპსა და პროპორციულობას, ის არ არის დამკვიდრებული ბოლო დროს მომხდარი ომების პრაქტიკაში. აქ შეგვიძლია ორი საპირისპირო მაგალითი განვიხილოთ. რუსეთის შემოჭრა საქართველოში 2008 წლის აგვისტოში, სადაც ეს პრინციპი მაქსიმალურად დაირღვა და იგივე, ამერიკის მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაციები ერაყში, სადაც გამოყენებული იქნა უახლესი ტექნიკა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხელოვნება. ექსპერტთა მიერ ჩატარებული კვლევებისა და დასკვნების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ წინათ ომს არასოდეს არ მიუყენებია ნაკლები ზარალი მშვიდობიანი მოსახლეობისათვის. გამოჩნდა, რომ ოპერაციის დაგეგმისთვის დიდი ყურადღება მიენიჭა მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ზიანის შემცირებას; ასევე, არ მოშლილა სამოქალაქო

[1]დ. გეფერიძე, ა. ხაზალია, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი. თბ. 2012წ. გვ. 165-169.

ელექტროქსელები და ინფრასტრუქტურა, თუმცა, „თანმდევი ნგრევა", მართალია მცირედი, მაგრამ ომს მაინც მოჰყვა.[1]

ასეთია ომის დაწყების გამართლების თაობაზე მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებები და არსებული თეორიები.

[1] ტ. ბლოველტი, სამართლიანი ომის თეორია და ომი ერაყში გვ. 49 (ამერიკის შესწავლის საკითხები, თბ., 2003 წ.).

დასკვნა

წიგნის მიზანს არ წარმოადგენს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში არსებული მთელი სამართლებრივი ბაზისა და მონაცემთა ყოველმხრივი დამუშავება, რადგანაც, ჩვენი აზრით, შეუძლებელი იქნებოდა ერთ სახელმძღვანელოში მათი ჩატევა, მაგრამ, რაც ამ შემთხვევაში გაკეთდა საკმარისი იქნება ამ პრობლემებში გაუცნობიერებელ ადამიანს გარკვეული თვალსაზრისი ჩამოუყალიბოს იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით ომის წარმოების მეთოდებსა და ხერხებს პრინციპული საზღვრები გააჩნია. იმის გათვალისწინებითაც საჭიროდ მიგვაჩნია, რომ მსოფლიო ცივილიზაციის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე საერთაშორისო ჰუმანიტარულმა სამართალმა ჩამოყალიბებისა და განვითარების გარკვეული ეტაპები განვლო. თავიდან იგი აისახებოდა ჩვეულებითი სამართლის, რელიგიური წყაროების ნორმებში, ხოლო შემდეგ სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობაში შედიოდა, რითაც განისაზღვრა კიდეც მისი პირველსაწყისი დასახელება „ომის კანონები და ჩვეულებები". XIX საუკუნის მეორე ნახევარში სახელმწიფოები მივიდნენ იმ რწმენამდე, რომ აუცილებელი იყო თავიანთი მოქმედებების შეთანხმება შეიაღებული კონფლიქტის პერიოდში. ეს აისახა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების შინაარსში, რომლებიც კოდიფიცირდებოდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებში, რამაც საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყოფას ზოგადი საერთაშორისო საჯარო სამართლის დამოუკიდებელ დარგად.

სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურაში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფორმირების ისტორიის ვიზუალური განხილვაც გვიჩვენებს, რომ შეიარაღებული კონფლიქტების ჰუმანიზაციის იდეა თითქმის ერთდროულად გაჩნდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. 1853-1856 წ.წ. რუსეთში ნ. პიროგოვის ინიციატივით შეიქმნა მოწყალების

დების საზოგადოება. შვეიცარიელმა ა. დიუნანმა 1863 წელს დაარსა ავადმყოფთა დახმარების საერთაშორისო კომიტეტი (მომავალი წჯსკ). იმავე 1863 წელს ამერიკის კონტინენტზე გაჩნდა „აშშ-ის საველე ჯარების ისნტრუქცია", რომელიც ფ. ლიბერმა შექმნა.

მომავალ ათწლეულებში დადებულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებიც ხელს უწყობდა სამართლის ამ დარგის განვითარებას. მნიშვნელოვანი წვლილი ამ საქმეში შეიტანა თ.თ მარტენსმა – ინიციატორმა და ავტორმა პირველი კონვენციებისა ომის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ. XX საუკუნის მეორე ნახევარში მიღებულმა საერთაშორისო შეთანხმებებმა აქტიური როლი ითამაშეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პროგრესულ განვითარებაში, რომლის იურიდიულმა ბუნებამ განსაზღვრა ჰუმანიტარული სამართლის განვითარების გზა მრავალი ათეული წლის მანძილზე, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში ნაკლებად ტარდებოდა პრაქტიკული ღონისძიებები საზოგადოებრივ შეგნებაში შესაბამისი ნორმების ჩანერგვისათვის.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფორმირების ისტორია მოწმობს, რომ ის წარმოადგენს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარების ასახვას. მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი ნორმები, როგორც რეაქცია სახელმწიფოთა ტექნიკურ პროგრესზე, საბრძოლო ტექნიკისა და შეიარაღების შექმნის ჩათვლით, ხშირად იგვიანებენ ხელშეკრულებებში ასახვის თვალსაზრისით. ფაქტებით მტკიცდება, რომ XX საუკენეში საერთაშორისო საზოგადოებამ მოახერხა ბევრი რამის მიღწევა ომის წარმოების განსაზღვრული მეთოდების და საშუალებების შეზღუდვისა და აკრძალვის საქმეში. უწინარეს ყოვლისა, საუბარია ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის, გარემოზე სამხედრო და ნებისმიერი სხვაგვარი მტრული ზემოქმედების, ჩვეულებრივი იარაღის კონკრეტული სახეების აკრძალვის შესახებ, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს გადამეტებული დაზიანების მიმყენებლად, ან რო-

მელსაც შეიძლება განურჩეველი მოქმედება ჰქონოდათ, ასევე ქიმიური იარაღის, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის თაობაზე კონვენციების დამუშავების და ხელმოწერის შესახებ.

სამხედრო ხელოვნება მჭიდროდ არის დაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან. სწორედ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები ავალდებულებენ სახელმწიფოებს, მათ შეიარაღებულ ძალებს ბრძოლის პროცესში მხოლოდ ისეთი მეთოდები და საშუალებები გამოიყენონ, რომლებიც მაქსიმალურად ზღუდავენ საომარი მოქმედებების სისასტიკეს და ამავე დროს უზრუნველყოფენ მოწინააღმდეგის დამარცხებას ადამიანური და მატერიალური რესურსების მინიმალური დაკარგვით.

სპეციალისტთა აზრით, გასული საუკუნის განმავლობაში სჰს-ის ნორმებმა სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა: კოდიფიცირებულია საერთაშორისო ნორმები, რის საფუძველზეც შეიქმნა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი იაპონელი სამხედრო დამნაშავეების გასამართლებისა და დასჯისათვის (1946 წ.); საერთაშორისო ტრიბუნალი იმ პირთა სასამართლო დევნისათვის, რომლებიც ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩადენილი საერთაშორისო სამართლის სერიოზული დარღვევისათვის არიან პასუხისმგებელნი (1993 წ.); საერთაშორისო ტრიბუნალი იმ პირთა სასამართლო დევნისათვის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გენოციდისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და სხვა სერიოზული დარღვევისათვის რუანდის ტერიტორიაზე (1994 წ.). შექმნილია მუდმივი სასამართლო ორგანო – საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო (1998 წ.) იმ პირთა პასუხისგებაში მიცემისათვის, რომლებმაც ჩაიდინეს განსაკუთრებით მძიმე საერთაშორისო დანაშაულები – გენოციდი, დანაშაულები ადამიანურობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაულები, აგრესია.

სახელმწიფოების და ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობის დადგენა დანაშაულებრივი საქმიანობისათვის საერთაშორისო და შიდა შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში წარმოადგენს საერთაშორისო მართლწესრიგის განმტკიცების ერთ-ერთ გარანტიას, ომის გაჩაღების წინააღმდეგ პრევენციულ ზომას.

სახელმძღვანელოში დიდი ადგილი აქვს დათმობილი შეიარაღებული კონფლიქტების არსისა და მისი გამომწვევი მიზეზების განხილვას. ძირითადი აქცენტი გაკეთდა ბრძოლის აკრძალული ან შეზღუდული მეთოდებისა და საშუალებების საკითხებზე, რაც იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ წიგნის მეშვეობით მკითხველი მიიღებს მეტად საჭირო ინფორმაციას კონფლიქტში აღმოჩენილი სამოქალაქო მოსახლეობის უფლებების თაობაზე, რომ ის საქართველოს მცხოვრებთათვის იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია.

CONCLUSION

The target of the presented work was not the preparation of legal base and data of the international humanitarian law, as in our estimation it is impossible to present the whole material a in a single work but the already done is enough to make some kind of estimation about the war-making methods and ways with some definite frames in the international humanitarian law as during the century-old existence of the world civilization the international humanitarian law has passed definite steps of establishment and development. At first it was reflected in the custom law and norms of religious sources and later it was included in the inner legislation of the state and it finally it defined its initial designation "Rules and Customs of War". In the second half of XIX century the states realized that it was necessary to make mutual agreements upon the armed activities during the conflict period. It was reflected in the international agreement content which was codified according to the international humanitarian law norms. In spite of the numerous enemy against the regulation of the armed conflicts that was the basis of the international humanitarian law separation as an independent branch of the general public law.

Visual discussion of the international humanitarian law formation history clearly shows that the idea of the armed conflicts humanization took place simultaneously in different corners of the world. In 1853-1856, in Russia, based on the initiative of N. Perogov, the charity sisters' community was established. The Swiss A. Diunan in 1863 established the international committee of the sick assistance. In the same year "The USA ambulance arm instruction" took place on the continent of America established by P. Liber.

In the next decades several international important agreements were made contributing the development of this branch of law. In this case enormous assistance made T.T. Martens – the initiator and the author of the initial conventions about the war rules and customs. Active role played the international humanitarian agreements in the progressive development of the international humanitarian law in the

second half of the XIX century which juridical nature defined the way of development of the international humanitarian law during many decades, but in several countries the practical activities rarely took place in the social realization to establish the corresponding norms.

The history of formation of the international humanitarian law shows that it is a reflection of the scientific-technical progress development and that the legal norms as a reaction upon the state technical progress including the armed technics and armament creation often are not in proper time reflected in the agreements, based on the factual affirmation in the XX century the international society managed to achieve a lot in the matter of restriction and prohibition of the definite warfare methods and means. First of all, it deals with discussing signing of conventions upon the bacteriological (biological) and toxic weapon cancelation, the military or any other kind of hostile influence upon the environment, particular kinds of ordinary weapon utilization prohibition, that can cause over-damage as well, or the chemical weapon and torpedomine prohibition.

The military art is densely connected with the scientific-technical progress and international humanitarian law. The states' scientific-technical progress makes enormous influence upon the military art development. At the same time the international humanitarian norms oblige the states and their armed forces to use only those methods and means in the armed fight process that maximally restrict the military activities brutalities and guarantee the enemy defeat with the minimal lose of the human and material resources.

According to the specialists during the XX century lots of changes were passed in the norms of the international humanitarian law about the states' responsibilities: the state crimes are codified; the international military tribunal is established for judgment and punishment of the Japanese military criminals (1946); the international tribunal for those court persecution who are responsible for the serious breach of international humanitarian law committed on the territory of Yugoslavia (1993); the international tribunal for those persons' court persecution who are responsible for the genocide and oth-

er serious breaches of the international humanitarian law on the territory of Ruanda (1994). The permanent court organ - the international criminal law court is established (1998). For those persons' responsibility who committed particularly heavy international criminal acts – genocide, crimes against humanity, military crimes, aggression.

Determination of the states' and physical persons' responsibilities is one of the main guarantees of strengthening law and order in the international and inner armed conflicts' period for the criminal activities and the preventive measures against the war.

A lot is said about discussion of the essence of the armed conflicts and its corresponding reasons. The basic accent was made upon the issues of forbidden or restricted methods and means and it gives us the right to say that the reader will receive the necessary information though the book about the civil population rights and what's more this is especially important for the Georgian population as 20% of the country territory is unfortunately occupied.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2012.
2. I ოქმი, მუხლი 61.7.; 33; 52; 54; 84,4.
3. III კონვენცია, მე-17, 4(2), 118-119, 130-ე მუხლი და I ოქმი, 85.5 მუხლი.
4. III კონვენცია, მუხლი 71 (ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციები და მათი დამატებითო ოქმები, თბ. 2008)
5. IV კონვენცია მუხლი 28, პირველი ოქმი, გაძლიერებული მუხლი (211(7)
6. აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკაში ქართველი მოსახლეობის გენოციდის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილ გარემოებათა შესახებ. დასკვნა 1992-1999 წწ. თბ, 2000.
7. ალადაშვილი ბ., მსტოვრების ისტორია საქართველოში, I, თბ, 2009.
8. ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 1999.
9. ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2010.
10. ამერიკის შესწავლის საკითხები, თბ. 2003 წ.
11. არციბასოვი ი., ეგოროვი ნ. შეიარაღებული კონფლიქტები, სამართალი, პოლიტიკა და დიპლომატია. მოსკ. 1989 წ. (რუს. ენაზე).
12. ბატონიშვილი ვ. გეოგრაფია.
13. ბლიშჩენკო ი.პ., ჩვეულებრივი იარაღი და საერთაშორისო სამართალი. მ. 1984. (რუს.ენაზე).
14. ბლოველტი ტ., სამართლიანი ომის თეორია და ომი ერაყში გვ. 49 (ამერიკის შესწავლის საკითხები, თბ., 2003.
15. ბოგვერაძე ა., ქართული ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1961 წ. გვ. 105
16. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, 42-ე მუხლი.
17. გახოკიძე ჯ. საქართველო და განდგომილი რეგიონები, რ. შენგელია 70, საიუბილეო კრებული, თბ. 2012.
18. გაზ. „კომუნისტი", 1941წ. 23 ივნისი.

19. გეფერიძე დ. საერთაშორისო საჰაერო სამართალი, თბ. 2009.
20. გეფერიძე დ., ა. ხაზალია, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი. თბ. 2012.
21. გორაძე გ. ფედერალიზმის პერსპექტივები საქართველოში, თბ. 2012.
22. გორელოვი ა.ა. ეკოლოგია, მთარგმნელი რ. დიასამიძე. ბათ. 2011.
23. გრიცაევი ს., საერთაშორისო მართლმსაჯულება და რომის სტატუტი, მ. 2005. (რუს. ენ.).
24. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), ტედ. ლ. ალექსიძე. თბ. 2003.
25. თორაძე გ. შეიარაღებული კონფლიქტის სამართალი (შესავალი) თბ. 2001.
26. კეგინერი ჟ.ფ. „უსაფრთხოების ზომები საომარი მოქმედებების მარეგულირებელი სამართლის მიხედვით, დეკემბერი, 2006წ. №864.
27. კონრადი ნ., სუნ ძი, თბ. 2000.
28. ლობჟანიძე გ. ადამიანის უფლებათა სამართალი, თბ. 2005.
29. ლობჟანიძე გ. რომის სახელმწიფო და სამართალი, წ. I. 2009.
30. ლობჟანიძე გ. საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა, თბ. 2002.
31. ლობჟანიძე გ. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები. თბ. 2012.
32. ლობჟანიძე გ. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, ქუთ. 2009.
33. ლობჟანიძე გ. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ. 2001.
34. ლობჟანიძე გ. თრეფიკინგის სამართლებრივი ასპექტები. თბ. 2006.
35. ლომოური ნ. „ეგრისის სამეფოს ისტორია“, თბ. 1968.
36. ლომსაძე მ. სისხლის სამართლის პროცესი, თბ. 2011.
37. ლუტიძე ბ. სოციოლოგია, თბ. 2002.
38. მალაშხია შ. კონფლიქტების ანატომია თბ. 2011.

39. მარტენსი ფ.ფ., აღმოსავლეთის ომი და ბრიუსელის კონფერენცია 1874-1878წ. სპბ, 1878.
40. მეტრეველი ე., დავითაშვილი გ., პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, თბ. 1994.
41. მეტრეველი რ., ღალატი და ერთგულება, თბ. 2010.
42. მონტესკიე შ., კანონთა სულის შესახებ. ნაწ. I-1 პ. 1862 (რუს. ენაზე).
43. მონტესკიე შ.ლ., კანონთა გონი, თბ. 1994.
44. მოქმედი საერთაშორისო სამართალი, ტ.2, მ., 2002 (რუს. ენაზე).
45. ნაქვი იასმინ. „სამხედრო ტყვის სარჭვო სტატუსი" (სტატია).
46. ორგანიზებული დანაშაულის თანამდევი გამოვლინების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში (ი. დვალაძე), თბ., 2012.
47. პატარქალიშვილი ნ. IV-XX ქართველი მოაზროვნენი, 1995.
48. პიტერ მალანჩუკი, აკჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2005.
49. პოლტორაკი ა.ი., სავინსკი ლ.ი. შეიარაღებული კონფლიქტები და საერთაშორისო სამართალი. მ. 1976. (რუს.ენაზე).
50. პრაქტიკული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბ., 2009.
51. პრავდა, 1983 წელი, 2 აგვისტო.
52. ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციები და მათი დამატებითი ოქმები, თბ. 2008.
53. ფილიპი ქ., სანქციები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევისათვის. (სტატია გვ. 1).
54. ქართლის ცხოვრება (ანასეული), თბ. 1942 წ.
55. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, თბ, 1998.
56. ქემინსი ე. წარსული, როგორც შესავალი: სამოქალაქო იმუნიტეტიდან „უშუალო მონაწილეობის" გამონაკლისის განვითარება, 2008წ. დეკემბერი, №872.
57. ქრონიკები. II 4
58. საბჭოთა ენციკლოპედიური ლექსიკონი, მ. 1983.
59. საერთაშორიო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული), თბ. 2006.

60. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ნორმატიული აქტების კრებული). 1977. I დამატებითი ოქმის 59-ე მუხლის I ნაწილი), თბ. 2006.
61. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. მ. 2009 (რუს. ენაზე).
62. საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №1, თბ, 2001.
63. სამართლის პრობლემები (რომან შენგელია 70-საიუბილეო კრებული), თბ. 2012.
64. საქართველოს ისტორია, თბ. 1990.
65. საქართველოს კანონი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ, 2003 წლის 14 აგვისტო №2972
66. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიულეტენი, თბ. 1999. №8.
67. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (2011 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით), თბ. 2011.
68. საქართველოში წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ფედერაციამ თავისი წარმომადგენლობა 1993 წელს გახსნა.
69. სასოლი მ. სახელმწიფო პასუხისმგებლობა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების დროს. (წ.ჯ.ს.კ, ივნისი 2002,896).
70. სავანელი ბ. ადამიანი უფლებები, თბ. 2001.
71. სახმელეთო ომის კანონები და წესების შესახებ 1907 წლის კონვენცია, პირველი მუხლის მე-3 ნაწილი
72. შენგელია მ.. საერთაშორისო სამართალი, ქუთ. 2002.
73. შესავალი ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალში, თბ. 2001.
74. შინდერი დ., წითელი ჯვრის საერთაშორისო სამართალი და ადამიანის უფლებები, ჟენევა, 1973.
75. ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი, 2006.
76. ტურავა მ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, თბ., 2005.
77. ჭავჭავაძე ი. გაზ. „იერია“ 1877წ.№8.
78. ჭავჭავაძე ი. თხზ. ტ. IV.
79. ჭავჭავაძე ი. თხზ. ტ. VI.

80. ვინოგრადოვი ს. საერთაშორისო სამართალი და ატმოსფეროს დაცვა. მ. 1981 (რუს. ენაზე).
81. ჭიჭინაძე ზ. სამცხე-სათაბაგოს გათათრება თბ. 1906.
82. ჯანაშია ს. დას. ნაშრომი.
83. ჯანაშია ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზმის გზაზე, თბ., 1937.
84. ჯავახიშვილი ივ. თხზ. ტ. XII, თბ, 1998.
85. ჯორჯაძე არჩ., წიგნი 1 და IV, თბ. 1911.
86. ჯორჯაძე ირ. ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან, თბ. 1990წ
87. ჰანს-პეტერ გასერი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (შესავალი), თბ. 1999წ.
88. ჰეივუდი ენდრიუ, პოლიტიკური იდეოლოგიები. თბ. 2004.
89. Боргунов В.Д., Международное воздушное право, М.2007.
90. Воздушный Транспорт, 2008г.№2.
91. Гулиа Д. "О моей книге "История Абхазии" Сух.,1951.
92. Женевские Конвенции 12 Август, 1949г. и дополнительные протоколы к ним. М. 1997.
93. Журнал Международного права .3/98/31, Москва, 1998.
94. Королев Г.Ш., Ганибал. М., 1976.
95. Международное право, Ведение боевых действий, М. 1995.
96. Международное право, Ведение боевых действий, М., 1995.
97. Международный комитет Красного Креста. М., 2002.
98. Надареишвили Т., Геноцид в Абхазии. Тб, 1998г.
99. Повестка дня мира, 1992 w. p.19.
100. Сборник Гаагских конвенций и иных соглашений. М., 1995.
101. Ушаков Н.А. Правовое регулирование установления силы в международных отношениях. М., 1997.
102. Цицерон, Об обязанностях-кн. 2XIV,48.
103. Цицерон. О государстве, III, 35; 1.36
104. Черниловский З.М., Всеобщая история государства и права М. 2002.
105. Шония А., Правда об Абхазии. Тб. 1998.
106. Эристовь Н.. Шарвашидзе "Памятные записки о нуждах грузинского народа". Москва, 1906.

107. Aristidis Calogeropoulos- Staratis, Droit Humanitare et droits dei home: la proteetion dela presonne en periode de conflict orme Geneva, 1980.
108. Bibliography. 1 st Trimester 2012. International Humanitarian Law. Iternational Committee of the Red Cross Library's Classified Acquisitions on International Humanitarian Law.
109. Busa L. internacional Control os a Safeguandi of Cegality interrnacional sife, in Questons of internacional Law Buagdest, 1966.
110. Chistiane Shiela-Delesserti, Release Repatriatriation of Prisoners of war of the End of Active Hostilites, Zuruch 1977.
111. Final record of the Diplomatic Conference of Geneva of 1949, 3 vol.
112. Frits Kalshoven, Relligerant Reprisals, Leyde Geneve 1971 et le Commentaire des Protocples pvblie por CICR.
113. Gradimir Djvrovis The Central Tracing of the internotionat Commitceos the Red Cross, Geneva, 1986.
114. International Review of the Red Cross," Conflict in Iraq I", Volume 89 Number 868 December 2007 (ICRC)
115. International Review of the Red Cross, "Conflict in Iraq II", Volume 90 Number 869 March 2008 (ICRC)
116. International Review of the Red Cross," Sanctions ", Volume 90 Number 870 June 2008 (ICRC)
117. International Review of the Red Cross, "Human Rights", Volume 90 Number 871 September 2008 (ICRC)
118. International Review of the Red Cross," Typology of Armed Conflicts ", Volume 91 Number 873 March 2009 (ICRC)
119. International Review of the Red Cross, "War victims", Volume 91 Number 874 March 2009(ICRC)
120. International Review of the Red Cross, "Displacement", Volume 91 Number 875 March 2009(ICRC)
121. International Review of the Red Cross, "International Conference of the Red Cross and Red Crescent", Volume 92 Number 876 December 2010 (ICRC)
122. International Review of the Red Cross, "Women", Volume 92 Number 877 March 2010(ICRC)
123. International Review of the Red Cross, "Urban violance", Volume 92 Number 878 June 2010(ICRC)
124. International Review of the Red Cross, "Environement", Volume 92 Number 879 September 2010(ICRC)

125. International Review of the Red Cross, "Conflict in Afganistan I", Volume 92 Number 880 December 2010(ICRC)
126. International Review of the Red Cross, "Conflict in Afganistan II", Volume 92 Number 881 March 2011 (ICRC)
127. International Review of the Red Cross, "Understanding armed groups and the applicable law", Volume 93Number 882 June 2011 (ICRC)
128. Note by the President of the Council UN SCOR, 47 in Sesion 30449 th Meeting UN Doc. S/23500 (1992) ILM 31 (1992) 759 act 761
129. Rudolf l. Bindschedler „Neitrality, Concptand General Rules", in Bernhardt (ed), Encyclopedia of Public interenational Law, Vol, 1982.
130. Shabtai Rosenne <<Codification of international Law", Bernare (et) Eneyclopedia of Public internacional Law Vol (1992)
131. Sohopenhaues A. Woptesungen "Uber die gesamte Philosophie Epster Telcop (Werke, V.P. Deussen, B 9,1913,S361)
132. Stephen P.B., Klimenko B.M. (eds) international Law and Political Security: Military and Political Dimentions (u.s Sovient Dialogue scries) 1991
133. Thedor Meron „The Geneva Conventions as Customery Lawi 81 American Jovrnal of international Law (1987).
134. The Best Works of Students Essay Competition, ICRC, Tbilisi, 2008
135. www. fortuna.ge news-inner; geo.ambebi.ge; droni.ge
136. www. media. ge/node/42166
137. www.imediajornal.blogspot.com2009/01/blog-post-24.html
138. www.polity.ge/wordnews/conflicts/1528-2009
139. http /imanagement. ge/

გივი ლობჟანიძე

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დეკანი, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი. დაიბადა 1948 წლის 3 მაისს. დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1987 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1994 წელს სადოქტორო დისერტაცია. მისი სამეცნიერო კვლევა-ძიების სფეროა საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრების, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის, თეორიის, სამართლის ფილოსოფიის პრობლემები, ადამიანის უფლებათა, საერთაშორისო ჰუმანიტარული და მუნიციპალური სამართლის საკითხები.

გ. ლობჟანიძე არის 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და პუბლიცისტური წერილის, 23 წიგნის (მათ შორის 7 სახელმძღვანელოს) ავტორი და 9 წიგნის თანაავტორი. წლების მანძილზე იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს წევრი, 1992-1995 წლების მოწვევისსაქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი, არჩეულია იმფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის წევრად, არის არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე. სხვადასხვა დროს კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიწვეული იყო უნგრეთის და აშშ-ს აკადემიებში, ლუიზიანას შტატის უნივერსიტეტში, მინიჭებული აქვს საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულობის, ტერორიზმისა და ტრეფიკინგის საკითხებში ექსპერტის კვალიფიკაცია.

პროფესორი გ. ლობჟანიძე არის პოლიციის გენერალ-მაიორი, პოლიციის საერთაშორისო ასოციაციის წევრი, აღმოსავლური ორთაბრძოლების „კოშიკი კარატეს“ საერთაშორისო ფედერაციის საპატიო წევრი. ვ. გორგასლის III ხარისხის და ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკი. რედაქტორობს საერთაშორისო-პრაქტიკულ ჟურნალს „ცხოვრება და კანონი“.

გივი ლობჟანიძე

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

Givi Lobzhanidze

INTERNATIONAL HUMANITARIAN LAW

გამომცემლობის რედაქტორი: პროფ. შენგელი ფიცხელაური
ტექნიკური რედაქტორი: ნ. ბურჯანაძე
მხატვარი: თ. ჭანიშვილი
კორექტორი: გ. გვიშიანი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: თ. ხარაიშვილი

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 36
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
ტირაჟი 500

გარეკანზე მერაბ ბერძენიშვილი: „კიდევაც დაიზრდებიან“, 1975 წ.
და ელგუჯა ამაშუკელი: „ვეფხვი და მოყმე“, 1984 წ.

პოლიგრაფიული ცენტრი
„ბარტონი“

თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №43